

მნათობი

5

მ ა ი ს ი



1955

მნათობი

უმცველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეორეგვარი

5

★

მ ა ი ს ი

19

სახელგაში
თბილისი

55

6902

~~7242~~

ქართველი
წიგლიერთა კავშირი



გრიგოლ აბაშიძე — ცხრა მაისი, ლექსი	5
ი. გრიშაშვილი — ჩემი თბილისი, ლექსი	7
ტყეპან ტაბიძე — მზეო ნათელი, ვაჟა-ფშაველას გადასვენება შთაწმინდაზე	25
რაფიელ ერისთავი — ბეჩავი, თარგმანი ირ. ჭავჭავაძისა	26
ვახტანგ გორგაძე — ხუთი ძმა, (ლექსი)	28
გაბრიელ ჯაბუშაძური — ლექსები	29
ნაზი კიკლასონია — მხატვრის მარჯვენა, მცირე ადგილი	35
რევაზ ინანიშვილი — ჩერწყელები, (მოთხრობა)	36
ალექსანდრე ტვარდოვსკი — ორიოდ სტრიქონი, (ლექსი) თარგმანი არჩილ სულაკაურისა	75
მიხეილ შოლოხოვი — წყნარი დონი, (ნაწყვეტი რომანიდან) თარგმანი თინათინ ჯაფარიძისა	77
ფრიდრიხ შილერი — გოგონას მოთქმა, ხელთაშანი, თარგმანი გერმანულიდან	83
ვახტანგ ბერიუკელისა	86
რკინის ქარხნისაგან, თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა	94
სიხარულს, თარგმანი გერმანულიდან აკაკი კვაძეასი	106
იოსებ ნონეშვილი — თქვენი გამარჯვებისა იყოს (ნარკვევი)	
მამია ასათიანი — კავკასიონის კალთებზე (ნარკვევი)	
ა. კოკილაშვილი, ა. თომაძე — ნოღას ტრამალებში (ნარკვევი)	

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალ. ქუთათელი — ტრადიცია და ტრადიციულობა	119
აკაკი ვაწერელია — სოლომონ დოდაშვილი	127
გიორგი აბზიანიძე — გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე	130
გიორგი ნადირაძე — სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის	137
ოთარ ჯინორია — ფრიდრიხ შილერი	140
ნოდარ რუხაძე — ფრიდრიხ შილერი ქართულ ლიტერატურაში	150
სიმონ ყაუხჩიშვილი — რუსთველოლოგიის ახალი წარმატება	155

ბიბლიოგრაფია

ვლადიმერ შამხაძე — რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული ლიტერატურა	165
ელენე ფერსტეინი — სიკვდილმისჯილთა წერილები	170
ნოდარ კაკაბაძე — ავსტრიელი პოეტის ლექსები საქართველოზე	172
ვენერა ურუშაძე — ინგლისური ბალადები ქართულად	174
ახალი წიგნები	

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს არ ე და ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე,
პ. რატიანი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

ხელმოწერილია დნსაბეჭდოდ 30/V-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11. უშ 03825.
შეკვეთა № 304. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати главполиграфиздата Министерства Культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

გრიგოლ აბაშიძე



მხრამაისი

ათი წლის წინ, თითქო შექმა გასკრა ბნელი კვამლის ფარდა,
რაისხტაგზე სტალინური ძლევის დროშა აღიმართა.

ათი წლის წინ გაცამტვერდა ჩვენი მტრების განზრახული
და ბერლინში შეგრიალდა გამარჯვების გაზაფხული.

თუმც ის ომი ჩვენი ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა,
ჩვენ კვლავ მაინც ხალხთა შორის მშვიდობა და ზავი გვინდა.

მაგრამ ვინც კვლავ ომზე ფიქრობს, მათ იცოდნენ, მათ ახსოვდეთ,
რომ ჩვენ ასე უძლეველნი არ ვყოფილვართ არასოდეს!

და თუ ხანძრად გადიქცევა ჩვენი მტრების განზრახული,
მათ თავზედაც დაიჭუხებს ცხრა მაისის გაზაფხული.

1955 წ. 9 მაისი.

ი. გრიშაშვილი



ჩემი თბილისი

ჩემი თბილისა ლექსის სკა არი,
ჩვენ, პოეტები, შრომის ფუტკრები.
მიყვარს სამშობლოს თექვსმეტი კარი,
მაგრამ თბილისი — განსაკუთრებით.

ძველად რომ მეგრძნო მეთასედი
ის თანაგრძნობა, რაც ახლა არი,
ლექსში სხვა მარცვალს მოვათავსებდი,
სხვა ექნებოდა ცეცხლს ნალვერდალი.

მაგრამ ცხოვრებამ ვერ გამამრუდა,
და ასე მოველ ხალხის გულამდე.
თბილისის მეზერე დავჩები მუდამ
სიყვარულიდან სიყვარულამდე.

მითხარ განიძე



მგემო ნათელი!

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
ჩვენო სულისდგამავ,
თვალისჩინო და გახარებავე,
ვისაც მოგესმის
დღეს გუგუნი მილიონ ხმათა,
მილიონ გულთა
ქრუანტელი და აღსარება!

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
გულთამხილავო,
შემოგხარით მშრომელთა ბელადს —
მწარე ცხოვრება
და ნაღველი ვინც დაგვიამა,
მთელ დუნიაზე
საწყალ ხალხის ბედი რომ სკედა.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
კოშკო ნაგებო
ჩვენი ქვეყნის რკინა-კირითა,
შენმა გენიამ
სამშობლოს ცა ააკამკამა,
და შეპკრა ხალხი
ერთი გულით, ერთი პირითა.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
ჩვენი გულები
საიმედო სანგრებად გედოს,
გზა დიდ სიუცხლის
დაგვიამოს ვარდმა, იამა,
სულ რომ სულში ხარ,
გული სალამს იმიტომ ბედავს.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
ვისაც ლენინის
დიღი სული მარად სულს გინთებს,

ვინც ხალხის ბედო,
უკუღმართი, წარმართა წაღმა
და ქვეყანაზე
გამარჯვება გააჯირითე.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
ვინაც მშრომელ ხალხს
გაუმართე გამწყდარი წელი,
ლერწი ვაზისა,
სანამ ხეზე ამქვეყნად გავა,
იყავი სტალინი,
მუდამ დღე და მუდამ მზე გრძელი.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
კოშკო ნაგებო
ჩვენი ქვეყნის რკინა-კირითა,
სადაც პირველად
თვალგახელილს გესმოდა ნანა,
ფესვმაგარ მუხას
შემოგხარით შენი ძირიდან.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
დიდლილოელი
დიღო ლელოვ, მიწავ კახტრო,
ციხევე გორისა
ვერ დაგფაროს მაღალმა ცამა,
მაღალ ცის ქუდი
ჩვენს საწყალ ხალხს თავზე დახურე.

მზეო ნათელო,
ჩვენო დიღო იმედო, მამავ,
ჩაგრულთა მხსნელო,
უძლეველო ხალხის მარჯვენავ!
შენმა სიკეთემ
ჩვენ, ბერაენიც, გაგვათამამა
და დიდ სტალინთან
სასაუბროდ აგვიდგა ენა!

ვაჟა-ფშაველას გაღასვენება მთაწმინდაზე



მთის და მაკმადის არ იყო დავა...
 აბა პირველი ვინ ვისთან მივა?
 მთაწმინდის ქედი არ ეცოტავა.
 ფშავეური სისხლი ამ მთაშიც პლევია,
 არც უთხოვია თავისთან მისვლა,
 თვითონ ეხვევა მთას თავზე ნისლაღ.

და გაუშთელდა გაბრული ძვლები...
 მთაო, გაღუშვი, ფშავამდე ივლის;
 ბერი მინდიას მუხლი გამძლები
 კვლავ დაუჩოქებს საყვარელ თბილისს.
 აკვანი იყო მისთვის ჩარგალი,
 გულზე თბილისის ესო ჩანგალი.

აუხდა ნატერა და გარდალაზა
 საფლავის დვირე, და ერთად ნახა
 მან წერეთელი და ჭავჭავაძე.
 კიდევ ატირდა იმათ საფლავეზე.
 არ დაგვინახავს ჩვენგან არავის,
 მხოლოდ გვესმოდა ცრემლი არაგვის.

და იმ დღეს ორი იყო ნიშანი,
 თითქო ხის ბეჭი თვალით გალანდა,
 თითქო აცხადებს ჯადოს მისანი,
 თბილისს მოადგა თვითონ ბელადი,
 მოინახულა ადგილის დედა,
 ვაჟამაც ორ მზეს ერთად შეხედა!

1937 წ.



ბ ე ჩ ა ვ ი

— დროა, დროა! — მომესმა ჩემი უფროსის ძახილი, ცხენზე რომ ვჯდებოდი მთიან ფშავეში გასამგზავრებლად.

— მოვდივარ, თვადო, მოვდივარ! — ეუპასუხე და ერთი კახაკისა და ორი იასაულის თანხლებით ჩქარი ჩორთით გავედი ნახევრად დანგრეული ციხე-სიმაგრის ალაყაფის კარიდან. ეს ციხე-სიმაგრე იყო ერთადერთი შენობა ამ დიდ სოფელში — თიანეთში, თუშფშავე-ხევისურეთის ოლქის ადგილსამყოფელში.

გზა მდინარე იორს აღმა მიჰყვებოდა. ღიშო, არტანი, ბაჩალი და სხვა პატარა სოფლები თვალწარმტაცი ზეობის ორივე მხარეს ჩვენს წინ შეუშინველად გამოკრთოდნენ და უეცრად აღმოჩნდით მთავარი ქედის ყველაზე მაღალი მთების ძირში, რომლებიც უნდა გადაგველახა.

ზაფხულის დილა იყო, თერთმეტ საათზე მეტი არ იქნებოდა, გრილოდა, იმიტომ რომ ცრაიტი იდგა და ღრუბლები ჭიჩოს-თავად წოდებულ ქედს ნახევრად ფარავდნენ.

რამდენიმე წუთი შევისვენეთ და ვიწრო ბილიკს ავყევით. ჩვენი ცხენები თუშეკა ნელა და ფრთხილად ადგამდნენ ფეხს, მაგრამ სიზიან გზაზე ფეხები მიინც უსხლტებოდათ და წამდაუწუმ ბორძიკობდნენ. ორი საათისთვის ჩვენ მხოლოდ ნახევარი აღმართი ავიარეთ. ჩემს შემოთ მოწმენდილი ცა იყო, ქვე-

* ერთი სულენის წინათ (1855 წ.) ქალაქ თბილისში გ. ვერდერევისის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ აღმანახში — „ზურნა“ მოთავსებულია ქართველი კლასიკოსის რაფიელ ერისთავის მოთხრობა „ბეჩაი“ (ფშავერა ამბავი), რომელსაც რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიუქცევია.

ეს მოთხრობა დღემდე ქართულად გამოქვეყნებული არ ყოფილა.

მთ კი — სქელი ნისლი, საიდანაც ჩვენები თანდათან ჩნდებოდნენ. აქ უნდა შევჩერებულიყავით, რათა დაქანცული ცხენები კვლავ დაგვესვენებინა, მაგრამ გრილმა ნიავმა დაუბერა, და ისევე გზას გავუდევით, ბაწრულად, მეტად ძნელი და ვიწრო ბილიკით. მზე დასავლეთისკენ იხრებოდა, ირიბ, ელვარე სხივებს სტყორცნიდა თოვლიან ქედებს, რომლებიც ისე ბზინავდნენ, კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. თოვლის მტვერი ნაირფერად ელავდა.

აი, მზე უკვე ოსეთის მთებს მოეფარა და ჰორიზონტი მშვენიერი მეწამული ფერით შეღება. დაბოლოს, ჩვენ მივალწიეთ ჭიჩოს თავის მწვერვალს, საიდანაც ვიხილე ბუნების იშვიათი სურათი; უამრავი მთა, ეს იყო თუშ-ფშავე-ხევისურეთი, იგი ნისლით შემოსილიყო. სქელ ორთქლში მოჩანდა მხოლოდ მთათა კორტოხები ან წვერობები, რომლებსაც ჰორიზონტი დაჰყრდნობოდა. დასავლეთით ზოგიერთ მთაზე ისვენებდა ჩამავალი მზის სხივებით ათასფერად შეღებილი ფანტასტიკური მოყვანილობის ღრუბლები. აღმოსავლეთით ძლივს მოჩანდა კახეთის ველის ნაწილი, მაგრამ სოფლების გარჩევა უკვე შეუძლებელი იყო. იქ, სადაც მე ვიდექი, მწვერვალის ორივე მხარეს, შავად პირი დაელო საშინელ უფსკრულებს, მათ ფსკერი თითქოს არა ჰქონდათ. სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მთის ნიაღვრათა ოდნავ გასავონი ჩხრიალი და შორეული ყაშყაში არწივებისა, რომლებიც ერთმანეთს ბანს აძლევენ. სურათის დასაგვირგვინებლად თოვლიანი გოლიათების მხრიდან მოწითალო მთვარე ამოვიდა, იგი თანდათან სულ უფრო და უფრო ნათლდებოდა, ქედის მოპირდაპირე მხარეს შე-

ქი მოპოვინა ხომარას, მუქუს, გოგოლა-ურთას, უძილაურთას და სხვა სოფლების შავ კოშკებს.

დიდებული სურათი იყო!

ჩემმა მსლებელმა კახაკმა ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიხახა.

— რა, ბოჩკოვ, ლოცულობ? — შევეკითხე.

— აი, თქვენო კეთილშობილებავ, მე პირველად ხომ არ მიხდება ფშავლებისკენ მგზავრობა, მაგრამ, როგორც კი ამ მთასთან მივალ, ვეღარ ვითმენ, რომ პირჯვარი არ გადავიწერო...

მართლაც, სპეტაკი თოვლით შემოქობვილი უზარმაზარი მთების ხილვა, პირქუში უფსკრულები, რომლებსაც თვალი ვერ სწვდება, ჩანჩქერთა ხმაური და ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო იყო, ისეთ განწყობილებას გვიქმნიდა, რომ თვითებულმა ჩვენთაგანმა, ბუნების მშვენიერებით და დიდებით გაოცებულმა, მის შემოქმედს ლოცვით მიმართა!

აქ ჩვენ დაბლა დაშვება დავიწყეთ. ბოჩკოვი ცოტა დანაღვლიანდა და მთელი გზა მდუმარედ მოდიოდა. სამაგიეროდ, ახმაურებულ არაგვს რომ მიუახლოვდა, ჩემი კახაკი ამღერდა, გაისმა:

„Ты, мой Дон, тихий Дон!“

ერთ-ერთმა იასაულმაც ხმამალა რომელიღაც ადგილობრივი სიმღერა წამოიწყო.

ამასობაში მახლობლად პატარა ცეცხლი გამოკრთა, მას მოპყვა მეორე, და ძაღლების ყეფამ გვაუწყა, რომ ჩვენ მგზავრობის მიზანთან — სოფელ ხომარასთან ახლოს ვიყავით. იქ მივედით დაქინძლური ცხენზე ჯდომივითა და ფეხით სიარულით. ღამისსაათვე ადგილას მოვიდნენ ფშავლები, ჩვენი პატარისცემისათვის არაფერს არ იშურებდნენ, უზარმაზარი ყოჩიცი მოიყვანეს. ეს ყოჩი, სხვათა შორის, თვითონ შეჭამეს. მე ჰამის თავი აღარ მქონდა: ჩემი ცოდვილი სხეული დასვენებას ითხოვდა; მაინც არასგზით არ დავეთანხმე ფშაველ მასპინძელთა წინადადებას, რომ დასაძინებლად მათ ბინაზე წაესულიყავი: ხორების, ძროხებისა და ცხენების საზოგად-

ობა სრულიად არ მიზიდავდა. იასაულს ვუბრძანე, ჩემთვის ხის ქვეშ წაესული დაეფინა; ნაბადი წაჭინებოდა და დევგმირივით მაგრად ჩამეძინა.

როგორც კი ინათა, გავიღვიძე. საუცხოო დილა იყო; სინუმეს მერცხლების ქიკიკი და არაგვის ჩხრილი არღვევდა, ზოგჯერ ძროხებისა და ცხვრების ბლავილი ისმოდა. ჩემი კახაკი მახლობლად იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. ჩაი მოვაგონე.

— ჩაი, თქვენო კეთილშობილებავ, მზად არის, მხოლოდ იასაული არა ჩანს, — ფეხზე წამოდგომით მიპასუხა კახაკმა.

— რად მინდა იასაული, მე ჩაისა ვთხოვ!

— თქვენ ხომ რძის შოვნა მიბრძანეთ... იასაული წავიდა, იგი ამბობს: არ გვაძლევენო... ხელახლა გავგზავნე.

— რატომ არ გვაძლევენ?

— ეშმაკმა იცის მათი თავი! ამბობენ, რძე არა გვაქვსო.

— როგორ არა აქვთ! ფული გაატანე?

— ფული გავატანე, რძე კი მაინც არ მოგვეცეს... ცოტა გვექონდა, ბავშვებმა შეხვრიბესო.

— ეს, ჩემო ძეგო, ფუჭი სიტყვებია, იშოვნე, როგორც გინდა. — ბოჩკოვმა არაფერი მიპასუხა და სოფელში წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა, თან ძროხა მოიყვანა. ძროხასთან ერთად ვილაღ დაჩაჩანაკებული დედაბერი მოლოდინდა.

— გამარჯობა! — მითხრა მან.

ცვდილობდი ადგილობრივ მცხოვრებელთა ლაპარაკისათვის მიმებრძა და დედაბერს ვუპასუხე:

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

შემდეგ ბოჩკოვს ვუსაყვედურე რძის მაგიერად მთელი ძროხა რად მოიყვანეთქი.

— აბა, რა შექნა, თქვენო კეთილშობილებავ, როდესაც რძეს არ იძლევიან, — მიპასუხა, — ამიტომ მოვიყვანე ძროხა. ინებეთ ნახვა: რძით სავსე ცურა ზედ ასკდება.

და ბოჩკოვი საკუთარი ხელებით დაიწყებდა ძროხის წველას, ჩემს სიტყვებს რომ არ შეეჩერებინა.

— რძე აღარ მინდა. სჯობს ნაცვალს დაუძახო.

— სოფელში ერთი ძე-ხორციელიც არ მოიპოება, თქვენო კეთილშობილებავ!

— იასაულები სადღა არიან?

— ეშმაკმა იცის მათი თავი! მოთმინებას ვკარგავდი.

— გაუშვი ეს ძროხა. იასაულებთან ერთად ახლომასლო მდებარე სოფლებში წადი და ყველა ნაცვალი მომიყვანე. ნაცვალთა მოსვლამდე მოწყენილობისაგან გული მეღეოდა. ხომარას ლამაზი ადგილმდებარეობაც, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობდი, აღარ მართობდა, პირიქით, ეს მთები თითქმის გულზე მაწვებოდნენ, ყოველივე ამასთან ერთად, არ ვიცი — რისთვის, ჩემს წინ იდგა ფშაველი დედაბერი. თავაზიანად შევეკითხე:

— რა გინდა, დედილო?

— შენი კარგად ყოფნა! — მიპასუხა. ეს ქათინაური ადგილობრივ მცხოვრებ მკვიდრთა ჩვეულებრივი ფრაზაა, და იგი შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „ვისურვებ კარგად ყოფნას“.

— გმადლობთ, დედილო!.. მაგრამ თქვენ, მგონი, ნაკლებად ზრუნავთ ჩემი კარგად ყოფნისათვის: აქ თქვენთან რძესაც კი ვერ იშოვნის კაცი. პურზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— რძე აქ საიდან უნდა გვქონდეს? შეხედეთ ამ მთებს!

და მიჩვენა შავი ტიტველი კლდეები.

— შენ რატომ იმ მთას მიჩვენებ და არა ამ მთასა. — და ვუჩვენე მშვენიერი ბალახით დაფარული მთა.

— ეს ხომ, ჩემო შვილო, სათიბია, — მიპასუხა, — ბალახის ახლანდელი მოუსავლიანობის დროს უსათიბოდ რალა გვეშველებოდა, გასული წლის თივა რომ არ შემოგვენახა, გაზაფხულისთვის პირუტყვი არ შეგვრჩებოდა. ზამთარში ბალახი არ ითიბება, საყიდლადაც არსად იშოვება, ან რითი ვიყიდოთ. მაშინ ხომ დაიღუპებოდა გულთამზის ძროხა!..

დედაბრის მსჯელობა საფუძველს არ იყო მოკლებული.

— კარგი, პატივცემული გულთამზე, ეუთხარო, — თქვენები რატომ არ მუშაობენ?

— არავინ მყავს, ჩემო შვილო!.. ქმარი დამიბერდა, ვაჟი კი ჯეელია. თუმცა ყოჩაღია, მაგრამ მუშაობა ეზარება... სულ დათევს დასდევს.

— აბა, რა დროს ნადირობაა, როდესაც მუშაობაა საჭირო!.. ჩემთვის მოგებარებიან ეს ვაჟაკი...

— შენ რად გინდა?.. — მკითხა გაკვირვებულმა გულთამზემ.

— იასაულად ავიყვანდი. სამსახურს მიეჩვევა, ფულსაც მიიღებს.

— ბევრ ფულს მისცემ?

— იასაულს წილწადში ოთხმოცი მანეთი აქვს ჯამაგარი, ჩემ მხრიდან კიდევ ოც მანეთს მივემატებ.

— აიყვანე, ღვთის გულისათვის! აიყვანე ჩემი შვილი იასაულად, მე კი რძეს, ერბოს... ყველაფერს, რაც გნებავს, გამოგიგზავნი... წინდებს მოგიქსოვ.

— გმადლობ! არა მჭირდება! ხედავ, კარგი დედაკაცი ხარ და მზადა ვარ, დაგეხმარო.

— ახლა წავალ, რძეს მოგიტან, — თქვა და წასასვლელად მიბრუნდა.

— არ მინდა, არ მინდა!.. უმჯობესია დაჯდე და რამეზე ვისაუბროთ... მარტო მოწყენილი ვარ.

მაგრამ ამ დროს ჩემმა დედაბერმა უეცრად აურზაური ასტეხა და საშინელი კივილი მორთო:

— ვიი ჩვენს თავს! თამარ მეფეც, შეგვიწყალო.

— რა მოგივიდა? — ვკითხე გულთამზეს მისი ამ უეცარი ცვლილებით გაკვირვებულმა.

— წადი აქედან, წადი! — ვილაცას უყვიროდა დედაბერი, მე კი პასუხს არ მაძლევდა. — წადი, გამიხარდი! ჩემს თვალს არ დაენახვო!

მხოლოდ ახლა შევნიშნე კაცი, რომელსაც გულთამზე მიმართავდა.

ეს იყო მაღალი ტანის მოხუცი, სულ ქალარა, წვერმოშვებული, უძულო, ფხ-

შეშველი, მკერდბანჯგელიანი. მოხუცის სიტყვებს ძლიერად ეხმარებოდა ფარავდა ნაფლეთები ძველი უსაპირო ტყაბუქისა, რომელზედაც თოკი ჰქონდა შემორტყმული.

— ვინ არის? — კვლავ ვკითხე გულთამზეს ცნობისმოყვარეობით შებურობილმა.

— წადი, შე ბეჩავო! გამეცალე... ძილები დაგებენ... ვაი, უბედურება მოგველის.

მოხუცი კაცი გულთამზის კვიცილზე შეჩერდა, ჩაფიქრდა და როგორღაც უაროდ გაეცინა, მერე მიბრუნდა და მახლობელ მთას აპყვა.

დღდაბერი დამშვიდდა, პირჯვარი გადაისახა და გვერდით მომიჯდა.

— ვინ არის ის მოხუცი კაცი, და რატომ გააგდე?

— ოჰ, ამ მოხუცმა ბევრი რამ ავიდაგმართა ჩვენცა და თავის თავსაც!

— რა ავიდაგმართათ? არ შეიძლება მიახლო?

— რად გინდა, ჩემო შვილო! ახლა რაღას უშველი! ამბის მოყოლას დიდი დრო დასჭირდება.

— მერე რა უჭირს! მიახმე, დედილო! ზომ სულ ერთია: ახლა ჩვენ საქმე არაფერი გვაქვს; შენ მიახმობ, მე კი მოგისმენ.

და გულთამზემ მიახმო გრძელი, მაგრამ არა დახლართული ამბავი, ჯერ ნათელი და სასიხარულო, როგორც მთის იდილია, მერე კი ისეთი პირქუში და სამწუხარო დრამა, ხშირად რომ მეორდება კავკასიის მთებში, იქ მცხოვრებ ადამიანთა თავშეუქცევებელ ვნებათა და კიდევ უფრო ცრურწმენათა ზეგავლენის ქაშო, რაც მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

დღდაბრის ნაამბობი გამოვიყენე მასალად ამ მოთხრობისათვის... გთხოვთ მომისმინოთ.

იენისი იწურებოდა. მზეს თავისი გზის ორი მესამედი უკვე გაეცლო. ფშავის კლდოვანი მთები გავარეარებული იყო და ახურებდა ჰაერს, რომელიც ზაფხულში ისედაც სულის შემხუთავია.

მხოლოდ არაგვის ლურჯი ტალღები ავრცელებდა სივრცეს და გულში შექცეული საკრავად გვიზიდავდა. ახლთხელი სიყვარულების — გოგოლაურთას, უძილაურთას და შუაფხოს მიდამოები ცხვრის ფარებით მოფენილია. ბატენები ხტუნავენ და კენტრუშობენ; თხები ბუჩქებზე ცოცავენ; ერთგულ ნაგახებს ლაშპირი ბალახში ჩაურგავთ, სიცხეს ემალებიან და ღამის გუშავობით დაღლილი ისვენებენ. ხეობები ძილს მისცემია, გარშემო სამარისებური სიჩუმე მეფობს: ყველაფერი რაღაც დაღლილობისა და უძლურების სურათს წარმოადგენს. ერთ-ერთი ფარის მახლობლად, სახელდახელოდ ნაბდებისაგან გაკეთებული კარვის ქვეშ ორი მწყემსი ზის. ერთ მათგანს სახეზე ეტყობა, რომ რაღაც აწუხებს. ზის ჩაფიქრებული, მაგრამ ზოგჯერ ტუჩებზე იღუმალი ღიმილი გადაუვლის და შინაგანი თვითკმაყოფილებით შეთრთოლდება.

მეორე მწყემსი ფიქრობს, ჩემი ამხანაგი ასე რამ ჩააფიქრო, და ეკითხება:

— გამიგონე, ლაშქარავ! რა იქნა შენი ჩვეულებრივი მზიარულება? შენ, ალბათ, ცუდი სიზმარი ნახე?

— ჰო, ლომო, შენ მართალი ხარ! — უბასუხებს ლაშქარა... — აი, ორი დამე არ მიძინია, მე კი ასე მაგონია, რომ სიზმარში ვარ... მაგრამ ეს კიდევ არაფერია, — დაუმატა მან, — ოლონდ ის შევასრულო, რაც დღეს განვიზრახე!

— რა განიზრახე?

— ამას მაშინ გაიგებ, როცა გეტყვი, მანამდე კი საჭირო არ არის, რომ იცოდე.

— შენი თქმა არც მინდა... წინასწარ ვიცი შენი განზრახვა: ალბათ გინდა სათარეშოდ მიეჭრა მოუსვენარ ქისტებს, რომელთა მათგანის საიქიოს გასამგზავრებლად...

— ლაშქარის ჯვარის ხატი გამიწყურეს, — სიტყვა შეაწყვეტინა ლაშქარამ, — თუ შენს ნათქვამში სიმართლის ნატამალი იყოს.

— ან, — განაგრძობდა ლომი, — ხომარას მახლობლად გინდა იხეტილო... მაგრამ იცოდე, რომ ამ სოფელში ძაღლები იკბინებიან, მერცხალას კი, არა ერთი და ორი ქოფაკი დარაჯობს.

— რაც გინდა სთქვი, საღამომდე მაინც ვერაფერს ვაიგებ. მანამდე მე შინ შევირბენ, შენ კი აქ დამიცადე და თოფს ტალი დაუპირე.

ესა თქვა ლაშქარამ და ადგა, სწრაფი ნახიჯით მთიდან შუაფხოსაკენ დაეშვა.

— უცნაურია! — გაიფიქრა ლომმა, როდესაც ლაშქარა წავიდა, — ამ კაცს გელარ ვცნობ. რაღაც ძალიან ადარდებს, ძალიან ადარდებს! რაღაც აწუხებს. იყო დრო, თავისი ყბედობით მოსვენებას არ მაძლევდა, ახლა კი... არა, ჩანს, მაგენ სულს შეუპყრია!

ლომი მართალი იყო ასე ეფიქრა იმიტომ, რომ ლაშქარა ერთი ხანია შესამჩნევად შეიცვალა, წინათ ის შრომის-მოყვარე იყო, — ახლა კი ფუქსავატი გახდა, გულისყურიანობა დაფანტულობით შეეცვალა, მზიარულებამ ადგილი მოწყენილობას დაუთმო. ამისდამიუხედავად, ლაშქარა უფროსებთან ძველებურად მოკრძალებული იყო და მისი უზადო ყოფა-ქცევა, რითაც ფშვეელი იშვიათად არის დაჯილდოებული, სამაგალითოდ ითვლებოდა. ლაშქარას დამახასიათებელი თვისებები იყო: პირდაპირობა და გულწრფელობა. შეიძლება მისთვის გესაყვედურათ ერთგვარი სიამაყე, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვებთან შედარებით უპირატესობაც ვააჩნდა. გარეგნობით ლამაზი იყო, ჰერკულესის ძალა ჰქონდა, კარგ მსროლელად და ცხენოსნად ითვლებოდა, ერთი სიტყვით, შემკობილი იყო ღირსებებით, რაც მთიელთა თემებში დიდი მოწონებით სარგებლობს და რითაც ლაშქარამ უფროსების ყურადღება მიიპყრო და ტოლების პატივისცემა დაიმსახურა. ლაშქარა უზად იყო ყოველთვის და ყოველი ადამიანისათვის სამსახური გაეწია, ლაშქარასათვის სხვებიც თავს გასწირავდნენ — ყველა ერთად და ცალ-ცალკე. და მერე ვის არ უყვარდა ეს ლამაზი ვაჟკაცი.

ლაშქარა? შუაფხოელი ქალიშვილები? ამოდ კი არ მიდიოდნენ მსხინე ლაშქარას დედასთან, რათა დამხრომარდნენ ძროხა მოეწველათ, კარაქი შეედღებათ და მატყლი დაეჩეჩათ. თუმცა ათი წლის წინათ არც ერთი შუაფხოელი ქალიშვილი არ შეისმენდა იმავე დედაბრის თხოვნას, რომ მას წისკვილზე დასაფქვავე ხორბლის წაღებაში დახმარებოდა. მაგრამ ლაშქარა, მგონი, ცოტა ყურადღებას აქცევდა ამ კარგსა და მზრუნველ მეზობელ ქალიშვილებს... მისი ყურადღება სულ სხვა ადგილს მიეჯაჭვა; მისი ფიქრები შორს დაჰქროდა.

აი, საქმე როგორ იყო:

ცქრიალა ქალიშვილი მერცხალა, ეს მშვენიერი და კეთილი მთიელი გოგონა, თავდავიწყებით უყვარდა ლაშქარას.

ამ სიყვარულის ამბავი გრძელი და რთული არ არის, მაგრამ მისი მოყოლა საჭიროა, რათა რამდენადმე გავარკვიოთ წინ მოთხრობილი და მერმინდელ ამბავსაც შექი მოვფინოთ.

ლაშქარას დედა, სანდუა, ქისტების მიერ მოკლული ქმრის დაკარგვის შემდეგ მწუხარებასა და გაკირვებას განიცდიდა შუაფხოში, სადაც იგი თავის თხოთმეტი წლის შვილთან ერთად ცხოვრობდა. საკუთარი პური არ გააჩნდა, ფული კი მით უფრო არ ჰქონდა. მეზობლებმა იგი არ შეიკედლეს, არ უპატრონეს და დედაბერს მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ ეკათან ერთად კარდაკარ ევლო. მაგრამ აქ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა სანდუა გაკირვებისაგან. მათს სოფელში ცხენით ჩაიარა შემღებულმა ფშველმა, რომელმაც, დედაბრის მდგომარეობა რომ გაიგო, წინადადება მისცა, ლაშქარა მასთან მწყემსად მიეზარებინა, იმ წესის მიხედვით, რაც ფშველთა შორის არსებობს: რამდენიმე განსაზღვრული წლის შემდეგ მწყემსისათვის გამოეყო ფარიდან გარკვეული წილი. ამას გარდა, მოხუც ქალს შეჰპირდა უფასოდ რჩენას და საკუთარ ქოხს, სანდუას ღიბხანს არ უფიქრია, დათანხმდა გზად მიმავალი ფშველის წინადა-

დებას. მეორე დღესვე გაჰყიდა უკანასკნელი ძროხა, ერთადერთი ცხენი და თავისი ბარგი-ბარხანით ხომარას გაემგზავრა.

აქ სანდუას წყნარი ცხოვრება დაიწყო, შეილი ახალ საქმეს შეუდგა: მხარზე თოფგადაკიდებული და ხელში კომბლით ფარას მწყემსავდა.

ლაშქარა მხიარულობდა მაშინ, როდესაც ზოგჯერ რამდენიმე ფარა ერთმანეთს დაუახლოვდებოდა; ახალგაზრდა მწყემსები, ქალ-ვაჟნი, ერთად შეიკრიბებოდნენ, მღეროდნენ, სალამურს უკრავდნენ და ცეკვავდნენ, ან წრედ დაქუჩდებოდნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ მამა-პაპათა ლაშქრობასა და გმირობაზე, დევებზე, რომლებიც ოდესღაც მწყემს ქალებს იტაცებდნენ, ღონიერ დედაბერზე... ხდებოდა ხოლმე, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს წაიჩხუბებოდნენ და ისევ შერიგდებოდნენ; მერე ამას კვლავ ჩხუბი მოჰყვებოდა, მაგრამ ლაშქარა არავისთან ისე კარგად არ იყო შეთვისებული, როგორც ერთ მწყემს გოგონასთან — მერცხალასთან.

ხდებოდა ხოლმე, რომ ამხანაგები ლაშქარას რამეში ბრალს დასდებდნენ, — მერცხალა მას გაამართლებდა; ლაშქარას წყენინებას მოისურვებდნენ — მერცხალა მას გამოექომაგებოდა. მათი ფარებიც ერთად სძოვდნენ, სოფელში ერთად ბრუნდებოდნენ. თუმცა ლაშქარას ასეთი მცველი ჰყავდა, ბავშვობისას იგი ტოლებს მაინც არ უყვარდათ, ის მათში შურს იწვევდა, რადგანაც ლაშქარა მათზე უკეთესად ისროდა მამისეული თოფით ნიშანში. ვერც ერთი ამხანაგი ჭიდაობაში მას ვერ სჯობნიდა, ვერავინ უსწრებდა რბენაში; როცა ახალგაზრდები მთიდან დაეშვებოდნენ. მოწინააღმდეგეს ლაშქარასავით ვერავინ ვერ იგერიებდა ხის ხმლით, ვერც თავს იცავდა დაწეული ფართით. ერთი სიტყვით, ლაშქარას ბევრი რამ ჰქონდა ისეთი, რაც ახალგაზრდა ამხანაგებში შურს იწვევდა და მალე როგორღაც მას ყველა ჩამოშორდა... მერცხალას კი ლაშქარა არ მიუტოვებია. მარჯვე ბიჭი

და გოგონა განუშორებლად ერთად იყვნენ. ბოლოს ისე შეეთვისნენ ერთმანეთს, რომ, თუ მერცხალა თავისი ცხვრებით საძოვარ მდელღოზე არ გამოვიდოდა, ეს დაშორება მათ ბავშვურ ასაკში ყველაზე უფრო საწყენი რამ იყო.

მიდიოდა დღეები და თვეები; გადავიდა წელიწადი, მეორე, მესამე და აი, დადგა დრო — ლაშქარას სამსახურის ვადა გაუთავდა, ძალაუნებურად უნდა დასრულებულიყო ლაშქარასა და მერცხალას უცოდველი შეხვედრები და საუბრები, რაც მათთვის ასე საყვარელი იყო. სოფელში მერცხალას უკვე გასათხოვარ ქალად თვლიდნენ, რადგან თხუთმეტი წელი შეუსრულდა, მამამ უთხრა მას: „მწყემსის დაქორავების შეძლება მე არა მაქვს, ცხვარს კი მერცხალას უკვე ვეღარ გავაყოლებ, იმიტომ რომ ჩემი უმანკო ბატონისათვის, ალბათ, მოაპოვება რომელიმე მგელი — მწყემსი!“ ამის შემდეგ მერცხალა თვითონ მამამისმა შესცვალა, და აი, თითქმის უკვე მთელი თვეა, რაც ცხვარი მოხუცის მეთვალყურეობით ძოვს. ამ ხნის განმავლობაში მოხუცმა ლაშქარა ახლოს გაიციწო და ზოგჯერ კიდევ ფიქრობდა, ლაშქარას მერცხალას მივითხოვდები, რომ მას ცოტა რამ ჰქონება მაინც გააჩნდესო.

მაისის დღია იყო. ანდაკის მთებიდან მზე ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო, ბორღოლას მთაზე კი ღრუბლები მიცოცავდა, ლაშქარას ცხვარი ძოვდა, თვითონ კი აბრეშუმისებურ ბალახზე იწვა, თითქოს გახვეული ღრუბლებში, საიდანაც არაფერი და არავინ ჩანდა. ბოლოს აღმოსავლეთი ოქროსფრად შეიღება, ღრუბლებმა მზეს მიაშურეს, გარშემო ყველაფერი განათდა და გაკვირვებულმა, გახარებულმა ლაშქარამ შორიახლო დაინახა... მერცხალა. წამოდგა და მის შესახვედრად გაიქცა, შორიდან ეძახოდა:

— გამარჯობა, მერცხალავ! გამარჯობა! სად დაიკარგე?

მაგრამ მერცხალას თითქოს ლაშქარას

მისალმება არ გაუგონია, თავისი ცისფერი თვალები მორცხვად დახარა და სიტყვა არ უთქვამს.

ლაშქარა გააკვირვა მერცხალას გულცივობამ. აი, უკვე ერთი თვე იქნება, რაც ქალიშვილი მდღელოზე არ გამოსულა. ახლაც მამის ავადმყოფობის გამო მოვიდა. ამ ხნის განმავლობაში მერცხალა ქალთა წრეში იყო (წინათ კი ასეთი შემთხვევა არ ჰქონია), და აქ ქალებმა, განსაკუთრებით დედაბრებმა, ღმერთმა უწყის, მერცხალას რა რჩევადარიგება არ მისცეს! ერთ წუთს ლაშქარა და მერცხალა დამუნჯებულნი იდგნენ. უცრად მათი თვალები ერთმანეთს შეხედნენ: ლაშქარა შეერთა, მერცხალა გაწითლდა... ახალგაზრდათა დედა გულებს რაღაც ახალი გრძნობა შეეხო, და რამდენიმე წუთს ისინი თავდავიწყებით გარინდნენ... დუმილი ლაშქარამ დაარღვია:

— რა იყო, მერცხალავ, რატომ არ მიპასუხებ?... მეგობრებს ასე არა ხვდებიან!

— გამარჯობა, ლაშქარავ! — წარმოთქვა მან ჩუმად, თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით მალლა აიხედა. — წელან მე... ვერ გიცანი.

— ვერ მიცანი?! განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს დაეშორდით?... შეიძლება გაქვს რაიმე მიზეზი, რომ არ მიცნო?... იქნებ გძულვარ?

— ოჰ, არა! თამარ მეფის ხატსა ვფიცავ! — წარმოთქვა მერცხალამ გატაცებით.

— ან, — განაგრძობდა ლაშქარა, — იქნება დაგიშალეს ჩემთან ნაცნობობა?

— არა, არა! — უპასუხა სხაპასხუპით მერცხალამ. — მე აკრძალული მაქვს ფარას ვაკევე და დღეს მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ სანწყალი მამაჩემი ავად გახდა.

— ოჰ! შენ ავიკრძალეს ფარის მწყემსსა! გასაგებია!..

ლაშქარა ოდნავ ჩაფიქრდა და მერე წარმოთქვა:

— მომისმინე, მერცხალავ! მე ბავშვობაში ვარ და ჩემი მოტყუებას ვერ ვხედავ... — მერე-და ვინ გატყუებენ?..

— მალროვე, გენაცვალე, დამამთვრებინე, შენ გთვლიან ქალიშვილად, რომლის გათხოვების დრო მოვიდა. ჰო, უნდა ვთქვა, არც შენა ხარ ბავშვი... ჩვენში, ფშაველთა შორის კი ის ითვლება ვაკვაცად, ვინც თავის საბედლოს მოიტაცებს, მამაშენი ამიტომ შიშობს, რომ ვინმემ ფეხმალ ცხენზე არ შეგსვას და არ გაგაქროლოს.

— მაშ ეს კი რისთვისა მაქვს? — წამოიძახა მერცხალამ და ქარქაშიდან პატარა ხანჯალი ამოაეღვა, ლაშქარას თვალწინ დაატრიალა.

— შენს ხანჯალს შეუშინდებიან?!

— ვინ გაბედავს ჩემს მოტაცებას?

— ვინც მოიხურავებს... ეს რომ მე ჩამეღინა... რას იტყოდი?

— რას ვიტყოდი?... — ღიმილით შეესიტყვა მერცხალა, — ჰო, შენს წინააღმდეგ იარაღი არა მაქვს! — და თავისი დიდრონი თვალები ლაშქარას მიაპყრო. ლაშქარასთვის ამჯერად არც ერთი იარაღი არ იქნებოდა მერცხალას თვალებზე უფრო საშიში.

მცირე დუმილის შემდეგ მერცხალამ ჰკითხა:

— ეს ხუმრობით სიტყვი?

— ჰო, ხუმრობით, — უპასუხა ლაშქარამ, — მაგრამ აი რას გეტყვი ხუმრობის გაერზე. ამდენ ხანს ერთმანეთს ვხვდებოდით, ვთამაშობდით, ვცელქობდით, ბავშვურ ცხოვრებას ვატარებდით და მიგეჩვიე, როგორც ჩვენი ბატონები ერთმანეთს მიეჩვივიან ხოლმე; მიყვარდი, როგორც დამას უყვარს ერთმანეთი. თუ დღე გამოერეოდა, რომ ვერ გნახავდი, მოვიწყენდი. მაგრამ აი უკვე მთელი თვეა, არ გამოჩენილხარ, და აქ კი სევდამ ხელი დამრია!.. პირველად ვიგრძენი შენთან დაშორების მთელი სიმძიმე. დღეს კი, როდესაც კვლავ შეხვდებით ერთმანეთს, კინალამ ავტირდი... ტირილი კი არ მინდოდა, არამედ რაღაც გულს მიღლეებდა, ვერ მიმხვდარივარ — ეს შიშია თუ სიხარული... თვითონ არ

ვიცი, ეს რა არის!.. აი რა, მერცხალავ, მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ!

ლაშქარას ყოველი სიტყვა თითქოს მერცხალას ფიქრებისა და გრძნობების განმეორება იყო, ყოველი მისი სიტყვა ხანჯლის წვერივით ჩხვლეტდა მის გულს, მაგრამ ეს ჩხვლეტა სასიამოვნო იყო!

თუმცა მერცხალა ლაშქარასთან დაახლოებული იყო, მაგრამ მისმა უეცარმა სიყვარულის ახსნამ ისეთ საგონებელში ჩააგდო, პასუხის გაცემა ვერ მოახერხა, გაბრუნებული იდგა. მაშინ ლაშქარა მერცხალას მიუახლოვდა, ხელზე ხელი მოჰკიდა, წინანდელი სიტყვები გაიმეორა და დაუმატა:

— სთქვი რამე, მერცხალავ! წმინდა გიორგის გაფიცებ, მითხარი: გიყვარვარ?.. თუ არა, აქაურობას მაინც გავეცლები, თქვენი სოფლიდან წავალ შორს, რომ...
— მაგრამ ლაშქარამ წინადადება ვერ დაამთავრა, იქნებ არ სურდა ეთქვა, რაც ენაზე უტრიალებდა.

— ლაშქარავ! — წამოიძახა გულაჩუყებულმა მერცხალამ, — ლაშქარავ, დამივიწყე!

ლაშქარამ მწუხარებით გაუშვა ხელეზი მერცხალას ხელს. მწყემსი ქალის სიტყვები ისე გაიგო, რომ მისი გული სხვა ვაჟს ეკუთვნოდა.

— ლაშქარავ!.. — ისევ თქვა ცრემლმორეულმა მერცხალამ, — მე უბედური ვარ!..

აქ კი ლაშქარამ ვედრარაფერი ვერ გაიგო... შეშფოთებულმა ჰკითხა მერცხალას:

— რა დაგემართა, ჩემო კარგო? რა უბედურებაზე ლაპარაკობ?

— ჩემი გათხოვება უნდათ, — ძლივს გასაგონად ჩილაპარაკა.

ამ სიტყვებმა ლაშქარა ერთსა და იმავე დროს საგონებელში ჩააგდო და კიდევ გაახარა: დარწმუნდა, რომ მერცხალას გრძნობის გაგებაში შემეცდარიყო.

— მაშ შენ არავინ გიყვარს?

— არავინ, ჯვარის ხატს ვფიცავ. არავინ, შენს გარდა, ლაშქარავ!.. მე ვერა-

სოდეს ვერ გავბედავდი, ჩემს სიყვარულზე რამე მეთქვა შენთვის, მაგრამ რადგან შენ პირველმა მითხარი ამის შესახებ მე...

ლაშქარამ მერცხალა გულში ჩაიკრა და მშვენიერი მთიელი ქალიშვილის ტუჩებზე აღბეჭდა ერთი იმ კოცნათაგანი, რომელსაც დიდხანს, დიდხანს ვერ ივიწყებენ.

რამდენიმე წუთით შეყვარებულთათვის გარშემო ყველაფერი გაქრა; ამქვეყნად ყველაფერი დაივიწყეს, ისიც, კი, რომ ვინმე მიმავალ და კადნიერ დაამიანს შეეძლო მათთვის ეთვალთვალა და ამ პირველი, უმანკო თავდავიწყების მოწმე გამხდარიყო და ამაში ცუდი რამ დაენახა.

ბოლოს გონს მოსულმა ლაშქარამ ჰკითხა მერცხალას:

— მაშ გათხოვებას გიპირებენ...

— ვაი ჩემს თავს, ეს მართალია!

— ვინ გათხრა?

— ჩვენმა მეზობელმა გულთამაზემ. მას ყოველთვის ვუყვარდი... და აი, გუშინ ჩვენთან მოვიდა და მითხრა... მთელი ღამე არ მეძინა...

— ვის უნდა მიგათხოვონ, არ იცი?

— ჩვენი მამასახლისის ვაჟს, უშიმარს.

— უშიმარს?.. იმ ლაჩარს?.. ლოთსა?.. მას, ვინც ერთხელ კიდევ დასაჯეს?

— ჰო, — უპასუხა სევდიანად მერცხალამ.

— არა, შეუძლებელია! მამაშენი ჯერ არ შეშლილა, რომ ასეთ არამზადს მიგათხოვოს.

— მამას ოცდაათ ძროხას შეპირდნენ!.. ლაშქარავ, ამ უბედურებისაგან დამიხსენ, თორემ თავს მოვიკლავ!.. თავს მოვიკლავ, დედაჩემის საფლავს ვფიცავ, და ცოდვა შენ დაგედება! აი, დედა რომ ცოცხალი მყავდეს, ჩემს გაუბედურებას არ ინდობებდა.

— გულს ნუ გაიტებს! დღეს მივიღვარ მამაშენთან და საქმით დავემტკიცებ, რომ შენს თავს, ჩემს მერცხალას, ვერავინ წამართმევს!



— მაგრამ შენ მაშინვე ურვათი უნდა ვადაუხადო; რით ვადაუხადი, როცა არაფერი გაბადია?

— როგორ თუ არაფერი? — უბასუხა თითქმის ნაწყენმა ლაშქარამ. — დღეს ვათავდა ჩემი მწყემსობის ვადა და დღესვე ვთხოვ პატრონს, გამომიყოს ფარიდან ჩემი კუთვნილი ცხვარი, მე შემხედება სულ ცოტა, ორასი სული. აი გადასახადი შენთვის, ჩემო ძვირფასო.

— ჩვენ რითილა ვიცხოვრებთ? — ჰკითხა ისევ მერცხალამ.

— ვიმუშავებ, მამიშენის ფარას მოვუვლი, მასთან ვიცხოვრებ: იგი ხომ არ გამაგდებს!

— რასაკვირველია, არ გაგაგდებს, მაგრამ შენ მაინც შენი უნდა გქონდეს: ღმერთმა უწყის, რა მოხდება.

— მერე, კიდევ დავეჭირავები სხვას, მეორე ოთხ წელიწადს, და მაშინ ყველაფერი საკუთარი გვექნება.

— ოჰ, რა დიდხანს უნდა ვიცადოთ!..

— ნუ დარდობ, მერცხალავ! შენთვის და შენთან ერთად — ყველაფერი უხვად მექნება. დავიჭერ კვერნებს, მათ ტყავში ფულს მომცემენ, ფულით პურს ვიყიდ. ჯიხვისა და ირმის ხორცს ისეთი ადგილებიდან მოგიტან, სადაც არწივებიც კი საკვებს ვერ შოულობენ. თაფლიც არ არის საყიდელი: ტყეებში ბევრიც ფუტკარია, პო, ჩემო ფუტკარო! შენ მხოლოდ გაყვარდე, და ღმერთი შეგვეწევა, ყველაფერს მოვაგვარებ.

იმევე საღამოს ლაშქარა მერცხალას მამასთან იყო და საქმე თავის სასარგებლოდ მოაგვარა. მეორე დღეს უკვე მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ლაშქარა მშვენიერ მერცხალას ირთავს. მერცხალას სიხარულისაგან თავბრუ ეხვეოდა და მორცხვად, მაგრამ ღიმილით, ისმენდა დობილთა მილოცვებს.

ლაშქარას და მერცხალას აღარაფერი აღარდებდათ, მათ ბედნიერებას აღარაფერი არ დაარღვევდა, რომ ერთი ამბავი არ მომხდარიყო. ამ ამბავმა ლაშქარას ქორწინებაზე თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ მაინც დიდი გავლენა იქონია.

აი რა მოხდა:

ორი ფშაველი ერთმანეთს წაეჩხუბა; საქმე, რასაკვირველია, მხაჯრებს შორის მივიდა, და ერთმა მათგანმა მეორე ნოკლა. ასეთი შემთხვევა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა მთიელთა ყოფაცხოვრებაში, განსაკუთრებით ფშაველთა შორის, მაგრამ მდგომარეობა გაართულა იმ გარემოებამ, რომ ამ ხალხში სისხლის აღების მხეცური ჩვეულება ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. ამ შემთხვევაში კი მოკლული და მკვლელი სხვადასხვა თემს ეკუთვნოდნენ. მოკლული გაბიდაორთ თემიდან იყო, მკვლელი კი — ქისტაურთ თემიდან, და ლაშქარა ერთ თემს ეკუთვნოდა, მერცხალა კი მეორეს. ცხადი იყო, რომ ამ შეყვარებულთა ქორწინება აუცილებლად უნდა ჩაშლილიყო.

ამ მკვლელობის შესახებ ხოშარაში გაიგეს. თემის საბჭო შეიკრიბა და მერცხალას მამამ ამხანაგებს ასეთი სიტყვით მიმართა:

— გაბიდაურებო! ჩვენი თემი და გვარი ჩვენი ძმის სისხლით შეიღება და ჩირქი უნდა ჩამოვირეცხოთ: შური უნდა ვიძიოთ! ვიცი, ქისტაურის თემი ამბყია და ამიტომ ნებაყოფლობით არ მოისურვებს სისხლის გადახდას. მაგრამ მე აგრეთვე ვიცი, რომ, ჩვენი ჩვეულების მიხედვით, შეიძლება მოვკლათ ვინმე მათ თემიდან და მაშინ ჩვენ სისხლი აღებული გვექნება. სისხლი სისხლისა წილ! ეს ასე მოხდება, შორს არ გადავდებთ, დღესვე... მე მსხვერპლად მომაქვს ჩემი სასიძო ლაშქარა! ის ქისტაურთა თემიდან არი.

მოხუცმა დაამთავრა და ყველამ ერთხმად დაიძახა:

— სისხლი სისხლისა წილ! სიკვდილი ლაშქარას! მაგრამ ლაშქარა გააფრთხილეს, რომ განსაცდელი მოელოდა და მან, დედასთან ერთად, მალულად, ღამით თავისი ცხვარი სასწრაფოდ წინ გაიარეკა და თავის სოფელს შუაფხოს მიასურა.

შუაფხოველებს გაუხარდათ ლაშქარას მშვიდობით დაბრუნება. მაგრამ ლაშქ-

ქარას ეს სრულიადაც არ ახარებდა, მისი სიხარული ზომარაში დარჩა.

რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ლაშქარა შეაფხოში გადასახლდა. არც ამ სოფლის ლამაზი ადგილები, არც თანასოფელელთა მხიარული შეკრება მას არ იზიდავდა. თავისი ოცნებით სულ მერცხალასთან იმყოფებოდა. თუმცა ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ტირისისმა ორჯერ გაბედა მისვლა ზომარაში თუღის ლაისთან და კეთილი მოხუცა გულთამაზის დახმარებით ორჯერვე მოახერხა მერცხალას ნახვა, მასთან ლაბარაკით გული იჯერა. პავმანს საფრთხე და დაბრკოლებები სდევდა, მაგრამ ამით ლაშქარას მგზნებარე სიყვარული კი არ ცხრებოდა, არამედ უფრო ღვივდებოდა. ბოლოს ლაშქარამ გადაწყვიტა, რაც უნდა მოსვლოდა, ამ წამებისაგან მალე თავი დაეღწია, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა. მის ყურამდე არახელსაყრელი ამბავი აღწევდა. ლაშქარა ერთხელ კიდევ მივიდა მერცხალასთან. რომ დაბრუნდა, გეგმა დააწყო იმ საქმისათვის, რის თაობაზე ჩვენი მოთხოვნის დასაწყისში თავის ამხანაგს მწყემსს ლომს, ესაუბრებოდა.

ამ საუბრის შემდეგ ლაშქარამ საჩქაროდ შინ შეიბრუნა.

— გამარჯობა და მშვიდობით, დედილო, — უთხრა მან სანდუას, რომელიც ცეცხლთან თითისტარს უჯდა; კედლიდან თოფი და ხმალი ჩამოიღო, მხარზე ფარი მოიგდო და ქოხიდან გავიდა.

კეთილსა და მშვიდ მოხუც ქალს ჩვეულებად არ ჰქონდა შეილისთვის ეკითხა, სად ან რისთვის მიდიხარო. მაგრამ ამ ბოლო დროს შეილის სახეზე დარდსა და მღელვარებას ამჩნევდა, თანაც შენიშნა, რომ ლაშქარა საქოვრიდან აღრებრუნდებოდა, შინიდან ისე მიდიოდა, რომ წესიერად არც კი ისვენებდა, არც მისთვის მომზადებულ ხინკალს შეხედავდა. სანდუას ეს აწუხებდა, ამიტომ მიმავალ ლაშქარას მიამბა:

— სად მიხვალ, სად?.. ეს რას ნიშნავს? — მაგრამ, როგორც ჩვენ დავინ-

ხეთ, დედას შეილისაგან არავითარი კალსუხი არ მიუღია.

ერკოვესული

ამასობაში ლაშქარამ მთელს სოფელს დაირბინა, ამხანაგებს თავი მოუყარა, მწყემსს ლომთან მივიდა. ლომს გაუკვირდა, ლაშქარა რომ დაინახა ახალგაზრდა შეიარაღებული მხედრების თანხლებით და შეეიტყვა:

— განა მე წელან ვერ მიგიხვდი, რომ შენ ახალი თარეშისათვის ემზადებოდი?

— ლაბარაკის დრო არ არის, — უბასუხა ლაშქარამ, — სჯობს, თოფს ხელი მოჰკიდო, ცხენზე შეჯდ და გამოგვეყვროცა ყველაფერი მზად იყო, ლაშქარამ ამხანაგებს მიმართა:

— გზაში გიამბობთ, სად და რისთვის მიმავხვართ; მაგრამ გაფრთხილებთ, რომ საქმე სახუმრო არ იქნება. ახლა მხოლოდ ერთ რამესა ვთხოვთ: არ იმღეროთ, არ იხმაუროთ და ყველაფერში დამემორჩილეთ. მე თქვენი წინამძღოლი ვიქნები და სროლა არაფერს დამასწროს; როდესაც ჩემი სროლა გაიგონათ, თქვენც იმოქმედეთ, მაგრამ იმოქმედეთ ისე, რომ ქისტაურების სახელი არ შეარცხვინოთ!.. ახლა, ვაქცაებო, გამომყევით! — და ლაშქარა ცხენს მოახტა, მას მიჰყვა ოცამდე ჯავშანში* ჩამსხდარი ვაქცაი, ფრთხილად დაეშენენ მალალი მთიდან ბილიკზე, რომელიც არაგვის ნაპირს მიჰყვება.

დაბნელდა.

იმ მთის კალთაზე, რომელიც მდინარე არაგვის მათურ-ხევის ღელეს ამორებს, მიმოფანტულია ფშაველთა სოფელ ზომარას სიმაკვისაგან ნაშენი თვალწარმატავე კომპები. ადგილ-ადგილ ეს კომპები ერთმანეთს ებლაუტებიან; ზედ სოფლის თავზე დგას ოთხკუთხი, ორსართულიანი ქოხი, იმავე ქვევით ნაგები და ჩალით დახურული. ქოხზე დახრილია რამდენიმე ტყემლის ხე. გარედან ქოხი წარმოადგენს უფრო სიმავ-

* ფშაველები სალაშქროდ რომ მიდიან, შეიშინებენ ჯავშნით, ფოლადის სამკლავებითა და მუხარადით, შეიარაღდებიან კი თოფით, ხანკლით, ხმლითა და ფარით (ბეტრია).

რეს, საიდანაც ადვილად შეგიძლია ათასი თავდამსხმელი მოიგერიო, ვიდრე ადამიანის მუდმივ და მოხერხებულ საცხოვრებელ ბინას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახლს მხოლოდ ერთი კარი აქვს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ხვრელი, იქიდან გამოდის კერის პატრონის კვამლიცა და თვით პატრონიც. შედი ამ ხვრელში. როდესაც კვამლისაგან აცრემლებულ თვალებს ხელით მოიწმენდ და გარშემო მიმოიხედავ, თვალწინ წარმოგიდგება სუფთად დაგვილი ოთახი. ქოხის ყველაზე ბნელ კუთხეში ხბორები წვანან. კედელთან აწყვია ოჯახის მთელი ქურჭლეულობა, — რამდენიმე ქოთანია, ხის ჯამები და სხვადასხვა ზომის გეგები, აქვეა პატარა, მოუკალავი, მაგრამ სუფთად გარეცხილი ქვაბები; იქვე რძიანი ქვაბი ჯამზე ჰკიდია, ქოხის შუაეცხლზე, რომელსაც მოხუცი პატრონი მისჯდომია. კარის პირდაპირ, ქოხის სინათლიან ადგილას, ახალგაზრდა ფშაველი ქალი ზის და წინდებს ქსოვს. მთიელი ქალიშვილი თითქოს რაღაც ფიქრებს შეუპყრია, ქსოვს უგულოდ, სამუშაოს ხშირად თავს ანებებს და გარეთ გადის შესამოწმებლად, მზე მზლუნავს თუ არაო, და ქოხში ისევ ბრუნდება. ქსოვას ზანტად განაგრძობს, ან რა ქსოვის გული ექნება ქალიშვილს, რომელიც აუტანელ მოუთმენლობას მოუცავს. სადღესასწაულო ტანისამოსი ამოდ კი არ ჩაუცვამს. დასანანია, რომ ქალიშვილის ყელის იშვიათი სითეთრე საგულესა და ვერცხლის ელარუნა შიბს დაუფარავს, მაღალი შუბლი კი — ფერად მანდილს, საიდანაც წაბლის ფერი თმები ჩამოშლილა. ახალგაზრდა ფშაველი ქალიშვილის ვარდისფერი სახე და მწველი თვალები კი არაფრით არ არის დაფარული.

კერას მიმჯდარი მოხუცი ფშაველისათვის ჩვეულებრივი საქმით არის გართული, ჩიბუხს აბოლებს და ხშირად იპურკუება. უსიცოცხლო თვალები ცეცხლისთვის მიუპყრია, მაგრამ არაფერზე არ ფიქრობს. გამიზარდი, — ასე ეძახიან მოხუცს, — სულ ჭალარაა, მისი სახე ნაოკებს დაუფარავს. მის ასაკთან 2. „მთაბი“ № 5.

შედარებით უფრო მოხეტიალად გამოიყურება. ნაადრევმა დაქორწინებამ, შრომამ და ზრუნვამ მისი სრულიად გამოფიტეს. ცოლის დაქორწინებამ კი განსაკუთრებით მოტეხა, მხნეობა წაართვა. ეს უკანასკნელი მწუხარება თუმცა ცამეტი წლის წინათ განიცადა, მოხუცმა დღემდე გული ვერ მოიოხა, რადგან თავისი მეუღლე ძლიერ უყვარდა. კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ ცოლი არ შეურთავს, არც თავიდანვე ყოფილა ორცილიანი (რაც ფშაველთა შორის ხშირად ხდება), მით უმეტეს, რომ ორი წლის გოგონა დარჩა. თუმცა გამიზარდი დემეტოს ხშირად ევედრებოდა, რომ ვაჟი ეჩუქებინა, მაგრამ, ქალიშვილი რომ შეეძინა, მოხუცმა მშვიდად წარმოთქვა: „დღიბა შენ, უფალო! განა ქალიშვილიც ღეთის წყალობა არ არის?!“

მართლაც, განა ქალი ფშაველის საუკეთესო თანამემწე არ არის? განა ის არ ასრულებს ოჯახისა და მინდვრის ყველა სამუშაოს? მაგალითად, განა გამიზარდის ქალიშვილი, უკვე თორმეტი წლის ასაკიდან, მამის მარჯვენა ხელი არ იყო?

გამიზარდი, რომელმაც იცოდა და აფხსებდა ფშაველ ქალთა ამ ღირსებებს, არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო უკმაყოფილო ისეთი ქალიშვილით, რომელსაც ყველაფერი ემარჯებოდა, ამასთან ლამაზიც იყო.

— გამიგონე, მერცხალა! — მიმართა გამიზარდიმ ქალიშვილს, — რატომ მორთულხარ ახალი ტანისამოსით!.. მგონი, ჩვენთან სოფელში არც ქორწილია, არც რაიმე დღესასწაული.

— მართალია, მამაჩემო, მაგრამ ახალი ტანისამოსი იმიტომ ჩავიცვი, რომ ძველი სამოსი დღეს გავრეცხე.

მერცხალას ამჯერად სიმართლე არ უთქვამს და შეიძლება პირველად თავის სიცოცხლეში მშობელს ტყუილს ეუბნებოდა. მერცხალას ვერ გაეხედა მისათვის სიმართლე ეთქვა. საქმე ისაა, რომ გულმან ლაშქარა ინახლავს ერთმანეთს შეხვედნენ სოფელში, მერცხალას სრულიად შემთხვევით.



იცოდა ლაშქარას მოსვლის შესახებ. ორივე მეტად უკმაყოფილო იყო ერთმანეთით. და აი, გუშინ მათს შორის როგორი საუბარი გაიმართა:

— გამიგონე, მერცხალა! — ეუბნებოდა ლაშქარა, — მე აქ შენს სანახავად მოვედი. დღეს ჩვენს შორის ყველაფერი უნდა გათავდეს!.. მე ვიცოდი, რომ ზოგიერთი ქალი ეშმაკს მეგობრობს, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ შენც მათ რიცხვს ეკუთვნოდო.

ამ სიტყვების გაგონებაზე მერცხალას თვალები აენთო, სახეზე ფერი მოუვიდა და განრისხებულმა ღირსეულად უპასუხა:

— მე ვიცოდი, რომ მამაკაცები მოლალატენ არიან, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ შენისთანა მოლალატე არავინ ყოფილა.

— ეს პასუხი კი არ არის, არამედ საყვედური... მხოლოდ არ ვიცოდი, რას მისაყვედურებ?

— არ იცი?.. უსირცხვილო!.. თოფს რატომღა ატარებ?.. თავზე ლეჩაქი უნდა გეხუროს და წინდებს ქსოვდე!.. მატყუარავ! მომატყუე, მე, ობოლი... ჩემი გული დასკერ... შემოიყვარდი... შენ კი არა, არამედ სხვა ლაშქარა... შენ ის ლაშქარა აღარა ხარ... ის იყო მართალი, პატროსანი!.. შენ კი? შენ დასციენე ჩემს სიყვარულს და ახლა მე ყველა დამციენებს!.. ოჰ, დედაჩემო! * — და მერცხალა ატირდა.

— მომისმინე, ჩემო შურთხო!.. შენ ვერ მომატყუებ. — თქვა მწუხარედ ლაშქარამ...

— ვაი, ლაშარის ჯვარის ხატო!.. მე შენ გატყუებ? ღმერთი არა გწამს! შე უსირცხვილო! ცოლად სხვა შეირთე და ჩემთან მოდიხარ, რომ დამცინო!..

მერცხალას ამ უკანასკნელი სიტყვებით საგონებელში ჩაგვარდნილი ლაშქარამ თავის შეყვარებულს უთხრა:

— მე ცოლი შევირთე?! ვინაა, მერცხალა ასეთი ტყუილი ვინ განზრახს? გულთანაზე არ არის ისეთი ქალი, რომ ტყუილი თქვას.

აქ მერცხალა ისევ ცრემლად დაიღვრა.

— შარს ნუ მიგონებ, — უპასუხა ლაშქარამ. — ამით ვერ მომატყუებ, მაგრამ, თუ შენ გითხრეს, რომ ცოლს ვირთავ, ეს მართალია.

— მართალია?! — წამოიძახა მერცხალამ სასოწარკვეთილებით.

— მერე შენ რა გაწუხებს? რასაკვირველია, ცოლს შევირთავ!.. მხოლოდ ვის და როდის, ეს არ ვიცი.

— როგორ არ იცი?.. მაშ შენ ჯერ ცოლი არ შეგირთავს?... სხვისთვის სიტყვა არ მივიცია?

— რასაკვირველია, არა.

— დაიფიცე.

— ვფიცავ მამაჩემის საფლავს, რომ ცოლად შერთვის ფიცი არავისთვის არ მიმიცია!.. დავიფიცე, რომ ჩემი ერთგულება დაგიმტკიცო შენ. შენ არავის სიყვარულის ღირსი არა ხარ! შენ ხარ მოლალატე!.. თქვენი თემი ეძებდა ჩემს სისხლსა და მას შენ დაასწარი: შენ დაღიე ჩემი სისხლი. მშვიდობით და წყევლიმც იყავ თამარ მეფისაგან!..

აქ ლაშქარა მიბრუნდა, წასვლა დააპირა. მერცხალა მიხვდა, გულთანაზე მომატყუაო, ლაშქარას სიტყვებმა დაარწმუნეს, რომ მისი გული სხვა არავის არ ეკუთვნოდა, მუდარით დაილაპარაკა:

— მაპატიე, ლაშქარავ! მომატყუეს... მე ვფიქრობდი...

— მოგატყუეს? — სიტყვა შეაწყვეტინა და მკაცრად თქვა ლაშქარამ, — ძნელია მატყუარას მოტყუება!.. მშვიდობით!..

— დაიცადე, ლაშქარავ!.. ღვთის გულისათვის!..

ლაშქარა შეჩერდა.

— რა მოგატყუე? — ჰკითხა მერცხალამ, — რა, რა?.. მოთხარის!..

— თავი დამანებე, უნდა წავიდე!..

— ლაშქარავ, მე არაფერი დამიშავებია! დედაჩემის საფლავს ვფიცავ...

* ვახოტე მკითხველს ყურადღება მიაქციოს, რომ მოთხარისის სისაუბრო ნაწილი სრულიად მოგონილი არ არის იგი წარმოადგენს სწორსა და ზუსტ ანაბეჭდს ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვა-პასუხისა (ავტორი).

და მერცხალამ ლაშქარას ჩოხის კალთაში ხელი სტაცა.

— უსირცხვილო, გამეცალე!.. თავი დამანებე! — დიახა ლაშქარამ და მერცხალა ხელისკერით მოიშორა.

აქ მერცხალამ თავი ამაყად ასწია და უთხრა:

— აჰ, მაშ შენ არ გინდა ჩემს ფიცს ერწმუნო?! გამეცალე! უფსკრულში ჩაინთქე... მეჯავრები! უსირცხვილოდ მომატყუე და შენვე მიწოდებ მოლაღატეს?

— აბა, თქვენში რას ეძახიან ისეთ ქალებს, რომლებიც სიტყვას ერთს აღუკვენ, სხვაზე კი თხოვდებიან?..

— ვინ თხოვდება სხვაზე, უნამუსო!..

— ამის ჩამდენი შენს მეტი ვინ იქნება!

— მე?!

— დიახ.

— ცილს ვინა მწამებს?... ეს ვინ გითხრა?

— თქვენმა კეთილმა გულთამზემ.

— გულთამზემ?! ვინც მე მითხრა, რომ შენ სხვა შეირთე?!

— დიახ, მე ვთქვი, მე! — წამოიძახა გულთამზემ, რომელიც შეშინებულ და გაოცებულ შეყვარებულთა წინ გაჩნდა, თითქმის მიწიდან ამოძვრა.

ახლაგზრდები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, გულთამზეს ეკითხებოდნენ:

— შენ უთხარი მერცხალას?

— შენ უთხარი ლაშქარას?

— დიახ, მე გითხარით ორივეს, — უპასუხა მან. — მე გითხარით იმიტომ, რომ შეგეწყვიტათ ეს საშიში შეხვედრები, სანამ საგვარეულო სისხლის აღებას ბოლო არ მოეღებოდა.

— ოჰ, კეთილო გულთამზევ! — წარმოთქვა მერცხალამ.

— ახლა მივხვდი! — ჩაილაპარაკა ლაშქარამ.

— აი, ხომ ხედავთ, ბრიყვებო! — განაგრძობდა გულთამზე, — საკუთარი შეილებივით რომ არ მიყვარდეთ, თქვენი ბედი რომ არ მაწუხებდეს, შეყვარებულთა საქმეში ჩარევა, აბა, რა ჩემი საქმეა. მაგრამ ვფიქრობდი: ლაშქარას

და მერცხალას ერთმანეთი უყვართ, მათი შეხვედრა შეიძლება შეინიშნოს და ახლანდელ მდგომარეობაში საწყალი ობლები სისხლის აღების მსხვერპლნი გახდნენ-მეთქი. და აი, ეს პაემანები რომ ჩამეშალა, თქვენდა სასიკეთოდ მივმართე ხერხს, რომელიც კინალამ თქვენი განშორებისა და სასოწარკვეთილების მიზეზი არ შეიქნა... კარგია, რომ შემთხვევით თქვენს საუბარს ყური მოვკარი!

— ოჰ, კეთილო გულთამზევ! — თქვა მერცხალამ და მოხუცი ქალი გულში ჩაიკრა. — შენმა სიტყვებმა გული განმიკურნეს... კინალამ შევიშალე! ლაშქარას სიყვარულისა აღარ მიჯეროდა!..

მერცხალამ ლაშქარას მიმართა:

— გაიმეორე, ლაშქარავ, სიყვარულის სიტყვები... ჩემი ეპკები გამიფანტე!..

— შენ კიდევ არა გჯერა? — ჰკითხა მერცხალას ოდნავ ნაწყენმა ლაშქარამ.

გულთამზის სიტყვებმა მერცხალას ეპკებს საფუძველი გამოაცალა. მაგრამ მას, როგორც ბავშვს, სურდა მოესმინა დამარწმუნებელი, კიდევ უფრო დამამშვიდებელი სიტყვები.

— არა, ლაშქარავ, აღარ ვეპკობ, — უპასუხა მან, — მაგრამ ჩემი გული რომ დამშვიდდეს, რომ შემეძლოს შენი სიყვარულით ვიამაყო...

— როგორ? ჩემგან განა ფიცს ითხოვ?!

ზემოთ იყო ნათქვამი, რომ შეყვარებული მთიელი ქალის გული ლაშქარას სიყვარულში უკვე დაეკვდა. ამიტომ მერცხალამ უპასუხა:

— ჰო, ლაშქარავ, დაიფიცე, რომ არ მილაღატებ... თამარ მეფე დაიფიცე.

ლაშქარა ჩაფიქრდა, მაგრამ პასუხი არ დააგვიანა.

— მისმინე, მერცხალავ! — თქვა მან, — შენ ჩემგან ფიცს ითხოვ?... მაშინ მეც მოვიითხოვ შენგან ფიცს.

— დაიფიცე, მეც დავიფიცებ! — წარმოთქვა მერცხალამ.

ლაშქარამ დაიჩოქა, ქული მოიხადა, პირჯვარი გადაისახა და გატაცებით ჩაილაპარაკა:

— უფალო, ცისა და მიწის შემოქმედო!.. იყავ გულთამბილავი!.. ვეიცავ წმინდა გიორგის, თამარ მეფეს, კოპალას, დიდბატონსა და ანგელოზებს, რომ მიყვარს მერცხალა!* თუ მისთვის მიღალატია, ან ვლალატობ, ან ოდესმე ველალატებ, ვიქმნე შერისხული ლაშარის ჯვრის ხატის* მიერ!.. დაე, მტრის ტყვიამ გული გამიგმიროს. დაე, ბრძოლაში ხმალი გადამიტყდეს და თოფმა მიმტყუნოს; დაე, ქარიშხალმა მთებში მომისწროს და ზევამა ქვეშ ჩამიტანოს. დაე, ჩემმა ცხენმა ღრმა და სწრაფ მდინარეში წაიბორძიკოს; დაე, მამაჩემის საფლავი მზეცებმა გათხარონ; დაე, ქალთა ქორმა გამაშავოს!

აქ ლაშქარა წამოდგა, კმაყოფილმა მერცხალამ გაიღიმა, მუხლი მოიყარა და დაიწყო:

— მოგიწოდებთ თქვენ, ჩვენო წმინდა ხატებო... თუ მე ლაშქარას ვლალატობდი, მომკალით!.. თუ მას ვლალატობ, წყეულიმც ვიქნე მშობელი მამისაგან, დაე, ჩემი მომავალი შვილები საკუთარი კბილებით დაეგლიჯოს!.. დაე, ვიყო მოვალე — საიქიოს პასუხი მიეცე ლაშქარას და არ ვიქნე იქ ღირსი ჩემი დედამისი ხილვისა!

მერცხალა ადგა. ლაშქარა მიუახლოვდა, აკოცა და უთხრა:

— აბა, ახლა ხომ დამშვიდებული ხარ?

— დამშვიდებული ვარ, დამშვიდებული, — უპასუხა მთიელმა ქალმა და გაწითლდა.

— შენა?

— მე არა ვარ დამშვიდებული, — უპასუხა ლაშქარამ.

— რატომ? — ჰკითხა გაკვირებულმა მერცხალამ...

— იმიტომ, რომ ჩვენი შეხვედრები, როგორც გულთამბზე თქვა, საშიში ყოფილა; შენგან შორს ყოფნა ჩემთვის ყოველგვარ წამებზე უფრო აუტანელია

* კოპალა, დიდი-ბატონი და სხვ. — დეობებია, რომლებიც ფშველებს წმინდ.

* ხატი — ფშველები ამ სიტყვით ველის-სმობენ საეკრპეს, ან სამლოცველოს, სადაც მსხვერპლს სწირავენ (ავტორი).

და ყოველ სნეულებზე უფრო მტკიცე-ნეული.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — სწორედ არ ვიცი! — უპასუხა ლაშქარამ. — სასოწარკვეთილება მიპყრობს.

აქამდე გულთამბე ჩემად იყო, ხან ტურნებში ელიმებოდა, ხან მისი სახე სინანულს გამოხატავდა იმისდა მიხედვით. თუ ახალგაზრდების სიტყვები მასზე რა შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ ლაშქარას უყანასენელი პასუხის შემდეგ გულთამბემ მას ასე მიმართა:

— გამიგონე, ჩემო შვილო! ტირილი და წუწუნი ვაქაყაც არ შეშვენის, იმედის დაკარგვა კიდევ უფრო სასიტიცხვილოა. არის ერთი და ნამდვილი საშუალება: მოდი და ერთ ღამეს შეკანშილი ცხენით მერცხალა მოიტაცე... იგი ხომ ამის წინააღმდეგი არ არის? საქმეც ამით გათავდება!

— აბა, რას იტყვი ამანზე, მერცხალავ, — ჰკითხა ლაშქარამ ქალიშვილს.

— რას ვიტყვი? — უპასუხა მერცხალამ, — შენთან და შენთვის ყველაფერზე თანახმა ვარ.

აქ მათ გადაწყვიტეს, რომ ლაშქარა ზვალ საღამოს მოვიდოდა მერცხალას წასაყვანად. და ეს საღამო იყო სწორედ ის, რომელსაც სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი მერცხალა მოუთმენლად მოელოდა. მისმა მორთულობამ მოხუცი მამის ყურადღება მიიქცია.

— ჩემო შვილო, ახალ ტანისამოსს უნდა გაუფრთხილდე, — ისევ მიმართა გამიხარდიმ მერცხალას. — იგი ქორწილისათვის უნდა შეინახო.

— ჩემი ქორწილი აღარ იქნება, მამა-ჩემო, — უპასუხა ქალიშვილმა, — ჩემი ქორწილი საიქიოს იქნება... თუ ზედად არ მიწერია, რომ ლაშქარას გაეყვე, ჩემი ქორწილიც აღარ იქნება... სხვას არ გაეყვები.

— ლაშქარა ქისტაურების თემიდან არის, — უთხრა მოხუცმა. — ლაშქარა კარგი ბიჭია, მე იგი შემოყვარდა... დიოცადე, საგვარეულო საქმე გათავდება, მერე კი გაჰყევი ლაშქარას.

— მეც აქი ვიციდი, მამაჩემო...

მხოლოდ მერცხალა უედიდა არა დაუსრულებელ საგვარეულო საქმეთა დასასრულს, არამედ ლაშქარასთან დღევანდელ შეხედრას. მაგრამ ლაშქარა დანიშნულ დროზე არ მოდიოდა. დიდი ხანია უკვე შებინდდა, საღამოს ნაწილიც გაფრინდა; სოფელში ყველაფერი მიწყნარდა, ფხიზელი ძაღლების გარდა. ლაშქარა კი კვლავ არა ჩანდა. გამიხარდასაც კი მოსწყინდა ჩიბუხის წვეა და მოხუცს მხოლოდ ჩვეულებისამებრ ჰქონდა ჩიბუხი პირში გაჩრილი, მბეჭეტავ ცეცხლის პირას იჯდა, ნახევრად თვალდახუჭული. მერცხალას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და მის აღწფოთებულ გონებაში ირეოდა ათასნაირი ფიქრი, ერთიმეორეზე უფრო შავბნელი და განუხორციელებელი... უეცრად ჩუმად კარი გაიღო და ზღურბლზე ლაშქარა გამოჩნდა. მერცხალა შეკრთა. შიში და იმედი მწველი ალივით შემოენთო: ეს მოსვლა წყვეტდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. მერცხალა იმდენად არა თავის თავისათვის შიშობდა, რამდენადაც ლაშქარასათვის. ლაშქარამ სიბნელით ისარგებლა, მშვიდობით მიაღწია ქოხის სულ ბოლო კუთხემდე. მოხუც გამიხარდის იგი არ შეუნიშნავს.

მერცხალა ლაშქარასთან მივიდა, ხელზე ხელი მოჰკიდა და ჩასხურჩულა:

— ლაშქარავ!.. მეშინია... ხბორებთან ახლოს დაჯექ.

— რატომ არ გამოხვედი ხეებთან?.. გელოდე, გელოდე და ბოლოს აქ შემოსვლა გადავწყვიტე.

— დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ მამაჩემი შებინდების შემდეგ სახლიდან არავითარი საბაბით არ მიშვეებს, და თუ მეზობლებთან გამიშვა, თვითონვე გამაცილებს... მას შემდეგ ეშინიან, რაც შენ ჩვენი სოფლიდან წახვედი.

— მისი სიფრთხილე არ ყოფილა უსაფუძვლო. ალბათ ახალგაზრდობაში მამაშენსაც ჰქონია ასეთი შემთხვევა?

— არ ვიცი, — უპასუხა მერცხალამ, — მხოლოდ ძალიან კი მითვალთვლებს. აი, ახლაც სურდა გაეგო, ახალ ტანისამოსში რად გამოვეწყვე.

— რად გამოვეწყვე, როდესაც მველ ტანისამოსშიც კარგი ხარ? — უმღვიღნე ქარამ და მერცხალას ხელი მოხვია. — მაგრამ გვეყოფა ლაპარაკი, დროა საქმეს შევედგეთ...

ლაშქარას და მერცხალას მალულად სურდათ ქოხიდან გასვლა... მაგრამ ლაშქარა სიბნელეში ჩამოკიდებულ საცერს მოედო; საცერი მძინარე ხბოს დაცვა; ხბომ დაიბლაკლა, საცერი კი ცეცხლისაკენ გაგორდა.

სულგაქმენდილი მერცხალა ლაშქარას მიეკრა. შეშინებული გამიხარდი წამოხტა.

— მერცხალავ!.. ჰა, მერცხალავ! — დაიყვირა მოხუცმა.

მაგრამ მერცხალა ხმას არ იღებდა.

— მერცხალავ!.. გძინავს?.. ნახე, მგონი, კატა ყალს * მისწვდა.

მერცხალა მაინც დუმდა, სურდა მამა დაერწმუნებინა, რომ ღრმა ძილში იყო. მაშინ გამიხარდიმ თვითონ აიღო საცერი და ცეცხლი გააღვივა, რათა არაფერს დასჯახებოდა. არყის ხის ხმელი ტოტები აპრიალდა, ააღდა და ქოხი კარგად გაანათა. აქ მოხუცმა ერთმანეთს მიკრული ახალგაზრდები დაინახა... ნაცნობი სახეები იყო...

— მერცხალავ! ეს რას ნიშნავს? — დაიღრიალა მოხუცმა. — ლაშქარა, ქისტაური, ჩემს სახლში?.. ოი, წმინდაო გიორგი!

და ამ წამოძახილისთანავე მოხუცმა, ბევრი არ უფიქრია, კედელთან მიიბრინა, ლურსმანზე ჩამოკიდებული თოფი ჩამოიღო და ლაშქარას დაუმიხნა.

მერცხალამ იკვილა და ლაშქარას ჩამოეფარა, დაიკვნესა მუდარით:

— მამა, მამაჩემო! მე მომკალ, მაგრამ ლაშქარას ხელს ნუ ახლებ!

— მოეცალე, უსირცხვილო! — დაიგრგვინა გამიხარდიმ.

— მამაჩემო! მე ვარ დამნაშავე და არა ის... — განაგრძობდა მერცხალა, თან ლაშქარას ეფარებოდა.

* ყალი — ცხრის ხორცი შუაეცხლის ბოლში გამოშვრალი.

— აჰ! შენა ხარ დამნაშავე? არ გინდა ჩამოეცალო?

სროლა გაისმა. მერცხალა მოცელილი ყვავილივით დაეცა ლაშქარას ფერხთით.

მას კი, ლაშქარას, ამ გულად ვაქვაცს, არ ეყო გამბედაობა, ხმალი ეშისვლა. მერცხალას უეცარმა სიკვდილმა ყოველზე მოსაზრება წაართვა; ხელები დაუშვა და, როგორც მკვდარი, თავს დასდგომოდა მერცხალას, პირქვეში, თავზარდაცემული. მერცხალა უკვე ხმას არ იღებდა... მხოლოდ მშვენიერი მთიელი ქალის ტუჩებზე აღბეჭდილიყო სიყვარულის უკანასკნელი ღიმილი.

ამასობაში გამიხარდი სახლიდან გამოვარდა და მეზობლებს დაუწყო ძახილი:

— გაბიდოურებო! გაბიდოურებო! — ყვიროდა გაცოფებული, — ჩემს სახლში ქისტაურია!.. შემოკრებით, შემოკრებით, ვაჯვაცნო!.. სიკვდილი, სიკვდილი ჩვენს მტერს!

მთელმა სოფელმა მიიბრინა გამიხარდის სახლთან.

ლაშქარამ დაინახა, რომ აქედან წასვლა მისთვის ძნელი იქნებოდა, თან ფიქრობდა: რისთვის, ან სად უნდა წასულიყო?.. „ყველაფერი დავკარგე; მერცხალას სიკვდილის შემდეგ რაღად მინდა სიცოცხლე!.. მაგრამ ჩემს სიცოცხლეს გაბიდოურებს იოლად არ დავუთმობ!.. შურს ვიძიებ ჩემთვისაც, მერცხალასთვისაც!

აქ ლაშქარამ ხმალი იშისვლა და გასწია გამიხარდის სახლის გარშემო შეკრებილი გაბიდოურებთან შესახვედრად. დაქრალი ლომივით იძიოდა, დაბოლოს, მრავალი ტყვიით განგმირული გმირულად დაეცა.

ლაშქარას ამხანაგებმაც, სროლა რომ გაიგონეს, მიიქრნენ უთანასწორო ბრძოლის ადგილას; ხოცვა-ყლეტა საერთო გახდა და საშინელ განადგურებას გამოიწვევდა, რომ საქმეში ქალები არ ჩაერთვლიყვნენ.

ისინი, ჩვეულებისამებრ, მიიქრნენ მამაკაცებთან, დაუჩოქეს, მოიხადეს მანდილები და ეუბნებოდნენ: — გმირებო,

გემუდარებით!.. გაშორდით ერთმანეთს... საქმაო სისხლი დაიღვრა, როგორ ფიქრობთ?

სუსტ შემრიგებელთა სიტყვებმა გამხეცებულ ხალხზე საკეთილო გავლენა იქონია. სისხლისმღვრელი ჩხუბით დაქანცულნი ერთმანეთს დამორიდნენ.

შეურაცხყოფისათვის შური იძიეს, შეურაცხყოფა ჩამოიბრუნეს სისხლით, რომელიც სისხლისთვის დაიღვრა.

ეს საქმარისი იყო ორი გვარის მტრობის დასაცხრობად: ისინი შერიგდნენ მაგრამ სისხლიან ცრურწმენას შეეწირა მერცხალა, ლაშქარა და ბევრი კარგი მთიელი ახალგაზრდა. მოხუცები მხოლოდ დაიჭრნენ.

მეორე დღეს ხალხი დამშვიდდა და ყველაფერი ჩვეულებრივი გზით წავიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მხოლოდ ფშავლებს ერთგვარი ფუსფუსი ემჩნეოდათ. ისინი მოკლულებს მარხავდნენ და ამ შემთხვევის გამო მათი თემები ხოშარაში შეიკრიბნენ. ერთმანეთს მეგობრულად ეპყრობოდნენ. თითქოს არასოდეს მათ შორის არავითარი მტრობა არ ყოფილიყოს. ქალები გაჰკიოდნენ, დასტიროდნენ მიცვალებულებს; მოხუცები ლულს სვამდნენ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. მარტო გამიხარდი არ იღებდა არაფერში მონაწილეობას. იგი ხალხისაგან მოშორებით იჯდა და ჩიბუხს აბრლებდა. როდესაც ყველა წავიდ-წამოვიდა, გამიხარდომ შეინისკენ გასწია, კედლიდან თოფი ჩამოიღო და ქოხიდან გავიდა. მოხუცი ჯერ მშობლიური ბინის კართან შეჩერდა, ჩაფიქრდა, ჩაფიქრდა და თოფი კედელს მიახეტქა: ლულას კონდახი მოძერა და ნამსხვრევებად მიმოიფანტა. შემდეგ გამიხარდი ისევ შებრუნდა ქოხში, ვეებერთელა მწყემსის კომბლით შეიარაღდა, სამუდამოდ მიატოვა თავისი კერა და მშვიდად დაიწყო ასვლა მეზობელ მთაზე...

გამიხარდის სახლი დარჩა მერცხალას საყვარელი რუხი კატისა და ბზორების განკარგულებაში.

მეტი ვერაფერი გავიგე ხოშარაში ჩემი ლამის სათევის მოხუცი სტუმრისა-

გან, ცხადია, იმ გულთამშისაგან, რომელიც მოთხრობილ ამბავში უბედურ ფშაველ შეყვარებულთა კეთილისმყოფელი მთარეელის როლს ასრულებდა. მაგრამ, მახსოვს, ჩვენ კიდევ განვაგრძობდით საუბარს.

ხანმოკლე დუმისის შემდეგ ვკითხე მას:

— მაშ რის მოხუცი, რომელსაც ბეჩავს ეძახიან, სწორედ ის არის... არა?

— სწორედ ის გახლავთ — გამიხარდა. — მიპასუხა დედაბერმა.

— მერცხალას მამა?

— დიახ.

— მერე-და, რატომ დადის თავისუფლად, თუ იგი მკვლელია?

— აბა, რა უნდა უყონ ჭკუიდან შემოიღოს?

— ამ ჭკუიდან შეიშალა? საწყალი..

რატომღა აძევებთ?

— იმიტომ, რომ მას უბედურება მოაქვს.

— არა, დედილო. აბა, რა უბედურების მოტანა შეუძლია საწყალ მოხუცს?

— ნუ ამბობ, ჩემო შვილო! ჩვენ ეს დაცილი გვაქვს, როგორც კი კონკი-ელარუნა ჩვენს სოფელში გამოჩნდება, ყოველთვის რაღაც უბედურება მოხდება. პირველად მეზობელს სახლი დაეწვა; მეორეჯერ მგელმა ოცამდე სული ცხვირი დაგლოჯა, მესამეჯერ მოუსაგელიანობა იყო; მეოთხეჯერ — ყვავილ-ბატონები დაერია მთელ თემს და ბევრი ბავშვი დაავიხოცა; მეხუთეჯერ... ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლი!

დედაბერი დაუზარებლად ჩამოთვლიდა სხვადასხვა უბედურებას, რომელთა მიზეზად ბეჩავს მიიჩნევდა. ის ისე იყო დარწმუნებული ამაში, რომ მას გადაარწმუნებას ვერაფერს შეძლებდა.

— რასა ჭამს საწყალი ბერიკაცი, თუ მას ახლოს არაფერს არ იყარებს? — ვკითხე გულთამშეს.

— რასა ჭამს? მწყემსები, როგორც კი მას დანახავენ, მოშორებით პურს დაუდებენ, კონკი-ელარუნა აიღებს, ზოგჯერ კი ჩაუღვლის და პურს ხელს არ ასლებს. დაიჯერებ თუ არა: მწყემსებს უნახავთ, მოხუცი მინდორში როგორ აგროვებდა ძვლებს და ზრავდა მათ!

გულთამშის სიტყვებმა ამბოროტობა ერთი წუთით დავდუმდი, მერე მითხვეს: ჭალს მივმართე:

— რატომ არ წაიყვანთ სოფელში ამ ბეჩავს, არ ჩააკეტავთ რომელიმე ქობიანში და არ აჭმევთ მას?

— თავზე უბედურება დავიტეხით?.. არა, ჩემო შვილო, მაშინ ჩვენც კონკი-ელარუნასავით ვივლიდით.

როგორც ჩანს, დედაბერს სხვაანირად აზროვნება არ შეეძლო: იგი იზიარებდა თავის მეზობელთა შეხედულებებს, თუმცა მათ კაცთმოძულებას ვერ ვუსაყვედურებდით.

— რაღა მოუვიდა სანდუას? — ვკითხე გულთამშეს.

— ის, რაც მამაჩემსა და პაპაჩემს მოუვიდა.

— მოკვდა?

— უნდა მომკვდარიყო, აბა რა.. მე მის ადგილას ოცდაათჯერ მოკვდებოდი!

— ალბათ დარდისაგან, — შევიძინე მე.

— რასაკვირველია, არა სიხარულისაგან! საწყალი სანდუა... ადამიანივით მაინც მომკვდარიყო!

— რა სიკვდილს ეძახი, დედილო, არაადამიანურს?

— სანდუა მოკვდა შარავნაზე, როგორც კვდება ქანცაფყვეტილი პირუტყვი, დახმარების აღმოუჩენლად, სიცოცხლეში და, შეიძლება, შიმშილისაგანაც... აი, ამას ვერწოდებ არაადამიანურ სიკვდილს.

— სად მიდიოდა?

— მას წასასვლელი გზა არსად ჰქონდა, მაგრამ გამოიჭახეს... აი, როგორი შემთხვევა იყო: სანდუა დააბატიმრეს...

— როგორ?

— აი ასე! თითქოს მერცხალას და ლაშქარას მოკვლაში ბრალი მას ედებოდა... გესმით? ლაშქარას მოკვლაში ბრალი დასდეს სანდუას, დედას, რომლისთვისაც შვილი ორთავ თვალზე უფრო ძვირფასი იყო! დედას, რომელსაც არაგეში გადავარდნა უნდოდა, შვილის სიკვდილი რომ გაიგო, ხორცსა და თმებს იგლეჯდა, ფრჩხილებით სახე დაიკაწრა, დამახინჯდა...

— მერე რა მოხდა?

— გაასამართლეს და, უდანაშაულოდ რომ ცნეს, რასაკვირველია გაათავისუფლეს. შემოდგომა იყო: დედაბერი შინ მარტო ცოცხალ-მკვდარი მიდიოდა, ფშავამდე ვეღარ მიაღწია, გზაზე ნახეს მკვდარი.

აქ გულთამზე ადგა, აცრემლებულ თვალებს იწმენდდა, წასვლას ამირებდა, მაგრამ უეცრად ისევე აურზაური ატეხა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად.

— ოპ, ვაი ჩემს თავს! — წამოიძახა მან. — დავიღუპეთ, დავიღუპეთ!.. ოპ, ბეჩავო!.. ამაოდ კი არ მოსულხარ აქ!

— რა მოხდა?.. რა დაგემართა, გულთამზე? — ვკითხვებ ვაოცებულმა.

— შეხედე, ჩემო შვილო, შეხედე, დავიღუპეთ! და მიმიტოთა მთაზე, რომელსაც ასდიოდა შავი, სქელი კვამლი. ფშაველთა თივის ზვინები იწვოდა.

— ვის შეეძლო თივისთვის ცეცხლი გაეჩინა?

— ჩვენს კეთილ მგობლებს: ჩვესტურებს ან ქისტებს.

— ნუ დარდობ, გულთამზე! მთავრობა დამნაშავეებს დასჯის, თუ ეს ნამდვილად თივა იწვის.

— განა ვერ ხედავთ, რა იწვის?

— ვხედავ კვამლს... მაგრამ, შეიძლება, ცეცხლი შამბნარს მოედო.

დედაბერი დამშვიდდა.

— წავალ, იქნება რაიმე გავიგო, — თქვა და სწრაფად სოფლისაკენ გაეშურა. ათიოდე ნაბიჯი რომ გადაადგა, ერთხელ კიდევ დაბრუნდა და მითხრა:

— ცოტას გაწყდა, არ დამავიწყდა... შენ არ დაივიწყო ჩემი შვილის იასაულად ჩაწერა... უთხარი უფროსსაც, ის კურთხეული შინ რას უზის, ერთხელ ჩვენსკენაც შემოიხედოს, გაიგოს, რა ზღბა ჩვენში, რა ამბავია!..

თარგმანი ირ. ქაშაძისა.

პანკაინი მოგონებანი



ხ უ თ ი ძ მ ა

არ ველოდი, უცაბედად
შემხვდებოდა ქარხნის კარიბჭესთან.
— ნუთუ შენ ხარ! — ეს ისე ვთქვი,
თითქოს მეხმა დაიპყრებოდა.

აქეთ-იქით ვიხედებდი,
როგორც ბავშვი ცეროდენა.
ამ კედლებთან, ამ კარებთან
თითქოს ვიღაც მელოდებოდა.

ამ მაღალი სვეტის ახლოს
ცეცხლის ხაზი გადიოდა,
მტერთა ურდოს გმირთა-გმირი
გრიგალივით დაჰკვივდა.

აქ ვიბრძოდი, სტალინგრადში,
საქართველოს დედაქალაქში.
ამ ზეცასთან, ამ მიწასთან
ვარ მართალი, ვალმოხდილი.

ახლაც ისევ აქ ვარ, თითქოს
არემარე შემომხარის.
გვერდით მიდგა ბრძოლების და
გამარჯვების მეგობარი.

მინდა ვკითხო: სად არიან
საყვარელი მისი ძმები,

ისინი ხომ ხუთნი იყვნენ,
ერთმანეთზე ვაჟაკები.

მაშინ, როცა ომი აღუყდა,
ყუმბარების დაღვა ნისლი,
ხუთივე ძმა მტერს აღუდგა
ერთი აზრით, ერთი მიზნით.

ნეტავ ახლა სად არიან,
რა აღირსათ ნეტავ ბედმა.
საამქროში ხუთ დაზვასთან
ხუთი ძმიდან ერთსა ვხედავ.

არა მითხრა მეგობარმა,
შემომხვდა ნალვლიანად,
მისმა სახემ, მისმა მზერამ
ყველაფერი აღიარა.

შეტრიალდა, რკინის ღვედებს
დაბლა ტილო გაუშალა,
ჩართო დენი და დაზვები
ერთდროულად ამუშავდა.

შრომის ცეცხლი დატრიალდა,
ისე რეკდა გულში ზარი,
მე ვხედავდი, ხუთ დაზვასთან
თითქოს იღვწენ ხუთნი ძმანი.

გაბრიელ ჯაბუშვილი



ღ ე ქ ს ე ბ ი

გაგონდება გომბორი?

გაგონდება გომბორი?
რა დღე გვექონდა, რა ყოფა,
ლაწვეზე რომ გეამბობრა
ჩემი ავი რაყიფი!

გაგონდება ახმეტა? —
იქ ბაზრობა კახური,

ცამ რომ ნისლი ახეტა
და თავს გადაგვახურა...

გაგონდება მთის წყარო
და გომბორის ქედები?
შორეულო ცისკარო,
ისევ შეიმედები!

ყველგან შენა მგონიხარ

ჩემი დამღონებელი
გუშინ,
დღეს
თუ ხვალ, —
ყველგან შენა მგონიხარ,
თითქოს ყველგან ხარ!

მწყემსი მღერის გორიდან,
ოდნავ მწეღება ხმა;
ისიც შენა მგონიხარ,
იქნებ შენა ხარ!

გელი: სტუმრად მომიხვალ,
ჩემთან დაჰყოფ ხანს.
ჩუ!
ხმა!
შენა მგონიხარ,
იქნებ შენა ხარ!

მინც ჩემი ღონე ხარ,
დღეს თუ არა ხვალ!
ყველგან შენა მგონიხარ,
ჩემთვის ყველგან ხარ!

მე და მერცხალი



სხვეწზე შემოჯდა მერცხალი
ელურტულებს, როგორც მზექალი,

ელურტულებს, მაგრამ ამ მერცხლის
მე ერთი სიტყვაც არ მესმის...

ნეტავი, ჩიტო ნამგალა,
მე შენი ენა მასწავლა!



იქნება მამცნობ, მერცხალო:
ვერც დღეს ისარებ,
ვერც ხვალ...

ან იქნებ იმის მაცნე ხარ,
რომ გამეხსნება ცაც მე ხვალ!

ა-ვაჰმე,
ჩიტო ნამგალა,
მე შენი ენამც მასწავლა!



იცო, მერცხალო,
ღმერთმანი
მე და შენ ვგაერთ ერთმანეთს:

მეც მზიას ტრფობას დავმღერი,
მაგრამ ვერ მიგებს ჩამღელი...

უქმად ქრის ლექსი ღამეში,
ქალს ჩემგან თქმული არ ესმის...

ნეტავი, ჩიტო ნამგალა,
მას მგონის ენა ასწავლა!



არხოტში წყაროთგორია

არხოტში წყაროთგორია,
 აიმი გორზედამც ჩამამსვა,
 შექურვილს დაშნა-თორიანს,
 ერთი ძმა-შინშიმც სხვა მამცა!

შენ წყალზე ჩამაგატარა
 თულუხითა თუ თუნგითა,
 შუადღე იყოს თაკარა,
 მიმწუხრი იყოს თუ გინდა.

დაგიხვდებოდით ვაჟკაცნი,
 სიტყვას გეტყოდით გზნებითა:
 — გინდა გაკერადი, გაკაჟდი,
 გინდაც წამოგვეყვ ნებითა.

შენთვის მოვსულვართ მთას აქეთ,
 არცა თავს ვიძებთ ქებითა;

მომხვედურსაც ხმალზე ავაგებთ,
 ჩვენც ხმალზე ავეგებითა!

აქ კი არასგზით გაგწირავთ,
 ეგ არც წესია რაინდთა:
 იღბალმა ჩვენს რძლად გაგნირა,
 მაინც ჩვენი ხარ, მაინცა.

წამოგიყვანდით დედოფალს,
 გვიწევდა მღევრის მდინარე,
 მაშინლა გაიგებოდა —
 ვინ ვაჟკაცია, ვინ არა!

არხოტში წყაროთგორია,
 აიმი გორზედამც ჩამამსვა,
 შექურვილს დაშნა-თორიანს,
 ერთი ძმა-შინშიმც სხვა მამცა.

ნაზი ქილასონია

★

უბის წიგნიდან

მხატვრის მარჯვენა

უკვირდით: ასე რამ გადამრია
„რას ჰგავსო ბიჭი ფერნამკრთალები“,
და დიდხანს ვწუხდი, ვწუხდი ძალიან,
რომ ვერ გხედავდნენ ჩემი თვალებით.

მხოლოდ განცდათა თრთოლვით, წვალეებით
იმ კურთხეულმა მხატვრის მარჯვენამ
შესძლო, დაგხატა ჩემი თვალებით
და მშვენიერი ყველას გაჩვენა.

მცირე აღზილი

ის ბიჭი, ჩემი დიდი ოცნება,
ჩემი სიმღერა და ქრუანტელი,
მკერდზე ტყვილის შესისხლხორცება,
ზოგჯერ იმედის ასხივოსნება,
ზოგჯერ მდუმარე, როგორც ფლატენი.

ის ბიჭი...
ასე ზღაპრად იტყვიან,
(ჩვენი ამბავი არის ნამდვილი!)
ვერ იქნა, გულში ვერ ჩამოიტია —
ისეთი მცირე მსურდა ადგილი.



ჩუბჩუბები

მოთხრობა

რა თქმა უნდა, იაგორა ის აღარ არის, რაც იყო, საკმაოდ მოტყუდა, მაგრამ მაინც ყოჩაღად უკირავს თავი. მით უმეტეს, თუ თავის ტოლს შეხვდა.

— რა დაგემართა, ბიჭო, გაიმართე წელში! — დაუძახებს შორიდანვე. მერე ძალად გაყოჩაღებულ სამოცდაათი წლის „ბიჭს“ ღონიერად მოუქერს ხელზე ხელს და სასაუზმეში შეიპატიეებს. ერთ ტოლჩა ლუდს დააღვინებს, თვითონაც დააღვებს, თან როგორც საიდუმლოს, ისე გაანდობს:

— ძან მეხმარებიან ჩემი სიძე და ქალი. ორივე კარგ სამსახურშია. ვუთვლი, ნუ სწუხდებით, შეილებო, ჩვენ არაფერი არ გვინდა-მეთქი, მაგრამ არ მიგონებენ! თვე არ გავა, რომ ოცი-ოცდაათი თუმანი არ გამომიგზავნონ. გუშინაც მივიღე...

უბიდან ტყავის საფულეს ამოიღებს, ერთ ადგილზე დიდხანს დებით გატყეცილ თუმნიანს გამყიდველს გადაუგდებს და დარდიმანდულად დაადევნებს:

— შენთვისაც დაისხი, შვილები დამილოცე!

შინ კი... შინ ვისთან რა არ ზღება! დედური მზრუნველობის უფლებასაც კი აძლევს ელისაბედს — უამრავ ჯუბებში და სათბილობლებში შებობილილ მუშულეს... და ისიც: თვითონ ჰბანს, — ემანდ აბანოში არ გამიცვიდვო; თერძის ბრტყელი მაკრატლით კრეკს და კისერსაც პარსავს. თუ ბაზარში გზავნის, არიგებს: სად რა იყიდოს, რამდენზე მეტი არ მისცეს, რომელი გზით იაროს, რას გაუღვრთხილდეს, ბავშვივით მაჯჯავ გადაუგვრებს დაწნული ჩანთის ყურებს და დაატანს:

— აბა, შენ იცი. არკი დაგავიწყდეს, რაც გითხარი!

უნდა უყუროთ ცოლ-ქმრის თავაზს სადილობის დროს. ელისაბედი ქვაბს დასტრიალებს. ჩაყოფს ჩამჩას, გადათვალიერებს ხორცის ნაჭრებს, ჩააბრუნებს ისევ.

— ნუ სწუხდები. — სთხოვს იაგორა. — მომეცი, რომელიც მოგხვდეს.

— მოიცა, მოიცა. შენთვის საგულისგულოდ მაქვს შემონახული. აი! აი! ელისაბედი მსუქან ნაჭერს დებს მათლაფაზე.

— აბა, რას სჩადი, რა ჯიბრია? იაგორა ელისაბედის მათლაფაზე გადადებს ხორცს.

— ეს შენია, შენ უნდა შექაპო.

— არა, თავი არ მომიცვლება.

— ჰო, დედ-მამას გაფიცებ.

ელისაბედი ისევ იაგორას მიუქერძებს იმ მსუქან ნაჭერს, იაგორა — ელისაბედს, ბოლოს შეუქმელი რჩებათ და დილისთვის უნახვევ ერთმანეთს.

სხვა ვინ ჰყავთ! ქალი და სიძე სადღაც მთებში მუშაობენ.

ხანდახან ელისაბედი ამურმურდება. მოჰყვება ბედის გმობას — ვაჟი რომ გვყოლოდა, ეს დღე არ დაგვადგებოდაო. იაგორა აწყენარებს.

— სულ ერთია, ვაჟი იქნება თუ ქალი. განა ვაჟები არ არიან, რომ თავიანთი ცოლების გარდა არავინ აგონდებათ? რამდენიც გინდა!

— ერთი წერილი მაინც მოეწერათ!

— მაშ, ჩვენთან წერილების გზავნის მეტი საქმე აღარა აქვთ იმოდენა მშენებლობაზე!

მაგრამ ჩუმ-ჩუმად იაგორასაც ღრღინის ბოღმის ქია. იგერიებს და ვერ მოუგერიებია.

ელისაბედი რომ სუფრის ალაგებას შეუღლება, იაგორა რამდენიმე ადგილას დაფლავებულ სათვალეს გაიკეთებს, სინათლეს აანთებს და გაზეთის კითხვას იწყებს. კითხულობს ხშირად: „საბჭოთა საქართველოში“, „ქვანახშირი გეგმის გადამეტებით“... ერთ წერილს რომ ჩაათვალებს, სათვალეს გაქმენდს, მიიხედ-მიიხედავს და ისევ განაგრძობს: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე“...

კითხვით რომ დაიღლება, წინა დღეს მომარაგებულ წყალს გაიტანს, გადაღვრის, ხელახლა გაავსებს ქილას და კოკას, რომელიც, ალბათ, მარტო მათ აქვთ შემორჩენილი ამოდენა ქალაქში. მეზობლებთანაც მივა, გააფრთხილებს: შესაძლებელია ამაღამ ოჩკანი გაყინოს და წყალი აიღეთო. რამდენიმეწაიარად დააპობს ერთ ზომაზე დახერხილ შეშას: დილისათვის — მთლად წვრილად, შუადილისთვის — მომსხოდ, ღამისათვის — მხოლოდ ორად, უფრო მეტი გამძლეობა ექნებაო. თვითონ დაგვის, ფრჩხილისოდენა ნაფოტსაც შეიტანს შინ და თვალის მოსატყუებლად მიწვება. ერთ საათში ოცჯერ მაინც გადაბრუნდება. ცხრის ნახევარზე ჩაის დალევს, ჩაიცვამს ქურთუქს და თექის ჩექმებს, ქუდის ზემოდან ყაბალახს მოიხვევს; „თუ ცოტა შემავგიანდეს, არ შეგეშინდეს, სილიბისტროსთან ვიქნებო“, — ეტყვის ელისაბედს და წავა სამსახურში.

ცეცხლფარეშად მუშაობს სკოლაში.

ეს სკოლა ძველებურ შენობაშია მოაჯებელი და კედლის ღუმელებით თბება. ღუმელები შავად არის შეღებილი — მაღლა ჩამუქებული, დაბლა გაპრიალებული ხელის შეხებისაგან.

ვედროთი და აქანდახით შეიარაღებული იაგორა სათითაოდ ჩამოუვლის ყველა ღუმელს. ნაცარი გამოყრის, გამოასუფთავებს. ამოიტანს წინააღმდეგობაზე დაბეჭდულ შეშას, ჩამოურიგებს თანაბარი რაოდენობით.

ჩავა იქვე ეზოში მცხოვრებ სილიბისტრო-დარაჯთან. გაიხსნის ქურთუქს და ჩაუტყდება ღუმელთან. დაწყებულია მთის ამბით, მოაბამენ იმ მთისას... სილიბისტრო ერთავად რაღაცას თლის, რაღაცას აშალაშინებს. იაგორა ლაპარაკობს. უთუოდ ქალსა და სიძეს ახსენებს. რაც მართალია, მართალია, კარგები მყვანანო. სილიბისტრო თავს უქნევს. ახლა ის გაქმიავს სიტყვას და იაგორა მოჰყვება თითების თამაშს ღუმელზე. შეიყოლიებენ ერთმანეთს საუბრით თერთმეტ საათამდე. თერთმეტ საათზე იაგორა აჩქარდება — დილაზე ისევ სკოლაში უნდა იყოს. შემოივალთავენს ქურთუქს და, თითქოს თავსხმაო, ისე შეერივეს სიბნელეს.

შინ შესვლამდე საგულდაგულოდ შემოუვლის სახლს — ემანდ ხანძარი არ იყოს გაჩენილიო. საიდუმლო რაზით ჩაეკეტავს კარს. კიდევ ერთხელ დალევს ჩაის და დაიძინებს.

დილას ისევ ჩამოუვლის ღუმელებს. შეუეკეთებს შეშას, დაასხამს ნაეთს და მოუეიდებს; სანამ უქანასკნელ ღუმელამდე ჩავა, პირველი უკვე გახურებულია; შეაყრის დანამულ ქვანახშირს, შეუჩხიკინებს საჩხრეკით და გადაეცტავს კარს.

სულ ეს არის სამსახური — ორი საათი დილას, ორი საათი საღამოს, შემდეგ წაიღი და დაიძინე!

მაგრამ იაგორა ყოველთვის დიდ ხანს რჩება სკოლაში. ხან შეშას აშალებს, ხან სამწურო ნაწილის გამგეს უცდის, ხან დირექტორთან აქვს რაღაც საქმე. მოუსწრებენ ბავშვები, შემოხვევიან, მოსვენებას აღარ აძლევენ: ერთი აქანდახს ართმევს, მეორე საჩხრეკს. ვითომ ესმარებიან — აბაკუნებენ პატარა ფეხებს, იცინიან, ხარობენ.

თუ კარგი ამინდია მანათისა და თბილისის ზღვის მიდამოებს ეწვევა. მთელ ზურგ გრაკლსა და ავშანს ჩამოიტანს. ელისაბედი ეზოსთვის ცოცხებად შეკრავს. ზოგს თვითონ დაიტოვებს, ზოგს მეზობლებს დაურჩევს და ზოგსაც სკოლის მეზოვისათვის გადადებს.



ხანდახან ბოლმის ქია მეტისმეტად აწუხებს. ამ იანვრის რამდენიმე დღეს ხომ კბილბრუნველივით იწრიალა.

პირველი დღე მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან. შეუქმნევლად მოსაღამურდა. საღამოც ჩვეულებრივი ზამთრის საღამო იყო — როცა ცა მოწმენდილია, არც მოწმენდილი — თხელი ბურქის გადაკვერია; ბურქისაც არ ეთქმის; ყინვაა, ნოტიო ყინვა; ზოგჯერ ხეებს, პაწაწკინტელა ნემსებზედ ეკიდება ტელეგრაფის მავთულებს, ელნათურების შუქსაც ბუნდოვანს ხდის და კბენს გამვლე-გამომვლეს.

იგორა ცხრა საათზე გამოვიდა სახლიდან. მივიდა სკოლაში, გამოეხმაურა სილიბისტროს.

— საღამო მშვიდობისა, ნათლიამ!

— მშვიდობა ნუ მოგიშალის, ჩემო იგორა!

— რას იტყვი, ნათლიამ, ხომ არი მამაპური ყინვა?

— ყინვა კია, ჩემო იგორა, მარა არაყი არ არის, არაყი.

— ზი-ზი-ზი!

— ახლა უნდა გქონდეს ერთი პატარა კასრი ზესტაფონური და რამდენჯერაც ვარეთ დააბირო გასვლა, იმდენჯერ გადაკერა...

— ზო, ზო, მე ქალი და სიმე შემპირდნენ. გამომიგზავნიან და გადავკრათ ჩვენებურად.

— აგაშენა ღმერთმა!

იგორამ თავისი ვედრო და აქანდაზი მოიბნა, გაუყვა საკლასო ოთახებს. გამოასუფთავა ერთი ღუმელი, გამოასუფთავა მეორე, გაბრუნდა მესამისკენ და ის იყო კარი უნდა შეეღო, რომ ხმაური შემოესმა. მეშვიდე კლასელების ოთახი იყო. იფიქრა: ალბათ მოსწავლენი დარჩნენ გაკვეთილების შემდეგ, საქმე ექნებოდა რაღაცათ. გვერდის ავლას ამირებდა, მაგრამ ხმაური განმეორდა და შედგა, ყური მიუვლო.

იგორამ ვედრო ფრთხილად დადგა, დაიბარა და იქ, სადაც კარის თეთრად შეღებულ მინას შავად აჩნდა გადაფხევილი ადგილი, ცხვირი მიამკრა.

ოთახში ორნი იყვნენ.

ერთი მერხების თავში, მასწავლებელმა მაგიდასთან იჯდა და მატყლს მწკრივდა კალამს ნეკა ფრჩხილით წმენდდა, მეორე ღუმელთან მისულიყო, წიგნს კითხულობდა. ხანდახან გადაიხრებოდა, მიეყრდნობოდა ღუმელს, ლოყას მიადებდა, ხელს აუსვ-დაუსვამდა. აი, გადაშალა ფურცელი, ქვემოთ დახედა და გაეღიმა.

— დაწერე! — მიმართა მაგიდასთან მჯდარს.

მაგიდასთან მჯდარმა კალამი ფრთხილად ჩაუშვა სამელნეში, წაიხარა და საწერად მოეშავა.

— იმ შენი ქოჩორილე იასოსელის შესახებ ალექსანდრე მაკედონელს უთქვამს: „მირჩევნია ჰომეროსის თერსიტე ვიყო, ვიდრე მაგისი აქილეესი“.

იგორამ ვედრო აიღო, ჩაახველა და კარი შეაღო.

მაგიდასთან მჯდარი წამოდგა, ღუმელთან მდგარმა წიგნი დახურა და წინ წამოვიდა.

ერთხანს უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. მერე იგორამ დაარღვია ღუმელი.

— თქვენ რა?

უნდოდა ეკითხა: საიდან გაჩნდით, ვინა ხართო, მაგრამ უხეშად მოეჩვენა ასე პირდაპირ მიხლა. სხვაც ვერაფერი მოიგონა, უმწიფოდ აცმაცურა ტუჩები.

— ჩვენ ვმეცადინეობთ.

— მერე აქ... დირექტორია, თანაშემწე, უცხო პირები...

— ჩვენ უცხოები არა ვართ! — აღარ დააყადა იმ ბიჭმა, წიგნიდან რომ კარნახობდა. — აქვე ვცხოვრობთ, აი სადალაქოს ზევით. სტუმრები ჩამოგვიყიდნენ სოფლიდან და იძულებული ვართ ცოტა შეგაწუხოთ. გამოცდები გვაქვს. ღამეებს ვათენებთ, ხმამალა ცკითხულობთ და ვყვებით. ვითხოვეთ, ისე არ შემოვსულვართ. სილიბისტრომ დაგვერთო ნება. ჩემი ბიჭა!

— ბიჭა?

იგორამ გამოიმცდელად შეხედა. აღარაფერი აღარ უთქვამს. ღუმელი გამოა-

ლო. შეზღუდულშეუღმა დაიწყო ნაცრის გამოყრა. შეუგდებდა აქანდაზს, ჩააყორავებდა ვედროში, შეაქანწყარებდა ვედროს, დაიწვედა ბუქად დამდგარი ნაცარი, ისევ შეუჩხიკინებდა ღუმელს.

ბიჭები უხერხულად ტოკავდნენ. ხან რვეულს წაეტანებოდნენ, ხან კალამს, წიგნიც კი დაუვარდათ ძირს.

მიხვდა, ხელს რომ უშლიდა, საჩქაროდ აკრიფა ყველაფერი და კარისკენ გაეშურა. ზღურბლთან შედგა, მიბრუნდა.

— სტუდენტები ხართ? — იკითხა.

— დიახ, სტუდენტები გახლავართ.

— მე რას შემაწუხებთ! მე არაფერსაც არ შემაწუხებთ! — წაიდუღუნა და ნელ-ნელა გაიხურა კარი. ფრთხილად ადგამდა ფეხს, ერიდებოდა ხმაურს.

შორია საქმეს, ჩამოიბერტყა მტვერი, შევიდა სილიბისტროსთან.

— მამ ის ბიჭი ნათესავია შენი? — ჰკითხა სხვათა შორის, სიტყვა რომ მოიტანს ხოლმე, ისე.

— მართლა, როგორ დამავიწყდა, რომ მეთქვა. ახლო ნათესავია, ბიძაშვილის შვილი.

სილიბისტრო დაიხარა და მუხლის ქვემოთ გაშალა ხელი.

— სულ ახლახან ამხელა იყო, აი ახლა ჩემზე მალაღია.

იაგორამ ახედა და დაუდასტურა.

იმ ღამეს მეტად აღარ უხსენებია ის ბიჭები.

დილას თვითონ შეახსენეს თავი. არა, შეახსენეს კი არა, ისევ იმ ოთახში დახვდნენ. იაგორამ გაკვირვებით აათვალიერა, თითქოს ეეკუებოდა, ისინი არიან თუ მჩევენებო.

— გაათენეთ? — იკითხა მერე.

ბიჭებმა გაიღიმეს და უპასუხეს:

— ასე გამოდის.

იაგორამ კიდევ შეხვდა, თავი გადააქნია, ღუმელთან მივიდა, რაზას ხელი წაავლო და ისევ სწრაფად გაუშვა, თითქოს თითები დაწვოდეს.

— წუხელ მაინც გეთქვათ, ღუმელს გაგზნებდით!

— არა, არ შეგვეციებია.

— ვერ გაიგებთ. განა გეგეტყუებოდა შეგცოვდეთ! მე ერთხელ ვაწვევინიყვანა ხელი?

— ვახტანგი. — თქვა სილიბისტროს ნათესავმა.

— მე კიდევ ლექსოს მეძახიან.

— მე ერთხელ, ჩემო ვახტანგ და ლექსო...

უნდოდა ეამხნა, თუ როგორ გაცივდა ოდესღაც, ახალგაზრდობაში, მაგრამ რაკი ბიჭებს მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ ამ ამბისადმი (წიგნებისკენ გაუბრბოდათ თვალი), გამუმდა, ღუმელის კარი გამოაღო.

— მე ახლაც, ერთ წუთში...

სწრაფად შეაწყო შეშა, მიასხა ნავთი, მისცა ცეცხლი და გავიდა.

სალამოს იჯერა გული. ის ამბავი ხომ მოჰყვა, როგორ გაცივდა მაშინ, როცა დასანიშნავად ემზადებოდა, ჩამოჯდა, ვედრო ფეხებს შუა ჩაიდგა, აქანდაზი ზემოდან გადაადო და იკითხა:

— ძნელი კი იქნება უმალღესის გამოცდები, არა?

ბიჭებს მეცადინეობა ჯერ არ დაეწყოთ, ხალხით უპასუხებდნენ.

— არ არის ძნელი, თუ საგანი იცის კაცმა. როგორ გამომცდელთან გადიხარ, იმაზედაც არის დამოკიდებული. აი ის, ჩვენ რომ უნდა ჩავაბაროთ, დაგიჯდება წინ, მიიღებს ლოყაზე ხელს და შემოგყურებს. მართალს ლაპარაკობ — გილიმის, ტყუილს ლაპარაკობ — მაინც გილიმის.

— არ გეტყვის, რაც არ იცი?

— არა.

— გათხრათ დალოცვილიშვილმა, რა მოხდება!

— რა აზრი აქვს! ნიშანი ჩვენი ნათქვამის მიხედვით იწერება. ნიშანს რომ დაგიწერს, მერე კი აგიხსნის.

— შეგაძლებინოთ, შეილო, შეგაძლებინოთ.

იაგორა წამოღდა.

— ამალამაც ათენებთ?

— არა, ხვალ უკვე გამოცდაზე გავდივართ. ამალამ ცოტას გავიმეორებთ.

— ლემელს გაგიხურებდით.

— არა ცივა, აი, ჯერ ისევ თბილია, არ გვინდა.

— კარგი, კარგი... ხომ გაგვაგებინებთ, როგორ ჩააბარებთ?

— უთუოდ.

— აბა, ფრიალები მოგეტანათ.

სილიბისტრო სადღაც წასულიყო. იაგორას შინ არ ეჩქარებოდა. ეზოში გავიდა. მიღვა, მოღვა. აქ ონკანი შეამოწმა, იქ ხანძარსაწინააღმდეგო იარაღი. კასრით დადგმულ სილასაც ამოურია ხელი. ცას შეხედა, ყინუები იწინასწარმეტყველა. ერთხელ კიდევ შევიდა სკოლის დერეფანში, გაიარა, გამოიარა, და მხოლოდ ამის შემდეგ ძლივს გადაწყვიტა შინ წასვლა.

ელისაბედმა პიტნის ჩაი დაახვედრა — ოფლს მოგადგენს და გვერდებში რომ ჩხვლტას გრძნობ, გაგივლიყო. სევამდა ნელ-ნელა იაგორა და თან ჰყვებოდა, რომ მათ სკოლაში ორი ბიჭი დადის, რომ მთელ ღამეს, ისიც ამ იანვრის ღამეს, სხედან და კითხულობენ, რომ ხვალ გამოცდაზე გადიან და ასეთ და ასეთ პროფესორს უნდა ჩააბარონო.

ელისაბედი არ უსმენდა. თერთუელის უთოობით იყო გართული.

არ უსმენდა მერვე დღესაც.

იაგორამ კი, დაბრუნდა თუ არა სკოლიდან, ტაბტქევიდან მოგრძო ყუთი გამოათრია. ამოიღო სადგისი და სანთელი, ჩაქუჩი და ნემსი. მოიმარჯვა ტაშტში ჩამბალი ძირგარღვეული ჩექმა. გაუყრის სადგისს, გააძვარეს ნემსს, მუქით გასწვევს გასათლულ ძაღს და იტყვის:

— მაგათ ხანში კაცლის კოჭით გატანა მიგვანდა დიდ რამედ.

დააკაუნებს ჩაქუჩს და დააყოლებს:

— ავედევნებოდი საწყალ მამაჩემს, დავათრედიოდი რძის ურბუას ქუჩიდან ქუჩაში და იმით მომქონდა თავი, საყვიარს რომ ვაპიპინებდი.

გაჩუმდებოდა ცოტახანს და ისევ:

— ბოქობა აი, ეს არის, შენ სიმძიმე წიგნებს რომ სწავლობ, ღამეებს ათენებ. მერე გამოცდაზე გახვალ. დაგიჯდება პროფესორი წინ და შემოგყუ-

რებს. მართალს ლაპარაკობ — გულიმის, ტყუილს ლაპარაკობ — გიფიქს და მინც კარგ ნიშანს რომ მიიტყულებს.

შუადღემდე კიდევ რამდენჯერმე ახსენა ის ბიჭები — ნეტავ როგორ ჩააბარებდნენო. შუადღისთვის თითქოს გადაავიწყდა. საილი ჩვეულებრივ გულმოდგინებით მიირთვა. დიდხანს, დიდხანს ღეჰავდა ყოველ ლუქმას. მაგრამ ნასადილევს, სოფლიდან ძღვნად გამოგზავნილი დამპყრებელი ჩურჩხელები რომ გამოიტანა ელისაბედმა, ისევ წამოპილილდა:

— მოდი, ამ ჩურჩხელებს იმ ბიჭებს წავუღებ! ჰა, რას იტყვი, ელისაბედ? ვითომ გოგოს და სიძეს უტამაიათ, წავეულებ ამ ჩურჩხელებს.

ელისაბედმა პასუხი დაუგვიანა. ბოლოს მინც თქვა:

— ჰო, წაუღე.

იაგორამ გახეთის ქალაღღში შეახვიო ორი ცალი. ღამაზად შემოუკეცა ბოლოებზე, ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში და სახეგაბარწყინებული შეუდგა საქმეს. შუშა დააპო, წყალი შეიტანა, ქათამი დააპურა. აიღო გახეთი, ცოტახანს იკითხა, გული ვერ დაუღო. წამოწვა, ისევ მალე ადგა. ჩაი არ დაუღევია, ყური არ უთხოვებია ელისაბედისათვის, შიმშილით სულის ამოხდომას რომ უწინასწარმეტყველებდა. ქურთუკი ჩაიცვა, ჩურჩხელები მოსინჯა და, თემცა ჯერევა საათიც არ იყო, სკოლისკენ გაეშურა.

მიდის, მიხუხუხებს. თან აქეთ-იქით იყურება — ემანდ გზაში არსად არ ამცდნენ ის ბიჭებიო. აი, სკოლის ალაყაფსაც მიადგა. აი, დახვავე წაბრილი სილიბისტროც.

— არ მოსულან?

— ვინ უნდა მოსულიყო?

— ის ბიჭები. შემპირდნენ: მოვალთ, გაგაგებინებთ, როგორ ჩავაბარეთო.

სილიბისტრო შალაშინში ჩაქვიღ ბურბუშელას ჩინქნადა. მხოლოდ თავს აქნევდა უარის ნიშნად.

იაგორა ფეხზე დგას.

— გაკვირვებულნი ვარ, კაცო, — ამ-

ბობს ცოტა ხნის შემდეგ. — მთელ ღამეს, ისიც იანერის ღამეს, სხედან და მეცადინეობენ. მერე პროფესორს უნდა ჩააბარონ. დაგიჯდება ის პროფესორი წინ, მიიღებს ლოყაზე ხელს და შემოგყურებს. მართალს ლაპარაკობ — გილიშის, ტყუილს ლაპარაკობ — მაინც გილიშის.

— ძნელია, ძნელი. — უდასტურებს სილიბისტრო და ფიცრის გაშალაშინებას უბრუნდება.

იაგორა ვერ ისვენებს. გაიხედავს ფანჯარაში, არავინ მოჩანს, გაიხედავს კიდეც, მაინც არავინ მოჩანს.

გავიდა გარეთ. მიადგა მეშვიდე კლასს, შეიკვრიტა, იქნებ მოვიდნენ და ვერ გავიგეთო.

ოთახში არავინ იყო.

შეაღო კარი, მაინც არავინ იყო.

გამოასუფთავა ამ კლასის ღუმელი, სხვა კლასს მიაშურა, იქიდან სხვაში გადაინაცვლა. ყველა ღუმელი გამოასუფთავა. გამობრუნდა და ისევ შეიხედა მეშვიდე კლასში. ამაოდ!

ჩავიდა სილიბისტროსთან, თერთმეტი ხდებოდა. ბიჭები მაინც არ ჩანდნენ.

მეტი აღარაფერი უთქვამს, ისე წავიდა შინ. უთუოდ ხვალ დილას შეგვატყობინებენ, როგორ ჩააბარესო.

მაგრამ არც მეორე დილას, არც მეორე დღეს და არც მესამეს ბიჭები არ გამოჩენილან.

იაგორა მაინც არ იცილებდა ჩურჩხელეს. დამწუხრებული ფიქრობდა: უთუოდ გაცივდნენ, ღუმელი რომ არ გამახურებინეს, უთუოდ ცუდად გახდა რომელიმე, უთუოდ სხვა უფრო დიდი საქმით არიან დაკავებულნი.

და თუმცა ბოლოს კია სწიწკნიდა და აბორგებდა, სჯეროდა, რომ ბიჭებმა გამოცდა კარგად ჩააბარეს. თანაც ერთი წუთითაც არ უნდოდა იმის აზრად გავლებოდა, რომ გამოცდების შემდეგ ისინი კინოშიც იყვნენ და მთაწმინდაზეც, ხოლო სკოლაში მობოროილე ცეცხლფარეშისთვის მიცემული სიტყვა არც კი გახსენებიათ.

ალექსანდრა გვარამია

★

ორივე სტრიქონი

უბის წიგნაკი, მთლად გაცრეცილი,
ორივე სტრიქონს ისევ ინახავს
იმ მებრძოლ ბიჭზე, მე რომ მინახავს
ფინეთის ომში მკერდდალეწილი.

მოუხერხებლად როგორღაც იწევა,
ბავშვური ტანი გადათოვლილი
მისწებებოდა გაყინულ მიწას
და ჩანდა ქუდი შორს გასროლილი.

წუთით მეგონა, მებრძოლი ბიჭი
ისევე გარბის ჩქარი ნაბიჯით,
მაგრამ ყინული არ უშვებს, იჭერს.

ახლა ომია დიდი და მკაცრი
და მე არ ვიცი, რად მიდგას თვალწინ,
რად მეცოდება, რომ გღია მარტო,
რომ გაყინულა და თოვლი ათოვს.
თითქოს-და მკვდარი ყინვაში, თოვში
ბიჭი კი არა, ის მართლა მე ვარ,
იმ არაგანთქმულ პატარა ომში
მივიწყებული ყინულზე ვწევარ.

თარგმანი არჩილ სულაქაურიანა



წყნარი ღონი*

გაბოჩენილ საბჭოთა მწერალს მიხეილ შოლოსთვის მიმდინარე წლის მათში შეუსრულდა დაბადებიდან 50 წელი. საბჭოთა საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ამ საიუბილეო თარიღს. ვაქვეყნებთ მიხეილ შოლოსთვის ცნობილი რომანის — „წყნარი ღონის“ პირველი წიგნის რამდენიმე თავს. რომანის ქართულ თარგმანს სცემს სახელგამი.

არა გუთნებს გადაუხანავს მიწა ჩვენი ქებული...
ჩვენი მიწა გადათხრილა მტრის ცხენების ნალვებით.
მოთესილა კაზაკების ძელებით, თავისკალებით;
ჩვენი მამა წყნარი ღონი, მის ნაპირთა კრებული —
მოფენილა ახალგაზრდა ქვრივებით და ობლებით
ხოლო ტალა წყნარი ღონის ავსებულა ცრემლებით
მგლოვიარე მშობლების!
— პოი, ჩვენი ტყბილო მამავ, წყნარო ღონო, მდინარევე,
ასე სეველით რატომ მოსჩქეტ, მღვრიე ტალღის მზინარე?
— ეს, როგორ არ ავიმღვრევი, წყნარი ღონი მდინარე,
როცა ძირში ცივი წყარო მცემს ზვირთების მფენარი
და შუაში — თეთრა-თევზი მამღვრევეს, მოუსვენარი?!
(ძველებური კაზაკური სიმღერები)

ნაწილი პირველი

1

მელეხოვეების კარ-მიდამო სოფლის ბოლოს მდებარეობს. ეზოდან ბოსლის პატარა ჭიშკარი ჩრდილოეთით დონისაკენ გადის. აქ იწყება მომწვანო ხავსით დაფარულ ლოდებს შუა ჩამავალი რვა-საყენიანი დაღმართი და აი, მდინარის ნაპირიც: ნიჟარების სადაფოვანი ქვიშნარი, ტალღებისაგან დაკოცნილი ნაცრისფერი კენჭების დაკლანძილი არშია და შემდეგ — ქარზე ყორნისფერ ჰევლებად მოღვივლივე დონის დაჩქერი, აღმოსავლეთით — გრაკლით შემოღობილი კალოების გადასწვრივე — გეტმანის შარაგზა, ჰალარა ავშანი, ცხენის ფლოქვებით გათელილი, გამძლე შეაწითელა, მრავალძარღვა, გზაჯვარედინზე პატარა სამლოცველო, ხოლო იმას იქით კი — ციაგგადაკრული გაშლილი ტრამალი. სამხრეთით — ცარცის მთის ქედია, დასავლეთით მდებარე მოედანს კი —

შუაზე სჭრის ქუჩა, რომელიც საბოსტნე კორდებისაკენ მიემართება.

ოსმალეთთან უკანასკნელი ომის წინაკამბანიაიდან! სოფელში კაზაკი პროკოფი მელეხოვი დაბრუნდა.

ოსმალეთიდან მან ცოლად მოიყვანა შალში გახვეული პატარა დედაკაცი. ქალი სახეს მალავდა. იშვიათად თუ უჩვენებდა ვინმეს თავის ველურ, სევდიან თვალებს. აბრეშუმის შალს შორეული, უცნობი სურნელი მოჰყავდა. მისი ცისარტყელისფრად დაჩითული შალი დედაკაცეში შერს აღვიძებდა. ტყვე თურქის ქალი პროკოფის მშობლებს ერიდებოდა. მოხუცი მელეხოვი შვილს მალე გაეყარა და მის იჯახში ფეხი აღარ შეუდგამს. სიკვდილამდე არ დავიწყებია შვილის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა.

* თურქეთის კამბანია — რუსეთ-ოსმალეთის 1877 — 1878 წწ. ომი, რომელიც ბალკანეთში წარმოებდა.

პროკოფიმ მალე მოიწყო ოჯახი. დურგლებმა ხის სახლი აუგეს, ბოსელი თვითონ მოადგა და შემოდგომასე ახლად გაშენებულ სახლ-კარში გადაიყვანა ოდნე მხრებში მოხრილი უცხოელი ქალი. პროკოფი თავისი ავლადიდებით დატვირთულ ურემს ცოლთან ერთად უკან გაჰყვა და ასე გაიარა სოფელში. დიდით-პატარამდე ყველა გარეთ გამოუფინა. კახაკები ულვაშებში თავშეკავებულად იღიმებოდნენ, დედაკაცები ხმა-მალა ლაპარაკობდნენ, ხოლო პირუბანელი გოგო-ბიჭების ხროვა ყიყინით ფეხდაფეხ მისდევდა პროკოფის, მას კი ხიფთანის საკინძი გაეხსნა და თითქოს ხელის კვალს მისდევსო, ნელა მიჰყვებოდა ურემს. გარუჯულ ხელისგულში მაგრად ეკავა ცოლის ნაზი ხელი. ამაყად მიჰქონდა ქერაქოჩრიათი თავი, მხოლოდ ათროლუბული ყვარიმალის ძვლებიღა ებერებოდა და მუდამ გაჰყავებულ წარბებშუა ოფლი მოეფანდა.

ამის შემდეგ პროკოფის იშვიათად თუ ნახავდა ვინმე სოფელში. იგი არც მოედანზე! დაიარებოდა. ცხოვრობდა პირქუშად და განდგომილად თავის განმარტობულ სახლში, დონის პირას. სოფელში მასზე საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ. მენახირე ბიჭები, რომლებიც გზის იქით ხბორებს აძოვებდნენ, ლაპარაკობდნენ, თითქოს მათ ენახოთ, რომ საღამოობით, როცა დედამიწას ბინდი ეფინება, პროკოფის ხელში აყვანილი ცოლი თათრის ყორღანთან მიჰყავდა ხოლმე. იქ, ყორღანის თხემზე, საუკუნოებით გამოფიტულ და დასვერტილ ქვაზე ჩამოსვამდა, გვერდით მიუჯდებოდა და მასთან ერთად დიდხანს გაჰყურებდა ტრამალს. ისხდნენ ისინი დაისამღის. შემდეგ პროკოფი ცოლს ზიზუნში გაახვევდა და კვლავ ხელში ატატებული მიჰყავდა შინ. სოფელი თავს იმტერედა ამ უცნაური მოქმედების ასახსნელად. ქალები ჭორაობდნენ. პროკოფის ცოლზე სხვადასხვა ამბებს ლაპარაკობდნენ. ერთნი ამტკიცებდნენ — გაუგო-

ნარი სილამაზის პატრონიად, სხვები კი — პირიქით. ყველაფერი მათი მტკიცებად გამოიჩვენა, როცა დედაკაცები ყველაზე თავაწყვეტილი, საღდათის ცოლი მავრა პროკოფის სახლში მივიდა, ვითომდა პურის ხაშისთვის. პროკოფი ხაშის ამოსატანად სარდაფში ჩავიდა. ამ დროს კი მავრამ კარგად შეათვალიერა ქალი და მისთვის აშკარა გახდა, რომ პროკოფის ყველაზე გონჯი და ულამაზო თურქის ქალი შეხვედრია ცოლად.

ცოტა ხნის შემდეგ კი გვერდზე თავშალგადაგდებული, სახეაქარხლებული მავრა ორღობებებში შექუჩებულ დედაკაცებს ექაქანებოდა:

— რა ნახა, გენაცვალეთ, იმ დედაკაცში მოსაწონი? ქალს მაინც ჰგავდეს! აბა რა არის?.. რამდენად სჯობს იმას ჩვენი გოგოები. კრახანასავით წელში გადაიმტერევა, თვალები შავი, დიდრონი, ღმერთო შეგცოდე, ეშმაკივით აბრაილებს. ეტყობა, დასაწოლი უნდა იყოს, ღმერთს გეფიცებთ.

— დასაწოლიო? — ჰკვირობდნენ დედაკაცები.

— პატარა ხომ არა ვარ, სამი გამიჩენია.

— სახით როგორია?

— სახით? ყვითელი. თვალები ნაღელიანი, ეტყობა, ტკბილი არ უნდა იყოს მისთვის უცხო მხარეში ყოფნა. იციო, კიდევ რა? ქალს პროკოფის შარვალი აცვია!

— ნუთუ? — ვიშვიშებდნენ შეშინებული დედაკაცები.

— მე თვითონ ვნახე — ულამაზო შარვალი ეცვა, ეტყობა, საშინაო იყო. გრძელი პერანგი და პერანგიდან წინდებში ჩატანებული შარვალი უჩანდა. დავინახე თუ არა, შიშისაგან შიგნული გამიცვიდა.

სოფელში ჩურჩულდნენ: პროკოფის ცოლი ჯადოქრობას ეწევიაო. ასტროლოგების რძალი (ასტროლოგების სახლი პროკოფის მეზობლად იყო) იფიცებოდა, ვითომ სამებობის მეორე დღეს, გარეკარზე პროკოფის ცოლი თამაგაწევი-

1 მოდენა — კახაკების თავშესაყარი ადგილი.

ლი და ფეხშიშველი იმათ ეზოში ძროხას სწველიდა. ძროხას იმის შემდეგ ბავშვის მუშტისოდენა ცური გაუხდა, რძე გაუშრა და მალეც მოკვდა.

იმ წელიწადს ძალიან ბევრი საქონელი გაწყდა. დონის პირას, ბაკებთან ქვიშაზე ყოველდღე დახოცილი ძროხებისა და ახალმოზარდი საქონლის გვამების გროვა მოჩანდა. სენი ცხენებსაც გადაედო. დღითიღღ ილეოდა საიალალოზე გაშვებული ცხენების რემა. და აი, ამ დროს ქეჩებსა და ორლობებში ბოროტი ხმები გავრცელდა.

სოფლის ყრილობიდან პროკოფისთან კახაკები მივიდნენ.

სახლის პატრონი მათ თავის დაკვრით აივანზე გამოეგება.

— რაზე გარჯილხართ, ბატონო მოხუცნო?

დადუმებული ბრბო აივნისაკენ მიიწევდა.

ბოლოს ერთმა შესარხოშებულმა მოხუცმა პირველმა დაიყვირა:

— გამოათრიე შენი ჯადოქარი, უნდა გეცასამართლოთ...

პროკოფი სახლისკენ გაექანა, მაგრამ დერეფანში მას წამოეწივნენ. აყლაყუდა ბატარეილი — მეტსახელად ლუშნია, სწვედა პროკოფის, იგი მას თავს ეედელზე ახლევინებდა და ჩასძახოდა:

— ნუ ჰყვირი, ნუ ჰყვირი! — არათერი. შენ ხელს არ გახლებთ... შენს დედაკაცს კი მიწასთან გავასწორებთ. სჯობს ეგ განადგურდეს, ვიდრე სოფელი უსაქონლოდ ამოწყდეს, შენ კი ნუ ჰყვირი, თორემ თავით კედელს გაგარღვევინებ!

— გარეთ გამოათრიე ეგ ძუენა! — დაიღრიალეს აივანთან.

პროკოფისთან ერთ პოლკში ნამსახურმა კახაკმა თურქის ქალის თმები ერთ ხელზე დაიხვია, მეორე ხელით აწივლებული პირი დაუკემა, დერეფანში სირბილით გაათრია და ბრბოს ფეხთ დაუგდო. ბრბოს ღრიალი საშინელმა შეკეცვლებამ გაკვეთა. პროკოფიმ ექვსი კახაკი მიყარ-მოყარა, ოთახში შეიჭრა, კედელზე ჩამოკიდებული ხმალი აგლი-

ჯა. კახაკები ერთმანეთს მიაწყდნენ და დერეფანს გაეცალნენ. პრეტენდენტის მსახურებული, მოელვარე ზმლის მსახურებულ ტრიალით, აივნისა და ძირს ჩამოიჭრა. ბრბო შეკრთა და ეზოში გაიფანტა.

ბელელთან პროკოფი წამოეწია ბატარეილ ლუშნიას, რომელმაც ხანტი სირბილი იცოდა, და უკანდან მარცხენა მხარი წელამდის აღმაცერად გაუპო. კახაკებმა ღობის მარგილები ამოაძრეს და კალოდან ტრამაზე გაიფანტნენ.

ნახევარი საათის შემდეგ ბრბო კვლავ გაბედულად მოადგა ეზოს. ორი მზევრავი ფრთხილად შევიდა დერეფანში. სამხარეულოს ზღურბლთან სისხლის მორევში უხერხულად თავგადაგდებული პროკოფის ცოლი იწვა, აცახცახებული, თვალგამტვრეული პროკოფი უდროოდ დაბადებულ ბავშვს ცხვრის ქურქში ახვევდა.

•
•

პროკოფის ცოლი იმავე საღამოს გარდაიცვალა. უღლეური ბავშვი შეიცოდა და გასაზრდელად პროკოფის დედამ აიყვანა.

ბავშვს მოწალეული ქატო შემოახვიეს. ცხენის რძე ასვეს და ერთი თვის შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ შავგვრემანი, თურქის მსგავსი ბიჭი გადარჩა, საყდარში წაიყვანეს, მონათლეს და პაპის სახელი — პანტელეი დაარქვეს. პროკოფი კატორიდან თორმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა. ქალარაშერთელი, შეკრეპილი წითური წვერით, რუსულ ტანსაცმელში გამოწყობილი, უცხოვდ გამოიყურებოდა. იგი კახაკს არა ჰგავდა. პროკოფიმ შეილი წამოიყვანა და მეურნეობას დაუბრუნდა.

შავგვრემანი პანტელეი მარჯვე ბიჭი იზრდებოდა. სახითა და წერწეტა ტანით დედის წაგავდა.

პროკოფიმ იგი მეზობელ კახაკის ქალზე დააქორწინა.

ამ დღიდან კახაკისა და თურქის სისხლის შერევა დაიწყო. მათგან წამოვი-

დნენ ცხვირკეხიანი და გასაოცარი სილამაზის კაზაკები — მელეხოვეები, მეტსახელად თურქები.

მამა რომ მიწას მიაბარა, პანტელეიმ მეურნეობას მიჰყო ხელი. სახლი ახლად გადახურა, კარ-მიდამოს ერთი დღიური თავისუფალი მიწა მიუმატა, ახალი ბეღელი და ფარდული ააშენა და თუნუქის სახურავი გაუკეთა. სახლის მხურავმა, პატრონის შეკვეთით, თუნუქის ნაჭრებისაგან ორი მამალი გამოსჭრა და ბეღლის სახურავს მიაკრა. თუნუქის მამლები მელეხოვის კარ-მიდამოს მზიარულ, მდიდრულ და ზვიად შესახედობას აძლევდა.

დროთა დაღმართზე დაქანებულნი წლების მანძილზე პანტელეი პროკოფიჩი გაჰარმავდა, სიგანეში წავიდა, მხრებში ოდნავ მოიხარა, მაგრამ მიინც ბრგე მოხუცად გამოიყურებოდა: ძვალმსხვილი, კოკლი (მარცხენა) ფეხი ახალგაზრდობისას საიმპერატორო ადლუმზე დოლის დროს მოიტეხა), მარცხენა ყურში ნახევარმოთვარის მსგავს ვერცხლის საყურეს ატარებდა. ყორნისფერი წვერი და თმა სიბერემდის ფერუცვლელი შერჩა. გაბრაზების დროს თავდავიწყებამდე მიდიოდა. ამიტომაც, ეტყობა, ადრე დააბერა ოდესღაც ლამაზი, წარმოსადგეი აგებულების, ახლა კი ჩამიჩის მსგავსად სახედანაოქებელი ცოლი.

პანტელეი პროკოფიჩის უფროსი ვაჟი პეტრო უკვე ცოლიანი იყო. დაბალი, ცხვირბაჰუა, ზორბლისფერი ხუჭუჭუთმებითა და წაბლისფერი თვალებით იგი დედას წააგავდა. უმცროსი ვაჟი — გრიგორი მამის კვალზე წავიდა: პეტრო მის ყურებამდის სწვდებოდა, თუმცა აგი პეტროზე ექვსი წლით უმცროსი იყო. გრიგორის მამასავით გრძელი, ძვრასებური ცხვირი ჰქონდა. ოდნავ ირიბ პრილებში მას მოლურჯო, ნუშისებრი თვალები ანთებოდა. მკვეთრკუნთოვან სახეზე გადაქიმოდა ყავისფრად შეწითლებული კანი, გრიგორი მხრებში მამასავით იხრებოდა, ღიმილიც კი ორივეს ერთნაირი ჰქონდათ — მხეცური.

მამის ნებეირი, გრძელხელება და

დიდთვალა გოგო დუნიაშკა და პეტროს ცოლი დარია, პატარა ბავშვინი — მელეხოვეების მთელი ოჯახი.

2

განთიადის ჩაფერფლილ ცაზე დარჩენილი ვარსკვლავები ოდნავ კიაფობდნენ. ღრუბლებიდან ქარი გამოჰქროდა. დონს ყალყზე შემდგარი ნისლი დასწოლოდა და ცარცის გორაკის ფერდობებზე ფენებად შემკვრივებული, ციკაბოზე ნაცრისფერ უთავო გველივით მოცურავდა. დონის მარცხენა გასადევრები — ქვიშა, გაუვალი ლერწმინი ქანკრობი და ტყე დილის ნამზე გახელებულ, ცივ დაფიონად ციმციმებდა. დონს გაღმა ამოუსვლელი მზე ქანკილეულივით შეჩერებულიყო.

მელეხოვეების სახლში პირველმა პანტელეიმ პროკოფიჩმა გაიღვიძა. აივანზე გამოვიდა, ჯერებით ამოქარგული ხალათის საყუდელში შევიდა. მშვენიერ მოზიბინე ეზო ნამით მოვერცხლილიყო. საქონელი ეზოს გარეთ გამოუშვა. დარია ქროხების მოსაწველად პერანგისამარა გაიქცა. მისი შიშველი თეთრი წვივები რძისფერმა ნამმა დაწინწკლა. ეზოში ბალახს მონაცრისფერო, მოლივლივე ნაფხურები დაეტყო.

პანტელეი პროკოფიჩმა შეხედა, როგორ სწორდებოდა დარიას ფეხებით დატყეპილი ბალახი და შინ შებრუნდა.

ღია ფანჯრის რაფაზე ბაღნაში უკვე დაყვავილებული ალუბლების ჩამქვანარი ვარდისფერი ფურცლები ეყარა. გრიგორის ლოგინზე პირქვე ეძინა, მკლავი ძირს ჩამოვარდნოდა.

- გრიშკა, სათევზაოდ წამოხვალ?
- რას ამბობ? — ჩურჩულით შეეკითხა გრიგორი და ფეხები საწოლიდან ძირს ჩამოუშვა.

— წავიდეთ, გარიერაჟს იქ დაველოლოთ!

გრგორიმ საშინაო შარვალი კაჩხადან სრუტუნით ჩამოიღო, შარკლის ტოტები შალის თეთრ წინდებში ჩაიკეცა, დიდხანს იცვამდა ფესსაცმელს და ჩაეცილ საქუხარს ისწორებდა.

— დედამ თავთუხი მოხარშა? — შევკითხა ბრინწიანი ხმით და მამას დერეფანში გაჰყვა.

— მოხარშა, წადი კარაბაზე, მეც მალე მოვალ.

მოხუცმა პერანგში ჩაიყარა გაფუებული, სურნელოვანი თავთუხი, ხელისგულზე მუყაითად აკრიფა დაცვენილი მარცვლები და მარცხენა ფეხის კოჭლობით დაღმართისაკენ გაემართა. გრიგორი კარაბაზე აბუზული იჯდა.

— საით წავეიდე!

— შავი კლდისაკენ. ვსინჯოთ ის ადგილი — კორძიან ხესთან. სადაც იმ დღეს ვთევზაობდით.

კარაბამ კიჩოთი მიწა ათხარა, წყალზე შედგა და ნაპირს მოსწყდა. მდინარის ჩქერმა წაიღო იგი, შეატორტმანა, გვერდზე მოტრიალება უწყო. გრიგორი ნიჩბით მართავდა კარაბას.

— მოუსვი ნიჩბი!

— აი, შუაზე გავალთ და მაშინ!

გადიარეს დაჩქერი და კარაბა მარცხენა ნაპირისაკენ გაემართა. სოფლიდან შემოესმათ ტალღებზე ზრიალით გადმოვლილი მამლების ყვილი. კარაბამ შავ კლდეს შემოუარა, წყალში რომ მოჩანდა, და ნაპრალოდან ხუთი საყენის მანძილზე მორევეში შეტურდა. წყალში ჩაძირული თელის კოყრიანი ტოტები მოჩანდა. მის გარშემო ციბრუტივით ტრიალებდა რუხი კეფო.

— გაშალე, მე გავმართავ. — წასჩურჩულა მამამ გრიგორის და მუჟა აყირის ხელადის ორთქლიან პირში ჩაყო.

თავთუხი მკაფიო წკაპანით გაიფანტა წყალზე. თითქოს ვილაკამ კნინი ხმით ჩაიჩურჩულა: „შიკ“. გრიგორიმ გაფუებული მარცვლები ნემსკავზე აასხა და გაიღიმა.

— მოედე ანკესს, დიდო და პატარა თევზო!

დახვეული ნემსკავის ძუნე წყალზე დაეცა, სიმივით დაიჭიმა და, როდესაც საწაფი ფსკერზე დაეიდა, ისევ მოეშვა. გრიგორიმ ფეხი დააქირა ნემსკავის ბოლოს, ქისის ამოსაღებად ჯიბეში ზელი

ფრთხილად ჩაიყო, ცდილობდა არ განძრეულიყო.

— არაფერი გამოვა, მამამ შენგანაღმა ლეულია.

— ასანთი წამოიდე?

— წამოვიდე!

— მომაწოდე ცეცხლი!

მოხუცმა თუთუნი მოსწია და კორძიანი ხის იქით ამომავალ მზეს გახედა.

— კობრს ერთი წესი არ უწყერია! ზოგჯერ მთვარის დაღვეის დროსაც ეტანება ანკესს.

— ეტყობა, წვრილი თევზი უფრო ეტანება თავთუხს, — ამოიხბრა გრიგორიმ.

კარაბას გვერდით ტყლაშენით გაიპო წყალი და ორარშინიანი კობრი, თითქოს წითელი სპილენძისაგან არის ჩამოსხმულიო, მაღლა კენესით ამოხტა. ორავანდის ფოთოლივით ბრტყელი ბოლო წყალზე მოიქნია, ორად მოეკეცა და აფართხალდა. წყლის წვრილმა წვეთებმა კარაბას გვერდი შეწინწყლა.

— ახლა კი უცადე. — პანტელეი პროკოფიჩმა სახელოთი სველი წვერი მოიწმინდა.

კარაბას გვერდით ჩაძირული თელის გაფარჩხულ, ტიტველ ტოტებთან ერთდროულად ორი კობრი ამოხტა, მესამე — უფრო პატარა, პაერში ბურღივით შემოტრიალდა და ციცაბო კლდეს რამდენჯერმე ზედიზედ, დაყინებით შესასკდა.

გრიგორი მოუთმენლად დღეკვდა თვითნახვევი გლარჯის სველ ბოლოს. ნისლში განხვეული მზე ნახევარ შუბისტარზე იდგა. პანტელეი პროკოფიჩმა თავთუხი სულ დახარჯა. იგი უკმაყოფილოდ კუმავდა ტუჩებს და ძუნის უძრავ ბოლოს გამტერებული დაჰყურებდა.

გრიგორიმ გლარჯის ნარჩენი გამოაფურთხა და ბრაზიანად გადადევნა თვალი სწრაფად გაქანებულ ნამწვეს. იგი გულში ავინებდა მამას იმის გამო, რომ აღრიანად გააღვიძა და გამოძინების საშუალება არ მისცა. პირში, უზმოზე

მოწყული თუთუნისაგან შეტრუსული მატყლის გემო ჰქონდა. დაიკუნა, მუკით უნდოდა დაეღია წყალი, მაგრამ ამ დროს წყლის ზემოთ ნახევარი არშინის სიმალღეზე ამოწყული ნემსკაევის ძუა ოდნე შეირხა და ისევე ნელა ჩაიძირა.

— ამოსწიე, — ამოიქმინა მოხუცმა.

გრიგორი შეტორტმანდა, ნემსკაეა ამოსწია, მაგრამ მისი ბოლო სწრაფად ჩაიძირა წყალში. ნემსკაევის ტარი ხელში რკალივით მიიღუნა. ოწინარის მძლავრი დაწოლის მსგავსად ძლიერი ძალა ძირს ეწეოდა ნემსკაევის გრაკლის ტარს.

— დაიქი! — ეცნესოდა მოხუცი და კარაპას ნაპირიდან წყალში აცურებდა.

გრიგორი ცდილობდა ნემსკაევის ამოწყევას, მაგრამ ვერ შეძლო. ნემსკაევის მსხვილი ძუა მშრალად გატკაცუნდა და გაწყდა. გრიგორიმ წონასწორობა დაკარგა, წაბორძიკდა.

— ნამდვილი ხარია! — ჩურჩულებდა პანტელეი პროკოფიჩი, მას აღლევებისაგან ხელი უკანკალებდა და ნემსკაევის წვერზე თავთუხს ველარ აგებდა.

აღლევებულმა, მომცინარმა გრიგორიმ ახალი ძუა მოუბა ნემსკაევის და წყალში გადაისროლა.

საწაფი როგორც კი ფსკერს მოედო, ნემსკაევის ტარი მოლუნა.

— შეხე ამ წყეულს! — წაიფრუტუნა გრიგორიმ და დაჩქერისაკენ გაქანებული თევზი ფსკერს ძლივს მოაშორა.

ნემსკაევის ძუა გამაყრუებლად აზრილდა და წყალი შემოხაზა. უკან მწვანე, ირიბ ტილოსავით იმღერეოდა წყალი. პანტელეი პროკოფიჩი ჯარგავალა თითებით სახაპელის სახელურს ატრიალებდა.

— წყალზე შემოატრიალე, მაგრა დაიქი, უფრთხილდი, თან არ ჩაგიტანოს!

— ფიჭი ნუ გაქვს!

დიდი, მუქწითელი, ყვითელლაყუჩა კობრი ზევით ამოსრიალდა. წყალი აქაფა, დიდშუბლა ბლაგვი თავი წინ წაიწია და ისევე მშუღლით ჩაეშვა სიღრმეში.

— ხელი დამიბუცდა, შარსი... არა, დამაცადე!

— დაიქი, გრიშკა!

— მიჭირა-ა-ვის!

— ფრთხილად, კარაპას ქვეშ არ შეუშვა!.. ფრთხილად!

გრიგორიმ სული მოითქვა და გვერდზე გადაბრუნებული კობრი კარაპასთან მიათრია. მოხუცმა სახაპელის აღება დააპირა, მაგრამ კობრმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ისევე სიღრმეში ჩაეშვა.

— თავი ამოუწიე, დაე, ჰაერი ჩაუკლავოს, მაშინ კი დაწყნარდება!

გრიგორიმ ხელმეორედ ამოყვანილი, გატანჯული კობრი ისევე კარაპასთან მიათრია. კობრი განიერი პირით ამოქნარებდა, იგი ცხვირით კარაპას ხორკლიან გვერდს მიეკრა, გაჩერდა და ნარინჯოვანი ფარფლები ოქროსფრად აათრთოლა.

— ბრძოლა გაათავა! — წაბუბუნა პანტელეი პროკოფიჩმა და სახაპელი მოსდო.

კიდევ ნახევარ საათს ითევზავეს. მერე კობრთა ბრძოლა მიყუჩდა.

— ნემსკაეები დაახვიე, გრიშკა, ალბათ ეს უკანასკნელი გავაბით, მეტს ველარ დავიჭერთ!

შინ წასასვლელად მოემზადნენ. გრიგორიმ კარაპა ნაპირიდან წყალში შეაცურა. ნახევარი გზა გაიარეს. გრიგორიმ მამას სახეზე შეამჩნია, რომ მას რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მოხუცი გორაკის ძირას გაფანტულ სოფლის სახლებს დღემილით გაჰყურებდა.

— აი, რა გითხრა გრიგორი... — გაუბედვარდ დაიწყო მან, იგი ფეხებზე მდებარე ტომრის კვანძებს ძენძავდა, — გამჩნეე, აქსინია ასტახოვასთან რალაცას ცუდლუტობ... —

გრიგორის სახე შეუფაკლდა, გვერდზე მიიხებდა. პერანგის საყელომ მზეზე დამწვარი, ჩასხმული კისერი ჩაუქრა და მზედაუქრავი თეთრი ზოლი გამოუჩინა.

— შენ ნუ გგონია, ყმაწვილო, — უკვე მკაცრად და ბრაზიანად განაგრძო

მოხუცმა, — მე შენ სხვანაირად დაგელაპარაკები! სტეფანე ჩვენი მეზობელია და იმის დედაკაცთან ღლაბუცობის ნებას არ მოგცემ. აქ შეიძლება ცოდვა დატრიალდეს, წინასწარ გაფრთხილება, თუ კიდევ რამე გავიგე, მაგრად გაილახები, იცოდე!

პანტელეი პროკოფიჩმა ძარღვიანი თითები მუშტად შეკრა, გადმოკარკლული თვალები მოკუბტა და შეხედა, როგორ წაუვიდა ფერი გრიგორის.

— ქორებია! — ყრუდ, თითქოს წყლიდან ამოიძახაო, წაიბუტბუტა გრიგორიმ და მამას ჩალურჯებული ცხვირის ძვალს თვალები პირდაპირ მიანათა.

— ხმა ჩაიკმინდე!

— ხალხი რას არ იტყვის!

— ჩუმიად-მეთქი, ძაღლის შევილო!

გრიგორი ნიჩაბს დააწეა. კარაპა წყალზე ხტომით მიცურავდა. აიჭორბა, ათამაშდა კინოს იქით მოლივილივე წყალი.

სანვემდის ხმა აღარ ამოუღიათ. ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, მამამ მოაგონა:

— გამიგონე, არ დაივიწყო, თორემ... დღეის იქით სასეირნოდ წასული არა გნახო. ეზოდან ფეხი არ გაადგა!

გრიგორი გაჩუმდა, კარაპა მიაბა და შეეკითხა:

— თვეზი დედაკაცებს მივუტანო?

— არა, ვაჭრებს წაუღე, გაყიდე, — მოლბა მოხუცი. — თუთუნის ფულს მაინც იშოვი.

გრიგორი ტუჩებს იკვნეტდა და მამას უკან მისდევდა, ბრაზიანი თვალებით ბურღავდა მამის ჩასხმულ კეფას და თან ფიქრობდა: „ვერ მოგართვი, მაშჩემო! ფეხებიც რომ შემიკრა, დღეს მაინც წყალ სასეირნოდ!“

სახლში გრიგორიმ კობრის ქერცლზე მიმხმარი ქეშია მზრუნველი ხელით ჩამორეცხა, ლაყურებში წნელი გაუყარა.

ქიშკართან გრიგორის დიდი ხნის მეგობარი, მისი კბილა მიტკა კორმუნოვი შეეჩება. მოდის მიტკა, ბალთებ-აწყობილ ქამრის ბოლოს ათამაშებს, მისი ვიწრო ქუთუთობიდან მრგვალი,

წვლიანი, თავხედი თვალები გამოიცილებიან. თვალის გუგები მიტკას ცხელი სებური აქვს, ამიტომაც მიხუტავს თავს მოციმციმე და ძნელი დასაქერია.

— სად მიგაქვს ეგ თვეზი?

— დღეს დავიჭირეთ, გასაყიდად მიმაქვს.

— მოხოვებთან?

— ჰო!

მიტკამ თვეზი თვალით ასწონა.

— თხუთმეტი გირვანქა იქნება.

— თხუთმეტნახევარია, სასწოროზე ავწონე.

— თან წამიყვანე! ვაჭრობაში მოგვებმარები.

— წამოდი.

— მაღარიმი იქნება?

— მოვრიგდებით, ტყუილად რასა ყბედობ?

წირფობა გამოსული ხალხი ქუჩაში გამოიფეხილიყო.

გზაზე სამი ძმა, მეცსახელად შამილები, მხარიმხარ მოაბიჯებდნენ.

უფროსი — ცალხელა ალექსი შუამი მოდიოდა. მუნდირის ვიწრო საყელო ძარღვიან კისერს უჭიმავდა. ხუნუქი, თხელი წვერი სასაცილოდ გვერდზე მოქცეოდა. მარცხენა თვალი ნერვიულად უფახულებდა. დიდხანია მას შემდეგ, რაც ალექსის სასროლ მოედანზე ხელში შაშხანა გაუსკდა, ჩაბნახის ნატეხმა ლოყა დაუსახიჩრა, იმის შემდეგ თვალი წამდაუწუმ უფახულებს. ცისფერი კრილობით გადასერილ ლოყას კოჩორი უფარავს. მარცხენა ხელი ნიდაყვამდის მოგლეჯილი აქვს, მაგრამ ალექსი ცალი ხელითაც ოსტატურად და აუცდენლად ახვევს თუთუნს. მვერდზე ქისას ზედ ამოხნეჭილი გულანფიცართან მიიკრავს, კბილებით მოგლეჯს ქაღალდის საჭირო ნაგლეჯს, ღარისებურად მოკეცავს, ამოიღებს ბლუჯა თუთუნს და ელვის სისწრაფით გაახვევს. კაცი მოხედვას ვერ მოასწრებს, რომ ალექსი თვალების ფახვით უკვე ღეპავს ქაღალდში გახვეულ თუთუნს და ასანთს თხოულობს.

თუმცა ცალხელაა, მაგრამ სოფელში პირველ მოკრივედ ითვლება. მუშტიც, თითქოს, არც ისეთი დიდი აქვს, ისე, პატარა მუქეჭიანი გოგარისოდნა. ერთხელ სახანავე ხარს გაუბრაზდა, შოლტო დაკარგვოდა, დაპყრა მუშტი და ხარი ხნულში ჩავარდა, ყურებიდან სისხლი წასკდა, ძლივსლა მოსულეიერდა. დანარჩენი ძმები, მარტინი და პროზორი, ყველაფრით წააგავდნენ ალექსის. ისეთივე დაბალი ტანისანი, ჯმუხი და მუხსანავით ჩასხმულები, მხოლოდ ორივეს ორ-ორი ხელი ჰქონდათ.

გრიგორი მიესალმა შამილებს. მიტკამ ჩაიარა და გვერდზე მიიხედა. ყველიერში, კრივის დროს ალიოშკა შამილმა არ შეიბრადა ახალგაზრდა მიტკას კბილები, ვრათი ხელუკუდმა შემოჰკრა და მიტკამ დაქედლი ქუსლებით დაფხანნილ ყინულზე ორი საძირე კბილი გამოაფურთხა.

ალექსი გაუსწორდა მათ და ხუთჯერ ზედიზედ დააფახულა თვალი.

— მომყიდე ეგ ჯირკი?

— იყიდე!

— რას აფასებ?

— უღელი ხარი მომეცი და ზედ კიდევ ცოლიც დაუმატე!

ალექსიმ თვალები მოკუტრა და მოგლეჯილი გლარჯის ნარჩენი გაიჭნია.

— უცნაური ვინმე ხარ, უცნაური, ოხ-ხოხ-ხო! ცოლი დაუმატეო! შევილებს არ წაიყვან?

— შეილები შენთვის დაიტოვე, თორემ შამილები გადაშენდებიან!—იღრიჭებოდა გრიგორი.

მოედანზე, ეკლესიის გალავანთან, ხალხი შეკრებილიყო. ეკლესიის მნათეს მალა აწეულ ხელებში ბატი ეჭირა და ყვიროდა: — ათი შაური! მოვიდა!.. ვინ მტეი?

ბატი კისერს ატრიალებდა და ფირუზისფერ თვალებს ზიზლით ქუტავდა. იქვე ხალხის წრეში ჯვრებითა და მედლებით მკერდგადავსილი ქაღარა მოხუცი ხელებს იჭნევდა.

— ჩვენი პაპა გრიშაკა თურქეთის ომზე ამბავს ჰყვება!

მიტკამ თვალთ ანიშნა: „წამოდი, მოვეუსმინოთო“.

— სანამ მაგას მოვეუსმინებ, კობრი გასივდება და აყროლდება.

— გასივდება და ჩვეც ეს გვინდა! წონაში მოიმატებს.

მოედანზე, სახანძრო ფარდულის იქით, სადაც უხელნო სახიდებზე შედგმული ზის სახანძრო კასრები მზეზე ხმება და იშლება, მოხოვის სახლის მწეანე სახურავი მოჩანს. გრიგორი და მიტკა ლაპარაკით მოხოვის აივანთან მივიდნენ. სახლის მთელი მოაჯირი გარეული ყურმნის ფოთლებით იყო დაფარული. აივანზე დაწინწკლული, მოთენთილი ჩრდილი იწეა.

— აი, მიტკა, როგორ ცხოვრობს ხალხი!

— კარგებს სახელურიც კი მოოქრულია! — მიტკამ აივნის კარი შეაღო.

— რომელი ხარ? — შეეკითხნენ ტერასიდან.

გრიგორი დაიბნა, პირველი შევიდა. კობრის კუდი შეღებილი იატაკის ფიკრებს ჰგვიდა.

— ვინ გნებავთ?

ქილით მოწულულ სარხეველში ქალიშვილი იჯდა. მას ხელში ხენდროთი საესე ლამბაქი ეკავა. გრიგორი ჩუმად უმზერდა ქალის ვარდისფერ, მსუქან ტუჩებს. რომლებიც ხენდროს სწუწნიდნენ. ქალიშვილმა თავი დახარა და მოსულნი შეათვალეირა.

გრიგორის მიტკა მიეშველა, ჩაახველა.

— თევზს არ იყიდით?

— თევზს? ახლავე ვიკითხავ.

მან სარხეველა შეარხია, წამოდგა, ტიტველ ფეხზე წამოცმული ნაჭარგი ქოშები გააფრატუნა. მზე თეთრ კაბას ულანდავდა. მიტკამ საესე ფეხების მოყვანილობა და ქვედა კაბის განიერი, მონარნარე არშია ბუნდოვნად დაინახა. მიტკას თვალი მოსტაკა შიშველი წვივების სითოთრემ. კანი მხოლოდ მრგვალ ქუსლებზე ჰქონდა ვარდისფრად შეღვივებული.

მიტკამ გრიგორის ხელი ჰკრა.

— შეხე, გრიშკა, რა კაბაა... როგორც მინაში, ისე მოჩანს ყველაფერი. ქალიშვილი დერეფნის კარიდან გამოვიდა, რბილად დაემკვა საეარქელზე.

— შედით სამზარეულოში!

გრიგორი ოთახში თითის წვერებზე შევიდა. მიტკამ ფეხი წინ წადგა და თვლების ქუთვით მიაჩერდა ქალის თავზე თეთრ ზოლს, რომელიც ორ ნაწილად უყოფდა ოქროსფერ თმას. ქალიშვილმა იგი მოუსვენარი, ცელქი თვლებით შეათვალიერა.

— აქაური ხართ?

— აქაური!

— რა გვარის?

— კორშუნოვი.

— სახელი?

— მიტრი მქვია.

მან ყურადღებით დაიხედა ვარდისფერ ფრჩხილებზე და სწრაფი მოძრაობით ფეხები შეიკეცა.

— რომელმა დაიპირეთ თევზი?

— გრიგორიმ, ჩემმა მეგობარმა.

— თქვენ თევზაობთ?

— ვთევზაობ, როცა ხასიათზე ვარ.

— ანკესით?

— ანკესითაც, ჩვენებურად, ფაცივრით.

— მეც მინდოდა სათევზაოდ წასვლა, — თქვა მან და გაჩუმდა.

— მერე რა წავიდეთ, თუკი სურვილი გაქვთ.

— როგორ მოვაწყობთ ეს საქმე? — სერიოზულად გეუბნებით.

— მხოლოდ ადგომაა საჭირო ძალიან დარე.

— მე კი ავდგები, მაგრამ ვინმემ უნდა გამოაღვიძოს.

— გალვიძება კი შეიძლება, მაგრამ მამათქვენი?

— მამა რა შუაშია?

მიტკამ გაიცინა.

— ქურდი არ ვეგონო, ძაღლებს მომისევს.

— სისულელეა, მე მარტო მძინავს კუთხის ოთახში. აი ის არის ჩემი ფანჯარა. — და თითით უჩვენა. — თუ მოხვდით, დაშიკაყუნეთ და მე ავდგები.

სამზარეულოდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი ისმოდა: გრიგორიმ... მიტკამ... ხმა და მზარეულის ბოხი ბუბუნია.

მიტკა კახაკური ქამრის ჩაშავებული ვერცხლის ბოლოს ათამაშებდა და დუმდა.

— ცოლიანი ხართ? — შეეკითხა ქალიშვილი თბილი, მალული ღიმილით.

— მერე რა?

— ისე, მაინტერესებს.

— არა, უცოლო ვარ.

მიტკა უეცრად გაწითლდა, ქალი ხელში ათამაშებდა სათბურის ზენდროს ტოტს, რომელსაც იატაკზე მარცვლები დასცივინოდა, ეშმაკური ღიმილით ეკითხებოდა:

— მიტკა, ქალიშვილებს უყვარხარ?

— ზოგს ვუყვარვარ, ზოგს — არა.

— მითხარით... თვალეში ხვად კატას რატომ მიგიგავთ?

— როგორ თუ ხვად კატას? — დაბნეულად იკითხა მიტკამ.

— დიახ, სწორედ რომ კატას.

— ეს, ალბათ, დედაჩემის ბრალია! მე აქ ბრალი არა მაქვს.

— ქალს რატომ არა გრთავენ, მიტკა! ერთი წუთით შემკრთალი მიტკა გონს მოვიდა, მიუხედა ქალიშვილის სიტყვებში ოდნავ შესამჩნევ დაცივნას, ყვითელი თვალეში ააციმიციმა.

— ჯერ საცოლე არ გამოწრდია!

ქალმა გაკვირვებით ასწია წარბები, გაწითლდა და წამოდგა.

აივნაზე ქუჩიდან ფეხის ხმა მოისმა. ღიმილში დაფარულმა იღუმალმა სიცილმა მიტკა ჭინჭარივით დასუსხა. თვითონ სახლის პატრონმა, სერგეი პლატონის მოხვემა, რომელიც შვეროს განიერ ფეხსაცმელებს რბილად მოაფრატუნებდა, თავმოწმონედ შემოსვენა თავისი მსუქანი ტანი და გვერდზე დამდგარ მიტკას ჩაუარა:

— ჩემთანა ხართ? — ისე შეეკითხა, მისკენ თავიც არ მოუბრუნებია.

— მამა, ამათ თევზი მოიტანეს.

გრიგორი სამზარეულოდან ხელცარიელი გამოვიდა.

3

გრიგორი სვირნობიდან მამლის პირველი ყვილის შემდეგ დაბრუნდა, დერეფანში რომ შევიდა, გადადუღებული სვიის სურნელოვანი სანელებლისა და გამხმარი ურცის სუნი ეცა.

ოთახში თითის წვერებზე შევიდა, ტანსაცმელი გაიხადა, ფრთხილად დაჰკიდა საგარეო ლამპასებიანი შარვალი, პირჯვარი გადაისახა და დაწვა. იატაკზე ფანჯრის ალათიდან შემოსული ჯვარედინად გადაკვეთილი მთვარის შუქი ოქროსფერი ციმციმით თვლემდა. კუთხეში, ნაქარგი პირსახოცების ქვეშ, მჭრალად გაპრიალებული ვერცხლის ხატები ელაგა, საწოლის თავზე ჩამოფარებულ ტილოზე დამფრთხალი ბუნების გულისწამლები ბზუილი ისმოდა. ჩასთვლიმა, მაგრამ ამ დროს სამზარეულოში ძმისწულმა ტირილი დაიწყო.

საონწაუსმელი ურემივით აჭრიალდა აკვანი. დარია ნამძინარევი ხმით აბუტბუტდა:

— გაჩუმი, საძაგელო ბავშვო! არც ძილია შენთვის და არც მოსვენება. მერე ნელა დაიდილინა:

გამოთილილ საღამერო,
სად იყავი, საამერო?
ცხენებს ვყარაულობდი!
მერე რას პოულობდი?
მე ვიპოვე ჩვენი
შეკრული ცხენი,
უნაგროთ, ოქროდოჩით
კოხტად დანამშვენა!

აკვნის ნანასავით მწყობრ ჭრიალში ბურანში წასულ გრიგორის მოაგონდა: „ხელო პეტრო საბანაკოდ გადის, დარია ბავშვით დარჩება, ალბათ უიმისოდ მოგვიწევს თიბვა“.

თავი ბალიშში ჩაფლო, მაგრამ დარიას სიმღერა ყურებში მომამეზრებლად ეწვეთებოდა:

მერე ცხენი სად არი?
პიშკართან დგას სადავით!
პიშკარი სადღა იყო?
საღვარმა წაიღო!

გრიგორის ცხენის ჭიხვიწმა ძილი გაუფრთხო. პეტროს საღამერო კეთრუნის ხმა იცნო.

გიგლომთქვა

უძილობისაგან მოდუნებული თითუბით დიდხანს იკრავდა პერანგს, გაბმულ სიმღერაში თითქმის ისევ ჩაეძინა:

ბატები რაღა იქნენ?
ლერწმანში წაიღნენ.
ლერწმანი სადღა ძვენ?
გოგოებმა გადაწვეს
გოგოები საღა გყავს?
ყველა გოგო ქმარს გაყავა!
კახაეები რა იქნენ?
უკვე ოშში წაიღნენ...

ძილატებნილმა გრიგორიმ ზღაზენით მიადწია საჯინბომოდის. ცხენი ეზოში გამოიყვანა. სახეზე მოდებულმა ობობას ქსელმა შეუღიტიტინა და უცებ გამოაფხიზლა.

დონს ირიბად გადაჰკეროდა მთვარის უვალი გზა, მდინარეს ნისლი დასწოლოდა, ცაზე კი ვარსკვლავები გაფანტულიყვნენ, ცხენი უკანა ფეხებს ფრთხილად ადგამდა. წყალზე ჩასასვლელი გზა ცუდი იყო. გაღმიდან იხვეების ყოყინი ისმოდა. ნაპირთან შლამში წვრილმან თევზზე მონადირე ლოქო კუდის ძლიერი მოქნევით პაერში შემოტრიალდა და წყალში ტყაპანით ჩავარდა.

გრიგორი წყლის პირას დიდხანს იდგა. ნაპირზე სიდაპლის, ნესტის სუნი იდგა. ცხენს ქვიქვირიდან წვრილი წინწყლები ჩამოსდიოდა. გრიგორის გულში მსუბუქი, ტკბილი სიცარიელე იყო. კარგია, როდესაც არაფერს ფიქრობ. უკან დაბრუნებისას აღმოსავლეთს გახედა. ცაზე ლაგვარდი ბურუსი უკვე შეთხელებულიყო.

საჯინბოსთან დედას წააწყდა.

- გრიგორი, შენა ხარ?
- მაშ ვინ იქნება!
- ცხენს წყალი დააღვეინე?
- დავალევიანე, — უგულოდ უპასუხა გრიგორიმ.

წელში უკანგადახრილ დედას ღუმელის ასანთებად ხმელი წივა წინსაფრით

მიაქვს. მოდუნებულ ტიტველ ფეხებს იგი ნელა მიაფრატუნებს.

— ვადადი, ასტახოვები გააღვიძე, სტეფანე ხომ ჩვენს პეტროსთან ერთად აპირებს წასვლას.

ცივი ერთნატილი ზამბარასავით სკი-მავდა გრიგორის გულს, მთელს ტანში მჩხვლეტავი ქიანტველები ირეოდნენ. კიბის სამი საფეხური აირბინა და ასტახოვების აივანზე გაჩნდა. კარი ღია დაუხვდა. სამზარეულოში გაშლილ ქილობზე სტეფანეს ილიაში ცოლის თავი ამოედგა და ისე ეძინა.

თალხ სიბნელეში გრიგორიმ დაინახა მუხლებს ზევით აყეცილი აქსინიას პერანგი, არყის ხას ფერი თეთრი ფეხები.

მან ქურდულად მიმოიხედა და უცხო ხმით ხრინწიანად წარმოთქვა:

— ჰეი, ვინა ხართ აქა? ადევით!

აქსინიამ ამოიყენესა.

— ოჰ, ვინ არის? რომელი ხარ? აკანკალებული ხელით ტიტველა ფეხებზე დაიწყო ფათური, პერანგი ჩამოიწია, ძილში პირიდან ჩამოვარდნილი ნერწყვის ლაქა ბალიშზე დარჩა. ღრმია ძილი დედაკაცისა აღიონზე.

— მე ვარ, თქვენს გასაღვიძებლად დედამ გამომგზავნა.

— ახლავე ავღვებით. ჩვენსა ვერ შემოხვალ, რწყილების შიშით იატაკზე გვიძინავს. სტეფანე, გესმის? ადევით!

გრიგორიმ აქსინიას ხმაში უხერხულობა ამოიკითხა და ჩქარა წავიდა.

*
*
*

სოფლიდან სამაისო ბანაკში ოცდაათამდე კახაკი მიდიოდა. შეკრების ადგილად დანიშნული იყო მოედანი. შვიდი საათისათვის მოედნისაკენ დაიძრნენ ბრუნვებით მოჩარდახული ბრინჯები და სამაისო ტილოს ხალათებში გამოწყობილი, შეიარაღებული ცხენოსანი და ფეხოსანი კახაკები.

პეტრო აივანზე გარღვეულ თოფრას საჩქაროდ აკერებდა. პანტლევი პროკოფიჩი პეტროს ცხენის გვერდით ტრია-

ლებდა, ვარცლში შერიას უყრიდა და ხანგამოშვებით წამოიძახებდა:

— დუნიაშკა, ორცხობდღეს მარტყმა მოჰყერე? ქონს მარილი დააყარე?

აღაღაღებული დუნიაშკა ეზოში საზაფხულო სამზარეულოდან სახლამდის მერცხალივით დასრიალებდა და მამის შენიშვნებს სიცილით იგერიებდა.

— მამა, თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ, ჩემს ძმას საგზაოს ისე ჩავულაგებ, რომ ჩერკასკამდის¹ ვერ გაინძრეს.

— არ გაძლა? — იკითხა პეტრომ, რომელიც ვაფისულ ძაფს ნერწყვით ასველებდა და თავით ცხენზე ანიშნებდა.

— ლეჰვეს, — დინჯად უპასუხა მამამ, იგი ცხენს საოფლეებს ზოტკლიანი ხელისგულით უსინჯავდა. — პატარა საქმეა? საქმარისია, ერთი რამ ნამცეცი ან ბალახის ღერო მიეკრას საოფლეს, რომ ერთ გადასაჯალზე ცხენს ზურგი გადაუტყოს!

— მამა, დაამთავრებს თუ არა ცხენი ქამას, წყალი დააღვივინეთ.

— გრიშკა წაიყვანს დონზე! ეი, გრიგორი, წაიყვანე ცხენი!

მაღალი, კუნთმაგარი, შუბლვარსკვლავიანი დონური ცხენი თამამით წამოვიდა. გრიგორიმ იგი ეზოს გარეთ გამოიყვანა. მარცხენა ხელით ოდნავ შეეხო ჯიდაოს, შეაბტა და ადგილიდანვე გაკრული ნაბიჯით გაჰქუსლა. დაღმართზე შეჩერებას ეცადა, მაგრამ ცხენს ფეხი შეეშალა, უფრო გაჩქარდა და ფერდობზე ნავარდით დაეშვა. უკან გადახრილმა, თითქმის ცხენის ზურგზე გადაწოლილმა გრიგორიმ გორაკზე ვედროებით მხარზე მომავალი ქალი დაინახა. გრიგორიმ ლიანდაგი გადასჭრა, ამტვერებულ გზას გადაასწრო და ცხენით პირდაპირ წყალში ჩაიჭრა.

გორაკიდან მხრების რხევით ჩამოდიოდა აქსინია. ქალმა გრიგორის შორიდანვე ხმამაღლა დაუყვირა:

— გიჟო, მოუსვენარო, ცხენით კინადამ გამოთლე. დამაცადე, ვუთხრა მამაშენს, რომ ასე დაჯირითობ!

¹ ნოვოჩერკასკამდე.

— აბა, აბა, მეზობელო, ნუ ილანძღე-
ბი, როცა ბანაკში ქმარს გაისტუმრებ,
იქნებ ყანაში მეც გამოგადგე.

— რა ეშმაკად მინდიხარ!

— დაიწყება თიხვა და შემეხვეწები
კიდევ, — იცინოდა გრიგორი.

აქსინიამ ნაპირზე გამართულ ფიცარ-
ნაგიდან მხრეულზე გადაკიდებული
ვედრო მარჯვედ გადასო. ქარზე აფრია-
ლებული კაბა მუხლებშუა შეიკეცა და
გრიგორის შეხედა.

— რაო, მიღის შენი სტეფანე? — ჰკით-
ხა გრიგორი.

— მერე შენ რა?

— რანაირი ხარ... კითხვა არ შეიძ-
ლება?

— მიღის, მერე?

— მამ რჩები რაღა უქმროდ?

— ასე გამოდის.

ცხენმა ქვიქვირი წყალს მოაშორა.
ლაგამზე წვეთ-წვეთად ჩამოსული წყა-
ლი კრიალით დაღეჭა. წინა ფეხი
წყალს დაჰკრა და დონის გაღმა ნაპირს
გახედა. აქსინიამ მეორე ვედროც გაა-
სო. მხრეული გაიღო და მსუბუქი რბე-
ვით გორაკზე ავიდა. გრიგორიმ ცხენი
უკან შიავოლა. ქარი აქსინიას კაბას უფ-
რიალებდა, შავგერემან კისერზე წვრი-
ლი კულულები ერხეოდა. თავზე შემოხ-
ვეული მსხვილი ნაწნავების კვანძზე ფე-
რადი აბრეშუმით მოქარგული არახინი
უბრწყინავდა. ქვედა კაბაში ჩაკეცილი
ვარდისფერი პერანგი ჩასხმულ ზურ-
გსა და ბეჭებზე შემოჰკეროდა. გორაკზე
ასვლის დროს აქსინია წინ იხრებოდა,
ზურგზე პერანგის ქვეშ ნათლად ემჩნე-
ოდა სიგრძივ ჩალარული ზოლი. გრი-
გორი მის ყოველ მოძრაობას თავს
აყოლებდა. ისევ გამოლაპარაკება უნ-
დოდა.

— უქმროდ მოიწყენ არა?

მიმავალმა აქსინიამ მოიხედა და გაი-
ლიმა.

— მამ როგორა გგონია! აი, შეირთე
ცოლი. — უთხრა აქსინიამ სულს მოთ-
ქმით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — შეირ-
თე ცოლი და... მაშინ გაიგებ, მოიწყენ
თუ არა უმეგობროდ.

გრიგორიმ ცხენი გააჩქარა, აქსინიას
გაუსწორდა და თვალბეჭდით მისი

— ზოგიერთ დედაცა უნდა ქმრის
გასტუმრება. ჩვენი ღარი, როცა პეტ-
რო შინ არ არის, სუქდება კიდევ.

აქსინიას ცხვირის ნესტოები ებერე-
ბოდა, მკვეთრად სუნთქავდა, თმას ისწო-
რებდა და ამბობდა:

— ქმარი წურბელა არ არის, მაგრამ
სისხლს კი გწოვს. შენ ალბათ მალე
შეგრთავენ ცოლს!

— არ ვიცი, მამა როგორ იტყვის. ალ-
ბათ ჯარიდან რომ დავბრუნდები,
მაშინ.

— ახალგაზრდა ხარ, ჯერ ნუ შეირ-
თავ ცოლს!

— რატომ?

— მოსაწყენია. — აქსინიამ წარბე-
ჭვეშ გამოხედა, ტუჩები მოკლეა და ოდ-
ნავ გაილიმა. გრიგორიმ პირველად შე-
ამჩნია მისი ხარბი, ურცხვი, ფუნჯულა
ტუჩები.

გრიგორი ცხენის ფაფარსა სწწავდა და
თან ეუბნებოდა.

— ცოლის შერთვის სურვილი არა
მაქვს, ვისმე ისეც შევუყვარდები.

— ამოირჩიე ვინმე?

— რად მინდა ამორჩევას.. აი შენ
გასტუმრებ სტეფანეს და მაშინ...

— შენ მე ნუ მეთამაშები.

— დამეყეფე?

— სტეფანეს ვეტყვი ერთ სიტყვას
და...

— მე შენ სტეფანეს...

— ძალიან ნუ ვაყკაცობ, არ ინანო!

— ნუ მაშინებ, აქსინია.

— მე არ გაშინებ. შენი საქმე გოგო-
ბია, გაუშვი, ცხვირსაზოცები იმათ მო-
გიქარგონ, მე კი თავი დამანებე.

— შენ ჯიბრზე თავს არ დაგანებებ.

— როგორც გინდა.

აქსინიამ შერიგებით გაუღიმა და ბი-
ლიკზე გადავიდა, ცხენს უნდა ასცდნო-
და. გრიგორიმ ცხენი გვერდზე მოატრა-
ლა და გზა გადაუღობა.

— გრიშა, გამატარე!

— არ გაიშვებ!

— ნუ სულელობ. ქმარი უნდა გავის-
ტუმრო.

მოლოძმარი გრიგორი ცხენს აფიცებ-
და. ცხენი ნაბიჯით მიიწევდა წინ და აქ-
სინიას ციკაბოსაკენ ავლებდა.

— გამატარე, შე დაწყევლილო, ხალ-
ხი დაგინახავს, რას იფიქრებს!

შეშინებულმა ქალმა მიიხედ-მოი-
ხედა, შუბლი შეიკრა და ისე გაიარა,
უკან არ მოუხედა.

თვანზე პეტრომ მშობლებს ემშეო-
დობებოდა. გრიგორიმ ცხენი შეკაზმა,
პეტრომ საჩქაროდ ჩამოვიდა კიბეზე-
თან ხელით ხმალს იმაგრებდა. მერე
გრიგორის აღვირი ჩამოართვა.

ცხენმა იგრძნო, რომ გზას უნდა გას-
დგომოდა, იგი მოუსვენრად ადგამდა
ფეხებს, აქაფებულ პირში ლაგამს
ათამაშებდა. პეტრომ ფეხით უზნაგი
დაიჭირა, ტაბატას დაეკიდა და მამას
უთხრა:

— მაშა, ნიშა ხარს ბევრს ნუ ამუ-
შავებ, შემოდგომამზე გავევიდოთ, გრი-
გორის ხომ ცხენი უნდა შეეუძინოთ.
ველზე მოთიბული ბალახი არ გაყიდო,
ხომ იცი, ჭალაში რა უხვირო მოსავა-
ლია!

— ღმერთმა კეთილი მგზავრობა
მოგცეს! — ჩაილაპარაკა მოხუცმა და
პირჯვარი გადაისახა.

პეტრომ უნაგირზე თავისი ჩასხმული
ტანი ჩვეული მოძრაობით შეაგდო და
ქამარში ამოწეული ხალათის ნაკეცი
გაისწორა. ცხენი ჭიშკრისაკენ გაეპარა.
ხმლის თავმა მზეზე ოდნავ გაიბრქვე-
ალა. იგი ცხენის ნაბიჯთან შეწყობით
არხეოდა.

დარიას ბავშვი ხელში აეყვანა და
ქმარს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. დედა
შუა ეზოში იდგა, სახელოთი ცრემლებს
იწმენდა, გაწითლებულ ცხვირს კი
წინსაფრის ბოლოთი იხოცავდა.

— ძამიკო, ღვეხელი დაგაიწიყდა,
ღვეხელი, კარტოფილის ღვეხელი!
დუნიაშკა ჭიშკრისაკენ თხსავით,
ბტუნით გაიქცა.

— რასა ღრილებ, ცეტო, — დაუყ-
ვირა გაჯავრებულმა გრიგორიმ მშენს!

— ღვეხელი დარჩა-ა! — ღმბეს მი-
ყულებული დუნიაშკა სლუქუნებდა და
ჭუჭყიანი, აწითლებული ლოყებიდან
საშინაო კოფთაზე ცრემლები ჩამოსდი-
ოდა.

დარია თვალბზე ხელმოჩრდილუ-
ლი გზაზე ავარდნილ მტვერში ქმარის
თეთრ ხალათს გასცქეროდა. პანტელეო
პროკოფიჩმა ჭიშკრის დამპალი ბოძი
შეაჩვია და გრიგორის შეხედა.

— კარები გაასწორე, კუთხეებში
ბოძებისათვის ორმოები ამოთხარე.
მერე დაფიქრდა და თითქოს ახალი ამ-
ბავი შეატყობინაო, დასძინა: — პეტრო
წავიდა!

გრიგორი ღობიდან ხედავდა, თუ რო-
გორ ემზადებოდა სტეფანე. მწვანე
შალის კაბაში გამოწყობილმა აქსინიამ
ქმარს ცხენი მოჰგვარა. სტეფანე ღმი-
ლით რალაცას ეუბნებოდა. ნელა, დინ-
ჯად აკოცა ცოლს, მერე მის მხრებზე
დიდხანს ედო ორივე ხელი. მუშაობი-
საგან მზეზე გარუჯული ხელი აქსი-
ნიას კოფთაზე შავად მოჩანდა. სტეფა-
ნე გრიგორისკენ ზურგით იდგა; ღობის
იქით მისი ჩასხმული, ლამაზად მოპარ-
სული კისერი, განიერი, ოდნავ დაშვე-
ბული მხრები მოუჩანდა და როდესაც
მან ცოლის საკოცნელად დაიხარა, მისი
ქერა უღვაშის დაგრებილი ბოლოც
გამოჩნდა.

აქსინია რალაცაზე იცინოდა და უარის
ნიშნად თავს აწნევდა. როცა მხედარი
უზანგზე შედგა, მალალი, შავი ცხენი
შეტოკდა. სტეფანემ ცხენი ეზოდან
ანქარებელი ნაბიჯით გამოიყვანა. იგი
უნაგირზე ისე იჯდა, თითქოს ზედ იყო-
დაკრული, აქსინია გვერდზე მისდევდა,
ხელი უზანგზე ეკიდა და ქმარს თვა-
ლებში ქვევიდან სიყვარულით და გა-
ტაცებით შესცქეროდა.

ასე გაიარეს მათ მეზობელი სახლი და
შუკთან მიიმაღნენ.

გრიგორი დიდხანს მათ თვალდაუხამ-
ხამებელი მზერით აცილებდა.

სალამოთი ქექა-ქუხილი დაიწყო. სოფელს ლევა ღრუბელი გადაეფარა. ქარისაგან აფორიაქებული დონი ნაპირზე აქაფებულ ტალღებს განუწყვეტლივ ისროდა. ჰალღებს იქით ცას მშრალი ელვა სერავდა და წყვეტილი გრგვიწვა მიწას ამძიმებდა. ღრუბლებქვეშ ფრთებგაფარჩხული ქორი ტრიალებდა, მას უკან ყორნები ჩხავილით მისდევდნენ. დასაველეთიდან დონის გასწვრივ ღრუბელი მოიწვედა. აყრილი ჰალღებისაკენ ცა მრისხანედ შეადებოდა, ტრამალი წვიმის მოლოდინში დუმდა. სოფელში რახუნით ხტრავდნენ დარაბებს. სალამოს ლოცვიდან პირჯერის წერით დედაბრები მოიჩქაროდნენ. მოედანზე ნაცრისფერი მტკრის სვეტი ტრიალებდა და განაფხულის სიციხით დაოსებულ მიწას წვიმის პირველი წვეთები უკვე წინწყლავდა.

დუნიაშკამ მოკლე ნაწნავეების ქნევით ეზო გადაირბინა, საქთომის კარი მიაჯახუნა და შუა ეზოში გაიერდა, როგორც ცხენმა დაბრკოლების წინ, ისე გაბერა ცხვირის ნესტოები. ქუჩაში გოგო-ბიჭები დახტოდნენ, მეზობლის რვა წლის მიშკა ასკინკილა ტრიალებდა, თავზე ჩამოფხატა მამის განიერი კარტუსი და გამგმირავი ხმით გააკიოლა.

წვიავ, წვიავ დაუშვი,
ბუნქებს შევეფარებით,
იქ ღმერთს შევეხვეწებით,
ქრისტეს ვემუდარებით.

დუნიაშკა შურით უყურებდა მიშკას ტიტველა, ძიძიბებიან ფეხებს, რომლებითაც იგი გულმოდგინედ ტყეპნიდა მიწას. დუნიაშკასაც უნდოდა წვიმის ქვეშ ხტუნვა და თავის დასველება, რომ უფრო სქელი და ხტუტუტი თმა ამოსვლოდა; უნდოდა, აი ისევე, როგორც მიშკას ამხანაგი იქცეოდა, მტვერში თავდაყირა ჩაფლულიყო, თუნდაც ამის გამო ეკლებშიც კი ამოეყო თავი, მაგრამ ფანჯარაში დედა იყურებოდა და

ტუნებს უკმაყოფილოდ აცმაცუნებდა. დუნიაშკამ ამოიხზრა და შინ შეიჭრებოდა. მსხვილი და ხშირი წვიმა წმინდად მუქკადა ხი ზედ სახურავზე გაეარდა, მისმა ხმამ დონს იქითაც დაიგრიალა. დერეფანში მამა და ოფლში გაღვრილი გრიგორი დახვეულ ბადეს მოათრევდნენ.

— ხამი ძაფი და მახათი, ჩქარა! — დაუყვირა გრიგორიმ დუნიაშკას. სამზარეულოში სანათი აანთეს. ბადეს დასაკერებლად დარია მიუვჯდა. ილინინა ბავშვს არწევდა და თან ბურტყუნებდა:

— სულ ასე იცი მთელი შენი სიციცხლე, ბერიკაცო, რას არ მოიგონებ! რომ დაგეძინათ, ის აჯობებდა, ნავთი ძვირდება, შენ კი არ გენალვლება. რა დროს თევზაობაა ახლა? სად ჯანაბას მიდიხართ? არ დაიხრჩოთ, ეზოშიც კი საშიშია გასვლა! დაზე, დაზე, როგორ ელავს! ღმერთო, იესო ქრისტე, დედაგ ღვთისმშობელო...

სამზარეულოში ერთ წამს თვალისმომკრელად, ლურჯად გაანათა და სიჩუმე ჩამოვიარდა. ისმოდა როგორ ფხატნიდა წვიმა დარაბებს. შემდეგ საშინლად დაიქექა. დუნიაშკამ დაიწვილა და ბადეში სახე დამალა. დარია კარებსა და ფანჯრებსზე თითებით პატარა ჯვრებს სახავდა. ილინინა მის ფეხთან დაცუკებულ კატას შეშინებული თვალებით უყურებდა.

— დუნკა! გააგდე ეს დაწყ... ღვთისმშობელო, მომიტევე მე, ცოდვილს. დუნკა გააგდე კატა კარში! აცხა, შე დაწყველილი! აი შენი...

გრიგორიმ ბადის ლატანი ხელიდან გააგდო, უხმო სიცილისაგან ფერღები აწყდებოდა.

— რას აფორიაქდით? ხმა ჩაიკმინდეთ! — დაუყვირა პანტელეი პროკოფინმა. — ჰალღებო, ჩქარა დააკერეთ! იმ დღესაც გითხარით, რომ ბადე გაგესინჯათ.

— აბა, რა დროს თევზია, — გაუბედავად თქვა ილინინამ.

— შენ რა გესმის, გაჩუმდი! აი სწორედ ახლა დაიჭერთ ისარაზე ტარალა-

ნას. თევზი ნაპირზე სწორედ ახლა მოდის, ქარიშხლისა ემინია. წყალი ალბათ უკვე აიმღვრა. აბა, გაიქეცი, დუნიაშკა, ყური მიუგდე, მოდოდა ნაკადული, თუ არა?

დუნიაშკამ უგულოდ, გვერდელად მიიწია კარებისაკენ.

— ვინ წამოგყვებით სათევზაოდ? დარიას არ შეუძლია, ძუძუები გაუცივდება, — არა ცხრებოდა ილინინა.

— ერთი ბადით მე და გრიშკა, მეორეთი — აქსინიას წავიყვანით. და კიდევ ვინმე დედაკაცს დაეუძახებთ.

დუნიაშკა ქაქანით შემოვარდა, წამწამებზე წვიმის წვეთები უციმციმებდა. მან თან ნოტიო, შავი მიწის სუნი შემოიტანა.

— ნაკადული საშინლად ღრიალებს!

— სათევზაოდ წამოგყვები?

— კიდევ ვინ წამოვა?

— დედაკაცებს დაუძახებთ.

— წამოვალ!

— აბა მოისხი ზუბუნი და აქსინიასთან გაიქეცი, თუ წამოვიდა, მალაშკა ფროლოვასაც დაუძახოს.

— აი ის კი არ გაიყინება; — გაიღიმა გრიგორი. — გასუქებული ტახვით ადევს ქონა.

— გრიშკა, ცოტა მშრალი თივა მინც წაგელო, — ურჩია დედამ, — გულთან მიიდე, რომ შიგნეული არ გაგიცივდეს.

— გრიგორი, ვადი, თივა მოიტანე, ბებერმა კარგად გირჩია.

მაღე დუნიაშკამ დედაკაცები მოიყვანა. აქსინიას დახეული, თოკშემოჭერილი კოფთა და ლურჯი კაბა ეცვა. ამ ტანსაცმელში იგი დაბალი და გამხდარი ჩანდა, დარიას ეხუმრებოდა; მერე თავშალი მოიხადა, უკან გაკვანძული თმები მაგრად შეიკრა, თავი გადაიწია, თავშალი მოიხვია და გრიგორის ცივად გადახედა. სქელი მალაშკა ზღურბლთან დახრილიყო, წინდებს იმაგრებდა და გაციებული, ხრინწიანი ხმით ამბობდა:

— ტომრები წამოიღეთ? ღმერთმანი,

დღეს ჩვენ აუარებელ თევზს დავიჭერთ.

ეზოში გამოვიდნენ, დახვალს მუხუტე ხშირი წვიმა ასხამდა... გუბებს აქაფებდა და ნიაღვრებად ქცეული დონისაკენ მიექანებოდა.

გრიგორი წინ მიდიოდა, მას უმიზეზო მხიარულება აღინიანებდა.

— მამა, ფრთხილად, აქ თხრილია!

— რა სიბნელეა!

— აქსინია, ჩემს გვერდით იარე, ერთად ვიქნებით ჯოჯოხეთში, — ხრინწიანი ხმით ხითხითებდა მალაშკა.

— გრიგორი, შეზე, თითქოს მაიდანაკოვის სანაოა?

— სწორედ ის არის.

— აქედან დავიწყოთ, — ყვიროდა პანტელეი პროკოფიჩი და ებრძოდა ქარს, რომელიც წვიმასთან ერთად სახეში სცემდა.

— არ ისმის, ბიძია! — ხრინწიანი ხმით უპასუხებდა მალაშკა.

— ფონში შედი, მე სიღრმიდან წამოვალ. გუბნები, სიღრმიდან წამოვალ-მეთქი... მალაშკა, შე ყრუნია ეშმაკო, საით მიიწევ? მე სიღრმიდან წამოვალ! გრიგორი, გრიშკა! აქსინია ნაპირიდან წამოვიდეს!

დონი გამაყრუებლად ღრიალებდა. ქარი ირიბად წამოსულ წვიმას ნაჭერ-ნაჭერად ჰკვეთდა.

გრიგორიმ ფეხით ფსკერი მოსინჯა და წყალში წელამდის შევიდა. სიცივე ტანში ჩაეჭრა, მკერდამდის ავიდა და გულს რკალივით შემოერტყა. სახეში, მაგრად დახუტულ თვალებში, შოლტივით ურტყამდა ტალღა. ბაღე ბურთივით იბერებოდა, ძირს მიიწევდა. გრიგორის შალის წინდები ეცვა, ფეხები ქვიშან ფსკერზე უსრიალებდა, ბადის ლატანი ხელოდან უსხლტებოდა... სულ ღრმად და ღრმად მიდიოდა. ფეხი შვერზე წაუსხლტა. სწრაფი დინება შეაგულისკენ მიაქანებდა, ითრევდა მას. გრიგორი ღონივრად უსვამდა მკლავს, ნაპირისაკენ უნდოდა გაეცურა, ისე, როგორც არასდროს, შავი მორგვის ლივლივი ამინებდა. მერყევი წყლის ფსკერს

ფეხი შეახო, გამზიარულდა, რაღაც თვე-
ში მუხლებზე ეხეთქებოდა.

— მორევს შემოუარე! — მოისმა სა-
დღაც უკუნი სიბნელიდან მამის ხმა.

ზადე ისევ გვერდელად იძირება. დი-
ნება ისევ ართმევს გრიგორის ფეხები-
დან მიწას, იგი თავს მალა იწევს,
მიცურავს, პირიდან წყალს აფურ-
ხებს.

— აქსინია, ცოცხალი ხარ?

— ჯერჯერობით ცოცხალი ვარ.

— თითქოს წვიმამ გადაიღო?

— პატარამ გადაიღო, ახლა ამას დი-
დი წვიმა მოჰყვება.

— ჩემად იყავი, მამა გაიგონებს,
გაჯავრდება!

— შენც რაღა, მამისა შეგეშინდა!..

ერთხანს ნელა მიათრევენ ზადეს. წყა-
ლი ცოპივით ეკვრის და ბორკავს ყოველ
მათ მოძრაობას.

— გრიშა, ნაპირთან კორძიანი ხეა,
ზადე შემოვახვიოთ.

გრიგორი ტალღის საშინელმა დარტ-
ყვამ შორს გადაისროლა. ტალღამ თქა-
ფანით იგრიალა, თითქოს ციკაბო
კლდიდან წყალში მიწის დიდი ბელტი
ჩაინგრა.

— ა-ა-ა-ა! — სადღაც ნაპირთან იყი-
ვლა აქსინიამ.

შეშინებულმა გრიგორიმ ამოიყურ-
ყუმაღავა და კივილის მიმართულებით
გაცურა.

— აქსინია!

მხოლოდ ქარი ზუზუნებდა და წყლის
გაბმული ხმაური ისმოდა.

— აქსინია! — შეჰყვებოდა შინისაგან
გულგაყინულმა გრიგორიმ.

— ე-ჰეი! გრიგო-რიი! — ყრუდ მოი-
სმა შორიდან მამის ხმა.

გრიგორი გაცურდა. ფეხებში რაღაც
გაებლანდა, სტაცა ხელი ზადეს.

— გრიშა, სადა ხარ? — მოესმა აქსი-
ნიას ატირებული ხმა.

რატომ პასუხს არ იძლეოდი? — გა-
ჯავრებით შეჰყვებოდა გრიგორიმ და ნა-
პირზე ხოხვით გამოვიდა.

ჩაიუცქებულებმა, კანკალით გაშა-
ლეს დახვეული ზადე. მთვარემ დაგ-

ლეჯილი ღრუბლებიდან თავი გამო-
ტყო. ქალისკენ კი შორი ქუხილი იწმე-
და. მიწა შეუშრობელი სისქელით ლა-
ლაპებდა. წვიმით გადარეცხილი ცა მო-
იწმინდა.

გრიგორიმ ზადე გაშალა, აქსინიას
დააშტერდა. მას სახე ცარცივით თეთ-
რი ჰქონდა, მაგრამ წითელი, ოღონდ
გადმობრუნებული ტუჩები უკვე იცი-
ნოდნენ.

— როცა ნაპირზე გადამისროლა, —
ამბობდა აქსინია, სული რომ მოი-
თქვა, — კინალამ ჰქუა დავკარგე! შიშმა
ამიტანა, მე კი მეგონა, შენ დაიხრჩვი.

მათი ხელები ერთმანეთს შეეხნენ. აქ-
სინია ცდილობდა თავისი ხელი მისი
ხალათის სახელოში შეეყუო.

— როგორ თბილა შენს სახელოში, —
საცოდავად ამბობდა იგი. — მე კი
გავიყინე, ყრუანტელი მივლის ტანში.

— სად დაურტყამს ამ დაწყველილ
ლოქოს.

გრიგორიმ გადასწია შუაზე არშინ-
ნახევრიანი სივანით გარდიგარდმოდ გა-
დახვეული ზადე.

ისარადან ვილაცა გამოიბოდა. გრი-
გორიმ იცნო დუნიაშკა, მან შორიდანვე
იყვირა:

— ძაფი თანა გაქვს?

— თანა მაქვს.

გულამოვარდნილმა დუნიაშკამ მოი-
რბინა.

— აქ რასა სხედხართ? მამამ გამომ-
გზავნა, ჩქარა ისარასთან წამოდიოთ,
ჩვენ ერთი ტომარა ტარაღანა დავიჭი-
რეთ! — დუნიაშკას ხმაში სისარული
ელერდა.

აქსინიამ დახეულ ზადეს კბილების
კაწკაწით კემსვა დაუწყყო. ვასათობად
ისარასთან გაიქცნენ.

პანტელეი პროკოფიჩი, წყლისაგან
კანდახეთქილი, დამხრჩვალ კაცივით
დასიებული თითებით ქაღალდში ოუ-
თუნს ახვევდა, ცმუკავდა და იყვებოდა:

— ერთხელ მოვესვით, რვა ცალი
მოჰყვა, მეორედ... — მან სიტყვა შე-
წყვიტა, თუთუნს მოუკიდა და ფეხით

ჩუმი ტომარაზე უჩვენა.

აქსინიამ ტომარაში ცნობისმოყვარეობით ჩაიხედა, ცოცხალი ტარადანები ტაკუნით ეხახუნებოდნენ ერთმანეთს.

— თქვენ რად ჩამოგვცილით?

— ლოქომ ბადე გაგლიჯა.

— მერე დააკრეთ?

— როგორც იყო, თვლები ამოვუკეშეთ.

— იქამდის მივიდეთ, სადაც მდინარე უხვევს და შემდეგ კი შინისაკენ გავწიოთ! შედი, გრიშა, წყალში, რა მოგივიდა.

გრიგორი გახევებული ფეხებით მიდიოდა. აქსინია კი ისე კანკალებდა, რომ მის ცახცახს გრიგორი ბადის იქითა გრძნობდა.

— ნუ კანკალებ!

— მეც მინდა გავჩერდე, მაგრამ სულს ვერ ვითქვამ.

— იცი, რა, მოდი, გამოვიდეთ წყლიდან, წყეულიც იყოს ეს თევზი!

მსხვილი კობრი ბადეს ეხეთქებოდა. გრიგორიმ ნაბიჯს უმატა. ბადე შეკეცა და ლატანი მოსწია. აქსინია მოხრილი გაიქცა ნაპირზე. უკან გაბრუნებული წყალი ქვიშაზე შრიალებდა, თევზი ფართხალბდა.

— ბოსტნებზე გავიაროთ?

— ტყით უფრო ახლოა. თქვენ მალე მორჩებით?

— წადით, ჩვენ დაგეწევით, მხოლოდ ბადეს გავაულებთ წყალში.

აქსინიამ სახის შექმუხვით სველი კაბა გაიწურა, თევზით სავსე ტომარა ზურგზე წამოიკიდა და თითქმის სირბილით შეუდგა აღმართს. გრიგორის ბადე მიჰქონდა. ასი საყენი გაიარეს. აქსინია აკენესდა:

— არაქათი აღარა მაქვს, ფეხები აღარ მემორჩილება.

— აი შარშანდელი ზვინი, ეგებ გათბე?

— ასე აჯობებს, თორემ სანამ სახამდის მივალ, სულიც გამძვრება.

გრიგორიმ ზვინს თავი გადაუშალა და

შუაში ორმო ამოთხარა, იქიდან დაამდგარი, ჩახურებული ფეხებს დაეშვალა სუნი ამოვარდა.

— ჩამვერი შუაში, თბილა, ღუმელივითაა.

აქსინიამ ტომარა დააგდო და ყელამდის თივაში ჩაეფლო.

— რა კარგია!

სიცივისაგან აკანკალებული გრიგორი გვერდზე მიუწეა. აქსინიას სველ თმას ნაზი, ამალელებელი სუნი ასდიოდა. გვერდზე თავგადაწეული ქალი ნახევრად ღია პირით ნელა სუნთქავდა.

— შენს თმას ლენცოფას სუნი ასდის. იცი, ერთნაირი თეთრი ყვავილი რომ არის! — თავი დახარა და უჩურჩულა გრიგორიმ.

აქსინიამ არაფერი უპასუხა, იგი მილეულ, მცხრალ მთვარეს დაბინდული და გამოუცნობი მზერით გაჰყურებდა.

გრიგორიმ ჯიბიდან ხელი ამოიღო, თავისკენ უეცრად მიიწიდა აქსინიას თავი. აქსინიამ კუშტად გაიწია და წამოდგა.

— გამიშვი!

— განუშვი!

— გამიშვი, თორემ დავიყვირებ!

— მოიცა, აქსინია...

— ბიძია პანტელეი..

— გზა ხომ არ დაგებნა? — სულ ახლოს, კუნელის ბუჩქნარიდან გასცა ხმა პანტელეი პროკოფიმმა.

გრიგორი ზვინიდან კბილების კრაკუნით ჩამოხტა.

— შენ რასა ხმაურობ? გზა აგებნა თუ? — შეეკითხა მოახლოებული მოხუცი.

აქსინია ზვინთან იდგა და კეფაზე გადადებულ თავშალს ისწორებდა, ტანზე ოშხივარი ასდიოდა.

— გზა კი არ ამებნა, მაგრამ კინალამ გავიყინე.

— რამ გაგყინა, დედაკაცო, აი ზვინი, გათბი.

აქსინიამ გაიღიმა და ტომარის ასაღებად დაიხარა.



საბანაკო ადგილად დანიშნულ სოფელ სეთრაკოვამდე სამოცი ვერსია, პეტრო მელეხოვი და სტეფან ასტახოვი ერთი ბრიჩკით მიდიოდნენ. მათთან კიდევ სამი თანასოფლელი კაზაკი იჯდა: ყალმუხის სახის ახალგაზრდა, ჩოფურა კაზაკი (ფედოტ ბოდოვსკოვი, ატამანთა პოლკის მეორე რიგის ლეიბ-გვარდიელი) ხრისანფ ტოკინი, მეტსახელად ხრისტონია და ბატარიელი ივანე ტომილინი, რომელიც პერსიანოვკაში მიემგზავრებოდა. პირველი დასვენებისა და საყვების მიცემის შემდეგ ბრიჩკაში ხრისტონიას ორგოჯიანი¹ და ასტახოვის შავი ცხენი შეაბეს. დანარჩენი სამი შეკაზმული ცხენი უკან მისდევდა. ცხენებს მიერეკებოდა ჩასხმული, მოსულელი, როგორც ყველა ატამანელი, ხრისტონია. იგი წინ იჯდა, ზურგი რკალივით მოეხარა, და ჩარდახში შემავალ სინათლეს ჭფარავდა, ცხენებს მგზგინავი ბოხი ხმით აშინებდა. ახალი, ბრუნვითი გადახურულ ბრიჩკაში იწვნენ და თუთუნს ეწეოდნენ პეტრო მელეხოვი, სტეფანე და ბატარიელი ტომილინი. ფედოტ ბოდოვსკოვი უკან მიჰყვებოდა; ეტყობოდა, არ უჭირდა თავისი ყალმუხური კაპა ფეხებით მტერიანი გზის თელვა.

ხრისტონიას ბრიჩკა მეწინავედ მიდიოდა. მას შეიძო თუ რვა ბრიჩკა, ზედ მიბმული შეკაზმული და შეუკაზმავი ცხენებით უკან მისდევდა!

გზაზე სიცილ-ხარხარი იდგა, ყვირილი, გულის წამლები სიმღერა, ცხენების ფრუტუნე და ცარიელი უზანგების წკრიალი ისმოდა.

პეტროს თავქვეშ ორცხობილათი საე-

¹ ლეიბ-გვარდია — მეფის პირად მცველ-მსახურთა სამხედრო ნაწილები.

² ორგოჯიანი ცხენი — ორი არშინის და ორი გოჯი სიმაღლის ცხენი. მეფის არმიაში კაზაკი უნდა გამოცხადებულიყო თავისი ცხენით, რომელიც არანაკლებ ორი არშინისა და ნახევარი გოჯის სიმაღლისა უნდა ყოფილიყო.

სე ტომარა ელო. იწვა პეტრო და გვრებდა ყვირთელ, გრძელ უღვაშს.

— სტეფან!

— ა?

— ...აჰ! მოდი ერთი, ლაშქრული ვიმღეროთ.

— ძალიან ცხელა, პირი გამიშრა.

— სქ ახლო სოფლებში სამიციტნობები არ არის, ნუ ელი!

— აბა დაიწყე, თემცა შენ რა სიმღერა იცი! აი თქვენმა გრიშკამ იცის კრინი! ვერცხლის სიმღვით აწყრიალებს ხმას. რამდენს გავკიოდით მე და გრიშკა ლხინში!

სტეფანემ თავი ასწია, ჩაახველა და დაბალი, კრიალა ხმით დაიწყო:

შენ, განთიადო, ცისკარო,
ადრე ამოხველ ცაზედა...

ტომილინმა ხელი ლოყაზე დედაკაცივით მიიღო და წვრილი, მკვნესარე ხმით აპყვა. პეტროს უღვაშის წვერი პირში ჩაედო და თან ღიმილით უყურებდა, თუ როგორ უღურჯდებოდა მკერდგანიერ ბატარიელს დამბულობისაგან საფეთქელზე ძარღვები.

ახალგაზრდა დედაკაცი
გვიან წავიდა წყალზედა...

სტეფანე, რომელიც წევს ხრისტონიასკენ თავშემტკევით, მოტრიალდა და ნიდაყვეზე დაეყრდნო, მაგარი, ლამაზი კისერი გაუვარდისფერდა.

— ხრისტონია მომეშველე!

ბიკი მიხვდა და შეუღდა
თავის ცხენის შეკაზმისა...

სტეფანემ პეტროს გადმოკარკლული თვალებით ღიმილით გადახედა. პეტრომ პირიდან უღვაში ამოიღო და ბანი მისცა.

ხრისტონიამ უშველებელი გაჯაგრული პირი დაალო და მისმა ღრიალმა ჩარდახის ბრუნვითიანი სახურავი შეაზანზარა.

შეკახა და წაბლა ცხენით
დაედევნა გზაზე ქალსა.

ხრისტონიამ ბრიჩკის კიდევ არ შინა-
ანი შიშველი ფეხი დასდო და დაუცადა,
როდის გააგრძელებდა სტეფანე სიმლე-
რას. სტეფანემ თვალები დახუჭა, ოფ-
ლიანი სახე ჩრდილს მოაფარა და ალ-
ერსიანად ააწკრიალა. ხან დაუწევდა,
მიანელებდა ხმას, ხან კი ასწევდა, ლი-
თონივით აქვრდებოდა.

ქალო, ქალო, ნება მომეც,
ცხენს მდინარის წყალი ვისვა...

ბოხი, სავანგაშო ზარის გუგუნევით
აწევდა სიმღერას ხრისტონიას ბანი. სიმ-
ღერას მეზობელი ბრიჩკებიდანაც აძ-
ლევდნენ ხანს. მირაკრაკებენ რკინის ღერ-
ძებზე ბრიჩკების თვლები, ფრუტუნე-
ბენ მტერისაგან დაოსებული ცხენები
და ძლიერი, გაბმული სიმღერა გზაზე
სავეს მდინარესავით მიედინება. გამ-
შრალი ველის ჭაობიდანში, მიხაკი-
ფრად გადააწვარი ლელის ბუჩქიდან
ოუთრფრთიანი პრანწია ამოსრიალდა.
იგი წივილით ღარტაფში მიფრინავს,
თავს აბრუნებს და ზურაშუბტა თვალე-
ბით შესცქერის თეთრად მოჩარდაბული
ბრიჩკების გაბმულ ჯაქვს, ცხენებს,
რომელთა ფლოკვებისაგან მტერის ხუ-
ქუქა ბოლქვები აღის და ბრიჩკების
გვერდით მიმავალ ადამიანებს, რო-
მელთაც მტერისაგან ჩაზინთული თეთ-
რი ხალათები აცვიათ. პრანწია ღარტაფ-
ში ნადირისაგან დატყეპნილ ხმელ ბა-
ლახს შავი მკერდით ეხეთქება და ვერ
ხედავს თუ რა ხდება გზაზე. გზაზე კი
ისევ გრიალებენ ბრიჩკები, ისევე ზღაზ-
ვნით მიაბიჯებენ უნაგირქვეშ გაოც-
ლიანებული ცხენები, მხოლოდ ნაპრის-
ფერხალათიანი კახაკები მარდად გადარ-
ბიან თავიანთი ბრიჩკებიდან მეწინავე
ბრიჩკაზე, გარშემო ერთყმან მას და
სიცილით იფხრიწებია.

სტეფანე ბრიჩკაზე მთელი ტანით
ამართულა. ცალი ხელი ჩარდახზე გა-
დაფარებული ბრეზენტისათვის ჩაუ-

ლია, მეორეს — მოკლედ აქნევს და
სულმოუთქმელად, სხაპასტუმბინ ნაწრის:
გეგლეონთქვა

არ დამიჯდე გვერდზე მე,
არ დამიჯდე გვერდზე მე,
ხალხი იტყვის, რომ გიყვარვარ,
რომ გიყვარვარ.

რომ მე დამდე,
რომ გიყვარვარ,
რომ მე დამდე, რომ გიყვარვარ,
მე უბრალო მოღვმის არ ვარ...

ირგვლივ ათეული ტლანქი ხმა იტა-
ცებს მის სიტყვებს; გუგუნით უერთ-
დება და მტერიან გზას ეფინება ყრია-
მული:

მე უბრალო მოღვმის არ ვარ,
მე უბრალო მოღვმის არ ვარ...
მე ვარ ქურდის ქალიშვილი,
მიყვარს ვაჟი თავადისა!

ფედოტ ბოლოვსკოვი უსტვენს, ცხე-
ნები ბორძიკობენ, ქაპანს სწყვეტენ,
პეტრო ჩარდახიდან თავს ჰყოფს, იცი-
ნის და ქუდს აფრიალებს; სტეფანეს
სახე მომხიზლველი ღიმილით უბრწყო-
ნავს და მხრებს ლაღად არხევს. გზაზე
მტერის ბული ბორბალივით ტრიალებს,
ხრისტონია უქამროდ, გრძელ პერანგში,
სახეგაბურძგენილი, ოფლში გაღვრილი
ბუქნას უვლის, წისქვილის ბორბალი-
ვით ტრიალებს, თან კენისის და წარბ-
ებს წყურავს, კახაკურს ცეკვავს და ნაც-
რისფერი აბრეშუმით გაფენილ
მტერს მისი უშველებელი, განიერი,
შიშველი ფეხების ნატერფალეები ემ-
ნევა.

6

ყვირთელი ქვიშით მოფენილ, თხემგა-
ნიერ ყორღანთან ღამის გასათევად გა-
ჩერდნენ.

დასავლეთიდან ღრუბელი მოიწვედა.
მისი ჩაშვეებული ფრთიდან წვიმა
სცრიდა. ცხენებს წყალი გუბურაში და-
ალევიანს. გუბურის ჯებირს ქარასაგან
წაზნექილი ტირიფები ეხვია. სიმწვანე-
გადაკრულ და მქისე ტალღებად აჭე-

ლებულ, შმორიან წყალში ელვის ანარეკლი იკლავებოდა. ქარი წვიმის წვეთებს ქუნწად აპყურებდა, თითქოს შავი მიწის გულს მოწყალეხას აფრქვევდა.

ცხენებს ღუშაყები დაადეს, საბოვრად გაუშვეს და სადარაჯოდ სამი კაცი მიუჩინეს. დანარჩენებმა ცეცხლი დაანთეს და ბრიჩების ხელნებზე ქვაბები ჩამოჰკიდეს.

ხრისტონია მზარეულობდა, ქვაბს კოვზით ურევდა და გარშემო შემომსხდარ კაზაკებს უამბობდა:

— ... ყორღანი, ესე იგი, როგორც აი, ეს არის, ასეთივე მაღალი იყო. პოდა, მე ვუთხარი განსვენებულ მამაჩემს: „ატამანი! არ გაგვირისხდება, რომ ყორღანის გათხრა მის ნებადაურთველად დაიწყოთ-მეთქი?

— ეგ აქ რაებსა ჩმახავს? — იკითხა ცხენების საყარაულოდან დაბრუნებულმა სტეფანემ.

— ვუამბობ, მე და განსვენებული მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს, როგორ ვეძებდით განძს.

— სად ეძებდით?

— ის ადგილი, ძმაო, ფეტისოვის ხევის იქით არის. შენ ხომ იცი, მერკულოვის ყორღანთან...

— პო-პო...—სტეფანემ ფეხი მოირთხა და ხელის გულზე ნაკვერცხალი დაიდო. ნაკვერცხალს ხელისგულზე ატრიალებდა და თუთუნს დიდხანს უკიდებდა.

— ჰოდა, აი, მამაჩემი მეუბნება: „მოდი, ხრისტან, მერკულოვის ყორღანი გაეთხაროთ“. პაპისაგან გავგო, რომ იქ განძი იყო ჩაფლული. ის განძი კი ყველას ხომ არ მოხვდება ხელში! მამა-

1 ატამანი — მეფის რუსეთში კაზაკების არჩეულ ყველა ხარისხის მეთაურს ატამანი ერქვა. ღონის ჯარის სათავეში იდგა სამხედრო ატამანი, სტანიციის სათავეში — სტანიციის ატამანი. კაზაკების საღაშქროდ გასვლის დროს ირჩეულად განსაკუთრებული საღაშქრო ატამანი. ფართო მნიშვნელობით ეს სიტყვა ნიშნავდა მამასახლისს. როცა ღონის კაზაკებმა საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი დამოუკიდებლობა, კაზაკების ყველა სამხედრო ატამანს სახელი მიენიჭა მეფის მემკვიდრეს, ფაქტურად კი კაზაკთა ჯარებს დამხმარე ატამანები განავებდნენ.

ჩემმა ღმერთს აღუთქვა, თუ მაპარენინებ, მშვენიერ ეკლესიას აგვანებებო, ჩვენც გადავწყვიტეთ და წავედი. მიწა სათემოს ეკუთვნოდა, ცხადია, მხოლოდ ატამანისაგან შეიძლებოდა დაბრკოლება შეგვხვედროდა. ღამე მივედით, მოვეცადეთ, სანამ დაბნელებოდა, ფაშატი, მაშასადამე, დავადღუშაყეთ და ჩვენ კი ბარებით ყორღანის თავზე ავედით. თხრა პირდაპირ თავწვეროდან დავიწყეთ. ამოვთხარეთ ორი არშინის სიღრმის ორმო, დიდი ხნის დაყრილი მიწა თითქმის გაკაყებულ იყო. ოფლში გავიწურე, მამაჩემი სულ ლოცულობდა, მე კი, ძმებო, დაიჯერებთ? დამეწყო მუცლის გვრემა... მაშასადამე, ზაფხულში თქვენ იცით, რა საკმელი გვექნებოდა: მაწონი და ბურახი... დამქრის, დამივლის ტკივილი მუცელში, თვალები დამიბნელებდა! განსვენებული მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს, მეუბნება: „თფუ, ხრისტან, აი შე ბილწო, შენა! მელ ვლოცულობ, შენ კი საკმელს ვერ ინელებო! სუნთქვა აღარ შეიძლებაო... წადი, ჩაეთერი ყორღანიდან, თორემ ბარით თავს წაგაცლიო, — მეუბნება, შენი მიზეზით, შე მყარალო, შეიძლება განძი მიწაში უფრო ღრმად ჩაიდესო!“ მე ყორღანის ძირში წამოვწვიქი, მუცელი მტკიოდა, მჭრიდა, განსვენებული მამაჩემი კი ძალიან ღონიერი იყო. შეჩვენებული! — მართო სთხრიდა. ამოთხარა კიდევ ქვის ფილა მდის, დამიძახა. მე ძალაყინით ავწიე ფილა... გჯერათ თუ არა, ძმებო, ღამე მოვარიახი იყო და ფილის ქვეშ რაღაცამ ბრჭყვიალი დაიწყო...

— როგორ სტყუი, ხრისტონია! — ველარ მოითმინა პეტრომ, რომელიც ილიმებოდა და უღვაშს იწიწკნიდა.

— როგორ თუ „ტყუი“... წადი, შენი როჭო-ხოჭოც არ იყოს!... — ხრისტონიამ განიერი შარვლი აიწია და მსმენელებს გადახედა, — არა, არა ვტყუი! ღმერთსა ვფიცავ, მართალია!

— გაათავე, გამოდი ნაპირს!

— ძმებო, როგორ ბრჭყვიალებდა! შევხებე და რას ვხედავ, დამწვარი ნა-

ხშირი იყო. ორმოც კასრამდე იქნებოდა. მამა შეუბნება: „ჩაქვერი, ზრისტან, ამოკრიფე“. ჩავედი, ამოვყარე ეს სამარცხვინო განძი, დილამდის მოვუნდი, დილას კი გავიხედეთ და თავს არ წამოვადგა?

— ვინ? — დაინტერესდა საძაგრავეზე წამოწოლილი ტომილინი.

— ვინა და — ატამანი! სხვა ვინ იქნებოდა ეტლში ზის და გვიყვირის: „ვინ მოგვით ნება, თქვე ასეთ-ისეთებო?“ გავჩუმდით. მაშასადამე, მოგვისვა ხელი და სტანიცაში წაგვიყვანა. შარშანწინ მამაჩემი კამენსკიაში¹ სასამართლოშიც კი დაიბარეს, ის კი მიუხედა და დროზე გარდაიცვალა. ქალაქი მისწერეს — ცოცხალი აღარ არისო.

ზრისტონიამ აორთქლებული ფაფით სავსე ქვაბი ჩამოხსნა და კოვზების მოსატანად ბრიჩკისკენ გაემართა.

— მამაშენმა რომ შეუთქვა ეკლესიის აშენება, არ აუშენა? — იკითხა სტეფანემ, როდესაც ზრისტონია კოვზებით დაბრუნდა.

— რა სულელი ხარ, სტეფა, ნახზირისთვის აუშენებდა ეკლესიას, თუ?

— თუ შეუთქვა, კიდევ უნდა აეშენებინა.

— ნახზირის ანგარიშში არაფერს დაპირებია, განძი კი...

სიცილისაგან ცეცხლი შეიბრა. ზრისტონიამ ქვაბზე დახრილი მიაბიტი თავი აიღო, ვერ მიხვდა რაში იყო საქმე და თვითონაც ბოხი ხმით ხმამაღლა დაიწყო ხარხარი.

7

აქსინია ჩვიდმეტი წლისა იყო რომ სტეფანეს მიათხოვეს. იგი დონის მარცხენა ნაპირის რიყიანში მდებარე სოფელ დუმბროვკიდან მოიყვანეს.

გათხოვებამდის ერთი წლით ადრე, შემოდგომაზე, სოფლიდან რვა ვერსის დაშორებით იგი მამასთან ერთად ხნავ-

და მიწას. ღამით მამამ ორმოცდაათი წლის მოხუცმა, ქალიშვილად მხოლოდ ხელები შეუკრა და გაბუნებულმა

— მოგვლავ, თუ ხმას ამოიღებ, გაჩუმდები და... ხვევრდის კოფთას და კალოშიან ფეხსაცმელს გიყიდი. გახსოვდეს: მოგვლავ, თუ რამე სთქვი... — დამეუქრა მოხუცი.

ღამით დახეული პერანგის ამარა შიბრბინა სოფელში აქსინიამ, დედას ფეხებში ჩაუფარდა და ქვეითინით ყველაფერი უამბო. დედამ და უფროსმა, ატამანულმა ძმამ, რომელიც ის იყო დაბრუნდა ჯარიდან, ბრიჩკაში ცხენები შეაბეს, ჩაისვეს აქსინია და მამასთან წავიდნენ. რვა ვერსის მანძილზე, ქენებით ძმამ კინალამ დახოცა ცხენები. ღვინით გაღვრილ მამას ურემთან გაშლილ ზიბუნზე ეძინა, მის გვერდით ცარიელი არყის ბოთლი ეგდო. აქსინიას თვალწინ ძმამ ჩამოხსნა ბრიჩკას ორჩხომელი, ფეხის კერით წამოაყენა მძინარე მამა, მოკლედ რაღაცა ჰკითხა და რკინით შეჭედილი ორჩხომელი სახეში დაჰკრა. დედასთან ერთად საათნახვერის განმავლობაში უწყალოდ სცემდა. მუდამ წყნარი, მოხუცი დედა ცნობადაკარგულ ქმარს თმებს გაშმაგებით აგლეჯდა, მამა კი ფეხებით სცემდა. აქსინია ბრიჩკის ქვეშ იწვა, თავი შალში ჩაემალა და უხმოდ კანკალებდა. გათენებისას მოხუცი სახლში მოიყვანეს. იგი საცოდავად ღმუროდა და კუთხეში მიმალულ აქსინიას ოთახში თვალუბრით დაეძებდა. იგი საღამოთი გარდაიცვალა. ხალხს კი უთხრეს, ურმიდან მთვრალი გადმოვარდა და მოკვდაო.

ერთი წლის შემდეგ კი მორთულ-მიკაშმული ბრიჩკით აქსინიას მაჰანკლები მოვიდნენ. მაღალი, ჩასხმულკისრინი და წარმოსადეგი სტეფანე სპარტარძლოს მოეწონა. ქორწილი დანიშნეს შემოდგომის სახსნილობისათვის. დადგა ზამთრისპირის მხიარული, ყინულებით მოზრიალე დღე და ახალგაზრდებს ჯგვარი გადასწერეს. ამის შემდეგ აქსინია ასტაზოვების ოჯახის რძალი გახდა. მაღალმა, რაღაც მწვევე ქ-

¹ სტანიცა კამენსკია — ახლა ქალაქი კამენსკი, როსტოვის ოლქი.

ლური ავადმყოფობით დასნეულებულ-
მა, წელში მოხრილმა დედამთილმა
ქორწილის მეორე დღესვე ადრიადად
გააღვიძა აქსინია და სამზარეულოში
შეიყვანა, მას უმიზეზოდ გადააქონდა
ერთი ადგილიდან მეორეზე ქვაბების
სატაკი და თან ეუბნებოდა:

— აი რა გითხრა, ჩემო საყვარელო
რძალო, ჩვენ სანებიეროდ და საფე-
რებლად კი არ მოგიყვანეთ, აბა წადი,
ძროხები მოწველე, შემდეგ კი ღუმელ-
თან დატრიალდი, სადილის კეთებას
შეუდექი. მე უკვე დავებრდი, ძალა
ალარა მაქვს, ოჯახს მიხედვით, ის ახლა
შენზეა დამოკიდებული.

იმ დღესვე ბელუში სტეფანემ მო-
ფიქრებულად და საშინლად სცემა
ახალგაზრდა ცოლს. სცემდა მუცელში,
გულმკერდში, ზურგში, სცემდა იმ ან-
გარიშით, რომ ხალხს ნაცემი არ შეემ-
ჩნია. იმის შემდეგ სტეფანემ დაიწყო
გარე-გარე სიარული. დაიარებოდა
საღდათის მოქეიფე ცოლებთან, თით-
ქმის ყოველ საღამოს მიდიოდა, აქსინი-
ას კი ბელუში ან ღუმელში ჰკეტავდა.

წელიწადნახევრამდე, სანამ ბავშვი
არ გაუჩნდა, ვერ დაივიწყა სტეფანემ
ეს შეურაცხყოფა. შემდეგ მიჩუმდა,
მაგრამ ალერსზე ძუნწი სტეფანე ძვე-
ლებურად შინ იშვიათად იძინებდა.

დიდმა, მრავალსაქონლიანმა ოჯახმა
აქსინია ჩაითრია მუშაობაში. სტეფანე
ზარნაცობდა. გადაივარცხნინდა ქოჩორის
და წავიდიოდა ამხანაგებში თეთუნის
მოსაწევად, ჭაღალდის სათამაშოდ, სო-
ფლის ახალ ამბებზე საჭოროოდ, საქო-
ნელს კი აქსინია უვლიდა. ოჯახიც მის
კისერზე იყო. დედამთილი ცუდი თანა-
შემწე გამოდგა; ოდნავ დაიღლებოდა
თუ არა, დაეცემოდა საწოლზე, წერი-
ლად გამოსწევდა გაყვითლებულ, ჩა-
ფერფლილ ტუჩებს, ტკივილისაგან გამ-
ხეცებულ თვალებს ჰქერს მიაშტერებდა
და კენესოდა, იკრუნჩხებოდა, ასეთ
წუთებში მსხვილი, შავი, უშნო ხალე-
ბით მოფენილ მის სახეს სწორი ოფლი
ასველებდა, თვალებიდან ცრემლები
დაა-ღებთ ჩამოსდიოდა. აქსინია მია-

ტოვებდა სამუშაოს, საღმე კუთხეში
მიიკუნტებოდა, დედამთილს ეხმარებოდა
შიშითა და სიბრალულით შესტყურობდა.

წელიწადნახევრის შემდეგ დედამთი-
ლი გარდაიცვალა. დილით ფეხმძიმე
აქსინიას მშობიარობისწინა ტკივილი
დაუწყო. შუადღისას კი, ბავშვის ვაჩე-
ნამდის ერთი საათით ადრე, დედამთი-
ლი ძველი საჯინბოს კარებთან დავარ-
და და მოკვდა. ბებიასული სახლიდან
გამოვარდა, უნდოდა მთვრალი სტეფა-
ნე გაეფრთხილებინა, რომ ის არ შესუ-
ლიყო მშობიარესთან. მაგრამ, ამ დროს
მან საჯინბოს წინ აქსინიას დედამთი-
ლი დაინახა, იგი ფეხებშეკეცილი ძირს
ეგდო. აქსინია ბავშვის დაბადების შემ-
დეგ ჰმარს შეეჩვია, მაგრამ მის მიმართ
არავითარი გრძნობა არა ჰქონდა; იყო
მხოლოდ დედაკაცის მწვავე სიბრალუ-
ლი და შეჩვევა. ბავშვი მალე მოუყვდა,
მას ერთი წელიც არ უცოცხლია. ცხოვ-
რება ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა. და
როდესაც გრიშკა მელეხოვმა არსიყობა
დაუწყო და გზაზე გადაეღობა, თავ-
ზარდაცემულმა ქალმა დაინახა, რომ
მას გული მიუწევდა შავგვრემანი,
ალერსიანი ყმაწვილისაკენ, გრიგორი
დაეინებული და მოლოდინით სავსე
სიყვარულით უტრიალებდა მას და ეს
დაეინება აშინებდა აქსინიას. იგი ხე-
დავდა, რომ გრიგორის სტეფანესი არ
ეშინოდა. გული უგრძობდა, რომ
იგი ადვილად არ ჩამოშორდებოდა მას.
აქსინია მას მთელი თავისი გონებით,
მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგე-
ბოდა, მაგრამ ამავე დროს თავის თავს
ატყობდა, რომ უქმეებსა და საქმიან
დღეებში განსაკუთრებით ირთვებოდა.
თავს იტყუებდა და ნამდვილად კი ცდი-
ლობდა გრიგორისთან სწორად შეხვედ-
რას. სითბოსა და სიამოვნებას გრძნობ-
და, როცა გრიშკას შავი თვალები მას
ხარბად და გაშმაგებით ეალერსებოდ-
ნენ. გათენებისას, როცა ძროხების მო-
საწველად წამოდგებოდა, აქსინია ილი-
მებოდა, ილიმებოდა და მისდაუნებუ-
რად აგონდებოდა: „დღეს რაღაც სასი-
ამოვნო მოხდება, მაგრამ რა? გრიგო-

რი... გრიშა“. ამინებდა ეს ახალი გრძნობა, რომელიც მის არსებას მთლიანად აესებდა და საგონებელში ჩაეარდნილი წინ ფრთხილად მიიწევდა, ისევე ფრთხილად, როგორც დონზე მარტის თვეში დასვრეტილ ყინულზე გადადიოდა ხოლმე.

როცა სტეფანე ბანაკში გაისტუმრა, გადაწყვიტა გრიშას იშვიათად შეხვედროდა. ეს გადაწყვეტილება თევზაობის შემდეგ უფრო გაუმტყიცდა.

8

სამებობამდე ორი დღით ადრე სოფლებში სათიბი მდელი გაჰყვეს. გაყოფაზე წავიდა პანტელეი პროკოფიჩი. სადილობისას დაბრუნდა, ხენეშით გაიხადა ფეხსაცმელი, მაღიანად დაიფხანა დაბუყებული ფეხები და თქვა:

— ჩვენ წილად ნაკეთი წითელ ხეთან გვერგო. ბალახი მაინცდამაინც კარგი არ არის. ზევითა ბოლო ტყემლის აღწევს, ზოგან ქანგაც ურევია.

— თბვა როდის დაიწყება? — აკითხა გრიგორი.

— უქმეების შემდეგ.

— დარბას წაიყვანთ თან? — მოილუშა ილინიჩა.

პანტელეი პროკოფიჩმა ხელი გაიჭინა — „თავი დამანებო“.

— თუ დაგვეჭირდება, წავიყვანთ. სადილი მოამზადე, რასა დგებარ გაფარხხული?

ეოლმა ხმაურით გამოსწია ლემელის კარი, იქიდან გამთბარი კომბოსტოს სუპი გამოათრია. ქამის დროს პანტელეი პროკოფიჩი დაწვრილებით უამნობდა სათიბის გაყოფასა და მოქნილ, გაიძვერა ატამანზე, რომელმაც კინალამ არ მოატყუა მთელი სოფელი.

— იმ წელსაც იეშმაკა, — ჩაერია საუბარში დარბა, როცა სახნავეს იყოფდნენ, მალაშკა ფლოროვას შეუჩნდა, წილისყრაში შენც მიიღე მონაწილეობაო.

— ცნობილი გაიძვერაა, — ლეკვით ამბობდა პანტელეი პროკოფიჩი.

— მამილო, ვინ მოფოცხავს, ვინ ააბულულებს? — გაუბედავდა შეკითხვა დუნიაშკა.

— მერე შენ რას მიკეთებ?

— მარტო ვერ შევძლებ, მამილო!

— აქსიუტკა ასტახოვას დაეუძახებო. სტეფანემ მთხოვა, ჩემიც მოთიბეთო, პატოვი უნდა ვცეთ.

მეორე დღეს დილით მელეხოვების, ეზოს მიტკა კორშუნოვი მოადგა. მიტკა შეკანმულ კოჭბროლა კვიცზე იჯდა. წვიმდა. სოფელს შავი ღრუბელი ჩამოსწოლოდა. მიტკა უნაგირიდან გადმოიწია, ქიშკარი გააღო და ეზოში შევიდა. აიენიდან გრიგორის დედამ დაუყვირა.

— შენ ეი, უქნარა, რას მობრძანებულხარ? — შეეკითხა იგი უქმაყოფილოდ, არ უყვარდა ბებერს თავზნელალებული, მოჩხუბარი მიტკა.

— რა გინდა ილინიჩნა — მიტკას გაუყვირა და კვიცი მოაჯირზე მიაბა, — მე გრიშკასთან მოვედი. სად არის?

— ფარდულთან სძინავს. შენ დღეს რა დამბლა დაგეცა, რომ ცხენით დამბრძანდები, ფეხით ვერ ივლი, თუ?

— შენ რა ყველაფერში ეჩრები, ბებერო! — იწყინა მიტკამ. იგი ფარდულისაკენ ტანის რხევით გაემართა, თან ვერცხლით შეკედლი მათრახს ლაჭის ჩექმების ყელს უტყლაშუნებდა. გრიგორის უღელმბოხნილ ურემზე ეძინა. მიტკამ მარცხენა თვალი მოკუტა, თითქოს დაუმინაო, გრიგორის მათრახი გადაჰკრა.

— ადუ, გლეხო!

სიტყვა „გლეხი“ მიტკასთვის ყველაზე სალანძლავი სიტყვა იყო. გრიგორი ზამბარასავით შეტბა.

— რა გინდა?

— გეყოფა ძილი!

— ნუ სულელობ, მიტკა, სანამ არ გაგვავრებულვარ...

— ადუ, საქმე მაქვს.

— რა საქმე?

მიტკა ურმის კოფოზე ჩამოჯდა. იგი

მთარახის ტარით ჩექმაზე მიმხმარ ტალახს იცლიდა და ამბობდა:

— მე ნაწყენი ვარ, გრიშა...

— რაზე?

— როგორ თუ რაზე... — მიტკამ გრძლად შეივინა, — ძალიან ყოყოჩობს და თავი მოაქვს იმ ასისთავს.¹

გულმოსული მიტკა კბილებს აკრახუნებდა, სატყეებს ზედიზედ ისვრიდა, ფეხები უკანაკლებდა; გრიგორიმ წამოიწია.

— ვინ ასისთავი?

მიტკამ პერანგის სახელოში გრიგორის ხელი სტაცა და ცოტა დამწვიდებით უთხრა:

— ახლავ შეკაზმე ცხენი და ბოსტნებისაკენ წავიდეთ. მე იმას ვუჩვენებ! ასე ვუთხარი: — „აბა, თქვენი კეთილშობილება, გამოცვალოთ-მეთქი“, „მოიყვანო“ მითხრა, „შენი ყველა მეგობარ-ამხანაგი, ყველას გაჯობებითო იმიტომ, რომ ჩემი ფაშატის დედა, ბეტერბურგში ოფიცრის დოღებზე პირველ ჯილდოებს იღებდაო“. ჯანდაბას ფაშატი და მისი დედა, ღმერთმა დასწყევლოს ისინი! ჩემს კვიცს მე არავის ვაჯობინებ.

გრიგორიმ საჩქაროდ ჩაიქცა. მიტკა ფეხდაფეხ დასდევდა. სიბრაზით და ენის ბორძიკით უამბობდა:

მივიდა სტუმრად ვაჟარ მოხოვთან ის ასისთავი. დამაცა, მგონია, გვარად ლისტნიცია. შესახედად სქელი, სერიოზული, სათვალეებს ატარებს. მერე რა! მართალია, ის სათვალეებიანია, მაგრამ ჩემს კვიცს მის ფაშატს მაინც არ ვაჯობინებ!

გრიგორის ეცინებოდა, შეკაზმა ბე-

ბერი, სანაშენოდ დატოვებული ფაშატი და კალოს კარით, რომ მამან არ დაენახა, ტრამალზე გავიდა. ბოსტნებისაკენ გორაკიდან თავქვე დაეშვენ. ცხენები ჩლიქებით ტალახს აჭყაპუნებდნენ. საბოსტნებში გამხმარ ალვისხესთან ცხენოსნები უცდიდნენ: ასისთავი ლისტნიცია, რომელიც კუნთმაგარ, ლამაზ ფაშატზე იჯდა და შეიდი სოფელი ყმაწვილი ცხენებზე.

— საიდან დაეწყით? — მიმართა მიტკას ასისთავმა და სათვალეები გაისწორა. ის მიტკას კვიცის მკერდის ღონიერ კუნთებს სიამოვნებით შესცქეროდა.

— ალვის ხიდან ცარევის გუბურამდის.

— სად არის ცარევის გუბურა? — ასისთავმა ბეცი თვალები მოჭურა.

— აი იქ, თქვენი კეთილშობილება, ტყესთან.

ცხენები ჩამწყრივეს. ასისთავმა მთარახი ასწია. მხარზე სამხზე აებურცა.

— როგორც კი ვიტყვი „სამი“, ცხენები მიეშვით! აბა, ერთი. ორი... სამი! ასისთავმა პირველმა მოსხლიტა ცხენი, წინ გადაიხარა, ცალი ხელით თავზე ქუდი დაიმარა. ერთი წუთით ყველას გაუსწრო. დაბნეული, გაფთხრებული მიტკა უზანგზე წამოდგა; გრიგორის მოეჩვენა, რომ მიტკას ძალიან დიდხანს ექირა ცხენისათვის დასარტყმელად მომზადებული, მალა აწეული მთარახი.

ალვის ხიდან ცარევის გუბურამდე სამი ვერსია. შუა გზაზე მიტკას კვიცო გატყორცნილი ისარჩივთ გასწორდა და ასისთავის ფაშატს დაეწია. გრიგორი უგულოდ მოაქენებდა, თავიდანვე წაშორდა, ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა და ყურადღებით უთვალთვალებდა წინ გაპრილ, რგოლებად გამოლილ ჯაჭვს.

ცარევის გუბურას მახლობლად გაზაფხულის ნიღერისაგან მოტანილი ქვიშაყრილია. აქლემის კუზივით ამობურცული მისი ყვითელი თხემი ეკლიანი ძალღნოიორას გამხმარი ფოთლებით არის დაფარული. გრიგორი ხედავდა,

¹ მეფის არმიამი ოფიცრის ჩინებს პქონდა შემდეგი სახელწოდება; ა) პოდპორუჩიკი (კავალერიაში — კორნეტი, კახაკებში — ხორუჩი). ბ) პორუჩიკი (კახაკების — ასისთავი) გ) შტაბს-კამიტანი, (კავალერიაში — შტაბ-როტმისტრი, კახაკთა ჯარებში — ქვეესაული), დ) კამიტანი (კავალერიაში როტმისტრი, კახაკთა ჯარებში — ესაული), ე) პოდპოლოვნიკი (კახაკებში — სამხედრო მამასახლისი), ე) პოლოვნიკი. პირველ ოთხარისსს ექმბდნენ ობერ-ოფიცრის ჩინებს, უკანასკნელ ორს კი — შტაბ-ოფიცრისას.

თუ როგორ შეახტნენ აღმართს ასის-
თავი და მიტკა და იქითა მხარეს გადა-
ეშვენენ; მათ დანარჩენი ცხენოსნებიც
ცალ-ცალკე მიჰყვებოდნენ. როდესაც
გრიგორი გუბურასთან მივიდა, ოფლი-
ანი ცხენები უკვე ერთად შეგროვილიყუ-
ნენ. ცხენიდან ჩამომხტარი ყმაწვილე-
ბი ასისთავს შემოეხვივნენ. მიტკას
სახე თავშეკავებული სიამოვნებით
უბრწყინავდა. მის ყოველ მოძრაობაში
სიხარული გამოსჭვიოდა. გრიგორიმ
დაინახა, რომ როგორც მოსალოდნელი
იყო, ასისთავი სრულიადაც არ იყო
დარცხენილი: იგი ხეს მისწროლდა
და პაპიროსს ეწყოდა, ნეკით ოფლში
გაწუწულ ფაშატზე უჩვენებდა და ამ-
ბობდა:

— ამ ცხენით ასორმოცდაათი ვერსი
გამოვიარე, მხოლოდ გუშინ მოვედი
სადგურიდან. დაღლილი რომ არ ყო-
ფილიყო, შენ, კორმუნოვო, ვერასოდეს
ვერ გამისწრებდი.

— შეიძლება, — დიდსულოვნებას
იჩენდა მიტკა.

— ამისთანა მკვირცხლი კვიცი მთელს
ოლქში არ მოიპოვება — შურითა თქვა
ქორფლიანმა ბიჭმა, უკანასკნელად რომ
მოაქენა ცხენი.

— კარგი ცხენია, — მიტკამ აღლვე-
ბისაგან აკანკალებული ხელი კვიცს კი-
სერზე დაარტყა, ცივად გალიმა და გრი-
გორის გადახედა.

ისინი ორნი ჩამოშორდნენ ყველას,
ქუჩით კი არ წასულან, გორაკის ძირს
გაპყვნენ. ასისთავი მათ ცივად გამო-
ეთხოვა, ორი თითი ქუდთან მიიღო და
გვერდზე გაიხედა.

როცა შესახვევით უკვე ეზოს უახ-
ლოვდებოდნენ, გრიგორიმ მათგან მი-
მავალი აქსინია დაინახა. იგი მიდიოდა
და წყებლას კანს აცლიდა. დაინახა
გრიგორი და თავი უფრო დაღუნა.

— რისა შეგრცხვა, ტიტვლები ხომ
არ მოვდივართ? — დაუყვირა მიტკამ
და თვალი ჩაუკრა. — ეხ, ჩემო მწარე
მოლოხანაე!

გრიგორი წინ იხედებოდა, თითქმის
გაუარა აქსინიას და მშვიდად მიმავალ

ცხენს უეცრად მათრახი გადაჰკრა. ცხენ-
მა უკანა ფეხებით ჩაიკეცა და აქსინიას
ფლოქვებით ტალახი შეაშენდა.

— ოჰ, შე შეჩვენებულო!

გრიგორიმ გახურებული ცხენი სწრა-
ფად შემოატრიალა, აქსინიასთან მიიქ-
რა და ჰკითხა:

— რატომ სალამს არ იძლევი?

— ღირსი არა ხარ!

— აი იმიტომაც შემოვასხი ლაფი,
ნუ ამაყობ!

— გამატარე! — დაიყვირა აქსინიამ
და ცხენის თავის წინ ხელების ქნევა და-
იწყო. — ულაყით გინდა გამთელი?!

— ეს ფაშატია და არა ულაყი.

— სულერთია... გამატარე!

— რაზე მიწყრები, აქსინუტკა? ნუ-
თუ იმაზე, იმ დღეს ბოსტანში რომ
მოხბა?...

გრიგორიმ თვალბში ჩახედა ქალს.
აქსინიას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგ-
რამ შავი თვალის კუთხეში უცებ
ცრემლი აუციმციმდა. საცოდავად აუთ-
რთოლდა ტუჩები. მოუსვენრად ჩაყ-
ლაბა ნერწყვი, წაიწურჩულა:

— თავი დამანებე, გრიგორი... მე
არა ვჯავრობ... მე... — და წავიდა.

9

სამებობის შემდეგ სოფლის სახლებ-
სა და ეზოებში დარჩა: იატაკზე დაბნე-
ული ხმელი ურცი, გამხმარი ფოთლე-
ბის მტვერი და ეზოს ჰიშკრებზე და
აივნებზე მიკრული, ჩამქეჩარი, ფერ-
გადასული მუხისა და კობიტის მოჭრი-
ლი ტოტები.

სამებობის შემდეგ დაიწყო თიბვა.
დილიდანვე აპრელდა საბოსტნეები
დედაკაცების საგარეო კაბებით, ჰყეტე-
ლა ფერებით მოქარგული წინსაფრები-
თა და სხვადასხვა ფერის თავშეღებით.
სათიბაზე მთელი სოფელი ერთად გა-
მოდიოდა. მცელაეები და მფოცხაეები
ისე ირთებოდნენ, თითქოს დღეობანი
მიდიანო. ძველი დროიდანვე ასე იყო
დაწესებული. დონიდან დაწყებული,
შორეულ თხმელნარამდე შრიალებდა და

ცელებქვეშ ოხრავდა დაცარიელებული ველი.

მელეხოვებმა შეიგვიანეს. სათიბაზე მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როცა თითქმის ნახევარი სოფელი უკვე გასული იყო.

— დიდხანს გძინებია, პანტელეი პროკოფინ! — ახმაურდნენ უკვე გაოფლიანებული მცელავეები.

— ჩემი ბრალი არ არის, დედაკაცებმა დამავიანეს, — ილიმებოდა მოხუცი და გამოუქნელი ტყავისაგან დაწნული შოლტით ხარებს მიანჭარებდა.

— გამარჯობა შენი, მეგობარო! დავაგვიანდა, ძმობილო, დავაგვიანდა... — ეუბნებოდა თავის ქნევით მაღალი, ჩალის ქუდიანი კაზაკი, რომელიც გზასთან ცელს პირს უწყობდა.

— ბალახი გადახმება, თუ?

— თუ დაჩქარებ, მოასწრებ, თუ არა და იქნებ გადახმეს კიდევ! რა ადგილას არის შენი ნაკვეთი?

— წითელ ხევთან.

— დაჩქარე წაბლა ხარები, თორემ დღეს ვერც კი მიხვალ.

აქსინია ურმის ბოლოზე იჯდა. სახე მზისაგან თავშალით დაეფარა. თვალეზისათვის დატოვებული ვიწრო კუჭკუტანიდან პირდაპირ მჯდარ გრიგორის გულგრილად და მკაცრად უყურებდა. დარიაც შორთული და თავმოხვეული ქალბებუა ფეხებჩამოკიდებული იჯდა და ხელზე დასაძინებლად მომზადებულ ზავშეს გრძელ, ძარღვიან ძუძუს აწოვებდა. დუნიაშკა კოფოზე ხტუნავდა, ბედნიერი თვალეზით მინდორსა და გზაზე მომავალ ხალხს ათვალეყრებდა. მისი მზიარული, მზემოკიდებული და წარბებშუა დაქორთვლილი სახე თითქმის ამბობდა: „მე მზიარულად და კარგად ვარ იმიტომ, რომ თვითონ დღეც მოწმენდილი, ლავარდციანი, მზიარული და კარგია; იმიტომ, რომ ჩემს გულშიც აი ისეთივე ლავარდი მყუდროება და სიწმინდეა; მე მზიარული ვარ და პეტეარაფერი მინდა“, პანტელეი პროკოფინმა ნარმის პერანგის სახელო ჩამოიწია და შებლზე ქუდიდან ჩამოსული

ოფლი მოიწმინდა. მის ამოხრილ ზურგზე გადაქიმულ პერანგს მუქი ოფლის ლაქები ემჩნეოდა. მზე უყვეთსფერმა დაკულულებულ ღრუბლებიდან იჭყიტებოდა, მისი მონაცრისფერო, მარათსავით გაშლილი სხივები შორს, დონგალმა, ვერცხლისფერ მთებზე, ტრამალზე, ბოსტნებზე და სოფელზე ეშვებოდა.

სიცხის ბული იდგა, ქარისაგან დაფლეთილი ღრუბლები ზანტად მიცურავდნენ ცაზე, ვერ ეწეოდნენ ზღაზენით მიმავალ პანტელეი პროკოფინის ხარებს. პანტელეი პროკოფინი მაღლა აწეულ შოლტს მძიმედ, გაუბედავად იქნევდა, თითქოს ყოყმანობდა, გადაეცხო ხარებისათვის, თუ არა. ალბათ ხარებიც გრძნობდა ამას, ამიტომაც ნაბიჯს არ უმატებდნენ, ისევე ნელა, მარწუნისებურ ფეხებს მოსინჯვით ადგამდნენ. და კუდეებს იქნევდნენ. ყვითლად დამტვერილი, ოქროსფრად მოლაპლაპე ბუზანკალი დასტრიალებდა მათ.

სოფლის კალოებთან გათიბული მდელი ზურმუხტისფრად მოჩანდა; იქ, სადაც ჯერ ცელს არ გაველო. ქარი ნორჩი ბალახის მუქმწვანე აბრეშუმს აბიბინებდა.

— აი ჩვენი ნაკვეთი! — პანტელეი პროკოფინმა შოლტი მოიქნია.

— ტყის პირიდან დავიწყით? — ჰკითხა გრიგორიმ.

— აქედანაც შეიძლება დავიწყით, აქ მე ბარით სამანი ამოკვერი.

გრიგორიმ შეწუხებული ხარები გამოუშვა. მოხუცმა საყურის ბრჭყვიალით იმ ადგილის საქმენელად გასწია, სადაც სამანი ჰქონდა ამოჭრილი.

— ცელები აიღეთ! მალე! — დაიძახა მან და შინაურებს ხელი დაუქნია.

გრიგორი წავიდა, მის ფეხქვეშ ბალახი ითელებოდა. ურმიდან მდელის მოლიველივე კვალი გაჰყვა. პანტელეი პროკოფინმა თეთრი სამრეკლოს გუმბათზე, რომელიც შორიდან მოჩანდა, პირჯვარი გადაისახა და ცელი აიღო. მისი კეხიანი ცხვირი ახლად შელაქუ-

ლივით ლაღაპებდა, შავი ლოყების ფოსოებზე ოფლი ჩამოსდიოდა. მან გაიღიმა და ყორნისფერ წვერში თეთრმა, ჩაწიწიკებულმა კბილებმა ერთბაშად გაიღვია. ცელი აიღო, დანაოჭებული კისერი მარჯვნივ მოატრიალა. მის ფეხებთან მოცელილი ბალახი ერთ საყენზე ნახევარწრედ გაიშალა.

გრიგორი მას კვალში მისდევდა. თვლები ნახევრად მოეხუტა და მოცელილი ბალახის მწკრივსა მჟებდა. მის წინ დედაკაცების წინსაფრები ცისარტყელასავით აჭრელებულიყო, მაგრამ იგი თვალებით მხოლოდ ერთს ეძებდა, ქობაამოქარგულ თეთრ წინსაფარს; გადახედვდა აქსინიას და ისევ ცელის ქნევით მამას უსწორებდა ნაბიჯს.

აქსინია მის ფიქრებს არ შორდებოდა; ნახევრად ლულავდა თვლებს, გონებაში ჰყოცნიდა მას, ენაზე საიდანღაც მომწყვდარ მწველ, ალერსიან სიტყვებს ესროდა, მერე ფიქრიდან იცილებდა, ნაბიჯის თვლით მისდევდა — ერთი, ორი, სამი... მეხსიერება კი ახარებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოგონებებს: „სველი ზვინის ქვეშ რომ ვისხედით... როგორ ჰრეკინებდა ქაობში ჰრეკინა... მთვარე ანათებდა ქალას... და ბუჩქიდან გუბეში ნელ-ნელა წვეთავდა, აი ისევ — ერთი, ორი, სამი... ოხ, რა კარგია, რა კარგია!“

ბანაკთან გაიციენს, გრიგორიმ მიიხედა: აქსინია დაბლა დახრილი რაღაცას ელაპარაკებოდა ურმის ქვეშ მწოლ დარბაზს. მან ხელები გაიქნია და ორივემ კვლავ გაიციენა... დუნიაშკა ხელნახე იჯდა და წვრილი ხმით მღეროდა.

„მივალ, აი იმ ბუჩქამდის და ცელს პირს აფუწყობ“, — გაიფიქრე გრიგორიმ და იგრძნო, რომ ცელმა რაღაც ბლანტს გაუარა. დახედა: ფეხქვეშ, ბალახში, წრიბინით გამოჩნდა გარეული იხვის ქუქული. ორმოსთან, სადაც ბუდე იყო გაკეთებული, ეგდო მეორე, ცელით შეაზე გადაქრილი, სხეები ბალახში ყაყინით გაითანტენ. გრიგორიმ ხელის გულზე დაიდო გადაქრილი იხვის ქუქული. ოდნავ მოყვითალო-ყავის-

ფერს, ამ დღეებში კვერციხიდან გამოჩვილს, ბუმბულში ჯერ კიდევ უნდა ჩენოდა სხეულის სითბო. განიერ, ღია ნისკარტზე ვარდისფერი სისხლის წვეთი ეკიდა, პატარა თვალის მძივი ეშმაკურად მოეკუტა, და ჯერ ისევ თბილი ფეხები უკანალებდა.

გრიგორი უეცარი, მწვავე სიბრაულის გრძობით უმზერდა ხელისგულზე მდებარე მკვდარ ქუქულს.

— გრიშენკა, რა იპოვნე?..

მოცელილ რიგებზე ხტომით გამობრბოდა დუნიაშკა. მის მკერდზე წვრილად დაწული ნაწნავები ხტოდნენ. სახეშეკუმბუნნილმა გრიგორიმ ქუქული დააგდო და ცელი ბრაზით მოიქნია.

სადილის შემდეგ დედაკაცებმა ფოცხვა დაიწყეს. მოთბული ბალახი ჰკნებოდა და ხნებოდა. მას მძიმე, დამათრობელი სუნი ასდიოდა. ისადილეს სახელდახელოდ. მთელი მათი სადილი იყო, — დამართლებული ღორის ქონი და გაწურული მაწონი, კახაჯის მუღმივი საგზალი, რომელიც სახლიდან ჩანთით მოაქვთ ხოლმე.

— შინ წასვლა არა ღირს! — თქვა სადილის დროს პანტელეი პროკოფიჩმა, — ხარები ტყეში საძოვარზე გაუშვით და ხვალ, როგორც კი მზე ნამს ააშრობს, თიბვა დავამთავროთ.

ბინდდებოდა, როდესაც თიბვა დამთავრეს. აქსინიამ დარჩენილი თივის რიგები მოფოცხა და ფაფის მოსახარშად ბანაკში დაბრუნდა. გრიგორის იგი მთელი დღე გესლიანად დასცინოდა, სიმულვილით უყურებდა, თითქმის დიდი, დაუვიწყარი, შეურაცხყოფისათვის შურს იძიებდა. უხალისო და ნალვლიანმა გრიგორიმ ხარები დონზე წყლის დასალევად გარეკა. მამა აქსინიას და გრიგორის განუწყვეტლივ უთვალთვალებდა. მან მტრულად გადახედა გრიგორის და უთხრა:

— ივანეშვი და შემდეგ ხარებს დაუდექი... ყური უგდე, ბალახში არ გაუშვა, თან ჩემი ზიბუნე წაიღე.

დარიამ ურმის ქვეშ ბავშვი დააწვინა და დუნიაშკასთან ერთად ფიჩხის მოსატანად ტყეში წავიდა.

ბოსტნების თავზე მიუწვდომელ ქუფრ ცაზე მცხრალი მთვარე ნელა მიცურავდა. ცეცხლის ირგვლივ ფარვანები ქარბუქივით ტრიალებდნენ. ცეცხლისპირას გაშლილ ტილოს სუფრასზე ვახშამი გაშალეს. გამურულ საველე ქვაბში ფაფა დღვდა. დარიამ ქვედა კაბის კალთით კოვზები გაწმინდა და გრიგორის გასძახა:

— მოდი, ივანეშვი!

მხრებზე ზიზუნწამოსხმული გრიგორი სიბნელიდან გამოძვრა და ცეცხლთან მივიდა.

— რა პირქუშად გამოიყურები? — გაუღიმა დარიამ.

— წელში მამტვრევს, წვიმის ნიშანია! — სცადა გრიგორიმ გახუმრება.

— ღმერთმანი, მაგას ხარების ყარაულობა ეზარება! — დუნიაშკამ გაიღიმა და მშას მიუჯდა, დაელაპარაკა, მაგრამ ლაპარაკი არ გამოუდიოდა.

პანტელეი პროკოფიჩი ხარბად თქველფდა ფაფას, მოუხარშავ ფეტვის მარცვლებს კბილებში ახრამუნებდა. აქსინია თავჩაღუნული სკამდა, დარიას ხუმრობაზე უგულოდ ილიმებოდა, გავარჯარებული ლოყები სიწითლისაგან ეწვოდა.

გრიგორი პირველი ადგა და ხარებისაკენ გასწია.

— თვალი გეკვიროს, ხარებს სხვისი ბალახი არ გააქელინო! — მიაძახა მამამ. მას ფაფა სასულეში გადაცდა და დიდხანს მკექარედ ახველებდა.

დუნიაშკას სიცილისაგან ლოყები ებერებოდა. ცეცხლი ქრებოდა. გარშემო მსხდომთ ჩაფერფლილი ფიჩხი, დამწვარი ფოთლების თაფლის სუნს ჰფენდა.

შუღამისას გრიგორი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბანაკს და ათ ნაბიჯზე გაჩერდა. პანტელეი პროკოფიჩი ურემზე გაბმით ხერინავდა. ნაცრიდან ფარშავანგის ოქროსფერი თვალივით ჯერ

ისევე ჩაუმქრალი ცეცხლი გამოსქვრივდა.

ეროვნული

ურმიდან ნაცრისფერი, სსბსტკრემისა გახვეული ადამიანის ჩრდილი წამოვიდა და, გრიგორისაკენ ნელა, ბარბაცით გაემართა. ორ-სამ ნაბიჯზე შეჩერდა. აქსინია! ის არის! აჩქოლებული გული გრიგორის ორად გაეპო. წინ გაიწია, გაიხსნა ზიბუნე და გულში ჩაიყრა მორჩილი, აგზნებული აქსინია.

სინანულით გაწამებული აქსინია გრიგორის ხელიდან გაუსხლტა და თითქმის შეტკივლა დაბალი, მკენესარე ხმით.

— გამიშვი, ახალა რაღა იქნება... თვითონ წამოვივალ!..

10

დედაკაცის დაგვიანებული სიყვარული ლაქვარდ ყირმიზისფრად კი არა ჰყვავის, არამედ გზისპირას ამოსულ ლენკოფასავით.

რაც სათიბავიდან დაბრუნდა, აქსინია გამოიცვალა. თითქოს ვიღაცამ მის სახეს ნიშანი დაადო, დაღი ამოსწვა, როცა მას დედაკაცები ხედებოდნენ, გამჭირდავად ილიმებოდნენ, თავის ქნევით თვალს აყოლებდნენ; ქალიშვილებს შურდათ მისი მდგომარეობა, აქსინიას კი ამაყად ექირა მალა თავისი ბედნიერი, მაგრამ შერცხვენილი თავი.

გრიშკასთან მისი კავშირი მალე ყველამ გაიგო. თავდაპირველად ამაზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. სჯეროდათ და არც სჯეროდათ; მაგრამ მას შემდეგ, რაც სოფლის მენახიურ პაქუა კუზკამ გათენებისას წისქვილის მახლობლად ჩამავალი მთვარის შუქზე, დაბალ ყანაში მწოლარე ნახა ისინი, მღვრიე გარდამავალი ზვირთივით დაირხა ხმა.

ამ ხმამ პანტელეი პროკოფიჩის ყურამღისაც მიაღწია. ერთხელ, კვირა დღეს იგი მოსოვის დუქანში წავიდა. დუქანში აუბარებელი ხალხი იყო. შიგრომ შევიდა, თითქოს ხალხმა გზა მისცაო — გაუღიმაო. ძლივს მიუახლოვდა დახლს, სადაც ჩითიულს ჰყიდნენ. სა-

ქონელი თვითონ დუქნის პატრონმა, სერგეი პლატონიჩმა, უჩვენა.

— რა ამბავია პროკოფინი, დიდი ხანია არ მინახავხარ?

— საქმეები მაქვს, ვერ ავუღივარ სამუშაოს.

— რატომ? ასეთი ვაყები გყავს და ოჯახს თავს ვერ ართმევთ?

— მერე რა, რომ ვაყებია! პეტრო საბანაოდ გავისტუმრე; მე და გრიშკას დაგვაწვა ოჯახი.

სერგეი პლატონიჩმა სქელი წაბლისფერი წვერი, ორად გაიყო და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა შეკრებილ კაზაკებს.

— მართლა, ჩემო კაზაკო, რას გვიმალავ?

— რაზე მეუბნები?

— როგორ თუ რაზე? თურმე ვაქს აქორწინებ და ხმას კი არ იღებ?

— რომელ ვაქს?

— გრიგორი ხომ უცოლო გყავს?

— ჯერჯერობით არც მიფიქრია მისი დაქორწინება.

— მე კი გაეფიქრე, რომ რძლად მოგყავს... სტეფანე ასტახოვის ცოლი აქსინია.

— მე? ცოცხალი ქმრისაგან... შენ რა, პლატონიჩ, დამცინი, თუ?

— არ დაგცინი, ხალხი ლაპარაკობს.

პანტელეი პროკოფინმა დახლზე გაშლილ ჩიბოს ხელი გადაუსვა, სწრაფად შემოტრიალდა და კოჭლობით გაემართა კარისაკენ. იგი პირდაპირ სახლისაკენ წაეიდა. მიდიოდა ხარბით თავჩაღუნული, მაგრად შეეკრა ძარღვიანი თითები მუშტებად. სიკოჭლე შესამჩნევად ეტყობოდა. როდესაც ასტახონის ეზოს ჩაუარა, ღობის იქით გადაიხედა: აქსინია შორთული გაახალგაზრდავებული, თემობების რხევით, სახლში მიდიოდა, ხელში ცარიელი ვედრო ეჭირა.

— აბა, ერთი მოიცადე!..

პანტელეი პროკოფინი გაცეცხლებული გაემართა ტიშკრისაკენ. აქსინია გაჩერდა, მოუცადა. ოთახში შევიდნენ. სუფთად დაგვილ სოხანზე წითელი ქვი-

შა იყო მობნეული. წინა კუთხეში, გრძელ სკამზე ღუმელიდან აცხვებულ ბული ნამცხვარი ეწყო. აქსინია გადიხანს ნადები ტანსაცმლის და რატომღაც ანისური ვაშლის სუნს.

პანტელეი პროკოფინის ფეხებთან პრელი, დიდთავა კატა მივიდა და მიელაქუცა. კატა წელში აიკუნა და მის ჩექმებს მეგობრულად გაეხახუნა. პანტელეი პროკოფინმა კატა სკამს მიახეთქა, აქსინიას შეხედა და შეჰყვირა:

— შენ ეი, რას ჩაღიხარ, ა? ჯერ ქმრას ნადეხური არ გამშრალა და შენ კი უკვე კული მოიქნე! გრიშკას ამისათვის სისხლს ვანთხევინებ, სტეფანეს კი მიფიქრ!.. იცოდეს!.. აი, შე გათახსირებულო, შენა, ცოტა გცემს? დღეიდან ჩემს ეზოში შენი ფეხი აღარ იყოს! გადაეკიდე ბიჭს! სტეფანე რომ ჩამოვა, მევე...

აქსინია თვალბზოქუტული უსმენდა. უცებ უსირცხვილოდ აიწია კაბა და ცხვირწინ აუქნია, პანტელეი პროკოფინს დედაკაცის კაბის სუნი ეცა; აქსინია მკერდით, გრეხით და კბილებს კრეჭით წამოვიდა მისკენ.

— შენ რა, ჩემი მამამთილი ხარ; თუ? ა? მამამთილი ხარ?.. შენ მე რას მასწავლი? წადი შენს საჯდომასიებულს ასწავლე! შენს სახლში იბარბაშე!.. მე შენ ძალადაც არ გაგდებ, კოჭლო, ეშმაკო, მახინჯო!.. წადი აქედან, ტახივით ნუ გაცოფდი, ვერ შემაშინებ!

— მოიცა, სულელი!

— რას უნდა ვუცადო, შენ ვინ გეკითხება!.. წადი, საიდანაც მოსულხარ! შენს გრიშკას კი, თუ მოვინდომე, კაცნატელებიანად დაგვენტავ და პასუხსაც არ ვაგებ!.. აი, მომჰამე! მიყვარს, გრიშკა, მერე? დამარტყამ?.. ქმარს მისწერ?.. თუ გინდა კანონმდებელ ატამანსაც მისწერე, გრიშკა კი ჩემია! ჩემი! ჩემი! მე მეკუთვნის და მუდამაც ჩემი იქნება!..

აქსინია მკერდით მიიწედა დაბნეული პანტელეი პროკოფინისაკენ, სწვავდა მას შავი თვალბზის ალთ, ერთიმე-

ორგზე უფრო უსირცხვილო და საშინელ სიტყვებს აფრქვევდა. პანტელეი პროკოფინს წარბები აუთამაშდა, კარი-საკენ დაიხია, ხელის ფათურით მოძებნა კუთხეში დატოვებული ყავარჯენი და კარი ზურგით გააღო. აქსინია მას აგდებდა დერეფნიდან, სუნთქვაშეკრული გივივით უყვიროდა:

— მთელი ჩემი მწარე სიცოცხლის საბადლოდ მეყვარება!.. მერე კი გინდ მომკალით! ჩემია გრიშკა! ჩემია!..

პანტელეი პროკოფინმა წვერებში რალაცა ჩაიბუტბუტა და სახლისაკენ კოკლობით წავიდა.

გრიშკა ოთახში დახვდა. პანტელეი პროკოფინმა ყავარჯენი უსიტყვოდ ზურგზე გადასცხო. გრიგორი დაიკუნა და მამას ხელში ჩაეჭიდა.

— მამა, რისთვის, მამავ!

— საქმისათვის, ძაღლის შეილო!..

— რისთვის?

— ნუ ბილწავ მეზობელს! მამას ნუ არცხვენს! ნუ დაეთრევი ზეადო! — ხრიალებდა პანტელეი პროკოფინი, ოთახში გრიშკას დაათრევდა და ცდილობდა ყავარჯენი წაერთმია.

— ცემის ნებას არ მოგცემს! — ყრუდ ამოიქშინა გრიგორიმ, კბილები დააკრაქუნა და ყავარჯენი წაართვა, მერე მუხლზე დაიდო და გადატეხა.

პანტელეი პროკოფინმა მაგარი მუშტი ჩაპკრა კისერში.

— სოფლის ყრილობაზე სახრით აგაპრელებს!.. აი, შე ეშმაკის თესლო, დაწყველილო! — იწვედა, ცდილობდა კიდევ ერთხელ ჩაეცა წიხლი. — სულელ მარფუშკას შეგრთავ!.. მე შენ დაგკოდავ!.. ერთი ამას შეხედ!

ყვირილზე დედა მოვარდა.

— პროკოფინ, პროკოფინ!.. დამშვიდდი, დაიცა!..

მაგრამ მოხუცი აღარ ხუმრობდა: ერთი ცოლსაც უთავაზა, საკერავი მანქანის მაგიდა გადააბრუნა და ნაბრძოლი ეზოში გავარდა. გრიგორიმ ჩხუბის დროს სახელმომხეუელი პერანგის ვახდა ვერც კი მოასწრო, რომ კარი ბრა-

ხუნით გაიღო და პანტელეი პროკოფინი შეა კარებში მეხვიით ჩადგინდა.

— ცოლი უნდა შევერთოთ შეილოს!.. — მან ცხენივით დაპკრა ფეხი და ჩასხმულ გრიშკას ზურგს ჩააშტერდა. — ცოლს შეგრთავ!.. ზეადვე წავალ სამაჰანკლოდ, იმასაც მოვესწარი, რომ შეილის გამო მასხარად მიგდებენ.

— დამაცადე, პერანგი გამოვიცვალო, ცოლი მერე შემრთე.

— შეგრთავ, სულელ ქალს შეგრთავ! — მოაჯახუნა კარი, აივანი ბრახუნით ჩაიარა და... მისი ფეხის ხმაც მიწყდა.

11

სოფელ სეთრაკოვის ბოლოს, ტრამალზე, რიგ-რიგად ბრეზენტით მოჩარდახული ბრიჩკები გაკიმულაყვნენ. არაჩვეულებრივი სისწრაფით გაშენდა პატარა ქალაქი, თეთრი სახურავებით, წესიერი, ლამაზი, სწორი ქუჩებით და შუაში პატარა მოედნით, რომელზედაც გუშაგი დადიოდა.

ბანაკებში ჩვეულებრივი, ერთფეროვანი ცხოვრება დაიწყო. როგორც ყოველ წელიწადს, მაისობის დროს დილობით კახაკების რაზმი, რომელიც სამოვარზე ცხენებს ყარაულობდა, მათ უკანვე ბანაკში მორეკავდა ხოლმე; დაიწყებოდა წმენდა, შეკაზმვა, გამოძაბება და დარაზმვა. ბანაკის გამგე შტაბის ოფიცერი, დოღრილა, ჯარის მამასახლისი, პოპოვი რიხიანად ყვიროდა, უნტერ-ოფიცრები ახალგაზრდა კახაკებს უყვიროდნენ, მათ წრთენიდნენ. გორაკს გადაღმა ერთმანეთზე იერიშით მიდიოდნენ, ეშმაკურად ერტყმოდნენ გარს და „მტერს“ ზურგიდან უვლიდნენ. საფანტის თოფებიდან ნიშანში ისროდნენ. უფრო ახალგაზრდა კახაკები ხალისიანად ეჯობებოდნენ ერთმანეთს ჩეხვაში, უფრო ხნიერი სამხედრო მეცადინეობას თავს არიდებდნენ.

ხალხს სიცხისა და არყისაგან ხმა ჩაბრინწვოდა. გრძლად ჩამწკრავებულ, გადაბურულ ბრიჩკებთან ქარს ამალეღვე-

ბელი სურნელი მოჰქონდა, შორიდან თრითინების წრიბინი ისმოდა. შორს, სოფლის შეთეთრებული სახლების და კვამლის გადაღმა ტრამალი გაშლილიყო.

ერთი კვირის წინ, სანამ კახაკები ბაკებიდან წამოვიდოდნენ, ანდრია ტომილინს, ბატარიელ ივანეს ღვიძლ ძმას ცოლი ჩამოუვიდა. შინაური ნამცხვარი, სველანაირი ხორაგეული და სოფლის ქორები ჩამოუტანა. მეორე დღეს, გათენებისას შინ დაბრუნდა. ნათესაებსა და მახლობლებს კახაკებისაგან მოკითხვა და დავალებები წაუღო, მხოლოდ სტეფანე ასტახოვმა არაფერი დააბარა. წინა დღით იგი ავად გახდა, არყით წამლობდა და არამცთუ ტომილინის ცოლი არ უნახავს, დღის სინათლესაც ვერა ხედავდა, სამეცადინოდ არ წავიდა. სტეფანეს თხოვნით ფერშალმა სისხლი გამოუშვა. მკერდზე თორმეტი წურბელა მოჰკიდა. სტეფანე პერანგისამარა იჯდა თავის ბრიჩკის თვალთან, ღერძის საცხისაგან თეთრი შალითით გადაკრული ქუდი უქუპკვიანდებოდა. ის კი წყრომით უყურებდა, თუ როგორ სწოვდნენ წურბლები მრგვალად ამობურცულ მკერდს, როგორ სივდებოდნენ შავი სისხლით.

გვერდით პოლკის ფერშალი უდგა, თუთუნს ეწეოდა, მეჩხერ კბილებშუა ბოლს ბოლქვებად უშვებდა.

— მოგეშვა?

— გულზე თითქოს მომეშვა...

— წურბლები უეზარი საშუალება! მათთან ტომილინი მივიდა, თვალი ჩაუკრა.

— სტეფან, შენთან სიტყვა მაქვს სათქმელი.

— თქვი.

— აქეთ მოდი ერთ წუთას.

სტეფანე კენესით წამოდგა, ტომილინთან ერთად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— აბა, მოჰყევი!

— ჩემი დედაკაცი იყო... დღეს წავიდა.

— მერე?

— შენ ცოლზე სოფელი ლაპარაკობს...

— რაო?

— ძვირს ლაპარაკობენ.

— მაინც, რას ამბობენ?

— გრიშკა მეღვინეთან ცხოვრობსო თურმე... აშკარად!

გაფითრებული სტეფანე გულიდან იგლეჯდა წურბლებს და ფეხით სრესდა. გასრისა უკანასკნელი წურბელა, შეიკრა პერანგის საყელო და, თითქოს რალაცის შეეშინდაო, ისევ გაიხსნა... ცარცივით თეთრ ტუჩებს მოუსვენრობა დაეტყო: უკანკალებდნენ და უცნაურად იღიმებოდნენ, ცმაცუნებდნენ, იკუმშებოდნენ გალურჯებული ტუჩები. ტომილინს ეჩვენებოდა, თითქოს სტეფანე რალაც მაგარსა დეჰავდა, რასაც მისი კბილები ვერ ერეოდა. სახეზე თანდათან ფერი მოუვიდა, შიგნიდან კბილებმოჭერილი ტუჩები გაუჭკვავდა. სტეფანემ მოიხადა ქუდი, სახელოთი გათხუპნა თეთრ შალითზე ბორბლის საცხისაგან მოდებული ლაქა და ხმამალა თქვა:

— გამაღობ, რომ შემატყობინე!

— მინდოდა წინასწარ მეთქვა... ბოდიში... შინ ასეთი ამბავია-მეთქი.

ტომილინმა ხელი სინანულით დაარტყა შარვლის ნაწიბურს და თავის შეუკაზმავი ცხენისაკენ წავიდა. ბანაკში ხმაური იყო. ჯირითიდან დაბრუნებულიყვენ კახაკები. სტეფანე ერთხანს იდგა, ჩამტერებით და მკაცრად ათვლიერებდა თავის ქუდზე შავ ლაქას. ჩექმაზე ნახევრად გაჰყვლილი, მომაკვდავი წურბელა მოცოცავდა.

ბანაკებიდან კახაკების დაბრუნებამდის კვირანახევარი დარჩა.

თავის მწარე, დავიანებული სიყვარულით შმაგობდა აქსინია. მიუხედავად მამის მუჭარისა, გრიგორი მაინც ლამით მასთან ჩუმად მიდიოდა და შინ გათენებისას ბრუნდებოდა. ორ კვირაში გრიგორი მძიმე გადარბენისაგან

არაქათგამოლეული ცხენივით გახდა. უძილო დამეებისაგან განიერი სახის ყავისფერი კანი ჩალურჯებოდა, შავი, მიმჭრალი, ჩაცვივრულ თვალები დაქანცულად გამოიყურებოდნენ.

აქსინია სახეს თავშალით არ იფარავდა, თვალის უბეები მუქად ჩაშვეებოდა; მისი ოდნავ შესუბუბული გაუმაძლარი ტუჩები მოუსვენრად და გამოშწევდად იციროდნენ.

ისეთი არაჩვეულებრივი, აშკარა და გიჟური იყო მათი კავშირი, ხალხის მოურიდებლივ და დაუფარავად, ისეთი გაშმაგებითა და უსირცხვილო ცეცხლის ალით იწვოდნენ ერთმანეთს, ისე გახდნენ და ჩაშვედნენ მეზობლების თვალწინ, რომ ხალხს გზაზე მათი შეხედვისაც კი რტყვენოდათ.

გრიგორის ამხანაგები, რომელნიც წინათ აქსინიასთან მის კავშირს დასტინოდნენ, ახლა შეხედრის დროს დუმდნენ და გრიგორის საზოგადოებაში თავს უხერხულად და შევიწროებულად გრძნობდნენ. დედაკაცებს გულში შურდათ აქსინიას კავშირი, ჰკიცხავდნენ მას, ნიშნს უგებდნენ, უცდიდნენ სტეფანეს მოსვლას, ცნობისმოყვარეობით იწვოდნენ და ელოდნენ, რითი დამთავრდებოდა ეს ამბავი.

გრიგორის რომ ევლო აქსინიასთან, როგორც სალდათის ცოლთან, და გმვენებინა ხალხისათვის, რომ იგი ამასა მალავს, სალდათის ცოლს აქსინიას რომ ეცხოვრა გრიგორისთან, შედარებით საიდუმლოდ შეენახა ეს და, ამავ დროს, სხვებთანაც ჰქონოდა კავშირი, ამაში არაფერი არაჩვეულებრივი არ იქნებოდა, ეს ამბავი თვალში არავის ეცემოდა. სოფელში იყბედებდნენ და გაჩუმდებოდნენ. მაგრამ რაკი ერთმანეთი აშკარად უყვარდათ, რაკი მათ რალაც ისეთი ძლიერი რამ აერთებდა, რაც არა ჰგავდა ხანმოკლე კავშირს, ამიტომაც სოფელში გადაწყვიტეს, რომ ეს დანაშაული და უზნეობაა. სოფელიც ჩაჩუმდა არასასიამოვნო ამბის მოლოდინში: მოვა სტეფანე და გადასწყვიტს ამ საქმესო.

ოთახში, საწოლზევით, გაქიშულია თოკი. თოკზე ასხმულია თეთრი და შავი უძაფო კოკები. კოკები ნილამანი-სათვის ჰკილია. ამ კოკებზე ბუზები თვლემენ; აქედანვე ქერში ობობას ქსელია გაბმული. გრიგორი წევს აქსინიას ტიტველა გრილ მკლავზე და თოკზე ასხმულ კოკების ჯაქვს შეჰყურებს. აქსინია მეორე, მუშაობისაგან დაკოვრებული ხელის თითებით გრიგორის ცხენის ფაფარივით მაგარ კულულებს უწევავს.

ოთახში, გარდა შეღებილი ხის საწოლისა, რომლის კუთხეებს გამოჩარხული კოკები ამშვენებს, კარებთან მოსალტული, აქსინიას მზითვითა და ტანსაცმელთ სავსე დიდი სკივრი დგას. წინა კუთხეში — მუშამბაგადაფარებული მაგიდაა. მუშამბაზე დახატულია გენერალი სკობელევი, რომელიც მის წინ დახრილ ფიჩიან დროშებზე თეთრ ცხენს მიაქროლებს. იქვეა ორი მერხი, მათ ასწვრივ — ხატები, ჰყვრება ჭალალის უბრალო დიადებით; გვერდით, კედელზე — ბუზებისაგან დაწინწკლული ფოტოსურათებია. სურათზეა — კახაკების ჯგუფი, ქოჩიანი თავები, წინ გამოწეული მკერდებით, ზედ საათის ძეწკვებით, ქარქაშიდან ამოღებული ელვარე ხმლები, — ეს სტეფანეა, თავის ამხანაგებთან ერთად გადაღებული, როცა იგი პირველად ნამდვილ სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული. კახაზე სტეფანეს მივიწყებული მუნდირი ჰკილია. ფანჯრის დარბაზში შემოკრიბილი მთვარის შუჭი გაუბედავი ციმციმით დასტრიალებს მუნდირის სამხრებზე უნტერ-ოფიცრის ორ თეთრ ნიშანს.

აქსინია გრიგორის წარბებშუა, ცხვირის ძელისზემოთ, ოხვრით ჰკოცნის.

- გრიშა, ჩემო სანატრელო...
- რა გინდა?
- ცხრა დღე-ღა დარჩა...
- ჯერ კიდევ დროა.
- რა უნდა ექნა, გრიშა?
- მე რა ვიცი...

აქსინიამ ოხერა შეიკავა და ისევ გრიშკას აწეწილ ქოჩორს გადაუსვა ხელი.

— მომკლავს სტეფანე... — თითქოს ეკითხება, თითქოს დარწმუნებით ამბობს იგი.

გრიგორი დუმს. ეძინება. შეწებებულ ქუთუთოებს ძლივს ამოძრავებს. პირდაპირ აქსინიას შავად მოციმციმე, ჩალურჯებული თვალები დასცქერის.

— ქმარი მოვა და მიმატოვებ ალბათ! შეგეშინდება?

— მე რისა უნდა შეგეშინდეს, შენა ხარ ცოლი, შენ უნდა გეშინოდეს.

— შენთან როცა ვარ, არ მეშინია; დღისით კი, რომ დავფიქრდები... შიშის ხარი დამკრავს ხოლმე...

— სტეფანე რომ მოვა, ეგ არაფერი. აი, მამაჩემი ცოლის შერთვას რომ მიპირებს, შენ ეგა სთქვი!

გრიგორი იღიმება, კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ გრძნობს, რომ მის თავქვეშ აქსინიას ხელი როგორღაც უცებ მოდუნდა და ბალიშს დააწეა, მერე შეკრთა და წაშის შემდეგ ისევ გამაგრდა, წინანდელი მდებარეობა მიიღო.

— ვის გირიგებენ? — ყრულ შეეკითხა აქსინია.

— ჯერ მხოლოდ წასვლას აპირებს. დედა ამბობდა, მგონი, კორშუნოვებთან მიდისო, იმათ ნატალიას გასარიგებლად.

— ნატალია... ნატალია... ლამაზი გოგოა... ძალიან ლამაზია, მერე, რა, შეირთე... იმ დღეს ვნახე საყდარში... მორთული იყო... აქსინია აჩქარებით ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვები ეფანტებოდა, თვითონვე არ ესმოდა ეს უსიციოცხო და უფერული სიტყვები.

— მე იმის სილამაზეს ჩემის ყელში ხომ არ შევინახავ, ცოლად კი აი, მე, შენ შეგიერთავდი.

აქსინიამ ხელი გრიგორის თავიდან სწრაფად გამოვლიჯა, გამშრალი თვალებით ფანჯარაში გაიხედა. ეზოში დამის ყვითელი სუსხი დგას. ფარდულიდან მძიმე ჩრდილი გადმოწოლილა, კა-

ლები კრიკინებენ. დონის ბურჯებზე მოხეტიალი ტალღა ღრიალდება. მაგტგუნე ბოხი ბეგრები პატარა ტანკების ოთახში იჭრებიან.

— გრიშა!

— მოიფიქრე რამე?

აქსინია ხელში იტაცებს გრიშკას ჯიუტ, მაგარ ხელებს, რომელთაც ალერსი არ სჩვევიათ, მკერდში იკრავს, ცივ, მიმკვდარებულ ლოყებზე იღებს, მკენესარე ხმით ყვირის:

— რად გადამეკიდე, შე დაწყველილო? რა უნდა ვქნა?.. გრიშკა!.. გული ამომგლიჯე!.. დავიღუპე!.. სტეფანე მოვა, რა პასუხი უნდა გავეცე?.. ვინ დამიფარავს?

გრიგორი დუმს. აქსინია ნაღვლიანად შესცქერის მის ლამაზ, ხრტილოვან ცხვირს, დაბინდულ თვალებს, დაღუმებულ ტუჩებს... მოზღვავებულმა გრძნობის ნაკადმა უცებ გადმოხეტია. აქსინია გაშმაგებით ჰკოცნის გრიგორის სახეს, კისერს, ხელებს, მკერდს, ხანგამოშვებით სუნთქვაშეკრული ჩურჩულებს და გრიგორი გრძნობს მის კანკალს.

— გრიშა, ჩემო მეგობარო, ჩემო საყვარელო... მოდი, წავიდეთ. ყველაფერი მივატოვოთ და წავიდეთ. მე ქმარსაც და ყველაფერსაც მივატოვებ, ოღონდ შენ იყავი ჩემთან... მალარობში წავიდეთ, შორს. მეყვარები, შემოგველები... პარამონოვის მალარობაში ბიძა მყავს, ცხენოსან პოლიციაში მსახურობს, ის დაგვეხმარება... გრიშა! ერთი სიტყვა მაინც მითხარი?!

გრიგორიმ მარცხენა წარბი მოდრია, ფიქრებში გართულმა თავისი მწველი, არარუსული თვალები მოულოდნელად გაახილა. მისი თვალები იცინოდნენ, აქსინიას დასცინოდნენ.

— რა სულელი ხარ, რა სულელი! ლაპარაკობ და აყვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ. აბა, სად უნდა გაეიქცე სახლიდან? მე ხომ, სულ ერთია, წელს სამხედრო სამსახურში უნდა წავიდეთ. ეს საქვე არ ვარგა... მე სახლ-ქარს არ მივეცილებდი. აქ ველია, სულს თავი-

სუფლად ვითქვამ, იქ რა არის? შარშან ზამთარში მე და მამაჩემი სადგურზე წავედით, — კინაღამ მოგვედი, ორთქლ-მავლები ღრიალებენ, ჰაერი მძიმეა, ღამწვარი ქვანახშირის სუნი დგას.

როგორ ცხოვრობს იქ ხალხი, არ ვიცი, ეგებ შეეჩვივნენ იმ მსუთავ ჰაერს... — გრიგორიმ გააფურთხა და კიდევ გაიმეორა: — მე სოფლიდან არსად არ წავალ!

ფანჯრის იქით ბნელდება, მთვარეს ღრუბლები ჩამოეფარა. ჩაიფერფლე ესოში დამდგარი ყვეთელი სუსხი, ქრებიან გაკრული ჩრდილები და ვეღარ გვარჩევ, რა მოჩანს შავად ღობის იქით: შარშანდელი მოჭრილი ფიჩხი, თუ ღობესთან გამხმარი შამპანარი.

ოთახში სიბნელე ჩამოწვა. ფანჯარასთან დაკიდებული კაზაკური მუნღირის სამხრებზე ფერს ჰკარგავენ სტეფანეს უნტერ-ოფიცრის ნიშნები და ნაცრისფრად შედედებულ სიბნელეში გრიგორი ვერ ხედავს, როგორ კანკალებენ აქსინიას მხრები და ჩუმად როგორ ირხევა ბალიშზე ხელებში ჩარგული თავი.

13

იმ დღიდან, რაც ტომილინის ცოლი ჩამოვიდა, სტეფანეს სახე შეეცვალა, წარბები თვალებზე ჩამოეშვა, შუბლი ღრმა, უძრავმა ზოლმა ირიბად გაუპო. იგი ამხანაგებს ცოტას ელაპარაკებოდა, უბრალო რამეზე აპილილდებოდა და ჩხუბს იწყებდა. სრულიად უმიზნოდ წაეკიდა ვახმისტრ პლეშკოვს, პეტრო მეღვინეს თითქმის აღარ უცქეროდა. გაწყდა ის ძაფი შეგობრობისა, რომელიც მათ წინათ აკავშირებდა. ბრაზმორეული სტეფანე, თავივე მიექანებოდა, როგორც აღვირახსნილი ცხენი, რომელიც მხედარს დაღმართზე იტაცებს. სტეფანე და პეტრო შინ მტრებად ბრუნდებოდნენ.

და თითქოს განგებ მოხდა შემთხვევა, რომელმაც დააჩქარა ამ მტრული დამოკიდებულების გამორკვევა, რაც ბოლო დროს მათ შორის დამყარდა. ბანაკებიდან ისევ ხუთნი ბრუნდებოდნენ.

ბრიჯაში პეტროს და სტეფანეს ცხენები შეაბეს. ხრისტონია ბრინჯისეული შეჯდა. ანდრეი ტომილინს აციებდა და ჩარდახებზე ფარაჯაგადაფარებული იწვა. ფედორ ბოლოვსკოვს ცხენების გარეკვა ეზარებოდა და ამიტომაც მეეტლეობა პეტროს შეხედა. ბრიჯას გვერდით სტეფანე მისდევდა. იგი გზაზე ამოსულ ნარცეცხლას ალისფერ თავებს მათახით აყრევინებდა. სქელო შავი ტალახი ბორბლებს ფისივით ეღებოდა.

შემოდგომის მოქუფრულ ცას ღვგა ღრუბლები გადაჰკეროდა. დაღამდა. თუცა ბევრს აყვირდებოდნენ, მაგრამ სოფლის სინათლე არსად მოჩანდა. პეტრო გამალებით შოლტავდა ცხენებს. და აი, ამ დროს სიბნელეში სტეფანემ დაიყვირა:

— შენ რა... შენი ცხენი გენანება, ჩემსას კი შოლტს არ აშორებ?

— კარგად შეხედე, რომელიც არ იწევს, იმას ეუჯავრდები.

— მიფრთხილდი, მანდ შენ არ შეგაბა! თურქები ამტანები ხართ...

პეტრომ სადავე დააგდო.

— შენ რა გინდა?

— მანდ იჯექი, გირჩევნია, არ ადგე!

— ჰოდა, სჯობს გაჩუმდე.

— შენ რას ჩააცივდი მაგას? — ბოხი ხმით დაიყვირა ხრისტონიამ და ცხენი სტეფანესთან მიაგდო. სტეფანე ჩამოჯდა. სიბნელეში მისი სახე არა ჩანდა. ნახევარ საათს უხმოდ მიდიოდნენ. ბორბლებზე ტალახი შრიალებდა. ბრეზენტის ჩარდახზე თელემის მომგვრელად ცრიდა. პეტროს სადავე დაეგდო და თუთუნს ეწეოდა. გონებაში ყველა იმ საწყენ სიტუვას იმეორებდა, რომლებსაც იგი პირველი შეტაკებისთანავე სტეფანეს ეტყოდა. ბრაზმორეულს უნდოდა მაგრად გაელანძლა ეს უნამუსო სტეფანე, მასხარად აეგდო.

— გამატარე, ჩარდახში უნდა შემოვქვრე, — სტეფანემ პეტროს ხელი ოდნავ ჰკრა და საფეხურზე ახტა.

და აი აქ, ბრიჩკა მოულოდნელად შექანდა და დაღვია ცხენებს ფეხები დაუცურდათ და ბაკუნი დაიწყეს, ნალბს ნაპერწყალი გასცივდა, შეინჯღრა გაკომული სათასმური.

— ტრრრ! — დაიყვირა პეტრომ და ბრიჩკიდან ჩამოხტა.

— რაშია საქმე? — შეშფოთდა სტეფანე.

ხრისტონიამ ცხენი მოაქენა...

— მოიმტვრა ეს ოხერი?

— მომინათე.

— ასანთი ვისა აქვს?

— სტეფანე ასანთი გადმოაგდე.

წინ ცხენი ხრიალებდა და წიხლებს ისროდა. ვილაცამ ასანთი გაჰკრა. ცეცხლის ყვეთელი რგოლი გამოჩნდა და ისევ სიბნელე ჩამოწვა. პეტრო წაქცეული ცხენის ზურგს აკანკალებული ხელებით სინჯავდა. აღვირი გამოსწია.

— აბა!..

ცხენმა ამოიქმინა და გვერდზე დაეცა. ხელნამ ტაკანი გაიღო, სტეფანემ მოირბინა, რამდენიმე ცალი ასანთი ერთად გაჰკრა. იმისი ცხენი გვერდზე თავგადაგდებული იწვა, წინა ფეხი მუხლამდის ზაზუნას ჩანგრეულ სოროში ჰქონდა ჩაეარდნილი.

ხრისტონიამ ფაცი-ფუციით მოხსნა ჰპანი.

— ფეხი გაუთავისუფლე!

— ჩქარა გამოუშვი პეტროს ცხენი!

— დადექ, შე შეჩვენებული... ტრრრ!..

— ეს წყეული წიხლებს ისვრის, მოსცილდი!

სტეფანეს ცხენი ფეხზე ძლივს ააყენეს. ტალახში ამოსვრილ პეტროს აღვირი ეჭირა, ხრისტონია ტალახში დახოხავდა და ცხენს უსიცოცხლოდ აწეულ ფეხს უსინჯავდა.

— ალბათ მოიტეხა... — ბოხი ხმით წარმოთქვა მან.

ფედოტ ბოდოვსკოიმ ხელისგული ცხენის აკანკალებულ ზურგს დაჰკრა.

— აბა, ერთი გაატარე, იქნებ გაიაროს?

პეტრომ აღვირი მოზიდა. ცხენი ახტა, წინა მარცხენა ფეხი მიწას ვერ

დააკარა და დაიქცინა. ტომილონჩი ნალელიანად უტრიალებდა განშემოსლნი თან ხელებს ფარაჯაში იჭრებდა!

— ისე ატყდით, რომ ცხენი დაღუპეთ, ეჰ!..

აქამდის გაჩუმებული სტეფანე თითქოს ამის თქმას ელოდა: ხელი ჰკრა ხრისტონიას და პეტროს მივარდა, ენდოდა თავში დაერტყა, მაგრამ აუცდა და მხარში მოხვდა. ერთმანეთს ემგერნენ და ტალახში ჩაცვივდნენ. ვილაცას პერანგი გაეხა, სტეფანემ ქვეშ მოიგლო პეტრო და მუხლი დააქირა, თან თავში მუშტებს ურტყამდა. ხრისტონიამ გინებით გააშველა.

— რისთვის? — სისხლს აფურთხებდა და ვყვიროდა პეტრო.

— გველო, სწორედ წაიყვა ცხენები! უგზო-უკვლოდ ნუ მიდიხარ!..

პეტრო ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა ხრისტონიას.

— აბა, აბა, ნუ გათამამდი, — ღრიალებდა ხრისტონია და ცალი ხელით ბრიჩკასთან ყუეავდა.

პეტროს ცხენს დაბალი, მაგრამ ფედოტ ბოდოვსკოის ღონიერი ცხენი დაუწყვილეს.

— ჩემს ცხენზე შეჯექი! — უბრძანა ხრისტონიამ სტეფანეს, თვითონ კი ჩარდახში პეტროსთან შეძვრა.

უკვე შუალამისას სოფელ გნილოვსკაიაში მივიდნენ. განაპირა სახლთან გაჩერდნენ. ხრისტონია ღამის გასათევი ბინის საშოვნელად წავიდა. მას ყურადღება არ მიუქცევია ეზოს ძაღლისათვის, რომელიც ყვეფით ფარაჯის კალთებში სწვდებოდა, ფანჯარასთან მივიდა, გაალო დარაბა და მინაზე ფრთხილად დააფხაკუნა.

— მასპინძელი!

მხოლოდ წვიმის ხმა და ძაღლის ყუფა ისმოდა.

— მასპინძელი! ხალხო კეთილო, თუ ქრისტეს მადლი გწამთ, შეგვიშვით დასაძინებლად, რა? ბანაკებიდან მოვდევართ, სამსახურის ხალხი ვართ. რამდენი? ხუთნი! აბა, ღმერთმა გიშველოთ.

— შემოდით! — დაუყვარა ხრისტონიამ და ჭიშკრისაყენ მიტრიალდა.

ფედოტმა ცხენები ეზოში შემოიყვანა. ფეხი წამოჰკრა შუა ეზოში დადგმულ ღორის გვეჯას და შეიგინა. ცხენები ფარდულის საჩხის ქვეშ დააყუნეს. ტომილის კბილს-კბილზე აცემინებდა, სახლში შევიდა. ჩარდახში პეტრო და ხრისტონია დარჩნენ.

გათენებისას, წასასვლელად მოემზადნენ. სახლიდან სტეფანე გამოვიდა, მას უკან ცუნცულთი წელში მოხრილი, ღრმად მოხუცებული დედაბერი მოსდევდა. ხრისტონიამ, რომელიც ცხენებს ბრიჩკაში აბამდა, შეიძოდა იგი:

— ეხ, ბებიკო, როგორ მოკუხულხარ! ალბათ საყდარში გეადვილება და ჩოქება. ცოტათი მოიღუნები და იატაკიც იჭევა!

— ჩემო შევარდენო, ატამანელო, ყველას თავისი დანიშნულება აქვს: მე ღმერთს თაყვანსა ვცემ, შენ კი ძალუბის ჩამოსაკიდებლად გამოდგები, — მოხუცმა მკაცრად გაიცინა და ხრისტონია გააკვირვა რიგზე ჩამწკრივებულს, სალი, წვრილი კბილებით.

— შეხე, პირი სავე არა ჰქონია ქარიყლაპისავით კბილებით! ნეტავი ერთი ათიოდე მეც მაჩუქო! აი, ახალგაზრდა ვარ და საღეჭი კბილები კი არ მაქვს პირში!

— მერე მე-ლა კბილები, ჩემო კარგო?

— შენ, ბებიკო, ცხენისას ჩაგისვამთ. სულ ერთია, უნდა მოკვდე, იმ ქვეყანაში კი კბილებს არ უცქერიან: წმინდანები ბოშები ხომ არ არიან!

— როშე ემელია, — გაიღიმა ტომილინმა და ჩარდახში შეძვრა.

დედაბერი სტეფანესთან ერთად ფარდულთან მივიდა.

— რომელია ამათში?

— აი ეს შავი ცხენი, — ამოიოხრა სტეფანემ.

დედაბერმა მიწაზე თავისი ყავარჯენი დასდო და ვაყკაცური, მტკიცე, ძლიერი მოძრაობით ცხენის დაზიანებული ფეხი ასწია, მოაკეული, თხელი თითუ-

ბით ცხენს დიდხანს უსინჯავდა მუხლისთავს. ცხენმა ყურები დაუღრმავა. კური გააღო და ჩამწკრივებულს, კარგად კბილები გამოაჩინა. ტკივილისაგან უკანა ფეხებზე იკეცებოდა.

— მოტეხილი არა აქვს, კაზაკო, დასტოვე, მოვარჩენ...

— ეშველება რამე, ბებიკო?

— აბა რა ვიცი, ეშველება, თუ არა, ჩემო კარგო?... მგონი უნდა ეშველოს.

სტეფანემ ხელი ჩაიქნია და ბრიჩკისაკენ გაემართა.

— დასტოვებ თუ არა? — თვალების ჭუტვით ეკითხებოდა მიმავალ სტეფანეს დედაბერი.

— დარჩეს.

— მოვირჩენს, როგორ არა! დატოვებ სამეფხას, წამოიყვან უფეხოს!.. შენც იპოვე რაღა კუზიანი ბეითალი — ხარხარებდა ხრისტონია.

14

— ...მე მასზე ვფიქრობ, ძვირფასო ბებიკო, დარდისაგან ვდნები. ვერ ვასწრებ კაბის ჩაყერვას, ყოველდღე სიგანეში მაკლდება... გაივლის ეზოს მახლობლად და მე კი გული მიდნება... დავეცემი და მის ნატერფალს დავკოცნი... იქნებ ჯადო გამოიყუთა?... მიშველე, ბებიკო! ცოლის შერთვას უპირებენ... მიშველე, გენაცვალე. რაცა ღირს, მოგართმევ, უკანასკნელ პერანგს გავვიღო, ოღონდ მიშველე!

ნაოჭებით გარშემორტყმული, ღიაფერის თვალებით შესცქერის მოხუცი დროზდიხა აქსინიას, მის მწარე სიტყვებზე თავს აქნევს.

— ვისია ეს ბიჭი?

— პანტელეი მელეხოვისა.

— თურქისა?

— იმისია.

მოხუცი უკბილო პირს აცმაცუნებს და პასუსს უგვიანებს.

— ხვალ აღრიანად მოდი, ქალო, როგორც კი ინათებს, მოდი. დონზე წავიდეთ, დარდი წყალს გავატანათ.

სახლიდან ერთი მუკა მარილი წამოიღე, ასე ვქნათ!

აქსინია ყვითელი, პატარა შალით იხვევს სახეს და მზრებში მოხრილი ეზოდან გადის.

მისი შავი ჩრდილი სიბნელეში ინთქმება. მშრალად მიაფრატუნებს ჩუსტებს. ნაბიჯიც მიწყდა. სადღაც სოფლის ბოლოს ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებენ.

გათენებისას მთელი ღამის უძილო აქსინია დროზღიხას ფანჯარასთან მივიდა:

- ბეზია!
- რომელი ხარ?
- მე ვარ, ბები, ადექი.
- ახლავე ჩავეცვამ.

შუკა გაიარეს და დონზე ჩაედინენ.

სანავოსთან წყალში ურმის უღელი აგდია. წყლის პირას ქვიშა ყინულებით ცივია. დონზე ნოტიო, ცივი ბურუსი მოცურავს.

დროზღიხამ თავისი გამხდარი ხელი აქსინიას ხელს ჩაავლო და წყლისაკენ გასწია.

— მარილი წამოიღე? აქ მომეცი, აღმოსაველეთისაკენ პირჯვარი გადაიხახე.

აქსინია პირჯვარს იწერს. და ბედნიერ, ვარდისფერ აღმოსაველეთს გაავებული თვალებით შესცქერის.

— პეშვით ამოიღე წყალი და დალიე, — უბრძანებს დროზღიხა.

აქსინიამ წყლის სმის დროს სახელი დაისველა. წყლის ნელ ტალღაზე მოხუცი შავ ობობასავით გაიფარჩხა, ჩაცოცქდა და ბუტბუტი დაიწყო:

— ცივო წყარო, ძირიდან ამომდინარო... ცხელო სხეულო... მხეცის გულითა... დარდო — უსასოო... ჯვარი წმიდათა... წმიდაო დედა... მონა ღვთისა გრიგორის... — მოესმა აქსინიას.

დროზღიხამ მარილი ფეხქვეშ ნოტიო ქვიშნარს დააყარა, ნაწილი წყალში ჩაანბნა, დანარჩენი კი აქსინიას უბეში ჩაუყარა.

წყალი გადაისხი ხელუჯღღმა, ჩქარა!

აქსინიამ წყალი გადაისხა. დარდიჟმა და ბრანზორეულმა დროზღიხამ ვისფერ ლოყებს გადახედდა მზღიქსქს — გათავდა?

— წადი, გამოიძინე, გათავდა.

გულის ფანჯალით გაიქცა აქსინია შინ. ეზოში ძროხები ბლაოდნენ. დარია მელებოვა ნამძინარევი და აწითლებული, მოშვილდული ღამაში წარბების თამაშით ძროხებს მიერეკებოდა ნახირში. ღიმილით შეათვალიერა მომავალი აქსინია.

- ხომ კარგად გეძინა, მეზობელო?
- მადლობა ღმერთს.
- ასე აღრიანად სად ყოფილხარ?
- აქ, ახლოს, საქმეზე ვიყავი.

საყდარში ცისკრის ზარი დარეკეს. და წყვეტილად მოისმა გაფანტული სპილენძნარევი ხმები. ორღობეში მენახირე შოლტს ატლამუნებდა.

აქსინიამ საჩქაროდ გამოორეკა ძროხები, რძე დერეფანში გასაწურად წაიღო, ხელები წინსაფარზე გაიწმინდა, მკლავებდაკარწახებული ფიქრებში გაართული, აქაფებულ რძეს საწურავში ასხამდა, რძე შხაბუნით ჩადიოდა სათლში.

ქუჩიდან ბრიჩის თვლების ხმაური მოისმა. ცხენებმა დაიჭიხენეს. აქსინიამ სათლი დადგა, ფანჯარაში გაიხედა.

ქიშკარს სტეფანე უახლოვდებოდა, ხმალი ხელით ეჭირა. მოედნისკენ ქენებით კაზაკები ერთიმეორეს უსწრებდნენ. აქსინიამ წინსაფარი თითებში ჩაქმუქნა და სკამზე ჩამოჯდა. აივანზე ფეხის ხმა... ფეხის ხმა დერეფანში... ფეხის ხმა კარებთან...

კარებში სტეფანე იდგა, გამხდარი და უცხო.

— აბა...

აქსინია თავისი ზორბა, სავსე ტანის რხევით მისკენ გაემართა.

— მცემე! — გაუიანურებით უთხრა და გვერდით დაუდგა.

— რაო, აქსინია...

— არა ვმაღავ... ცოდვა მადევს. — მცემე, სტეფან!

თავი მხრებში ჩაიწია, მოიკუნტა, მხოლოდ ხელებით მუცელი დაიფარა, სახით კი პირდაპირ დაუდგა. აქსინიას შიშისაგან სახე შეშლოდა. დაუხამხამებლივ იცქირებოდნენ მისი გაშტერებული, უპეებში ჩაშავებული თვალები. სტეფანე წაბარბაცდა და გვერდზე გაუარა. ნამგზავრი, გაუტრეცხავი პერანგისაგან ოთახში მამაკაცის ოფლისა და ავშინის მწარე სუნი დატრიალდა. იგი ქუდ-მოუხდელად დაწვა საწოლზე. ერთხანს იწვა ასე, შემდეგ ბეჭები შეარხია და ამხარბილივ ჩამოიხსნა. მუდამ კოხტად აწყობილი ქერა უღვაშები დუნედ ძირს ჩამოშვებოდა. აქსინიას თავი არ მოუბრუნებია, გვერდიდან უცქეროდა მას ღახანდამან შეკრთებოდა ხოლმე. სტეფანემ საწოლის ზურგზე ფეხები შეაწყო. ჩექმებიდან ჩამოვლილი ტალახი წურწურით ჩამოსდიოდა. იგი ჰერს შესცქეროდა და თითებით ხმლის ტარზე ტყავის ფუნჯს ათამაშებდა.

— ჯერ არ მოგიშაადებია საჭმელი?
— არა...
— ცოტა რამ მომიტანე!

ჯამიდან რძეს ხვლებდა და თან უღვაშებს იწუწუნდა. პურს დიდხანს ლოდნიდა, ლოყებზე გადაქიმული ვარდისფერი კანის ქვეშ კუნთები უსრიალებდნენ. აქსინია ლუმელთან იდგა. იგი შიშით უმწერდა ქმრის პატარა ყურების კანტატლებს, რომელნიც ჰამის დროს ირხეოდნენ.

სტეფანე სუფრიდან ადგა, პირჯვარი გადაისახა.

— აბა, ერთი მიაძმე, ჩემო კარგო, — მოკლედ თქვა მან.

თავჩალუნული აქსინია მაგიდას ალაგებდა. დუმდა.

— აბა მიაძმე, როგორ ელოდი ქმარს, როგორ იცავდი ქმრის პატიოსნებას, აბა?

თავში საშინელმა დარტყმამ აქსინიას ფეხქვეშ მიწა გამოაცალა და კარებთან გადაისროლა, იგი ზურგით კარის ნაგელს მიეხალა, ყრუდ ამოიგმინა.

არათუ ღონიერ დედაკაცს, სტეფანე თავში მარჯვე დარტყმით მიწაზე

ანარცხებდა ზორბა, ჩასხმულ ატამარე-ლებსაც კი. შიშმა ააყენა ექსტრემული დედაკაცის ამტანობამ, მტკნარ-სტეფანე ნისი წოლის შემდეგ კი ამოისუნთქა და მუხლებზე დადგა.

სტეფანე შუა ოთახში თუთუნს უკიდებდა და გამოეპარა, აქსინია როგორ წამოდგა ფეხზე. ქისა მაგიდაზე დაადო, მაგრამ აქსინიამ უკვე კარი გაიჯახუნა, გამოუდგა.

გასისხლიანებული აქსინია ქარივით მიჰქროდა ღობისაკენ, რომელიც მელეხოვების ეზოს მათი ეზოსაგან ჰყოფდა, სტეფანე ღობესთან დაეწია. მისი შავი ხელი ქორივით დაეცა ქალს თავზე, მოკლემული თითებით ჩაბღუჯა მისი თმები, გამოათრია და ნაცარში ჩაადო, იმ ნაცარში, რომელსაც აქსინია ყოველდღე გაციებული ღუმელიდან იღებდა და ღობესთან ჰყრიდა.

განა რა მოხდა ისეთი, რომ ქმარი ზურგზე დაწყობილი ხელებით, თავის საკუთარ ცოლს ჩექმებით ჰქელავს?... გვერდზე გაიარა ცალხელა ალიოშკა შამილმა, შეხედა, დაახამხამა თვალები, ხშირი, მოკლე წვერი ღიმილმა შუა გაუბო. ძალიანაც გასაგებია, თუ რისთვის წყალობს სტეფანე თავის კანონიერ მუღლეს.

გაჩერდებოდა შამილი, შეხედავდა (ვინც არ უნდა იყოს, სული მაინც წასძლეეს, ნახოს), მოჰკლავს თუ არა. მაგრამ სინდისი ნებას არ აძლევს; რაც უნდა იყოს, დედაკაცი ხომ არ არის!

შორიდან რომ შეხედო სტეფანეს, თითქოს ვახაკურს ცეკვავსო. ეგრეც ეგონა გრიშკას, ფანჯრიდან რომ დაინახა, როგორ ხტოდა სტეფანე. და როცა გაარჩია, ოთახიდან გამოვარდა. ფეხის თითებზე მირბოდა ღობისაკენ, გულთან მაგრად მიკრული ჰქონდა დაბუეებული მუშტები, მას ჩექმების მძიმე ბაკუნით პეტროც მიჰყვა.

მაღალ ღობეზე გრიგორი ჩიტივით გადაფრინდა, გაქანებულმა უკანიდან დაჰკრა სტეფანეს. იგი წაბარბაცდა, მოტრიალდა და გრიგორისაკენ დათვივით წამოვიდა.

ძმები მელეხოვეები გაშმაგებით იბრძოდნენ, როგორც ორბები ლეშს, ისე ძიძგინდნენ სტეფანეს. სტეფანეს რკინისებური მუშტის მაგარი დარტყმისაგან გრიშკა რამდენჯერმე წაიჭკა. ღონიერ სტეფანესთან შედარებით გრიგორი სუსტი იყო. დაბალი, მარჯვე პეტრო, როგორც ლერწამი ქარში, ისე იკლავნებოდა დარტყმისაგან, მაგრამ ფეხზე მაინც მაგრად იდგა.

სტეფანე ცალი თვალის ბრიალით (მეორე გაუსივდა უმწიფარი ქლიავისფრად) იხევდა აივნისკენ.

ისინი გააშველა ხრისტონიამ, რომელიც პეტროსთან აღვირისთვის მისულიყო.

— დაიშალეთ! — იგი დაყოყნებულ ხელებს აქნევდა. — დაიშალეთ! თორემ ატამანთან წაგიყვანთ!

პეტრომ ხელისგულზე ფრთხილად გადმოაფურთხა სისხლი და ნახევარი კბილი. ხრინწიანი ხმით თქვა:

— წამო, გრიშკა, ჩვენ მაგას რიგრიგად მოვეუაროთ...

— ნუთუ აღარსად შემხედებინებოდა აივნიდან ცემისაგან დალურჯებული სტეფანე.

— კარგი, კარგი!

— ისედაც გულს შიგნეულიანად ამოგაძრობ!

— შენ ხუმრობ, თუ მართლა ამბობ? სტეფანემ აივანი ჩამოიბრინა. გრიშკამ მისკენ გაიწია, მაგრამ ხრისტონიამ წაპკრა ხელი, კიშკარში შეაგდო და დაემუქრა:

— თუ გაგიბედავს, ლეკვით გაგაწეპლავ!

ამ დღიდან მელეხოვეებსა და სტეფანე ასტახოვს შორის მტრობა მაგარი ყალბეხური ხლართივით გაინასკვა.

გრიგორ მელეხოვს წილად ზედა ორი წლის შემდეგ აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ სტოლიპინთან, გაეხსნა ეს ნასკვი.

ფილიპის მიწერი



გოგონას მოთქმა

მუხნარი ქმინავს,
ცაზე მიჭრის ღრუბლების ჯარი,
მდინარის პირას
ზის გოგონა, მოცული ჯავრით.
ტალღები ტალღებს აწყდებიან ზათქით და რისხვით
და ბნელ ღამეში ქალიშვილის გოდება ისმის, —
მოსთქვამს ასული, გულდათუთქულს ცრემლი ერევა

„მკვდარია გული
უდაბნოა ქვეყანა ვრცელი,
მკვდარე სული
მომავლისგან არაფერს ელის.
დედო ღვთისაგ, შენს ქალიშვილს კვლავ უკან უხმე.
ვიცხოვრე ქვეყნად, სიყვარული შევიცან უკვე
და მეც ვიგემე ქვეყნიური ბედნიერება!“

„ამაოდ მოგდის
თვალებიდან ცრემლების ღვარი,
მწუხარე მოთქმით
საფლავიდან ვით აღდგეს მკვდარი?!
მითხარ, რით შეგძლო განკურნება დაჭრილ გულისა.
თუკი არ ძალმიძს დაბრუნება სიყვარულისა?
ვერ გეტყვი უარს, რადგან ვწუხვარ და მეცოდები.“

„დაე, მდიოდეს
თვალებიდან ცრემლების ღვარი!
ბედს ვუჩიოდე —
საფლავიდან ვერ აღდგეს მკვდარი!
ერთილა დამშთა მძლავრი სწრაფვა მწუხარ გულისა,
რადგან არ ძალგიძს დაბრუნება სიყვარულისა —
განვლიო დღენი სიყვარულზე ტანჯვით, გოდებით.“

ხელთათმანი

ზის აივანზე, სამხეცის წინა,
ელის ლომ-ვეფხვთა შებმას და ბრდღვინვას
ფრანცი, ხელმწიფე სვედიდებული:
მის ირგვლივ დგანან დიდებულები.
და, ვით წარმტაცი თაიგულები,
სხედან ასულნი — ტურფა კრებული.
აგერ, ხელმწიფემ ანიშნა ხელით,
გალიის კარი გაიღო ფართოდ,



დინჯი ნაბიჯით,
მეფურად მსკლელი,
შიგნიდან ლომი გამოდის მარტო;
ირგვლივ მღუმარედ
მოაელებს თვალებს,
ფაფარს შეარხევს
და დაამთქნარებს,
ეს ყველაფერი მობეზრდა იქნებ? —
მუხლთ მოიყეცავს
და წეება იქვე.

ხელმწიფემ ისევ ანიშნა ხელით,
გახსნეს მეორე გალიის კარი,
შიგნიდან ვეფხვი გამოხტა ხელი,
გამოემართა ნაბიჯით ჩქარით.
მაგრამ, როდესაც ლომს მოჰკრა თვალი,
დაიღრიალა უცებ საშინლად,
ფერდებზე იცემს კუღს მთელი ძალით,
შეკრთა,
დაშინდა.
ლაშს ილოკს ენით,
ქურდული მზერით
ლომს უვლის ირგვლივ
საშინელ ღრენით, —
მაგრამ მასთან ჩხუბს ვერ ბედავს იქნებ? —
ისევ დაიღრენს
და წეება იქვე.

მეფე მესამედ ანიშნებს ხელით,
იღება ორი გალიის კარი,
შიგნიდან წყვილი ავაზა მწყრალი,
აღსავეს ბრძოლის წყურვილით მწველით,
გამოენთება ვეფხვისკენ მყისვე;
ვეფხვი თათს დასცხებს ავაზებს წყრომით,
დაიღრიალებს საშინლად ლომი,
დაწყნარდებიან ყველანი ისევ!
და ავაზები კბილების ღრკენით,
ღნავილით, ღრენით, —
ვინ იცის, სისხლი სწყურიათ იქნებ? —
წრეს უვლიან და წეებიან იქვე!

უცებ აივნის მოაჯირიდან
ქალი ლამაზ ხელს გადმოსწევს თრთოლით
და ხელთათმანო ეცემა დაბლა,
ლომ-ვეფხვთა შორის.

და კუნიგუნდე ღიმილთ ცბიერით
იქვე მდგარ დელორეს მიმართავს ასე:

„ჩემო რაინდო, თუ თქვენ ძლიერი
 ჩემი ტრფიალით გაქვეთ გული სავსე
 და თქვენი ფიცი არის მართალი,
 ამომიტანეთ ის ხელთათმანი!“

მაშინ რაინდი, ჭაბუკი ქველი,
 გაჩნდება სწრაფად ლომ-ვეფხვთა შორის
 და გაბედულად,
 და არა ძრწოლით,
 იღებს ხელთათმანს თამამი ხელით.

რაინდები და მანდილოსნები
 უმზერენ შიშით და გაოცებით,
 მაგრამ რაინდი სულაც არ ღელავს,
 ხელთათმნით ხელში მშვიდად ბრუნდება:
 უცებ მის ქებას შესძახებს ყველა
 და აივანი აგუგუნდება!
 ქალწულის თვალებს, ვნებიან კრთომით,
 ბედნიერებას მას რომ ჰპირდება,
 შეხედავს იგი გულგრილად, წყრომით:
 „თქვენი მადლობა მე არ მჭირდება!“ —
 ესერის ხელთათმანს მთლად რისხვით სავსე
 და ვერაგ ქალწულს დატოვებს წამსვე.

თარგმანი გერმანულიდან
 ვახტანგ გეფუჩელიძისა.

რაინის ქარხნისაგან

ფრიდოლინი, გულითადი მშრომელი,
 გრაფინიას ჰყავდა სახლში მსახურად.
 მისებრ სანდო მოყმე არსად ნახულა,
 ღვთის მორწმუნე, გულით მისანდობელი.
 გრაფინია იყო მეტად კეთილი,
 და ამკობდა მას უზადო მშვენება,
 ფრიდოლინი ასრულებდა ყველაფერს,
 ოღონდ თავის სათნო მფარველს ენება.

დილით, როცა ინათებდა შუქი მზის,
 მკერდგაშლილი, მზიარული დგებოდა,
 საღამომდე მუშაობდა ხალისით,
 არასოდეს შრომით არ იღლებოდა.
 — დაისვენე! — როს ეტყოდა პატრონი,
 მყისვე ცრემლით ევსებოდა თვალები,
 სჯეროდა, რომ ვალს იხდიდა პირნათლად,
 ვინც სულ შრომობს, არ იღლება წველებით.

ფრიდოლინის ერთგულება ამგვარი
 გრაფინიას ახარებდა დიდადა,



მას აქებდა მუდამ ბაგენარნარი
და სხვა მსახურთ არ წყალობდა მის გარდა.
შესცქეროდა თვალში სიხარულითა,
ღვიძლ შვილივით ის უყვარდა გულითა.
გრძნობდა, მისგან არ ელოდა სიავე,
მისი ხილვა მუდამ ჰგვრიდა სიამეს.

ამის მხილველს, მეჯინიბეს გრაფისა
რობერტს, სწვავდა შურის ცეცხლი ძლიერი,
ანთებული ვერაგული ზრახვითა
ლალატის ქსელს ამზადებდა ცბიერი.
ერთბელ, როცა სანადიროდ წასულნი
შინისაკენ ბრუნდებოდნენ მარტონი,
გრაფს ჰკორები შეაპარა მაცდური,
იქვის ალით გაახელა ბატონი.

— „ხართ, ბატონო, გულკეთილი, ჰკვიანი,
თქვენს ბედ-იღბალს სხვა ვინ დაეტოლება.
ცხოვრობთ მშვიდად, ეჭვი შნამის ფრთიანი
არ გაშფოთებთ, არ გიწამლავთ გონებას.
ზნეობით და სისპეტაკით ცნობილი,
გყავთ მეუღლე ნაზი, კეთილშობილი.
ერთგულეობა უმკობს დიად ბუნებას,
ვერვინ შესძლებს მისი გულის ცდუნებას!“

გრაფმა უცებ შეიკმუნხა წარბები:

— „ბიჭო, რა სთქვი, რა თქვები გწვევია,
ქალის ქცევას ნდობით დავეხარბები?
დიაცის გულს მაცდურობა სჩვევია.
სცდება, მისგან ერთგულეობას ვინც ელის,
ქალს ადვილად ხიბლავს ენა მლიქვნელი.
მაგრამ ჩემს ცოლს, ვინ გაბედავს, მზებნელი
ჰკადროს სიტყვა, ჩემში იქვის მგზნებელი?“

— „მართალს ბრძანებთ, თქვენი რისხვის ღირსია,
როს მსახური ლამობს ლალატს, ცდუნებას.
ქედმაღლობა განა საკადრისია
მისთვის, ვინც ყმად შეუქმნია ბუნებას.
გრაფინიას ვით უბედავს, ცბიერი
შესცქეროდეს გამომწვევი იერით!“

— რა სთქვი? — დასქექს გრაფი ცოფმოორეული. —
ცოცხალია ამ წუთს ის ყმა წყეული?

— ეს ამბავი გაეგება ყველასა,
მიკვირს მხოლოდ, თქვენ ვით გამოგებარათ.
გატყობთ, ჰფარავთ, არც მე დავმტრავ ენასა,
თუმც ამაზე ლაპარაკობს ქვეყანა.



— სიქე, განაგრძე, სიკვდილს ეთამაშები, —
 კვლავ შეპყვირებს გრაფი გიჟურ აღგზნებით. —
 გრაფინიას მაცდურ თვლით ვინ უმზერს?
 — მოგახსენებთ მე იმ ქერა მსახურზე.

თუმც თვალტანად იგი უშნო არ არი, —
 კვლავ განაგრძობს ქორაობას ცბიერი,
 გრაფს კი ამ დროს კვლავ დაეცა თავზარი,
 ატახტახდა, იწყო კრუნჩხვა ძლიერი.
 — ნეტავ ერთხელ თქვენ განახვით წყეული,
 ვით შესცქერის ენების ქინწორეული.
 თქვენც ვერ გამჩნევთ მასთან გაოგნებული,
 გული მისდის სიყვარულით გზნებული.

— ნახეთ ლექსი, აგერ მთელი რვეული,
 სიყვარულის ნაღდი მამხილებელი.
 — ო, ვერაგი! — დიახ, გრძნობად ქცეული.
 გრაფინიას თანხმობას სთხოვს მზებნელი.
 ქალბატონი, სიბრალულით ძლეული,
 დუმილს არჩევს, მით მფარველობს ცბიერსა,
 ვნანობ, რაც ვთქვი — არის ანაზღეული,
 თუმც საშიში რა გაქვთ ბატონს ძლიერსა! —

და ტყისავენ გრაფმა გახლებულმა,
 გააქროლა რაში დაუდგრომელი,
 სად ქურაში გუგუნებდა ველურად
 ცეცხლის ალი, რკინის დამადნობელი.
 აქ ღამემდე კრთიან ცეცხლის ენები,
 შრომობს მონა მედგრად, შეუსვენებლივ.
 ელვარებენ ირგვლივ ცის სიერციები,
 ლამობს მინად გადადუღდეს კლდეები.

ბოლავს მიწა ორთქლის აფოფინებით,
 ერთურთს მატებს ძალას ცეცხლი და წყალი.
 მოძრაობენ ქვეები ზვირთთა დინებით
 და გაისმის მბრუნავ ჩარბთა დგანდგარი.
 ელავს ზეცა, ცეცხლის ალით ნაბური,
 ჩაქუჩების ისმის ცემა გაბმული.
 საბერეელი კშუის, ქურა ინთება,
 მძლავრი დარტყმით რკინა ლღვება, რბილდება.

და გრაფს სახე კვლავ აენთო მზაკვრული,
 ორი მონა მოიხმო და მიმართა:
 — როცა მოვა თქვენთან ჩემი მსახური,
 სალამს მოგცემთ და წარმოთქვამს ფრთხილად:
 — შეასრულეთ დოდ ბატონის ბრძანება?
 მისი დასჯა თქვენც ნუ დაგენანებათ.
 მყის შეაგდეთ ადუღებულ ქურაში,
 დე, დიწვეს ტანჯვასა და ურვაში!“

მათ ბატონის დავალება ამგვარი
 მოეწონათ და სიამით იხარეს;
 რადგან მკერდში გულის ნაცვლად მაგარი
 ედოთ რკინა ვერაგებს და მრისხანეთ.
 დატრიალდნენ ველურ ზრახვით გზნებულნი,
 გაახურეს ქურა გაციებული,
 შეჰხარიათ მოგუგუნე ცეცხლის აღს,
 მზად არიან დასაბუგად მსხვერპლისა.

და რობერტი, ბნელ მიზანს რომ ეწიოს,
 ფრიდოლინთან მიდის, ეტყვის: — ახლავე
 მოემზადე, ბატონს უნდა ეწვიო,
 თვით გაბრძანებს რა სურს, რასაც გავალებს.
 ბატონი კი ეტყვის რისხვით ფრიდოლინს:
 — ქარხნისაკენ გასწი, განვლე მინდორი,
 იქ ორი ყმა ნახე ჩემი სანდონი,
 ჰკითხე: „ნება შეასრულეს ბატონის?“

ფრიდოლინი უპასუხებს: — კეთილი! —
 განშორდება თავის ბატონს მრისხანეს,
 გაიფიქრებს უცებ ხმაგაყმენდილი:
 იქნებ რამეს ქალბატონიც მიბრძანებს.
 და ეახლა, წუთიც არ დაახანა,
 ჰკადრა: — „უნდა ვინახულო ქარხანა.
 წმინდა ვალად ვრაცხ თქვენდამი სამსახურს,
 პირველად თქვენ შეგისრულებთ, რაცა გსურთ!“ —

გაიღიმებს ქალი ალერსიანი
 და ფრიდოლინს კმაყოფილი გახედავს:
 — წმინდა წირვას მოვისმენდი სიამით,
 მაგრამ შეილი ავადა მყავს ძალზედა.
 ჩემო ბავშვო, წადი, მარტო იარე,
 გულის ზრახვა ზენარს გაუზიარე,
 და ჩემთვისაც ლოცვას ნუ დაიმურებ,
 პატიება ცოდვებისა ისურვე! —

მსახურს ღიმილთ გაუბრწყინდა თვალები,
 მოეწონა რჩევა დარბაისლური.
 გზას გაუდგა ჩვეულ აღფრთოვანებით,
 სოფლის ბოლოს არც კი იყო მისული, —
 შემოესმა გულის გამახარები
 სამრეკლოდან ნელი ჟღერა ზარების,
 ის მორწმუნეთ მოუხმობდა ტკბილი ხმით
 ტაძრისაკენ ლოცვისა და წირვისთვის.

— ღვთის წინაშე უკან ნურვიან დაიხვეს
 თუ გზად შეხვდეს მამა სახემზიანი! —
 ამბობს ის და კრძალვით შედის ტაძარში
 და წმინდანებს თვალს შეავლებს სიამით.



დუმს ტაძარი მარტო მოძღვრის ამარა,
 დიაკვანიც არსადა ჩანს კაღარა.
 ხალხი პურს მკის, ველად შრომობს ზალისით,
 ირგვლივ კაცის ჭაჭანებაც არ ისმის.

და მან ტაძრის დიაკვნობა ინება,
 — მიმსახურეთ! — მოძღვარს რიდიით მიმართა.
 გაიფიქრა: „ზეცის მოთხოვნილება
 ხამს მოკვდავმა შეასრულოს პირნათლად!“
 და სასწრაფოდ ფრიდოლინმა მამაცმა
 მღვდელი მართო, ტანს ოღარი ჩააცვა,
 საცეცხლური ააბოლა ცხოველი,
 წირვისათვის მოამზადა ყოველი.

შემდეგ წმინდა მაცხოვრის ხატს სანთელი
 აუნთო და ეამბორა ნარნარად,
 ზელთ აიღო კურთხევენი ნათელი,
 მღვდელს მიართვა, მის წინ თავი დახარა.
 დაიხოჭა, გადიწერა პირჯვარი,
 დაელოდა მის კურთხევას მღიმიარი.
 ტკბილ ღალადისს ღვთისმოსავი მამისა
 უპასუხებს სამჯერ რეკით ზარისა.

და როს შეწყდა ბგერა შვების მფრქვეველი,
 მღვდელმა მშვიდად ზეადმართა მარჯვენა.
 გამოალო კარი საკურთხეველის
 და მლოცველებს მაცხოვარი აჩვენა.
 კვლავ გაისმა მნათეს ზარის წკარუნი,
 ყველას გულში იშვა შიში ფარული.
 დაიხოჭეს ლოცვით, პირჯვარის წერითა,
 ღვთის წინაშე აპყრობილი ხელითა.

შეასრულებს ფრიდოლინი ტაძარში
 დიაკვნის როლს ზალისით და სიამით.
 და ამქლავნებს წირვა-ლოცვის, ადათის
 სიყვარულს და ცოდნას მოყმე ჭკვიანი.
 უსმენს მოძღვრის შთამგონებელ ღალადისს,
 როს აღუვლენს იგი უფალს მარადისს,
 უკანასკნელ ლოცვას ციურ გზნებითა,
 ნიშნად წმიდა წირვის დამთავრებისა.

როს დასრულდა წირვა მადლის მთოველი,
 მაცხოვრის ხატს ეამბორა კრძალვითა,
 მოალაგა-მოალაგა ყოველი
 სამკაული და ტაძრიდან გავიდა.
 ერთხელ კიდევ გადიწერა პირჯვარი,
 და გასწია, ჭარხნისაკენ ინჭარის.
 მიჰქარის, ვერ ღლის გულანთებულს სწრაფი სვლა,

სურს ბრძანება შეასრულოს გრაფისა.

აჰა, უკვე მიაღწია ქარხანას,
ირგვლივ თვალი მიმოავლო ფრთხილად,
ჰკითხა მონებს, წუთიც არ დაახანა:

— შეასრულეთ გრაფის ნება პირნათლად? —

პასუხობენ ურცხვად, კბილთა ღრქენითა:

თან ქუჩაზე უთითებენ ხელითა:

— ყოველივე არის შესრულებული,
გვწამს, გრაფისგან ჩვენ გავხდებით ქებული! —

ფრიდოლინი უკან გამობრუნდება,
გადმოლახავს ტრიალ მინდვრებს რბენითა,
როცა გრაფი დაინახავს, ცბუნდება,
შეუყვირებს ჩვეულ მრისხანებითა.

— უბედურო, სად იყავი, სთქვი, ჩქარა! —

— ქარხანაში! — არა, სტყუი, მიჭარავ,

სთქვი, მთელი დღე სად ეხეტე, სად დარჩი? —

— სულ მცირე ხნით ლოცვად ვიყავ საყდარში! —

— მაპატიეთ, რომ ჩემს ვალად ჩაეთვალე

იქ წასვლამდე გრაფინაიც მენახა,

მოვესმინე, რას მიბრძანებს, მავალებს,

რომ პატრონის ნება არ შემელახა.

მან მიბრძანა, საესემ დედურ აღერსით,

მომესმინა წირვა უმხურვალესი,

და იქ თქვენთვის ღმერთს შეესთხოვე გულითა —

ჯანმრთელობა, დღენი სიხარულისა!

ლეღავს გრაფი, ვერ ისვენებს, ცახცახებს,
თუმცა ატყობს, რომ არ სტყუის მსახური.

მკვახედ ეტყვის: — რა გაიგე, რა ნახე,

ვალად არ სთვლი, გამიმხილო ნახული?

— მბრძანებელი, არის ბნელით მოცული

მათი სიტყვა დამცინავი, ორგული.

მითხრეს მხოლოდ: — გრაფი მოიწონებსო

ჩვენს საქციელს და შეგვაქებს მონებსო! —

— მაშ რობერტი? — გრაფი ისევ მიმართავს,
თანაც თვალებს აბრიალებს ცეცხლიანს. —

— მითხარ ჩქარა, იგი არსად გინახავს,

ქარხანასთან, ტყეში არ შეგხვედრია?

— მბრძანებელი, არ ვარ მისი მნახველი,

არ მსმენია ტყეში მისი სახელი!

— ჰო, მაშ აგრე? — ამბობს რისხვის მთოველი, —

აღბათ ღმერთმა თვით განსაჯა ყოველი! —

გრაფი უცებ დამშვიდდება, დაცხრება,
 და სიკეთით აევსება თვალები.
 ყრმასთან ერთად მეუღლის წინ წარდგება,
 მოახსენებს ნაზად და მოკრძალებით:
 — ეგ ჭაბუკი, გწამდეს, მადლის მთესია,
 ანგელოსზე სულით უწმინდესია.
 ვერ შელახავს ქორი ამქვეყნიური,
 მას მფარველობს თვითონ ღმერთი ციური!

თარგმანი ხარიბონ ვარდოშვილისა.

ს ი ხ ა რ უ ლ ს

სიხარულო, ღვთაებრივო ნაპერწკალო,
 შენ, სამოთხის მშვენიერო ქალიშვილო,
 შენთან მოვალთ, ზეცის მადლო ფრთამერცხალავ,
 რომ სიწმინდის ცეცხლით გული აგვიჩვილო.

შენს კალთის ქვეშ კვლავ ერთმანეთს ემოყვრება
 ვისაც შუღლი თიშავს რახსვის აზვირთებით,
 და მტრებს აქცევ ძმაზე მტკიცე მეგობრებად
 ყველგან, სადაც გაგიშლია ნაზი ფრთები.

გ უ ნ დ ი

მხარი მხარს მიეცეთ, მილიონებო!
 ქვეყნის სიმაართლე ზალხებს ვახაროთ,
 ვუხმობთ სიყვარულს ნათელ სამყაროდ,
 და ვარსკვლავეთში ვიხილოთ, ძმებო!

ვინც მტერთან მტერი, ტოლთან ტოლია,
 ცნობს მეგობარს და თავისიანებს,
 ვისაც ერთგული ცოლი ჰყოლია,
 ჩვენს სიხარულსაც გაიზიარებს.

ჰო — ვინც ერთს მაინც „ჩე მ ი“ უწოდა,
 რაც დედამიწას ამკობს და შვენიის!..
 ვინც ეს ვერ შესძლო, დარჩეს უცხო და
 გლოვით დატოვოს კავშირი ჩვენი!

გ უ ნ დ ი

მეგობრობის მაცნედ გახდი,
 მკვიდრო ფართო დედამიწის!
 ეს შენი გზა მწესთან მიდის,
 ზეცაში დგას ძმობის ტახტი.



სიხარულს სვამს ყველა არსი,
სათნო, ავი და კეთილი,
და მისი გზა ვარდის მსგავსი
ვისთვის არის ჩაკეტილი?

გვაძლევს ყურძენს, კოცნის სიტკბოს
ეს ბუნება ღია მკერდით,
გულს შეგობრულ გრძნობით გვიტბობს,
და ქერუბინს იწვევს ღმერთი.

გუნდი

თქვენ ძირს ემხოებით, მილიონებო?
ქვეყნის შემოქმედს ამჩნევ, სამყაროვ?
მალლა! თვალები ძირს არ დახაროთ! —
ვარსკვლავთა შორის ვიხილოთ, ძმებო!

ქმნის სიხარული და ატრიალებს
დიდი მსოფლიო საათის ბორბლებს,
ძალემ ფრთებს ასხამს ადამიანებს,
ფართო სამყაროს გადაიქროლებს.

კვირტებს გაშლის და ხანძრებს აჩალებს,
მზეც კი მორჩილობს მარადი, მწველი,
აბრუნებს სფეროს, პლანეტას, თალებს,
რასაც ვერ ხედავს ვარსკვლავთმრიცხველი.

გუნდი

ცოცხლად, ვითა მზე ცის თაღზე მოარული!
ძმებო, თქვენი გზაც იქნება პირდაპირი,
გადასერეთ, როგორც სერავს გმირთაგმირი
ბრძოლის ველებს, გამარჯვებით მოხარული.

სიხარული მკვლევარს აღზენს მონაგებით,
ქეშმარიტი ცეცხლის შუქით — შეცნიერებს,
მწიროს ატარებს სათნოების გორაკებით,
და ტანჯულთა გულში რწმენას აძლიერებს.

რწმენის მთებში თავს მზის კალთას აფარებს და
მისი ლაღი დროშები არ ხუნდებიან,
დგას გახეთქილ კუბოების ნაპრალებთან,
და გარშემო ანგელოზთა გუნდებია.

გუნდი

მკედრეთით აღდგებით, მილიონებო!
ნუგეშის თვალი ძირს არ დახაროთ,
რომ უკეთესი, შვების სამყარო
ვარსკვლავთა შორის ვიხილოთ, ძმებო!

სამაგიერო არ უნდათ ღმერთებს,
კარგია, მათ რომ გაუტოლდები!
მხიარულება ჩაგრულთ აერთებს,
აღსდევ, მამურალო, და ნუ ღონდები.

დავემით შუღლი და შურისძიება,
 ვიყოთ მოწყალე და მხიარული,
 მოსისხლე მტერსაც ეპატიება,
 არ გვინდა ცრემლი და სინანული.

გუნდი

მაშ დაიხუროს ვალები წიგნი!
 მთელი მსოფლიო შერიგდეს ბარემ!
 ძმებო—განსაჯოს ვარსკვლავთა მხარემ,
 თუ მართალი ვართ, სიმართლე გვიხსნის!
 ჩქეფს სინარული — გადმოდის ტკბილი,
 ოქროს ნექტარში განიბანები!
 მხნეობას შესვამს სასომიხდილი
 და სათნოებას — კანიბალები.

ძმებო, წამოხტით სუფრიდან სწრაფად,
 როცა აქ ცეკვავს მართალთა დასი,
 დე, დვინო ზეცას ესხუროს ქათად,
 ნათელ სულისთვის დავცალოთ თასი!

გუნდი

მას, ვინც ვარსკვლავთა გუნდებს ალაგებს,
 ვისაც ადიდებს ციურთა დასი, —
 კეთილ სულისთვის დავცალოთ თასი,
 ვარსკვლავთა მხარის შუქს რომ განაგებს.

გუნდი

ძმაო, ხიფათი სახეს ნუ გიცვლის,
 ჩაგრულს უშველე, ღიმი მოჰგვარე!
 ერთგული დარჩი დადებულ ფიცის,
 სწორად მიუზღე მტერს და მოყვარეს!

ამაყად შეხვდი ტირანებს მუდამ!
 ძმებო, თუნდ მოგკედეთ, საქმე გვავალებს:
 დამსახურებას გვირგვინი უნდა,
 მზის ჩასვენება — ვერაგ მტარვალებს!

გუნდი

მაშ მოგროვდით წმინდა სუფრის ირგვლივ ჯარად!
 ვარსკვლავეთის მსაჯულს უხმეთ და შეჭფიცეთ,
 რომ ვატარებთ ალექმას გულში რვაღზე მტკიცედ,
 შეჭფიცეთ, რომ სიმართლისთვის ვიწვით მარად.



თქვენი ბამარჯვებისა იყოს!

(ჩანაწერები ყაზახეთის ველებზე)

ჩვენს დაბლა ყაზახეთის ველებია.

თვითმფრინავიდან ალაგ-ალაგ მოჩანან ნახნავესა თუ ყანების ფერადი ნაკერები, თითქოს ბავშვებს ქალაღღზე გეომეტრიის გაკვეთილები უხაზიათ. უფრო მეტად კი ძირს რუხი, ერთფეროვანი ველებია.

ალა-თაუს თოვლიან მთებთან, თეთრი კედელივით რომ აღმართულან ჩინეთსა და ყაზახეთს შუა, დავეშვით აღმა-ატას აეროდრომზე.

განთიადის ვარდისფერ ბურუსში გახვეულა მწვანე ხეივანებში ჩაფლული ყაზახეთის დედაქალაქი.

ფართო, კრიალა ქუჩები ყოველი მიმართულებით სერავენ ქალაქს.

„აღმა-ატა“ ქართულად ნიშნავს „ვამლის მამას“. მართლაც-და, შემთხვევით როდი ჰქვია ეს სახელი ყაზახეთის დედაქალაქს. ქუჩის ორივე მხარეზე ჩარჩებულნი თეთრი, ლამაზი სახლების წინ თვალს იტაცებენ განსაკვირვებელი სიდიდის ლაქდაჯა ვაშლები. ასეთ ვაშლს იშვიათად შეხვდება კაცი მთელს საბჭოთა კავშირში.

ხეილის ბაღებში, ალვისა და ჰადრის ხეივანებში ძლივს მოჩანს ეროვნული ჩუქურთმებით შემკული ახალი შენობები. საერთოდ, აღმა-ატაში ერთი ან ორსართულიანი შენობები სჭარბობს. მიწისძვრის კერასთან ქალაქის სიახლოვე მრავალსართულიანი შენობების აგების საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, ქალაქის საერთო ფონზე აქ-იქ მხარბეკი გაუშლიათ დიდი, შესანიშნავი შენობებსაც, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აბაის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

ყაზახეთის სახალხო გმირის ამანგელდის ძეგლთან თავი მოეყარათ პიონერებს. მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრებოდა ყაზახი ხალხის რევოლუციურ წარსულზე. თვალის ერთი გადავლებითაც გამოიცინობდით რუს, ყაზახ, უკრაინელ, უიგურ ბავშვებს. ყაზახეთი ერთი დიდი ინტერნაციონალური ოჯახია, სადაც მშურად ხელიხელჩაკიდებულნი ცხოვრობენ და მუშაობენ მრავალი ეროვნების ადამიანები.

აღმა-ატაში ბევრი საწარმოა. ბაღებისა და ხეივანების სიმრავლე ამ ქალაქს მაინც დასასვენებელი ადგილის, კურორტის ელფერს აძლევს. განსაკუთრებით ლამაზია მის გულში გაშლილი ყვავილნარი.

ვაშლის ქალაქის — აღმა-ატის ვაშლის ბაღები აღწევს ალა-თაუს მთების ძირამდე, სადაც მოწყობილია საყოველთაოდ ცნობილი საციკურო სადგური.

იშვიათია ასეთი გამწვანებული ქალაქი. თითქოს მთელი სიმწვანე, რაც ასე აკლია ყაზახეთის უსაზღვრო ველებს, აქ, აღმა-ატაში, შეუგროვებიათ.

აღმა-ატა თვალწარმტაცი ოაზისია ყაზახეთის უდაბურ ველებზე.

და აქ, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, მრავალრიცხოვან ინსტიტუტებში და საცდელ სადგურებში, დღედაღამე მუშაობენ ცნობილი მეცნიერები, რომ დაეხმარონ მშრომელებს — ასეთ წალკოტად გადააქციონ მთელი ყაზახეთი.

ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, პარტიის მოწოდების საპასუხოდ, ათასობით პატრიოტი დაიძრა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ყაზა-

ხეთისა და მისი მოსაზღვრე ალტაის მხარისაკენ.

საქართველოდანაც მრავალი მექანიზატორი, ექიმი, ინჟინერი წავიდა ყაზახეთში უხსოვარ დროიდან ბარდაუეკრელი მიწების ასათვისებლად.

ალმა-ატის ქუჩებში, სამინისტროებში, დაწესებულებებში, ყველგან ამ დიდი თაოსნობის შესახებ არის საუბარი. აქვე შეხვდებით სპეციალისტებსაც, რომლებიც უცდიან საბჭოთა მეურნეობებში განაწილებას, აგრეთვე შორეული კუთხეებიდან სხვადასხვა საქმისათვის ჩამოსულ ყამირ მიწებზე მოლაშქრეებს.

მომე ყაზახეთი რომ დამეთვლიერებინა, გადავწყვიტე, ალმა-ატიდან დამეწყო მოგზაურობა ჩრდილოეთისაკენ — აქტიუბინსკის ოლქისაკენ, სადაც ყველაზე მეტი რაოდენობით არიან წასული ქართველი მექანიზატორები.

როგორც კი დავტოვე ალმა-ატა, მწვანე ხეივნები რუხი გორაკებით შეიცვალა.

ამ რუხი, ერთფეროვანი გორაკების გავლით მივედი ჯამბულის მშობლიურ სოფელში, რომელიც ახლა დიდი აკინის სახელს ატარებს. აქ არის ჯამბულის სახლ-მუზეუმი. ამ სახლში გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ხალხთა მეგობრობის დიდმა მომღერალმა ჯამბულ ჯაბაევმა.

ჯამბულის ძმამ, ცნობილ პოეტ ტაირ ქაროკოვთან ერთად, რომელიც ერთ დროს ჯამბულის მდივნად მუშაობდა, დაგვათვლიერებინა სახლ-მუზეუმი.

აი, ჯამბულის დომბრა... ჩვენებურ ჩონგურს ჰგავს ყაზახური დომბრა, მაგრამ გრძელტარაა, თითქოს ყაზახეთის გრძელსა და უსაზღვრო ველებს უნდა გადასწდესო.

ამ დომბრაზე სიმღერით გახსნა 1937 წელს ჯამბულმა ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესია.

ამ დომბრით ჩამოვიდა საქართველოში ჰალარა ჯამბული რუსთაველის იუბილეზე. ვუყურებდი დომბრის პრადა-

ლარებს და თითქოს მესმოდა თბილისში წარმოთქმული ჯამბულის, რომელიც საქართველოზე, სიმღერაში უსაზღვრო პიროგორც ყაზახეთის ველი.

სახლ-მუზეუმის ეზოში დგას ძველებური იურტა. ამ კრელი ფარდაგებით მოფენილ იურტაში ისვენებდა და ჰქმნიდა ახალ სიმღერებს მოხუცი აკინი.

ჯამბულის მეზობლები — კოლმეურნეები იურტაში გაგვიმასპინძლდნენ კუმისით.

ყაზახურად ფეხმორთხმულნი ვისხედით და ჯამებით ვსვამდით სიცხეში სასიამოვნო გრილ კუმისს.

ესაუბრობდით ჯამბულის შესახებ, ყაზახური ლიტერატურის დაწვეებისა და განმანათლებელის დიდი აბაის შესახებ, რომლის გარდაცვალებიდან 50 წლისთავი ის-ის იყო აღნიშნა მთელმა საბჭოთა კავშირმა.

კოლმეურნე ქალბმა იურტაში სპილენძის დიდი სინით შემოიტანეს მოხარული მთელი ცხვარი, ყაზახური საქმელი — ბიჭმარმაჭი, რომელიც ქართულად ნიშნავს „ხუთი თითით საქმელს“.

ჯამბულის სოფელში, ისე როგორც ყაზახეთის უმეტეს სოფლებში, ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ. ამ ბოლო დროს დაიწყო მემინდვრობაც. მარტო ამ სოფლის მცხოვრებლებმა კი არა, ყაზახეთის უმეტესმა ნაწილმა მიატოვა მომთაბარე ცხოვრება და ღრმად გაიდგა ფესვები მიწაში. კოლმეურნე აკინმა დომბრაზე შესანიშნავად იმღერა ხალხური ლექსი. ამ სიმღერაში გამოხატული იყო ყაზახი ვაჟაკის პირველი ტყვიელები, ვაჟაკისა, რომელმაც მომთაბარე ცხოვრება მიატოვა და ფესვებით სოფელში, მიწას ჩაეზარდა.

აკინი უმღეროდა კოლმეურნეებს, ყაზახეთში ჩამოსულ ყამირ მიწებთან შემეტვე ვაჟაკებს.

მივდიოდი ჯამბულის მშობლიური სოფლიდან და თითქოს მიმაცილებდა დიდი აკინის — ჯამბულის სიმღერა მეგობრობისა, შთაგონების ფრთას მასხამდა კოლმეურნე მომღერლის სიტყვები:

მაგარი არის... ქვის ქვები აქვს ყაზახურ ყაშირს. დიდა, დიდი ყაზახეთის ტრიალი ველო, მაგრამ სურვილი უფრო ვრცელი და დიდი არის, უფრო მაგარი—მადმედიცულ ვაჟაკთა ზელი...

გზადაგზა ველის ჯეირანი — საიგა გადაურბენდა ხოლმე ჩვენს მანქანას და დამფრთხალი შორს, გორაკებს მიეფარებოდა.

მინდვრის არწივები ყვითელ ქვიშნარებში ქვეწარმავლებზე ნადირობდნენ. მალე მიწამ სულმთლად ყვითელი ფერი მიიღო, მცენარეულობაც გაქრა. დაიწყო უდაბნო.

ყვითელ ქვიშნარზე აქა-იქ მხოლოდ უდაბნოს მცენარის — საქსაულის ბუჩქები მოჩანდა.

საქსაულს მალედიან სულ პატარა ბუჩქი აქვს, უფრო მეტად კი მიწაში იზრდება, რამდენიმე მეტრზე ცხელ ქვიშაში გველივით იკლავება ამ უცნაური მცენარის ტანი.

საქსაულის პატარა ბუჩქი ერთადერთი საკვებია აქლემისათვის უდაბნოში.

მანქანის ხმაურზე ფრთხილდნენ აქლემები, რომლებიც ზოზინ-ზოზინით მიდიოდნენ და მიიძოდნენ საქსაულს, უდაბნოს ნარეკალს.

აქლემებს ყაზახეთში კოლმეურნეები იყენებენ ტვირთის გადასაზიდად და გამწვევ ძალად.

ამ ბანჯგელიან, აყლაყულა ცხოველების გულუბრყვილო თვალეში მოჩანდა უდაბნოს სევდა. მათ თვალეში თითქოს მოჩანდა წყენა, რომ აღარ აქვთ საქარავნო გზები, რომ ზარ-ზეიმით აღარ მოელიან შორეული ქალაქები მათ ქარავნებს და აქაც, ამ უდაბნოში, ალბათ მალე აღარ დააყენებენ. უდაბნოების აყვავებისათვის მოსულან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ადამიანები. დგანან მათზე უფრო გრძელკისერა ექსკავატორები და არხების გასაყვანად ერკინებიან დაგვილულ მიწას.

...რაც უფრო ჩრდილოეთისაკენ მივდივართ, მით უფრო იშვიათად გვხვდება უდაბნო და ნახევარუდაბნო. მაგრამ წინანათი და აბზინდით დაფარული ველე-

ბიც მოსაწყენ, ერთფეროვან შთაბეჭდილებას სტოვებს.

როგორღაც მანქანაზე ჩამოქონებულ დესაც გამომეღვიძა, საათს დაეხედე. საათნახევარი მიძინებია. შოფერს ვესაყვადღერე, რატომ ამდენხანს წინ ვერ წავედით, მგონი იმავე ადგილას მივდივართ-მეთქი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოთხმოც კილომეტრამდე გვქონდა გავლილი. ველის ერთფეროვნებამ კი მაფიქრებინა, თითქოს იქვე ვიყავით.

მანქანა პატარბული შევეცვალე და მალე უკან მოვიტოვე ყარაგანდის — შავი ქალაქის — ქვანახშირის და უზარმაზარი ბასენის — თეთრად ნაგები სასახლეები, გამამდიდრებელი ქარხნების შავად ჩაქუფრული კოშკურები.

ზედიზედ გავიარეთ საოლქო ცენტრები — აკმოლინსკი, კუსტანაი...

გამოჩნდა ქალაქი აქტიუბინსკიც.

აქტიუბინსკი ქართულად ნიშნავს „თეთრ გორაკს“. მართალია, აქ თეთრი გორაკი არ არის, მაგრამ შემადლებულ ველზე შეფენილი თეთრად შეფეთილი სახლები ამართლებს ქალაქის სახელწოდებას.

აქტიუბინსკის მშენებაა ფეროშენადნობის ცნობილი ქარხანა. ქარხანაში მთავარ ინჟინრად მუშაობს ქართველი ლობჯანიძე. მან საწარმოო პრაქტიკა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში გაიარა. ახლა კი დამოუკიდებლად უძღვება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სამრეწველო გიგანტის მუშაობას.

პარტიის აქტიუბინსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ეუმბეკ ტეშენევმა გამაცნო ოლქში ყაშირი და ნასვენო მიწების ათვისების საქმე, დამხმარა მარშრუტის შედგენაში. ამხ. ტეშენევმა განაცხადა, რომ საქართველოდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა ბევრით მუშაობით უკვე გამოიჩინეს თავი.

მეორე დღით საოლქო კომიტეტის მუშაკებთან — ნურბუტა ურუნდასაროვთან და ლუქბან ეუმბავეთან ერთად — გავემგზავრე საქართველოდან ჩამოსული მექანიზატორების სანახავად.

ზაფხულის თაკარა მზეს ნირი შეუც-
ვლია მაღალი ბალახით დაფარული ვე-
ლებისათვის. აქ იგრძნობა, რომ მიწა
მსუყეა და ბარაქიანი.

აგვისტოს პაპანაქებაა. ჩვენში ასეთი
სიცხის დროს ყანა თუ ბალახი გადახმე-
ბა ხოლმე. აქ კი გზადაგზა საამოდ შრია-
ლებენ დარჩენილი, მოუწყელი ყანები,
ბალახიც წელამდე სწვდება კაცს.

არსად არხის ნასახიც არა ჩანს. მდი-
ნარეებიტაც მეტად ღარიბია ეს უსაზღვ-
რო ველები. ზაფხულში წვიმები თითქ-
მის არ იცის, ყანებს კი უწყლობა არ
ეტყობა. ამხ. ურუნდასაროვი მიხსნის:
ზამთარი აქ მეტად დიდი და მკაცრი
იცის, თოვლი ისე ბევრი მოდის, რომ
ზაფხულში, დიდი სიციხის მიუხედავად,
ზამთრისაგან მიწაში დარჩენილი ნალე-
ქები საკმარისია ჯეჯილის გამოსაკვე-
ბადო.

ველზე ჯგუფად შეგროვილი ხალხი
შევნიშნეთ. სატვირთო მანქანებიდან
იღებდნენ ბარჯს, ზოგიც კარვებს სქი-
მავდა მინდორზე.

აი, ახალი საბჭოთა მეურნეობაც. —
მეუბნებიან თანამგზავრები. მე ვცდი-
ლობ, კარვებთან მოფუსფუსე ადამიან-
ებისა და საბარგო ავტომანქანების გარ-
და, სხვა რამეც დავინახო, მაგრამ ამოდ.

უკრაინელ კომკავშირელებს დაუკომ-
პლექტებიანთ მთელი საბჭოთა მეურნეო-
ბა. მოანგარიშე და საქმის მწარმოებე-
ლიც კი წამოუყვანიათ მექანიზატორებ-
თან ერთად.

ამ შიშველ მინდორზე, სადაც მხოლოდ
სახელდახელო კარვებს სქიმავენ, ხოლო
ჯერჯერობით სთელემენ ბრუნენტ-გა-
დაფარებული ტრაქტორები, სულ მალე
ახალი შენობები და შრიალა ყანები მიე-
გებება გამვლელ-გამომვლელს.

ნათქვამია, „ყაზახური აქვე არის, ექვე-
სი დღე-ღამის სავალაო“, და, მართ-
ლაც, რამდენიმეჯერ გვითხრეს გზაზე,
აქვე არის რაიონის ცენტრი ნოვო-ალექ-
სეევკაო, გზა კი აღარ თავდებოდა. მეც-
ნაურა ჩვენებური გამოთქმა, რაგინდ
შორს არ უნდა იყოს. გეტყვიან: „აგერ,
ყურისძირშია, ბატონო“.

აქტიუბინსკიდან 150 კილომეტრის/
შემდეგ გამოჩნდა ცისფერი, გამწვანებულ
ლე მდინარე ხობდა. ოდნავ მოკვირულ
ველზე ლაქვარდისფერი მდინარე ქეშმა-
რიტად საუცხოო სანახავია.

რაიონის ცენტრს ნოვო-ალექსეევკა
ჰქვია, რაიონს კი მდინარის სახელი —
ხობდის რაიონი.

ნოვო-ალექსეევკიდან მეგზურად ხობ-
და გახდა. მივდიოდით ამ თევზითა და
სილამაზით განთქმული მდინარის პირად
და რაიონის ცენტრიდან სამოციოდე კი-
ლომეტრის შემდეგ გამოჩნდა საბჭოთა
მეურნეობა „აკრაბი“, ანუ ქართულად
„ოქტომბერი“.

„აკრაბი“ ძირითადად ხორცისა და
რძის საბჭოთა მეურნეობაა. მეურნეობას
ჰყავს სამი ათასი ნახებწვიანი ცხვარი,
ხუთი ათასზე მეტი ძროხა, რამდენიმე
ჯოგი ცხენი. გარდა ამისა, მარტო გა-
სულ წელს საბჭოთა მეურნეობამ, გეგ-
მის მიხედვით, ოთხი ათასზე მეტი ჰექ-
ტარი ყამირი მიწა აითვისა.

პარტიის ხობდის რაიონული კომიტე-
ტის მდივანმა საბჭოთა მეურნეობების
დარჯში გაფურ ტიგისბაევმა, რომლის
მუდმივი სამუშაო ადგილი ამ საბჭოთა
მეურნეობაშია, ჩემთან დაუძახა საქართ-
ველოდან ჩამოსულ ახალგაზრდებს.

როგორც კი გასძახეს: „ქართველებო,
მოდით აქო“, თერამეტი მოსხლეთილი,
თვალტანადი ვაქეაცი მოვარდა ჩვენთან.
აღმოჩნდა, რომ მათგან ნახევარზე მეტი
რუსები, უკრაინელები და სომხები იყე-
ნენ. კორეელი ჰაბუკიც კი იყო, რომე-
ლიც თურმე საქართველოში, საბავშვო
სახლში აღიზარდა. გვიან გავიგე: სა-
ქართველოდან ყამირ მიწებზე ჩასული
ახალგაზრდები, მიუხედავად ეროვნები-
სა, თავიანთ თავს ქართველებს ეძახიან.

ზოგიერთმა მათგანმა მიცნო, რადგან
თბილისში, გაცილების დროს დავპირდი,
რომ ენახავდი ყაზახეთშიც, გავიზიარებ-
დი მათ პირველ სიძნელებესაც და წარ-
მატებებსაც.

აი, ნიკოლოზ კოსარევი. იგი ყაზახეთ-
ში ჩამოსვლამდე რუსთავის მეტალურ-
გიულ კომბინატში მუშაობდა. აქ კი საბ-

ქოთა მეურნეობა „აკრაპში“ მიმბმელად დაიწყო მუშაობა. მალე ისე კარგად დაუდგა თავის საქმეს, რომ საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მიმბმელის გარდასვალა დროში მოიპოვა. კოსარევის ხელმძღვანელი „საბჭოთა მეურნეობის უფროს მიმბმელს“ ეძახიან.

მეურნეობაში მოსვლისთანავე სახელი გაითქვა რუსთავეის გიგანტის ყოფილმა მუშამ ტრაქტორისტმა თენგიზ სკანაძემ. იგი ტრაქტორ „დტ-54“-ით ნორმით გათვალისწინებული 8 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 8 1/2 — 9 ჰექტარ ყამირ მიწას ტეხდა.

მალე სკანაძის რეკორდს გადააჭარბა რუსთაველიან წამოსულმა არკადი პონომარენკომ, რომელიც სეზონის განმავლობაში ყოველდღიურად 10 1/2 ჰექტარ ყამირს ტეხდა.

თბილისის ავტოქარხნის ყოფილი მუშა ივანე მაზური პირველ დღეებში შეუშინდა სიძნელებებს. ნატანტარის ციფწყაროს მიჩვეულ ჰაბტუს მართლაც და არ ესიათოვნა საკმაოდ მოშორებული მდინარიდან მოტანილი სასმელი წყალი. ამნოც არა ჰქონდათ, არც საცხოვრებელი ბინები დახვდათ ახალგაზრდებს. სიცხეში სახელდახელო კარებს აფარებდნენ თავს, ყაზახეთის მკაცრი ზამთარი კი არც ისე შორს იყო.

— ყამირი ავითვისო თუ ბინა ავაშენო? — ზშირად ეკითხებოდა მაზური საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ყოლდასი ქალიშვიტოვს.

— ორივე ერთად! — უპასუხებდნენ დირექტორიც და ამხანაგებიც.

მაზურის პირველმა უკმაყოფილებამ ბაინც ჩააფიქრა ამხანაგები. მართლაც ძნელი იყო ბიჭებისათვის მომქანცველი შრომის შემდეგ უბინაობა. ამიტომ კომკავშირელებმა ნ. კოსარევა, თ. სკანაძემ, ა. პონომარენკომ და თვითონ ი. მაზურმა გადაწყვიტეს შეექმნათ მშენებელთა კომკავშირული ბრიგადა. ბრიგადაში შეიყვანეს აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის „სასწრაფო დახმარება“ ხარატი ილია ქიმერიძე.

თბილისის კიროვის სახელობის დახმარებელი ქარხნის ყოფილმა ხარატი ილია ქიმერიძემ 8 ბრიგადამ უმსხვერპლად რა ნაწილი უნდა გაუფუძღეს ტრაქტორს თუ კომბაინს, რომ ქიმერიძემ არ შეაყეთოს. ელვის სისწრაფით განდებდა ხოლმე საკირო ადგილზე ახალგაზრდა ხარატი და სულ მალე მანქანა წესრიგში მოჰყავს. ამიტომაც შეარქვეს ასეთი უცნაური სახელი — „სასწრაფო დახმარება“. ამ სახელითა იცნობენ საბჭოთა მეურნეობაში ილია ქიმერიძეს.

მშენებელთა ბრიგადამ გადაწყვიტა, უმოკლეს ხანში აეშენებინა საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე საფუძვლიანად შეეკეთებინა მედლაქტი.

მშენებელთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ არა მარტო საბჭოთა მეურნეობა „აკრაპის“ ახალგაზრდები, არამედ მთელი ოლქის კომკავშირელებიც. საოლქო გაზეთში დაიბეჭდა მათი მოწოდება ოლქის ყველა კომკავშირელისადმი.

საქართველოდან წასული ახალგაზრდების ინიციატივით, მალე აშენდა საერთო საცხოვრებელი, შეაკეთეს მედლაქტი და კლუბზეც კი დაიწყეს ზრუნვა.

უკლებოდ, გართობის გარეშეც გაუქირდათ ახალგაზრდებს. მით უმეტეს, რომ საბჭოთა მეურნეობაში მრავალ ახალგაზრდას შეეძლო თავი გამოეჩინა მხატვრული თვითმოქმედებით.

მარტო სპორტსმენებმა მოახერხეს კლუბის გარეშე სპორტული მუშაობის გაშლა.

კორეელი ვ. კანი საქართველოში საბავშვო სახლში აღიზარდა, შემდეგ კი თბილისში რკინიგზაზე ელექტრო-მექანიკოსად მუშაობდა. იგი სხვა თბილისელ პატრიოტებთან ერთად პირველი წავიდა ყაზახეთის ველზე. კანმა საბჭოთა მეურნეობაში საუკეთესო მუშაობით ამხანაგების სიყვარული დაიმსახურა. მან თავისი სპორტული მონაცემებითაც ასახელა საბჭოთა მეურნეობა. ქალაქ ბარნაულში გაიმართა ზონალური შეჯიბრება 100 და 500 მეტრზე სირბილში. ამ

შეგობრებაში კანმა მესამე ადგილი მოიპოვა.

— როდესაც კლუბი გვექნება, ადვილად გაუძლებს კაცი აქაურ ზამთარს. კლუბში გავსლით საწრეო მუშაობას, თორემ აქ ისეთი მკაცრი, სუსხიანი ზამთარი იცის, რომ გარეთ ცხვირსაც ვერ გამოჰყოფ ადამიანი, — ამბობს არსთავეის ქარხნის ყოფილი მუშა ბრიგადირი პავლე ბლაჟინინი.

— ქართული სიმღერისა და ცეკვის წრე გვიანდა ჩამოვაყალიბოთ, — საუბარში ჩაერთა მარტყოფელი შოფერი ალექსანდრე ოსიაშვილი, — გთხოვთ საქართველოდან გამოგვიგზავნოთ დოლი, ქართული გარმონი და ჩონგური. რაც არ უნდა ღირდეს, ფულს დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნით.

მართლაც-და, ბიჭებს აქ, როგორც იტყვიან, ფული თავზე გადასდით. მართო ალექსანდრე ოსიაშვილი თვეში სამი ათას მანეთზე მეტს ღებულობს. ამდენივე აქვს თვითური გამოიმუშავება ონელ შოფერს ნოდარ ხომასტურიძეს.

ყამირი მიწების ასათვისებლად წასულ მექანიზატორებს ყურადღების გარეშე არ სტოვებენ ისინი ყაზახეთის ველებზე. ხარატი გურამ კაპანაძე თბილისის კიროვის სახელობის დაზღვათმშენებელ ქარხანაში მუშაობდა. გურამი თავისი მშობლიური ქარხნიდან ხშირად ღებულობს საჩუქრად საჭირო სახარატო ნაწილებს.

— ბიჭი კი არა, ოქროა, ოქრო... ალალი, გულმართალი და თავაზიანი, — ერთხმად მეუბნებიან გურამ კაპანაძის შესახებ ტრაქტორისტები ყაზახი ავღან ნაიენოვი და თათარი ფატიხ უტიუტულოვი.

საქართველოდან ჩამოსულმა მექანიზატორებმა შრომაში შეიყვარეს მოძმე ყაზახეთის უსაზღვრო ველები. ზოგმა მათგანმა აქ ოჯახიც კი შექმნა.

საქართველოს კომკავშირის მიერ წარგზავნილი სტეფანე ბონდარევი პირველ ხანებში არცთუ კარგად მუშაობდა. ქალიშვილებსავე უფრო ეკირა თვალი, კიდრე მასზე გაპროვინებული ნაკვეთი-

სავენ. ერთხელ, როცა ჯეჯილი უკვე საამოდ ბიბინებდა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ტონია ბონდარევიცა ცისფერი ღილილოების თაიგული გაუგზავნა ბონდარევის. უბუტემა სიყვარულში გამოწვევად ჩასთვალა ტონიას საქციელი და ცოტაარაყოს გაყოყონდა. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მოუვიდა ღილილოების თაიგული. ახლა კი ამხანაგებშიც აპირებდა დაეკვება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ღილილოებს ტონია ჰკრეფდა ბონდარევის ნაკვეთზე, გაუმარგლავ ჯეჯილში. ამით კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი უსაყვედურებდა საქმისადმი უყურადღებობას. როდესაც ამის გამო საჯაროდ უთხრა ტონიამ ბონდარევის, უბუტეის გულში, როგორც თვითონვე მიამბო, „სირცხვილის ქარიშხალი დატრიალდა“.

მაღე ჯეჯილს მზრუნველი ხელი დაეტყო. სირცხვილის ცეცხლი გაინელა, მაგრამ სიყვარულის ცეცხლი კი მოეკიდა გულზე. ტონიასაც მოეწონა ალბათ ახოვანი ვეჟაკი, რომელმაც იცის სირცხვილიცა და სირცხვილის დაძლევაც ბეჯითი მუშაობით.

მოსავლეს აღების შემდეგ მთელმა საბჭოთა მეურნეობამ იზეიმა ყამირელების პირველი ქორწილი.

შაბათ საღამოს დიდხანს ისმოდა დოლისა და დომბრის საზეიმო ხმები. რუსულ სიმღერებს სცვლიდნენ ქართული, ყაზახური, უკრაინული სიმღერები. და მე მექორწილეთა ამ პატარა ზეიმშიც ვიგრძენი ჩვენი ქვეყნის მრავალ ერთა სისხლბორცველი ერთიანობა.

აქტიუბინსკიდან 250 კილომეტრის დაშორებით არის მეორე — ჯირენკუბის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობაშიც მრავალი ქართველი მექანიზატორი მუშაობს, ამიტომ ჯირენკუბშიც რამდენიმე დღე გავატარე.

ჯირენკუბშიც მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაა. აქ მართო ცხვარი ჰყავთ 11.500 და 5 ათასამდე მსხვილფეხა საქონელი. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობას 6 ათასი ჰექტარი სათესი ფართობი აქვს.

საბჭოთა მეურნეობაში იმ დროს მივედი, როდესაც მოსავლის აღება დამთავრებული იყო და ახლა ანეულს ხნავდნენ.

ანეულის ხვნაში განსაკუთრებით ისახელა თავი ცნობილმა ტრაქტორისტმა, ბრიგადირის თანაშემწემ ავთანდილ გამხუაშვილმა.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვა აგრეთვე ლაგოდუხელმა ტრაქტორისტმა ლეო შველიძემ. იგი „ს-80“ მარკის ტრაქტორით დღეში, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა, 20 ჰექტარ ყამირს ტეხდა.

საუკეთესო მაჩვენებლებისათვის კომკავშირის რაიკომის ქების სიგელი მიიღო წითელწყაროელმა ტრაქტორისტმა ივანე ნაუმოვმა.

დღეში ორ ნორმას ასრულებენ კაპრეთელი ტრაქტორისტები — ბენო მკედლოშვილი, ჟორა ბარნაბიშვილი და ილო კაციაშვილი. ადგილობრივი პირობების გარკვევაში მათ დიდი დახმარება გაუწია მინდორმცოდნემ ყაზახმა მუხიდ ტელიპიევმა.

საბჭოთა მეურნეობაში საერთო ყურადღება მიიპყრეს აგრეთვე საქართველოს წარგზავნილებმა — ბრიგადირმა ვასილ კონდირევმა და ალექსანდრე ფელიუკინმა.

მიმბმელებმა ივანე სასნოვსკიმ, კონსტანტინე შიაკინსკიმ და სტეფანე პალუხინმა გადაწყვიტეს დაამთავრონ ტრაქტორისტების კურსები. ტრაქტორისტ ივანე ნაუმოვს კი სურს დამატებით შოფრობაც ისწავლოს.

ასე მუშაობენ და სწავლობენ, ასე ეყვაცდებიან ყამირ მიწებთან შექიდიებული პატრიოტი ახალგაზრდები. სიძნელეებს ზოგჯერ შეცდომებიც მოსდევს, მაგრამ შეცდომებზეც სწავლობენ, იზრდებიან ჰაბტუი მექანიზატორები.

ყაზახეთის ველების აყვავებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდებს ხელთა აქვთ მძლავრი სამამულო ტექნიკა. საჭირო შემთხვევაში ყანებს თვითმფრინავითაც კი სწამლავენ.

ქართული მექანიზატორები, სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად ცდილობენ მარტო ყანებით კი არ დაყარონ ყაზახეთის ველები, არამედ მათ უნდათ აქ ბალ-ვენახებიც გააშენონ. ბიჭიკო სინჯიკაშვილმა თავისი საცხოვრებელი ბინის ახლოს ამ მიდამოებში პირველმა დათესა და მოიყვანა საზამთრო.

მახლობელ მარტუქის რაიონში, კოლმეურნეობა „სტეპში“ ჩრდილოეთ ყაზახეთისათვის მართლაც საკვირველი რამ — ათიოდე ვაზი, ანუ როგორც თვითონ ეძახიან — ვენახიც კი ვნახე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ ტესლიამ აღტაცებით მიაპბო, რომ წელს შრომადღეზე თვითებულ კოლმეურნეს მივეცი 50 გრამი ჩვენივე ვენახის ყურძენი. ვინც არ იცნობს ამ რაიონის ბუნებას, ვინც არ იცის, რომ აქაურ მკვიდრთა უმეტესობას ვაზი ჯერ თვალითაც არ უნახავს, იმისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ეს აღტაცება წარმოუდგენელია.

— მეზობელი კოლმეურნეობები უკვე გეტხოვენ ვაზის ლერწმებს. ამბობს ამხანაგი ტესლია.

ამ კოლმეურნეობას ჰყავს 3.500 ცხვირი და 2.200 ჰექტარზე სთესს მარცვლულ კულტურებს. აქაურმა კოლმეურნეებმა აქტიუბინსკის ოლქში პირველად გააშენეს აგრეთვე ვაშლის ბაღიც. მათ სამ ჰექტარზე დარგეს მიჩურინული ჯიშის ვაშლი.

ქართულ კაცს გაუკვირდება ამ ბალის ნახვა. ვაშლის ხეები მიწაზეა გართხმული, რათა გაუძლონ აქაურ ქარიშხალს. ხეხილი ზამთარში თოვლით არის დაფარული, ამიტომ კურდღელი, რომელიც აქ ძლიერ ბევრია და ხეებს ღრღნის, ვერაფერს აკლებს მას.

...გვიან შემოდგომაზე გამოვეშვიდობე ჩემს ყამირელ ამხანაგებს. მოვდიოდი და მომქონდა ძვირფასი სახსოვარი — ნაყამირალზე მოყვანილი პირველი თავთავეები. და ახლა, როდესაც ეს თავთავეები საწერ მაგიდაზე მიწყვია, ჩემს თვალწინ ცოცხლდება ყამირთან შებმისა და



გამარჯვების მარადსახსოვარი სურათები.

ვხედავ პირველი მოსავლის მიღების პირველ სიხარულს. აღარ იცოდნენ, სად შეენახათ მართლაც ბარაქიანი მოსავალი. თითქოს დღემდე ძილით მოცულმა მიწამ ერთბაშად გაიღვიძა, და რაც უხსოვარ დროიდან დააკლო ქვეყანას, ყველაფერი ერთად მიუზღო საბჭოთა აღმავლს.

ვუყურებ ამ თავთავეებს და მახსოვს, როგორ მივდიოდი თავთავეების ზღვაში ნაყამირალზე, შემდეგ კი როგორ დავტოვე აქტიუბინსკის ოლქი გავიარე იქაური აღბულახის ანუ თეთრი წყაროს რაიონი, როგორ დავემგზავრე მდინარეებს ელექსა და ურალს და როგორ გავედი დიდი რუსეთის ველეზზე.

ქალაქების — ელექცისა და ჩკალოვის ნახვის შემდეგ ქართველ მექანიზატორებთან ერთად ვიმგზავრე მოსკოვამდე. ისინი პირველი გამარჯვებებით მიდიოდნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მეგობრულ საუბარში სწრაფად გადიოდა დრო. დავტოვეთ ქალაქი კლიბიშევი სამარისა და ვოლგის შესართავზე, ჩავუქროლეთ ჩაპაევის ძეგლს მის მშობლიურ ქალაქ ჩაპაევში, გავცქეროდით ნაგებობით მოფენილ, ჩამავალი მზის სპილენძისფერ შექში გახვეულ ვოლგას, ცოტა ხანს შევიჩერდით ბელინსკის მშობლიურ სოფელში, აქამად პატარა ქალაქ ბელინსკში, შემდეგ კი პენზაზე და რიაზანზე გავლით ვეწვიეთ მშობლიურ მოსკოვს.

...ნახევარი წელი მაშორებს თქვენგან, მაგრამ ყოველთვის თვალწინ ვხედავ თქვენს გარუჯულ სახეებს. მესმის თქვენი სიტყვები: „გადეცი თქვენი

ახალგაზრდებს, არასოდეს შევარჯიშებდი ჩვენს აღმზრდელ საქართველებს წერილებით ვიგებ თქვენს გამარჯვებას და გული სიხარულით მეესება.

აი, ფოსტის დამტარებელმა კვლავ გადმომცა თქვენი ბარათი. ვიცანი შენი ხელწერა, ლაგოდებელო ვაქცაო ლოო შევიღძევ. მატყობინებ, ორმაგად შეგისრულებია საგზაფხულო სამუშაოების გეგმა. ბარაქალა შენს საქმეს, მეგობარო, ბარაქალა შენს ძარღვიან მარჯვენას!

დღეს 9 მაისია. თბილისის ქუჩებში გაზაფხული ზეიმობს. ვიცი, გენატრებათ მშობლიური ქალაქი, მაგრამ უფრო მეტად გენატრებათ სახელოვანი, ვალმოხდილი იყოთ თბილისის წინაშეც, მთელი ქვეყნის წინაშეც.

სალუტების გუგუნე ეღება მიდამოს. ვზეიმობთ გამარჯვების დღეს, ჩვენი ქვეყნის ძლიერების ამ დიად თარიღს.

მაისსა და გამარჯვებას მოგილოცავთ, ფრონტელო მამაცებო, ომის ცეცხლში მოპოვებულ გვარდიულ ნაშანს ყამირ მიწებზეც რომ არ იშორებდით.

მაისსა და გამარჯვებას მოგილოცავ, შავ-შავო ქაბუცო, ქალიშვილები მანდ მეტსახელად „გენაცვალეს“ რომ გეძახიან.

მაისსა და გამარჯვებას მოგილოცავთ, რუსო დევ-გმირებო! არასოდეს დამავიწყდება თქვენი სიტყვები: „ქრელი ლექსები არ დაგვიწერო. უზბეკური ხალათები აქაც ბევრი იშოვებო“.

მაისსა და გამარჯვებას მოგილოცავთ ყამირთან შექიღებულო ყახახო, უკრაინელო, სომეხო და ყველა, ყველა ეროვნების ვაქცაეებო!

...თქვენი გამარჯვებისა იყოს, ამხანაგებო!

თბილისი.

9 მაისი, 1955 წ.



კავკასიონის კადმებზე

(ნარკვევი).

— თვითმფრინავში არ მოგწყინდებოდა, მექორწილენი მოგყვებიან სვანეთში, — მითხრა აეროდრომის ერთმა მოსამსახურემ და იქვე, ბაღში, გრძელსკამზე ჩამომსხდარ ახალგაზრდებზე მიმითითა.

მე მათკენ გავიხედე. ყველანი კარგად ჩაცმულები და წარმოსადგენი იყვნენ. ერთი ქალ-ვაჟი ძალიან მომეწონა. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ ახლად დაქორწინებულნი.

ცოტა ხნის შემდეგ თვითმფრინავი ცას შეაფრინდა, ქალაქს გადაუარა და რიონის ხეობას გაჰყვა. ზევიდან თვალნათლივ მოჩანს ქუთაისის ახალი მშენებლობანი: ავტომობილისა და მანქანათმშენებელი ქარხნების მაღალი კორპუსები, ახალი თეატრის თეთრი კედლები, ქარხნების ცათმბეჭენილი საკვამურები და ახალი საცხოვრებელი სახლები. გუმბათქვის მშენებლობის ზემოთ თვითმფრინავი კვლავ მაღლა და მაღლა აღიოდა. მექორწილენი მზიარულ გუნებაზე იყვნენ. ერთმა მათგანმა „ლილ“ წამოიწყო, სხვებიც აჰყვნენ და ისე ძლიერად დააგუგუნეს ეს სიმღერა, რომ ძრავის ხმაური დაფარეს. მფრინავმა გაკვირვებით გამოიხედა ჩვენკენ.

სიმღერა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, რომ ჩვენ წინ აღიმართა თეთნულდის მაღალი, მარადთეთრი მწვერვალი. თვითმფრინავმა ისე ახლოს გაუარა მას, მეგონა ყინულის კლდეებს ფრთას გაჰკრავდა.

მე პარველად მივფრენ სვანეთისაკენ. გამოჩნდნენ ცისკენ შუბებივით ამართული სვანური კოშკები. ეს იყო ლენ-

ტეხი. მალე თვითმფრინავი ალპური ზონის საბალახოებს გაუსწორდა. საქონლის ჯოგები გაშლილან მდელოებზე. ეტყობათ, თვითმფრინავისა არ ეშინიათ. ჩვენსა და საბალახოს შორის ასი მეტრი მანძილი არ იქნება, საქონელი კი მშვიდად სძოვს ბალახს. გამოჩნდა ზემო სვანეთიც. სიძე მფრინავთან მიდის, რალაცას ყურში ეჩურჩულება, ეხვეწება. მე ჯერ გამაკვირვა მისმა ხელების ქნევამ (თვითმფრინავში ყურთა სმენა არ არის). მერე კი მივეუხვდი ახალ დაქორწინებულ ვაჟკაცს; ქვევით მისი სოფელია, მას უნდა თვითმფრინავმა სოფლის თავზე ერთი ორჯერ შეჰკრას წრე, მერე მივიდეს შინა და თქვას: ქალი თვითმფრინავით მოვიყვანე, ჩემი სახლის თავზე საზეიმო წრე გავაკეთებინეო. ვინ იცის, შეიძლება უფრო შორსაც იხედება. შეიძლება მას უნდა შევილიშვილებში დაიტრამბოს. ბებიათქვენი რომ მოვიყვანე, სოფლის თავზე სამჯერ შევკარი კამარა თვითმფრინავით, პირველი სვანი ვიყავი მაყრიონი ცისფერი გზით რომ მოვიყვანეო. ვერ გავიგე, შემოუარა თუ არა თვითმფრინავმა სოფელს. რატომღაც მჯერა, მფრინავი არ გააწილებდა მის ბედნიერ მგზავრებს!



ზემო სვანეთის ცენტრი — მესტია მთელი ზაფხულის განმავლობაში საესეა ტურისტებით. საბჭოთა კავშირის ყოველი მზრიდან მოდიან აქ, ათვალეირებენ კოშკებს, ეწაფებიან მკავეწყლებს, განცვიფრებულნი შეჰყურე-

ბენ ყინვარებს. ყველაზე უფრო თვალსაყვირველი სვანეთში მაინც კოშკებია. იმიტომ კი არა, რომ ისინი ასე მრავლად აუშენებიათ. ეს ბუნებრივია. სვანეთის ისტორიული ვითარება აიძულებდა აღმნიშნულს ციხე-კოშკებს შეფარებოდნენ. ზემო სვანს ყველაზე მეტად თავისუფლების წართმევის ეშინოდა, ამიტომ ის გულდაგულ აშენებდა ქვიტყირის სახლებს და მალალ კოშკებს. სვანი ცდილობდა, რომ არც სხვა კუთხის ბატონი შემოჰპარვოდა სვანეთში და არც მეზობელი გამბდარიყო მისი დოვლათის მოდავე. აქაურმა მკვიდრმა კავკასიის მწვერვალების მკაცრი ბუნება თავისუფლების შენარჩუნებისათვის მოხერხებულად გამოიყენა. როცა ახალ სახლებს ეხედავთ, გვიხარია, რომ ასე კარგად მოეწყო სვანის ცხოვრება. ორსართულიანი ქვიტყირის მალალი სახლები, ფართო აივნებითა და მალალი კიბებით, ამაყად გადმომდგარან ფერდობებზე. ძნელია გარჩევა, რომელია სკოლის შენობა და რომელი კოლმეურნე გლეხის საცხოვრებელი სახლი. თითქმის ყველა სოფელში არის სრული და არასრული საშუალო სკოლა, სამკითხველო, კლუბი. იშვიათად შეხვდებით მესტიის მცხოვრებს, რომელსაც ამ ოცი წლის მანძილზე ახალი სახლი არ აეშენებინოს. შორიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის კოშკები სქარბობს, მაგრამ, როცა სოფელში შეხვალთ, სურათი იცვლება. სართულნახევრიანი თუ ორსართულიანი თეთრად შეფეთქილი შენობების ელვარებაში ხავსმოკიდებული კოშკების ფერები მუქდება და ღარიბდება.

მესტიაში ახალი ბაღიც გაუშენებიათ. მის გარშემო ნაძვები, ფიჭვები და არყის თეთრტანიანი ხეები მწკრივად დაურგავეთ. ბაღის შუაში აუზია. კვარცხლობეზე, რომელიც ცხვირწამოწვდილ კლდეს გამოსახავს, ქვისაგან გამოკვეთილი ჯიხვის ქანდაკება უნდა დაიდგას.

მესტიიდან კავკასიონის ჰალარა მთებში ერთ ხელისგაწვდენაზე მოჩანს. ლურჯ ჰორიზონტში შეტყორცნილი კოშკების

წვერები ამდლებულიყვენ. ბანგურიანის მთის ფერდობებზე ნისლი ისე ბლავდა, თითქმის წუხელი იქ ხანძარი ჩაქროთ. მზე თანდათან ზევით იწევდა. კარგ ამინდში მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალები მზესთან ერთად უხვალძვენენ ნათელს მესტიის საცხოვრებელ სახლებსა და კოშკებს.

ამ დროს მესტიაში ჩამოსული იყვნენ მხატვრები; ისინი ხატავდნენ ახალ საკოლმეურნეო შენობებს, ძველისძველ კოშკებს და სვანეთის მომხიბვლელ ბუნებას.

საბალახოებზე უნდა აესულიყავა. მხატვრებს ვთხოვე ჩემთან ერთად წამოსულიყვენ. სიხარულით დამეთანხმნენ. მეორე დღეს, დილით, გამგზავრების წინ, მთელი სივრცე მიწიდან ცამდე ღრუბლებით აივსო. არათუ მყინვარწვერები, ახლომახლო გორაკები და გზებიც კი არ ჩანდა. ლეგა ღრუბლების უზარმაზარი ფთილები მწვერვალებს გარს შემოჰკროდნენ. ელვა ხაზვდა მთის წვერებსა და ფერდობებს. ისმოდა შორი ქუხილი. ავდრის მოლოდინში ყველაფერს იერი შესცვლოდა. ჩვენ მაინც გავუდექით გზას. მივიდოდით ჰანქანით. გამოცდილა მძლოლი გყავდა, იქაური გზა-კვალის კარგი მცოდნე. მანქანა ნელა მიჰყავდა, საქვს მარჯვედ მართავდა. სვანმა ვაყაცმა კარგად იცოდა, რომ საქის ერთი უხეირო მობრუნებით არა მარტო ჩვენი, არამედ მისი ცოლ-შვილიც ქვრივობლად დარჩებოდა.

ქვევით, უფსკრულში, კლდეებზე წყლის ჯახანი გვამცნობდა, რომ იქ ენგური მოქუხდა.

სოფელ მულახიდან უღვირის გადასასვლელისაკენ გზა სულ ზევით და ზევით მიიკლავებოდა. რამდენადაც მალა მიიწევთ, დაშორდებით სოფელს, უფრო ღამაში მოჩანს იგი. მღინარის მარჯვენა ფერდობზე პურისა და ქერის ყანები ბიბინებს, სათიბები ლელავს, შორიდან ამ დაკიდებულ მინდორ-ყანებზე ფერები უხვად ლივლიავენს.

უღვირის წვერიდან გზა კვლავ დაბ-

ეროვნული
გენერაციონალიზმი

ლა ეშვება. სოფელ იფარში ენგურის ნაპირას ქალები საკალოოდ ემზადებოდნენ, მიწისპირი მოეწმინდათ და ახლა გულდაგულ ტკეპნიდნენ.

იფარში ცა მოწმინდილი დაგვხვდა. ალბათ უღვირის ქედი ღრუბლებმა ვერ გადალახეს.

ენგურის მარცხენა ნაპირს მივყევით. სოფელ კალისაკენ მივიჩქარით.

სოფელ კალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ილია ხარძიანი მაღალი და თეთრყიროსანი ახალგაზრდაა. თვითონაც და მის მეუღლეს, ტურთა კეკელიძეს, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუშთავრებიათ. რამდენიმე წლის წინათ ამ სოფლის კოლმეურნეობა სუსტი იყო. ილია მაშინ რაიკოში მუშაობდა. ცოცხალი და საზრისიანი ვაჟაკი სოფელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მოითხოვა.

„კა“ სვანურად თხელ ფიქალ ქვას ნიშნავს. ასეთ ფიქალს სვანეთში წინათ სახლის სახურავად ხმარობდნენ. ილიამ გვითხრა რომ აქ ფიქალის მთები ყოფილა. იმასაც ამბობენ, ამ სოფელში ოდესღაც კალასაც აღნობდნენო.

სოფელი კალა ძალიან მაღალზეა გაშენებული. მის ზემოთ, ხალდეს მინდვრებიდან, ალპური საძოვრები იწყება. ამ სოფელს საკუთარი ელექტროსადგური აქვს. მდინარე ხალდეშურა აქ უერთდება ენგურს. ეს პატარა, მაგრამ მეტად ღონიერი მდინარე ამ ადგილზე ტურბინებიდან პირდაპირ ენგურში ვარდება. ელსადგურის გვერდით რადიოსადგურიცაა. ამ წყნარი და მაღალი მთების ფერდობებზე მომავლადობლად ქვრის სამქოთა საოპერო და ხალხური სიმღერები. დიდი თოვლის გამო ეს სოფელი ზამთრობით მოწყვეტილია ქვეყანას და ამიტომ რადიოსადგური ხან მეგობარით ქვეყნას ამბებს უყვება მათ და ხან ბუღბუღის მაგაერობას უწევთ.

იქვე მახლობლად ხე-ტყის სასერხი ქარხანაა. ენგურის ტალღების ბუნებას და მთის კალთებზე შეფენილ ტყეთა შრიას ხერხის გუგუნი ერთვის.

რობერტ სტურთა და შალვა ცხადიძე ხან ფანქრით, ხან ზეთით ხატავენ რაც კი მოეწონებთ.

სვანეთში თითქმის ყველა სოფელი მდინარის ახლოს მდებარეობს. მდინარეზე ქვიტიკირის ხიდები ან ბოგირებია გადებული. დილით წვრილ ოთხფეხს სამოვრად ბოგირგადაღმა მიერეკებიან პატარა გოგო-ბიჭები, ისინი ბოგირებზე დგანან, რომ საქონელი სოფელში არ დაბრუნდეს და ჭირნახული არ გააფუქოს. ოსტატურად მოთელილ პატარა სვანურ ქუდებში ისინი მეტად ლამაზები ჩანდნენ. ჩემი თანამგზავრი მხატვრები გულდასმით ხატავდნენ მათ მშვენიერ სახეებს. კალის ზემოთ მანქანა ვერ მიდის და ამიტომ ილიასთან ერთად დილით სამოვრებისაკენ ცხენებით გავემგზავრეთ. კარგად მოვლილი ცხენები ციკაბო გზებზე ფრთხილად მიიბაკუნებდნენ. ფრიალო კლდეზე ნალს ნაპერწკლები სცვიოდა. გზა უფსკრულის პირას მიიკლავებოდა, ხევის ფსკერზე მდინარეები ზემოდან თეთრი ცხენის ძვა-ფაფარავით მოჩანდნენ. უჩვეუ ადამიანს ხევი გადახედვაც შეეშინდება.

სვანებს ცხენი ძალიან უყვართ, კარგი ცხენოსნობით ამყობენ კიდეცაც, ჩვენ კი აბა რომელი მხედრები ვიყავით, მით უმეტეს, ასეთ კლდე-ღრეებში.

სოფელ ხალდეშურა, სადაც აღარავინ ცხოვრობს, რვა კილომეტრია, აქ ნიადაგი მეტად მწირი და კლდოვანი ყოფილა. კლდე, რომელზეც სოფელი იდგა, შუაზე გამსკდარა. ნიადაგი თურმე ხშირად შეავლებოდა. მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება. ხალდეშური შავი ზღვის პირას გადასახლებულან.

ახლა ნასოფლარის ბოლოზე, იქ, სადაც ნიადაგის დაკურების საშუალება არ არის, კალელმა კოლმეურნეებმა საქონლის ფერმა ააშენეს. ფერმის გამგე იროდი ხარძიანი გზაზე გამოგვეგება და ხალისით დაგვათვალიერებინა უზარმა-

ზარი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა.

— აქ გამოვანამთრებთ საქონელს, თივა ახლოსაა, მოსაზიდად ადვილია, წყალიც შესანიშნავი გვაქვს, გასაკეთებელი ცოტა-ლა დარჩა. თერამეტ დღეში ავაგეთ ამოდენა შენობა. მალე იატაკს დაეაგებთ, ონკანით სასმელ წყალს პირდაპირ ბაგასთან მივიყვანთ საქონლისათვის. — ხარძიანს ელიმებოდა, ეტყობოდა, ახარებდა კარგად მოწყობილი საქონლის ბინა.

ზემო სვანეთში ჩვენ გაგვავიკრვა მერცხლების სიმრავლემ. ჯერ კიდევ მესტიაში თვითეული სახლის აივანზე მერცხლების ათობით ბუდეა მიშენებული. ასევეა ყველა სოფელში. ხალდეში, მიუხედავად იმისა, რომ სახლები ისევ თავის ადგილზეა მერცხლის ბუდეები აღარ არის. შევნიშნეთ კი, რომ აივნის თავებზე წინათ ბუდე ბევრი ყოფილა.

ილია ხარძიანი გვიამბობს: რადგან ხალდელები შავი ზღვის პირას გადასახლდნენ, მერცხლებმაც შიატოვეს ეს სოფელი, ჩვენი მოძმეები გვწერენ: როგორც კი გაზაფხული დადგა, ჩვენი მერცხლებიც მოფრინდნენ და ჩვენს აივანზე ბუდეები გაიკეთესო.

ამ სოფლიდან ხალდეს მთამდე პატარა მანძილია, მის კალთებზე საბალახოებია. ყველაზე მეტად აქ სამყურა ბალახი სჭარბობს. თვალთ გაუზომავი ალბიურა ველები მწვანედ ბიზინებს. ახლად მოთიბული თივის ზვინება კოშკებივით დგას ფერღობებზე. საერთოდ იშვიათია ისეთი საძოვრები, როგორც სვანეთს აქვს. ბალახი წელამდე დგას. აქაური სამყურა განსაკუთრებით რძიანი და ნოყიერი.

დაღლილი, გაოფლილი ცხენებით საქონლის სადგომებამდე შუადღისას მივედით. ფერმის საქონელი საძოვარზე იყო გაშვებული. სადგომში მხოლოდ სეპარატორზე მომწვავე ქალიშვილი პუკურია მარგველანი დაგვხვდა. რძის გადასამუშავებელი ოთახი ფაქიზად და სუფთად გამოიყურებოდა. ყოველი ქვაბი თუ სხვა ქურჭელი თბილი წყლით

ირეცხება და ახალთახალივით პრილობდა. გაკრიალებული კასრები ყველგან სულგუნით არის სავსე. კარგად ქაღალდებში ლამაზად ხვევენ და ყოველ საღამოს მესტიაში მოაქვთ.

ხალდეს ყინვარი მარად გაუღნობელია იქ, სადაც საბალახოები თავდება და მწვერვალის მისადგომებია, ყინულის ზეგებერ იწყება. ყინულის სისქე ივლისის თვეშიც ხუთიდან ათ მეტრამდე აღწევს. მისი ფსკერიდან ვაღმოჩქვდეს მდინარე ხალდეშურა. ჩვენს თვალწინ იბადებოდა მდინარე... ხელები წყალში ჩავყავით. ანკარა, ჯერ კიდევ მზედანახავი და ხელშეუხები მდინარე ძალიან ცივია.

ხალდეშურას ნაპირებზე წილიდან მკავე წყლები ამოქუხს. ეტყობა ბევრი რკინაა ამ წყლებში და ამიტომ მათი ნალექები რკინის ტანგს მოგვაგონებს. იშვიათად თუ ნახავთ სადმე ამდენ წყაროს. მათი უმეტესობა ბუნებრივად გუზიანია. მკავე წყლის მარგალიტისფერი მზეფები ენაზე იკბინება. ხალდეშურა, როგორც ჩანს, თითქმის ასეთი წყლები-საგან შედგება. მკავე წყლებს შინაური ცხოველებიც ხარბად ეწაფებიან. საქონელი თვენახევრის წინათ ამოუყვანიათ აქ და სიმსუქნისაგან კანში აღარ ეტევა. ნახამორი ბლანი გასეკუნით და სპილოებივით მძიმედ ბაჯბაჯებენ. კოლმურწნეებს მთაში ბევრი ბალახი რჩება მოუთიბავი. ილია ხარძიანი წუთს. — წელს თიბვას მოვასწრებთ, მაგრამ ჩამოტანა გაგვიძნელდება, თოვლი მოგვისწრებსო; თუ მომავალ წელს რაინი მომხმარა, თივის დაწნევა აქვე მინდა მოვაწყო; ასე გადამუშავებულად თივა ორ-სამ წელიწადს სძლებს, ადვილი გადასატანიც არის.

კარგი აზრია. მე მინახავს რუსეთის ველებზე ასეთი მანქანები. სულ ორი ცხენი სჭირდება და რამდენიმე კაცი. მანქანაში გატარებული მშრალი ბალახი ატურივით იწნება. შესანახავადაც და გადასაზიდადაც ადვილია.

ამ მწვანე მინდვრებიდან იწყება ხუთი მწვერვალის კალთა. ცის გუმბათში შეტყორცნილი მათი ყინულის ჩაჩქნები

გორიზად დასცქერიან სვანეთს. შხარა, აილამა, ცურანგალი, ნამყვამი და რუსთაველის მწვერვალი ერთიმეორეს შეჯობრებიან, ცის ლურჯ სივრცეში ღრმად შექრილან და თეთრად გაქავებულან. მათ მწვერვალზე და ფერდობზე მუდმივი ყინულები დაუღვევლი ზეგები გაწოლილა. ეს ვეება ყინულები გაზაფხულზე და ზაფხულში აქა-იქ სკდება და უფსკრულში გამაყრუებელი ხრიალით ეშვება. ამ მწვერვლების თვალისმომკრელ ელვარებაში, ქვემოთ გაშლილი მწვენი საძოვრები განსაცვიფრებელი სილამაზით მოჩანს. საქონელი დაფანტულად სძოვს. მთავარი მწყემსი (18—19 წლის ჭაბუკი) უჩა მარგველანი კომბალზე დაყრდნობილი გასცქერის საქონელს. მეორე მხრიდან უმცროსი მწყემსი კაკო ფანგანი უვლის ჯოგს. ადვილი არ არის ოთხასი სული მსხვილფეხა საქონლის მოვლა! კარგად აბალახო, მერე შეადღისას მდინარეზე ჩარეკო წყლის დასალევად, წველის დროს (ხშირად სამჯერ წველიან დღეში) სადგომებზე ჩამოიყვანო და, რაც მთავარია, გაუფრთხილდე საქონლის ჯანმრთელობას...

ბალახებს შორის შხამიანი ჯიშებიც ურევია. საქონელი ძოვის დროს სცნობს ამ ბალახს და პირს არ აყარებს. ასეთი ბალახის ორი სახელწოდება მითხრეს მწყემსებმა: „მაჯავრ“ და „ჰად“. თუ ის საქონელს ჩააყვან, გაბერავს და მოკლავს.

თიბვის დროს ალბათ ეს ჯიშებიც ხვდება ცელს და შესაძლებელია ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს.

უჩას და კაკოს თავი მოსწონთ რაიონის რეკორდსმენი ძროხით — „მელანიით“ და ბულა — „ქვიშერაით“. პირველს ცური რუმბივით ჰკიდია, ბულას კი კისერზე ვაჟაკის მკლავები ვერ შემოსწვდება. როცა მათ ვუცქეროდით, მწყემსები სიამაყით გვიყურებდნენ, — დახეო, სტუმრებო, როგორი მოვლილები გეყავსო. უჩას ორი და მწველავია. ერთს ნინო ჰქვია, მეორეს გუშა. სამივე

და-ძმა კოლმეურნეობის სული და გულია.

წერილდება საქონლის მოვლა მარგველანი. ოთხასი თხა, სამოცი ცხვარი და ოთხი ათეული ღორია მის ფერმაში. ერთგულად უვლის შალვა თავის პირუტყვს.

— წელს კილოგრამზე ორი კილოგრამი წონა უნდა მოვემატო და ისე ჩაიყვანო ქვემოთ ოთხფეხაო! — მიზნად დაუსახავს მარგველანი.

ერთი მეტად გასაკვირველი რამ ვნახეთ საძოვარზე. როდესაც შხარის კალთებთან მჯავე წყალზე ავედიო, მეზობელი კოლმეურნეობის თხის ჯოგს წაეაწყდით. ისინი მჯავე წყალს დასწაფებოდნენ.

მოულოდნელად ფერდობიდან სტენა გაისმა. თხის ჯოგს ერთი მოზარდი გამოეყო და გამაოცებელი კამარებით წავიდა იქით, საიდანაც ხმა მოესმა.

ცნობილია თიკნების თამაში და ხტომა, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო. ღრანტებში და კლდის გაუვალ ნამსხვრევებში ეს საკმაოდ მოზრდილი „თიკანი“ ტანის არაჩვეულებრივ მოქნევით მიჭროდა. კისერი ოღნავ წაეგრძელებინა, სატევრებოვით რქები სწორად კეთდა ჰაერს, გავა სქელა უჩანდა, ტანი კი ჩვეულებრივ თხაზე გრძელი ჰქონდა. მისი ქათიბი ყავისა და აგურის ფერის შენაზავივით ბზინავდა, ხერხემალს კალმახივით იქნევდა. ნაპრალიდან ნაპრალებზე გადაბოდა. არ ერიდებოდა არც წყალს, არც კლდე-ღრესს. თვალი მივატანე თუ არა ამ არაჩვეულებრივ თიკანს, უნებლიეთ წამოვიძახე:

— ჯიხვი ხომ არ არის?!

ილიამ შეხედა მას და ნელა ჩაილაპარაკა. „ნამდვილად ჯიხვია!“

მე და შალვა ცხადამე სირბილით წავედით იქით, საიდანაც სტენა მოისმა. ფერდობზე ირაკლი გასვიანის პატარა ქალიშვილი იდგა. იგი იმ დღეს მამას ამოეყვანა საძოვრებზე. გოგონას ხელში მარბილი ეჭირა და ჯიხვი ფრუტუნით ულოკავდა თათებს, ჩვენს მისკლაზე ჯიხვი გვერდზე გახტა, დაგვაყვირა,

კარგად გაგვსინჯა და მერე მშვიდად განაგრძო მარიალის ლოკვა. ადამიანთა შორის ასე თავისუფლად მონაგარდე ჯიხვს სიზმარშიც ვერ მოვიფიქრებდი. შალვამ ხელი გაუწოდა. იგი ერთი კამარით რამდენიმე მეტრზე გადახტა. მას თხასავით უფერული თვალები როდი აქვს. ჯიხვს ფართო და მრგვალი შავი თვალები საოცრად უღელარებდა. ამ ელვარებაში ჩანდა ველური ბუნების სიძლიერე. ახლოს დაეკვირდი და შევამჩნიე: მკერდი უფრო ფართო ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ თხას. ბეწვი კი — სიღთადა ფაქიზი.

ჩვენი თხოვნით, გოგონამ ჯიხვს თავი დაუქირა და ყელზე მოეკვსიე. ერთმა ამხანაგმა უკანა ფეხზე წაავლო ხელი. ბედზე გადაერჩით ორიენი ფათერაკს. კიდევ კარგი, რომ თავი ახლოს მეკავა მკლავებზე. ნადირმა ერთი დაიფრტუნა და ისეთი ძალით გამკრა თავისი ბასრი რქები, რომ ორ მეტრზე გადამაგდო. ცოტა დაშორებით რომ ვყოფილიყავი, გამომთავტრავდა.

ვიკითხე და გამოიჩქევა, რომ ირაკლი გასვიანს დურაყი (ერთ წლამდე ჯიხვს დურაყს ეძახიან) გასულ წელს ნადირობის დროს მთაში დაეკირა.

— დედაჯიხვს თოფა ვესროლე, დავქერი და გამეცქა, ეს ნუკრი დამიტოვა, — გვითხრა მან. — გავზარდე. სახლობას შეეჩვია, გოგონა შეუყვარდა, არც ახლა შორდება მას, ბავშვის ხმის გაგონებაზე ქვესკნელიდან ამოძვრება.

— ილია გულდასმით ისმენდა ირაკლის ნაამბობს.

— ზომ არ გაიქცევა? — იკითხა მან.

— არ გაიქცევა, — მიუგო გასვიანმა. — ერთ ღამეს ბაკებს გარეთ დავგრიჩა, მეორე დღით გავიხედე, აი, იქ ასულიყო! — ირაკლიმ დაგვანახვა შხარის ფერდზე დაკიდებული კლდის ქიმი. ხმა მივაწვდინე, შევატყვე, ძალიან შევზარა, მაგრამ მაინც შტრდულოვით წამოვიდა ჩემსკენ. თვისებები კი მაინც ჯიხვისა აქვს. როგორც წესი, შუადღისას იგი არ ბალახობს, ძოვს მხოლოდ დილას და საღამოს. შუადღისას მკავე

წყალს სვამს და ქვებს ლოკავს. ერთი რამ დასჩემდა: ხანდახან გაუჩინარდება შხარის კალთებს აუყვება, ვლდის თხალ თხემზე გადმოდგება და ნისლეუთსავე იცქირება, მაშინ მგონია ფრტუნებს კიდევ.

— ნამდვილად გაიქცევა, — ახლა მტიციედ უთხრა ილიამ.

— არა, არ გაიქცევა, ძალზე შეგვეჩვივა, უნდა შევაჯვარო, ვნახო, რა გამოვა. — თქვა ირაკლიმ.

მართლაც საინტერესო ცდა იქნება. ხალღეშურას ნაპირს გამოვეყვით. ილია ჩაფიქრებული მოდიოდა.

— როცა ჯიხვისა და კოშკის სახელს გავიგონებ, ან მათ სურათს შევხედავ, რატომღაც სვანეთი გამახსენდება-მეთქი, — ეუთხარა ილიას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

— მართალი ხართ. — მითხრა მან. — ჯიხვი და კოშკი ძალიან უყვარს სვანს. ეს ბუნებრივიც არის, ბევრი თქმულება შეუქმნია სვანეთს კოშკებსა და ჯიხვებზე, მეც ბევრი გამიგონია ჩვენს სოფელში.

მე ვთხოვე, ერთი თქმულება მაინც ეამბა.

იქვე ქვაზე ჩამოვსხედით. ილიამ მობალახე ნახირს თვალი მოავლო, ცოტა შეფიქრიანდა და დაიწყო:

— ვინც სოფელ იფარში ყოფილა და ინგურს აღმა აპყოლია, მას უნახავს ის კოშკი, რომლის შეხედვა ახლა თვითონ სვანებსაც აკვირებთ. უხსოვარ დროს უზარმაზარი ლოდი მოხეტიაე კლდეგს და ინგურში ჩაგორებულა. ინგურის ვიწრო და ღრმა ხეობაში გახერხილა ის ლოდი. ამ ვეება კლდის ნაგლეჯს აქედებული მდინარე შეუტეებებია, მისი კალაპოტი შეუფიქროვებია და ინგური ერთ კლდეზე მიუგდია. ჩამოსხლეტილ კლდეგს ვარშემო ინგურის მღელვარე ტალღები ასეღება და ამიტომ მისი პიტალო, ფრჩხილმოუკიდებელი კიდებები მიუვალი გამხდარა. ნიქიერ და გონება-მახვილ ადამიანს ამ მიუვალი ლოდის ქიმზე ლამაშქონგურებიანი კოშკი დაუ-

შენებია. ამ კოშკის შესახებ კარგი და ლამაზი თქმულება დარჩენილა ხალხში.

აი, ეს თქმულება:

უშიშარი და გამკრიანი კაცი ყოფილა მონადირე ბექნუ პირველი. ყველაზე მაღალ საჯიხვეებს მისი მუხლი სწვდებოდა. ქარაფების ბინადარ ნადირს მისი ნასროლი ტყვია არ ასცდებოდა. სახლში გამოუღლედა ჰქონდა მარილი და ქერის ფქვილი, არჩვისა და ჯიხვის ხორცი. ხევში მობალახე მისი ხარების რქები მთას წვერებზე შემორჩენილ ნისლს არხედაო, ამბობს თქმულება. ადრე დაქვრივებულ ბექნუს ერთი ქალიშვილი ჰყოლია, სახელად მიაგულ. მისი თვალები სვანეთის კამკამა ცის ფერი ყოფილა, წამწამები — ჩამოღრუბლულ ინგურის ხევზე უფრო შავი. მიაგულის სილამაზეზე სვანი ვაჟაკები თავიანთ საკრავებზე ლექსებს მღეროდნენ.

სიმღერას დიდი ძალა აქვს და ამიტომ მთელ ხემო სვანეთში გასულიყო ქალის ქება.

ლამაზი და ბრვე ვაჟაკებია სვანეთში. მიაგულს ჯერ კიდევ გულის ტოლი ვერ მოეჩახა.

კვირიკედღეს უნახავს ოტიას მიაგულ. თეთნულდის თოვლზე თეთრი ფერის კანი ჰქონდა და ნაძვის ხესავით ამოღტილი ტანი. დევის ბექმბიანი ოტია თოფის ლულაზე დაყრდნობილი იდგა. ახალგაზრდა კაცი ანთებული თვალებით მისჩერებოდა ბექნუ პირველის ასულს. ნანადირევი მოეტანა ვაჟაკს. კება ხარ-ჯიხვი გაუტყავებლად ეგდო მის ფეხებთან. სამ-სამი წყრთა დაგრეხილი რქები ქარისაგან დაღწილი მუხის ტოტებივით ეყარა მიწაზე. მონადირეები გაოცებით ათვალიერებდნენ ნანადირეებს.

— პაუ, — გაიკვირვა მიაგულმაც ჯიხვის სიდიდე. მისი თითები ისე შეეხო ჯიხვის რქებს, რომ პატრონისათვის არც შეუხედავს. როცა წამოდგა და ზევით აიხედა, ქალიშვილს ტანში გააქრეოლა.

სიტყვა არ უთქვამს მიაგულს, თრთოლვით გამობრუნდა და ნისლეტში აზი-

ღულ ყინულოვან მთებს დაუწყაო ცეკრა. ამ ცეკრამ მონადირეს გულში ადუღებული ტყვია ჩაასხა. ეგვიპტეში დირევის ქებას უგდებდა ყურს და არც მისი სილამაზით გაოცებული სხვა ქალების ჩურჩულს.

ხანგამოშვებით ოტია გრძნობდა მიაგულის მშერას და ბავშვივით წითლდებოდა.

გათენებისას ფერხული გააბეს, მერე საეჟაკო ქეები ასწიეს. შუბლახებურებული ოტია მარგველანი ძნელად ასაღებ ვეებერთელა მრგვალ ქვებს ბურთივით ათამაშებდა.

ხალხში აღტაცების ხმები ისმოდა. როცა „ლილე“ დააგუგუნეს, ოტიას ბანი ხალდმშერას სათავემდე მიდიოდა.

გულდაკოდლი წამოვიდა მიაგულ სოფელში, ხალისი დეეკარგა, მის სახეს ღიმილი მოშორდა.

მშობელს უკვირდა აქამდე დაუღეგარი ქალიშვილის თვინიერება. ჯიხვივით ლალი მიაგულ საბელჩამბული ცხვარივით მიჰყვებოდა ახლა მამას. გუმანი აიღო ბექნუ პირველმა: მისი ქალიშვილის გული სხვა ბუღეში გადაფრენილიყო.

— რა მოგივიდა გოგო? — ყრულ ჰკითხა ქალიშვილს.

ბექნუს ეგონა მიაგულ მოკრძალების გამო მაინც დაუმალავდა მეხზე უფრო საშიშ სიტყვას. ქალიშვილმა პირდაპირ შეხედა მშობელს.

— მამას ვერ მოატყუებს მიაგულ. ოტიას თვალებმა და ვაჟაკობამ მომხიზლა! — ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.

ბექნუ პირველს თავზარი დაეცა.

იგი ნაღვლიანად მიაჩერდა მიაგულს, სიტყვა კი მაინც არ უთხრა და სატყვიარი გულში ჩაიხვია. მამა-შვილი უბრად ჩავიდა სოფელში. ძველმა მონადირემ მიაგული სახლში დატოვა. თვითონ საქმე მოიმჩუნა და ისევ უკან დაბრუნდა.

გულბოლმინანი მიდიოდა ბექნუ ხალდეაკენ. ისე იყო დარდისაგან შეკრული, რომ სატყვიარი კბილს არ უხსნიდა. იცოდა იფარელმა მონადირემ, ოტია მარგველანი ცოლშვილიანი კაცი იყო,

ცოლის მოლაღატე კაცი კი მისი საძევერ გახდებოდა. ისიც სწამდა ძველ მონადირეს: ვაქეაცის თვალი ჯიხვსა და ქალის გულს ერთნაირად სჭრიდა და ნუსხავდა.

„მოველავ, როგორ გაბედა და მიაგულ მომინუსხა ცოლშვილიანმა კაცმა?“ — ფიქრობდა გზადაგზა.

შხარას და აილაშას წვერობებზე ჯერ კიდევ სინათლე არ ჩანდა. ხავერდოვან ცაზე ისევ ვარსკვლავები კამკამებდა. ამ სიბნელეში ხეები უფრო ცივად და პირქუშად გამოიყურებოდნენ. ცაში აზიდული ყინულის მწვერვალები თეთრნაბაღწამოხურული მდედებივით იდგა. ხანდახან ცაში მოწყვეტილი ვარსკვლავი გაიფლავებდა და ბექნუს ეხვეებოდა, თითქოს იგი მწვერვალებს ეცემოდა.

სოფელ ხალდეს მისასვლელბთან ბექნუმ მინდორზე მიშვებული შიკაზმული ცხენი დაინახა. ახლოს მივიდა. ცხენიდან ჩამომხტარი ოტია მარგველანი გულ-მკერდით მიწას დამხობოდა და ოხრავდა. დამხედურმა მისვლელი ვერ შენიშნა.

სხვა საშველი არ იყო, ბექნუს გამარჯობა უნდა ეთქვა.

ძველ მონადირეს მის სიცოცხლეში პირველად გაუძნელდა გამარჯობის თქმა. რამდენჯერაც სიტყვის თქმა დააპირა, იმდენჯერ ენა დაემა. იგრძნო, თუ გამარჯობას ეტყოდა, ნათქვამს გულმოსულობაც გადაჰყვებოდა, გაცხელებული გული გაცივდებოდა, ბოლმა გაუქრებოდა.

რა უნდა ექნა ბექნუს?! მწოლარე კაცს ქურდულად თოფს ხომ ვერ დაახლიდა!?

მართალი რომ თქვას კაცმა, რა დამნაშავე იყო ოტია მარგველანი?! სიტყვაც არ უთქვამს მას მიაგულისთვის. ლამაზი ვაქეაცი იყო და ქალიშვილს მოუწონა. რა მოხდა ასეთი?! დღეობაზე მისმა ნანადირემა მთელი სვანეთი გააკვირვა, მისმა ძალ-ღონემ ქვეყანა მოხიბლა. ვითომ მიაგულ მოუწუნეს?! მიაგულ კი არა, ბექნუც გააოცა ოტიას ვაქეაციურმა სილამაზემ.

ამ ფიქრში იყო ძველი მონადირე, რომ ოტია იმ ამოიხენეშა, ხევემე მძინად გაამეორა მისი ოხვრა. ბექნუც გამოფხიზლდა, გულში ისევ შხამი ჩაუდგა. მწოლარეს ფეხი წაჰკრა.

ოტია გადმობრუნდა და მთასავით წამოდგა. იგი გაოცდა, როცა მოსული იცნო. უნებლიეთ გარემოს დაუწყო თვალღერება.

— მიაგულს ეძებსო! — მიუხვდა ბექნუ.

— შენ აქ სხვას ნუ ეძებ, მარგველანო, მართალი მითხარი, ოჯახი რად დამიქციე, ქალიშვილი რატომ მომიჯადოვე?!

ოტია, თითქოს მკერდში ხანჯალი ეტაკებინოს ვინმეს, შეინძრა.

— რა თქვი, ბექნუ ბატონო?!

— მიაგულ რატომ მომინუსხე — მეთქი!

ოტია ორი ნაბიჯი წინ წამოდგა. ბექნუს სახეზე დააკვირდა. მერე სივრცეს გახედა და წყნარად თქვა:

— შკითხავი და კუდიანი კი არა ვარ! მონუსხვით თვითონ მომინუსხა მიაგულმა. ხომ ხედავ, ეზოში მისული კაცი შინ ვერ შევსულვარ. მისმა თვლებმა საყვარელი ცოლის სახე მოსარიდებელი გამიხადა. ვერ მომიფიქრებია, საით წავიდე, ბექნუ! ჰქვიან კაცს გემძახან და რამე მიშველე, რამე მასწავლე. რა ეუთხრა ცოლ-შვილს, არ ვიცი!

ძველი მონადირე მოაღბო ოტიას გულწრფელმა ჩივილმა. სირბილე მიანიც არ დაიმჩნია და ყრუდ წაილაპარაკა:

— ჰოდა, ცოლშვილიან კაცს გასათხოვარი ქალისთვის ავად არ უნდა შეგეხედ. ხომ იცი, ვაქეაცის თვალზე ჯიხვიც იწუსებდა და თოფის სროლის მანძილზე მოღის.

— რას ამბობ, ბექნუ, მე მიაგულს ავად შეგეხდე?! მისი ავი თვალით შემეხედავს ქარაფზე ყინული გაუცურდებდა და უფსკრულში ჩაიჩხებდა. როგორ შემეძლო მისთვის ავი თვალით შემეხედა?! ბექნუმ მთის წვერებს გახედა. არ იცოდა, ძველ მონადირეს რა ეთქვა. უკვე თენდებოდა, მზე არ ჩანდა, მაგ-

რამ მისი სხივები ოქროსფერ მდინარე-სავით მოედინებოდა აღმოსავლეთის კიდიდან. ნისლი მთების კალთებზე და-ბერტყილიყო. უკვე ისმოდა შურთხების შორეული სტეენა და ჯიხვების ფრუ-ტუნი. საღდაც ყინულის ზეავეები სკლე-ბოდა და გრიალით ეშვებოდა ქვესკ-ნელში.

— იცი, რა გითხრა, მარგველანო, მიაგულ გულიდან უნდა ამოიღო. ვაჟ-კაცი ცოლ-შვილს ვერ უღალატებს. ქვე-ყნის ფუძე ოჯახია და იმას მიხედვ. თუ ის შეგვარყა, სიცოცხლეც ჩაგამწარდება, ხალხის ყბაში თავი არ ჩაიგდო!

ბექნემ ეს ნელა და მტკიცე ხმით უთხრა ოტია მარგველანს, მერე ცხენს მოახტა და ხალდეშურას ნაპირზე მი-ყოლებულ ბილას გაჰყვა.

საბალახოებზე უკვე ნახირი ბლაოდა, მწყემსები ძაღლებს უსტვენდნენ. ტყი-დან გარეული ქათმების კაკანი ისმოდა. ოტია მარგველანი გამტერებული უყუ-რებდა იფარისაკენ მიმავალ ბექნეს.

ორი წელიწადი იტანჯებოდა ოტია მარგველანი და მიაგულის სახე მაინც ვერ მოიშორა. ოჯახი გაღარიბდა, ჯიხ-ვის და არჩვის შორევი შემოაკლდა, ეზო-ში თივის ზვინები შემცირდა. განთქ-მულ მონადირეს ნადირობაც დაავიწყ-და, ძროხა-ხარის მოვლაც.

გამომტერდა ვაჟკაცი.

საღაც უნდა გაეგლო — მიაგულის ლანდი თან დასდევდა. ჯიხვს რომ თოფს დაუმოხნებდა, მისი თვლები მიაგულის თვლებივით უყურებდნენ, მკლავი უდუნდებოდა ამ დროს, ხელი უკანკა-ლებდა, თოფის სასხლეტი თითებიდან უდებოდა.

სათიბებში გავიდოდა, ცელს მოიქნე-და თუ არა, შეცბუნდებოდა, მოსათიბი ბალახი მიაგულის ნაწინავებად ეჩვენე-ბოდა. სახლში შევიდოდა და ცოლ-შვი-ლის შურა უძნელდებოდა.

ოტია მარგველანს ის კლავდა, რომ ცოლი არაფერს ეუბნებოდა. არყის ხესა-ვით თეთრი ტანი ჰქონდა ოტიას მეუღ-ლეს. სანამ მიაგულს ნახავდა, ოტია მარგველანს, ლამეც მზე ეგულებოდა

სახლში. ცოლის სიძულვილი არც ახლა შეუშვია ოტიას გულში. მთელი ღამე მოხდა, თითქოს დარინე უფრო მეუ-ყვარდა, თითქოს მისი სახე და ტანი უფ-რო მიწიბდველი გახდა. ხანდახან ეჩვე-ნებოდა, რომ მიაგულ და დარინე ერთი და იგივე ქალი იყო. ელანდებოდა კი-დეც, რომ მისი შვილების დედა მიაგულ იყო და არა დარინე. ფიქრში შესულს ნამდვილად ეგონა დღეობაზე. დარინე ნახა და არა მიაგულ, გაორებული იყო ახალგაზრდა მონადირე. დარინეს და მიაგულს ერთმანეთისგან ვეღარ არჩე-და. თვითონ გაორკაცებულს ცოლი და მიაგულ ერთ ქალად ეხატებოდა.

მოითენებოდა ფიქრით, ხალდეშუ-რას მინდერებზე გაწვებოდა, რძიან სამ-ყურა ბალახს ხელს ისე უსევამდა, თით-ქოს მიაგულის და დარინეს წარბ-წამ-წამს ეფერებოდა.

ერთი კი იმაღა ვაჟკაცმა. ორი წელი იფარისაკენ არ გვიხედა. არც დღეობაში ჩავიდა კალაში. მიაგულის მეორედ ნახ-ვას ერიდებოდა ოტია.

მიაგული კი ყოველ დღეობაზე კვი-რიკეზე ადიოდა. ამ ხნის მანძილზე ცას იმდენი ნამი არ დასცვენია, რამდენიც მიაგულს ცრემლი მოწყდა თვალებიდან. ავიდოდა საყდარზე, ოტიას ნადგომ ად-გილზე დადგებოდა, მის ხელმოწყიდ სა-ვაჟკაცო ქვებს მოეფერებოდა და ხალ-დესკენ ყურებით თვალებს ჩაიღამებდა. წავიდოდნენ ყველანი, ის კი ისევ გას-ცქეროდა ქედებს. იცოდა ქალიშვილმა, მისი გულის მკვლელი იქ იმყოფებოდა. გულმომხამული მამა ვერ მოითმენდა ბოლოს და დაიბუხუნებდა:

— აღექი, გოგო, მეც ნუ მომკალ და შენი თავიც ნუ დაიტანჯე!

ლასლასით მიდიოდა მიაგულ იფარი-საკენ.

ასე გადიოდა დრო.

ოტია მარგველანის სოფლიდან ავი ამბები ესმოდა მიაგულს, ყველაზე ცუ-დი და შხამიანი ამბავი მაინც ერთ დღეს გაიგო მონადირის ქალიშვილმა.

სანადიროდ წასული ოტია მარგველ-ნი ჯიხვს გამოჰკიდებოდა. ქარად ყი-

ნულზე დასწევია ოტია და თვალი თოფის ნიშანზე გაუმართავს. რქადაგრებილი ჯიხვი ციცაბოზე მდგარა. თავი ნისლეულისკენ მოელერა. ქვევით თვალგაუზომავი ყინულის ზეავეები ჩანდა, მის ქვევით ქვესკნელში ხალდეშურას წყაროების ბუდე-ფესვი ჩხრიალებდა.

ნისლი მთის კალთიდან კალთაზე გადადიოდა თურმე. სიჩქარე იყო საჭირო, მალე ინგურის ქაფის ფერი ნისლი დაფარავდა ჯიხვის ტანს. უცებ ისევ თვალი გაშტერებია ოტიას. თოფის ნიშნის გასწვრივ ჯიხვის დაგრებილი რქებს კანკალი დაუწყიათ. რამდენი დააკვირდა ნიშანში ამოლებულ ჯიხვს, იმდენად თვითონაც ათრთოლდა თურმე. ბოლოს, როცა ჩახმახისათვის თითი ამოუდგვია, გაოცებულა ვაჟკაცი! ჯიხვის თვალების მაგივრად მიაგულის თუ დარინეს თვალები მოლანდებია. ველარ გაუძლია მონადირეს: „აჰუ, ჩემს დღესო“, — აღმოხეტია გელიდან. თოფი ხელიდან გაუგდია, მკლავებზე გაუშლია და მიაგულდარინესკენ წასულა მოსახვევინად. უნდო და ბოროტია ყინულის უფსკრულები შხარასა და აილამას კალთებზე. ისინი ცივი არიან და სიყვარული არ იციან. დაუსაბამოში დაბადებულებს არასოდეს მზისგან გული არ გაღობობიათ, ჰოდა მარგველანს ყინულზე ფეხი დასახტომია და უფსკრულში გადაჩეხილა.

მონადირეებს მხოლოდ მისი უჟანასკნელი ძახილი გაუგონიათ, დარინეს და მიაგულს ეძახდა თურმე.

ქმრის სიყვდილი დარინეს მალე გაუგია. ფეხშიშველს ურბენია ციცაბოებამდე, ფეხისგულები დაუსისხლავს ყინულის წვეტებზე და გახელებულ ქალს იმ ადგილამდე მიუღწევია, სადაც მხოლოდ თოფი უნახავს და სხვა არაფერი.

უფსკრულში გასარკული ყინული ჩანდა, ქვევით კი ხალდეშურას ლულელული ისმოდა.

— ჰუ, ოტიავე! ეძახდა ქალი ქმარს, — რად მიმატოვე ასე უცებ ჩემო სიცოცხლევ! დარინე ვერ გაძლებს უშენოდ! ვაი ჩემს დღეს, შენს მკლავზე ღამენათვის მხოლოდ შენთან მაქვს ბინა!

ბარბაკით ძირს ჩამოსულა ყინულის ზეავს ქვევით, იქ, სადაც უხალდეშურას ქვესკნელიდან გამოდის და მზეს პირველად შეხვდავს, ახლაც დიდი ლოდი დევს. იქამდე ფორთხვით მისულა დარინე. გაუსრლოდელი თოფის ლულა შუბლზე მიუდგია, ჩახმახი გამოუხსლეთა და თეთონაც ხალდეშურას შუფეხით ამოლებულ ტალღებში ჩაეარდნია. იმ ლოდის ქვევით ახლა ორი მჩქეფარე მკავე წყალი ამოდის მიწის გულიდან. ქვევზე სისხლის კვალივით აწნია წვეთების ეანგი. ამბობენ, დარინეს ცრემლებიაო.

გულმდულარედ მოუხმენია ეს ამბავი მიაგულს, ძამა ჩაუცვამს, თუბო გაუშლია. ყოველ საღამოს იგი იფარადან გაიპარებოდა თურმე, ინგურის პირს აყვეებოდა და მის ღრიალა ტალღებს ცრემლებს აფრქვევდა.

მდინარის მარჯვენა კიდეზე ჯდებოდა, სწორედ იქ, სადაც უზარმაზარი კლდე არის ინგურის ჩაგორებული. ეგონა მიაგულს, ოტიასა და დარინეს ტანზე ნახებურება ხალდეშურას წვეთები აქ ჩამოიოდინდნენ. ეს მართლაც ასე იყო. მისი აფორიაქებული შხეფები სწორედ ამ კლდესთან მოედინება. მის კალთებზე შედგებოდა მიაგულ, თლილ თითებს მდინარეში ჩაჰყოფდა და ისე ეალერსებოდა მის ტალღებს, თითქოს ოტიას მკერდს ეფერებოდა.

მიაგულმა ახლა მთელი თავისი ბუნებით შეიყვარა დარინე, ის დარინე, რომელიც მასზე უწინ შეიყვარა ოტია მარგველანსმა. დიდხანს იდგა ინგურის პირას მიაგულ. ჯავრში ჩაეარდა ბექნუ პირველი. მიხვდა ძველი მონადირე, მისი ქალიშვილი მოურჩენელი სენით იყო შეპყრობილი.

— თავი ნუ მოიკალ, გოგო! — შეელაპარაკა ერთხელ მიაგულს მამა. ოტია სატირელი არ არის, ფეჭგაურკვეველი კაცი იყო, ცოლ-შვილის მოღალატე. პატროსანი ვაჟკაცის გულში ერთი ქალის სიყვარულის გარდა, სხვისმა თვალმა არ უნდა ჩაიხედოს, ის კა...

მიაგულმა სიტყვა არ დააცალა მამას.

— მე მას კი არ ვგლოვ, მამა, მე ჩემსავით ბედკრულ დარინეს დავტყობი.

— როგორ თუ დარინეს? — გაოცდა მონადირე.

— დიად, დარინეს ვგლოვ, ოტია მარგველანის ცოლს.

— შერე შენ ხომ ოტია გიყვარდა?

— კი, მამაჩემო, ოტია მიყვარდა. მასაც ხომ ოტია უყვარდა. მე და დარინე ერთმა გრძნობამ შეგვავერთა, ერთფერი აღმოვჩნდით, ერთი კაცის სიყვარულმა დაგვლუბა. მისი გულიც მხოლოდ ერთი სიყვარულის დამტყევი იყო, მეორე მის შიგნით არ ეტეოდა.

— შენ საიდან იცი, ქალო, დარინე ხომ არც კი გინახავს?!

მიაგულს თვალეზზე ცრემლი მოადგა.

— არა, არ მინახავს, ნეტავი ერთხელ მაინც შევხედა. ამბობენ, ძალიან ლამაზი იყო. ისე კი ვიცნობ, მისმა გულმა გამაცნო, მისმა ფიქრმა და ტანჯვამ უხილავად დამახლოვა, მისმა გუნების სიმთელემ იგი ლეიძლ დად გამიხადა. რა ვუყოთ, რომ მასაც უყვარდა ის კაცი, რომლის შეხედვამ მე დამლუბა. მით უკეთესი! ჩვენ ორივენი ერთი ფიქრისა და ერთი გულისა აღმოვჩნდით, ოტიას კი ამქვეყნად არც ფეხის დასადგმელი ადგილი ჰქონდა და არც წმინდა ცა ეხურა თავზე. ორი სატრფო ერთ გულში არ დაეტევა, არ მოათავსდება. დაილუბა კაცი და ჩვენც დავვლუბა!

გარინდებული უსმენდა მამა მიაგულის გულისწუხილს.

— შენ რადა ხარ, შვილო, დაღუბული, შენ შენი ბედი წინ გიდევა.

— არა, მამა, ჩემი ბედი ოტიასთან ერთად ხალდეშურას ტალღებში დაილუბა.

— მეც დაგილუბივარ, შვილო, და ეს არის! ნუთუ შენი მამა არ გებრალუბა?!

მიაგულს ცრემლებმა ღვარვივით გადმოხეთქა, იგი მამას მკერდზე მიეკრა.

— მებრალუბი, მამა, მებრალუბი, ვიცი, რომ ჩემს გარდა არავინ გყავს, მართო მე ვარ შენი იმედი. იმიტომ უნდა ვიცოცხლო, უნდა შენთან დავრჩე. — ქალიშვილმა ცოტა უკან დაიხია, ბექნუს

თვალეზში ჩახედა და ჩერჩულთ გაანაგრძო:

— მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს, მამაე, იცოდე უარი არ მითხრა.

— თქვი, შვილო, თუკი შევიძელ...

— შესძლებ, მამა... თუ მე გიყვარვარ ამ კლდეზე, აი, ამ ენგურში ჩამოგორებულ ლოდზე, კოშკი უნდა ამიშენო. მეც მოგეხმარები; ქვევებს მოვხიდავ, კირს მოვხელ, ქვიშას მოვავროვებ. ხომ ხედავ ამ კლდის კალთას, ყოველ წუთს მათი ნაბანი წყლით ირეცხება. მეც ყოველ დღით ამ შეხედვით დავიბან ხელპირს. ხალდეშურას წვეთები შეგვავერთებს ორ დაღუბულს და ერთს დატანჯულ ადამიანს. ასე სჯობს მამა, ასე კარგი იქნება.

ბექნუ გაშტერებული უყურებდა ინგურის აჭაფებულ ტალღებს. ისინი აბობოჭრებული ასკდებოდნენ კლდეს და ისევ უკან იჩქაროდნენ.

— კარგი, შვილო, იყოს შენი ნება! — ოხერით თქვა ბექნუ პირველმა. მონადირემ მიაგულს მკლავზე ხელი მოჰკიდა. — მხოლოდ იცოდე, ჩემო სიცოცხლე: — ნელა განაგრძო მან — ცრემლს მოერიდე, ხომ იცი, ცრემლი ადამიანის გულს ქამს.

ერთხელ კიდევ ჩამოთოვა ხევებში და ამწვანდა გორაკების კალთები, როცა ბექნუ პირველმა მაღალქონგურებიანი კოშკი ააშენა. კლდეკალთაზე შემდგარს მის ფუძეს ბალავერი არ დასპირებია, ჩრდილოეთიდან სახლიც მოადგა ბექნუმ, ალბათ თვითონაც უნდოდა ქალიშვილის ახლო ყოფილიყო.

მშვენიერი დილა-საღამო იცის ენგურის ხევმა. დღით ნაზი და თხელი ნისლი დაეყრება შფოთიან მდინარეს. კლდეებზე და ერთმანეთზე შეხრილი ტალღები ცას შეხედებს ლალად სევრიანს. მის ცივ ცივმაე ჩქერებში ტანებბროწეულდაყრილი თევზები ნავარდობენ. ამწვანებული მთები დილას და საღამოს მზის სხივებით ივსება. ჩრდილოეთით ცივი და მკაცრი ყინულიანი მწვერვალები დგას. გორაკებზე არყის ხეები, წი-



ფელები და ფიქვ-ნაქვები ცაში შეტყორცნილან.

ყოველ დილით და საღამოთი ჩამოდინოდა კოშკის კალთებთან მიაგულ. თავის თეთრ შხვართ თითებს ენგურის ტალღებში ჩაპყოფდა და ფიქრს ეძლეოდა. მდინარის სიღრმეში ხანდახან კალმახები გაიფლავებდნენ. თვალი უშტერდებოდა მაშინ მიაგულს. ენგურის აქონრილ ტალღებზე ჯერ თითქოს ჩრდილივით გაჩნდებოდა რაღაც, მერე ეს ჩრდილი შედგდებოდა და ოტიად იქცეოდა. ერთი შეტრიალდებოდა წყლის ზედაპირზე ოტიას აჩრდილი და მერე მისკენ ხელგაშვერილი წამოვიდოდა. მიაგულ წუხდა, მაგრამ მკლავს არ მიაშველებდა, ვაჟკაცს ნაპირზე არ ამოაყვანდა, გვერდით არ მოისვამდა.

— ცოდვიანი კაცი ხარ, ორი ქალის სახე ჩაიდე გულში და ორივე დაგვლუპეო, — ჩურჩულებდა მიაგულ მაშინ.

დარანე თუ მოეღანდებოდა, ხელს გაუწვდიდა, თავისკენ მოიზიდავდა. მაშინ კოშკის ქონგურზე მიყურადებულ ბექნუს ესმოდა, თუ როგორ ესაუბრებოდა უხილავ დარინეს მისი ქალიშვილი.



საღამოს სადგომისაკენ წამოვედით, მწველავებს ქვაბები დაერეცხათ, მწყემსები ძროხებს მორეკავდნენ. გამოცდილი მწველავი სონია მარგველანი ძროხებს ცურებს ბანდა და წველას იწყებდა. სქელი, მსუქანი რძე ჩხრიალით ჩა-

დიოდა ქვაბქოთნებში. ხბორებს ტყუილა ქალიშვილები — პაქუ ნარშიანი, ფეფოკო და ნინა მარგველანები უვლიან. რა ფერის ხბორები არ ჰყავთ აქ. წაბლისფერი და შებლეთთრა, ქრელი და ურწყვი წითელი. მომვლევები ხელოვნური საწოვრებიდან ასმევენ რძეს და, როცა ისინი დაკმაყოფილებიან, გალღებული დაკუნტრეშობენ ბალახზე.

მწველავები რძეს აღმრიცხველ ხუტა გულბანს აბარებენ. ყოველდღიურად იზრდება თვითეული ძროხის წველადობა. გულბანი აგატატორიკ არის. იგი გაზეთების ხმამაღალ კითხვას აწყობს, ქვეყნის ახალ ამბებს უყვება მწყემსებს და სხვადასხვა წიგნსაც უკითხავს.

საღამოს ყველისა და სულგუნის დამზადებას დავესწარი. დიდი სიფაქიხით და გულისყურით აკეთებენ კალელი ქალიშვილები ამ საქმეს. ჭურჭელი თეთრად ქათათებს და კრიალებს, სადგომში ყველის და კარაქის სასიამოვნო სუნი ტრიალებს.

ღამე ჩამოდა, შხარას გაყინული მწვერვალი ვარსკვლავეთში აზიდულიყო. აი, ცას ვარსკვლავი მოსწყდა, თითქოს შხარას წვერს დაეცა. ყინულის მსხერევის ხმაც მოგვესმა. ეს აღბათ მომსკდარი ზვავი ჩაეშვა უფსკრულში.

ქალიშვილებმა სიმღერა წამოიწყეს. ეს სიმღერა ნაზად ეფინებოდა მთის კალთებს, მიჰყვებოდა ხალღემურას ხეცს და სადღაც შორს იკარგებოდა.

დილით სამოვრები დავტოვეთ და მესტიასი დავბრუნდით.



ნოლანის ტრამალებში

(ნარკვევი)

ნოლანის ტრამალებისაგან გავემგზავრეთ. დიდი გზა გვექონდა გასაელელო. უნდა ჩავსულიყავით ბაქოში, იქიდან მახაჩკალაში, გროზნოში, გაგვევლო ყიზილარი და შემდეგ ნოლანის ზამთრის საძოვრები. მანძილი თბილისიდან ნოლაეთამდე, ბაქოზე მოვლით, ათას სამასზე მეტ კილომეტრს შეადგენს.

გადავწყვიტეთ, დღედაღამე გვევლო; გვინდოდა, რაც შეიძლება მალე ჩავსულიყავით ქართველ მეცხვარეებთან, რომლებიც ზამთარს ატარებენ კასპიისპირეთში — შორეულ ნოლანის ტრამალებზე, მით უმეტეს, იქიდან გვატყობინებდნენ, დოლი უკვე დაიწყო.

ჯვრის უღელტეხილით თბილისიდან ნოლანის ველზე მისვლას ავტომანქანით ერთი დღე უნდა, მაგრამ თებერლის ბოლო რიცხვებში ჩამოთოვა, უღელტეხილი ზვავებმა ჩაკეტეს და ამიტომ ბაქოზე შემოვლით მოგვიხდა წასვლა.

დედაქალაქში მზიანი დღე იდგა, გზაში კი თოვლმა მოგვისწრო. ასფალტი თანდათანობით თეთრად გადაიპენტა. თოვდა განუწყვეტლივ.

მდინარე ხრამზე გადაკვერით საქართველოს სახლვარი, დაიწყო მოძმე აზერბაიჯანი. დაღამებისას შევედით კიროვებადში — აზერბაიჯანის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში. მიუხედავად თოვლისა, ქუჩები ხალხით არის სავსე. შუაგულ ქალაქში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნეონის შუქით განათებულმა ფოტოსტენდმა. აქ ვნახეთ მასალები, რომლებიც კიროვებადელ, ლენინკანელ და ქუთაისელ ფეიქართა სოციალისტურ შეჯიბრებას ასახავენ.

რამდენიმე საათში თოვლმა შესცვალა

სახლების, ბალკონებისა და ტელეგრაფის ბოძების მოხაზულობა. თოვლის თეთრი ფანტელები ფარფარით ცვიფოდა მანქანის წინა ფანჯარაზე. განუწყვეტლივ მუშაობს მინის საწმენდი.

გარშემო სიბნელე იყო. მხოლოდ ჩვენი მანქანის ფარები ჭრიდნენ უკუნეთს.

გავიარეთ მდინარე ველახი. მარცხნივ რჩება აზერბაიჯანელი ხალხის სიამაყე — მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური. გარშემო არაფერი ჩანს, მაგრამ გუმანით ვხვდებით, გზის სამხრეთით შირვანის გაშლილი ტრამალები უნდა იყოს.

გეოქჩაის გავცდით თუ არა, დაიწყო შეღმართი, ხვეულად მიემართება გზა მთების კალთებზე. გზის ნაპირას დგანან საბარგო ავტომანქანები. დიდი თოვლის გამო შეწყვეტილა ტრანსპორტის მოძრაობა. ჩვენი მანქანა კი სძლევს აღმართსაც, თოვლსაც.

გზა სულ მალლა და მალლა მიემართება, აქ ყოფილა უღელტეხილი, რომლის შესახებ ამდენხანს არაფერი ვიცოდით.

მძლოლი, გიორგი ბარათაშვილი, მოლაპარაკე კაცია, მაგრამ ახლა კი გაჩუმიებულია, ყურადღებით აკვირდება გზას. ოდნავი არასინუსტე და მანქანა თხრილში აღმოჩნდება!

ჩავთვლიმა, მაგრამ რამდენიმე წუთში ჩამოვარდნილმა სინემემ გამოგვადვილა, თურმე უღელტეხილი გავვივლია და მძლოლს მანქანა გაუჩერებია, თავი საქეზე დაუდევს და „ორი წუთით“ ხვრინვა ამოუშვია.

განვარძობთ გზას. თენდება. დილის რიყრაქში კარგად ჩანს ადგილ-ადგილ

შემადლებული დაბლობები. გვაცილებენ ელექტროგადამცემი ხაზები.

შორს, დილის სილურჯეში გამოჩნდა ნავთის პირველი კოშკები. გაგვახსენდა მაქსიმ გორკი. — ნავთის საარწაოები ჩემს სსოენაში ჩარჩა, როგორც პირქუში ჯოჯოხეთის გენაალურად გაკეთებული სურათით, — წერდა იგი.

სამწიფელ პირობებში შრომობდნენ რევოლუციამდე ბაქოელი მენავთობენი. დამცირება, შიმშილი და სიტუტლე იყო მათი ხედარი, სანაგვე ყუთებს ჰგავდა მუშათა საცხოვრებლები. დიდი რუსი მწერალი გორკი გულისტკივლით აღნიშნავდა, რომ მას არხად არ უნახავს იმდენი სიბინძურე და გადანაყარი ადამიანთა საცხოვრებლის გარშემო, რამდენიც ბაქოს საარწაოებზე.

ახლა კი სიხარულით ვუცქერით ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, მოასფალტებულ გზებს, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ ნავთის საარწაოებს, ვუცქერით ადამიანებს და გვიხარია, რომ ასე სწრაფად იცვალა სახე მოძმე აზერბაიჯანმა.

ვუახლოვდებით ბაქოს, საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სამარეწველო ქალაქს, რომლის ქუჩებსა და მოედნებს, მუშათა საცხოვრებელ სახლებსა და კულტურულ დაწესებულებებს აღტაცებაში მოჰყავს მნახელი.

მჭლავრად ძვერს ნავთის ქალაქის გული, ბაქოს მახლობლად თოვლი შეწყდა, დაფლეთილი ღრუბლებიდან ზამთრის მზემ გამოანათა.

ბაქო დავტოვეთ მარჯვნივ თვრამეტ კილომეტრზე. ჩვენს წინ კვლავ სწორი, ფართო გზა იყო. ყრულ გუბუნებდა მანქანის ძრავი.

სულ ახლო ჩავუჭროლეთ სუმგაითის ქარხნის კორპუსებს, რომლის მუშაკებს მეგობრული გრძნობა აკავშირებთ ქართველ მეტალურგებთან. კარგა ხანია, რაც ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავთ გამოწვეული.

რამდენიმე წუთით შევისვენეთ. ჩვენს გარშემო საინტერესო პანორამა გადაშლილიყო. კასპიის ზღვის მღვრიე ტალ-

ღებში მიმავალი გემები, კავკასიონის ქედის უკანასკნელი ფერდერები, ზღვისპირეთის გაუთავებელი ვაკეები ბუნების მშვენიერ ანსამბლს ქმნიდა.

შემდეგ ისევ თოვლი და თოვლი. დაპბერა ჩრდილო-დასავლეთის სუსხინმა ქარმატ. ჩვენი თანამგზავრი, პარტიის დეშეთის რაიკომის მდივანი ალექსი ბექაური ახლა უკვე სერიოზულად შიშობს: — ვაითუ ასეთი ამინდი დიდხანს გაგრძელდეს და ნოღაეთში ცხვარი ახარალოსო.

ღამით რომელიღაც გზაჯვარედინზე გავჩერდით: საჭირო იყო მიმართულების გაგება. გარშემო ადამიანის საცხოვრებლის ნიშანიც კი არ ჩანდა. მხოლოდ ქვემოთ, ზღვისაკენ, ღამის სიბნელეში ოღნავ კიაფობდა რკინიგზის სადგურის პროექტორები.

მძლოლმა მდგომარეობიდან გამოგვიყვანა, მახლობელ გორაკზე ავიდა და, როცა ხევე გაღმა განათებული ჯანჯარა დაინახა, სწრაფად დაეშვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მძლოლთან ერთად მოვიდნენ ერთი შეახნის აზერბაიჯანელი თავის ქალიშვილთან ერთად, რომლებსაც ხელში ჩაიდანის, კიქები და შაქარი ეჭირათ.

მოგვესალმნენ.

— საით მიდიხართ, იოლდაშეზო?

— მახაჩკალაში.

— ეახ, შუალამისას რა დროს მგზავრობაა, — გააკვირვა მან, — გადმოდით, გვესტუმრეთ, დილით გაუღვეით გზას.

უარი ვუთხარით. მამედმა (ასე ეძახდნენ მას) კიქები ცხელი ჩაით აგვივსო და შაქრის ნატეხები დაგვირიგა.

— მცირეზე ბოღიში. ღვინო ჩვენში არ მოდის, მიირთვით ისევე თქვენებური, ქართული ჩაი...

ძალიან გვესიამოვნა უცნობი კაცის გულთბილი შეხედრა. მადლობა გადავუხადეთ და ვუთხოვეთ საქართველოში გვსტუმრებოდა.

— გურჯისტანში ორჯერ ვყოფილვარ, ღვინო დამიღვეია, იქაური პურმარული მიმიღია, კარგი ხალხი, იახში ხალხია ქართველები, — გვითხრა მამედმა.

მალე დაღისტანში ვიყავით. გზები აქ ისეთი არ არის, როგორც აზერბაიჯანში; რაც მთავარია, არ არის პირდაპირი ტრასა რესპუბლიკის დედაქალაქამდე. გზა ხან მთებში მიდის და ხან ზღვისაყენ. გაუქირდა მძღოლს ყოველ გზაჯვარედინზე მიმართულების ძებნა. ჩვენ კვლავ გვაკვირებდა ამ მხნე, ტანადი ვაჟაკის ფიზიკური გამძლეობა და სულიერი მხნეობა.

როგორც იქნა, დერბენტს მივალწვიეთ, რკინიგზას რესტორანში ვივახშმეთ და დამე სასტუმროში გავატარეთ.

დილით თოვლი შეწყდა. ერთ ადგილას მოკლე გზა გვასწავლეს, უნდა გავვევლო მდინარე ულუჩაის ხევეზე, სადაც ახლა ელექტროსადგურს აშენებენ. მდინარის კალაპოტი ბულდოზერებით, სერეპერებითა და ტრაქტორებით იყო დახრამული. ბუნქნარში მოხუც ლეკს შევხვდით. სამწუხაროდ, მან რუსული არ იცოდა. ამიტომ ხელეებით გავაგებინეთ, რაც გვინდოდა.

მოხუცი მიხვდა, რომ გზას ვეძებდით. დასავლეთისაკენ შემოტრიალდა და ხელი იჭითენ გაიშვირა, სადაც რამდენიმე ხე იდგა.

მახჩკალა თოვლ-ქყაპით შეგვხვდა. ქალაქის მახლობლად კასპიის ზღვა ისე მოაგორებდა ვეებერთელა ტალღებს, თათქონ იჭაურობის წალეკვას ლამობდა. სასტუმრო „დაღესტანის“ ლამაზი შენობის წინ, მოედანზე შევჩერდით.

ბევრი რამ შეცვლილა ქალაქში სამამულო ომის შემდეგ. ქალაქი გაფართოებულია და გალამაზებულია. ოთხი თვის წინათ მოგვიხდა აქ ყოფნა, ეს იყო მაშინ, როცა დღეშეთის რაიონის მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაღისტნელი მეცხოველეები გამოიწვიეს. ოთხი თვე დიდი დრო არ არის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში კი მახჩკალაში რამდენიმე ახალი შენობა აუგიათ.

მახჩკალა „მთების ქვეყანის“ დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. აქ არის უმადლეის და საშუალო სასწავლებელი, სამი თეატრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილი-

ალი, სამეცნიერო-საკვლევითი ინსტიტუტები, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი.

ქალაქში არის ყუმუხური თეატრი. რომელმაც მაყურებელს უჩვენა ქართველი დრამატურგების პიესები „ჩაბრელი ქვები“ და „პრიკინა“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაღისტანი ჩვენი დიდი სამშობლოს ერთერთი მოწინავე რესპუბლიკა გახდა. საკმარისია ითქვას, რომ მძიმე მრეწველობის საწარმოთა პროდუქცია 1931 წელთან შედარებით გაიზარდა სამოცჯერ და კიდევ მეტად, ლითონდამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია გადიდდა ოთხასჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — თითქმის ასჯერ.

იზერბაში რომ გამოვიარეთ, გავაკვირვა ზღვაში აგებულმა კოსმებმა. თურმე იქ ნავთობის სარეწი ყოფილა. დაღისტანში პირველად გამოუყენებიათ ზღვის ფსკერიდან ნავთის ამოღების ესტაკადური წესი.

ყველგან, ზღვის სანაპიროს გაყოლებით, ვხედავდით თევზის ქარხნებს, თევზის სარეწაობებს და მეთევზეთა კოლმეურნეობებს.

ვტოვებთ მახჩკალას. გადავქვრივთ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დაბლობები, ვუხვევთ მარცხნივ; მოაირდაიბრე მხარეს რჩება გუნებისაკენ მიმავალი გზა, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუსმა ჯარისკაცებმა გაიყვანეს. ამ გზაზე მდებარეობს ქალაქი ბუინაკსკი (ყოფილი თემირხან შურა). სადაც დიდმა სტალინმა 1920 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის დავალებით გამოაქვეყნა დეკლარაცია დაღისტანის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

ოთხი თვის წინათ ამ გზით ავედით. გუნბში. ტბილ მოგონებად დაგვრჩა დაღისტნელთა მაშინდელი მასპინძლობა და ახლა გონებში ზელახისა წარმოისახა გუნბელი მეგობრების სახეები. სიყვარულით ვიგონებთ ისლამ ისლამოვს, ომარ პაქალოვს, გაჯი მუსაევს, მოხამედ დიბოროვს, მუსლიმ მურილოვს და

სხვებს, საკოლმეტურნო მეცხოველეობის მოწინავე ადამიანებს.

შუალამე იქნებოდა, ქალაქ ხასავეურტს რომ გავცდით. ნოლაეთამდე გერკიდევ საკმაო მანძილი იყო.

გავიარეთ ყოზლარი. ეს ქალაქი ქართველებსა და სომხების მიერ არის დაარსებული. იგი ეკუთვნოდათ ბაგრატიონებს. აქ დაბადებულა დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, რომლის სახელი ყიზლარელებს ერთ-ერთი საუკეთესო ქუჩისათვის მიუკუთვნებიათ.

ყიზლარს ჩამოუღის თერგი, მაგრამ იგი როდი ჰგავს დარჩალის იმ მშფოთვარე მდინარეს, რომლის შესახებ პოეტი ამბობდა:

თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებია...

სადაა მისი სიზვიადე, მისი სისწრაფე, ზათქა და ხმაური! თითქოს ძილი მორევიაო, ისე მღორედ და ზანტად მიიბღანტება ამ ვაკეებში.

ყიზლარის მიდამოები განთქმულია საუკეთესო ვაზით. გაგვახსენდა აქაური მევენახეები, სოციალისტური შრომის გმირები ანდრია ბაკატოვი, არტემ კორუბეკოვი, კარაკოშ მირზიანი და რუბენ მეგეროვი, რომლებიც შარშან მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გავიცანით.

სპიდომეტრმა ათასობანი კოლომეტრი უჩვენა. იწყებოდა ნოლდის ნახევრად უდაბნო ტრამალბუ. ამრიგად, ჩვენ გავიარეთ აზერბაიჯანისა და დაღესტნის ტერიტორია და ახლა რუსეთის სფს რესპუბლიკის მიწაზე გვედგა ფეხი.



შებეღეთ რუკას.

კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით თქვენ ნახავთ მწვანე ფერით შეღებილ ადგილებს. სწორედ იქ არის ნოლდის უსასრულო ველები. კასპიისპირეთის ეს ნაწილი უერთდება შავ მიწებსა და სარპის დაბლობებს, რომელთა ფართობი შეადგენს უზარმაზარ ტერიტო-

რიას — დაახლოებით რეანხეყარ მილიონ ჰექტარს, აქედან შავ მიწებსსა და ნოლდის ველს უკავიათ ექვსნახევარი მილიონი ჰექტარი. თითქმის იმდენი ტერიტორია, რაც პოლანდიასა და ბელგიას ერთად.

გაივლით ტრამალბუში ათეულ კოლომეტრს და დასახლებულ ადგილს ვერ ნახავთ, მხოლოდ ველის არწივება, მინდვრის თრიები და გაზაფხულობით სხვა რომელიმე გარეული ფრინველი თუ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას.

კასპიისპირეთის დაბლობებს, მართალია, შავ მიწებს ემაზიან, მაგრამ ნიადაგი აქ მართლა შავი როდია. ზამთრობით აქ იშვიათად მოდის თოვლი და ტრამალბებს შავი ფერი ადევთ. ზაფხულობით სიციხისაგან ბალახი ისე გადაიწვება, რომ, გვეკნებათ, ხანძარმა გადაიარაო. აი რატომ ემაზიან ამ ადგილებს შავ მიწებს.

წლის განმავლობაში ნოლდის ველი რამდენჯერმე იცვლის სამოსელს. ყველაზე ლამაზია იგი გაზაფხულზე, როცა ამოდის ბალახი და ნაირნაირი ყვავილი, როცა ადამიანის თვალს ატკბობს ცის გამჟვირვალე სილურჯე და ტრამალბების გაუთავებელი სიმწვანე. ასეთ დროს წვიმების შემდეგ დარჩენილ გუბურებში და არტუზიულ ქებთან უამრავი ფრინველი იყრის თავს, გარეული იხვებისა და ბატების ძრიამული აცოცხლებს მიდამოს.

დგება ზაფხული. ხმება ბალახი. იგრძნობა შუა აზიის უდაბნოთა მხურვალე სუნთქვა, გავარჯარებულ ჰაერში წარმოიშობა ქარაშოტი, რომელსაც ყარაყუმიდან მოაქვს მიკროსკოპული მტვერი. იგი თანდათანობით წინ მიიწევს და უნაყოფოს ხდის უზარმაზარ ტერიტორიას. არის შემთხვევები, როცა ცხელი ქარი შეიჭრება დონისა და ყუბანის მინდვრებში. ის უფრო შორსაც მიდის — სამხრეთ უკრაინის ველებს, მოლდავეთსა და კარპატებსაც კი სწვევია.

გავარჯარებული ზორშაკი ადამიანის საშინელი მტერია. იგი სპობს მცენარეულობას, სწვეავს ბალახს, ამრობს გუბუ-

რებს. ვინ მოსთვლის, რევოლუციამდე რამდენი სოფელი წაშლილა პირისაგან მიწისა, რამდენი ადამიანი დაღუპულა შიმშილით გვალვებისაგან?!

ერთი ასეთი გვალვის შემზარავი სურათი აღწერა ლევ ტოლსტოიმ, რომელიც 1873 წლის გვალვიან ზაფხულს ჩაკვიდა ეოლგის გადაღმა მდებარე სოფელ გავრილოვკაში. გენიალურ მწერალს სურდა, რითიმე დახმარებოდა დამშუულ გლეხებს. იგი წერდა:

„ქოხებში გაძვალტყავებული დედაკაცებია გამხდარი და ავადმყოფი ბავშვებით. არიან მოხეტეებიც. ათიდან ცხრა ოჯახს პური არა აქვს... ძაღლები, კატები, ხბორები, ქათმები გაძვალტყავებული და მშვიერებია, მათხოვრები განუწყვეტლავ მოდიან ფანჯრებთან...“

ამაოდ ცდილობდნენ ადამიანები გვალვასთან ბრძოლას, სტავროპოლშიონაში თეთრწყერა მწყემსები ახლაც გვიამბობენ მამაცი კაზაკის ბურმაკის ვაჟკაცურ ამბავს.

ბურმაკი ვერ შერიგებოდა იმას, რომ გვალვის გამო ამო იყო ადამიანთა შრომა, რომ მთელი სტანიცა წყურვილისაგან იტანჯებოდა. მან გადაწყვიტა გაეყვანა არხი, რომლითაც ტრამალებში წყალი უნდა მოსულყო. კაზაკები მის მოწოდებაზე გავიდნენ არხის სათხრელად. ჰერში აუტანელი ბული იდგა. ხალხი მუშაობდა გათენებიდან დაღამებამდე, ტრამალებს კი ბოლო არ უჩანდა. თანდათან აკლდებოდა ბურმაკს ხალხი, სუსტნი იღუპებოდნენ. რა უნდა გაეკეთებინა ერთ მუქა ხალხს უბრალო ბარბოთ ნახევრადუღამისში, ასეული კილომეტრის მანძილზე?! მაგრამ არაადამიანური გაჭირვების მიუხედავად, ბურმაკს ჯიუტად გაჰყავდა არხი სულ წინ და წინ.

მეზობლები ლანძღავდნენ, სულელს ეძახდნენ, მაგრამ ბურმაკი მართლა სულელი კი არ იყო! მამაცი კაზაკი ოცნებობდა პარადი მაგალითით აემხედრებინა ხალხი სტიქიის წინააღმდეგ.

დაღვა გვიანი შემოდგომა და ერთ საღამოს ბურმაკი სახლში არ დაბრუნებულა.

იგი იპოვეს მკვდარი, ბართ. მელში, დაუშთავრებელი არხის ნაპირის მხარეს კაზაკს სიკვდილის წინ თავი მიჰყოფს დაედო, საიდანაც ჩვეულებრივად ქარიშხალი სისინებდა ხოლმე...

რევოლუციამდელ რუსეთში არაფერი გაკეთებულა გვალვის საწინააღმდეგოდ, უდაბნოს შემოტევის აღსაკვეთად. მხოლოდ სოციალიზმის ეპოქაში ვახდა შესაძლებელი ბუნების გარდაქმნის დიდი გეგმის განხორციელება.

ადამიანს გვალვის საწინააღმდეგოდ ორი ძირითადი საშუალება აქვს — ტყეები და წყალი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იყო შესაძლებელი ისეთი უზარმაზარი ქარსაცავი ზოლების გაშენება, როგორიც ეოლგის, დონის და ურალის ზოლებია.

მაგრამ გვალვის საწინააღმდეგოდ მართო ქარსაცავები არ კმარა. საჭიროა წყალი.

გიგანტური ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ამჟამად ეოლგაზე შენდება, საშუალებას მოგვცემენ მოვრწყათ და წყლით უზრუნველყოთ თოთხმეტი მილიონი ჰექტარი მიწა; აქედან მართო სტალინგრადის ექვსას — კალომეტრიანი მაგისტრალური არხი მორწყავს ექვს მილიონ ჰექტარ ნახევრადუღამის ადგილებს კასპიის ზღვის ჩრდილოეთით — ეოლგასა და მდინარე ურალს შორის მდებარე ველებზე.

ეოლგის მარჯვენა მხარეს მოიარწყვება ხუთნახევარი მილიონი ჰექტარი. ეოლგის წყალი დათარავს სარპის დაბლობების გამშრალ ტბებს, რფშლებიც ერთმანეთს დაუკავშირდებიან არხებით.

სარპის დაბლობები, შავი მიწები და ნოღაის ეელი უახლოეს წლებში გადაიქცევა ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის მძლავრ ბაზად. თვითეული ჰექტარი ფართობი მოგვცემს წელიწადში, სულ მცირე, სამოც ცენტნერ საუკეთესო თივას.

მშვენიერი მომავალი აქვს ნოღაის ეელს. თერგი-ეუმის არხი, რომლის აგება უკვე მიმდინარეობს, წყლით უზრუნველყოფს და ნაწილობრივ მორწყავს

მს უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში.

ახლა კი ჩვენ გოცებით ვუცქირით უსასრულო ველს, რომელსაც, მიუხედავად თოვლისა, მორუხო და ადგილ-ადგილ მოყვითალო ფერი ადევს. ძნელია წარმოიდგინო, სად იწყება და სად მთავრდება ტრამალები. პორიზონტზე არ ჩანს არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი. ერთი შეხედვით აქ სიცოცხლე ჩამკვდარა, მაგრამ, აგერ, მანქანის წინ გადაირბინა თრიაშ, კამარა შეკრეს ტოროლებმა, გამალებით გარბის კურდღელი, ხოლო ზეცაში დაფარფატებენ ველის არწივები.

არტეზიული ჭის გადაღმა მდებარე ტაფობს რომ მიუხედავად, ერთბაშად მორუხო ფერის ცხოველთა მასა დაიძრა. ეს იყო საიგების ჯოჯო, რომელიც საათში სამოცდაათი კილომეტრის სისწრაფით გარბოდა.

საიგა ყინულოვანი პერიოდის ცხოველთა ერთადერთი წარმომადგენელია დედამიწაზე. მის გამოხატულებას პოულობენ გათხრების დროს უძველეს გამოქვაბულთა კედლებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საიგა პირველყოფილი ადამიანის თანამგზავრი ყოფილა. იგი ადამიანს აძლევდა გემრიელ ხორცს, ძვირფას ტყავს და ულამაზეს რქებს. საიგა მამონტის დროინდელი ცხოველია. მამონტი უძველეს დროში განადგურდა. საიგები კი ახლაც მრავლდებიან და მათი რიცხვი კასპიისპირეთში ათეულ ათასს ქარბობს.

კასპიისპირეთი განთქმულია, როგორც ზამთრის შესანიშნავი საძოვარი. მის თვალუწვდენელ ფართობზე ძოვენ ასტრახანის და გროზნოს ოლქების, სტაეროპოლის მზარის, დალისტინის და ჩრდილოეთ ოსეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხვრის ფარები.

დიდი ხანია, რაც ქართვლებმაც გაიკვლიეს გზა ცხვრის ამ „გაშლილი სუფრისაკენ“. აქ ყოველწლიურად აზამთრებენ ცხვარს დუშეთი, ყაზბეგელი, თიანეთი, ლენინგორელი, ჯაველი და ახმეტელი კოლმეურნეობები.

აქ მოზამთრე ყველა ფერმას აქვს კე-

თილმოწყობილი სახლები, ზოგიერთ კოლმეურნეობას აქვს აბანო, სეზონური უბლო, წითელი კუთხე, რადიო-სტანცია

წინა წლებში მწყემსები აქ ცხოვრობდნენ მაწურ ქოხებში, ბევრ მათგანს საშუალება არა ჰქონდა მოესმინა რადიო, წაეკითხა ახალი ქურნალ-გაზეთები. ამ მხრივ დიდი გარდატეხა მოხდა შარშან. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დახმარებით კოლმეურნეობებმა ფართოდ გააჩაღეს ბინათმშენებლობა. ააგეს 107 ახალი სახლი, 37 აბანო, ააშენეს სტანდარტული ტიპის ფარხები 155 ათასი სული ცხვრისათვის, მოამარაგეს საყვები.

მეცხვარეებმა მიიღეს ნაბლები, თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. თვითველ მათგანს შეუძლია მორიგეობისაგან თავისუფალ დროს კულტურულად დაისვენოს.

„ჩორნი რინოკში“, სადაც საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველოა, აშენდა სამკორპუსიანი საავადმყოფო, სასტუმრო, გაიხსნა სასადლო. ახალი საავადმყოფო ააგეს საძოვრების ცენტრალურ ადგილას — ბაჯიგანზე. ჩორნი რინოკში გაიხსნა კულტურის სახლი. საძოვრების ცალკეულ უბნებში დადგეს რადიოტელეფონები, არსებობს მეცხოველეობის სამანქანო სადგური, მომთაბარე ვეტერინარული ბუნქტები.

როგორც გვამბებს, თებერვალში აქ ნამდვილი გაზაფხული დაამდგარა. ამოწვრილა მწყანე ბალახი, ადამიანებს თბილი ტანსაცმელი გაუხდიათ, მაგრამ ერთ დილას მოვლოდნელად ცა ღრუბლებს დაუფარავს, რამდენიმე დღე გამუდმებით უწყვიძა და მარტის პირველ რიცხვებში თოვლი წამოსულა.

ბაჯიგანის მეტეოროლოგიური სადგურიდან განუწყვეტლივ თხოულობდნენ ცნობებს ამინდის შესახებ. რადისტი ნაღია გონჩაროვა დიდი მღვლეარებით იღებდა ამინდის მორიგ ბიულეტენს. მწყემსებს ძილი გაუტყდათ, ყველა შიშობდა, ვაითუ შარშანდელი სტიქია განუყოფდესო. ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს, შემდეგ დეკარამ (სამხრე-

თის ქარმა) დაუბერა და თოვლი ერთ-ბაშად დადნო. ამ თავისებური მორწყვის შემდეგ ბალახი უფრო სწრაფად გაიზარდა. საინტერესო სანახავე იყო საძოვარი ადრე დილით, როცა მზის სხივებზე მილიარდ მარგალიტად აციმციმდა წყლის წვეთები.

ქრიაშულით მოედო ცხვარი დანამულ მინდვრებს. დაიწყო დოლი. მწყემსებმა პირველი ბატყენები ძველებურად დალოცეს. ახლა კი აღარავის ეპარებოდა ეკვი, რომ დამთავრდა ზამთარი და დაიწყო სიხარულის მომტანი, ნაყოფიერი გაზაფხული.

პატარ-პატარა კუნძულებად გაფანტულა ნოღაის ველზე ქართველ მოზამთრეთა ბინები.

ტრავალეზში გზის გაგნება ადვილი როდია. ახლად ჩამოსული კაცი აქ პირველად იბნევა, რადგან გარშემო დასამახსოვრებელ ორიენტირს ვერ იპოვის. ჩვენ კი იჭაურობის მცოდნე ამხანაგი გვეყავს. ალექსი ბეჭაური, რომელიც ბავშვობაში მწყემსი ყოფილა და ნოღაეთში ორი ზამთარი გაუტარებია.

უვახოვდებით ბაჯიჯანს—საძოვრების იმ მასივს, რომელზედაც ძირითადად დუშეთის რაიონის ცხვარია განლაგებული.

მანქანის ხმაურზე უზარმაზარი ძაღლები წამოიშალნენ და გააგებულ ყუფით გზა გადაგვიქრეს, მაგრამ ახალგაზრდა მწყემსმა რომ დასტყვილა, მყუფრები კუდამოჭებულნი გავემოჩნდნენ.

სოფელ მლაშის კოლმეურნეობის მწყემსი, სამოცდაცამეტი წლის ღვთისო ქმოსტელი თოვლზე დაჰჯდარაიყო (ქვას ნოღაეთში წამლად ვერ იშოვით) და გზას გასკქეროდა. მოხუცმა უცხო ადამიანები რომ დაინახა, წამოდგა და დინჯად მოგვიახლოვდა.

— სალამი და გამარჯვება!

— მოგვიხველთ მშვიდობით, — გვიპასუხა ღვთისომ.

— როგორი დოლი გაქვთ, ძეგ ღვთისო?

ქმოსტელმა გაიღიმა და წააჩუჩა:

— უკეთესს კაცი ვერ ინატრებს. ერთი სიტყვით, მთავრობის წინაშე არ შევრცხვები.

შარშან საქართველოს კოლმეურნეობებში დიდი მასშტაბით განახორციელეს თუშური ცხვრების ხელოვნური დათესვლა ნაზმატყლიანი მწარმოებლებით. ნოღაის ველზე ათასობით იზადებთან ნახევრად ნაზმატყლიანი ბატყენები, რომლებსაც დღემის მაგივრად კუდები აქვთ. რა დასამალია, ბევრ მწყემსს არ მოსწონს კუდიანი ცხვრები, — სილამაზით თუშურს ძალიან ჩამოუვარდება, — იტყვიან ხოლმე, მაგრამ მათ იცაან, სილამაზეს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ მეტისური ცხვრები კოლმეურნეობებს მისცემენ მეტსა და უკეთესი ხარისხის მატყლს. ისინი კარგად აიტანენ მომთაბარეობის პირობებს. ეს თვისებები მეტისმა მიიღო თავიანთი წინაპრებისაგან.

იყო დრო, როცა კავკასიისა და შუაზიის მეცხოველეებმა არაფერი იცოდნენ კუდიანი ცხვრების არსებობის შესახებ. რუსმა მწერალმა მ. პრიშვინმა, რომელმაც რევოლუციამდე ყაზახეთში იმოგზაურა, აღწერა, თუ როგორა გამოყრუებული ხარხარით შეხედნენ იურტაში მყოფნი მის ნააშბობს, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილში არსებობს კუდიანი ცხვარი. არ სჯეროდათ ყაზახებს, რომ ცხვარს უდუმოდ სიცოცხლე შეუძლია, ფიქრობდნენ: სტუმარი ხუმრობსო.

ასე იყო საქართველოშიც. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მწყემსებმა საკუთარი თვლით ნახეს კუდიანი ცხვარი, რომლის ზოგიერთი ეგზემპლარი წელიწადში 18-20 კილოგრამ მაღალხარისხოვან მატყლს იძლევა. ბუნებრივია, რომ ასეთი ჯიშის ფართოდ მოშენება მომთაბარეობის პირობებში არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ ნაზმატყლიანი ცხვარი ვერ იტანს ხანგრძლივ მგზავრობას. მაშასადამე, მეცნიერო

მეშაქების წინაშე იღვა ამოცანა — შეეცნათ ცხვრის ისეთი ჯიშში, რომელსაც ექნებოდა თუშური ცხვრის ფიზიკური ამტანობა და უკეთესი ხარისხის მატყლი.

შვიდასამდე კილომეტრია არაგვის ხეობიდან ბაჯიგნამდე. ამ გზას საქართველოს კოლმეტურნობათა ცხვარი გადის წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე. როგორი ამტანი უნდა იყოს ცხვარი, რომ ეს მანძილი დაფაროს. სწორედ ეს თვისება ახასიათებს თუშურ ცხვარს და საჭიროა, რომ ეს თვისება აუცილებლად ჰქონდეს ახალი ჯიშის ცხვარსაც. ამასთან აუცილებელია უკეთესი ხარისხის მატყლი. ასეთი კი ნაზმატყლიან ჯიშებს აქვთ.

ბატენებს, რომლებიც ახლა ჰაერში სკუბს გადადიან და სასაცილო მალაყებს აკეთებენ, სწორედ ასეთი თვისებები ექნებათ. ისინი ნორმალურად აიტანენ ხანგრძლივ მგზავრობას და ექნებათ ნახევრად ნაზი მატყლი.

ჩვენ ვესაუბრეთ გუდამაყრელ მცნობარე-მწევესს ნინია აფციაურს. ნინია ოცდაჩვიდმეტი წლის კაცია, მაგრამ ნოლანეთში წელს ოცდამეორე. ზამთარს ატარებს. მეცხვარე იყო მისი პაპა სტეფანე, მეცხვარეობას მისდევდა მამა ალექსი. ასე რომ, ნინიამ ცხვრის ავტორი იცის.

როცა ნინიას თუშური ბატენის სილამაზეზე ჩამოვუვადეთ ლაპარაკი, მან უკმაყოფილოდ ხელი ჩაიჭინა:

— მაგას რა ჰქვია აქეს! ჩვენი მამა-პაპანი მართალნი იყვნენ, რომ გვეუბნებოდნენ — ცხვარი სიღარიბის მტერიაო. მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს კრიტიკა და თვითკრიტიკა. ჰოდა, საჭირო იქნება ჩვენი წინაპრები ოდნავ გაჯაკრიტიკოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ცხვრისაგან მოითხოვდნენ მხოლოდ ხორცს, რძეს და დუმას, მატყლზე კი ნაკლებად ფიქრობდნენ. თუმცა გასამტყუნარი როდი იყვნენ, რადგან მათ მატყლი სჭირდებოდათ მხოლოდ საოჯახო საჭიროებისათვის, ზამის მოსაქსოვად, ნაბღები-ხათვის, ბაწრის დასაგრებად. ამაში თუშური ცხვრის მატყლი, რა თქმა უნდა,

გამოსადეგი იყო. ახლა ავიღოთ დღევანდელი მდგომარეობა. რომელსა უნდა არ სურს ეცვას წმინდა შალის სილამაზე, შევიოტის შარვალ-ხალათი. ასეა, მამაო, ხალხის მოთხოვნილება გაიზარდა. ჰოდა, მართალია, კუდიანი მეტისები სილამაზით ჩამოუვარდებიან თუშურ ცხვრებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისინი ბევრსა და უკეთესი ხარისხის მატყლს მოგვცემენ.

საინტერესო აღმანიანია ნინია აფციაური. იგი საშუალო სიმაღლის, ბეჭებში ოდნავ მოზრალი ვაყკაცია. ახალი ჩექმები და დათბუნებული ქურთუკი აცვია. დადის ნელი, მოზომილი ნაბიჯით. ერთი შეხედვით გვეგონებათ, რომ მას რაღაც დიდი ფიქრი აქვს და სხვა არაფერი აინტერესებს. მუდამ თავჩალუნული, თავმდაბალი და სიტყვაძვირი ნინია ცხვრის მოვლა-პატრონობის შესანიშნავი ოსტატია. როცა იგი საბატენში შევა, სახე გაუნათდება, პირზე ღიმი მოადგება და თვალეებში სიხარულის სხივი ჩაუდგება.

— რაო, ეშაქებო, მოგშივდათ? — ამბობს ნინია და თითქოს ბატენებს კი არ ელაპარაკება, არამედ საბავშვო ბაღის ბავშვებს, — არა გიჭირთ-რა ცოტახანს მოითმინეთ, მალე დედებს მოგირეკათ და ჰამეთ, რამდენიც გინდათ.

შემდეგ ნინია ერთ რომელიმე ბატენს აიყვანს, ალერსით გულზე მიიხუტებს, თვალეებს ამოუწმენდს და, თუ ოდნავი სიწითლე შეამჩნია, მორიგე მწევესს ეტყვის:

— საბატენის ჭერს სასულე გაუყეთე, ცოტა ჰაერი დატრიალდეს, თორემ, ხომ გრძნობ, როგორი მძიმე ჰაერია...

ნინია მცნობარე მწევესია. ბევრმა არ იცის, რა რთული საქმეა მცნობარობა. წარმოიდგინეთ ცხვრის ათასიანი ფარა. როცა მას საძოვრიდან ბაქში მორეკავენ, წარმოიდგინეთ ამდენივე ჩვილი ბატენი. დედები გამუდმებული ბლავილით ეძებენ შვილებს (სხვა ბატენს ძუძუს არ მისცემენ). დარბიან ბატენები, ისინიც დედებს ეძებენ; გადის დრო, ცხვრის და ბატენის ბლავილი არ ნელდება. ბევრი მათგანი დამოუკიდებლად ვერ

პოლოსს შეიღოს. ასეთ დროს მცნობარე ბატკანს ხელში აიყვანს, ფარას გამკრიახა თვალით გადახედავს და მხოლოდ მისთვის შესამჩნევი ნიშნებით გამოიყენებს მის დედას.

დოლის პერიოდში ფარებში ყოველდღიურად მრავალი ბატკანი იზადება. ცხვარი თეთრი ფერისაა, ბატკანიც. მოდი და გამოიცანი, რომელი რომლის შეიღია. აქ საქმეში ერევა მცნობარე. იგი რამდენიმე წაშში უპოვის ბატკანს დედას. მცნობარე რომ არა, ბატკანს დააღუპა ელის, რადგან სხვა მას ძეძუს არ მისცემს.

ნინიას რომ ეკითხეთ — ყველას შეუძლია თუ არა ისწავლოს მცნობარებაო, მან გაიღიმა და ხუმრობით გვიპასუხა:

— ეგრე რომ იყოს, მაშინ ყველა მწყემსი მცნობარე იქნებოდა, გაცხსნიდი მოკლევადიან კურსებს და ყველას ვასწავლიდი, მაგრამ ეს არ შეიძლება.

მართლაც, რაღაც განსაკუთრებული აღლო და ნიჟია საჭირო, მცნობარე რომ გახდეს. შეიძლება ადამიანი დაკვირვებული და საერთოდ გონიერი იყოს, მაგრამ ამ ხელოვნებას მაინც ვერ დაეუფლოს. ზღბა პირიქით, ერთი შეხედვით არც ისე გულისყურის მქონე კაცი ზოგჯერ მცნობარე ხდება.

გაღვიძვართ ფარიდან ფარამდე, ბინიდან ბინაში. ყველგან საზეიმო განწყობილებაა, ქართველი მოზამთრენი იმიან თავიანთ შრომის ნაყოფს. ყოველდღიურად იზადება ასობით ბატკანი. ყველა ფერმაში დოლი ნორმალურად მიმდინარეობს, იშვიათია ბატკნის სიკვდილის შემთხვევა.

ნოღათში ამჟამად ათასორასზე მეტი მწყემსია. მათ შორის მრავალია მეცხოველეობის ნამდვილი ენთუზიასტი, რომლებიც სასახლოდ შრომობენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. ისინი ბევრნი არიან, ყველას ვერ ჩამოთვლი, მაგრამ ზოგერთი კი მაინც უნდა გავაცნოთ მკითხველს.

ბაჯიგანში, ერთ-ერთ მთავარ ბინაში შეგვხვდით მლეთელ მწყემსს — საქართ-

ველოს სსრ უმაღლესი სამეცნიერო ფუნქციონარის შიო ნაზლაიძეს. გიგლომორთქა

შიო იმ დღეს საქოვრების შორეული უბნიდან — გაიღუვიდან რაღაც საქმეზე დაბრუნებულიყო და პირს იპარსავდა.

მშვენიერადაა მოწყობილი მლეთელების საცხოვრებელი. ფართო და ნათელ ოთახში ჩამწყობებულია მწყემსების სუფთა საწოლები. მეორე ოთახი დათმობილი აქვს წითელ კუთხეს. აქვეა აბანო და სამზარეულო.

დაღამდა. უამრავი ვარსკვლავი მოეფინა ნოღის ცას. ირგვლივ ისეთი სიჩუმეა, რომ კილომეტრზე ადამიანის ლაპარაკს მოისმენ. მორიგეობისაგან თავისუფალი მწყემსები რადიოს უბდებენ ყურს.

შიომ პირი დაიბანა და ოთახში შემოვიდა. მაღალი, მხრებგაშლილი კაცი ნაზლაიძე, მის მწითურ სახეს ქარისა და შვის სხივების კვალი ეტყობა. ლაპარაკში ძუნწია, მაგრამ დოლი წარმატებით რომ მიღის და გახარებულ ადამიანებს ხედავს, საღერღელი ეშლება:

— ძველად, — წამოიწყო შიომ, — მწყემსება ასეთ ბინებში როდესაც ცხოვრობდნენ. მაინც რამდენი რამ შეიცვალა ამ ქვეყანაზე! აი თუნდაც ჩემი ცხოვრება ავიღოთ. სიმართლე, რომ ვითხრათ, მე ბავშვობის ოქროს წლები არც კი მიგრძენია. ათი წლისა ვიყავი, როცა უფროსმა ძმამ სანდრომ მლეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში წამიყვანა. მაშინვე ბევრნი ვყავდით. მართალია, სოფელში ვცხოვრობდით, გლეხები გვერქვა, მაგრამ ნეურნეობა არ გავგანინდა. ამიტომ მაშინვე საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობდა და წლითწლობით თავი ძლივს გავგვქონდა. სკოლაში ჩემისთანებს ვინ გავზავნიდა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ ოჯახის გაქირვებას რომ ვხედავდა, გული მიკვდებოდა, ავღეპი და სანდროს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მოჯამავირობდა, ვუთხარი, მეც წამიყვანე-მეთქი. შემოდგომის ერთ დღეს მშობლებს გამოვეთხოვე. გაღმოვიარეთ კავკასიონის ქედი. ერთხელ კიდევ მოვიხედე მშობლიური სოფლისა-

კენ, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ღრუბლებს დაეფარათ ლომისისა და ნეფის კალოს მთები. სანდრომ დაღონება შემატყო, მომეალერსა და მითხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, ლექსო, შენ ისეთი ყისმათის ბიჭი ხარ, რომ მალე სოფელს საკუთარი ცხვარით დაუბრუნდებიო...

მაგრამ არ გამართლდა სანდროს ნათქვამი. სახლში ისე დავბრუნდი, რომ ცხვარი კი არა, ჯიბეში გროში არ გამანდა... მხოლოდ კოლმეურნეობაში იგრძნო მთიელმა კაცმა ადამიანური სიხარული. ახლა თვითიერს სახლიც აქვს და კარიც. მღელაში რომ ჩავალ, გული გამინათდება ხოლმე, ყველაფერი გვაქვს — ელექტრომუქი, რადიო, სკოლა, სამკითხველო. უწინ რომ ვისმე ეთქვა, მწყემსი მთავრობის წევრად აირჩიესო, ალბათ სიცილით დავიხოცებოდიო, ახლა კი... აღარ დაასრულა შიომ, რადგან დანარჩენი ისედაც გასაგები იყო. ვის არ წაუეკითხავს ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანი“ და ვაჟა-ფშაველას მშვენიერი მოთხრობები, რომლებიც მწყემსთა უსიხარულო ცხოვრებას ასახავენ. მწყემსობა ძველად ყველაზე ღარიბთა ხელობა იყო. ძველ თბილისში საიათნოვა მღეროდა ხოლმე:

მეცხვარს რად უნდა აღმასი ძველი,
სასოფელად ქვა ჰქონდეს, სარტყლად საბელი...

ასეც იყო. შემოდგომიდან დაწყებული გაზაფხულამდე შორეულ ნოღაეთში მყოფ ქართველი მწყემსების ავი და კარგი არავინ იცოდა. ვინ მოსთელის, რამდენს სამუდამოდ დაუხუტავს თვალი ექიმის ნატერაში, რამდენი უჯზო-უჯვლოდ დაღუპულა სტიქიის დროს. ნახევრად მშვირ-ტიტველი მწყემსის სასოფელი ქვა იყო. თითებზე ჩამოითვლებოდნენ წერა-კითხვის მეოღნე მწყემსები. მათი კალენდარი ახალი მთვარე იყო. მთვარეზე ანგარიშობდნენ დღეებსა და თვეებს. ახლა კი იშვიათად ნახავთ ისეთ ბინას, სადაც წიგნები, ეურნალ-გაზეთები და რადიო არ ჰქონდეთ. მწყემსთა

შორის ბევრია საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე. მოზამთრულ კარგულებაშია კულტურის სახლი, ორი მოძრაიე კინოდანადგარი, ორი საავადმყოფო, მეცხოველეობის სამანქანო სადგური, მელაზიები, რადიოტელეფონები.

გადავდავართ ბინიდან ბინაში. ყველგან საზეიმო განწყობილებაა. მრავლდება ცხვარი, იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი. ფოტო-რეპორტიორი ვერ აუღდის მოწინავე მწყემსების გადაღებას. განსაკუთრებით გაუჭირდა ბატკნების გადაღება. გახსნიან თუ არა ბაყის კარებს, ბატკნები გამალებით იწყებენ სირბილს, ჰაერში სასაცილოდ ხტებიან. საჭიროა ისეთი მომენტის შერჩევა, როცა ისინი უცხო ადამიანის დანახვაზე წამით ჩერდებიან.

მინდორში საინტერესო სურათს ვხედავთ: მწყემსებს სამოვარზე დაბადებული ბატკნები ზურჯინებში ჩაუსვამთ, სახედარზე გადაუკიდიათ და ბინისაკენ მიჰყავთ.

მწყემსებს წიგნი უყვარს. რამდენჯერ შეესწრებივართ ასეთ სურათს: ტრიალ მინდორში ფარასთან დგას კომბლიანი კაცი. მისი ხმის გამეკვი არავინაა. ამიტომ ბინიდან წიგნი წამოიღია და გულდასმით კითხულობს. მივსულვართ, გამოვლაპარაკებივართ და თითქმის ყველასაგან ერთი და იგივე მოგვისმენია:

— დაგვიფიწყეს მწერლებმა. ნაკლებად წერენ ჩვენზე, დასაწერი კი ბევრია. აი თუნდაც შარშანდელი ამბავი, — რამდენმა გამოიჩინა თავი ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში. თუნდაც წლებანდელი ზამთარი აიღეთ, ცხვარი არ დაგვხოცოა, დოღს საუეტესოდ ვატარებთ, საერთო საქმისათვის არ გვიღალატია...
ეუსმენდით და პასუხის გაცემა გვიჭირდა.

... გარიყრატზე ბაჯიგნის მოპირდაპირე მხარეს, ჭართლის კოლმეურნეობის ბანაკისაკენ გავემგზავრეთ. ამჯერად ასოცი კოლომეტრი გვქონდა გასავლელი. თან გამოვყვავა ახალგაზრდა ექიმი ამირან შუბლაძე.

ამირანი აქაურ კაცად ითვლება. რვა

წელიწადია, რაც თავის მეუღლესთან — თამართან ერთად ნოღაეთში ქართველ მოზამთრეთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. მას თბილი ქურთუკი ეცვა, ყურებიანი ქუდი ეხურა, წვივებს შუა ორღულაინი თოფი მოექცია. ის თავისი ჩაცმულობით ციმბირელ მონადირეს ჰგავდა.

არაერთხელ გვინახავს გათენების დიდებული სურათი საქართველოს მთებში. იქ ერთბაშად როდი თენდება, მზე ჯერ მწვერვლებს შეაფრქვევს სხივებს, შემდეგ ეს სხივები ოქროს მდინარესავით ნელ-ნელა იღვრება ქვემოთ — ხევებსა და ნაპარლებში.

ტრამალებში ყველაფერი თავისებური და უჩვეულოა. დილით ბინდ-ბუნდში აღმოსავლეთით ამოწვერილმა მზემ ერთბაშად სტყორცნა სხივები ღრუბლის ნაპირებს, სხივებმა სწრაფად გაითამაშეს უსასრულო ველებზე და მზეც სწრაფად წავიდა მაღლა.

აქიკიკიდან ტოროლები, ჰაერში შეტორტმანდა ბებერი არწივი და, თითქოს ველ-მინდვრებზე რძე დაიღვარაო, ისე მოეღო იქაურობას თეთრი ცხვარი.

ქართლელების ბინაში, ქართველ მწყემსთა შორის ერთ რუს ახალგაზრდას შევხვდით:

— ამ კოლმეურნეობის წევრი ვარ, ანდრეი ოგლობლინი, — გვითხრა მან.

ფერმის გამგე გაბო ქიკაიძემ გვიამბო მისი თავგადასავალი.

1944 წლის გაზაფხულზე, როცა ცხვარი საქართველოსაკენ დაიძრა, ქართველმა მწყემსებმა ტრამალებში ცხრაათი წლის ბავშვი იპოვეს. ეს იყო ანდრეი ოგლობლინი, რომელმაც მშობლები ომში დაჰკარგა და რამდენიმე თვეს კეთილი ადამიანების დახმარებით იჩინდა თავს.

რამ მოიყვანა ის ამ უკაცრიელ ველებში, ანდრეიმ თვითონაც არ იცოდა, ალბათ, რომელიმე დასახლებულ პუნქტისაკენ თუ მიემურებოდა, შემდეგ გზები აერია და ქართველი მწყემსები რომ არა, აშკარა დაღუბვა ელოდა.

ქართველებმა შვილივით მიიღეს ანდ-

რეი, არტეზიულ ქასთან დაჭინეს დასაცემელი ჩააცვეს და აზრდობაში წამოიყვანეს.

მას შემდეგ ათზე მეტი წელი გავიდა. ოგლობლინი დაეკაცადა, შეისწავლა ქართული ენა და ახლა ფერმას მასზე უკეთესი მეჯოგე არა ჰყავს.

ანდრეი ჯანსაღი და შრომისმოყვარე ახალგაზრდაა. ფეხის წვივები ოდნავ მოღუნული აქვს — ეტყობა ცხენოსნობა უყვარს. ასეც არის. ალტაცებაში მოდიან მწყემსები, როცა ის გაუხედნავ, უბელთ კვიცს მოახტება და ტრამალებში გრიგალივით გაფრინდება.

მეგობრობა ყველგანაა საჭირო. მაგრამ იგი ყველაზე მეტად საჭიროა აქ, ნოღაის გაშლილ ველებზე, სადაც ბუნების სტიქია ათასნაირ ზიფათს უშნადებს ადამიანს. სწორედ ამ შესანიშნავი მეგობრობით არიან დაკავშირებული, რუსი, ქართველი, ოსი და დაღისტნელი მწყემსები. თუ ტრამალებში სადმე დაგიღამდებათ, ნუ იღარდებთ, თქვენთვის ყოველთვის ღიაა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა არა მარტო ბინა, არამედ... გულიც.

— ლეკებიც დაგსხმიან თავზედა, — იწყევლებოდნენ ხოლმე ძველად საქართველოში.

აბა ნახეთ, როგორი ძმაცაცობა აქვთ ახლა ნოღაეთში ქართველ და დაღისტნელ მწყემსებს, როგორ ეხმარებიან ისინი ერთმანეთს გაჰირეებაში და დაღისტნელებში!

გვაგონდება გუნბელი მეწისქვილის, მოხუცი აბდულა ზიზრიციის გულში ჩამწვდომი სიტყვები, მან რომ დაღისტნის მთებში ოთხი თვის წინათ გვითხრა:

— კავკასიონის ქედი ჩვენი საერთო დედაა, რომლის ერთი ძუძუთი ჩვენ ვიკვებებით და მეორით — ქართველები; დედას კი არც ერთი შვილისათვის არ სურს ცუდი... დაე, ცოცხლობდეს ჩვენი დიადი სამშობლოს ზალხთა მძვრი მეგობრობა.

გადავდივართ მთიულეთის კოლმეურნეობის ბინაში. აქაც გახურებული დოლია. ჯარასავით ტრიალებენ ახალგაზრ-

და მწყემსები — მიხეილ ობგაიძე და ალექსი საჭიბე, თედო ყველაიძე და ვასილ ჯალმაიძე.

ცხვრის გაბერწებისა და ბატყის სიკვდილის არც ერთი შემთხვევა — ასეთია მათი მამაცური შრომის საუცხოო ნაყოფი.

ხანშიშესულ მწყემსს მიზა ნადიბაიძეს თავისი გულისნადები, „საველე ფურცელში“ ასეთი ლექსით გამოუხატავს:

ბიჭებო, დოღი დაიწყო,
 აბლა დრო არის ედისაო,
 საჯიშედ შერჩეული გვყავს
 ნანატრი დიდი ხნისაო,
 მომცემი კარგი მატყლისა
 გამეღელი შორი გზისაო.
 უნდა მივიღეთ მთიულეთს,
 ექვსი ათასი ცხვრითაო,

ჩვენაც მივიღოთ ნაშრომი, მადლობა მთავრობისაო,
 საღამოს ჩვენი ფანდური მწყემსის წარსულზე თელისაო,
 ის დაწყველილი ზამთარი გამნადგურები ცხვრისაო,
 მაღა შედგება ფარები,
 გულა რომ მოკლას შტრისაო...

ქართული
 ზინზლირთეკა

აზვირთებული შემოქმედებითი შრომა სუფევდა ყველგან, ქართულ მწყემსთა ყველა ბინაში.

მაისის პირველ ნახევარში საქართველოს ცხვარი საზაფხულო იალაღებისაკენ დაიძვრება. ფარები გაივლიან შორეულ გზას — ნოღაეთიდან დარიალამდე, შემოვლენ თერგის ხეობაში, გადმოლაზავენ კავკასიონის ქედს და ჯვრის უღელტეხილზე გაიშლებიან.

1955 წ. მარტი, აპრილი.

პლ. კუთათელი



ტრადიცია და ტრადიციულობა

(მეჩვენები შალვა აფხაიძის ლექსების კრებულზე)

შალვა აფხაიძის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი წლები მეფის თვითმპყრობელობისა და შემდეგ ქართველი მენშევიკების ბატონობის იმ მძიმე და სუსხიან ხანას ემთხვევა, როდესაც მწერლების ერთ ნაწილში უიმედობისა და სასოწარკვეთილების, დეკადენტური ინდივიდუალიზმის განწყობილებები იყო ფეხმოკიდებული. ამ პესიმისტურ განწყობილებას, პირველ ხანებში, ვერც პოეტმა შ. აფხაიძემ დააღწია თავი და საქართველოში იმხანად არსებულ სიმბოლისტურ-დეკადენტურ ლიტერატურულ ჯგუფს მიეკედლა.

თავისი შეგნებული ცხოვრების დასაწყისად შ. აფხაიძეს 1917 წლის ოქტომბრის დიდი რევოლუცია მიაჩნია. პოეტი თვითონვე ამბობს:

„ჩვიდმეტი წელი, ჩვიდმეტი წელი...
იმ წლის ქარბუქებს რა დამავიწყებს.
იქიდან მოდის ქვეყნის ნათელი
და მეც ცხოვრებას იქიდან ვიწყებ“.
(„ჩვიდმეტი წელი“)

პოეტის აღტაცება გამოწვეულია რევოლუციის გამარჯვებით, ახალი, თავისუფალი ცხოვრების დამკვიდრებით. უიმედობისა და სასოწარკვეთილების ტყვეობიდან შ. აფხაიძე ოქტომბრის დიდი რევოლუციის ცხოველყოფილმა ძალამ გაათავისუფლა და ისიც სამაღლობელო ჰიმნს უმღერის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სამშობლოს:

„ჩემი სამშობლო დიდი ბაღია,
ლენინის სიბრძნის ბაიარაღია,
ის აკვანია პარტიის მზისა.
სხვა რა გვეუყარდეს, სხვას რას ვეტრფოდოდო
და გულის ძირში სხვა რაღა კრთოდეს,
თუ არ სამშობლო კომუნისტისა!“

(„სამშობლო“)

შ. აფხაიძის ცნობილი ლექსი „ფიცი“, რომელიც სამამულო ომის პერიოდში გამოქვეყნდა, მგზნებარე საბჭოთა პარტიოტის კალმით არის დაწერილი. ავტორი იფიცებს სამშობლოს, „დღისგან დამღერილ ნანას, ბელადის მართალ საქმეს და სახელს“, იფიცებს „თავისუფლების უკვდავ ქარტიას“, რომ მტკიცედ დაიცავს სამშობლოს, მკერდით გადაეფარება მას და „სისხლით მორწყავს მიწას, რომელმაც ნათელი ბედი მიანიჭა“.

თავისი პოეტური მრწამსი შ. აფხაიძეს ნათლად აქვს გადმოცემული ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში „ქვაზე წარსაწერი“, რომელშიც მწერლის თავისებური ავტობიოგრაფიული არის მოცემული. ეს ლექსი პოეტის მთელი შემოქმედების გასაღებია. შ. აფხაიძემ აქ მოხერხებულად გამოიყენა ძველი პოეტური ხერხი: „ქვაზე წარსაწერი“ საკუთარ თავზე დაწერილ ეპიტაფიას წარმოადგენს. პოეტი მოუთხრობს უცხო მგზავრს თავისი ბედის შესახებ: „არ ვიციოდი ზიზღის ძალა, სიყვარულის შუქი მზრდიდა... მაშის სითბო არ მრგებია და არც ძუძუ მშობელ დედის... მაინც ცისკენ

მივიღებოდი ჩემი ქვეყნის მზისა სვე-
ტით... და ვიყავი ჩემი ქვეყნის სულ პა-
ტარა ჯარისკაცი... თუმცა ჩიტი არ მო-
მეკლა... ჩემს სამშობლოს ვერაგ მტრე-
ბის არ ვიციოდი სიბრალულში... მე მიყ-
ვარდა სიცოცხლე და ჩემი ხალხის მტკი-
ცე მიყრდი... და სხვა.

სამშობლოს სიყვარულს პოეტი ხში-
რად აკაინებურად „სანთელივით დნო-
ბას“ და „ცეცხლით წვას“ აღარებს. ეს
მძაფრი პოეტური სიხე მის არა ერთ
ლექსში გვხვდება: „იყო დღეგრძელი
ჩემი სამშობლო, რომლის ტრფობაში
გული ჩამოდნა“; ან — „როცა დავხედე
თბილისს ზემოდან, გულიდან ცეცხლმა
კვლავ ამოხეთქა“; ან — „შენ ჩემო ბუ-
ლის ცეცხლის გამჩენო ვერც კი გავიგე,
შენს სიყვარულში დავებრდი ისე!“ ან —
„ოღონდ შენი მზის სხივმა დამცხრი-
ლოს, ოღონდ დე მიწა გულს დამეყა-
როს“... და ა. შ.

შ. აფხაძის ამ პატრიოტულ ლექსებ-
ში ბევრია ნათელი აზრითა და გულ-
წრფელი გრძნობებით აღბეჭდილი ლექ-
სი ან ცალკეული სტროფი თუ სტრიქო-
ნი, მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა
მიექცეს ყურადღება. პოეტს მართებს
გულის გახსნა, ინტიმური გრძნობების
გამქლავება, ოღონდ თავისი გულის-
თქმისა და გრძნობების გამქლავების
დროს იგი ზომიერებას უნდა იცავდეს
და გარკვევით გვაგებინებდეს თავისი
კმუნებისა, სიხარულისა თუ ალტაცების
მიზეზს. ჩვენ კი ხშირად ისეთი შთაბე-
ჭდილება გვრჩება, თითქოს პოეტი ზედ-
მეტად უსეამს ხაზს იმას, რომ მას ეშინ-
ნია სიბერისა, სიკვდილის მოახლოები-
ნა, სამშობლოსთან განშორებისა, ან კი-
დეე — ლამაზი სამშობლოს დაღუპვისა.
საბჭოთა პატრიოტიზმი, გულისხმობს
სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოს
აყვავებისათვის მთელი ხალხის და, მას-
თან ერთად, პოეტის დაძაბულ შრომას,
კმუნებასა და სიხარულში ხალხთან ყოფ-
ნას, სამშობლოს გაქირავების ეამს თავ-
დადებას, ხალხისაგან განუყოფლობის
შეგნებას და არა სამშობლოს სიყვა-
რულზე და მის მშვენიერ ბუნებაზე,

წარსულ დიდებაზე გამუდმებულ მეყ-
დიან დადას, გულის დაწვას და მშ-
ცრებას.

ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე პოე-
ტის შემოქმედებაში ყალბად გაგებული
ქართული პატრიოტიზმი გამოსკვივის,
პატრიოტიზმი, რომელიც წარსულით
იფარგლება. ამას თავის დროზე ჯერ
კიდევ ილია ჭავჭავაძე ებრძოდა: „მო-
ვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.
წარსული დიდებით შემოფარგლის წი-
ნალმდევია შ. აფხაძეც. იგი ახალ სა-
ქართველოს ასე მიმართავს:

„ვიცი როდია შენი დიდება
მხოლოდ წარსულით შემოფარგლული.
წარსულის ყველა შეჭზე შეტია
ის ერთი სახლი — სამშობლოს გული,
ის ერთი კოხი — იმედის ფუძე,
სახლი ტრფილით შემოსაღებული“.

პოეტი „ახალ თბილისში“ ამბობს: თუ
წინათ „არ გვახვეწებდა წარსულის ხმე-
ბით ორთქალაში ტირილი თარის“, გვა-
წამებდა ნარიყალა, ძველი დანგრეული
ციხეები, ტაძრები, თუ წინათ საქართვე-
ლოს წარსული დიდების საქებრად შე-
საფერ სიტყვებს ვეძებდით, ახლა ყო-
ველივე ეს —

„გაქრა, წაიდა-
ახალი სიტყვის დღეს გვაქვს საგანი.
ახალ სიმღერის ფრთის გასაშლელად
მოღის გულიდან ოქროს მადანი“.

პოეტს სურს ახალი ეპოქის, ახალი
ცხოვრების — საბჭოთა სინამდვილის
გამომხატველი და შესაფერი ახალი სიმ-
ღერა თქვას, მაგრამ მისი პოეტური სა-
ღებავები უფრო ინტენსიური და ცხო-
ველია, როდესაც იგი საქართველოს წარ-
სულის თემებს ეხება. „მთაწმინდის
ბაღში“ პოეტს ჭაბჭანგ მეფე აგონდება
და წერს:

„... აქ სიგრეებში ებრძოდა მარად
ვახტანგი მომხდურ გოლიათ წყვილიანს,
ამ მთებში გაქრა ძლევის კამარა
და ქართლის ბედი აქ ჩაამწყვდია.
აქ მოთავსა ქართლის მშვენიება,
რომ აღარ ქრება, შფოთავს მარადი,
ქვას არ უნახავს აქ მოსვენება“

და კლდეებს ზრავდა სისხლის ნაკადი.
ჩამოხატული მტკვარში მუტები
როგორც წარსულის ცრემლი ანათებს“.

ძველი საქართველოს დიდების, მისი ტრაგიკული წარსულის მოგონების გამო გამოწვეული ცრემლის, სევდისა და კაემანის გამოშბატველი ამ ძლიერი და ხატოვანი ენით დაწერილი სტრიქონების გვერდით ძნელი გამოიძებნოს შ. აფხაიძის ლექსებში ახალი საქართველოს ამსახველი ასეთივე ძლიერი და ხატოვანი ადგილები. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი გახლავთ ძველი ქართული პოეზიის ზოგიერთი ტრადიციისა და აქედან გამომდინარე პატრიოტიზმის ძველი ფორმების გავლენა პოეტზე. აქ ერთგვარ ლიტერატურულ, პოეტურ ინერციას აქვს ადგილი. ასეთი საყვედური არა მარტო შ. აფხაიძის მისამართით უნდა ითქვას, არამედ მეტნაკლებად, ზოგიერთი სხვა პოეტის მიმართაც.

ნაციონალური შეზღუდულობა ყველაზე დიდი მტერია საბჭოთა შემოქმედისა. საბედნიეროდ, შ. აფხაიძე თავის საუკეთესო ლექსებში სცილდება ნაციონალური შეზღუდულობის ფარგლებს. მთებით შემორტყმულ საქართველოდან იგი, შავი ზღვის ნაპირის გავლით, ყუბანისა და დონის ფართო ველებზე გადის და გაზაფხულის მზიანი დღით გახარებული მოსკოვისაკენ მიჰქრის. ყუბანის, დონის, უკრაინისა და რუსეთის თვალუწვდენი სივრცეების ქვერებით და ამ ველების მკვიდრთა გმირობით, სისახელი შრომით მოხიბლული პოეტი აღტაცებისა და სიამაყის გრძნობით შესძახებს: „რა უსაზღვროა ჩემი სამშობლო!“ ახლა პოეტის შეგნებაში ნაციონალური შეზღუდულობის ნატამალიც აღარ ჩანს და მის ადგილს საბჭოთა პატრიოტიზმის დიდი და კეთილშობილი გრძნობა იკავებს.

„მიყვარს თბილისი, ჩემი თბილისი
მაგრამ მოსკოვსაც წუთით ვერ დავთმობ,
რადგან ჩემი სიყვარულია,
ორივე თანაბარ მახარებს, მათობს“.

(„ორი ქალაქი“).

შეადარეთ ამას ლექსში „მხიბლავს მთაწმინდა“-ში გამოთქმული „მწიფე“-მ. აფხაიძისა: „არ მინატრია შენსეა-რუსეა ბა, არც სიყვარული უფრო ლამაზი.. თუ არ თბილისში შემოსულ დილის... მე მიყვარს მხოლოდ სამშობლოს ფერი...“ და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რა დიდი განსხვავებაა პოეტური ინერციით მოტანილ ძველი პატრიოტიზმის მოტივებსა და კემარტიტ საბჭოთა პატრიოტულ გრძნობას შორის.

სამამულო ომის შემდეგ რუსეთში მოგზაურობის დროს პოეტის მიერ შეთხზული ლექსები — „ჩანაწერები გზაში“ მართლაც საბჭოთა პატრიოტის მიერ არის დაწერილი. თუ წინათ ავტორი ამბობდა: „არც სხვა ცას ვიცი-ნობ მშობლიურ ცაზე რომ იყოს წყნარი, ასე მშფოთვარეც“, ან „რომელი ბაღის მღვლეარე ჩრდილში ასეთ შესაფერს მონახავს გული“-ო, ახლა ყუბანის, დონის, უკრაინისა და რუსეთის ფართო ველების, სოფლების, ქალაქებისა და ვრცელი ცის ნახვისას, იგი ასე მღერის:

„ჩემი სამშობლო ასე მდიდარი
ან ასე დიდი როდის ყოფილა!
აქაც ჩემი ცის უბერავს ქარი
და მტრედისფერი შრიალებს დილა...“
„ო, როგორ ბრწყინავს შენი ცა ფართო,
ველი ცხოველი — გმირობის წყარო...“
„რა უსაზღვროა ჩემი ქვეყანა,
მისი ცის თალი შორს ცემს კიშარას...“
და ა. შ.

ჩვენ განზრახ მივმართეთ ასეთ დაპირისპირებას რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს ძველი ტიპისა და ახალ, საბჭოთა პატრიოტიზმს შორის განმასხვავებელი ნიშნების არსებობა შ. აფხაიძის ლექსებში.

საბჭოთა კავშირს, რომლის „ძლიერი ფრთებქვეშ ქართველმა ხალხმა დააბინავა მშფოთვარე სული“, პოეტი თავის „პირველ ხატს“, „უკანასკნელ სიყვარული“ საგანს, „სიკეთით სავსე პირველ სამშობლოს“ უწოდებს. მაგრამ ამ დიდ სამშობლოს, უპირველეს ყოვლისა, დიდმა რუსმა ხალხმა ჩაუყარა საფუძველი. ამიტომ პოეტის „ჩანაწერებში“

რუსი ხალხისადმი მგზნებარე სიყვარული არის ჩაქსოვილი: „რუსო ძმობალო, ჩაგვიკრა მინდა დიდ სიყვარულით შემოსულ გულში“.

შ. აფხაიძის „ჩანაწერებში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლექსი: „კურსკის შემოგარენი“. ამ ლექსში ჩვენ გვხვავს საბჭოთა ადამიანის კემპარიტი პატრიოტული გრძნობა, ღრმა პოეტური ჩანაფიქრი და მისი ოსტატური მხატვრული ხორცშესხმა. სამამულო ომის შემდეგ პოეტი პირველად მოგზაურობს კურსკის გზაზე. წინათ, როცა ლენინგრადში სწავლობდა, მას არა ერთხელ სმენია ამ ტყიან მიდამოებში კურსკის განთქმული ბულბულების სტვენა: „ამ გზაზე ბევრჯერ გამოივილია და ბულბულების მსმენია სტვენა“ — ამბობს პოეტი და ბულბულებს ეუბნება, — „ახლაც მახსოვს დაუღალავი თქვენი სიმღერა; როცა ჩემს პირველ სიყვარულს უგალობდით და აი აქ, კურსკის შემოგარენში არხევდით ტყეებსო“. მოყოლებული იმ წლებიდან იგი მოხიბლული იყო კურსკის შემოგარენით და რუსეთის ცის მშვენივრებით.

პოეტი მიმართავს ბულბულებს:

„რა მიხარია, ქარიშხლის შემდეგ,
რომ დაუბრუნდით შობლიურ ტყეებს.
თქვენი ყვლები, ვერცხლის ხალისით
რომ უმღერიან ამ ნათელ დღეებს,
რომ უმღერიან იმათ საფლავებს“...

აქ ლაპარაკია იმ გმირ მებრძოლებზე, ვინც სამშობლოს დაცვისათვის კურსკის შემოგარენში გმირულად იბრძოდა, დეცა „და შეუერთდა ამ წმინდა მიწას“. პოეტი გმირ მებრძოლს მიმართავს:

„აქ გადაემხვრა მტერს ხერხემლი,
ამიტომ ბრწყინავ გულმობატულთ!
შენი დიდების შექთან ვარ ახლო
და ვგრძნობ — სინათლე როგორ მატულობს“.

პოეტი ამბობს — „ამ გზაზე ბევრჯერ გამოვილია, მაგრამ ამ სიამაყით კი — არასოდესო“. ლექსი ასე თავდება:

„ახლაც მივდივარ, ყველგან გაშლილი
მხედება მოამთა კეთილი გული,
ამ გულთბილ ხალხის დიდ სიყვარულის
სალაშური ვარ, ერთი ერთგული“.

„კურსკის შემოგარენს“ მოჰყვება ლექსი „დიდება მოსკოვს“ და „ინსტრუმენტალური ვარ“. პოეტი ჩადის მოსკოვს; ჩამოსასვს ისე შესცქერის მთელი სამყარო, როგორც თავისუფლების ქვაკუთხედს. „მოსკოვი არის სამყაროს გული, ხალხთა მშვიდობის უშრეტე წყარო“. რუსეთში ყოფნის დროს პოეტი ყველგან აყვავებულ ქვეყანას, სასახელო შრომის გმირებს ხედავს.

როცა მინდვრად და ქალაქად დახვეწებულ ბარაქას ხედავს, პოეტს ნატკრებადებდა: არ ჩამორჩეს, მიჰყვეს ახალ ცხოვრებას. იგი ამბობს: „მზე — კომუნისტის მინდა კარი მეც შემოვიღო“.

რუსეთიდან პოეტი თითქოს ერთი-ათად გაზრდილი ბრუნდება საქართველოში და მის წიგნშიც „ჩანაწერების“ შემდეგ ერთიმეორეზე უკეთესი ლექსებია მოთავსებული: „ის დღე რად მინდა“, „ეს ჩემი დროა“, „საგაზაფხულო სიმღერა“, „ჩემი თაობა“, „ქვიშხეთის დილა“, „კოლმეურნის ეზო“, „კალოზე“, „გაზაფხული“, „ნაკადული“ და სხვანი.

ის დღე რად მინდა, თუ მზე ვერ ვნახე
და თუ რითიმე ჩემს ხალხს არ ვარგე,
თუ არ მაძნევენს ძვირფასი სახე
და კომუნისტის დიად ბაღნარში
ერთი ზეხილი მეც თუ არ დავარგე...
ის დღე რად მინდა, თუ კეთილ საქმი
გულმა მზურვალემ არ იგრძნო შეება!“

(ის დღე რად მინდა“)

მაგრამ ამ კარგი ლექსების გვერდით შ. აფხაიძის წიგნში გვხვდება ისეთებიც, რომლებშიც ჩვენი დრო ვერ პოულობს სათანადო პოეტურ გამოხატვას და ავტორის მოთხოვნილება: „თუ ჩვენი დროის გაქვს სიხარული დაიგუგუნებ მართალი ლექსითო“, „სამწუხაროდ, შეუსრულებელი რჩება. თუმც ჩვენი „დროის სიხარული“ ჩვენს პოეტს ქარბად მოეპოება, თუმც მის მკერდში საბჭოთა პატრიოტის გული ძვრს, ხშირად მისი ლექსი ახლებურად მაინც ვერ „გუგუნებს“ და ავტორის კეთილ სურვილსა და შესაძლებლობას შორის ზღვარი ჩნდება. ასეთებია: „ახალ კოლხიდას“, „ნასაკირალი“, ლექსები, რომლებიც შე-

დიან ციკლში „საქართველოს მინდვრებსა და ბაღებში“ და სხვანი. „ზღვის პეიზაჟები“ შეიცავენ, უმთავრესად, მცირე იდეური რეზონანსის ლექსებს. ჩვენ აქ წავაწყდებით პოეტური მღელვარებით სავსე ლექსებსაც. მაგრამ ამ მღელვარებისათვის პოეტს ვერ გამოუძებნია სათანადო, შესაფერისი ფორმა. ავტორის პოეტური კონცეფცია ხშირად ბუნდოვანია და ვერ გაიგებ, რა აღლვებს, რა სურს, რა სტანჯავს პოეტს, რა სიყვარულის ცეცხლი სწვავს მას და რისთვის არის ამრიგად გულგაღებლილი? ამ მხრივ დამახასიათებელია სტრიქონი — „როგორც წარმართი ძირს დავეცემი და შევღალადებ მოვარდნილ მზესა“. შ. აფხაიძის ლექსებს ხშირად სენტიმენტალობის და გულუბრყვილობის იერიც დაჰკრავს. ავტორი შეჰღალადებს „იმ პირველ იას — ბუჩქის ძირას რომ ედეს აიფეთქებს და გააზნობრებს, ნაკლთა ზეიშს, მიწის ოხმივარს, ყაყაჩოთა მეწამულ მორევს“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი თავისი ფერწერის დასამშვენებლად აჩემებული სახეების ხმარებაში ზომას ვერ იცავს და ეს გარემოება უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე: ასეთი სახეებია: „ყაყაჩო“, „ია“, „ვარდ-ყვავილები“, „ბროწეული“, („ბროწეულის ალი“), „ხოხობი“ („ხოხბის ყელი“), „მერცხალი“, „მზე“, „ციხარტყლა“, „ცვარ-ნამი“, „ცა“... განსაკუთრებით კი — „ფარჩა“, „რიკრაჟი“, „მინანქარი“ („მინანქარის ცა“, „მინანქარის თალი“, „მინანქარის ქარი“, „მინანქარის ზღვა, წყალი“...). ხოლო რაც შეეხება „ლაყვარდს“, იგი ოთხმოცდაორჯერ მეორდება წიგნში. არის შემთხვევები, როცა „ლაყვარდი“ ორჯერ და სამჯერაც გვხვდება ერთსა და იმავე ლექსში. მაგალითად: „სამშობლოში“, „ტრიოლეტებში“ (72 და 227 გვერდებზე): „მთაზე ლაყვარდი“, ველზე ლაყვარდი, ყველგან ლაყვარდი კრთის უღვევლი“, „დადის ლაყვარდში“ (მთვარე), „მისი (მთაწმინდის) ლაყვარდი“, „სადაც (მწვერვალზე) ლაყვარდის ზეირთნი მიწას ერთვიან“ და ა. შ.

მთაწმინდა, მართლაც, „მეგრულად აღებული ლაყვარდში ცურავს (ქვემოთწერილია)“ და პოეტი, ლაყვარდებით აღტაცებული, გვიხატავს თავისი ქვეყნის მშვენიერებას, მაგრამ ფერად-ფერადი სიტყვების სიუხვე, „ლაყვარდებით“ გატაცება ერთფეროვნებისა და პოეტური შტამის შთაბეჭდილებას ქმნის. გარდა ამისა, ავტორი ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევს ლექსის კეთილშობიანებას, ელერადობას, სამკაულებს და, რაც მთავარია, რითმებს და გასართომავ სიტყვებში მახვილების სიზუსტეს და შესაბამისობას. მაგალითად: „ცუზრავს“ — „გადმომბტრავს“ ცუდი რითმა, რადგან პირველ შემთხვევაში მახვილი ბოლოდან სიტყვის მეორე ხმოვანზე მოდის, ხოლო მეორე შემთხვევაში — მესამე ხმოვანზე (ან კიდევ: — „ბუზდეს“ — „დაგზუდენ“), რაც ლექსს აურთებს და კეთილშობიანებას უკარგავს. რითმების მხრივ შ. აფხაიძის ლექსებში მეტად ხშირად გვაქვს საქმე ასეთ მღგობარეობასთან და მკითხველს გული წყდება, რადგან ავტორს კარგი რითმების შერჩევის უნარი უთუოდ გააჩნია. მაგალითად: „ღტროდან“ — „მღტროდა“, „რრდი აქოს“ — „ზრდი აქოს“... რითმა სიტყვაში არსებული მარტო ხმოვნების და თანხმოვნების შეწყობა, შემმატებლობა როდია, არამედ სიტყვებში არსებული ერთნაირი თუ საწინააღმდეგო ცნების შეხამების ან დაპირისპირების მძლავრი საშუალებაა.

შ. აფხაიძის ლექსებს არ აკლიათ იდეური გააზრება, მაგრამ ზოგჯერ შემთხვევაში ეს იდეური გააზრება ორგანულად არ გამომდინარეობს ლექსის პოეტური კონცეფციიდან და ნაწარმოების ბოლოში არის ხელოვნურად და ნაძალადევად მიკერებული. ავიღოთ მაგალითისათვის „გაზაფხული“. ამ ლირიკულ ლექსში აღწერილია ყვავილები, ცა მინანქრისფერი, რა თქმა უნდა, ლაყვარდი, ნაკადულები, პირველი გრგვინვა, მერცხალთ ელურტული, ხოხობთა ყელი, გაზაფხულის ცხოველმყოფელი ძალა, რომელსაც „აღარ ჩრდილავს ზამთრის



ღრუბელი". გაზაფხულის სურათი აქ საესეებით დასრულებულია, მაგრამ პოეტი ბოლოს მოულოდნელად აცხადებს: „მან (გაზაფხულმა) ჩვენი გული დაიმორჩილა — ეს კომუნისმის გაზაფხულია“. ლექსში არც ერთი კონკრეტული ნიშანი არ მოიპოება იმისა, რომ ეს ზოგადი სახის მქონე გაზაფხული კომუნისმის გაზაფხულად მივიჩნიოთ. ასეთივე მდგომარეობაა ლექსში „ნატვრა“. პოეტი ოცნებობს ყოფილ სატრფოსთან წყნეთში შეხვედრას და ეუბნება: მსურს „ვინახულო წყნარი წყნეთი, ვინახულო ხის ის ჩერო, შენს მშვენიერას რომ ფარავდა“. პოეტს აგონდება სატრფოსთან გატარებული წინაპრი ზაფხული, მას სურს იყოს „ქალის ჩრდილის მოალერსე“ და ა. შ. ლექსის ბოლოს კი ავტორი ისევ მოულოდნელად აცხადებს: „ჩემი ხალხის გამარჯვება, კომუნისმის შუქი მინდა, მსურს შევხედო ჩემს ქვეყანას კომუნისმის სიმალლიდან“. იდეოლოგიურად სწორად გააზრებული ეს დაბოლოებანი ორგანულად არ გამომდინარეობენ ლექსში შექმნილი ძირითადი განწყობილებიდან და სახეთა სისტემადან.

შ. აფხაიძეს კარგად ესმის, რომ ახალ ცხოვრებას და ეპოქას მისი შესაფერი ახალი გამოხატვა სჭირდება („ახალ სიცოცხლის ძალით აღვსილი სულ სხვა სიმღერით გავათბობ ლერწამს“), მაგრამ მისი ლექსი მაინც ზოგჯერ უკვე ნათქვამ ძველ სიმღერას მოგვაგონებს. ავიღოთ მაგალითისათვის ლექსები: „ზღვასთან“, „ლირიკული პეიზაჟი“ და გავხიზოთ „ახალი სიცოცხლის ძალით აღვსილი“ პოეტი თუ როგორი ახალი „სულ სხვა სიმღერით ათბობს ლერწამს?“

„ლირიკულ პეიზაჟში“ აღწერილია მთვარით გაშუქებული ფართო ეზო, სადაც „მაღალ ქადრის ქვეშ ზავსით (ანუ დაუსაბამო ეპით) დახრული დგანან ლოდები“, სადაც „ტირიფი ღელეში ვარსკვლავთ ეალერსება წვრილი ტოტებით“, „კრიკინა არავინ იცის ვის ედაეება და შეუმჩნეველად ფერმძინარის თავზე ადგება მთვარე ვეება“. სძინავს სოფელს, მთელ არე-მარეს. ამ სევდიანი

ლირიკული პეიზაჟის პოეტური კონტრასტებშია: „ეპით მდინარეებში ლოდები“ — „მნათობები“, „მდინარეებში ლამე“ — „შემაღული პატარა კრიკინა“, „პატარა ია“ — „ვეება მთვარე“. ამ მთვარიან ლამით მიძინებულ სოფელში „ფხიზლობს მხოლოდ ორი მიჯნური ბროწეულების ბნელ ორლობეში“. ლექსის სევდიანი პეიზაჟი არსებითად აქ მთავრდება. მაგრამ პოეტი თითქოს შეუშინდა სევდიანი განწყობილების შექმნას. ამიტომ ხელოვნურად მიაწება ამ სევდიან პეიზაჟს სევდის გამფანტველი სტრიქონები, რომლებიც ოპტიმიზმს შეიცავენ, მაგრამ ორგანულად არ უკავშირდებიან ლექსის პირველ ნახევარს. ლექსის მეორე ნახევრის შინაარსი ასეთია: ბროწეულების ბნელ ორლობეში მდგარი ის ორი მიჯნური „დღით ერთად იყვნენ... მინდორში მტკიცედ შეფარეს ბელადს, რომ შეხვედრის ყელს შემოდგომას უხე მოსავლით...“ პოეტი გრძნობს იმასაც, რომ პირველი ნაწილი ლექსისა — სევდიანი პეიზაჟი დაიჯარგა, რომ ნაწარმებში მეორე, სხვა ხასიათის, სხვა განწყობილების შემცველი ლექსი შეიქრა, ამიტომ კვლავ პირველს უბრუნდება და ლექსს აქე ამთავრებს: „მთვარე კი მათ ჩრდილს უელის გარშემო ცბიერ ღიმილით წმინდა და მშვიდი“. ცნება „ცბიერი“ და „წმინდა“ ერთმანეთს გამორიცხავენ ისევე, როგორც ხელოვნურად შერწყმული პესიმისტური და ოპტიმისტური განწყობილება. ასეთი შემთხვევები შ. აფხაიძის სხვა ლექსებშიც მოიძებნებიან და ამ გარემოებას ავტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

თუ „ლირიკულ პეიზაჟში“ პესიმისტური და ოპტიმისტური მსოფლშეგარება ებრძვიან ერთმანეთს, ლექსში „ზღვასთან“ მხოლოდ-ღა პესიმისტური პეიზაჟია დახატული. ავტორი აგვიწერს ზღვისა და მთვარიანი ღამის სევდიან პეიზაჟს: ზვირთებიდან ცურვით ამოსულ მთვარეს, შორეული ვარსკვლავებით მოქედელ ვრცელ ცას, რომელიც ჩუმ ღამეში ზღვას დაჰყურებს. აგვიწერს დაუ-

საბამო სიერცის სიმშვიდეს, პოეტის გულს რომ ასე საამოდ (?) ეფინება:

„გულს შეფინება ზღვის სილამაზე,
მარადიული და ასე ვრცელი
შეცქერა ზვირთებს, გაწოლილ მისზე
და მწვევს რატომღაც
სხვადა სიერცეთა გამოუთქმელი“

ამ სევდიანი ლექსის აზრი ის გახლავთ, რომ „მარადიული და ასე ვრცელი ზღვის სილამაზის“, დაუსაბამის სიერცის წინაშე პოეტი თავის სიპატარავეს, უსუსურობას, მარტოობას და აქედან გამომდინარე „გამოუთქმელ სევდას“ გრძნობს. გრანდიოზული და დაუსაბამო სტიქიის ასეთი ქვერტა კი არ ამკვიდრებს ამ ქვეყანაზე აღამიანს, კი არ აღამალღებს აღამიანის სულს, არამედ ზღუდავს მას.

ზემთ გარჩეული ლექსების—„ზღვა-სთან“ და „ლირიკული პეიზაჟის“ ერთგვარი ღირსება მხოლოდ იმაშია, რომ მათი პოეტური კონცეფცია უფრო ნათელია, ვიდრე ზოგიერთი სხვა ლექსისა, პოეტის აზრიც გასაგებია, მაგრამ ეს აზრი, როგორც აღვნიშნეთ, პესიმისტურია, ხოლო მისი მხატვრული გამოსახვა კი — ძველი. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ისევ მოვაგონოთ ჩვენს პოეტს, თუ რაოდენ აუცილებელია, რომ იგი ყველგან და ყოველთვის მტკიცედ იცავდეს თავისივე ფორმულას: „ახალ სიცოცხლის ძალით აღვსილი სულ სხვა სიმღერით გავათბობ ღერწმას“.

ერთ თავის ლექსში — „ოცნებაში“ შ. აფხაიძე ამბობს, რომ მის ოცნებას სურს გაარღვიოს ოთახის ზღუდე, „მიპყვეს ცხოვრების უსაზღვრო ქროლვას, ხალხის უბეში მოსძებნოს ბინა და მისი რწმენით გაბრწყინებული დაადგეს ლექსებს ნათელ გვირგვინად“. მიუხედავად ამისა, იგი იქვე, მეორე თავის ლექსში — „აღსარებაში“ ჩივის, რომ „უკვე დამოკლდა გზა ბრძოლით სავსე“, „ოცნების ცეცხლიც თითქოს მიწელდა“, რომ მას „გარდასულ წლების სიმძიმე შეუბრალებლად ძირს ეხიდება“. პოეტი იქვე

შენიშნავს, რომ ოცნების ცეცხლი ჩემში თუქა მიწელდა, „მინც მარტოობას მისი ლადარი“ მინდა „მივყუ-ტხოვრების უშლელ დიდებას“ „და მიწას, რომლის ტრფობამ დამცალა, გადავცე ძვლებით ეს სიბზო დიდი“, „სულს თავისუფალს ვერ დახრის სევდა, მოახლოებულ უფსკრულის ზარის“. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, პოეტის სულში მინც ღრმად გაუღგამს ფესვები სიპატარა გაფრენის, სიბერის და მოახლოებული უფსკრულის — სიკვდილის გამო გამოწვეულ სევდასა და შიშს. ეგ სევდა და შიში სხვაგანაც აქვს გამოთქმული შ. აფხაიძეს და ამ ლექსების გარჩევას აღარ შეუღლებით. არ გამოვუღლებით აგრეთვე ზოგიერთ სატრფილო ლექსებსაც, რომლებშიც ბევრი კარგი სახე, შედარება გვხვდება, მაგრამ სხვათა მიერ თქმულის მსგავსი; არც სონეტებს, რომლებშიც აღწერილია ძველი ციხეები — უჯარმა, ბაგრატის ტაძარი, წულრულაშენი, წრომი, ფრესკები — ყინვისის ანგელოსი, არმაზი — სერაფიტა, ძველი ომები, მეფეები და გმირები. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს წარსული დიდების გამო დაწერილი ეგ სონეტები შერჩევით უნდა შეეტანა წიგნში ავტორს.

„ლირიკულ პეიზაჟებში“ შესული სიმღერებიდან ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ ის ლექსები, რომლებშიც გააზრების ხელოვნურობა არ იგრძნობა. ასეთებია: „გაზაფხული“ („გამოღვიძებულ ღია ლაყვარლებს“ გვ. 208) „ნაკადული“, „ბაღში“, „წვიმაში“ და სხვა. ავტორი ნაზი ფერებით, მოხდენილი მხატვრული შედარებებით და სახეებით ხატავს გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას, მზიან და წვიმიან დღეს, საქართველოს ბუნების მშვენიერებას და მოგვითხრობს, თუ როგორ „დადის და ხატავს ნაირფერებით ველს გაზაფხული — დიდი მხატვარი“. ჩვენი პოეტის თვალს არ გამოპარვია „ცის ლაყვარდში მოზუზუნე ფურტკარი“, „წყურვილს რომ იცხრობს ყვავილში ჩამდგარ ცვარით“, „მოუსვენარი პეპელა“, რომელიც „აუ-



რის ყვაველით ფერფლს თავზე ფრთებით“, სიო, რომელსაც „გაშლილ ყვაველიდან ყვაველზე გადააქვს მტვერი“, ქიამაია, რომელიც ფოთოლზე ბრწყინავს ვით ნაპერწყალი“, „პირველი მერცხალი, ხმაგამეტებით მშის მობრუნება რომ მიახარა“. პოეტის თვალს არ გამოპარვია არც პატარა ნაკადული, რომელიც „შხეფების ნისლით ნაპირებს ნამავს... დაკაწრული მაცვლის ეკლებით“ პოეტი შეტრფის მზეს და ბუნების სიციცხლის სუნთქვით აღტაცებული მღერის:

„გარშეო გაშლილ მბრწყინავ ყვაველებს,
ეთ ძველ მეგობრებს ვებასებო,
და მათში ჩამღვარ ღამის წმინდა ნამს
გვგამ შე მათივე ფოთლის თსებით“.

ამ ლექსებში პოეტი ბუნების მშვენიერების მხატვრად, კემშარიტ ლირიკოსად გვევლინება. მის მხატვრობაში ბოტანიკოსისა და ზოოლოგის მახვილი თვალიც კი ჩანს. თუმცა ჩვენს ბოტანიკოსს ხანდახან წელიწადის დრო ერევა ერთმანეთში: „ცაცხვის ყვაველები“ არ შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც მწიფეა ატამი, მით უმეტეს — ბროწეული!

შ. აფხაიძე კემშარიტი ლირიკოსია ბუნების წარმტაცი მშვენიერების — გაზაფხულის გამოხატვისას, მაგრამ მისი ლირიზმი უფრო ღრმა და ფაქიზია იქ, სადაც იგი თავისი დედის, ცოცხალი თუ უდროოდ დაკარგული მეგობრების და ქართველ ხელოვან ქალების სახეებს გვიხატავს.

ავტორს უხვად შეუტანია თავის წიგნში ცნობილი ქართველი მწერლების, პოეტების, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებისადმი, საბჭოთა გმირ ადამიანებისადმი მიძღვნილი ლექსები. ყველა ეს ლექსი, მიუხედავად დროდადრო აქტუარული სევდიანი პანგებისა, ოპტიმისტური ფინალით მთავრდება და, ძირითადად, სამშობლოსადმი და საბჭოთა, ხალხის დიადი მომავლისადმი ავტორის ღრმა სიყვარულზე და ნათელ რწმენაზე მეტყველებს.

ლექსში „თამარ აბაქელიას ხსოვნას“

პოეტი დასტირის ნიჭიერი მხატვრის და მოქანდაკე ქალის უდროოდ გარდაცვალებას:

„მარმარლოსთან მუდმივ ბრძოლაში,
ფერთა თამაში ეძებდი შევას.
რა შეუქი ჩართე მღუმარე ქვაში!...
შენ კი სადა ხარ! რად არ მშველებიან
შუქით სავსენი თვალეზი შენი?
ნუთუ ეს თვალნი აზრსხივოსანნი
ყოფილ მშვენების ნანგრევება?“

პოეტის ტრფიალი ქალისადმი გამოწვეულია არა მარტო გარეგანი, არამედ სულიერი სილამაზის ჰერეტიოაც. ქალის სილამაზე მაშინ არის პოეტისათვის მიმზიდველი და მომხიბლველი, როცა ამ სილამაზეს სულიერი კეთილშობილება, სინაზე, სათნოება და კდემამოსილება ასაზრდოებს.

წერილის შესავალში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შ. აფხაიძისათვის, ისე როგორც მისი თაობის სხვა პოეტებისა და მწერლებისათვის, ადვილი როდი იყო ძველი ლიტერატურული ინერციის დაძლევა.

ქართველი საბჭოთა მწერლები თავის საუკეთესო ქმნილებებში შემოქმედებითად იყენებენ ქართული კლასიკური ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებს. მაგრამ ყოველივე ძველი და კლასიკური ტრადიციად არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძველი და კლასიკურია, რომ ის აკაკის, ილიას ან ვაყის ჰქონდა გამოყენებული, რომ ის ხალხურ პოეზიაშიც გვხვდებოდა. ყოველივე კარგი და შესაფერისი თავისი დროისათვის როდი უნდა იყოს მინუნული ტრადიციად, ტრადიციის ტრადიციულობით როდი უნდა შევცვალოთ. ასეთ ტრადიციულობას კი ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ქართული პოეტების ლექსებში. ამავე დროს თანამედროვე პოეტები ხშირად ერთმანეთსაც ჰბაძავენ, რაც ხელს უწყობს იმ სტანდარტული ლექსების შექმნას, რომელთაც ხელისმოუწერლად კაცი ერთმანეთისაგან ვერც კი გააჩივებს. ჩვენ კი ხშირად ყველაფერი რიგზე გვგონია და ყურადღებას არ ვაქცევთ იმ გარემოე-

ბას, რომ იშვიათად თუ ვინმე ეძებს საკუთარ ხმას, საკუთარ სტილს, მხატვრულ კონცეფციას. ამ ტრადიციულობას, მიმბაძველობას, გავლენებს, ერთფეროვნებას, როგორც ჩვენს წერაში იყო ნაჩვენები, ხანდახან შ. აფხაიძეც ვერ აღწევს თავს და მისი ფორმულა — „ახალ ეპოქას ახალი სიმღერები ეჭირვებაო“, — ზოგ შემთხვევაში შეუსრულებელი რჩება.

შ. აფხაიძეს, ისე როგორც ყველა ჩვენგანს, კომუნიზმის იდეალები ასულდგმულებს, მაგრამ ამ იდეალს ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური გამოხატვა სჭირდება. ზელოვნების ძალა იმაშია, თუ როგორ გამოხატავს იდეას მხატვარი; პოეტი თავისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ სიმახვილეს უნდა იჩენდეს, თავის საკუთარ დაღს უნდა ას-

ვამდეს ნაწარმოებს და მასში კაცობრივ ბიოგრაფიასაც ამკლავებდეს. ამისთვის პოეტურ ხმას სხვათა ხმისაგან ყველა ადვილად გამოარჩევს.

სამოც წელს მიღწეული, უკვე კიდარა პოეტი, თუმცა ზოგჯერ კმუნვითა და კაეშნით მღერის — მეგობრების დაკარგვის, სიჭაბუკის სწრაფწარმავლობის, სიბერეში შესვლის გამო, მაგრამ ეგ სევედიანი ნაკადი მალე იკარგება ჭაბუკური ალტაეებით სავსე ერთ მთლიან განუწყვეტელ სიმღერაში, — რომლის ლეიტ-მოტივს წარმოადგენს საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხის აწმყოსა და დიადი მომავლისადმი სიყვარული, კომუნიზმის მშენებლობისათვის თავდადებული შრომა და ბრძოლა, ხალხთა შორის მეგობრობა, მშვიდობიანობა, ადამიანის სულის სისპეტაკე და მშვენიერება.



სოლომონ ღოღაშვილი

(გარდაცვალებიდან 150 წლისთავის გამო)

სოლომონ ღოღაშვილის პორტრეტი არ შენახულა. არც მისი მოწაფის, ნ. ბარათაშვილის სახის გამოხატულებაა ცნობილი. ლაბრედი ნისლი ფარავს მასწავლებლისა და მოწაფის სახეებს ჩვენგან.

ორივეს ბედი თითქმის ერთგვარად ტრაგიკული იყო. ორივემ სამშობლოს გარეთ ჰპოვეს უკანასკნელი განსასვენებელი.

შესანიშნავი მოაზროვნის — ს. ღოღაშვილის სიკოცხელ ხანმოკლე იყო, მისი იდეების ზეგავლენა კი — ხანგრძლივი და ნაყოფიერი. დაუღალავი შრომითა და ჯაფითაა აღსავსე ს. ღოღაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მღელვარე რიტორიკა აღბეჭდილი მისი სტულიერი ცხოვრებატ.

სოლომონ ივანეს ძე ღოღაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს კახეთის სოფელ შალაროში, გლეხი მღვდლის ოჯახში. ეს ნამდვილი ქართველი რანსონიწველი პირველად ბოღბის მონასტრის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი სოღნალის სასულიერო სასწავლებელში შესულა. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ს. ღოღაშვილი სიღნაღის სამრევლო სასწავლებელშივე დაინიშნავე მასწავლებლად. 1824 წელს ს. ღოღაშვილი პეტერბურგში მიემგზავრება და ცნობილი მწიგნობრის იონა ხელაშვილის დახმარებით შედის ფინიერსტიტეტში ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც სამი წლის შემდეგ ამთავრებს.

1827 წელს ს. ღოღაშვილი პეტერბურგში ბეჭდვას შრომას „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა“. ეს შრომა თვალსაზრისი მიღწევადაა ცნობილი არსებული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ავტორი აპირებდა იგი ქართულადაც დაებეჭდა.

როგორც განსწავლის პერიოდში, ისე „ლოგიკის“ გამოცემისას ს. ღოღაშვილს ყოველმხრივ ემხარებოდა იონა ხელაშვილი. ეს უკანასკნელი სოლომონის შამის ატყობინებდა: „ოქტევი სოლომონ სულით არს ჭალანტებიან და მდამალ და მწვიდ და წყნობით პატიოსან და ხარკტირებითა ნიშტიან. აღთქმათა შინა და სიტყვათა მტკიცე. უტრუვილ... სწავლათა შინა მარჯვე... ვრისა მოყვარე, მამულისა მოსურნი“.

1827 წლის ივლისში ს. ღოღაშვილი საქართველოში ჩამოვიდა და მასწავლებლად დაინიშნა

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც იგი ქართულ გრამატიკას, გეოგრაფიას, რიტორიკასა და ლოგიკას ასწავლიდა. 1828 წლიდან ს. ღოღაშვილი რედაქტორობს გაზეთს „ტფილისის უწყებანი“, რომელიც არსებული ოფიციალური ქართულ თარგმანს წარმოადგენდა. დოღაშვილი იყო აგრეთვე რედაქტორი ლიტერატურული დამატებისა, რომელიც ყოველწევლების სახით გამოდიოდა შემდეგი სათაურით: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ.). ამ ეტრნალში დაიბეჭდა, სხვათა შორის, თვით რედაქტორის „მოკლე განხილვა ქართულია ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, ნარკვევი „შეფობა შეფის ირაკლისა“, ორიგინალური მოთხრობა „ელენა“, კიდევ რამდენიმე წერილი და თარგმანები. ამრიგად, ს. ღოღაშვილი ქართული პრესისა და, კერძოდ, ეტრნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. გარდა ამისა, ს. ღოღაშვილს ქართულად დაწერია და არსულად უთარგმნია „რიტორიკა“, შეუდგენია ქართული წიგნების „რეესტრი“ (600-მდე სახელწოდების); მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ლექსი და სხვა ნაწარმოებნი.

ს. ღოღაშვილის როგორც მეცნიერის, მწერლის, პედაგოგისა და ეტრნალისტიკის საქმიანობა ორგანულად იყო დაკავშირებული მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან. ს. ღოღაშვილი ღრმად იყო დაინტერესებული საქართველოს პოლიტიკური ბედ-იბდლითა და მომავლით, საზოგადოებრივ და სამწერლო საზბილეზე იგი უნდა იო პატრიოტიკული შეგნებით ეყოფებოდ ყოველ საქმეს. „არა თავისი თვისსათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის, ემპეშეობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისათ“ — სწერდა იგი იონა ხელაშვილს ჯერ კიდევ 1826 წელს. თბილისში ჩამოსვლისთანავე შეეხდა ს. ღოღაშვილი მოწაფეებისათვის გრამატიკის შედგენას, რომელიც 1830 წელს დაიბეჭდა კიდევაც. ცნობილია, რომ ნიკ. ბარათაშვილი ამ „გრამატიკის“ მიზნდებით სწავლობდა მშობლიური ენის კანონებს. მომავალი დიდი ლირიკოსის სტილსა და ორთოგრაფიას შეათეოდ აღბეჭდავს მასწავლებლის გრამატიკულ ნორმათა ზეგავლენის კვალი.

უფრო დიდი გავლენა ჰქონდა თავის მოწინააღმდეგეზე ს. დოდაშვილს, როგორც მოწინავე საზოგადოებრივი იდეალების მქადაგებელ მოღვაწეს. ეს შესანიშნავი პატრიოტი და ოცდაათიანი წლების ქართველი განმანათლებელი რესპუბლიკური მისწრაფებებით გამსჭვალული დამრუნდა რუსეთიდან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პეტერბურგში მისი ცხოვრების პერიოდი ემთხვევა დეკაბრისტების გამოსვლის სენატის მოედანზე და უმჯობესად, იგი მოწმე უნდა ყოფილიყო ამ მოედანზე მომხდარი ტრაგედისა. დეკაბრისტებმა ისევე გამოაღივინა ს. დოდაშვილი იდეურად, როგორც უფრო გვიან გამოაღივინეს მათ დიდი რუსი რევოლუციონერი გერცენი. ს. დოდაშვილს კვარკვიანე პეტერბურგში გადაუწყვია დეკაბრისტებოტრის რაღვევის ბარათი, ცოლთან მიწერილი სიყვდილით დასჯის წინა დღეებში, და მომავალი შემთხვევით ფრთხილად ინახავდა მას, როგორც ძვირფას რელიკვიას.

თბილისის ვიმნაზიაში ს. დოდაშვილი შეფარვით აცნობდა თავის პოლიტიკურ შეხედულებებს ახალგაზრდა შეგირდებს და ზოგჯერ საჯარო გამოსვლებშიაც არ ერიდებოდა ნართავლად ელაპარაკა საქართველოს წარსულისა და მომავლის საკითხებზე. ასე მავალითად, კეთილშობილთა სასწავლებლის საჯარო გამოცდაზე, 1828 წლის 8 ივნისს მან წარმოატყა სიტყვა, რომელიც მონარქიული წყობის საკმაოდ გამჭვირვალე კრიტიკას შეიცავდა. საქართველოს ერთგული დაქვეითების გამო ს. დოდაშვილს სპეციალური უთქამსა... უკანასკნელ ერთ კერძო განუტყუებელთა ერთმან, მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესე ვითარ ბარისხამდე დამდაბლებისა... მავწყებელი მოქალაქეებისა თავისუფლებისა და თანაც წარწყმედელი მალისა მის დამიწმუნებისა ყარა და მეუღლისა...“.

ს. დოდაშვილის რესპუბლიკური იდეების ანარგვლს ვხედავთ ჩვენ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

5. ბარათაშვილის პოეზიაში ს. დოდაშვილის იდეური მემკვიდრეობის გამოძახილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით. ს. დოდაშვილის შეხედულებებს, რასაკვირველია, კარგად იცნობდა „მეტროსი“ ავტორი. ეს უკანასკნელი ადრე მომწიფდა იდეურად და სრულად არაა შეუძლებელი, რომ მასაც მიეღო მონაწილეობა იმ ლიტერატურულ კრებებში, რომლებიც მასწავლებლის ბინაზე იმართებოდა. კარგად ცნობილია, რომ დოდაშვილთან ხშირად იკრებებოდა მაშინდელი ახალგაზრდობის ყველაზე პროგრესული ნაწილი და მასპინძელი მეტს დავისუფლებას ვრწმობდა კერძო საუბრებში ღრის, კიდრე გიმნაზიაში ან საჯარო გამოსვლებში. პედაგოგის ბინაზე დადილიან მისი მოწოდებები (მეგ. დავით მაჩაბელი, ვიმნაზიაში ერთი კლასით უფროსი ნ. ბარათაშვილისა). ამიტომ საუფუძველს მოკლე-

ბული არ უნდა იყოს ვახტანგ ორბელიანის შეხედველი ცნობა: „იც. ბარათაშვილმ რქამაწმუწმის სოლომონ დოდაშვილთან... თუ მტკბობამ მქმამ დაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ბარათაშვილი ყოფილიყო“.

ს. დოდაშვილი „1832 წლის შეთქმულების“ ერთ-ერთი ცნობილი მონაწილე იყო ამ ნაციონალისტური შეთქმულების იდეური ხასიათი კარგადაა ცნობილი, ამიტომ მისი ისტორიის გადმოცემა აქ არ შეეძლებოდა. დეკაბრისტულ შეთქმულებას მიზნად ისახავდნენ საქართველოს „განთავისუფლებას“ მეფის რუსეთის ხელისუფლებასგან. მაგრამ ახალი საქართველო შეთქმულების ყველა წევრს ერთნაირად რთოვს ესხებოდა. ორგანიზაციის პროგრესულ, ძალზე მცირე ნაწილს, რომელიც დეკაბრისტების პროგრამიდან ბევრ რასმე რზიარებად, ახალი საქართველო სრულად არ წარმოედგინა იმ სახით, როგორც ის ესახებოდა შეთქმულთა კონსერვატულ უმრავლესობას. მაგრამ რესპუბლიკური წყობის მომხრეთა თვალსაზრისს, რასაკვირველია, არავითარი მყარი საფუძველი არ გააჩნია შეთქმულთა შორის, რომელთა ძირითადი პირობა თავიდან-შეწყობისგან შედგებოდა. ამიტომ რაზნოჩინელი ს. დოდაშვილი იდეურად შორს იდგა ფართო საზოგადოების ძირითადი მასისგან, მისი რეაქციული ფრთისგან. არასოდეს არ ყოფილა დოდაშვილის იდეალი XVIII საუკუნის ეფოდალური საქართველოს რესტავრაცია და შეთქმულთა „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“ რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მის იდეურ კრძალს. ს. დოდაშვილი პირდაპირ ეუბნებოდა განზრახული ამბოხების ზოგიერთ მეთურს: „...მე მინდა საქართველოს განთავისუფლება არა იმისათვის, რომ ვინმე მაგვრატონთა ვეარისანი გაიყუდეს საქართველოში, არამედ რათა საქართველო შეიქმნას რესპუბლიკად...“.

რუსეთში ემიგრირებულ უფლისწულთა არც ერთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი დავალება არ შეუსრულებია ს. დოდაშვილს საქართველოში. იგი კუწმარატი დემოკრატ იყო, ღრმა მძელვარებით უცქეროდა ყოველგვარ წოდებრივ უპირატესობას და ფიქრობდა, რომ „არა გვართა იქნებობის კაცთა, არამედ გონებითად მოქმედებთათა ხელოვნადი“. ხოლო ქართველ წარჩინებულ გეოგრაფთა შესახებ მას გარკვეული შეხედულება ჰქონდა: „ამირანებთ გამოცედას აქებურსა შკოლის თავადთა და აზნაურთისა, — სწერდა იგი იონა ხელაშვილს 1828 წელს. — წარმოსულთა მავათ თავადთა და აზნაურთა არა აქვთ მიღებულ სული იგი, რამელოცა მიზღოეს მე თქვენ მიერ. აქაცა უმრავლესი რიცხვი მათგანი მიზღდეგებთან იქიანა, არა მცნობენ არცა თავისა თვისისა და არცა სოფლისა ანუ არსებისა და ბუნებისა... არა აქვს განმარჩელობა თვისისა თვისისა“.



პირვეტყვთაგან და არა უწყიათ
საგანი თვისნიო". ასეთი მკაცრი მსჯე-
რი გამოეტანა დოღაშვილმა ქართულ არისტოკ-
რატას 30-ან წლებში.

რესპუბლიკურმა და დემოკრატიულმა მრწამს-
მა გამოაწვია დოღაშვილის ღრმა იდეური უთან-
მოება შეთქმულთა უმრავლესობასთან. ბო-
ლოს ამით დინახეს, რომ დოღაშვილის ბრძალ
გამოყენება წოდებრივი და ნაციონალისტური
მიზნებისათვის შეუძლებელი იყო, ამიტომ მას
საკვდილითაც კი დაემუქრნენ. ნიშანდობლივია
აგრეთვე ისიც, რომ მეფის მთავრობა ყველაზე
უღმობლად სწორედ ქართველ რესპუბლიკელს
შემეურთო — იგი ათი წლით გადაასახლეს ქ. ვიატ-
კაში და სამუდამოდ ატყრიალეს სამშობლოში
დაბრუნება.

ს. დოღაშვილს ჯერ კიდევ პეტერბურგის ნეს-
ტანმა პაემ შეურყია ისედაც სუსტი ჯანმრთე-
ლობა, შემდეგ აუტანელმა ჯაფამ და შრომამ
თბილისში, ბოლოს კი — პატივობამ და ვადა-
სახლეობამ. ვიატკაში იგი ერთხანს უბრალო მო-
ხელედ იყო კანცლარიაში, შემდეგ გუბერნატო-
რის კანცლარიაში მსახურობდა მაკიდს უფრო-
სად. ს. დოღაშვილი უშუალოდ ემყვებოდა რე-
ზოლუციის გუბერნატორ ტუფიაევს, იმ რვევს ტუ-
ფიაევს, რომლის ეგზომ ცოცხალი და მომავლი-
ნებელი პორტრეტი დაეკოტრვა გერცენმა თავის
განთქმულ შემეარებში.

1835 წლის ივნისში ქლუქით დაავადებულმა
ს. დოღაშვილმა ითხოვა რომელიმე თბილ მხარე-
ში გადაეყვანათ, მაგრამ იმპერატორმა ნიკოლოზ
I-მა მისი თხოვნა არ შეიწყარა. არც სიკვდილის
პირად მეოფის მეორე თხოვნა იქნა შეწყნარებუ-
ლი დესპოტი მეფის მიერ. 1836 წლის აგვისტო-
ში ს. დოღაშვილი გარდაიცვალა. ვიატკაში ამ
ღრის იმყოფებოდა აგრეთვე მეფისგან დგენილი
გერცენი, რომელიც დაემეობრებოდა ს. დოღა-
შვილს (ტუფიაევის კანცლარიაში ისინი ერთად
მსახურობდნენ). 1842 წლის დღიურში გერცენი
იგონებს: „...მან (დოღაშვილმა, ა. გ.) ვერ გაუჭ-
ლა სულთან პავს და საშინელი ქლუქი გაიწნდა,
მე იგი ვნახე საკვდილამდე რამდენიმე დღით
აღრტ, იგი სულსა დაფუვდა, ღრმად დარწმუნე-
ბულმა თქვა: — ღონედ გახატებულე უარესი
არ იყოს, თორემ შეიძლება ქლუქი გამიწნდესო".

ერთგვარად სიმბოლოება ეს შეგვდრია პირ-
ველი ქართველი რანჩონიელი შერლისა დიდ
რუს რევოლუციონერ-დემოკრატთან. ამოვან
მხოლოდ მეორეს ხედა წილად თავის უსანის-
ნაყო კალმით სამაგიერო მიეზღო ამ შეუღისათვის,
რომლის პოლიტიურმა რეჟიმმა გავგონარი დეე-
ნა და წაშება განადგევინა რუსეთისა და ყოფი-
ლი რუსეთის იმპერიაში შეშავალი ერების საუ-
კეთესო შეილებს.

საგანი ჩემი არს სიბრძნე! — წერდა ს. დო-
ღაშვილი ერთს კერძო ბარათში თავისებური, არ-
ქაიზებული ენით. მისი სულერი შემევიდრებომა
სავსებით ამართლებს ამ დევნას. „ლოგაის“
მომავალი ავტორი ყოველი საზოგადო მოღვაწის
ერთ-ერთ მთავარ მოწოდებს ინტელექტუალური
ინტერესების სფეროში ზედადა, თანაც ამ ინ-
ტერესებს ეროვნული სპირიტუბისა და გამოყე-
ნების ასექტში აფასებდა. ჯერ კიდევ 21 წლის
ქაბუცი წერდა თავის თავზე: „ამა, უმადლესნი
ჩაღნი გონებისა და სულისანი აღსდგენ და წარ-
მოსდგენენ მიარეკელისხაღმი ფილოსოფიურთა
სწავლათა განითლებისათვის გულისმისყოფისა
და სიტყვათა სამეკროთა გამოხატვისათვის გუ-
ლისა, რომელთა სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე
გულისმისყოფისა, წარმატებანი სწავლათანი
მომწობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა
გონებისასა, და წარმატებანი ენისა და სიტყვი-
რებისანი მშრომბენ აღმატებასა ერისისათა“. რო-
ვორც ვხედავთ, სიბრძნისაღმი თავის სიყვარულ-
სა და მიღრეკილებას ს. დოღაშვილი განმანთ-
ლებლერ მიზნებს უყავითებდა, თანაც ამგვარი
მიზანი მას საზოგადოდ ყოველგვარ ცრუმორწ-
მუნებაზე აღმაინის გონების გამარჯვების ნა-
წილად მიიანდა. დამახასიათებელია, რომ „ლო-
გაის“ პირველსავე გვერდზე ს. დოღაშვილი
იმოწმებს გამოწინილ ფილოსოფოსსა და მე-
წერეს ბეკონს: „ფილოსოფიურ სისტემათა ის-
ტორიის პირველი თვალის გადაკლებას აღვი-
ლად შეიძლება დაერწმუნდეო, რომ ქემარბიტი
ფილოსოფია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, რო-
ცა დატყრება ვნებანი, და როცა ცრურწმენანი,
რომელთაც ასე საპართიანად უწოდებს ბეკონი
აღმაინის გონების კერბებს, შესწყვეტენ მის
მართვისო“.

ს. დოღაშვილს არ დასკალდა თავისი მიზნების
განმორკოვლება. მაგრამ ეს ღრმად განსწავლუ-
ლი მოღვაწე ისევე წინ უსწრებდა თავის ეპო-
ქას იდეურად, როვორც მისი გენიალური მო-
წაფე ნიკოლოზ ბარათაშვილი — ესთეტიკურად
და მხატვრულად. ასეთია საწე ადამიანისა,
რომლის პორტრეტი არი დარჩენილა. ბეკერ
მისი „წარჩინებული“ თანამედროვის არსებობაზე
კი ამყამდ მხოლოდ სამეხეუმო აღბომებთ ან
საოჯახო იკონოგრაფიები მეტყველებენ.

ერის ხსოვნაში მარტოოდენ ისინი რჩებიან.
რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ერთსა და
იმევე ღრბს აწმყოსა და მომავლისაღმი მიმარ-
თული. სოლომონ დოღაშვილიც მათს რიცხვს
ეკუთვნის.

მაისი, 1955 წ.



გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე

გასული საუკუნის ქართული კულტურის პირველ დიდ მოღვაწეთა შორის დგას ახალგაზრდა მოაზროვნის სოლომონ დოღაშვილის მიმოხილველი ფიგურა. მას თანდათან ეცლება შორეული დროის ნისლი და ზვეწ ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმ დიდ ამაღზე, რომელიც სოლომონ დოღაშვილმა მშობელ ხალხს დასდო თავისი ხანძარს მოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობით. XIX საუკუნის დასაწყისში იგი პირველი ქართველი მოაზროვნეა, რომელმაც აღადგინა ისტორიულ კატაკლიზმებში შეწყვეტილი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძაფი და ახალი მეცნიერული ტრადიციები დანერგა ქართულ სინამდვილეში.

სოლ. დოღაშვილი გასული საუკუნის პირველი ქართველი რაზნოჩინელ-განმანათლებელია, რომელიც ყურადღებას იმურობს დრმა ფილოსოფიური ერთეულით და ფართო ლიტერატურული ინტერესებით. იგი ავტორია არა მხოლოდ შესანიშნავი ფილოსოფიური თხზულებისა, მის კალამს ეკუთვნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევისა და პოეტური სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდა.

გაოცებას იწვევს ს. დოღაშვილის მეცნიერული ცოდნის დიამაზონი. ფილოსოფია, ლიტერატურის ისტორია, გრამატიკა, იურისპრუდენცია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და გეოგრაფია—თი დარგები, რომლებშიც გარკვეული კვალი აქვს აღბეჭდილი ს. დოღაშვილს.

მაგრამ, რაც მთავარია, თავისი გონების ძლიერება, მოუტეველი ნებისყოფა, და დაუცხრომელი ენერჯია სოლომონ დოღაშვილს შეთავსებული ჰქონდა უდიდეს პატრიოტულ შეგნებასთან, თავისი ქვეყნის სიყვარული და მშობელი ხალხისთვის თავდადება მისი ფილოსოფიის მიზანი იყო.

ს. დოღაშვილის მაღალ ინტელექტუალურ თვისებებსა და პატრიოტიზმს თანამედროვეთა ყურადღება აღტყვევ მიუბრუნია. მაგ., ერთ-ერთ ბარათში აღნიშნულია: „Тифлисская публика всегда ожидала в Додаше человека с большим дарованием от природы, образованного, потому не удивительно, что она одобрила его произведение.“¹⁾

დიდი ავტორიტეტი დაემსახურებოდა ს. დოღაშვილს მაშინდელი პეტერბურგისა და მოსკოვის

ქართულ წრეებშიც განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსულ და ქართულ ენებზე დაიწერა, ხოლო რუსულად გამოიცა მისი „ფილოსოფიის ეურისი, ნაწილი პირველი. ლოგია“.

„ლოგიის“ გამოცეასთან დაკავშირებით ს. დოღაშვილს იონა ხელაშვილი სწერს: „...სამეფოანი სქესნი ჰვეირობენ, უმადლესისა სახლსა შინა შარიაშქ დადიანისქ ასულისა მოსტრული როსნი კითხულობენ დიდფიადისა გულმოდგინებით და ყმაყოფილებით. აგრეთვე სხედასხვა სახლებში ურვენებენ—ესერა ქართველმან დათხზიო ახალქაბუკან. გარნა თქვენ ნუ განლაღლებით.“²⁾ დოღაშვილის „ლოგია“³⁾ ღირსშესანიშნავი ფილოსოფიური თხზულებაა, რომლის ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ ავტორი თეოლოგიის სრულიად გამორიცხავს ფილოსოფიის სისტემაშიდან. ს. დოღაშვილის ფილოსოფიურ შეხედულებებში არის მატერიალიზმის გარკვეული ელემენტები აღსანიშნავია მისი დადებითი დამოკიდებულება ეკონომის მატერიალისტურ კონცეფციასთან მისი გალაშქრება სქოლასტიკის წინააღმდეგ.

ს. დოღაშვილის „ლოგიას“ ცხოველი ინტერესით შეხედნენ მაშინდელი რუსეთის ლიტერატურული და სამეცნიერო წრეები. ახალგაზრდა ქართველი მოაზროვნის შრომას მაღალი შეფასება მისცა იმ დროსა ცნობილმა ეურნალმა „მოსკოვის ტელეგრაფმა“, ამავე დროს, წიგნს გამოეხმურა „მოსკოვესი ეესტრნიკი“⁴⁾ საინტერესო რეცენზიით. „სვეერნიია პნულა“⁵⁾ კი ამ შრომის მთელ რიგ ღირსებებს აღნიშნავდა და დასძინდა: „ამ წიგნის ახალგაზრდა ავტორი ქართველია, აღიზარდა და სწავლობდა აქაურ უნივერსიტეტში და დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში გაემგზავრა იქაურ აღმნაზიის მასწავლებლის წოდებით.“⁶⁾ 1827 წ. 15 ივლისს იონა ხელაშვილი პეტერბურგიდან სწერდა ს. დოღაშვილს: „ლოგიის“ გამო ყველა ვამაჟვას გიძღვნაან, მეტადრე „პნულაში“ დაბეჭდილი წერილის შემდეგაჟ.⁷⁾

სოლომონ დოღაშვილის პაროვნებისადმი ინტერესი განსაკუთრებით აღიძრა 60—70-იან წლებში, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში „ღროების“ რედაქტორია

1) მ. გოცაძე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, 1, გვ. 208.
2) „Северная пчела“, 1827 г., № 27.
3) „მიმოხილველი“, 1851 წ. № 1, გვ. 431.

1) მ. გოცაძე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, 1, გვ. 208.

ს. მესხე „თავისი ვახუთის ფურცლებზე აღნიშნავდა სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეზე და პირველი ქართული ჟურნალისტის ცოცხალ თანამედროვეებს მოუწოდებდა რომ ს. დოდაშვილის მოღვაწეობის შესახებ მასალები შეიკრებინათ ახალი თაობისათვის. „ახლა ცხვრობენ, უშკველია, — წერდა „დროების“ რედაქტორი, — ბევრი ისეთი პირნი, რომელთაც კარგად უნდა ახსოვდეთ ჩვენი გონებითი ლატერატურული მოძრაობა და სხვა უოველგვარი შესანიშნავი მოვლენა ამ საუკუნის პირველი ნახევრისა. რატომ არ გვიამბობენ მაშინდელი ქართველების ცხოვრებას? მამების ცხოვრებასა და საზოგადო მოქმედებას რატომ შეიძლება ასე გვეცხობენ? ვინ იყოს იმათი მოქმედებათა რამდენი საინტერესო მასალა მოიპოვება ჩვენი ახლანდელი ცხოვრებისა და მდგომარეობის გასაგებად“.¹)

მართალიც, ს. დოდაშვილმა, როგორც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს დიდმა განმანათლებელმა, შეიძლება ითქვას, დერიტად დღევანდელი 60-ანი წლების ქართველი განმანათლებლების — თერგდალეულების იდეურ მოძრაობას.

მართალია, ქართველ მესამოციანელთა მოძრაობა პრინციპულად ახალ, რადიკალურ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ახალი თაობა ბევრ რამზე დღებულბდა მემკვიდრეობით პირველი ქართველი განმანათლებლის — სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობიდან და გენიალური პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბაიათაშვილის მემკვიდრეობიდან. თერგდალეულების ამ ორ დიდ წინაპარს ჩვენ გვირდს ვერ აუვლით, როდესაც ვასული საუფრის 60-ანი წლების საზოგადოებრივ-ლატერატურულ მოძრაობაზე ვვაქვს ლაპარაკს. ამ მემკვიდრეობითი კავშირის აზრი კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს, როცა „დროების“ ათი წლის თავის აღსანიშნავად გამართულ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შეკრებაზე ამბობდა: „...სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზლოს. თუმცა იმ დროსაზედ, რომელზედაც უფ. ს. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიზანობაზედ წააწერეს, მაგრამ თეთი დროსა კი მემკვიდრეობით ვვაქვს გადმოცემული განსვენებულის სოლომონ დოდაშვილისაგან, ვიოგორც ერისთავისაგან. საუფრნოდ იყოს სხენება მათი ჩვენში“.²) პირველი რაზნოინელებისა და განმანათლებლის სოლომონ დოდაშვილისგან ნაანდერძევი დროსა მალა ასწიეს ჩვენმა მესამოციანელებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და ამ დროსის ახალი დროის შესაფერის საპროგრამო იდეები წააწერეს.

სოლომონ დოდაშვილმა იდრევე გამოაქვანა ფილოსოფიისადაც და, საერთოდ, მეცნიერებისა-

დში მიდრეკილება, მაგრამ ამ მხრივ მისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო „ქართული სწავლის პერიოდი. მიუხედავად მემკვიდრეობის იგი ენერგიით დასწავებია მეცნიერების შესწავლას, რაც ნათლად ჩანს მისი გულთათი მოამბის იონა ხელაშვილისადმი მიწერილი ბარათებიდან.

სოლომონ დოდაშვილს ერთადერთი მიზანი ამოქმედებდა: დაუფლებოდა მეცნიერებასა და ფილოსოფიას და მიღებული ცოდნა გამოეყენებინა სამშობლოს საყოველღეოდად. „ეიკრეთ სობრძნესა მამულისათვის“³) წერს იგი ერთ-ერთ წერილში. პეტერბურგში გამგზავრების გამო ს. დოდაშვილი იმავე წერილში აღნიშნავს: „...მეც შემეძლო საქართველოს შინა ცხოვრება ვაზრის სიყვარულმან მამულისამან განმადლიცა, რათა სარგებლად ამისსა იღესმე ნებითა განმწყულისათა ექმნა სწავლისა გამო“.⁴)

მართალია, აქ, უნივერსიტეტში, წმინდა თეორიულ ცოდნას ვღებულობ, — განაცრძობს იგი, — მაგრამ ამ თეორიულ განათლებას პრაქტიკულად ზრაცს შევასხამ ჩემს სამშობლოში.

ს. დოდაშვილის პირად ბარათებში გამოკრთის მალალო მორალური თვისებებით აღჭურვილი პიროვნება, რომელიც, როგორც თვითონ წერს, მთლიანად შთანთქმულია კემმარტების ძიებაში.⁵)

კუბუტო მოაზროვნის დაძაბულ ინტელექტუალურ შრომასა და ძიებებს ამაოდ არ ნაუვლია: უნივერსიტეტის დასრულებისას, 1827 წელს, მან რუსულ და ქართულ ენებზე, როგორც ზემოთაღნიშნულ, დაწერა და რუსულად გამოაქვეყნა სერიოზული ფილოსოფიური ნაშრომი, რომელმაც ფართო გამოგზავრება ჰპოვა.

პეტერბურგში ყოფნის დროს ს. დოდაშვილმა ახლო ურთიერთობა დაამყარა იქ მცხოვრებ ქართველებთან. კარგად ცნობილია, რომ ამ დროს პეტერბურგის ქართველთაგან მრავალი იღწოდა სამშობლო ელტურის გამოდრებისათვის. აქ იყვნენ ქართული სტამბის მუშაკებიც, ამ წრეებში ადრეული განვრძივი ინტერესები უფოლ აღაფრთოვანებდა სოლო დოდაშვილს. აქ შემუშავებული მრავალი აზრი მან შემდგომ სამშობლოში დაბრუნებისას განახორციელა.

საქართველისკენ გამოგზავრებისას, 1827 წლის ივნისის დასაწყისში, ს. დოდაშვილი შეგებრებულა მისოცემში, სადაც მჭიდრო ურთიერთობა დაუყარებია იქაურ ფილოსოფოსებთან და ლიტერატურულ მოღვაწეებთან, აღუქვამს მათთვის წერილების მიწოდება საქართველოს შესახებ. ერთთ თვის შემდეგ ჩვენ მას ვხვდავთ ხარკოვში, სადაც ახალგაზრდა სწავლულად ილია პატეის-

¹) „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ 1944 წ., ნაკვ. II, სოლომონ დოდაშვილის წერილები, გვ. 74.

²) იქვე.

³) წერილები, გვ. 74 — 75.

¹ „დროება“, 1875 წ., № 50.

² „დროება“, 1876 წ., № 74.

ცემით მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა, რომელსაც იმ დროს თბილისის სასწავლებლებში ექვემდებარებოდა.

1824 წლის ივლისში სოლომონ დოდაშვილი სამშობლოშია. იგი დანიშნეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლად. ს. დოდაშვილი ამ ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას, რიტორიკას, ლოგიკას და გეოგრაფიას.

იგი სულ მაღე გახდა პედაგოგობის განათლების მგზნებარე პროპაგანდისტი. ს. დოდაშვილი ერთ წერიალში, აღწერს რა სწავლა-აღზრდის ვითარებას იმპერიული საქართველოში, გადმოგვცემს თავის გეგმებს განათლების გასაჯერებლად: „ბოლო მე გერეთ დადემუბუთი ვაძლავარ, წერს იგი — სხუა და სხუათა წარმოებათათვის და განხსნათა სასწავლოთა ადგილთა, ვუძიებ ღონესა და ვსუერეტ მგლომარეობათა. არ უწყვი ვითარითა ბატოთა ვაწარმოთა სავანნი ჩემნი აქაური სასწავლებელა, თბილისისაც გერეთ უწყსოებხას შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირე, არაიენ შიაცეცეს ყურადღებასა და არცა სკურებტენ სწავლოთა, ვარნა ამის შემდგომ გვარებს იმეცადინოს მთავრობამან განერცელებისათეს სწავლოთა, ვინათგან ინება ღმერთმან მშვილობისა მონიჭება, მტერნი განიღურენ ძალისა ვამო მგებრობათა ჩუცნთ და საქურელოთა. ასან ხანი ერევისსა დღეს მოუყუანეს ოტრომბრის 23-სა თბილისის ცხებში და სხუანიცა ოთხი ათასი კაცი სპარსთა, მადლობა ღმერთსა.“¹⁾

1828 წლის ივლისში სოლომონ დოდაშვილი დაქორწინდა ინჟინერ-არქიტექტორ ბარიშკინის ნაშვილებ ვლენე კობიაშვილის (დედით ჯავახიშვილის) ქალზე. მან თავის ოჯახში გამოზარდა და სწავლა მიადებინა არა ერთსა და ორ ახალგაზრდას, როგორც რაზნოშინელი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდების აღზრდას.

დაუღალავი ზრუნვა სწავლა-განათლების გაერცელებისათვის სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის ერთი მხარე იყო. მას, როგორც განმანათლებელს, საქართველოს კულტურული გარდაქმნის ფართო გეგმა ჰქონდა დასახული ბიბლიოთეკებისა და სტამბის დაარსება, ეურნალ-გაზეთებისა და ღონების ბეჭდვა-გაერცელება. ამ დონისძიებით იგი ცდილობდა ზელი შეეწყო თავისი ქვეყნის კულტურული აყვავებისათვის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და მეცნიერების დარგების განვითარებისათვის. იგონებს რა ერთ-ერთი შერებანას, სადაც საუბარი ყოფილა საქართველოს წარმატებისათვის ღონისძიებათა შესახებ, ს. დოდაშვილი აღნიშნავს: „ყველა ესენი ღამარაკობა დნენ იმაზე, თუ რა მოგვრანთ კეთილი საქმე საქართველოსთვის. მე შევიტანე წინადადება — შევაჯეროვებინა შემოწირულება და ამ შეკრებილო ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და

დაცხმარებოდი გიმნაზიის ღარიბ მოწოდება.“¹⁾ სხვა ადგილის სოლ. დოდაშვილი ღობარაკობის ბიბლიოთეკის შექმნის და სტამბის ექვემდებარებასაზე. „Мое намерение, — а именно: купить библиотеку и типографию.“² ს. დოდაშვილი მაშინდელი საზოგადოების ვადენიან პირებს მოუწოდებდა შეეკრებინათ შემოწირულება სტამბის საყიდლოდ, განათლების საქმისა და ქართული ლიტერატურის წარმატების მიზნით. ამის შესახებ საველისხმოცნობას გვაწვდის ანტონ აბახიცი.³⁾

„ველი ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე ს. დოდაშვილი მრავალსეთქველიანი ქართული ენციკლოპედიის პროპაგანდას ეწეოდა და გაბედულად იცავდა მას ყველა გურის ფაღსიფიკატორთათგან. ერთდროულ ენციკლოპედიის ტრადიციების აღდგენასთან ერთად იგი ჩვენს ში ნერავდა რუსულ-ეკეროვით ინტელექტუალური ცხოვრების მიღწევებს, განმანათლებლობისა და პროგრესის იღვებს.“

თუ რა ინტენსიურ მეცნიერულ-ლიტერატურულ შემოაბას ეწეოდა ს. დოდაშვილი, ეს კარგად ჩანს ორთა ზელაშვილისაში მიწერულ ბარათებში. აი ერთი ადგილი ამ წერალებიდან:

- „1) შევადგინე ქართული ღრამატია სასწავლებლისათვის, 2) სრულყვე რიტორია ქართულსავე ენასა ზელა, 3) ვსთარავმენე, რწმუნებისამებრ მთავრობისა სჯული ვადღებულუბანი სამართალოებისნი, 4) ესთარგმენე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვის წიგნი, 5) შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე; ვისგან სადა და ოდეს და თითოეული რას იპყრობს თეს შორის, 6) შევადგინე სხუდასხუანი ზნეობითი ნაწყვეტობანი (ორტიკა), შესქმანი, ავთრათნი და სხუანი, 7) შევადგინე მკაცრე ფილოსოფიისა ძალნი საზღერეობითა და განყოფილებითა მისითა, 8) ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთაშე მიწერალოთა და რომელიშე სრულ ყვეა. ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი. წარსულისა ღროისანი და მომავალნი ღმერთმან უწყისი.“⁴⁾

ერთ ბარათში იგი წერს: „მოუთმენელსა და უძლეულსა შრომასა შინა ვახლავარ, რომელიც შეუძლებელ არს, რათა აღსრულებული იქნას რომლისაშე მამულისა შეილისაგან.“⁵⁾

¹⁾ ცსსა, ფონდი 1457, რე. 1, ფ. 18; გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, 1938 წ., ტ. 1, გვ. 140.

²⁾ ცსსა, ფონდი 1457, რე. 1, ფ. 71; მ. გოცაძე, ქართული ეურნალისტკის ისტორია, 1954 წ., ტ. 1, გვ. 116.

³⁾ ცსსა, ფონდი 1457, რე. VIII, ფ. 1356; მ. გოცაძე, ქართული ეურნალისტკის ისტორია, 1, გვ. 117.

⁴⁾ წერილები, გვ. 138.

⁵⁾ წერილები, გვ. 118.

¹⁾ წერილები, გვ. 101.

კიდევ უფრო გაფართოვდა ს. დოდაშვილის მოღვაწეობის ასპარეზი, როცა იგი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელად შეიქმნა. ამ გაზეთმა, როგორც ცნობილია, 1828 წელს დაიწყო გამოსვლა რუსულ და ქართულ ენებზე. მართალია, იგი ოფიციალურ იყო და პირველ ხანებში იქ ს. დოდაშვილი მთარგმნელად მიიწვიეს, მაგრამ სულ მალე ქართული მეცნიერი ამ გაზეთის აქტიური თანამშრომელი გახდა, ხოლო 1829 წელს უკვე გაზეთის რედაქტორია, 1830 წლიდან — გამომცემელიც.

როგორც ვთქვით, სოლ. დოდაშვილი ადრევე იყო დანტერესებული ეურნალისტიკის საკითხებით. მის ჯერ კიდევ 1827 წელს დაუწყებებია კავშირი მისკოვის პერიოდულ გამოცემათა რედაქციებთან და შეკმობებია მათ სიტყვების გაგზავნას საქართველოს შესახებ. მით უმეტეს, ქართული პერიოდული ორგანო ს. დოდაშვილის წინაშე დიდ პერსპექტივებს შლიდა. იგი დიდი ენათმეცნიერად შეუდგა გაზეთში მუშაობას. მაგრამ დოდაშვილი ამ საქმეში მარტო არ იყო.

ქართული მოსახროვე ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა ქართული გაზეთის დაარსებას, და როდესაც გაზეთის გამოცემა შედეგინდებოდა, ქართული საზოგადოების მოწინავე ძალები ყოველთვის ზურგს უმაგრებდნენ გაზეთის რედაქტორს. როდესაც 1830 წლის დეკემბერში ამ გაზეთის გამოცემა ხელისშემშლელმა საშუალებით შეწყდა, ს. დოდაშვილმა მისულად მამინდელი ცნობილი მოღვაწეები — ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი და მისთვის დახმარება შეუთავაზებიათ გაზეთის აღდგენის მიზნით. ქართული გაზეთის საქმეს დიდად თანაგრძობობდნენ აგრეთვე ალექსანდრე ქავჭავაძე, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ ახალ ქართულ პერიოდულ გამოცემებში პირველად დაიბეჭდა მათი ნაწერები.

რამდენად დამოკიდებული იყო ს. დოდაშვილზე „ტფილისის უწყებანი“ არსებობა, ეს ჩანს ერთი წერილიდან: „ორი მრთელი კვირა მოუთმენელთა სიტყუთა შინა ვახლდი ფრად ავიდ... საქმენი დაშთაშილანი მის დროსა შინა აზიან გაკრმის ჩემსა და „ტფილისის უწყებანიცა“ დარჩნეთ ორ კვირას გამოუცემლად და ამის მიზეზისა გამო მათს უგანათლებულესობას ბავრატ ბატონის შვილს დაუგვიანდა და არ მიერთი. 1)

„ტფილისის უწყებანი“ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ეურნალისტიკის ისტორიაში. მართალია, იგი მეტად შეზღუდული იყო მეფის ხელისუფლების მიერ და მის ფურცლებზე უმთავრესად ოფიციალური მასალა ქვეყნდებოდა, მაგრამ გაზეთი მაინც ძვირფასი ციხეებს გვაწვდის მამინდელთა საქართველოს ცხოვრების შესახებ, მასში ბევრი მასალა საქართველოს გეონომიკის, ვაჭრობა-მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მაგ., საქართველოს გეო-

ნომიური ცხოვრების დასახსიათებლად რად ღირს, თუ გნებავთ, „ტფილისის უწყებანის“ ფურცლებზე მოცემული აღწერა „ბიბლიის“ 1828 წლის სექტემბერში გახსნილი ბაზრობისა (იარმარკის) ეს ხომ მამინდელი ვაჭრობის ძირითადი ფორმა იყო.

გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა პირველად პეშკინის ლექსების ალ. ქავჭავაძისხელი თარგმანები, წერილი ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ, საქართველოს ეთნოგრაფიისა და სწავლავლადის მასალები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია — თურქების, ირანელებისა და, აგრეთვე, ლეკთა თავდასხმული ბრძოლების წინააღმდეგ ქართველებისა და რუსების საერთო გმირული ბრძოლების აღწერები, რომლებიც ამ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა.

1832 წელს სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა ეურნალმა — „სალიტერატორანი ნაწილი ტფილისის უწყებანისში“. რედაქტორთან ერთად ამ ეურნალის ინიციატორები და ხელის შეწყობნი იყვნენ ელიზბარ ერისთავი, ალ. ორბელიანი და ალ. ქავჭავაძე.

ეურნალი დაარსდა, როგორც ნათქვამია სარედაქციო განცხადებაში, „შესაწვევლად განათლებისა, განვრცელებისათვის, ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიხალგობისათვის განაჩობილთა მცხოვრებთა ეეროპისათა“ 1).

პირველი ქართული ეურნალის მთავარი მიზანი იყო, როგორც აცხადებს ს. დოდაშვილი, გაეღვიძებინა ქართველთა შორის „სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა“. 2) ამავე დროს, ეურნალს უნდა დაეწერა საზოგადოებანი „თავისუფლად აზრები“, დაეხმება „თავისუფლების მოყვარეობით აღბეჭდილი თხზულებანი“.

ეს მიზნები ს. დოდაშვილმა ეურნალში სულ მალე განაზოორციელა. საქმისთა დაჯანაბლთა ეურნალში დაბეჭდილი ცნობები დეკაბრისტის რილევის „ნალოვაციოს აღსაზრების“ თარგმანი და გიორგი ერისთავის პატიოტული ნაწარმოები „ოსური მოთხრობა“, რომ დაერწმუნდეთ, თუ როგორ გამოამტყვანა ეურნალმა თავისუფლების მოყვარეობის სულისკვეთება.

მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი შეყვარულს გაღვიძებას ემსახურება სოლ. დოდაშვილის შესანიშნავი ნარკვევი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც ნაწილ-ნაწილად ეურნალის ნომრებში დაიბეჭდა. ნარკვევი ზოგადად მიმოხილულა მშობლიური ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხები და ხაზი აქვს გასმული ქართული ენის სიძლიერეს და ქართული სიტყვიერი ხელოვნების უდიდეს მნიშვნელობას. ამავე

1) „სალიტერატორანი ნაწილი“, 1832 წ. № 5, გვ. 120.

2) იქვე.

1) წერილები 118.

მისანს ემსახურება ს. დოდაშვილის სტატია „რაიმე რუსთაველისათვის“, რომელშიც ავტორი რუსთაველის თხზულებას სამართლიანად თვლის პოეტური გენიის უხადლო ნიმუშად.

ს. დოდაშვილი გაბედულად ილაშქრებდა ქართული ისტორიის გამაყლებლების წინააღმდეგ. ევროპის წესამე ნომერში მან მოათავსა კრიტიკული სტატია, რომელშიც მისი სინათლენგა გამოტანილი ევროპის გორდების შეცდომები, დაშვებული საქართველოს ისტორიის შესახებ რუსულ ენაზე დაწერილი ნაწყვეთი, „სალიტერატურო ნაწილის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ისტორიული მასალებიდან დროს-შესანიშნავი აგრეთვე ნაშრომი „მეფობა ერეკლე მეორისა“.

ეს მხატვრული თუ ისტორიული თხზულებები აღვიძებდნენ ქართული საზოგადოების ეროვნულ თვითშეფასებას, სტიმულს აძლევდნენ ქართული ლიტერატურის განვითარებას.

მხატვრული ლიტერატურითაც ევროპაში, გარდა რილევისა და გ. ერისთავის თხზულებებისა, აღსანიშნავია პუშკინის ქართული თარგმანები, ს. დოდაშვილის ორიგინალური და თარგმნილი მოთხრობები და ალექსანდრე ორბელიანის, თაღვო გურამიშვილისა და დავით მაჩაბლის ლექსები.

სოლ. დოდაშვილის ლიტერატურულმა ევროპაში აღიზნა გერ იარსება (გამოდება სულ ხუთი ნომერი), მაგრამ მან უფროდ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ის იყო ამუშევრებული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოღვივებისა. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ევროპის მთელი რიგი მასალები ხელნაწერ ორგანოში მოათავსეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა და მისმა მეგობრებმა. ევროპაში ფართო გამოქვეყნება ჰპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ პეტერბურგისა და მისკოვის ქართველთა წრეებშიც.

1832 წლის შეთქმულებამ უძროოდ შეწყვიტა ს. დოდაშვილის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

როგორი შეფასება შეიძლება მიეცეთ დღეს 1832 წლის შეთქმულების სოციალ-პოლიტიკურ ხასიათს?

ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს ი. ბ. სტალინის უდიდესი მნიშვნელობის მითითება. სტალინი თავის წერილში „როგორც ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შექმნილ სოციალური ვითარების და წერს: „იყო ჩვენში, მაგალითად, ევროპოიდებული, თავადანაურების „ნაციონალური საკითხი“. როცა „საქართველო რუსეთთან შეერთების“ შემდეგ ქართველმა თავადანაურებმა იგარძნო, თუ რა საზარად იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო

ქვეშევრდომობაში“ ყოფნა და მიიწოდებოდა ქართველს განთავისუფლებული აქტიური მასის უნდოდ აღიზნებული „საქართველო“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადანაურები დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი ეს იყო ევროდალური ნაციონალური „ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესაძენვეი კვალი ვერ დაინიშნა ამ „მოძრაობაში“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახება მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადანაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ კავკასიაში. საგმარის იყო ოდნავ მოხედვითა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას“, რომ ძირიანად დაეწვრა იგი¹.

ი. სტალინი 1832 წლის შეთქმულების ტიპის ნაციონალიზმს საქართველოს ახალ ისტორიაში უწოდებს „ევროდალური-მონარქული ნაციონალიზმ“. ესაა 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური შინაარსი. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი თავადანაურთა ცნობილი წარმომადგენლები, შეთქმულთა მცირე ნაწილს, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი შესვევრობდა, გააჩნდა რესპუბლიკური-სოციალური პრინციპები, რამდენადაც ახალგაზრდა ქართველი მოახლოვნი, როგორც ქვემოთ დაინახავთ, იმყოფებოდა რუსული დგამობის გამართვისთვის იღვების გაგუნის ქვეშ.

მეფის მთავრობა შეთქმულთა შორის ყველაზე მეტად და შეუზღუდლად სოლომონ დოდაშვილს მოეჭვა. მის მიუსჯებს ვიარკში გადასახლება და სამუდამოდ აუკრძალეს სამშობლოში დაბრუნება. ს. დოდაშვილისათვის, რომელიც ისედაც სუსტი იყო ფიზიკურად, ატანელი შეეწა ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა, იგი დაავადდა ქლექით. 1836 წლის შედგენილ საექიმო შენიშვნების ოქმში ვკითხულობთ: „თვალები ამღვრული და დროდ ჩაცვენილი, სახე გაყვილილებული... ხმა მიღწეული, სიტყვის გამოთქმა უჭირს, ხველის, საუბარსა და მოძრაობას თან სდევს გულის წახვლა; ამგვარი ნიშნები ამგვარად მოწმობენ ფილტვების დაჩირქებაზე ან მათ ჩირქოვან ქლექზე და აგრეთვე იმაზე, რომ მედიცინას არ გააჩნია არავითარი უტყუარი საშუალება ასეთი რთული და ხანდაზმული სენის განსაუბრებად, განსაკუთრებით აჭურ ჩრდილოეთის ჰავის პირობებში“.

ს. დოდაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე და შემაჩრქუნებელი ყოფილა რომ თვით ვიარკის გუბერნატორის გულჯი გაუღელდა და 1835 წლის 10 ივლისს მის შეამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ, რათა დოდაშვილი სამხრეთის რე-

¹ ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. I, გვ. 32 — 33.

მელომე თბილ გუბერნიამ დადგევანათ. მაგრამ იმპერატორმა ტრანზული ვულკანობა გამოიჩინა და სულთმობრძას არ შეეშუებუქა მდგომარეობა. ს. დოდაშვილის თხოვნის შესახებ სათანადო დოკუმენტში აღნიშნულია: „...დოდაშვილის ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება მისი უზენაესობამ ზედმოყიფე იმპერატორმა არ ინება“.

1836 წლის 20 აგვისტოს სოლომონ დოდაშვილი გარდაიცვალა. „მისი ქვრივი მწუხარებისაგან მიმკვლარებული“, როგორც ერთ მაშინდელ ოფიციალურ დოკუმენტშია ნათქვამი, ორი მცირეწლოვანი შვილით საქართველოში გამოისტუმრეს.

საკვილიშთან მეტბრძოლი, მაგრამ მაინც იმპლიანი ს. დოდაშვილი, ვიაცკაში ინახულა იქ გადასახლებულმა დიდმა რუსმა რევოლუციონერ დემოკრატმა გერცენმა. გერცენის სიტყვით, დოდაშვილი სულსა დაფადა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით ლაპარაკობდა სიცოცხლეზე.

ს. დოდაშვილს საზოგადოებრივ-იდეური ძიების რთული გზა აქვს გაულოლი. ახალგაზრდა ქართულ მოაზროვნეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სენატის მოედანზე მომხდარმა ისტორიულმა აქტმა. (1825 წლის დეკემბერში იგი პეტერბურგში იყოფებოდა). ამასი ჩვენ გვარწმუნებს არა მხოლოდ შემდეგში გამოქვეყნებული რესპუბლიკური პრინციპები, არამედ დოდაშვილის ბიოგრაფიის უფრო ადრეული მომენტებიც. დეკაბრისტთა აჯანყების ერთი წლის შემდეგ მას პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური-ლიტერატული ფაკულტეტის სტუდენტის იაკობ კრუსსკისაგან ვადმოუწერია ასლი ცნობილი დეკაბრისტის რილეევის ბარათისა ცოლისაგან. ეს აქრბანელი დოკუმენტი მას საქართველოში ჩამოტანდა და ვახტანგის დროს მის ქალაქებში უპოვნიათ. დაკითხვისას ს. დოდაშვილმა აღიარა: „Письмо Рилеева я перевясал в с. Петербурге у студента Кружского в 1826 году“.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ ს. დოდაშვილი დიანტერესებულ იაკობ კრუსსკის ბედით, საფრანგეთში მისი გამგზავრებით, და სხვ. აი რას ეკითხულობთ ს. დოდაშვილის ერთ კერძო წერილში:

„აქამ ღირსიყვს მოვკითხავ დიდი სიყვარულით და ვსთხოვ უმდაბლესად რათა შეიტყოს უნივერსიტეტში იაკობ კრუსსკი, რომელიც იყო სტუდენტად, ხალაის, ვითარ ცხოვრებს და რატომ წოვს არა მწერს? ზოი არ მიღის ფრანკიანი? და ვითარება მისი წელიად მომწეროს, რომელსაცა ფრიად დაუმადლებ...“¹

ახალგაზრდა მოაზროვნის შიოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა იწყება სამშობლოში დებრუნების შემდეგ, როცა ის უშუალოდ გაეცნო თავისი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას. სამშობლო ქვეყნის ისტორიულმა ვითარებამ, სოციალურ ძალთა ბრძოლის სურათებმა დიდი გავლენა იქონიეს სოლომონ დოდა-

შვილზე, რომელიც თვითონ გამოხული იყო დანალი ფენებიდან, გლახთა წრიდან. როგორც ვხედავთ, ქართველი რაზნოინული, კუ ვლადიკავკასიის სისხლ-ბორცველ ნათესაობას გრძობდა გლახობასთან, რომელიც იმ დროს კახალურ ჩაგვრას განიცდიდა ქართველი თავადანაწარებრისა და რუსი ჩინაუნიკების მიერ. იგი შეტრწუნებული მშრომელი გლახობის ვალდატეხვის მიმე სურათით. ერთ წერილში დოდაშვილი ვულსტეკელით შენიშნავს: „განა დრო მის მახრისა (იგულისხმება კახეთი. გ. ა) ფრიად მწუხარე და მტირალი ვეხილე, ნახვეარი მცხოვრები არღა იპოვება, რომელიცა გარდავენენ სხუა და სხუისა მხარეს ანუ კერძოსა ამს ქვეყანის ნაწილისასა შიმშილისა გამო, მრავალი არ მოვიდა, ახალი არა რაი და ძველი ზომ არღა იყო: კოდი ფქვილი [ღირს] ოთხ მანეთათ თეთრ ფულად კახეთში და მადლობა ღმერთსა ქალაქში უფრო იაფია, გლახთა ვინ მისცათ, რათა მოივებონ ფასითა ამით“¹).

ესაღდა, ეს სტრიქონები, რომლებიც გლახობის უმძიმეს სოციალ-ეკონომიურ ვითარებას გეოხატევენ, გამობარია გლახაკობისადმი დიდი თანავრძმობით. ასევე საინტერესოა ს. დოდაშვილის ბარათი, მიწერილი თავის მასთან (სტუდენტთან). აქ ს. დოდაშვილი ეჭმავება გლახობას და აღწერს მკაცრი შემამუდლის — შ. აფხაზის მიერ გლახობის შევიწროებას.

ს. დოდაშვილი დღითიდღე ეცნობოდა თავისი ქვეყნის სოციალურ ვითარებას და გარკვეულ დანსკენებზე გამოჰქონდა. ქართველი მოაზროვნე მშრომელი მასების ინტერესებით იმპვეალუბდა. ამ დემოკრატიულ პრინციპებს იგი მჭიდროდ უკავშირებდა ეროვნულ ინტერესებს, რომლებსაც, დეკაბრისტული მოძრაობის გავლენით, რესპუბლიკანზმის იდეას უმირჩილებდა.

ერთ-ერთი ნევენის დროს მან დიდი გამბედაობით ჩამაყალიბა თავისი შეხედულება სოციალურ-პოლიტიკურ ჩაგვრზე, რომელსაც მშრომელი გლახობა განიცდიდა.

ერთი მხრით, გლახობის სიღარიბე, რაც გამოწვეული იყო ბატონური ყველფით და, მეორე მხრით, გლახობის ჩაგვრა შევიწროება ცარიზმის მოხელეებისაგან — თი, ს. დოდაშვილის აზრით, ხალხის შიმართ ნადენილი დანაშაულის მთავარი არსია. ამ ვრცელი დოკუმენტიდან მოვიყვანი ჩამდენივე შემოკლებულ ამონაწერს:

„სახელმწიფო დაწესებულებებში, — წერს ს. დოდაშვილი, — საქმეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზნე-ჩვეულებებს. კანონს უკუღმართ აზრთ ხსნიან და საქმეები ფრიად არა სწორად მთავრდება... მომჩივართაგან, როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე უფრო მეტს ხარჯავს ვიდრე თვითონ საქმე ღირს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოსმენილი და არც არასოდეს დამთავრდება... ყველაზე ბატონსან და

¹ წერილები, გვ. 127.

¹ წერილები, გვ. 113.

ყველას მიერ პატივცემულ ადამიანს სჯიან ხოლმე, თუ კი მან ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩადინა, რაც ძალიან სწორად ზღვება გულწრფელობით, კანონის უკიდობარობით...¹

ამის შემდეგ ს. დოდაშვილი ჩამოთვლის უკანონო მოქმედებათა კონკრეტულ მაგალითებს: უმოკრესად გლეხობის მიპარა და დასკვნის: „ამგვარი საქმეები უპირავია, ეს ძალიან ამბიუმებს მცხოვრებლებს და ისინი ხშირადაც ხივანს, სიღარიბის ან ენისა თუ კანონების უკიდობარობისა გამო სრულად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე“² (ხაზი ჩვენია — გ. ა.).

როგორც ვხედავთ, დოდაშვილი ვახუშტისადმი შეფუძვლას ცარიზმის ჩაგვრის იმ სისტემას, რომლის გამო ხალხს წარმოებული ჰქონდა ელემენტარული უფლებები, ბოლოს დოდაშვილი აყენებს თავის წინადადებას, რომლის ცენტრალური პუნქტია: „შეართვისათვის საჭიროა შეტყუებული იქნეს ადამიანები, რომლებიც ხალხის საკეთხიბით მცოდნეები იქნებიან“.

ვის შეეძლო ასეთი ერთი ელაპარაკა 30-იანი წლების საქართველოში, ვის შეეძლო დაეცვა გლეხობის ინტერესები თავად აფხაზის ჩაგვრისაგან, თუ არა კემპარტად დემოკრატიული მსოფლმშედეგობის ადამიანი!

ცარიზმის სიძულვილმა დოდაშვილი მიიყვანა 1832 წლის შეთქმულებასთან, მგრამ რაზნოინელი-დემოკრატი ს. დოდაშვილი მალე დარწმუნდა თავის შეცდომაში და, როგორც შეთქმულების მასალებიდან ირკვევა, ბოლოს კიდევ ერთგვარად განუღვა შეთქმულებს. მისი სოციალურ-პოლიტიკური პრინციპები არსებითად განსხვავდებოდა შეთქმულთა თავადანსაურული ნაციონალიზმისაგან. შეთქმულები საქართველოში შეფობის აღდგენას თუ ცდილობდნენ, დოდაშვილი რესპუბლიკურ წყობაზე ოცნებობდა. ამ მხრივ მუდმილად სავულისმზია ს. დოდაშვილის ერთი ჩვენება, რომელშიც იგი რუს ხალხთან ქართველი ხალხის დამოკიდებულებაზე და, აგრეთვე, საქართველოს პოლიტიკური წყობის თავისებურ რესპუბლიკურ ფორმაზე თავის შეხედულებას გამოთქვამს. ს. დოდაშვილი აცხადებს: „А. Орбеллианову я говорил... следующее:

царствовать в Грузии, хотя и самое русское правительство захотело, один из царевичей не может, и Грузия без императорства России существовать не может... Если князья желают облегчения от притеснения и хотите иметь царевича, то можете представить жалобу Государю императору и просить оного об царевичей, не царствовать, а присутствовать и входить в дела Грузии по гражданской части, как жется в заключении сказал: тогда бы мы шло республиканское правление“³.

შეშობელი ხალხის ცხოვრება მიიმე სოციალური და ეროვნული ჩაგვრის პირობებში, თანამედროვე საქართველოს ისტორიული ვითარება ს. დოდაშვილისათვის შეიქნა პოლიტიკური აღზრდის დიდი სკოლა. აღსანიშნავია, რომ დეკაბრიზმის პოლიტიკური თავისუფლების პროგრესული იდეალი გარკვევით არის გამოხატული გრიგოლ ორბელიანის ცნობილ „მოგზაურბაში“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალურ პოემაში „ბები კართლისა“. უოველივე ეს მოწმობს, რომ გასული საუკუნის 30-40-იანი წლების საქართველოს ცხოვრებაში არსებობდა რადიკალური აზროვნების სახელოვანი ტრადიციები, რომლებიც შემდგომ განაგრძეს და ახალ პირინციპულ სიმაღლეზე აიყვანეს ქართველმა მესამოციანელებმა.

ს. დოდაშვილი XIX საუკუნის მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პირველი მედროშეა. მისი პატრიოტული თავდადება, ხალხისათვის ზრუნვა და დაუცხრომელი მოღვაწეობა ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებისათვის თაობიდან თაობებს გადაეცემა. იონა ზელაშვილი ერთ წერილში დოდაშვილს წერდა: „სახელი შენი აღიწერების წიგნსა შინა, ხოლო სამარბოხა შენსა ზედა აღიმართვიან ძველნი, მქადაგებელნი შენის სიბრძნისა და ღვაწლისა, ხოლო მიბლიოთეცებსა შინა ივერბისასა სახელი შენი შთაიწერებთან აღბაძეხად სიბრძნითა მოყვარეთა“.

ქართველი მოაზროვნის საფლავი დაკარგულია, რომ იქ აღმართულიყო ძველი, მქადაგებელი მისი სიბრძნისა და ღვაწლისა, მგრამ ქართველმა ხალხმა თავის გულში დიდი ხანია აუგო სოლომონ დოდაშვილს ზელთქმენელი ძველი.

¹ ს. დოდაშვილი, ლოგია, 1949 წ., წინასიტყვიანობა, გვ. XXXVII.

² ხაზი ჩვენია. ეს დაყენებები მოგვაროდა მ. გოცაძემ.



სოლომონ დოღაშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის

ს. დოღაშვილი ეყრდნობა განმანათლებელთა პლეადას. რომელიც ნიუთონი და სულთნები კულტურის ყოველ მოვლენას, მის მნიშვნელობას, ღირებულებასა და საჭიროებას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ნათლად მოაზროვნე გონების ნორმათა მიხედვით ზომავდნენ.

„წარმატებანი სწავლათანი, — გვითხვით ს. დოღაშვილის ერთ კერძო წერილში, — ქმნიან სწავლად აღმატებასა ცაცობრივისა განებისასა, და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ქმნიან აღმატებასა ერისასა“¹. მეორე წერილში იგი მიმართავს დიდი სტატიკული მოაზროვნის ავტორიტეტს: „სამართლად სთქვა არისტოტელსან, გვაში კაცისა შეიქმნების უბრწყინეალეს და უყვითლსობილეს მაშინ, იდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე“². შემდეგ წერილში, რომელიც დოღაშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გამოუგზავნა ფილადელფის კონკაქსს, იგი ამბობს თავის თავზე: „ტაძარსა შინა აღმოებულისა სწავლისასა გახლავარ მეძიებელი სიბრძნისა“³.

ს. დოღაშვილი სწორედ ქართული ხალხის განათლებაზე ამყარებდა უმოკრესად ზვენი ერთეული ცხოვრების აწყობას და მომავალს. პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსვლის უმალ მან ისეთი ფართო საგანმანათლებლო მუშაობა გაწავალა, როგორც იმეითად აღუია თავის თავზე ახალგაზრდა ინტელიგენტს. მისი წარმოდგენით, საქართველოს ესაჭიროებოდა ისეთი მოღვაწე, რომელიც მთელ თავის პირად ცხოვრებას სწორედ ერის განათლებასა და გათვითცნობიერებას შესწირავდა. მაშინ ეს ამოცანა არც ისე ადვილი იყო. „სიღნაღელთ სწავლის გახსნა განუწყობდა. მათ აღმოქმედეს და სიხარულით მიიღეს სახელსა ზედა თქვენსა და ზაფხულში მეწეად და მიუცოდებლად შეგასრულეთ, — დიდი კმაყოფილებით წერს იგი ირინა ხელაშვილს ერთ ბარათში“⁴. მაგრამ მეორეჯერ, კმაყოფილების მაგიერ, მოისმის საშინელი გულისწუხილი იმ

გულგრილობისა და უკაცურობის გამო, რომელსაც უანგარო მოღვაწის სურვილი და ენერჯია აწყდებოდა საზოგადოების ჩამორჩენილ ნაწილში: „მე მარადის ემეცადინებო მიწოდისათვის სავნისა ჩემისა, გარნა ვერცა ერთსა ვიხილევ მემამულეთაგან, არათა ეძიებდეს სარგებლობასა მიწისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დიდურად, არც ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლელთა, არცა წიგნთა სწავლითთა, არა მოყვარე არიან შრომისა... შხად არიან ენებისათვის რომლისამე პირისა უბედურებისათვის და სხვათა, ზოლო მე ჯერეთ დაღუემებული გახლავარ სხვა და სხვათა წარმომავთათვის და განხსნათა სასწავლოთა ადგილთა, ეძიებ ღონესა და ვსვერებ მღვთაშრომთა“¹.

ს. დოღაშვილის მიერ დაარსებული ფურნალის („სოლომონის“ ნაწილი ტფილისის უწყებათანი“²) ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ საგანმანათლებლო იყო. ერთ კერძო წერილში იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ფურნალი საქორთა „ენის გამდიდრებისათვის, მიწულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“³.

ს. დოღაშვილის ესთეტიკური კონცეფციის ძირითადი პრინციპებიც თავის გამართლებას მის საგანმანათლებლო ფილოსოფიაში პოულობენ.

„ლოგიკის“ შესავალ ნაწილში გარკვევით არის მოხაზული ესთეტიკის ადგილი ფილოსოფიურ დისციპლინათა შორის. ს. დოღაშვილის აზრით, ესთეტიკის სავანია შევტრქნებათა კანონების დადგენა. როგორც იგი აღნიშნავს შესავლის უკანასკნელ აბზაცში, მას განზრახული ჰქონია დროთა განმავლობაში „ცოდნის მოყვარულთა ვურადლებასა და განსჯისთვის“ წარედგინა ფილოსოფიის მთელი სისტემა⁴. მაგრამ ნაადრევად სიყვდილმა საშუალება არ მისცა ახალგაზრდა ფილოსოფოსის სისტემაში მოეყვანა თავისი ჩანაფიქრი.

ეს გარემოება ჩვენ არავითარ შესაძლებლობას არ გვაძლევს ვილაპარაკოთ ესთეტიკის სისტემაზე. მაგრამ დოღაშვილის ლტერატურულ მემკვიდრეობაში გაბნეული ცალკეული აზრები იმდენ მასალას გვაწვდის, რომ ჩვენ შეგვიძლია

¹ სოლომონ დოღაშვილის წერილები, 1945 წ. გვ. 63 (დოღაშვილის ნაწერებიდან აქ მოტანილი ციტატაში ძველი ასოები შეცვლილია).

² იქვე, გვ. 83

³ იქვე, გვ. 77

⁴ იქვე, გვ. 93

¹ იქვე, გვ. 10.

² მ. გოციაძე, პირველი ქართული ფურნალი „სოლომონის მომბე“, 1952 წ. № 6, გვ. 237.

³ ს. დოღაშვილი, „ლოგია“, 1949 წ., გვ. 12.

გვატრკევით მისი ესთეტიკური კონცეფციის ზოგიერთი მხარე.

ესთეტიკის საგანზე ს. დოდაშვილი უფრო გარკვეულ პასუხს გვაძლევს იმან ხელაშვილთან მიწერილ ერთ უთაროლო ბარათში, რომელიც უფლა ნიშნით „ლოჯიკაზე“ აღრე უნდა იყოს დაწერილი. „ფილოსოფოსობა ჩვენი ყოველისა საგნისათვის, — წერს ს. დოდაშვილი, — მდგომარეობის თეორიისა შინა, პრაქტიკისა და ესთეტიკისა: პირველი არს ცნობა, — მეორე — ქვევა და მესამე — ხელოვნება; კვალად იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს მსწავლა გონებისა; მეორე — გულია და მესამე — გრძნობისა. ჩვენი ექვეით, რომელ თეორიასა აქვს ნაწილი: ლოჯიკა, ფსიხოლოგია და მეტაფიზიკა; პრაქტიკისა აქვს: ხელობითი სწავლა (თეოკა), კანონითი სწავლა და სარწმუნოებითი სწავლა; ხოლო ესტეტიკისა შინა იპყრობიან: გემოვნება, მკვერამეთობა და პოეზია“¹.

ჯერ რამდენიმე სიტყვა ს. დოდაშვილის ტერმინებზე.

ტერმინი „გრძნობა“, რომელიც გამოცხადებულია ესთეტიკის სფეროდ, აღნიშნავს არა ემოციას, არამედ შეგრძნებას. „ლოჯიკის“ კერძში „გრძნობის“ მაგერ იმპირება სიტყვა „შეგრძნება“. ამრიგად, ორივე შემთხვევაში ვაქვს ერთი და იგივე ცნება.

ესთეტიკის საგანი ს. დოდაშვილის აზრით ყოველა ხელოვნებაში ასახული გრძნობადი სინამდვილე. „გრძნობის აუცილებელი მოთხოვნილებაა შეგრძნებათა მრავალგვარობა“, — ხოლო ცნობისა — „ერთიანობა მრავალგვარობაში“².

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აქ გრძნობადი სინამდვილე გამოითქმევა გონებისაგან? რა თქმა უნდა, არა. ამ კითხვამ ს. დოდაშვილი ნათელ პასუხს გვაძლევს იმავე ბარათში. აი, რას ვკითხვობთ იმ: „ყოველნივე ნაწილი იგი შერეულ არიან ურთიერთა შორის, ესე იგი გონება გული და გრძნობა არიან დარმოთიებრ მოქმედნი ანუ თანხმანა. მაგალ, იზრახავს სული, იტყვის გული რომელირაცა აქენდა სულსა გრძნობისა მიერ მიღებულ და ესრეთ სულსა მოქმედებანი იწყებთან ტვისსა შინა, გარნა თვით სული არს ყოველგან და იქმნების ყოველთვის“³.

როგორც ვხედავთ, შეგრძნება, გული და გონება ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული სულეერი მოვლენები ყოფილა. ს. დოდაშვილი თითქოს იმეორებს რუსთაველის ცნობილ დებულებას:

გული, ცნობა და გონება ერთმანერთხედა
ქვილიან:

¹ „წერილები“, გვ. 133.

² „წერილები“, გვ. 133. დაყოფა ჩვენია გ. 6.

რა გული წავა, იგივე წავლენ და მისი
შილენი (1848, 1-2)
რათგან შენ დაგრნა გონება, გული, შენს გონება
დაბარქმუნს (მ. 3, 2)

ამ დებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკისთვის. თუ „გრძნობა, გული და გონება“ ერთდენ განუყრელად ყოფილან დაკავშირებული ერთიმეორესთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვანი ისევე აზროვნებს, ე. ი. სჯის და აფასებს აქმულ მოვლენებს, როგორც შეცნეირი, მაგრამ თავისი საკუთარი მასალის საფუძველზე და თავისი საკუთარი, სპეციფიკური სამუღებებით. საგანმანათლებლო ფილოსოფიის ისეთ დღესა და გულდაჩერებულ მესიტყვეს, როგორც ს. დოდაშვილი იყო, რა თქმა უნდა, შეძლებელია სხვაგვარად გადაწყვიტა ხელოვნებაში გრძნობისა და გონების ურთიერთმომართებისა და ურთიერთკავშირის საკითხი.

ეს როდია ნიშნავს იმას, რომ ს. დოდაშვილის კონცეფცია მოკლებული იყოს ყოველგვარ წინააღმდეგობას. ეს უკანასკნელი უნდა მივყაროთ კანტის გავლენას, რომელიც ნათლად ამჩნევია ქართული განმანათლებელის მთელ ფილოსოფიურ აზროვნებას, კერძოდ, „ლოჯიკას“¹, და, როგორც ქვევით დავინახავთ, ესთეტიკურ შეხედულებასაც.

ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილ „რიტორიკის“ კონსექტში, რომელსაც მისი აღნიშვნები — დ. ქუმისიშვილი და თ. ქუკავა ტექსტის ზუსტი ანალიზის საფუძველზე საუკეთესო სამართლიანად მიაწერენ ს. დოდაშვილს, რამდენიმე საყურადღებო ესთეტიკურ მოსაზრებას ვმოვლობთ. ეს უკანასკნელი დიდ დახმარებას ვაგვეწვს ჩვენი პრობლემის გადაწყვეტაში.
„რიტორიკაში“ მხატვრული შემოქმედების საკითხს ს. დოდაშვილი უღებდა სხვა ასპექტიდან, სახელდობრ, მშვენიერების ასპექტიდან. ესთეტიკა, მისი აზრით, წარმოადგენს ისეთ ფილოსოფიურ დისციპლინას, რომელშიც უნდა განიხილოს მშვენიერება ხელოვნებაში, პოეზიაში, პროზაში და მჭერმეტყველებაში.

მშვენიერება შეიძლება მიჩაილოვბდეს ყველგან, სულეერი შემოქმედების ყველა სფეროში. მაგალითად, რიტორიკა შეიძლება შემოსოს თავისი სიტყვა „მშვენიერსა სამოსსა შინა“, სწორედ ისევე, როგორც ამას აუცილებლად უნდა მიმართავდეს პოეტი. ამით რიტორიკის მიერ წარმოთქმული სიტყვა დიდად მოიგებს, ვინა-

¹ ამ საკითხზე იხ. ა. ქუთელია: „სოლომონ დოდაშვილი და მისი „ლოჯიკა“, რომელიც წინასიტყვაობის სახით აქვს დართული ს. დოდაშვილის „ლოჯიკის“ ქართულ გამოცემას. 1949 წ., გვ. 5 — 17

² იხ. დ. ქუმისიშვილი, თ. ქუკავა, „სოლომონ დოდაშვილის რიტორიკა: „მნათობი“, 1956 წ. № 1, გვ. 148 — 157.

დან „არც ერთსა მსწაველსა არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერათა ზედა ჩვენთა ძალთა“ ვითარცა აღმოკბილსა ხელოვნებასა“.

მშვენიერების სფერო აქ შეზღუდულად არის განსაზღვრული, მაგრამ მთავარი სირთულე იწყება ამის შემდეგ: ს. დოდაშვილის აზრით, ერთი მშვენიერება პროზაში (მაგალითად, საორატორო პროზაში), მეორეა — ლირიკაში („სტიხთქმნაში“). პროზის ძირითადი თვისება არის კუმშვობა, „თინიერ რომლისაცა მას არ ექმნების ფასი“. ამიტომ პროზაში მშვენიერი ფორმა ორგანულად უკავშირდება შინაარსს, კუმშვობას, ინტელექტუალურ აქტებს. „სტიხთქმნაში“ წინააღმდეგაა მისსა გამოუხრამებლად წარმოადგენს მშვენიერსა. მჭერსიტყვაობასა აქვს სარგებელშემქმნი მხოლოდ მშვენიერათ; ხოლო სტიხთქმნა შეიცავს თვის წარის მშვენიერსა, არა სასარგებლოსა, არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვის“.

როგორც ვხედავთ, ლირიკული პოეზიის შეფასებაში ს. დოდაშვილი აშკარად დგება კანტის ესთეტიკის საფუძველზე. პროზასა და „სტიხთქმნის“ უტოთერაგანსხვავებას იგი იმაში ხედავს, რომ პროზა შინაარსიანია და აუცილებლად შეიცავს აზრს, „სტიხთქმნილება“ კი — არა, მამსაღამე, მშვენიერება პროზაში ემყარება შინაარსისა და ფორმის სინთეზს, ლირიკულ პოეზიაში კი მხოლოდ ფორმას.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ ს. დოდაშვილი არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა კანტიანულად ესთეტიკაში. კანტის ესთეტიკური დებულება, რომ მშვენიერება მოგწონს ყოველგვარი ინტერესის გარეშე, მან ძალაში დატოვა მხოლოდ მწერლობის ვიწრო სფეროსათვის, ლირიკული პოეზიისათვის, და მკვეთრად გაუსვა ხაზი პროზის, როგორც აზრის შემცველი ლიტერატურული ენის, უპირატესობას „უსაგნო“ სტიხთქმნილების წინაშე. უფრო მეტიც, თვით ამ „სტიხთქმნილების“ ცნებაში, უძველია, ს. დოდაშვილი გულისხმობს მარტოოდენ ვიწრო სუბიექტურ ლი-

რიკას. მას არ შეიძლება მივაყუროთ არც პოეტური ეპოსი და პოეზიის არც ისეთი განხორციელება არის, ოდა, ვთქვათ, მჭერსიტყვაობა და ჩანარუბაძის ხობანა.

აი როგორ ახასიათებს ს. დოდაშვილი ჩანარუბაძის „თამარიანს“: „ზომიერი და გაუწობილი ხმა მისი აწარმოებს სმენისათვის სასიამოვნოსა სიმფონიას; ხოლო გამოხატება იდეათა, ცვალება და ხმარება სხვა და სხვათა მნიშვნელობათა მსგავსსმოვანებასა შინა ლექსთასა შეადგენენ მახვილ გონიერებასა აზრთასა“.¹

უნდა ვთქვათ, რომ დიდი ქართველი განმანათლებელი ჩვენი ლიტერატურის წინსვლას მაინც პროზის განვითარებაში ხედავდა. მაშინ ქართულ მწერლობაში ყველაზე ჩამორჩენილი ენა იმართლაც პროზა იყო. საგულისხმოა, რომ პირველ ქართულ ჟურნალში („სალიტერატურული ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“), რომელმაც მხოლოდ სამი თვე იარსება (1832 წ. იანვარი, თებერვალი და მარტი), ს. დოდაშვილმა ორი თავისი ნოველა მოათავსა: ერთი თარგმნილი („ქინევა“) და მეორე ორიგინალური („ელენა“). ზეთი ნომრიდან ორივე სამ ნომერშია მოთავსებული (№№ 1, 4, 5) ადვილი წარმოსადგენია, რა ღარიბად უნდა ჩაგვეთვალოს სალიტერატურო ჟურნალი ამ ნოველების გარეშე.

ს. დოდაშვილი არ ცდებოდა. ქართული საგანმანათლებლო მოძრაობისათვის, რომელსაც იგი მეთაურობდა, პროზა ყველაზე საჭირო ენა იყო სახალხო იდეების საქადაგებლად.

1) ს. დოდაშვილი, მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა): ჟურ. „სალიტერატურული ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, №№ 1, 2; „საისტორიო მოამბე“, 1952 წ. № 6, გვ. 275.



ფრიდრიხ შილერი

საუცუნესაგვის წინ, 1805 წლის 9 მაისს, თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში ვარდამი-ცეალა იოჰან ფრიდრიხ შილერი, რომლის დეაწლს, მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს ვალაწვეტილების თანახმად, მიმდინარე წელს საგანგებოდ აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ფრიდრიხ შილერის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი შემოქმედებითადაც თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის ცხოველი ინტერესი შემოხვევითი როლია.

თავის დიდ თანამემამულეებთან, ლესინგთან და გოეთესთან, ერთად შილერი ებრძოდა თავის-დროინდელ რეაქციულ კლასს — ფეოდალურ აბსტრაქტურობას, რომლის კვდომა განსაკუთრებით მახინჯ ფორმებს იღებდა პოეტის სამშობლოში, გერმანიაში დაგნიებულ და პოლიტიკურად დაქუცმაცებულ გერმანიაში.

შილერი, ლესინგისა და გოეთეს მსგავსად, მტკიცე სულიერი ძაფებითაა დაკავშირებული თავისი ხალხის რევოლუციურ — ჯერ კიდევ XVI საუკუნის გლეხთა აჯანყების დროიდან მიმდინარე — ტრადიციებთან; შილერს სძულდა არა მხოლოდ ფეოდალური ტირანია, არამედ ყოველგვარი ზავება და ამით იგი სცილდებოდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის კლასობრივ ზარხვებს. ამით გვევლინება იგი ჭეშმარიტად ხალხურ, ერთგულ გეოსნად, რომლის ვაჟკაცი ხმა დღესაც უნერგავს ბრძოლის პათოსს და გამარჯვების რწმენას ყოველ პროგრესულ ადამიანს.

შილერი, — ნათქვამია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიუბილეო მიმართვაში, — „კაცობრიობის წარმომადგენელიც გახდა, რადგან იგი ყველა თავის ნაწარმოებში ილაშქრებდა გერმანიისა და ყველა ქვეყნის დესპოტთა წინააღმდეგ და იღვა თავისუფლებისათვის მებრძოლთა მხარეზე. ამ ყოვლისშემოცველმა ჰუმანიზმმა მისცა მის უმნიშვნელოვანეს პოეტურ ქმნილებებს დიდებულ ოპტიმისტური ხასიათი“.

ლულური ლიტერატურისა, რომელიც იმდროინდელი გერმანიის პროგრესული საზოგადოებრივი აზრის განვითარების მთავარი სფერო იყო.

შილერის თანამედროვე გერმანია კატასტროფულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რისი მიზეზიც, როგორც მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, ის იყო, რომ „რევოლუციის დროიდან გერმანულმა განვითარებამ სასეებით წვრილბურჟუაზიული ხასიათი მიიღო“, რომ გერმანული ბიურგუარობის „წვრილმანი ინტერესები არასოდეს განვითარებულან კლასის საზოგადო ნაციონალურ ინტერესებამდე“. გერმანიაში არ შექმნილა ისეთი სოციალური ძალა, რომელიც შეძლებდა, თუნდაც დროებით, ამაღლებულიყო მთელი ერის საერთო მოთხოვნილებათა დონემდე და გასძლიოდა ხალხს ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

ფრიდრიხ შილერს მაშინ მოუხდა სამილდენში ახარებზე გამოსვლა (1780-81 წლებში), როდესაც გერმანული კლასიკური განმანათლებლური ლიტერატურა ზრდის, მომწიფების კრიზისს განიცდიდა. ამ კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენდა XVIII საუკუნის 70-იან წლებში განვითარებული ე. წ. „ქარიშხლისა და შეტევის“ მოძრაობა, რომლის გვიანდელ, უკანასკნელ წარმომადგენლად გვევლინება ჭაბუკი შილერი.

„ქარიშხლისა და შეტევის“ მოძრაობა იყო ყველაზე რადიკალური გამოვლენა მე-18 ს. გერმანულ განმანათლებლური იდეოლოგიისა, რომელიც თავის მთავარი სოციალური სუბიექტის, ბიურგუარობის, ისტორიული სისუსტის გამო დიდი პოლიტიკური ზომიერებით ხასიათდებოდა. ამ მოძრაობის მესვეურთა, ე. წ. „მტორმერთა“, შემოქმედებები მასწავლებლად მძაფრი, აშკარად მემამოზური ხასიათი მიიღო ანტიფეოდალურმა პროტესტანტიზმმა, რომელიც გერმანული განმანათლებლური იდეოლოგიის არსსაც შეადგენს. მაგრამ, ამავ დროს, ამ რადიკალიზაციამ უკიდურესი სიმწვევით გამოავლინა გერმანული განმანათლებლური იდეოლოგიის არსებითი სიუსტეცე.

მთელი გერმანული განმანათლებლური იდეოლოგია და ლიტერატურა ხასიათდება ღრმა, ქვეყნის კრიზისული მდგომარეობით განპირობებული წინააღმდეგობებით. გამოჩენილი გერმანული განმანათლებლური — ლესინგი, ჰერდერი, გოეთე, შილერი, მეღერბლინი — დიდად მალდებოან თავიანთ უბადრეუ ვარემოცვაზე. მაგრამ ბოლომ-

ლესინგთან და გოეთესთან ერთად, შილერი გვევლინება უმთავრეს წარმომადგენლად XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის გერმანული კლასიკური განმანათ-

დუ შინეც ვერ სძლევენ ამ გარემოცვის შემზღვევად ჩარჩობას.

გერმანულ განმანათლებელთა იდეოლოგიის მთავარი ნაკლია ის იყო, რომ ისინი თავიანთი ეპოქის რევოლუციურ, ჰუმანიტარულ-დემოკრატიულ იდეალს აბსტრაქტულ-თეორიულ, ერთკერძსთეტიკურ ხასიათს აძლევდნენ და ინდივიდუალისტური ტენდენციით მსჯელობდნენ.

გერმანული განმანათლებლური იდეოლოგიის სისუსტე ყველაზე ტიპურად გამოხატა, როგორც ამის მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, იდეალისტმა ფილოსოფოსმა კანტმა, რომლის ეთიკური იდეალის გამოშასხველი ცნება, ყოველგვარი მატერიალურ-რეალური შინაარსისაგან დაკლილი და მხოლოდ „შიფტი“ საშუაროში განხორციელებული „ეთიკი ნება“ წარმოადგენს „უბაში უბადრულობის შენაცვლებას მალაფარდოვანი უბადრულობით“ და „სრულად შეესატყვისება გერმანული ბიურგუარიის უძლეურობას, დაბრუნებლობასა და უბადრულობას“.

ბიურგუარიული იდეოლოგიის ამ სისუსტითაა განპირობებული გერმანული განმანათლებლური იდეოლოგიის განვითარების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ ლიტერატურის უფრო რადიკალური წარმომადგენლები (შოლერე, კლამპტოკი, შილერი და ჰელდერლინი) უფრო მეტად უხდებიან ხარკს იდეალიზმს, უბრატესად მიუყვებიან გერმანული განმანათლებლობის „კანტიაზურ“ ხაზს. ხოლო მისი შედარებით ზომიერი მესვეურები (გოეთე, ვილანდი, ლესინგი, ჰერდერი და გოეთე) მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით, მაგრამ გარკვეულად, იხრებიან მატერიალიზმისაკენ.

ამის დადასტურებას წარმოადგენს „ჟიორნილი“ და „შტეტეის“ მოძრაობა, რომელშიაც გერმანული განმანათლებლობის მწვევე ერთხლი გამოვლანდა. ეს ერთხლი იმაში გამოიხატა, რომ „შტეტერმერია“ შემოქმედებაში რაც ახალ, დადებით ფაქტორებთან ერთად თავი იჩინა უკიდურესმა, ყოველგვარი წესებისა და კანონების უარყოფითა ინდივიდუალიზმმა, რაც მოწმობს, რომ „შტეტერმერია“ საერთოდ წვრილ-ბურგუარიული ანარქიზმის ტიპური იდეოლოგია იყენენ.

ყოველივე ამის გამო უდიდესი გერმანული განმანათლებლები, (არა მარტო ლესინგი, რომელსაც უმთავრად დაუპირისპირდნენ „შტეტერმერები“, არამედ გოეთეც და შილერიც, რომლებსაც სიკვამლეში თითონვე მიუხედავად დიდი ხარკი „ჟიორნილი“ და „შტეტეის“ მოძრაობის) გადაჭრით გადაუღწიეს ამ მოძრაობას და ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდნენ მის „უკიდურესობათა“ დაძლევისაკენ.

გოეთე და შილერი იდეოლოგიურად ამხადებდნენ გერმანულ ხალხს რევოლუციისათვის. ამ ისტორიული მოწოდების სიმძლავრე ისინი დადგნენ იმით, რომ მხოლოდ ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილების მანკიერების მხილებით

კი არ დაეყოფილებულან, რითაც, არსებობდა „შტეტერმერია“ *„Schtettermeria“* იმ ნაკლოვანებებსაც გამოეცხადებოდა, რომელთა გამოც ბიურგუარიული ვერ იქცა რევოლუციურ ძალად.

შილერი, რომელმაც „უკვე სიკვამლეშივე შეითვისა ბურგუარიული განმანათლებლობის ყველაზე შიშინავე იდეები“¹, თავის ანტიფეოდალურ ბრძოლასა და ანტიბურგუარულ კრიტიკიზმს საფუძვლად უდებდა პლუტურ-პატიმარისტურ იდეალს, რომელიც ვერ თავსდებოდა განმანათლებლური იდეოლოგიის ბურგუარიულ ხარჩობაში. თვითონვე ვრწამობდა რა თავისი პრაქტიკული მეთოდოლოგიის უზღვევლობას, რომლის თავისებურებებიც „უკვამლეში“ ახალ სახელმწიფოზე, ახალი პარლამენტული, კლასობრივი განხეთქილებისაგან თავისუფალ საზოგადოებაზე თავისი ოცნების განხორციელების გზებს².

ქვეშაობრტად ადამიანურ ცხოვრებაზე ხალხის საწევარი ოცნების განხორციელებისათვის შილერის ეს ორმხრივი — როგორც ანტიფეოდალური, ისე ანტიბურგუარიული — ბრძოლა ცხად იჩენს თავს მის პირველსავე ძრამატულ ქმნილებაში — „უკვამლეში“ (1780-81), რომელიც უკვე შეიცავს მისი მთელი შემდგომი შემოქმედების ძირითად იდეურ პრინციპიტკას.

ამ თელსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, უბრადადებს იშურებს „უკვამლეთა“ მთავარი უარყოფითი პერსონაჟის — ფრანკ მოორის სახე, რომელიც თითქმის განსაკუთრებული და არანაკლებრივად, მაგრამ მართლად და ტიპურია თავისი კონკრეტული სოციალური შინაარსით.

ფრანკ მოორი არის ფეოდალიზმის ლპობის, აბსოლუტუზმის რღვევის დროინდელი აღვირახსნელი ტრანში. ფრანკ მოორი ჯვევლინება ტიპობრივ განსაზიერებამდე იმ მრავალეცხობის გამოწაინა, „ჯიბის“ მონარქებისა, რომელთა ტირანია იღენადადე უსაზღვრო იყო შილერის თანამედროვე გერმანიაში, რამდენადაც შილერ იყო მათი სამფლობელოების მესაზღვარი.

ადამიანი და ყოველივე ადამიანური — სათნოება, სიყვარული, მშვენიერება — მოკლებულია ფრანკის თვალში დამოუკიდებელ ღირებულებას და ისინი მხოლოდ იღენადაა გამართლებული, რამდენადაც შეიძლება იქნენ გამოყენებული მის ეგოისტურ ინტერესთა და ცხოველურ ვნებათა დაკმაყოფილების საშუალებად. ფრანკი ცხოვრების აღიქვამს, როგორც „თამაშის“ სარბიელს, სადაც ყველა ერთმანეთით თამაშობს, მაგრამ ისე, რომ საბოლოოდ ადამიანთა უდიდესი ნაწილი სათამაშო იარაღად იქცევა და მხოლოდ თითოობრივად „რჩეული“ რჩება „ნამ-

¹ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემოთავაზებული „მიმართვა“.

² იქვე



დღელ* შოთამაშედ, რომელიც აღწევს არსებობის უზენაეს მიზანს — ბატონობას.

მაგრამ ფრანცის სახე არა მარტო ფეოდალური დესპოტის ტიპობრივი გამოხატულებაა. ენობისა არ ყოველივე პრიორეტესს, რაც თან სდევდა ბურჟუაზიულ განვითარებას, ფრანცს, ამავე დროს, შეთვისებული აქვს ყოველივე მანკიერი, უპაფოფითი და რეაქციული, რაც ახასიათებდა ბურჟუაზიას, როგორც უფრო განვითარებულ ექსპლუატატორულ კლასს. შილდერი არ დაღატობს ისტორიულ სიმაბრტლეს, როდესაც ფრანც შოთარს წარმოგვიდგენს დესპოტად, რომელსაც თავისი აგრესიული ეგოიზმის დასახებულებლად განმანათლებლურ რაციონალიზმი და მატერიალიზმი „შოუბარჯეგებია“. საქმე ისაა, რომ ასე ცალმხრივად და მანკიერად ითვისებდა განმანათლებლურ მსოფლმხედველობას XVIII საუკუნის დემოკრატიული ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც ამ მსოფლმხედველობის უპაფოფით, რეაქციულ ტენდენციებში ცდილობდა ეპოვნა თავისი არსებობის გახანგრძლივების ახალი იდეოლოგიური იარაღი.

ამრიგად, ფრანცის სახე პირდაპირ მიგვიითხებს შილერის კრიტიციზმის პლემბურ-რეკოალუციურ არსზე, მის ორმაგ — ანტიფეოდალურ და ანტიბურჟუაზიულ ტენდენციებზე.

ფრანც შოთარს დამატებად უბიძისპირდება მისი უფროსი ძმა კარლი, რომელიც ღრმად უყვარს ადამიანები. ეს ძლიერი და აქტიური, თავისუფლებისმოყვარე და დიდი საქმეებისათვის შენართული პიროვნება, წყველა-კარულვას უთვლის თავის „მამურ საუკუნეს კანტატეხისას“, რომელნიც „მხოლოდ საიმისოდ არიან ეარგისნი, რომ წარსულის საქმენი ცოხონ და ძველი გმირები კომენტარებთ ბლადონ და ტრავდიებიან ასახირონ“. კარლის მთელი პროტესტი მიმართულია იმდროინდელი გერმანული სინამდვილის წინააღმდეგ, სადაც როგორც მარქსი ამბობდა, „პრაქტიკული ცხოვრება ისევე უსულა იყო, როგორც სულიერი ცხოვრება არაპრაქტიკული“. გერმანული უზადრეობის წინააღმდეგ კარლის ეს პროტესტი შევეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ელფერს ატარებს. კარლი ნაღვლობს, რომ არ ჰქავს თავის მსგავს ვეჯაცთა ჯგუფში, რომლის შემეგობითაც გერმანიას ისეთ რესპუბლიკად გადაეპეცედიო, რომელითაშ შედარებით რომი და სპარტა დედამა შინასტრებად გამოჩნდებოან.

ამ შემპობებია რესპუბლიკური სულისკვეთებით კარლი შოთარი გვევლინება შილერის შეპოქმედებისათვის ტიპიურ „შილერისებურ“ რომანტიკულ სახედ ანუ ეპოქის მოწინავე, რეკოლუციური და დემოკრატიული იდეების რუპორად, იდეებისა, რომელთა რეალისტური ხორცშესხისათვის შეწარამა ვერ იპოვა მასალა თავის ვატიკულიველ სინამდვილეში. კარლის სახის რომანტიკულია მხოლოდ იმით კი არ ისახდერება, რომ კარლი არისტოკრატია თავისი სოციალური

წარმოშობითა და მდგომარეობით, არამედ კიდევ უფრო მეტად იმით, რომ თავისი ტენდენციული სულისკვეთებით იგი იმდროინდელ გერმანულ საზოგადოების არც ერთ კლასს არ წარმოადგენს უშუალოდ, კონკრეტულად, რადგან ამ საზოგადოებაში ყოველთავე ნამსალიყო* და „არც ერთი კლასი არ გრძნობდა საყოველთაო ემანსიპაციის მოთხოვნულებასა და უნარს“ (მარქსი, ენგელსი).

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის კარლის რომანტიკული სახე მოკლებულია რეალისტურ ნიშნებს. პირიქით, იგი იმდენად არის გამსჭვალული რეალისტური ტენდენციებით, რამდენადაც თავისთავად რეალისტურია ის ჰუმანიტარული სულისკვეთებები, ის პროგრესული იდეები, რომელთა „რუპორსაც“ იგი წარმოადგენს ამავე დროს, კარლი სრულიადაც არ გვევლინება რეალური სინამდვილისაგან სავსებით განყენებულ, მშობლიურ ნიადაგს მოწვეულ ჰუმანიტარულ პირიქით, იგი თავისი ეპოქის გერმანელია, რომლის მაღალი სულისკვეთებანი სწორედ იმ ნაკლოვანებებთანა შეზოხილი, რომლებიც ბურჟუაზიის ართმეოდენ რეკოლუციური ბრძოლის უნარს, კარლის სახის რეალისტურ ტენდენციას ისიც აძლიერებს, რომ შილერი აღნიშნულ ნაკლოვანებათა იდეალიზაციის კი არ ეწევა, — კანტიეთი კი არ აყავს ისინი პოზიტიური პრინციპის სიმბოლესზე, — არამედ მათ მიმართ იჩენს უპაფოფით, კრიტიკულ დამოკიდებულებას, წარმოგვიდგენს მათ კარლის დღეუპის უშუალო მიზნებად.

კარლის ძირითადი გერმანულ-ბურჟუაზიული მანკი მდგომარეობს მის ანარქისტულ ინდივიდუალიზმში.

პოლიტიკურ ასპექტში ეს ინდივიდუალიზმი იმით იჩენს თავს, რომ კარლი მხოლოდ ფეოდალურ კანონებს კი არ უშეზღდრდება, არამედ ეპმობს ყოველგვარ კანონს. თავისუფლება მას ესმის, როგორც პიროვნების სრული თვითნებობა ანუ ყოველგვარ საზოგადოებრივ ვალდებულებათა მიღმა დგობა. ასეთი „თავისუფლება“ კი მხოლოდ რაი გზით შეიძლება იქნეს მოპოვებული ან პასიურად — ვეროი ოჯახური „შენდეიერების“ ფილისტრულ ნაქუქში მოქცეული, რასაც პაქველ რიგში ვეცადა კარლი, ანდა აქტიურად — ყანაღად ვასკლეთ, რამაც ოდენვაც მოიყვანა იგი: დაღუპვამდე. თუმცა ვაყანაღებული კარლი კვლავ მაღლდება თავის პირვანდელ ტრანსიუმბრპოლურ სულისკვეთებათა დონეშივე, მაგრამ, ამავე დროს, კარლისათვის ცხადი ხდება, თუ რაოდენ არ შეეფერება ყანაღობა მის დიდ განზრახვას ხელთ ეყურას „ზენარული მართლმსაჯულების მახილი“.

კეთილშობილდერ მიზანსა და ამორალურ სემუალებას შორის შეფერავებული წინააღმდეგობა კარლს სწრაფად უტებს ნებისყოფის და ართმევის ბრძოლის შინაგან იმპულსს.

კარლი მარცხდება და ხელს იღებს ბრძოლაზე, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ

შილერიც მას მიჰყვება. „ეჰალითა“ ძირითადი იდეა როდია ბრძოლაზე ხელის აღება. ზირაქით, შილერის ეს უკვდავი ქმნილება მოლონად ბრძოლის სფალთაა გამსჭვალული და ამდენად სავსებით არსითაა რიგობრ თავის თავდაპირველ სათაურს („In tyrannos!“ — „ტირანთა წინააღმდეგ!“), ისე თავის ეპიგრაფს: „რასაც წამალი ვერ განკურნავს, მას რკინა განკურნავს; რასაც რკინა ვერ განკურნავს, მას ცეცხლი განკურნავს“.

თანაც პიესაში ისიცაა ნაშენები, თუ რიგობრ არ უნდა ბრძოლა და, ამგვარად, უკვე „ეჰალითაში“ წამოჭრილი შილერის მთელი შემდგომი შემოქმედების ძირითადი პრინციპია: რა გზითა და საშუალებებით უნდა მოიპოვოს გერმანიელმა ხალხმა თავისუფლება.

მეგრამ თავისი უზადრეთ გაგრემოცვით შემოქმედი შილერი, გოეთეს მსგავსად, ამ პირობების გადაწყვეტის „გერმანიელ“, ანტირატულ-თეორიულ და კომპრომისულ გზას ირჩევს და იმ თვალსაზრისს ადგენს, რომ რევოლუციური ბრძოლის დაწყებამდე რევოლუციონერთა მორალური მომზადებაა საკურო, ხოლო ვიდრე ეს გაკეთდება — არსებული წყობილების მანკერებათა თანდათანობით გამოუსწორებისათვის ზრუნვით დაკმაყოფილება.

ეს უტოპისტური თვალსაზრისი, ცხადია, იმთავითვე ზღუდავს შილერის განმანათლებლურ საქმეს, მეგრამ ვერ ახშობს მის რევოლუციურ სულისკვეთებას.

შილერის ეს თვალსაზრისი მკაფიოდ გამოიხატა დიდი დრამატურგის მეორე ქმნილებაში — ფიესკოს „შეთქმულება გენეში“ (1783), რომელსაც ავტორმა „რესპუბლიკური ტრაგედია“ უწოდა.

ეს დრამა იმითმ წარმოადგენს „რესპუბლიკურ ტრაგედიას“, რომ განასახიერებს ხალხურ-რესპუბლიკური აჯანყების შედეგებლობას იმ ხანაში. XVI საუკუნის გენუას არისტოკრატულ რესპუბლიკაში მომხდარი დემოკრატიული აჯანყების დამარცხების მთავარ მიზეზად შილერი იმას წარმოადგენს, რომ ამბოხებელი დემოსი, თავისი პოლიტიკური შეფენებლობისა და ინტელიგენციის გამო, აჯანყების შეთავრად ირჩევს არა პატრიან და შეუხრელ რესპუბლიკელს — ვერიანს, არამედ არსებითად პატრიოტურად და ევრაგ ავანტურისტ-არისტოკრატს — ფიესკოს. ამ უკანასკნელს თავისი ანგაგებანი მიზნების მისაღწევად ამბოხებელი ხალხის გამოყენება სურს, იგი ლაღატბს აჯანყებას და რესპუბლიკის დამყარების ნაცელად, ცდილობს თვითონ დაედგეს ტირანის ტახტზე. ამიტომაც ვერიანა, ხალხს რომ ახალი და ურესი ტირანი ააყდონოს, ჰკლავს ფიესკოს და რწმუნდება რა, რომ არსებულ ვითარებაში შეუძლებელია ნამდვილი რესპუბლიკის შექმნა, ურავდება შედარებით უფრო „ეჰთილშიბილ“ ძველ ტირანს — მოხუც ანდრეა დორიას.

დორიასთან ვერიანს დაბრუნება ამგვარებს შილერის პოლიტიკური მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრიობას, იმას, რომ „შეთქმულება“ რესპუბლიკურ საბელმწიფოებრივ ფორმად აღიარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მეგრამ, რამდენადაც იგი ამგვარი რესპუბლიკისათვის ხალხს უკერ კიდევ მომწიფებულად არ თვლის, თავისი დროისათვის პრაქტიკულად გამართლებულად და აქცელბლად მიიჩნევს „განათლებულ“ მონარქიას.

მეგრამ არსებულ სინამდვილესთან ამგვარა „შერიგება“ მიიღვ არ ასუსტებს შილერის ანტი-ფეოდალურ კრიტიკიზმს. შილერი ისე ღრმად და სასტიკად ამხელს თავისდროინდელ დესპოტებს, რომ მისი კრიტიკიზმის პათოსი იზიქტურად მიმართულია აბსოლუტური მონარქიის დამხობისაკენ.

ამის საუკეთესო მანკენებელია „ევრაგობა და სიყვარული“ (1784), რომელშიც შილერი სუბიექტურად „მორალური აღზრდის“ კომპრომისულ თვალსაზრისზე დგას, მეგრამ უდიდესი მამნილებული პათოსით ხატავს გერმანულ ტირანთა გაბრწილებლასა და აღიარებლობის სურათებს. სწორედ ამიტომ უწოდა ენგელსმა ამ პიესას „პირველი გერმანული პოლიტიკურად ტენდენციური დრამა“.

პრეზიდენტი ვალტერი, მისი მდივანი ვერი, ჰერცოგის ხასა ლედი მილფორდი, ტუტუო კარისკაცი კალბი — ყველა ესენი წარმოადგენენ დრამად რეალისტურ სახეებს, რომლებიც ფეოდალური არისტოკრატის გამოუსწორებლობაში და აბსოლუტისტური მონარქიის დამხობის აუცილებლობაში არწმუნებენ მკითხველსა და მყურებულს.

მეგრამ „ევრაგობა და სიყვარული“, რომელსაც შილერმა „ბიურგერული ტრაგედია“ უწოდა, მხოლოდ გაბრწილი არისტოკრატის მხილება კი არ არის მოცემული, არამედ ბიურგერობის ფილიტერული შეზღუდულობის კრიტიკაც, მოუხედავდ იმისა, რომ შილერი დიდი სიმპათიით ხატავს ბიურგერობის წარმომადგენლებს — ლეიზას, მოხუც მილერს, კამერდინერს. ამ „ბიურგერულ ტრაგედიაში“ ნაწვენებია ბიურგერობის მთელი სისუსტეც.

იდეალუზებულ არ არის დრამის მთავარი გმირიც, ეპიკის მოწინავე სულისკვეთებით გამსჭვალული ფერდინანდი. სელიერად ბიურგერობის დანათესაებულს, მას ბიურგერ მეამბოხეთა მთავარი მანკაც — იგივე კარლისეული ინდიფულუალიზმი — შეჰყარია მისი აქტიურობაც პირადოჯახური ინტერესებით იფარგლება. ამიტომ, არა მარტო პრეზიდენტი და მისი დამქაშებია, არამედ თვითონ ფერდინანდიც არის დანაშავე ლეიზა და თავის დაღუპვაში.

მართალია, თავისი იძულებითი კომპრომისული პოზიციის გამო შილერი შემოიფლებლურად ამთავრებს დრამას: პრეზიდენტი იღვიჭებს უბედურებით გულმოკლული მამა, რომელიც მორჩი-



რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს გერმანული კლასიკის მწვერვალსაც. გოეთესა და შილერის საერთო მემოიბის შედეგად შეიქმნა გერმანული ლიტერატურის კლასიკური შედეგები. ამასთან ერთად, გოეთე, რომელიც უფრო წარსულყო მატერიალისტურ შეხედულებათა მიმართულებით, შევლიდა შილერის რეალისმისაკენ განვითარებაში. თავის თანამშრომლობაში ირთვე პოეტმა შექმნა რეალისტური ხელოვნების თეორიის მნიშვნელოვანი საფუძვლები, რამდენადაც ისინი ცდილობდნენ სინამდვილიდან გამოყვეყნათ ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების კანონზომიერება¹.

შილერი ავოკრებებს და ამით არსებითად აწწორებს ადამიანზე კანტის ნეცაიოურ თვალსაზრისს, რომელსაც ყველაზე მეტად მარკოზ პოზის სახის „გააზრებისას უხლო ხარკი. შილერის აზრით, უკვე „უყოველგვარი ადამიანის გული“ კი არ არის მატერიი ვნებებით შეუბრობლი, არამედ ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანისა.

თავის ისტორიულ ძიებათა პროცესში, რომელიც ანტიკური ხელოვნების დრმა შესწავლით დაგვირგვინდა, შილერმა თავისი რვეოლუციური იდეალის განმორკველების იბიექტური შესაძლებლობაც ირწმუნა კვლავ და ამ იდეალისათვის ბრძოლის ახალი გზაზე მონახა. ამით მან თავი დააღწია იმ შემოქმედებითის ჩიხს, რომელშიც იგი ადამიანის მორალურია აღზრდის უტოპისტერმა თვალსაზრისმა მოაქცია.

ეს ახალი გზა იყო ადამიანის ესთეტიკური აღზრდის გზა, რომელიც აგრეთვე არსებითად უტოპისტული ილუზიას წარმოადგენდა, მაგრამ უფრო კონკრეტულ იბიექტურ წინამძღვრებს ემყარებოდა. ამდენად იგი ვეცილებით უფრო ძლიერ „რაციონალურ მარკვალსაც“ შეიცავდა, ვიდრე მორალური აღზრდის კონცეფცია.

იღარება რა თავის თანამედროვეობას ანტიკურ საზოგადოებას, შილერმა დაასკვნა, რომ ამორალური ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოება ანტიესთეტიკურიც არის და, ამდენად, შეუფრთხილად მტრობს ხელოვნებას. ამ საფუძველზე შილერი ამტკიცებს, რომ სწორედ ხელოვნება წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც სინამდვილის გარდაქმნის უნარი შესწევს, რომ მხოლოდ ხელოვნის, პეტის შექმლია იყოს კაცობრიობის ნამდვილი აღმზრდელი, რადგან იგი თავისი მანკიერი გარემოცვის მდამალი ინტერესებით კი არ ზეღმძღვანელობს, არამედ თავით ხელოვნების, პოეზიის, პეტის, რომელიც „სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის შექმლისამებრ სრულყოფილად გამოსახვა“ ანუ იდეალური, პარმონიულად განვითარებული, თავისუფალი და მორალური ადამიანის განსახიერება.

ცხადია, იმის დამეება, რომ ხელოვნება წარ-

მოადგენს „მშვენიერი ხილის“ დამოუკლებელ იდეალურ სამეფოს, შილერის ექსტრემულად იყო. მაგრამ შილერი სინამდვილესავე იყუტებუ წყევებს, არამედ, პირიქით, თავისი ეპოქის მოწინავე პოლტიკური იდეებით, რვეოლუციურ სულსკვეთებით ავსებს მშვენიერების ამ იდეალს.

შილერისებური „მშვენიერი ხილის სამეფო“ იმ დემოკრატიული თავისუფლების იდეალურ სამყაროს წარმოადგენს, რომლის დამყარებისათვის იბრძოდნენ იაკობინელები, და თუცა შილერს თავზარს სკემდნენ იაკობინელთა მეთოფეში, მას მიიწე არ აუღია ხელი თავისუფლების იდეალის განმორკველებისათვის ბრძოლაზე. ამიტომაც შილერის ესთეტიკურ თეორიაში საკმაოდ ძლიერია მატერიალურ-რეალისტური ტენდენცია, რამაც შესაძლებლობა მისცა შილერს — ხელოვანს მიეღწია თავისი შემოქმედებითი განვითარების მწვერვალუბისათვის.

პრანციულებად შილერი არის მხატვრული ასახვის რეალისტური მეთოდის მომხრე. ერთადერთ პეშმარტად სრულყოფილ, ნამდვილ პოეზიად იგი თვლის რეალისტურ, ე. წ. „ნაივერ“ პოეზიას, რომელიც წარმოადგენს „სინამდვილის შექმლისამებრ სრულ მიბახვას“ და რომელიც „სრულად გამოხატავს სინამდვილეს“. იღონდ პრაქტიკულად შილერი ბოლომდე ვერ იცავს ამ პრინციპს. მისი აზრით, მის თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც სინამდვილესა და იდეალს შორის მამფერი წინააღმდეგობაა, უფრო გამართლებულია „სენტიმენტალური“ ანუ რომანტიკული პოეზია, რომელიც განსახიერებს იდეალს და არა სინამდვილეს.

მაგრამ შილერი ისე მამფრად, ანტიგონისტურად არ უპირისპირებს ერთმანეთს „ნაივერ“ და „სენტიმენტალურ“ პოეზიას, რომ მისი ესთეტიკური თეორიისა და მხატვრული პრაქტიკის რეალისტური არის იბრვეოღეს.

„ნაივერისა“ და „სენტიმენტალურის“ კონცეფციის სახით შილერმა, არსებითად, განსაზოგადა საკეთარის მხატვრული შემოქმედება, რომელიც, წვეულებრივ, უარყოფითი გმირები (რომლებიც არსებულ სინამდვილეს წარმოადგენენ) „შექმარისებურად“ დაბატულ რეალისტურ-„ნაივერ“ სახეებად გვევლინებიან, ხოლო დადებითი გმირები (რომლებიც სასრულე სინამდვილეს წარმოადგენენ) რომანტიკულ-სენტიმენტალური“ სახეები, ტიპიური „შილერისებური“ „რეპორტები“ არიან.

შილერი თვითონვე გრმნობდა საკეთარის ესთეტიკური თეორიის სუსტ მხარეს, კერძოდ, „სენტიმენტალური პოეზიის“ ცნებას უქმარობას. იმ გრმნობდა, რომ ეს თეორია აშკარად შორებოდა იბიექტურ-მატერიალურ სინამდვილეს, იმ „გრმნობდა სამყაროს“, სადაც პოეტო მულამ ეძებდა თავისი „აღმადრენის საუბიზილეს“. ამიტომაც შილერს ბოლომდე არ შეუწყვეტია ხელოვნების იბიექტურ-მატერიალური საფუძვლების ძიება. იგი უქანასკნელ დრომდე იბრძო-

¹ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ც. კის მიმართვა.

და თავისი ესთეტიკური თეორიის რეალისტური არსის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ამ ბრძოლაში მის დიდად დაეხმარა მისი მეგობარი, დიდი „ნაიფური“ პოეტი — გოეთე. პოეტის საბოლოო ესთეტიკური შეხედულებები იმას მოქმედებდა, რომ შილერი უკვე მაქსიმალურად დამორჩიდა კანტს და უშუალოდ მიხსულა აბსტრაქტულ-შეგარტულური „სენტიმენტალურა“ პოეზიის ურყოფამდე. ასე შეაღიფადა, 1798 წელს იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ აბსტრაქტული თეორიები „სიმაღლე მოეზარებებოდა და არცთუ მაინცდამაინც ნაყოფიერი შეიქმნებოდა ზელოვანისათვის, რადგანაც, კარბა რომ თქვას, ამ სიმაღლედან რეაგითიან გზა აქ მიდის იბეჭეტიანგან.“

1796 წლიდან შილერი კვლავ იწყებს ინტენსიურ მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობას. უკანასკნელ ათი წლის მანძილზე შილერი წერს ფილოსოფიური ლირიკის მთელ რიგ შედევრს (მაღაღებო, „სიმაღლა ზარზე“ და სხვა). ამ წლებში სრული ძალით გაიფურჩქნა შილერის დრამატურული ტალანტი.

შილერის უკანასკნელი დრამატურგიული ქმნილებები წარმოადგენენ მის ისტორიოგრაფიულ ძიებბათა უშუალო ნაყოფს და ერთი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორით განსხვავდებიან მისი ადრინდელი დრამებისაგან („დონ კარლოსი“ ჩათვლით). ისტორიულ ძიებბათა შედეგად შილერმა თავის რეველაციურ სულისკვეთებას რეალური საყრდენი მოუძებნა ხალხის სახით. თუკი აქამდე შილერი ერთდელ „გამოიწინა“ პირადადბათაგან მოგორა ხსნას, იქნებოდა ეს „მოკვებბა“ კარგი თუ „რეფორმატორი“ პოზა, რითაც თვითონ უხდიდა ზარკს იმ ინდივიდუალობას, რომელსაც ამ გმირებს უთვლიდა ზნეობრივ დანაშაუდად, ახლა მისთვის ცხადი ხდებდა, რომ მხოლოდ ისეთი გმირი შესძლებს გამარჯვებას, რომელიც ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს, ხალხს ვერდნობა.

როგორც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საიუბილეო მიმართებამი ნათქვამი: „მისი უკანასკნელი წლების თხზულებებში სულ უფრო ძლიერ გამოხატულებას იძენდა მის მიერ ხალხის მასების ისტორიული ძალის შეგნება. განსაკუთრებით განასახიერბა მან ეს ძალა „ვალენტიანში“, „ორლანდელ ქალწულში“ და „ეილმეიმ ტელში“. შილერმა წარმოადგინა უბრალო მშრომელი ხალხიდან გამოსული გმირები, რომლებიც საბავუეში უდგებბან ნაციონალურ-განმათავისუფლებბად ბრძოლას და გამარჯვებბით აგვირგვინებენ მას“.

ტრილოგიამი „ვალენტიანი“ (1796-99) ასახულია გერმანიის ეროვნული ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდი — 1618 — 1648 წლების ე. წ. ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც თითქმის სრულ გერმანიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განადგურებამდე მიიყვანა შილერის სამშობლო. ამ ომის შედეგად გერმანია სამსამედ

მიერთსკომიულ ფეოდალურ „სახელმწიფოდ“ დანაწევრებული აღმოჩნდა.

ტრილოგიის გმირი — ოცდაათწლიანი გამომწინილი მხედართმთავარი პეტროვი ვალენტიანი — იზრდინდელი გერმანიის მსხვილი არისტოკრატის ტიპისი წარმომადგენელი იყო. ავსტრიის იმპერატორის სამსახურში დამდგარმა, მან რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა იმპერიის შინაურ და გარეშე მტრებზე, რითაც ზელი შეუძლო ქვეყნის გაერთიანებას. მაგრამ წარმატებბით ამატრდხახვეული, იგი აქვბა თავის პატივმოყვარე ვნებებს, ვადაუდგბა იმპერატორს და, საყუბარ ინტრიგებში გზბლართული დაიღუბა. თავისი ღალბთ მან მინიმე ლახვარი ჩასტა ვერმანიის გაერთიანების საქმეს.

შილერი გასაოცარი სისწორით წარმოგვიდგენს ვალენტიანის ისტორიულ სახეს. ვალენტიანის შეეძლო თავისი ქვეყნის გაერთიანების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეეჩრულებინა, რომ პატრიოტულიკობაზე მაღლა ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარული დაეყენებინა. თანაც შილერს სრულებბითაც არ ვადაქვს ვალენტიანის დანაშაული ვიწრო პიროვნულ. მორალურ სფეროში: ვალენტიანის პატრიოტულიკობა და ანგარებბინაბა მხოლოდ მის პირად ზნეობრივ მანკს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს მთელი მისი კლასის მანკია.

შილერის უღბლესი მიღწევა ისბა, რომ მან თავისი ქვეყნის არისტოკრატის ისტორიული დანაშაულის მხილებბასთან ერთად წარმოადგინა ძალა, რომელსაც ერთადერთს შეეძლო სამშობლოს ხსნა. ეს ძალბა უბრალო ხალხი, რომელიც დრამამი ვალენტიანის არბიის სახბთბა გამოყვანილი.

ხალხის განსახიერებბამი (რისაც მთლიანად მიეძღვნა ტრილოგიის პირველი ნაწილი — „ვალენტიანის ბანაკე“, სადაც თვით ვალენტიანი არბა უშუალოდ გამოყვანილი) შილერი ისტორიულ სიზუსტეს იცავს პოეტი ბრწყინვალედ გვიხატავს ხალხის ეთიკურ სულს, მის გულუკთილბას და ტრანსილისში შეურთიკვებლობას. ამავე დროს, შილერი არ ეწყევა ხალხის ყალბ იდეალიზაციას და გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობენ ვალენტიანიცა და მისი მოქმეშენი ხალხის ნაკლოვანებბანი თავიანთი პატრიოტულიკობისიანისათვის გამოიყენონ.

ვალენტიანის ძალა მის ჯარს ემყარებბა და მას სწორედ ის ღუბავს, რომ იგი ვერ ჩასწვდა თავისი არბიის სულსა და გულს. ვალენტიანი მხოლოდ ანგარებბის თვლით უცქერბა ხალხს და ჯარბმაც მას იგივე სავსებური იმუხლო: მხოლოდ მანამდე დარბა მისი „ერთგული“, ვიდრე მასში ძალას გრძნობდა.

ვალენტიანისა და მის მთელ რეალისტრად დამბატულ „ნაიფბრ“ გარემოცვას შილერი უბიბრისპირებს იდეალურ, „სენტიმენტალურ“ გმირებს — ჭბბუე მაქს პიკოლომინისბა და მის სპოულს, ვალენტიანის ასულს თვლას.

ვალენტიანთან და ტრილოვის სხვა „ნიკეიანელებს“ პერსონაჟებთან შედარებით, რომლებიც სისტემატურად, კონკრეტულ და კოლორიტულ ხასიათებს წარმოადგენენ, სამშობლოს გაერთიანებისათვის უნაგაროდ მებრძოლი მაქსი და თეკლა გველენებიან შედარებით ფერმკრთალ, განუყენებელ სახეებად. მაგრამ ეს სახეები მაინც არ წარმოადგენენ უსიცოცხლო, ყოველგვარი რეალისტური შინაარსისაგან დაკლებულ სქემებს. მართალია, მაქსი და თეკლა ზოგადკაცობრიულ სულისკვეთებათა „დეკლამატორები“ არიან და არა პრაქტიკოსები, მაგრამ მათ სიტყვებს სიძვირფასობა და ძალის ანიჭებს თვითონ შილერის გმირული პათოსი.

„მარიამ სტიუარტის“ შემდეგ (რომელიც მხატვრული ისტატივის თვალსაზრისით შილერის ყველაზე სრულყოფილ დრამად შეიძლება ჩიოთვალეს და რომელშიც მშარბველი კლასების მხილვება ისევ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალდებულების იდეას ექვემდებარება) შილერი „ორლანდელ ქალწულში“ (1801) უბრუნდება და შემდეგ ამ ავთორებს ხალხის ისტორიული როლის თემას, რომელიც მის მიერ პირველად „ვალენტიანში“ იქნა განსახიერებული.

შილერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ გაბატონებულ კლასებს არ შესწევთ ქვეყნის ინტერესების დაკისრება უნარი; გმირები კი, რომლებსაც ძალღმობა უნაგაროდ ემსახურის სამშობლოს და ძლიერპოსილად წარმართან ხალხი ბედნიერებისაკენ, მხოლოდ და მხოლოდ იმავე ხალხშია საძიებელი.

„ორლანდელ ქალწულში“ განსახიერებულია საფრანგეთის ეროვნული ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელო ეპოქის — ფრანგების ინგლისელებთან ასწლიანი ომის (1337 — 1453) კრიტიკული მომენტი, როდესაც ორლანდელ შემოჭრილი მტერი, რომელიც მანამდე ზედინებულ ზეინობად ფრანგ ფეოდალ-შემდარმთარებზე გამარჯვებებს, სასტიკად იქნა დამარცხებული ფრანგი მხედრობის მიერ 17 წლის გულზე გოგონას — ეანა დარკის შეთავრობით.

შილერი ეანას უბრძოლველად მმართველი კლასების წარმომადგენლებს, რომლებმაც ხალხი უკიდურეს სიღატაკეში, ზოლო ქვეყანა ეროვნულ კატასტროფაში მიიყვანეს და გასაჭირის ეანას სამშობლოდ კი გაჰყიდეს საკუთარი კეთილდღეობისათვის.

მაშინ, როდესაც განსაკუთრებული საპოლორად სტუმრს გახრწნილ და გამოიტყუებულ არისტოკრატსა, იგი, პირიქით, ბრძოლისათვის აღადგინოვნებს დაუჩინებელს, მაგრამ მაინც შეუღლებულ ხალხს სწორედ ამ გმირი ხალხის სიმშობლია ეანა დარკი, რომლის საბრძოლო უიქინაა: „არავითარი შეთანხმება და დანებება!“

თუკი „ეანა დარკი“, ამ „რომანტიკულ ტრაგედიაში“, შილერი იმით გამოეთვალდება, რომ ეანას განადიდებს, როგორც ხალხის გმირული სულის სიმშობლის, — მის უკანასკნელ დამთავ-

რებულ დრამაში — „ვალენტიან ტელში“ (1804). უკვე უშუალოდ ხალხის მისა კალენტიან ტელში რის სახით გამოყვანილი.

„ვალენტიან ტელში“ შილერის შემოქმედებაში მომხდარი გარკვეულ შემთხვევებს გამოხატავს. საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენით მიღწერილი დეგრა რევოლუციური ბრძოლის ადგილებლობის თვალსაზრისზე. მაგრამ მისთვის, კიდევ უფრო მეტად, ეიდრ გოეთესათვის, კიდევ მიუღებელი რჩება ამ რევოლუციის პოლიტიკური ფორმები, „უკიდურესი“ შეთავაზება, რომლებშიც, მისი აზრით, საზოგადოების უბეშ ინსტიტუტებს ახსნეს აღიერი. ამიტომაც იგი ეძლეობს ამ რევოლუციის საპირისპიროდ „ვალენტიან ტელში“ წარმომადგენის აიდალური, „გონიერული“ და „ზომიერი“ რევოლუცია, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი სტატიურობისაგან.

ამგვარი რევოლუციის განსახიერებისათვის შილერი ირჩევს შესაფერის ისტორიულ მასალას — მე-13 საუკუნის შვეიცარიულ მწყემსთა პატრიარქალურ აჯანყებას ავსტრიის მონარქიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს შედარებით პროგრესულ ისტორიულ როლს ასრულებდა. ამ აჯანყების შესახებ დ. ენკლესი წერს: „მათი (შვეიცარიულ მწყემსთა, — ი. ე.) ბრძოლა ავსტრიის წინააღმდეგ, სახელგანთი ფიცი რაუთლიზე, ტელის გმირული ნასროლი, და უიქინარი გამარჯვება მორგარტენთან, — ყოველივე ეს წარმოადგენდა გრძობი მწყემსების ბრძოლას ისტორიული განვითარების წინააღმდეგ, ურყვევი, უძრავი ადგილობრივ ინტერესების ბრძოლას ზოელი ნაციის ინტერესთა წინააღმდეგ.“

მაგრამ, ცხადია, შილერის „ვალენტიან ტელში“ განსახიერებული ხალხური აჯანყება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გათავისუფლოთ ამ აჯანყების ისტორიულ პროტოტიპთან. საქმე ის არის, რომ შილერი, რომელიც იაკობინელთა პოლიტიკური პრაქტიკის წინაშე თავისი „შინის მიუხედავად მაინც რჩებოდა საფრანგეთის რევოლუციის დემოკრატიულ იდეებთან განუყოფლად დაკავშირებული, მძაფრ წინააღმდეგობაში მოდის „იდეალური“ რევოლუციის საკუთარი კონცეფციისთან და ამ კონცეფციის შესაბამისად არჩეულ ისტორიულ მასალასთან. იგი ამ შემთხვევაშიც ამ შორდება თანამედროვეობას. პირიქით. იგი ამ პატრიარქალურ ფორმებსაც ავსებს ახალი შინაარსით და ტელის დროინდელ მაშობი და შეზღუდულ შვეიცარიულებს აქცევს თავისი ეპოქის კეთილშობილი იდეების რეპორებად.

„იდეალური“ რევოლუციის შილერისეულ კონცეფციის დრამაში გამოხატავს ვერსიის შტაუფენერისა და ვალტერ ფურსტის ტიპის თავიკაცები თემისა და აჯანყებისა. ისინი თავიანთი ისტორიული პროტოტიპების მსგავსად, არ მოითხოვენ იმის შეცვლას რაც ძველთაგან დღემდე-

ლია", რაც მათ წინაბრებს „უძველეს დროში შეუქმნიათ“. ამის შესახებმისად, ეს თავკაცები ჩნელად თუ ხათვლებიან ნამდვილ, ქვეშაობრად რვეოლუციური სულით გამსკვალულ მებრძოლებად.

„იდეალური“ რვეოლუციის ამავე კონცეფციის წარმომადგენელია „ვილჰელმ ტელიც, რომლის „ამალუბელი“, „თავისუფალი“, აშკარად იდეალიზებული პიროვნება აგრეთვე სავაჭრობადაა გამსკვალული ფილისტერობით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტელი ფაქტურად არც ებმის აჯანყებაში და ტირანის სისხლს მხოლოდ „იძულებით“ ღვრის, — მას შემდეგ რაც „ბოროტმა აღმშეთთა მას მუდრო ცხოვრება“.

მაგრამ „ვილჰელმ ტელი“ ნამდვილი რვეოლუციური პათოსითაც არის გამსკვალული, და სწორედ ეს განსაზღვრავს დრამის ქვეშაობრად რვეოლუციურ არსს. ამ პათოსს დრამაში გამოიხატევენ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები — ეუნისა და მელტალის ტიპის მენაბირეები და მწვემეები, ციხის მსუნებელი მუშები, ქვის მთლები და ჭარგლები.

არა მხოლოდ გენიალური მხატვრის, არამედ, პირველ რიგში, ქვეშაობრად დემოკრატიის პლუბერ-რვეოლუციური აღლოს კარნახით, შილერი ცხადად გვიჩვენებს, რომ ამ ორი სოციალური ფენის წარმომადგენლები განსხვავებულად გამოხატევენ თავიანთ პოტენტიანტულ, მემამობრად სულისკვეთებებს. სწორედ „წარჩინებულნი“ არიან, რომ მოთმინებას, სიმშვიდეს ჭადაგებენ, მელტალის სიტყვებით თუ ვიტყვი, „შეშინა წინდაბედულობას“ იჩენენ. ხოლო ხალხის ამ „მამათა“ საპარისპიროდ ხალხის შვილები, — ლატაკი მშრომელები, — მხოლოდ იმის გამო კ არ შფოთავენ, რომ მათ ტირანი ყველეს, არამედ იბოტომავე დრტონავენ, რომ ტირანი მათი ღირსების ვრწმობას ბღალავს, მათ თავისუფლების მოყვარე სულ შეტრაცხყავს. სწორედ ამიტომაც არ არიან ისინი მორჩილად განწყობილნი,

შეუბრედად ისწრაფვიან ბრძოლისაკენ და სწორედ ხალხის ეს შვილება ნერვულნი, ენობრად დრამაში ნამდვილად რვეოლუციურნი სულნი.

შილერის მემკვიდრეობის შეფასება-ათვისების პირობებში ყოველთვის წარმომადგენელია მწვავე პოლიტიკურ საკითხს. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი დღეს — დემოკრატიისა და ბურჟუაზიის შორის ძველი, ჯერ კიდევ შილერის შემოქმედებაში ჩასახული კიდილის უკიდურესი გამამდგრებას ეთარებაში.

შილერის, ისევე როგორც გოეთეს, შემოქმედება შეიცავს წინააღმდეგობას რვეოლუციურ-ჰუმანისტურ იდეალსა და ამ იდეალს განხორციელების პრაქტიკულ მეთოდებს შორის, რაც თვით ამ იდეალს უტოპურ ხასიათს ანიჭებდა.

„ყამალეზიან“ მოყოლებული შილერი განუწყვეტლად სრულქმნიდა თავის ჰუმანისტურ იდეალს. სწორედ ეს ჰუმანისტური იდეალი განსაზღვრავს ნამდვილ შილერს და არა ის უშუალოდ საშუალებები, რომლებითაც ცდილობდა იგი ამ იდეალის განხორციელებას.

ამ ჰუმანისტურმა, დემოკრატიულმა და პატრიოტიულმა სულისკვეთებამ აქცია შილერი, „გონებათა ახალი მოძრაობის წინასწარმეტყველად, ... აზრის თავისუფლების დამცველად, ... მოწინავე მებრძოლად ქვეშაობრებისა, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის“ (მარქსი).

და ასეთ მოწინავე მებრძოლად გვევლინება შილერი დღესაც, როდესაც თანამედროვე კაცობრიობის დემოკრატიის, სოციალიზმისა და მშვიდობის ძლევათსილი ბანაკის ხალხები, და მათ რიცხვში გერმანელი ხალხიც, რეაქციის ძალებთან სასტიკ კიდილში სინამდვილედ აქცევენ შილერის ოცნებას პარამონიულ საზოგადოებაში აღამიანის თავისუფლად განეთარებაზე.



ფრიდრიხ შილერი ქართულ ლიტერატურაში

ცნობილია, რომ 60-იანი წლების ქართველი პროგრესული მოაზროვნეები განიცდიდნენ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, დობროლინოვის, ჩერნიშევსკის და სხვათა ცხოველმყოფელ გავლენას. საერთოდ დიდი იყო მოწინავე რუსული ლიტერატურის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ახალი აღმავლობისათვის.

მაშინდელი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც სასწავლებლად მიემიგრებოდა რუსეთში, ეწიფებოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასაც. ქართველი მოღვაწეები უპირატესად რუსულად თარგმნიდნენ დასავლეთ-ევროპულ მხატვრულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. მათი გუჯილსურები მამკრობილი იყო დასავლეთის ევლტრულ ღირებულებათა არა იმდენად აკადემიური შესწავლისაკენ, რამდენადაც იქითყენ რომ ეს ღირებულებანი გამოეყენებინათ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური მიზნებისათვის.

ფრიდრიხ შილერის შემოქმედებისადმი ინტერესი ქართულ ლიტერატურაში დაიბადა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, რაც პირველ ხანებში გამოიხატა „მნათობში“, „ციცქარსა“ და „დროებაში“ დაბეჭდილ ფილოსოფიურ-ლირიკულ ლექსების თარგმანებით.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ გამოცემებში შილერის თხზულებათა მრავალი თარგმანის გვერდით ჩვენ ხშირად ვხვდებით ამ მწერლის შემოქმედების კრიტიკულ განხილვასაც. ამა თუ იმ წერილის ავტორი არ ემაყოფილებოდა მხოლოდ ცალკეული ლიტერატურული თუ ბიოგრაფიული ფაქტების გადმოცემით, არამედ იძლევა ფრ. შილერის შემოქმედების საკმაოდ ღრმა ანალიზსაც.

მე-19 საუკუნის ქართული მწერლები დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა შემოქმედებაში ეწიფებოდნენ თავისუფლებისა და დემოკრატიულობისათვის ბრძოლის იდეებს, წინა პლანზე აყენებდნენ, მინარქიული წყობილების დამხობის საკითხს, რაც ისევე აქტუალური იყო რუსეთის იმპერიის ვველა ხალხებისათვის, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

კერძოდ, რა აინტერესებდა ქართველ მოწინავე საზოგადოებას შილერის შემოქმედებაში? უდიდესი გერმანელი დრამატურგის შემოქმედება, მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობებისა და მთელ რიგ იდეურ-ესთეტიკურ შეზღუდულობა

თა მცდარობისა, გამსჭვალულია მაღალი ჰუმანური იდეებით, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის, ტრანსათა მოძულეობისა და თავისუფლებისადმი სიყვარულის უღრვი სულით, რისთვისაც ბელინსკიმ სამართლიანად უწოდა შილერს „ევროპარიზმის ქომაგი“ და „მაღალი სიმაართის მუწეუბელი“.

ჯერ კიდევ 1852 წ. ევრნალ „ციცქარის“ № 5-ში გამოქვეყნდა გიორგი ერისთავის მიერ შილერიდან თარგმნილი ლექსი „განყოფა სოფლისა“ („Die Teilung der Erde“). მთარგმნელს ლექსი რამდენადაც შეუძლია, მიუხედავად ამისა, ლექსის მხატვრული ღირსება თარგმანით დაცულია.

გ. ერისთავს ეკუთვნის აგრეთვე შილერის ხალხადის „ხელჯაგვის“ („ხელთათმანის“) თარგმანი.

1859 წელს იმავე „ციცქარში“ ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა „შილერი“ ნათარგმნი. ლექსი „ცრემლთა შინა ნუგეში“. ეს ლექსი ილია ჭავჭავაძეს პეტერბურგში უთარგმნა 1858 წელს, ხოლო შემდეგ გადაუყვებია, თუმცა ეს ვარაუდები მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. თარგმანი შესრულებულია ილიასათვის ჩვეული სიფაქიზითა და სიყვარულით:

„მოქუხს მდინარე ჩქარი და მაღლი
და ახმარებს მღვმარე ტყესა,
წყლისკენ გადახრით მზის ნაზი ქალი,
სტირის და აღრქვეს მღვლარე ცრემლსა,
არ გაუმთლავა გულისა წყლული,
იმ შეუწყვეტელ ცრემლთა დენითა,
და წყლულია ტკივილს შეწუხებული
ასე მოსთქვამდა ის გოღებითა...“ და ა. შ.
(თხ. I ტომი, გვ. 232 გამოც. 1951 წ.).

არსებობს აგრეთვე ივ. კრესელიძის მიერ თარგმნილი ლექსი „მოგზაური“ („Der Pilgrim“), რომელიც 1873 წ. „ციცქარის“ № 9-ში იყო გამოქვეყნებული. როგორც სხვები, ივ. კრესელიძის თარგმნილებიც რუსული ტექსტით; მაგრამ ეს თარგმნილები ხშირ შემთხვევაში მინიჭდნიდნენ სისურველ შედეგს, გადმოსცემდნენ შილერის ლექსებისათვის დამახასიათებელ ღრმა ფილოსოფიურ აზრს.

ქართულ ევრნალ-გაზეთებში — „დროებაში“, „ციცქარში“, „მნათობში“, „ივერიაში“, „თეატრში“, „მომავლში“, „ჯეჯილში“, „მოგზაურში“.

„საქართველოს კალენდარი“ — ხშირად იბეჭდებოდა შილერის ლექსები, აფორიზმები და ღრამებიც კი.

1867 წელს „ცისკარი“ პირველად დაიბეჭდა ნ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი „ვოლქემ ტელი“ (შოლოდ ნაწილი); 1868 წელს „ღრამებაში“ გიორგი წერეთელმა დაბეჭდა „ვოლქემ ტელიდან“ მეორე სეცნა, რომელსაც დაურთო „მცირე განმარტება“, სადაც მთარგმნელი ვაჟმწერის დრამის დაწერის ისტორიულ პირობებს და ამ პიესიდან მის მიერ ერთი სეცნის თარგმანის მიზეზს. გ. წერეთელი წერს: „მეცხრამეტე საუკუნეში ავსტრიამ დაიმორჩილა შვეიცარია და დააყენა იქ თავისი მმართველება, რომელსაც ეცხადნენ ლანდფოხტებსა. ესენი ძალიან ავიწროებდნენ ხალხს, რომელიც ვაჟივლად მოითინებისაგან, ადგი, ლანდფოხტები ვაჟყარა და ავსტრიის დამოკლებულუბისაგან თავი იხსნა. ეს ისტორიული შემთხვევა წარინებულმა გერმანიის პოეტმა, შილერმა, აილა საგნათ და შეთხზვა საჭვევნით გამოიწინილა დრამა, რომელსაც სახელად უწოდა ვოლქემ ტელი, გმირი იმა განგამოუღებინა“. („ღრამება“ № 52. 1868 წ. გვ. 2 — 3). თარგმნის მიზეზად კი ავტორს მოჰყავს შემდეგი არგუმენტი: „ამ დრამიდან თარგმნა მით უფრო საჭიროდ დაინახეთ ზოგიერთ მკითხველებსათვის, რომ ტფილისის თეატრში ხშირად ადგენდნენ ვოლქემ ტელს, რომისიანგან იპეტრად გადაკეთებულს“. როგორც ცნობილია, 1867 წ. 20 ოქტომბერს თბილისში იტალიურმა თეატრმა პირველად დადგა რომისინ „ვოლქემ ტელი“. უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული მიზეზი შოლოდ მეორე ხარისხითანია: გ. წერეთელს უნდაც „ვოლქემ ტელი“ გამოეყენებინა თავისუფლებისა და დამოუკლებლობისათვის ბრძოლაში. ამავე დროს, გ. წერეთელი აყენებდა საკითხს „ვოლქემ ტელი“ მხატვრულად სრულყოფილი თარგმანის აუცილებლობაზე, რადგანაც ამ პერიოდში არსებობდა მისი ერთდერითი თარგმანი, შესრულებული ნ. ავალიშვილის მიერ 1867 წელს — ფ. შილერის რუსული თარგმანის ტექსტიდან. იგი თავის დროზე სასტიკად გააკრიტიკა დიდმა რუსმა მწერალმა ივ. ტურგენევმა („Москвитини“, 1845 წ.).

1871 — 1872 წწ. „მნათობის“ ნომრებში დაიბეჭდა მეორედ, აშკარად უკვე სრული სახით, ნ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი „ვოლქემ ტელი“. იმავე ნ. ავალიშვილმა გამოაქვეყნა „მნათობში“ 1872 წ. „ფიესკოს შეთქმულება“, ხოლო 1876 წ. თარგმნა „ყანალები“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა შოლოდ 1912 წ. საინტერესოა ამ გამოცემის ისტორია, რომლის შესახებ ცნობა მოგვიწოდია იოსებ გრიშაშვილმა. წიგნის ბეჭდვა დაუწყია იოსებ იმედაშვილს 1904 — 05 წლებში, მაგრამ სჭვადანსხვა მიზეზის გამო ვერ დაუთმავრებია. შოლოდ 1912 წ. ეს საქმე პოლომდე მოუყვანია მიხეილ განებლიანს (გამოცემლობა „სორბანა“).

შილერის პიესების დადგმა ჩვენს დროში გასული საუკუნის 80-იან წლებში: 1886 წ. „თარგმარის“ მეორე ნომერი იუწყება, რომ ქართულ თეატრში 15 იანვარს „წარმოადგენილი იქნება... ერთი სეცნა შილერის დრამიდან „ყანალები“, ხოლო „თეატრის“ იმავე წლის მეოთხე ნომერში მოთავსებული რეცენზია გვატყობინებს, რომ ქართულ თეატრში იმ საღამოს, როდესაც საზოგადოებას „პატარა ტანო აბამიძის პირველად გამოსკლა და ნიჭიერი თამაში“ უხილავს, — ქართულ სიხებთან ერთად წარმოუდგენიათ აგრეთვე სეცნა შილერის „ყანალებიდან“. ქართული სეცნის თითქმის ყველა გამოჩენილ ოსტატს განუსაზიერებია შილერის გმირები: დიდი მესხიშვილს — ერთდერულად ფრანკო და კარლი, კოტე ყოფიანს — მოხუცი მოიარი, ნუცა ჩხვიძეს — მარიამ სტოუარტი, ვალერიან გუნიას — ფილიპე მეორე, თეზა ზარდალიშვილს — ფრანკო და ღონ კარლოსი, ალექსანდრე იმედაშვილს — კარლი, ფრანკო და მარკოზ პოზა, არადელი-იშნელს — შვაიციარი.

როდესაც საქართველოში შილერის შემოქმედებით უფრო და უფრო დაინტერესდნენ ლიტერატურულ წრეები და ქართულ სეცნაზე დაიბეჭდა შილერის ღრამები, ფრანკო-გაზეთების ფურცლებზე, თარგმანების გვერდით განდაკრიტიკული წერილებიც, რომლებიც ეხებოდნენ შილერის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების საკითხებს, თარგმანების ვარჯისაიბობას, და სხვ.

შილერის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ქართველი კრიტიკოსები განიხილავდნენ როგორც ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებულ შემოქმედებას. ისინი თვლიან შილერს გერმანულ სიანაზღვილის კანონზომიერ მივლენად, რისთვისაც ნიადაგი ჯერ კიდევ ღუსონგმა შეამზადა. სწორედ ის ვარემოვბა, რომ ქართველი კრიტიკოსები შილერის შემოქმედებას განიხილავდნენ მის ეპოქასთან მჭიდრო კავშირში, ამლევს მათ შესაძლებლობას ხაზი გაუსვან შილერის თხზულებათა აქტუალობას ქართული სინამდვილისათვის.

1893 წ. „კვალის“ 24-ე ნომერში წარმოდგენილია თეოდ. ზესკეაძის რეცენზია: „ვოლქემ ტელი“ (შილერისი) ა. სანტლიძისა“.

1893 წ. ქუთაისის „ამხანაგობას“ მეხუთე წიგნად გამოუცია „ვოლქემ ტელი“. ავტორი კმაყოფილებას გამოთქვამს „ამხანაგობის“ მიერ გაწეული შრომისათვის და აღდერთოვანებული დასძენს: „ამხანაგობა არ იზამს ცუდს, თუ იმგვარ გზას დაადგება და დრო გამოიშვებით მიიწვადებულეს ამგვარ ჩვენს, ქვეყნის მღვდომარეობის შესაფერი შინაარსიან, პატარ-პატარა იაფ-ფისიან წიგნაკებს. ამგვარი წიგნები ჩვენს ხალხში ძლიერ ბევრი ვაგროვდება და დარწმუნებულიც ვარ ყოველ მკითხველს გარნაბაში მოსალოდნელ კვალს დაამოწმეს, გაუღვიძებს კეთილშობილურ ღრბოვლებას, აღძრავს პა-

ტოსნერ სიყვარულის გრძობებს სამშობლო ჭეყენის საბედნიეროდ თავგაწირულ მამულის შვილებს და წარმატების გზაზე დაყენებს, მათ" („კვალი“, 1893 წ. № 24, გვ. 13).

ავტორი ვიღებლმ ტელს უწოდებს სახალხო გმირს, რომელსაც თავისი ჭეყენის ღრმა სიყვარული ამობრავებს. მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოების აზრად შეიძლება იქნეს მიჩნეული თოფი. ხუსკივაძის შემდეგი სიტყვები: „მთელი ეს პატარა წიგნაჲ, თოქჲმის, საესეა ამგვარა ჩვენი ჭეყენისათვის, საგრძობელი და სანეტარო სცენებით. ერთი სიტყვით შინაარსი, ამ პატარა წიგნისა მშვენიერია და ვინც კი ჩვენი ხალხის გონებით განეთარების წარმატებას თანაუგრძობნებს, ყველა მოვალეა ვაგრძელოს ეს წიგნი ჩვენს ხალხში“ („კვალი“, 1893 წ. № 24, გვ. 14).

რით იყო გამოქვეყნული „ვიღებლმ ტელის“ ასეთი წარმატება ქართულ პრესაში და საზოგადოების მოწინავე ნაწილში?

„ვიღებლმ ტელში“ საკმაოდ მეკეთრად არის წარმოდგენილი ხალხის რევოლუციური სულისკეთება. აქ მოჩანს ხალხი, როგორც მშრომელი და როგორც მებრძოლი, რომელმაც, თუ იარაღი აიღო ხელში, აღვეს პირისაგან მიწისა ყოველგვარ უსამართლობას და მახვილით ხელში დაიკავს თავის მონაპოვარს. სწორედ ამ მიმართებით აქვთ გამაზვიანებული ყურადღება ჩვენ მიერ დასახელებულ კრიტიკოსებს — გ. წერეთელს და თოფი. ხუსკივაძეს.

მავე 1893 წ. „კვალის“ 50-ე ნომერში დაბეჭდილია გ. წერეთლის რეცენზია „მახაკელის“ ფსევდონიმით: „ჩვენი სახიობა. ავაზაჩის, დრამა 5 მოქმედებათ შილერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა“ ავტორი უშეალოდ შილერის პიესების გამოცემამდე აქვთებს ერთგვარ ექსტერს, მოკლედ მიმოიხილავს გერმანული ლიტერატურის ისტორიის განმანიალებლურ ეტაპს. იგი განსაკუთრებით ზერდება გერმანულ განმანიალებელთა შემოქმედებაში „ესტეტური მცნების“ განვითარების საკითხზე და წერს: „ცნობიერს კაცობრიობის იღარ აკმაყოფილებდა ძველი სიბრძნე და უნდოდა სიერტე მოსაზრებისა გამოეყვანა ძველის ვიწრო სიბრძნის დარჯაკიდან. საჭიროებდა ისეთ გენოოსს, რომ იმის ბავიდან წამოსცდარიყო უფრო ძლიერი, უფრო განიერი წყარო ესტეტური მცნებისა, ბუნების და ცხოვრების ვითარების შესწავლისა“ („კვალი“, 1893 წ. № 50).

ავტორი იმას თვლის განმანიალებლების მთავარ დამსახურებად, რომ ისინი ცდილობდნენ დაეახლოვებინათ ხელოვნება, ლიტერატურა ცხოვრებასთან, სინამდვილესთან, ჩაეყენებინათ ლიტერატურა ცხოვრების სამსახურში.

ავტორს არსებითად სწორად აქვს გაგებული ძველი ესტეტური აზროვნების, კერძოდ განმანიალებლობამდე არსებული საერთოკლასიციური თეორიების შეზღუდულობა და ამ შეზღუდულობას გადალახვის, საქმეში ლესინგის შე-

მოქმედების მნიშვნელობა. „მან (ე. ი. ლესინგი ნ. რ.) შემოიტანა ახალი ფილოსოფიური აზრი ხელოვნების ვითარების შესახებ და ამით შეესწა დამწველებელი სიბრძნის ბორკილი ახალს კაცობრიობის კუთა-გონებას“ წერს ავტორი. აღნიშნავს, რომ ლესინგის „ესტეტური თეორიის“ თანახმად, „ცხოვრების საგანი არის მისწრაფება მშვენიერებისადმი“, ავტორი წერს: „იგი (ლახარკია მშვენიერებაზე. ნ. რ.). იმდენათ აცეთილ-შობილებს, აუბიწოებს და აღამალებს თითულს კაცს, რამდენადაც უფრო განიტაცებს მას მშვენიერებისადმი. თეთი მშვენიერება იმდენად რთულად აღმოაჩატება ხელოვნებაში, რამდენათაც იგი ეცდება წამოაყენოს კაცის თვალწინ ცხოვრების სინამდვილე. თანახმად ასეთის მცნებისა ლესინგი ქადაგებდა, რომ ყოველს სცენიურს წარმოდგენაში უნდა ევქმედეთა ნამდვილს ცხოვრების სურათს თავისი სიეთით და ნაკლებლავანებითო და როდესაც სახიობა ამ ზომამდე მიადწევს სცენურს წარმოდგენებაში, იი, მაშინ შეევიძლია ეოქვათ, რომ სახიობამ გამოგვინცდევინა ესტეტური სიაშველები ცხოვრების მშვენიერებისაო“. ავტორის აზრით, ლესინგის მიერ ხელოვნებისა და სინამდვილის ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირების შემდეგ სრულიდ ბუნებრივი გახდა საშუალო ასპარეზზე გამოსვლა გოეთეს და შილერისა, რომლებმაც „გამოიყვანეს სცენაზე თავისი ერთი ცხოვრება“.

ამ შესავლის შემდეგ ავტორი უშეალოდ გადადის შილერის დრამის „ავაზაჩის“ დიდებისა და მონაწილეთა თამაშის შეფასებაზე და წერს: „მართლაც ბუნებით ნიჭიერებით შემკული და განიება-განიერებული მსახიობები სჭირდებოდა ასეთს თხზულებას, რომ იგი სულბორც შემკული გამოჩინილიყო სცენაზე. საქებრად ჩვენი ნიჭიერი მსახიობებისა, იმით ჩინებულად ვაატარეს სცენაზე თავ-თავისი როლები“. რეცენზენტი ასკვნის: „ასეთი ქართლის მკოდნე, როგორც არის ნ. ავალიშვილი, ბეერს სარგებლობას მოუტანს დარბი ქართულს დრამატულს ლტერატურას, ოღონდ რომ კლასიციური დრამების ვადმოდებას ხელს მიუყოფდეს“.

ოქტომბრის რევოლუციამდელი ქართული მოწინავე ინტელექციის ინტერესს ფრ. შილერისადმი უმაღლეს წერტილს აღწევს 1905 წლის რევოლუციური ენოქისათვის. ამ დროს შილერის მემამბორი დრამების განმეორებით გამოცემასთან ერთად მიმდინარეობს შილერის შემოქმედების ინტენსიური კრიტიკული შესწავლა და პოპულარიზაცია. შილერის შემოქმედების ჰუმანიტური არსისა და განმთავისუფლებელი რევოლუციური პათოსის აღფრთოვანებულ შეფასებას ვხვდებით სხვა იმდროინდელ კრიტიკულ წერილებშიც. ასე მაგალითად, ეტრანალების — „მოკაბერის“, „საქართველოს კალენდარის“ და „ნაკადლის“ ფურცლებზე საგანგებოდ იქნა აღნიშნული შილერის გარდაცვალების 100 წლისთავი.

ბისა; თავისუფლების მოციქულია, სიყვარულის ეშმაზი“.

შილერისადმი ჭარბი საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა ჩვენს დროში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1927 წელს გამოიცა ცალკე წიგნებად ს. შანშიაშვილის მიერ თარგმნილი „ღონ კარლოსი“ და „ვილჰელმ ტელი“, 1948 წელს — ზ. ვარდოშვილისეული თარგმანი შილერის „ლეკებისა“, 1949 წელს — ვ. ბეწუკელის თარგმანება „ფიესკოს შეთქმულებისა“ და „ორღეანელი ქალწულისა“, 1952 წელს ვ. ბეწუკელისეული „მარიამ სტიუარტი“, გ. ნადირაძის „ვილჰელმ ტელი“ და ს. შანშიაშვილის თარგმანები „უჩაღებისა“ და „პიკოლომინებისა“. ცალკე გამოიცა 1952 წელს შილერის „ბალდე-

ზი“ (ზ. ვარდოშვილის თარგმანი), [წმენდილი] შილერის დრამებმა საბატო აღილი დამიკვიდრა ქართულ საბჭოთა თეატრის რეპერტუარში, („უჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“, „ვილჰელმ ტელი“, „მარიამ სტიუარტი“).

შილერის გმირთა შესანიშნავი სახეები შექმნეს ჩვენმა ყველა თაობის სახელოვანმა მსახიობებმა: ვერიკო ინჯაფარიძემ, აკაკი ზორაძემ, აკაკი ვასაძემ, ცეცალა თაყაიშვილმა, შალვა ლამბაშიძემ, გიორგი შავგულიძემ, ერთი მანჯვალაძემ, ნოდარ ჩხვიძემ და სხვ.

ფრ. შილერის გარდაცვალების 150 წლისთავზე მოელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ქართველი ხალხიც იხსენიებს ტირანიისა და კაცობრიულობის წინააღმდეგ მებრძოლი დიდი გერმანელი დრამატურგის სახელს.

სიონი წახსენილი



რუსთველოლოგიის ახალი წარმატება

(„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო)

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა („საბჭოთა მწერალი“, 1953 წ., პავლე ინგოროვას რედაქციითა და შენიშვნებით) რუსთველოლოგიის წარმატებად უნდა იქნეს მიჩნეული, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ერთადერთი გამოცემაა, რომელსაც ახლავს ვარიანტულ სხვაობათა მიხედვით და ამ სხვაობათა განმარტება.

პოემის გამომცემელნი ტექსტს, რასაკვირველია, არსებულ ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე ამზადებდნენ, მაგრამ ამ ხელნაწერთა ტექსტუალური შეცვლებანი მკითხველისათვის უცნობი რჩებოდა. ხშირად გეპირდებოდნენ — მომდევნო ტომში იქნება ვარიანტები მოთავსებული, მაგრამ მკითხველმა ეს მეორე ტომი ვერ იხილა.

ესე მავალითად, ს. კვახაძე „ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: ამ წიგნში წარმოადგინეთ შ. რუსთაველის პოემის „დადგენილი ტექსტი გამოკვლევით და ლექსიკონით, ხოლო ვეფხისტყაოსნის ვაგრძელება და აგრეთვე ნართაული ტაყვები სრული კარიანტებით გამოდის ცალკე წიგნად“. მას აქვთ, სადაც არის, 30 წელი შესრულებმა, მაგრამ ეს „ცალკე წიგნი“ არა ჩანს.

1935 წელს მთავრობის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდა ყველა ცნობილი რუსთველოლოგი, იმუშავა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე და შეადგინა ამომწურავი ნუსხა ყველა ვარიანტულ სხვაობათა, რის მიხედვითაც კომისიამ დაადგინა პოემის ტექსტი და დაბეჭდა კვლევ 1937 წელს, რუსთაველის 750 წლის იუბილეს წინ. ეს არის ი. წ. საიუბილო გამოცემა. მაგრამ ამ გამოცემას არ ახლავს ტექსტის დადგენი კომისიის წერილი, რომელშიც განმარტებული იყოს პოემის ხელნაწერთა მდგომარეობა და ვარიანტთა ხასიათი.

1934 წელს კ. უკონინამ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. როგორც ამბობს თვითონ გამომცემელი, ტექსტის დადგენას მან საფუძველად დაუდო 10 ხელნაწერი, მაგრამ ამ ხელნაწერთა ვარიანტული სხვაობანი მასაც არსად არ მოჰყავს. გამოცემას ბოლოში დართული აქვს ცალკე თავი „დამახინჯებული ადგილების გასწორება“, სადაც კ. უკონინაძე 40-ს, მისი აზრით, დამახინჯებულ ტაყვს ასწორებს, მაგრამ ყველა ეს 40-ვე

შემთხვევა გულისხმობს კ. უკონინაძის კონიკტურას და დასაბუთებულა არა ხელნაწერთა შეცვლების, არამედ კ. უკონინაძის პირადი შეხედულების მიხედვით (რითმების გამართვის და სხვა პოეტური ნიშნების მიხედვით).

ერთი სიტყვით, ვერც ერთი ზემოხსენებული გამოცემიდან ჩვენ ვერ ვტყობილობთ, რა საბუთით იქნა ძველ გამოცემებში ესა თუ ის წაკითხვა შეცვლილი ახალი წაკითხვით, არას თუ არა რომელიმე ხელნაწერში ასეთი წაკითხვა დადასტურებული. მავალითად, ქართული მკითხველი იცნობდა შოთას ტაყვს:

„რასაცა ვასცემ შენია, რა ც არა დაკარგულია“.

საიუბილო გამოცემაში კი ვკითხვლობთ:

„რასაცა ვასცემ შენია, რა ს არა დაკარგულია“.

მკითხველი ენდობა ავტორიტეტულ საიუბილო კომისიას, რომ ის უსაბუთოდ არ შეცვლიდა შოთას პოემის ტექსტს, მაგრამ მის მიხედვით სურს იცოდეს, როგორ არის მოცემული ეს ადგილი ხელნაწერებში. მკითხველი თუ წავა მუზეუმში, ნახავს თორმე, რომ უკლებლივ ყველა ხელნაწერში სწორია „რაც არა დაკარგულია“, გარდა ერთი ხელნაწერისა, რომელშიც არის: „რაცა რა დაკარგულია“.

ავიღოთ მეორე მავალით: როდესაც თინათინმა უხვად გასცა საწუჭებელი და ამის შემდეგ ვახორება მენიშნეს როსტევეანს მოყვანილობა, შეეკითხნენ მეფეს რად მოგწყენია, ალბათ იმიტომ, რომ „ყველასა ვასცემს ასული თქვენი საბოძვარს ხშირო“, როსტევეანმა კი, პირიქით, საბოძვარის გაცემა მოუწონა თავის ასულს:

„კარგა ჰქმენო, დაუმალა, ბრძანებანი თიშენა“.

ესე სწორია ყველა გამოცემაში, რომელიც კი შეიძლება ხელთ ჰქონდეს ფართო მკითხველს (ვახტანგო, კარიკაშვილი, აბულაძე, კვახაძე, უკონინაძე), მაგრამ საიუბილო გამოცემაში ამის მაგიერ ვკითხვლობთ:

„კარგა ჰქმენო, დაუმალა, წყალობანი თიშენა“.

ხოლო რის მიხედვით შესცავლეს კომისიის წევრებმა „პრანება“, „წყალობით“, მკითხველმა არ იცის ასე სწორია რომელსამე ხელნაწერში, თუ ეს კომისიის წევრთა მიერ მოცემული შესწორებაა, ამას გავიგებებს მკითხველი საბ. მუზეუმში, სადაც სამ ხელნაწერში არის: „წყალობანი“.

იგივე თქმის ყველა დანარჩენ გამომცემლებზე: წინა გამოცემის წაკითხვის მაგიერ სხვა წაკითხვის გავაძღვევ, ზოლო რის საფუძველზე მკითხველმა არ იცის. კ. კვიციანიძე, მაგალითად, მხოლოდ 40 დამახინჯებულ ადგილს ასწორებს და მკითხველმა იცის ამ 40 შემთხვევის შესახებ, რით ეს კ. კვიციანიძის კონტრტურაა. მაგრამ, გარდა ამისა, შოემის ტექსტში რამდენიმე ასეთი ისეთი წაკითხვა არის კვიციანიძის მიერ მოცემული, რომლებიც ზოგიერთ წინა გამოცემაში არ არის, და არა ჩანს, რის მიხედვით მისცა უპირატესობა კ. კვიციანიძემ ამა თუ იმ ვარიანტს: იმიტომ რომ აბულაძეს ან კაკაბაძეს ჰქონდათ ასეთი ვარიანტი თავიანთ გამომცემებში, თუ რომელიმე ხელნაწერის მიხედვით ამჯობინებს ის ამ ვარიანტს!

ამ მხრით გამოჩაყლის შეადგენს ი. აბულაძის გამოცემა, სადაც ბოლოში დართულია „ვარიანტების საძიებელი“, და აქ დაახლოებით 1000 ტაშის ვარიანტული წაკითხვები არის წარმოდგენილი. მაგრამ როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ეს საძიებელი სრული არ არის თავის ფარგლებშივე და, მაშასადამე, მისზე დაყრდნობა ყოველთვის არ შეიძლება, მაგალითად:

1) 35, 4: „მზე ჩავისვენდა, ბნელს ეპყრებთ ღამესა ჩვენ უმთავაროსა“. ი. აბულაძე ვარიანტებში აღნიშნავს, რომ ასე აქვს ვახტანგს, ხოლო ზ. ინგოროყვას (იველისხმე „რუსთაველიანაში“) მოცემული აქვს: „ღამესა უმთავაროსა“. არ არის აღნიშნული საკითხის გადაწყვეტილათვის ისეთი საფურცლები ვარიანტი, როგორც „უმთავაროსა“ (სწორედ ეს ვარიანტი შეიძლება გახდეს საფუძველად კონტრტურისა: „უმთავაროსა“).

2) 37, 3: „მისივე მკობის ყოველსა სული და ტურფა ფერობა“. ზახვასიძულ სიტყვას ზეო ხელნაწერში უდრის „ყვაკვილთა“ (ყვავილს), რაც ი. აბულაძეს ვარიანტებში არა აქვს აღნიშნული.

3) 311, 3: „უხვი, მდიდარი, უცადრი, მეფეთა ზედა მფლობელი“ — ასე სწორია ფარსადანზე ი. აბულაძის გამოცემაში, „ვარიანტების საძიებელში“ კი არ არის აღნიშნული, რომ ზოგიერთ ხელნაწერში „მდიდარის მაგიერ მოცემულია: „მდაბალი“, რაც სრულიად სცელის ფარსადანის დახასიათებას. და ა. შ.

ერთი სიტყვით, დღემდე არ მოგვეპოვებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი გამოცემა, რომელიც საშუალებას მისცემდა მკითხველს გარკვეულიყო იმაში, თუ რა არის გამოცემულ ტექსტში ნამდვილად ხელნაწერებიდან მომდინარე და რა

არის რედაქტორ-გამომცემლის მიერ პირველად ხელულებით შესწორებული.

თუ გაითვალისწინებთ ყოველივე ამას, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა (პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით) საგრძნობლად აესებს ზემოხსენებულ ზარკეებს.

პ. ინგოროყვას გამოცემაში, შედარებით 1951 წლის გამოცემასთან, შეტანილია 454 შესწორება. თუ ამ შესწორებებს აქვთ გარკვეული ფილოლოგიური, მეცნიერული საფუძველი, რასაც ვივარაუდოთ, ეს ახალი გამოცემა უნდა ჩაითვალოს დიდ წარმატებად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის საქმეში.

მაგრამ იმისათვის, რომ სწორად შევადგინოთ პ. ინგოროყვას გამოცემის ღირებულება, პასუხი უნდა გავცეს შემდეგ კითხვას: რატომ დიდო პ. ინგოროყვამ საფუძველად თავის გამოცემის 1951 წლის გამოცემა?

მას შემდეგ, რაც, მთავრობის გადაწყვეტილებით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენა და გამოცემა დავადა საგანგებოდ გამოცხადდა სპეციალისტთა კომისიის და ამ კომისიამ 1937 წელს, რუსთაველის იუბილისთვის, დაბეჭდა კიდევ პირველი დადგენილი ტექსტი, ცხადია, ეს გამოცემა ჩაითვადა საფუძველად გამოცემად მკითხველი საზოგადოება და სამეცნიერო საზოგადოებრიობა ასე უუარებს ამ გამოცემას, ყველა ამით სარგებლობს, ციტატები ამ გამოცემის მიხედვით მოჰყავს, ამიერიდან სტროფთა სათვალავიც ამ გამოცემის მიხედვით იანგარიშება. 1937 წლის შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ და ტექსტი ყოველთვის იმდენდობდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით: როგორც შემდეგ გამოიტყვა, საიუბილეო გამოცემაში რამდენიმე უსიამოვნო კორექტურული შეცდომა გაიპარა და მომდევნო გამოცემებში ეს კორექტურული შეცდომებიც არის განმეორებული. ვინც 1937 წლის შემდეგ ითარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“, ისიც ამ საიუბილეო გამოცემით ხელმძღვანელობდა და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამ კორექტურული შეცდომების გამო. ასე მაგალითად, 982 სტროფში, ნაცლებს სიტყვისა „ავთანდილ“ („მუნდ დავამართა ავთანდილ“, ვ. ი. იქით გამართა ავთანდილი), შეცდომით დაბეჭდილია „ავთანდილს“ და ისე გამოვიდა, რომ ავთანდილი კი არ ვაგმართა, არამედ „ავთანდილისკენ ვაგმართონ“. ამიტომ რუსულ თარგმანშიც აღმოჩნდა:

**Все стрелки за Автандилом
Потянулись в полном сборе.**

გარდა კორექტურული შეცდომებისა, 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში, გაპარულა რედაქციული ხასიათის შეცდომებიც. ასე მაგალითად, 1578 სტროფში დაბეჭდილი იყო:

**„სამთავრე ელეს, ღმერთთან მათებარ სხვა
ნურა ნუ დაბადოსა“**

ერთ-ერთი ძირითადი პოეტური ნიშნის მიხედვით (სახელდობრ, სწორად გამართული რითმების მიხედვით) კონიექტურის ჩატარების პრინციპი უნდა იქნეს ალიაბეტრის მძლავრ საკრიტიკო პრინციპად. ამიტომ პ. ინგოროყვას მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ 42 კონიექტურა მან შეგვცა დაზიანებული რითმების გასწორების გზით. შეიძლება არ დავეთანხმებოდეთ ყველა ამ კონიექტურას, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში (42 კონიექტურადან — 32) ეს კონიექტურები ეწყობა მე-16 — 17 ს. ს. ხელნაწერებს და ვახტანგისებულ ტექსტს.



ახლა განვიხილოთ თვით შესწორებები, რომლებიც შემოტანილია პ. ინგოროყვას მიერ 1953 წლის გამოცემაში (შეადარებით 1951 წლის გამოცემაში). ჩვენ აქ არ ვაპირებთ შევხებით ყველა 454 გასწორებას, ეს არც არის შესაძლებელი საკურნალო წერილში. იმის დასამტკიცებლად, რომ პ. ინგოროყვას შესწორებები ეწყობა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველს (ხელნაწერების ზედმიწევნით კოდნას, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტრიკისათვის სწორი აღწერა აღებას და ტექსტობლივი ფილოლოგიური მუშაობის ზუსტ და პტიკურ შეთანხმებას), ჩვენ შევხებით მხოლოდ რამდენიმე გასწორებას. შევხებით აგრეთვე ისეთ გასწორებებსაც, რომლებიც ჩვენ მისაღებად არ მიგვაჩნია.

1) საცხებით მართებულად მოიქცა პ. ინგოროყვა, როდესაც 50 სტროფს დაუბრუნა თავისი უფლებები: „რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. არც ერთ ხელნაწერში არ არის ვარიანტი „რას“ (როგორც ეს სწერია 1951 წლის გამოცემაში). ხოლო საიუბილეო ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელმაც „აღადგინა“ გრამატიკულად სწორი „რას“ (ე. ი. „რას არ ვასცემ“), მხედველობიდან გამორჩა, რომ ეს არის ძველი ქართულიდან ნაცნობი ე. წ. ატრაქტია.

2) 23 სტროფში ხელნაწერების საფუძველზე აღდგენილი „სიმდაბლე“ ნაეცლად სიტყვისა „სიმდიდრე“ კეთილშობილებას ქვატებს მიჯნურს:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰპირთებს მართ
 ვითა მზეობა,
 სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, სიყუფ და
 მოცალეობა“.

3) თუ „რეალს“ სხვა რამ მნიშვნელობა არა აქვს, ვარდა იმისა, რაც ცნობილია („ესე არს: სპილენძია და კალათა შერევენი...“), ამკარაა, რომ 158 სტროფში უმაჯობესად უნდა ჩაითვალოს იმ ხელნაწერის ვარიანტი, რომელშიც „რეალს“ მაგიერ წერია „თვალ“.

„გლახაკთა მიეც საპურტლე, ოქროწერტონ მალა...“
 გ. ი. ბაქრაძის მიერ

4) საიტიმო კლავსულამ 618 სტროფში მოათხოვა „გავანატენით“ (ნაეცლად სიტყვისა, „გავანატენით“) გაშეცა-ფანატენით, გავანატენით, „გავანატენით“, ან ტენით. საქმე ის კი არ არის, რომ რითმამ მოითხოვა და ამიტომ შეცვალა პ. ინგოროყვამ ძველი წყობილება, არამედ ის, რომ ა) ოთხ ხელნაწერში გვხვდება „გავანატენით“¹ და ბ) „ნატალ“ (ე. ი. მიქნის ტყავად) ქვევა მხატვრულად არ შეეფერება კონტექსტს. საველისხმოა, რომ XVI — XVII სსუკრენეთა ხელნაწერების ზოგიერთ ვადამწერს უკვე აღარ სყოფნია, თუ რა იყო „ანტე“ (სახე: ანტე, წინააღმდეგი ლეთისა) და საყოველთაოდ ცნობილი „ნატი“ გამოყენებითა. რასან ერთ ტაეში აღმოჩნდა „გავანატენით“² და ამგვარად ძველი საიტიმო კლავსულა „ანტენით“ შეიცვალა უკვე შესდგომიან იმის კდას, რომ ამ სტროფის სხვა ტაეებშიც შეეფუებინათ რითმა, და ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე ტაეშიც ზოგიერთ ხელნაწერში შეცვლილია კლავსულა: ნაეცლად სიტყვისა „გავანატენით“ ორ ხელნაწერში სწერია: „გავანატენით“ და ორშიც „გავანატენით“. აი, ასე დაიწყო ამ სტროფის დამახინჯება და ჩვენ მაღლობით უნდა ვითო პ. ინგოროყვას, რომელმაც, აღადგინა „გავანატენით“ და შინაარსობლივ დაასაბუთა მისი არსებობის უფლებები.

5) განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტროფი 348:

„გარე მომრტყმოდეს ვეალანი, ვითა
 ჩამსხდომნი ნავისა“.

სადაც პ. ინგოროყვა ასწორებს: „ჩამსხდომსა“. ამ სიტყვის ბედი ასეთია: მეტწილ ხელნაწერებში (ცხრა ხელნაწერში) სწერია „ჩამსხდომი“, სხვებში კი — „ჩამსხდომნი“. რაც შეეხება ბეჭდურ გამოცემებს, ვახტანგმა (ალბათ, ძველ ნუსხაზე დამყარებით) დაბეჭდა „ჩამსხდომი“, რასაც იზიარებდა ყველა გამოცემული (შეზინაშვილი, ქართველიშვილი, კარიბაშვილი,

1) ვარდა ამისა ერთ ხელნაწერში (№ 2074) სწერია „გავანატენით“ და ერთშიც (№ 2829) „გავანატენით“.

2) გრაფიკულადაც შეიძლება იმის ახსნა, თუ როგორ გადაიქცა „გავანატენით“ ახალ სიტყვად „გავანატენით“. ზახსულ ხელნაწერებში (№ 1082) ვითხოვლობთ: „გავანატენით, ე. ი. ერთი ანი ამოვარდნილი (ან შეიძლება ორი ა ვით ერთ გრძელ სიოვნად). ხოლო მომდევნო გადამწერს შეუშინებია, რომ ტაეებს ერთი მარცვლი დააკლდა და იფურსხმა, რომ აქ სიტყვა ეწერა ქარავით („გავანატენით“); რაც მან ვახსნა და მიიღო „გავანატენით“.

ახლამდე) 1914 წლამდე, როდესაც ს. კავაბაძემ დაბეჭდა „ჩამსხდომნი“ (მუთანხმა რიცხვში სიტყვას „ჯალანნი“). ამის შემდეგ ყველა გამოცემაში (კარიჭაშვილი, ახლამძე, ზიკინაძე, საოუბილოვი გომოც.) იბეჭდებოდა „ჩამსხდომნი“. ჩასაკვირველია, მკითხველი ვერ უხვალბეულყოფდ იმ ვარემოებას, რომ ხელნაწერთა უმეტესობა ამბობს „ჩამსხდომი“ და უთუოდ დასვაშს საკითხს: წუთუ XVI — XVII ს. ს. რედაქტორ-გადამწერებმა ვერ შენიშვნს, რომ „ჯალანნი“ მრავლობით რიცხვში იყო, და „მისი“ მსაზღვრეული მხოლოდობითი. ჩასაკვირველია, ძნელ საფიქრებელია, რომ მათ შეეძლოთ ისეთი შეცდომის დაშვება, ხოლო, თუ მაინც დაწერეს „ჩამსხდომი“, ეს ამატომ, რომ იგი „ჯალანნი“-ს კი არ ეკუთვნოდა, არამედ სხვას, სახელწოდებით, ტარიელს; ამიტომაც არის მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვში. მაგრამ აქ თითქმის ერთი დაბრკოლებაა: „ჩამსხდომი“ ერთ კაცზე არ უნდა ითქვას, ერთი კაცი იქნება „ჩამჯდომი“ და არა „ჩამსხდომი“. მართალია, მხოლოდობით გამოხატველი „ჯდ“ ზმნას მრავლობითი ენაცვლება „სხდ“ (ჯდომა ერთისა, სხდომა ბევრისა). მაგრამ ვიციტ კი, რომ ეს ყოველთვის ასეა? ჩვენ დაბეჯითობით გვეონია, რომ „სხ“ ყოველთვის მრავლისათვის იხმარება, მაგრამ ეს ჩვენს ცოდნა არ მართლდება: არის შემთხვევები, როდესაც სხ(დ) მიეკუთვნება მხოლოდობით რიცხვსაც. აი მაგალითებიც:

ა) „მეფემან კოშკი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა.

ქედ ფაზარი სხდი, კუბო დგა
იავუნდისა, ლალისა“ (ვეფხ. 329)

ბ) „შემდგომად ყოვლითა სხითა დაეცხა
დილას ბარტომ მირვანს“ (ვახუშტი, საქართველის ისტორია, ბაქრაძის გამოც. გვ. 43).

გ) ჩვენს დღევანდელ მეტყველებაშიც ხშირად ეხმარობს: „იგი თავს დამეცხა“, იმის ნაცვლად რომ ვთქვათ „თავს დამეცა“.

გაჩვენება ძველ ქართულში ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოველით სხს და მის ნაცვლად გვაქვს მხოლოდობითიან სახმარის ფუძე. მაგალითად: „უმჯობეს არს შენდა უხელითა შესულად ცხოვრებასა, ვიდრე ორთახელთა სხმასა და შევსლად გვექნასა“ (ადამურ ხელნაწერში კი სწერას: „ორთა ხელთა დგმასა).

აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ არ შეიძლება კატეგორიულად მტკიცება იმისა, რომ სხ-ძირიანი ზმნა არ შეიძლება იხმარებოდეს მხოლოდობით რიცხვში ანებულ სუბიექტის ან ობიექტის მიმართ. ამიტომ სიღრმისითი უნდა მოვეყრათ ვარიანტთა ჩვენებას (ამ შემთხვევაში „ჩამსხდომი“) და არ უპარტუოთ იგი მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში არსებულ „მტკიცე“ გრამატიკულ ცოდნის გამო. რაკი ვარიანტი „ჩამსხდომი“ წარმოდგენილია ძველი

ხელნაწერებით და ვახტანგის გამოცემის უნდა ვირწმუნოთ მისი ვარგისობა, მთა ტექსტს უნამ შოთას მიერ მოცემული შედარება სწორედ ტარიელს გულისხმობს ნაწიში „ჩამსხდომად“.

6) სტრუქტურა 934 ასე იკითხება 1951 წლის გამოცემაში:

„შენ ვერას ირგებ, მე ვირგებ, მამა მისია უნდა მშობილი“. ამის ეტხება ავთანდილი ტარიელს. ამ ვარიანტის უახრობა ნათელია: თუ ავთანდილს იმის თქმა უნდა, რომ შენ, ტარიელი, ვერას ირგებ ჩემი თავდადებით შენთვის და, მოდი, ბარემც მე ვირგოო, — თუ ასეა, მაშინ ძალიან მამბიჭური და ცინიკური გამოდის „თუმორი“ — მამა მისია უნდა მშობილიო ცხადია, მართალია პ. ინგოროყვა, როდესაც ის აქ აღადგენს: „შენ ვერას ირგებ მე ვარგებ, მამა მისია უნდა მშობილიო“ ე. ი. ტარიელი ისე „დასწეულბულია“ ნესტანის დეკარგვის გამო, რომ ის თავის თავს ვედარ აბგებს, ავთანდილმა უნდა უშველოს მას, თავისი მშობილისათვის თავი უნდა დასდოს!.

7) ფიქტობით, არავინ არ დაიწევებს დავას 693 სტრუქტურის შესახებ:

„ლომი მიწლია ლომთა თანა მიწლი ორს რულ, ღერნამკრათლო“, სადაც აშკარად დამახინჯებული იყო ტექსტი: ადგილის გარემოებას სიტყვა „მიწლიარს“ ორჯერ არის განმეორებული. პ. ინგოროყვამ აღადგინა აქ ხელნაწერებით დადასტურებული „მოარული“ („ლომი მიწლიარს ლომთა თანა მოარული, ღერნამკრათლო“).

8) სადავოდ შეიძლება გახადოს ვინმემ 1023 ტაბეში შეტანილი ვასწორება. აქ არა მარტო სიტყვაა შესწორებული, არამედ მთელი გამოთქმაა შეცვლილი. ნესტანზე ნათქვამი იყო:

1) უცნაური ბედი ეწია ამ ტაბეს. ყველა ცნობილ ხელნაწერში ეს ადგილი იკითხება — „მე ვარგებ“. როგორც ჩანს, ერთ-ერთ ხელნაწერში აირია მხედრული „გ“ და „შ“, სიადნაე წარმოსდგა ვახტანგის გამოცემის „მე ვარგებ“, რაც ყველა შემდეგმა გამოცემამ გაიმეორა. პირველად ს. კავაბაძემ 1927 წელს დაბეჭდა „ვარგებ“, რაც გაიზიარა საიუბილეო გამოცემის რედაქციამ (1937 წ.). შემდეგ 1951 წელს გამოეორეს საიუბილეო გამოცემა. ჯერ გამოვიდა (1951 წლის 19 მარტის თარიღით) მასობრივი გამოცემა, სადაც სწერია „ვარგებ“, მერე კი (1951 წელს 5 მაისის თარიღით) დიდი ავადმეორი გამოცემა, რომელსაც ახლავს წერითი რედაქციისაგან. ამ უკანასკნელ გამოცემაში სწერია: „მე ვარგებ“ ასევე ვარიანტითა ხელნაწერი ჩვენთვის უცნობია. ამგვარად, 1951 წლის გამოცემის რედაქციის უკანასკნელ დღეებში, კორექტურის კოხხვის დროს შეუცვლია თავისი აზრი და ერთხელ უკვე ვასწორებული „მე ვარგებ“ კვლავ დაუახინჯდება.

„ეპილ-თეთრი, ბაგე-ბაღახში, ს ა ხ ე დ ა ვ ი თ ა შავითა“.

და „სახელადე“ ესმოდათ, როგორც იმ შავ რიღე-ზე შოთიება, რომელიც თავის დროზე ტარიელმა ანუქა ნესტანდარჯვანს „სახელადეთა“ აქ ორი მხრით იწვება ჩვენს გვერდს: 1) ტაეპი შოლიანად განკუთვნილია ნესტანის ფიზიკური სილამაზის უახსახატავად და აქ პირბადის მოგონება არაფერ იტანა უნდა იყოს; 2) გვხვდება თუ არა სიტყვა „სახელადე“ რუსთაველის ეპოქაში ამ, ან სხვა მწიფელობით. ამიტომ ზენებრავია, რომ მის შემდეგ, რაც პოეტმა დაასურათა ნესტანის „ეპილ“ და „ბაგე“, იქნებოდა დასურათებული ფართვე ნესტანის სხვა გარეგნული მხარეები ერთ-ერთი კარგი ზელნაწერი ამ ტაეპს ასე გადმოგვცემს:

„ეპილ-თეთრი, ბაგე-ბაღახში, ტ ა ნ ა ლ ვ ა თ მ ი თ ა შ ა ვ ი თ ა“.

რასაც პ. ინგოროყვამ, სრულიად მართებულად, უპირატესობა მიაკუთვნა. ეს წყობაზე ბექტურ გამოცემაში პირველად პ. ინგოროყვამ შემოიტანა (ვახტანგს, ქართლელიშვილს, კარიკაშვილს, აბულაძეს, კაკაბაძეს და ახლდებურ გამოცემას — უვლას აქვს „სახელადეთა შავითა“).

აქ შეიძლება კიდევ სხვა რამეც გვეთქვა „სახელადის“ შესახებ: საერთოდ ეს სიტყვა ძველ ქართულ შერლობაში არ გვხვდება. ჩუბინაშვილს თავის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ მოჰყავს ეს სიტყვა ასეთი სახით: „ს ა ხ ე დ ა ვ ი თ , შ ე ბ ე დ უ ლ ე ბ ა , ნ ა ე თ ი , ვ ი დ , ნ ა რ უ ჯ ი თ ე ვ ი დ ი მ გ ლ ა ვ ი : ვ ე ჯ ბ , 696, 1017; სახელადესა თვისსა მისცემდა იმ იმელ ვ ვიდუ“ (ქართლის ცხ. „337, რუსულ. 113“).

დ. ჩუბინაშვილის ამ განმარტებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ა) „სახელადე“ არ მიეკუთვნება პირბადეს;

ბ) დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ ორი ტაეპი: 1017 (ზემოთ მოყვანილი „ეპილ-თეთრი, ბაგე-ბაღახში, სახელადეთა შავითა“), სადაც ამ განმარტებით უნდა გაეიკეთა ისე, რომ ნესტანდარჯვანი „შესახელადავდ შავი ყოფილა“ და არა „შავი პირბადით“ (თუმცა შესაძლებელია ეს ერთი და იგივე იყოს), და ტაეპი 696 (ახალი გამოცემაში 702): „მზე შეიფიციავს თავისა, ჩემგან მზედ ს ა ხ ე დ ა ვ ი თ ს ა , სადაც „სახელადე“ პ. ინგოროყვას მიერ შესწორებულია ზელნაწერზე დაყრდნობით „სახეავისა“.

ეს ეს სიტყვა ნახშირი ყოფილა „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც (თამარ მეფის ისტორიის ბოლოში) მართლაც ვკითხულობთ: „და სახელადესა თვისსა მისცემდა“ (ჩუბინაშვილის განმარტებით „ОН ИМЕЛ В ВИДУ“). მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგ: სიტყვა „სახელადე“ მოიპოება არა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორია-

ნი და ახმანი შარაენდელთანი“, არამედ ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ გადამუშავებულ „ქართლის ცხოვრებაში“. რაც შეეხება თამარის მეორე ისტორიკოსს (მასილა ეზოსმოძღვარს), მისი თხზულების ბოლო ნაწილი, სადაც უნდა ყოფილიყო ეს ადგილი, მოღწეული არაა. ასე რომ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მე-12 საუკუნეში („ვეფხისტყაოსანში“, თამარის ისტორიაში) სიტყვა „სახელადე“ ცნობილი იყო. მეტის თქმაც შეიძლება: „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის კომისიის მიერ გადამუშავებულ ტექსტში თავდაპირველად არ ყოფილა „სახელადესა თვისსა მისცემდა“, რადგან ამ გადამუშავებულ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1731 წელს, სწერია: „ს ა ხ ე დ თ ა ვ ს ა თვისსა მისცემდა“; შემდეგდროინდელ ნუსხებშიც ყველგან არის „სახედ თავსა“, მხოლოდ ერთ ნუსხაში (ე. წ. ბროსეველში) გადაწერის გამორჩენია „თ“ და გამოხუდა „სახედ[ლ]ავსა“.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანში“ (მე-12 საუკუნეში) არც არის საერაუღმებელი, რომ ყოფილიყოს სიტყვა „სახელადე“ და მართალია პ. ინგოროყვა, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ორსავე ადგილას (ტაეპები 702 და 1023) „სახელადე“ უარყო, ზელნაწერებზე დაყრდნობით (იხ. მისი შესწორებები № 213 და № 301).



ახლა გადავხედოთ იმ რივის კონიექტურებს, რომლებიც თვით პ. ინგოროყვას ეკუთვნის და არაა (გერარჯრობით) გამართლებული ზელნაწერთა მოწმობით (ასეთი შესწორება არის 36). ამ შემთხვევებშიც მოჩანს რედაქტორის დიდი ცოდნა-შოთას პოემის ვინაა, შოთას პოეტიკისა.

ცნობილია 35 სტროფი (ტრადიციული წყობით):

უბრძანა: „გვითხე საქმესა, ერთგან სასაუბაროსა რა ვარდმან მისი ყვაილი გააბზოს, დაამკნაროსა, იგი წავა და სხვა ტურფასა საბაღაროსა; მზე ჩავეისვენდა, ბნელსა ვეკრებო, ღამესა ჩენ უ მ თ ვ ი რ ო ს ა“.

რუსთველოლოგების ყურადღებას ყოველთვის იმურობდა ის გარემოება, რომ სტროფში რითა მია ნ ა რ ო ს ა , მაგრამ ზელნაწერთა შესწავლულობის გამო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში იგივე ბედავდნენ შესწორებას. რომ აქ დანარჩენ ორ ტაეპშიც (პირველსა და მეოთხეში) უნდა ყოფილიყო ნ ა რ ო ს ა , ამის გასარკვევად პირველი ნაბიჯი გადასდეს ი. აბულაძემ, რომელმაც თავის 1914 წლის გამოცემაში ერთ-ერთი ზელნაწერის ჩვენებით შესწორა პირველ ტაეპში „სასაუბნაროსა“. ის გარემოება, რომ ვახტანგის დროიდან მომდინარე ტრადიციულ „სასაუბნაროსა“ შესწორდა ფორმით „სასაუბნაროსა“, მოწმობს იმას, რომ მკვლევარნი გრძნობდნენ ს-

ქართველანობის ანგარიში გაეწიათ სართობო კლავტულ-სათვის (ნარობის) ეს შესწორება, როგორც მართ-ობის, გარეგანი საეპილოგი გამოცემის რე-დაქციამ, რომელშიც 1937 წ. და 1951 წ. ამ ტავ-ში დაბეჭდა „სასაუბნაროსა“.

მომდევნო უდაყო მიღწევად უნდა ჩათვალის, რომ პ. ინგოროყვამ „ევფხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერს (H—461) იბოვა შეთავს ტავისათვის ნაცვლად სიტყვებისა „ჩვენ უმთავროსა“ ახალი წაკითხვა: „მო მთანაროსა“. მასთანადე მავ-მ საუკუნის ერთ-ერთ რედაქტორს, რომელ-საც ხელთ ეჭნებოდა „ევფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი, უპირატესობა მოეცია იმ ხელ-ნაწერისათვის, სადაც ეკითხებოდა „მომთანარო-სა“: მასაც უჭრძენია, რომ რითმა მოითხოვს ისეთ სიტყვას, რომლის ბოლო იქნება ნ არ ო ს ა და არა უბრალოდ არ ო ს ა“. ცხადია, რომ ეს ტავი კარგა ხანია დამახინჯებულია, მაგრამ ამ დამა-ხინჯებული სახითაც ხელნაწერს შემოუნახეს კემშარბიტების მარცვლი (ნარობის), მაგრამ რად-ეც ჩვეულების ვარგებარია გამოთქმა „ლამესა მომთანაროსა“, დღევანდელი მკვლევარი ფიქ-რობს, რომ ეს ფორმაც შესასწორებელია. მაგრამ რა ფორმით უნდა შესწორდეს იგი? პ. ინგოროყ-ვა სრულად მართალია, როდესაც ფიქრობს, რომ აქ იყო სიტყვა, რომლის ბოლო იყო ნ ა რ ო ს ა და რომლის შინაარსი „გათენებასთან“ იყო დაკავშირებული: წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია აისწინს გადარჩენა დამახინჯებუ-ლი ფორმისა „მომთანაროსა“ (როგორც ეს H—461 ხელნაწერში). მკითხველს შეუძლია არ დაეთანხმოს პ. ინგოროყვას, რომელიც აქ წერს „ლამესა უმთავროსა“, და მოსთხოვოს მას წარმოდგინოს დოკუმენტა, რომელიც დასტუ-რებულს ძველ ქართულ მწერლობაში არსებობის სიტყვისა „უმთავროსა“. მაგრამ ამ შეიძლება არ ევლიაობთ, რომ პ. ინგოროყვა მაქსიმალურად მიუახლოვდა კემშარბიტებს (ეგრძელ, ი. აბულა-ძემ მილი პ. ინგოროყვას ეს კონიექტურა, ხოლო თავის ახალ გამოცემაში დაწერა „უმთავროსა“). აი, ამ რიგის შესწორებათა ნიმუშის განხილვე-ობაც მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ პ. ინგოროყვას საუეთარი კონიექტურებიც ემე-ობა მკაცრი დოკუმენტური მასალის საფუძველ-ზე გამოტანილ დასკვნებს და არა მის პირად მო-წონებას თუ არმოწონებას.

ბუნებრივია, რომ რაე ხელნაწერებმა დაადს-ტრებს ფორმა „სასაუბნაროსა“. პ. ინგოროყვამ სიკლა სხვაგანაც გამოცემებში ამგვარი შესწო-რება. სტროფში 1423 ხელნაწერმა დაუდასტურა ფორმა „საუბნარობის“ და, მასთანადე, ამ სტროფ-შიც გაიბართა რითმა: მოციინარობა, წუნარობა, ნარნარობა, საუბნარობა. 1951 წლის გამოცემის რედაქტორებმა 35 სტროფში გაიზარეს „სასაუბ-ნაროსა“, მაგრამ 1423 სტროფი დამახინჯებული რითმით დატოვეს („საუბნარობის“). პ. ინგოროყ-ვამ ესეც გაასწორა (იხ. მისი შესწორება № 16): აქედან გამომდინარეებ პ. ინგოროყვას შესე-11. „მწაობის“ № 5.

წორება № 21, რომლისთვისაც, მას, მართალი-ც (ეგრძელობით) არა აქვს დასაყრდენი ხელნაწე-რებში, მაგრამ, სამაგიეროდ, აქვს მკაცრ დოკუ-მენტაციაზე დამყარებული ორი წინა კონიექტურა (სასაუბნაროსა, საუბნარობის) და იგი სრულიად მართალია, როდესაც, ნაცვლად ყველა გამოცე-მაში მიღებული ფორმისა, „მოუბნარი“ წერს: მო-უბნარი, და მთელი სტროფი დუმიანინჯებულ რითმით ასე ეტრს (სტ. 393):

ბაღის შეველვ, არა დაბეჭდა კაცი ჩემი
მოუბნარი;
ქალი წინა მომეგება, მზიარული, მოციინარი,
მიოხრბ: „ვაშლად ამოვიღე, არ გასვია გულსა ნარი,
მოლი, ნახე ვარდი შენი უფრკუნელი და
დაუშვნარი“.

პოეტური ტექსტის კონიექტურისათვის საართ-ობო კლავტულების გამართვის პრინციპის გამო-ყენება, რასაკვირველია, პ. ინგოროყვას მოგონი-ლი არაა. ეს ის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ იყენებენ ტექსტუალური კრიტიკისათვის. მაგა-რამ, როდესაც რაიმე მიზეზის გამო ა რ ო ს ა-წონთ ხალხე ვინმეს მიერ ამ პრინციპით შე-მოტანილი კონიექტურა, იტყვიან: საართობო კლავტულის შეთავანებლობა დასაშვებია. თვით შოთა რუსთაველის პოემისათვის შეიძლე-ბა „ასონანსური“ რითმის მრავალი მაგალითის მოყვანა. ეს არაა მართალი, ისეთი დამახინჯე-ბული რითმა, როგორიც ხემათ იყო მოყვანილი, არ შეიძლება იყოს დამახასიათებელი შოთას პოე-ტიკისათვის. კ. უკრანაძის სასაბულოდაც უნდა ითქვას, რომ მან თავის გამოცემაში სხეციალუ-რად ილაპარაკა დამახინჯებული რითმების 40 შემთხვევაზე და ბევრ შემთხვევაში ბრწვიინაუ-ლი კონიექტურა მოგვცა.

კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ, თუ წვენ რომელსაშიც სტროფში დამახინჯებულ საართობო კლავტულს თავს ვერ ვართმევთ, ასეთი რითმე-ბი შოთას პოეტისთვის სოსტემის კი არ უნდა მივა-წეროთ, არამედ ჩვენს უძღურებას, მკვლევართა უძღურებას.

გადავხედოთ ახლა იმ სტროფებს, რომელთა დამახინჯებულ რითმების შესწორებას საჭიროდ არ თვლიან, რადგან ისინი მიანჩიეთ შოთას პოე-ტიკის მიხედვით გამართულად.

სტროფი 259:
იმა მოყმისა იმბავი არსადა არ იბოვების;
თვით თუ არ ვიბობობს, არ ითქმის, არეისგან
დაუკერების,
მოილოდინე, მოვიდეს, რახსოვია დაგვიოვნების,
დადუმლი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ
ითოვენბის,

საართობო კლავტულა, თითქმის, უნდა იყოს ო ვ ე ბ ი ს, რაც ორ შემთხვევაში დარღვეუ-ლია. ეს უჭრძენია ყველა გამოცემულს: კ. უკრ-ანაძემ იმით გამოიხატა თავისი გეგე ამ სტროფის

მიმართ, რომ მეორე ტაეში „დაიჯერების“ შეს-
ცავლა სიტყვით „არ იცნობის“; ს. კაკაბაძემ
ამავე მეორე ტაეში გაიმეორა მესამე ტაეხის
„დაგეყოვნების“ (შესაძლებელია ეს კორექტურ-
ული შეცდომა; ი. აბულაძემ თავის ორსავე გამო-
ცემაში მოაღო ეს სტროფი (259) ამილიო ძირი-
თელი ტექსტიდან და მხოლოდ ვარიანტებში ილ-
ნიშნა მისი არსებობა; ქართულიშვილის გამოცე-
მის რედაქციამ და დ. კარიჭაშვილმა მთლად ამო-
კაღდეს ეს სტროფი, როგორც არასანდო (აბაძე,
ყაღდ). რას გვეუბნება ყველაფერი ეს? ყოველ
შემთხვევაში, იმას, რომ არც ერთ რუსთველ-
ოვს, არც ერთ გამომცემელს არ უღიქრია, რომ
ამ სტროფში ყველაფერი როგზეა, ყველაფერი
იხეა, როგორც შოთა წერდა, რომ ამ სტროფში
რითიმეტი გამართლია შოთას პოეტის მიხედ-
ვით.

ასახლებენ კიდევ 337 სტროფს:
ვეწით, დამწვეს შამისა სახშილთა
დაღმრტებლთა,
უწუნთ გამოიყენან ხასთა მთ წინაღმდეგმელთა;
გამოსვლისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს

მელობელთა,
შორს მომეგებნეს, მყოცეს პატივით ვითა
შეობელთა.

სარითმო კლაუზელა, თითქოს, უნდა იყოს
ო ბ ე ლ თ ა, რაც ორჯერ დაცულია, ორჯერ კი
დამახინჯებული. პირველ ტაეში ზუბინაშვილი,
კარიჭაშვილი, აბულაძე მისდევენ ტრადიციულს
(ვახტანგის) წაკითხვას — „დაღმრტებლთა“, ხო-
ლო სხვები, ემყარებიან რა სხვადასხვა ხელნაწე-
რის მონაცემებს და უწევენ რა ანგარიშს სარით-
მო კლაუზელას, ასწორებენ: „დაღმრობელთა“
(კაკაბაძე), დაღმრტობელთა (1951 წ. გამოცემა),
ხოლო პიჭინაძე იძლევა საკუთარ კონიექტურას
„დაღქრობელთა“. რას მოწმობს ეს გარეყოფა?
მხოლოდ იმას, რომ ეს სტროფი არაეის არ მიუჩ-
ნევია შოთას პოეტის მიხედვით გამართლად.

ასახლებენ კიდევ 949 სტროფს, სადაც სა-
რითმო კლაუზელაში გვაქვს: მოგზივნენს, მოის-
მინეს, მოადინეს, შეარკენეს (რითმა ი ნ ე ს). ეს
სტროფი მოსტანი არაა, ვინაიდან აქ არავითარი
დამახინჯება არაა: პირველი სტროფის „იენეს“
იხეა ბეგრობლივ კონტექსტში, რომ იქ მოის-
მის იგივე „იენეს“.

ახლა ცხადია, რომ თეკი „ვეფხისტყაოსანში“
სადღე არის სარითმო კლაუზელაში „ასონანსუ-
რი“ ვითარება, ყველაზე საკლდევა კლაუზელთა
ვრტავარობის დარღვევის მიზეზი და საძებარია
მისაღები ვარიანტები. არ შეიძლება იმის თქმა,
თითქოს რუსთველის პოემიდან „მრავალი მავა-
ლითების მოყვანა შეიძლება“ სარითმო კლაუზელ-
ის დარღვევისა.

ამგვარად, სრულიად საღი და ცხოველყოფე-
ლია ის კრიტიციუმი, რომელსაც იყენებს პ. ინ-
გოროყეა 1951 წლის გამოცემაში დამახინჯებუ-
ლი რითიმების გასწორების დროს. იმავე კრიტი-
რიუმს იყენებდა კ. პიჭინაძეც, რომლის ამგვარ

სამ კონიექტურას პ. ინგოროყეაც დევეულობს. და
იყენებს 1951 წლის გამოცემის ტექსტში, მესამე
წორებლად.



პ. ინგოროყეას შესწორებებში მოიპოვება ისე-
თებულ, რომლებიც ჯერჯერობით ვერ ჩაითვ-
ლება, ჩვენის აზრით, რუსთველოლოგიის საზო-
ლო სიტყვად. ჯერ კიდევ საძებარია ზოგიერთი
შესწორების გასამართლებელი საბუთები. არის
რამდენიმე უნებლო შეცდომაც.

1) სტროფი 4,4 („ლამაზა ნები“), როგორც
ჩანს, ჯერჯერობით კიდევ ვაუტყვებარია რჩევა:
პ. ინგოროყეას „ლამაზა ნები“ ვერ გვაკმაყოფი-
ლებს („ლამაზა“, უნდა იყოს „ლამაზან“, ხო-
ლო ვახტანგის „ლამაზ მანეი“) (რასაც უთითებს
პ. ინგოროყეა) თავისი უფორმო „ლამაზ“ით გრა-
მატიკულ უწარურობას წარმოადგენს.

2) შესწორება № 434 ვერ არის დამკვაყოფი-
ლებელი მის მეორე ნაწილში („ეცხელა“-ს მა-
გურ „ეცხელა“).
„ამად მედების სახშილი, გულსა ეცხებთა,
გებათა“.

აქ დარღვეულია სინტაქსური შეწყობა: „ეცხე-
ბა“ — ამწმევა, „გებათა“ — ნამყოლა.

3) შესწორება № 51 (თეთრთა გბლიათთა...) გა-
საუქმებელია. 1951 წლის გამოცემაშიც ასე სწე-
რია, ასე რომ შესასწორებელი აქ არაფერია.

4) დარღვეულია ჩვენთვის კარგად ცნობილი
გრამატიკული ნორმა 1037 ტაეში: „გვიხვამან“
(უნდა იყოს „გვიხვამან“. შესწორება №304).

5) პ. ინგოროყეას გამოცემაში განმეორებულია
1951 წლის გამოცემის გრამატიკული შეცდომა
„კაცი გავგზავნენ“ (უნდა იყოს „კაცი გავგზავ-
ნენ“) ტაეში 560.

6) პ. ინგოროყემ შეცდომა დაუშვა, როდესაც
83 და 597 სტროფებში გაიმეორა 1951 წლის გა-
მოცემის „ძირსა ხეთასა“, ნაცვლად ხელნაწე-
რით დადასტურებული და ტრადიციით დამკე-
დებული „ძირთა ხეთასა“. ძველ გამოცემაში
(ვახტანგი, ზუბინაშვილი, ქართულიშვილი, კარი-
ჭაშვილი, აბულაძე) ტრადიციული ტექსტი მეორე-
დებოდა. შემდეგ, როგორც ჩანს, ეცდებოდა
მსაზღვრელ-მსაზღვრელის ასეთი შეთანხმება და
იფიქრეს, რომ გრამატიკის წესით, თითქოს, უნდა
ყოფილიყო „ძირთა ხეთათა“, რაც, რასაკვირვე-
ლია, სარითმო კლაუზელას არ ეუფებოდა (ყე-
თასა, ძეთასა, სინაზეთასა, ხეთათა). იმიტომ შეს-
ცავლეს ძველი წაკითხვა და, თუ არ ვუძღებოთ
პირველი ს. კაკაბაძე იყო, რომელმაც 1913 წლის
გამოცემაში ერთ ადგილას (მხოლოდ 597 სტროფ-
ში) შესცვალა ძველი წაკითხვა და დაბეჭდა
„ძირსა ხეთასა“. ამის შემდეგ გამოცემებში (აბუ-
ლაძის II გამოც., პიჭინაძე, 1937-1951 წ. სათუბი-
ლუო გამოცემა) იბეჭდებოდა „ძირსა ხეთასა“. მაგ-
რამ ამასობაში უკვე გაირკვა, რომ შეთანხმება
ძირთა ხეთათა სრულიად არ არის საკე-
რყო პრაქტიკით, ძველი ქართულიშვილის ერთადერ-

თი კანონიერი ფორმაა „ძირთა ხეთასა“ (იხ. გამოცემები ნ. შარხია, კ. დონდუასი, ლ. კონახისა და სხვ.) და დღეს სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი პარადიგმებში მხოლოდ ასეთი ფორმაა ძეოთა კაცთასა, სახელთა მამათასა (იხ. იმნაიშვილის ქართული ენის ისტორი. ქრესტომათია, 1953 წ., გვ. 317).

რასაკვირველია, აქ საკითხს მარტო გრამატიკა არ გადაწყვეტს: გრამატიკა მხოლოდ დავიდასტურებს მხატვრული გამოთქმის მართებულობას. ორივე სტროფში (83 და 597) ლაპარაკია იმაზე, რომ ერთი კაცი კი არ ბინადდება ხის ძირში, არამედ რამდენიმე: „გი ორნივე საგრადე ვარდახდეს ძირთა ხეთასა“ (83), „გარდავხდეთ ძირთა ხეთასა“ (497). მაგრამ უამისოდ, როგორც ჩანს, ქართულს მტყვევებაში ჩვეულებრივი იყო გამოთქმა „ძირთა ხეთასა“. ასე, მაგალითად: „ეღო ძირთა თანა ხეთასა ძეს“ (ლ. 3, 9).

7) საგრძნობლად დამახინჯებულია სტრ. 1244:

„ესე ამავეი აეთანდილ ჰირაზუმან, მავრა ვადამან“.

ასეთი იყო ტრადიციული წყობა ამ ტაბისა (ვახტან, ზუბ. ქართველ. კირიზი, კახაბაძე). ამ გამოთქმის შინაარსი ნათელი არ იყო: ჩუბინაშვილმა გამოძენა ასეთი განმარტება: „ე ა დ ა მ ა ნ, ვიი ჰსოქვა მან“; განმარტება საკმაოდ ნაძალადევი იყო. ამიტომ მკვლევარნი ძიებაში იყვნენ (ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერის მოგვცა წყობა: „მავრა-ვადამან“, რაც მიიღო 1951 წლის გამოცემის რედაქციამ). პირველად ი. აბულაძემ სცადა ემუნდაცია და წარმოადგინა: „მავრ ავა-დამან“ (რასაც, მართალია, დღეი ყოყმანი, მაგრამ მაინც ამკობნიებს ჰ. ინგოროყვა, რამდენად ეს წყობა ვერცა ხელნაწერული ტრადიციის ფარგლებში: მავრავადამან). აბულაძის კონსტრუქცია კ. ტოინაძემ, სრულიად საფუძვლიანად, ის მანვი მოუძებნა, რომ ფორმა „მავრა“ უძველესი რუსთველისთვის, მას ყველგან აქვს „მავრა“, მაგრამ თით მან (ტოინაძემ) რომ წარმოადგინა „არ ავადამან“, ამას არავითარი გამართლება არა აქვს არც ხელნაწერებში, არც ქართული დიქციონარი ილნავობით. გერ სკპროა დევიდასტრუქტორი ფორმა „ავად“; არაფერ ავად“, არამედ „ავადი“-ც საძებნარია ძველ ქართულში. ამდენად, მიუღებლად უნდა ჩიათვალოს როგორც „მავრ ავადამან“, ისე „არ ავადამან“. მეორე მხრით დავუტყვირდეთ, რა კონტექსტში ხმარობს შოთა სიტყვა „პირზე“: პოემაში იგი მიეკუთვნება, ან ავთანდილს, ან ნესტანს. როდესაც ის ავთანდილს მიეკუთვნება, სწორია ან მარტივად „პირზე ვეთანდილ“, ან „პირზე“ განმარტებულია, ანდა, გადლიერებულია კიდევ ახალი ეპითეთით: „პირზემან, ტანად საროვან“ (771), „პირზე, ნათელთა შიენელი“ (774), „პირზე, გულმარიახიან“ (841). არც ერთი შემთხვევა არაა, რომ „პირზეს“ ახლდეს მისი საპირისპირო რამ

ზედსართავი. ამიტომ უფრო სტრუქტურულად რომ გამოთქმამი „მავრავადამან“ ტყუილად იქნებოდა თვის გერ უცნობი ეპითეთი.

ამას წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (№ 55, 1955 წ.) დიბეჭდა დოკ. ლ. მენაბდის ბიბლიოგრაფიული შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო.

377-ე გვერდზე დოკ. ლ. მენაბდე უსაყვედურებს პ. ინგოროყვას: „როდესაც აკრიტიკებს 1951 წლის გამოცემას, ყოველივის ასახელებს მას, მაგრამ ზოგჯერ იზიარებს და იყენარებს 1951 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიის მიერ შეტანილ შესწორებებს, ამ შესწორებულ სახით ბეჭდებს ტექსტს, მაგრამ არ იხსენიებს შესწორებელთა“ ამის საბუთად, ე. ი. იმის საბუთად, რომ პ. ინგოროყვამ ავტორების დაუსახებლად მიითვისა 1951 წლის გამოცემულ სახეობებში, მოკავს 15 მაგალითი (იხ. ბიბლიოგრაფიის გვერდები 377 — 378). მაგრამ ეს სიმართლეს არ შეიცავს, ვინაიდან ამ თხთმეტრე მაგალითიდან:

1) ექვს შემთხვევაში ეს შესწორებები თუ ვარაირტები უკვე ვახტანგის გამოცემაშია:

ე შ ი გარდასვა მასპინძელმან არ ლაფაღმან, ავამ უქმან (730, დკ. ვითამე ს ა ხ ა რ უ ლ ი საქმე მითხარ, ვითა[რ]ადრად (757, დმზ). მას თუ დ ა ვ ს თ მ ო ბ (ვახტ.: დავთომობ) სახლსა ჩემსა ველარ დავთომობ ვისა ვერად (786, დლგ). მუნ დავმართა ა ვ თ ა ნ დ ი ლ, მას თანა ყოღბი ჰეკებოდა (982, მპ). მე რა ექნა შენად შეყრამდო[ს], ანუ რას მ ე ე ვ დ ე (ვახტ.: მქვედე) ლხენასა (834 ყვდ). ვერ იქ ი რ ვ ი დ ე დ ს ს არ ა ნ ვ, მუნ იყო არ-სიწყენარები (1179, ჩრდთ).

2) ორ შემთხვევაში ვახტანგის გამოცემაში ადგილი შესწორებულია აქ. შინიძის მიერ ვახტანგის გამოცემის სხვა ადგილებზე დაყრდნობით:

ამას თურქ[შ]ე მახარებდა დღეს ნიშანი ს ა ხ ა რ უ ლ ი (729, დთ, გვ. 348). მართ სახელდებით (ვახტ.: საახლდებით) უყვირს ხმითა შით ს ა ხ ა რ უ ლ ი თ ა (1333, ჩტკვ).

3) ხუთ შემთხვევაში კ. კოკინაძეს და სხვა გამოცემულთ უკვე ჰქონდათ (სხედასხვა ხელნაწერებზე დაყრდნობით):

თ ვ ა ლ თ ა თ ვ ი თ ა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა (630; ტიკ. 673 აბ. 537). ენა მის დღისა შევბასა ყოლა ვერ იტყვის კ ჯ ე ბ უ ლ ი (676; ტიკ. 723, აბ. 576). ავთანდილის მკებელად (ტიკ.: მკებელთა) ათასმცო ენა ე ნ დ ა (1048; ტიკ. 1111, აბ. 913).

უთხარა: „ძმო, რა გარდობის შენგან ზემო
ქირაბულა“ (1471; ქიკ. 1541, აბ. 1308).
სამ თვე ვლეს, — დმურთსა მათებრივ (ქიკ.
მათებრი) სხვა რამეა დაებალოსა (1576; ქიკ.
1651).

დანარჩენი ორი შემთხვევიდან:

4) ერთი თვით პ. ინგოროყვას მიერ შემო-
ტანილ შესწორებას წარმოადგენს და 1951 წლის
გამოცემის რედაქტორებს პ. ინგოროყვასაგან
უნდა ჰქონდეთ აღებული, რადგან პ. ინგოროყ-
ვამ ეს შესწორება ჯერ კიდევ 1938 წელს დაბე-
დილ ერთ-ერთ თავის ნაშრომში შეიტანა. შესწო-
რება ეხება 992 სტროფს:

„ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მცეთთა
შეილობით“ (992,3).

ყველა აქამდე არსებულ გამოცემაში ეს ტაეპი
ციოხებოდა: „მე დიდებულთა დიდგვართა...“,
ხოლო პირველად პ. ინგოროყვამ (ერთ-ერთ ზელ-
ნაწერზე დაყრდნობით) ეს ტაეპი წაიკითხა „ძე
დიდებულთა დიდგვართა...“. აი, რა კონტექსტში
აქვს პ. ინგოროყვას მიცემული ეს წაიკითხვა:

„ჩვენ ამ-გზის არ ვვხებით ისტორიულ რემი-
ნისტენციებს არაბეთის გმირთა პერსონაჟებშიც
უპველია, ჩვენ გვაქვს ერთგვარი პოეტური დუბ-
ლირება ინდოეთისა და არაბეთის გმირების სა-
ხით. ავთანდილ (— „ძე დიდებულთა
დიდგვართა, ზრდილი მცეთთა
შეილობით“) — სახეცელი პოეტური ორე-
ულია ტარიელისა, როგორც თინათინ მეორე
ასპეტია ნესტანისა, რასტევა — ფარსადან-
ისა“ (იხ. პავლე ინგოროყვა, შოთა რუსთაველი.
ბიოგრაფიული ესკიზი. ტფილისი, ფედერაცია.
1938. გვ. 59. რედაქტორი პ.ო. ს. ყაუხჩი-
შვილი).

5) რაც შეეხება მე-15 შემთხვევას („სრულნი
მყარნი და მუდობნი მე გარე შემომცვი-
დიან“ — 351,1) აქაც 1951 წლის გამოცემის

რედაქტორები არაფერ შეამჩნიეს. ამ-
როცამ ეს აილა თვით ზელნაწერშიც. (მე-
ლითად, № 2829 და № 2074 ზელნაწერებში
მართლაც სწერია „გარე შემომცვიდიან“).

ამგვარად, ლ. მენაბდის რეცენზიაში მოხსენე-
ბული 15 შემთხვევა, ეთომც პ. ინგოროყვას
მიერ სხვისი კონიექტურებისა და შესწორებების
მითვისებისა, არც ერთი არ მართლდება. ეთვით,
ლ. მენაბდემ არ იცოდა, რომ 1938 წელს პ. ინგო-
როყვამ თვითონ პირველმა წაიკითხა „ძე დიდ-
ებულთა დიდგვართა...“ (992). გამოცემები ხომ
ხელთ ჰქონდა და უნდა სცოდნოდა, რომ 1951
წლის გამოცემაზე ადრე დანარჩენი შემთხვევები
უკვე ვაჭტანგის გამოცემით არის ნაგულისხმევი.
ან სხვა რედაქტორთა გამოცემებში. რა შეაშინა
აქ 1951 წლის გამოცემის რედაქტორთა შესწო-
რებები!

ამგვარად ცხადია, რომ ხსენებული რეცენზია
არ არის დაწერილი იმ წესების დაცვით, რომ-
ლებსაც მოიხზოეს საზოგადოება ყველა მკვლ-
ვარისაგან. ასეთი არაკეთილსინდისიერი პო-
ზიციებიდან, დაწერილი რეცენზია „ვეფხისტყაოს-
ნის“ საკითხთა ცვლევას ზედს ვერ შეუწყობს.



ყველაფერი ზემოთქმული აღსატურებს, რამ-
დენია ჯერ კიდევ გასაყვებელი შოთას უცვლად-
ვი პოემის ტექსტის დასადგენად. პ. ინგოროყვა
თავის გამოცემაში შეეხო მხოლოდ 454 ტაეპს
და ამის ფარგლებში გვიჩვენა, თუ როგორი წარ-
მატება ზედება რუსთველოლოგს, როდესაც ის
ტექსტუალურ კრიტიკას აწარმოებს უპირატესად
ხელნაწერებზე დაყრდნობით და პოემის პოეტი-
კის თავისებურებათა გათვალისწინებით, საბჭოთა
საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელის რუსთვე-
ლოლოგებისაგან „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი
ტექსტის გამოცემას კრიტიკულ-ტექსტუალური
აპარატით. პ. ინგოროყვას 1953 წლის გამოცემა
კი აქეთენ გადაკმული პირველი და სანიშნა
ნაბაჯია.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული ლიტერატურა



ანა ნიკოლაძის საინტერესო გამოკვლევა რუსი და ქართველი ხალხების XIX საუკუნის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს ეხება.

ამ ურთიერთობის კვლევა-ძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ეს საკითხები ქართული მწერლობის ყურადღების საგანი იყო, თუმცა მათი მეცნიერული დამუშავება მხოლოდ საბჭოთა ეპოქასთანაა დაკავშირებული.

როგორც წიგნის ავტორი წერს, „რუსეთთან ისტორიული ცხოვრებით დაკავშირებულ ხალხთა შორის საქართველო ერთი პირველთაგანია, რომელმაც დრამად შეითვისა რუსული მოწინავე კულტურის საუკეთესო ტრადიციები და იგი ორგანულად დაეკავშირა თავის მრავალსაუკუნოვან კულტურას, სოციალურ და ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას“.

აღნიშნავს რა „რუსი ხალხის სულიერი კულტურის ზეგავლენას ქართულ ფილოსოფიურ აზრზე და ლიტერატურაზე განსაკუთრებით“ 60-იან წლებში, ავტორი საკვებით სამართლიანად მიუთითებს იმაზედაც, რომ სამოციანი წლების დიდი იდეური მოძრაობა საქართველოში თავისი ფესვებით დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ სინამდვილესთან.

მაშინ „ძლიერი მღელვარება იგრძნობოდა ქართველი გლეხების მასებში, რომლებიც გამოწვევდნენ ბატონყმური შრომის აუტანელ ფულს ქვეშ. ისინი, ამასთანავე, რუსეთის ცარიზმის პიუროკრატიული ზინიენიკების ჩაგვრის მსხვერპლიც იყვნენ“.

ამ „ორმაგ ჩაგვრას“ ქართველი მშრომელი ხალხი „ორმაგი ბრძოლით“ უპასუხებდა და ამიტომ იყო, რომ „60-იანი წლების საქართველოში სოციალური და ეროვნული საკითხი მკიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული“.

უკავშირებდნენ რა ეროვნული მოძრაობის იდეას სოციალური განთავისუფლების ამოცანას.

ანა ნიკოლაძე. რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობა, 1954.

წებს, სამოციანი წლების მოწინავე ქართველი პოლემიკის ბრძოლის მთავარ ძალად გლეხობის მიიწვევდნენ. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ „მესამოციანელების მედროზე ილია ქვეყნაძემ თავგამოდებით იბრძოდა გლეხთა ინტერესებისათვის, ილაშქრებდა რეაქციულ და ლიბერალურ თავაღანურთა წინააღმდეგ და 60-იან წლებში წარგადა საქართველოში რევოლუციონერ-დემოკრატიულ ტრადიციებს“.

როგორც ცნობილია, ამ ტრადიციებს წარგადნენ ჩვენში აგრეთვე აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და ნიკო ნიკოლაძე, რომლის ჯერ კიდევ გარყვნილი „კოლოკოლი“ გამოქვეყნებულმა მუხბრძოლმა წერტილებმა ნამდვილად გააცოფეს რუსეთის რეაქციულ ძალთა მესვეურნი და, კერძოდ, შერჩემელი კატეგორია.

ცარიზმისა და მის დამცველთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში ქართველი მესამოციანელები მარტონი არ იყვნენ. ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლინოვის, პისარევის, ნეკრასოვის სახელები ჩვენი სამოციანელების სახელებთან ერთად სამუდამოდ დაეკავშირდა ქართველი ხალხის XIX საუკუნის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქვეყნის რეაქციულ ძალთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ერთი მთავარი ადგილი ეკავა მწერლობას, რომელსაც ბელინსკისთვის დროზე საზოგადოების ბელადისა და დამცველის საპატიო რაოდ აკისრებდა.

როგორც ცნობილია, სწორედ ბელინსკი იყო ის პირველი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი მწერალი, რომლის სოციალ-პოლიტიკურმა და ლიტერატურულ-ესთეტიკურმა შეხედულებებმა თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენი პროგრესული მწერლობის განვითარებაზე. ამიტომ საკვებით ბუნებრივია, რომ ანა ნიკოლაძის წიგნის პირველი თავი სწორედ ამ გავლენის გარკვევას მიეძღვნება.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ „ბელინსკის ლიტერატურულ და ფილოსოფიურ მოსაზრებებთან თერგადიდებულადან ყველაზე მკიდრო კავშირი იქნეს ილ. ქვეყნაძის რევოლუციონერული-დემოკრატიული კონცეფციას“, თუმცა, ავტორისავე განმარტებით, ილია „არა მარტო ატარებს ბელინსკის“

კისებურ შეხედულებებს და... არა მარტო ორიგინალურად ასაბუთებს მათ, არამედ თავისებურად ავითარებს და დამოუკიდებელ სახეს აძლევს".

წიგნში კარგადაა ნაჩვენები ისიც, თუ როგორი სიყვარულით შეპრობოდნენ ბელისკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას აკაცი წერეთელი; ნიკო ნიკოლაძე, იაკობ ვიგვამაშვილი და როგორ იყვნენდნენ ისინი ამ დაუცხრომელი რევოლუციონერის პრეტესტანტულ აზრებს.

საესებით დამსახურებულა ის დიდი ყურადღება, რომელიც ანა ნიკოლაძის წიგნში დამოხილი აქვს ხომალდის (რომანოზ ფანცხავას) აზრებს პუშკინის შემოქმედების შესახებ. მაგრამ, ამასთან ერთად, საჭირო იყო, ავტორის უფრო მეტი კრიტიკული დამოკიდებულება გამოემკვლევინებინა ქართველი კრიტიკოსის მტკიცებასაში, თითქოს რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში ბელისკის ტრადიციების პირველი განმარტობი დობროლუბოვი ყოფილიყოს და არა ზერნიშვესკო.

ზეწი აზრით, საჭირო იყო მოკლედ იმის აღნიშვნაც, რომ ქართული მესამოციანელები ბელისკის ლიტერატურულ-კრიტიკული პრინციპების ერთგულებას იჩენდნენ არა მარტო ვასულ სატუნეში, არამედ მე-20 საუკუნეშიც. ამისათვის საქმარისი იყო მიგვეთითებინა ნიკო ნიკოლაძის მიერ ქ. ფოთში 1910 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ბროშურის („სათავდაზნაერო სკოლების ხარვეზები“) წინასიტყვაობისათვის, რომელშიაც პეტლიცისტი დიდი პატივისცემით იხსენიებს გენიალური კრიტიკოსის სახელს და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას რუსული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის პროგრესისათვის.

საინტერესოა წიგნის მეორე თავი — „ა. ი. გერცენი და მატერიალისტური ფილოსოფიის ტრადიციები საქართველოში“, რომელიც ემყარება გერცენის შესახებ ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილის ძირითად დებულებებს.

გერცენის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების მოკლედ დახასიათების შემდეგ ავტორი არკვევს მჭიდრო კავშირს, რომელიც ჰქონდა ქართულ მატერიალისტურ აზროვნებას მე-19 საუკუნის რუსულ კლასიკურ ფილოსოფიასთან. ანა ნიკოლაძე ასკენის: „გერცენის ფილოსოფიურმა აზროვნებამ ღრმა კვალი აღებუდა ქართულ სინამდვილეში“, ხოლო „ყველაზე ახლო კავშირი გერცენის ფილოსოფიურ შეხედულებებთან ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის ნაწერებში შეიმჩნევა“.

მართლაც, ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელშიც, ზერნიშვესკის ფილოსოფიურ შრომასთან ერთად („ხელეწილების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“, „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“ და სხვ.), ძლიერად გავლენა მოახდინა ნ. ნიკოლაძის მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებაზე—ეს იყო გერცენის „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძე ამ შრომის წამოყენებელი პრინციპების ერთ-ერთ მხარეს რჩებოდა, როდესაც გერცენთან ცნობილ კამათს ჰქონდა, და ამიტომ, საესებით სწორია ანა ნიკოლაძის მტკიცება, „გერცენის ვინაობრივი მემკვიდრეობიდან ნიკო ნიკოლაძეს ყველაზე მეტად იზიდავდა ფილოსოფიური მატერიალიზმი“. ცნობილია, რომ ნიკო ნიკოლაძე გერცენის ფილოსოფიურ მატერიალიზმს იცავდა და ავრცელებდა ზეწიში გასულ საუკუნის როგორც 60 — 70-იან, ისე 80 — 90-ან წლებშიაც.

უბოველ ინტერესს იწვევს წიგნში წარმოდგენილი ის მასალები, რომლებიც შეეხება გერცენისა და ნიკოლაძის პირად მეგობრობასა და ქართული სამოციანელების „კოლოკალი“ თანამშრომლობას.

ავტორი მოგვითხრობს გერცენისა და ნიკოლაძის პირველი შეხვედრის შესახებ და შენიშნავს, რომ ეს მოხდა 1865 წელს იმ უსამოციანეთან დაკავშირებით, რომელიც იმ დროს ქართულ პუბლიცისტს რეპეტიონერ რედაქტორთან — სკარიატინთან ჰქონდა. ნიკო ნიკოლაძე კი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ გერცენთან მისი პირველი შეხვედრა (რომლის ინიციალური თვაითნა გერცენი ყოფილა) მომხდარა იანა 1865 წელს, არამედ 1864 წელს. „1864 წლის შემოდგომაზე, — წერს ნიკო ნიკოლაძე თავის გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში, — საზღვარგარეთ, პარიზში გამეზარებმა მოვახერხე და იქ მოხუდი დღეები ბიბლიოთეკეში ვიჯექი და ვმუშაობდი. წლის ბოლოს (ე. ი. 1864 წლისა, ვ. ზ.) სრულიად მოულოდნელად ლათინური კვარტალის ეიფრი ქუჩაზე მდებარე ზემს ბანაში შემოვიდა ა. ი. გერცენი, რომლის აქ გამოხენამ დიდი სენსაცია გამოიწვია... იმ ზამთარს და 1865 წლის გაზაფხულზე, პარიზზე ვავლით მეზარებობის დროს, მან რამოდენიმეჯერ მიწახლა. იმ დროს რომ ლონდონშიც ვეწევიანი გადადიოდა საცხოვრებლად და ამის გამო პარიზში ხშირად იმყოფებოდა... ზაფხულში (1865 წ. ვ. ზ.) გერცენმა დამითანხმა, რომ „კოლოკალისათვის“ დამეწერა სტატია „გლეხთა განათავისუფლებაზე საქართველოში“.

ნიკოლაძის ეს სტატია, დაწერილი 1865 წლის ივნისში, დაიბეჭდა „კოლოკალის“ ივნისისა და ივლისის ნომერებში, თანაც ისე, რომ გერცენსა და როგორც ხელიც არ უხლიათ იმ ადგილებსათვის, რომლებიც ზოგადად მათი შეხედულების წინააღმდეგ იყო მიმართული.

აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის ამ სტატის გამო გერცენმა მორიგი ნომრისათვის გადასცა თვით ოგარიივის წერილი. ამის თანაზე იგი თავის მეგობარს წერდა: „ქართული სტატია ძალიან კარგია... „კოლოკალი“ საესებ და მხადა... შენი სტატია, ალბათ, შემდეგ ნომერში წავა“.

ამრთავად, ირკვევა, რომ გერცენი შეხვედრისა ნიკო ნიკოლაძეს მხოლოდ იმის გამო, რომ ქარ-

თველი სამოციანელი ჩაება „კოლოკოლის“ მუშაობაში და იგი, როგორც საიმედო ძალა, შეიღწეოდა დეკავნიზმისა და რუსულ თავისთვის სტამბასთან“. ეს სტამბა სწორედ 1865 წელს ვახუშტელზე იქნა გადატანილი ლონდონიდან ენეკეაში.

გერცენისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობიდან ჯერ კიდევ ზოგი რამ გასარკვევია. მაგალითად, ეინ აღეძრა ჩამველად რუს რევოლუციონერს ჰაბუკი ნიკოლაძის გაცნობის ინტერესი, ნიკოლაძისა, რომლის გვაზი მან, აღმათ, პირველად გაიგონა 1861 წელს, როდესაც „კოლოკოლის“ ფურცლებზე პეტერბურგის რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულ 240 (და არა სამასი, როგორც ანა ნიკოლაძე წერს. გ. ზ.) კაცის სიას აქვეყნებდა? გასარკვევია ისიც, თუ რა როლი შეასრულა ამ საქმეში ნიკოლაძის ახლო კავშირმა „სოვრემენიკთან“ ან ამაზე აღრე, მის მიერ „ნაროდნოე ბოგატსტვო“-ში გამოქვეყნებულმა წერილებმა (კერძოდ, პოლნეთის 1863 წლის ამბებთან დაკავშირებულმა სტატიამ), რომელია რადიკალური შინაარსის გამო მეფის მთავრობამ ეს გაზეთი მალე დახურა.

ამასთან ერთად, გასარკვევი და დასადგენია ჩვენი სამოციანელი „კოლოკოლი“ თანამშრომლობის სასეთი და მას მტრებში, რადგან, როგორც თვით წიგნის ავტორი ამბობს, „ნიკოლაძის მრავალი სტატია „კოლოკოლი“ ჩვენივეს ჯერ უცნობი ფსევდონიმით ან უსახელოდაა დაბეჭდილი“.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60—70-იან წლებში ახალი თაობის ქართველ ინტელიგენციამ უკმაღაზე დიდი გავლენა ჰქონდა „სრულად რუსეთის დემოკრატს“ (ლენინი) — ნ. გ. ჩერნიშევსკის, რომელიც მარქსამდელი ეპოქის რუსეთის არა მარტო მატერიალისტური ფილოსოფიისა და უტოპიური სოციალიზმის უდიდესი წარმომადგენელი იყო, არამედ, ამასთანავე, მეზნებაზე რევოლუციონერი-დემოკრატი, გლეხური რევოლუციის იდეური ბელადი.

უდავოა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჩერნიშევსკის იდეათა გავლენით ჩამოყალიბდა ჩვენში რევოლუციური-დემოკრატიული მიმდინარეობანი. ამ იდეებმა დრმა კვალი დააჩინეს იმ პერიოდის ქართული ლიტერატურისა და ესთეტიკური აზროვნების განვითარებას, თუმცა, როგორც სწორად შენიშნავს ავტორი, ქართულმა ლიტერატურამ ამ შემთხვევაშიც „ღრმად ეროვნული და დამოუკიდებელი სახე მისცა ყოველივე იმას, რაც შეითვისა რუსული მწერლობისა და აზროვნებისაგან“.

ამ ისპექტშია ავტორის მიერ განხილული ილიას, აკაკის, ანტონ ფურცელაძისა და, განსაკუთრებით, ნიკო ნიკოლაძის იდეური კავშირი ნ. ჩერნიშევსკისთან.

ანა ნიკოლაძე მართებულად აღნიშნავს: „თავის ლიტერატურული მოღვაწეობით ილია ქვეყანა ენათმეცნიერება ჩერნიშევსკის. ილიამ პირველ-

მა გაბედულად აღმართა ბრძოლის დროს ჩერნიშევსკის მიზნის წინააღმდეგ. მან, თუმცა, ქვეყნისათვის მხატვრულ თხზულებებში, პირველ ყოვლისა, „აკაკი ყაზაში“, დავისაბა სოციალურ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხი, ამავე პოემაში გააცოცხლა მან და გმირული შარავანდელი მოაქვინა ჩაგრული გლეხობის იდეალს — „არსენს“ და ყველაზე გს, ავტორის სწორი დასკვნით იყო „თავისებური მხატვრული ებო ჩერნიშევსკის ცნობილი ლაზუნეისა, რომელიც ნაჯახისაგან მოუწოდებდა რუსეთის გლეხობას“.

ანა ნიკოლაძის აზრ ის რჩება უუერადლებოდ, რომ „ილია ქვეყანაზე მხოლოდ სოციალურ-განმათავისუფლებელი იდეებით არ ეხმარებოდა ჩერნიშევსკის“. ამიტომ განიხილავს ავტორი იმ კავშირს, რომელიც ილიას მსოფლმხედველობას ჰქონდა ჩერნიშევსკის მატერიალისტურ ფილოსოფიასთან, ხოლო მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ კონცეფციას — დიდი რუსი მოაზროვნის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებთან.

აღნიშნავს რა იმას, თუ როგორ გაიზიარა ილიამ ჩერნიშევსკის ესთეტიკის ის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომლის თანახმად ხელოვნება უნდა წარმოადგენდეს „ცხოვრების ახსნას“. „ცხოვრების სასწავლო წიგნს“, ანა ნიკოლაძის ქვეყანის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა ანალიზის საფუძველზე გამოჰყავს ის სწორი დასკვნა, რომ დიდი რუსი მოაზროვნის შემოხსენებულ დებულებებს „ილია ავითარებს მეტად თავისებურად ხელოვნებისა და ცხოვრების დიალექტიკური ურთიერთობის ასპექტში“.

ცნობილია, ის დიდი შემოქმედება, რომელსაც გასული საუკუნის 80 — 90-იან წლებში რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის აზროვნებაზე ახდენდა ჩერნიშევსკის სახელგანთქმული რომანი „რა ვაყოლი“. ამ წიგნმა გარკვეული კვალი დააჩინა ქართულ მხატვრულ ლიტერატურას. როგორც ანა ნიკოლაძე აღნიშნავს, „რომანმა გავლენა მოახდინა ანტონ ფურცელაძის მოთხრობაზე — „სამის თავგადასავალი“, რომელიც თუმცა 70-ან წლებში გამოქვეყნდა, მაგრამ, როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, 1863 წელს არის დაწერილი“. ავტორის აზრით, მოთხრობის „მთავარი პერსონაჟი სიმონ ბაღდაძე ერთგვარად მოვეგვირგნეს რამბეტოსს, ხოლო ქართველი პროზაიკისა გამირა ქალი მათა შექმნილია ვერა პავლოვის მხატვრული სახის ზეგავლენით“.

ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაყოლი“ მეტად დიდი მოვლენა იყო, მთელი რუსეთის სინამდვილეში, ამიტომ, იმ მნიშვნელობის უფრო ნათლად გარკვევისათვის, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში ჰქონდა ჩერნიშევსკის, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა, ავტორს გაეთვალისწინებინა სათანადო ცნობები ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა, მაგალითად, გ. თუმანიშვილის მოგონებანი და სხვ.

ნიკო ნიკოლაძის დიდი დამსახურება მიუძღვის



საქართველოში ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკურ და მატერიალისტურ ფილოსოფიურ შეხედულებათა პროპაგანდის საქმეში. ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ ნიკო ნიკოლაძე ქართულ ლიტერატურაში წერგადა და ავითარებდა ჩერნიშევსკის არა მხოლოდ თეორიულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, „არამედ მთელ რიგ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს ანალიზსაც დიდი რუსი მოზარდების თხზულებათა შექმნი ახდენდა“. ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორის ასახელებს ნიკო ნიკოლაძის მიერ 1880 წელს გაზეთ „ობზორი“ გამოქვეყნებულ შესანიშნავ წერილებს პუშკინზე. ვფიქრობთ, რომ ა. ნიკოლაძე ამით არ უნდა დამკაოფილებულიყო და მოკლედ მაინც შეგებოდა ქართული სამოციანელის მიერ „ოტჩენსტვენი ზაისკიში“ მოთავსებულ წერილებს და, განსაკუთრებით, სალტუკოვ-შნედრინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ იმ პრეყინვალე სტატიას, რომელიც 1887 წელს გამოქვეყნდა თბილისში გაზეთ „ნოვოე ობზორნიეში“ და რომელშიაც რვეოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისითაა განუქცებული დიდი რუსი სატირიოსის შემოქმედების მნიშვნელობა.

ჩერნიშევსკისა და ნიკო ნიკოლაძის იდეური კავშირის ნათელსაყოფად ავტორი მოვეთხობობს იმ დგაწლებზე, რომელიც ქართულმა სამოციანელმა დასდო დიდი რუსი რვეოლუციონერის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის საქმეს საზღვარგარეთ. მაგრამ, ამასთან ერთად, საჭირო იყო იმის გახსენება, რომ ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაზე ნიკო ნიკოლაძემ ვიზიტანტ ელპინდინთან ერთად 1868 წ. პირველად ცალკე წიგნად გამოცემა ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაეყოთი“. ეს მთა უფრო საჭირო იყო, რომ ბევრ შემთხვევაში ჩერნიშევსკის შესახებ გამოცემულ შრომებში არც იმაზე ამბობენ რაიმეს და არც იმ წინასიტყვაობაზე, რომელიც ქართულმა პუბლიკისტმა დიდი რუსი რვეოლუციონერის თხზულებათა პირველ ტომს წარუშმდგარა.

ავტორი სწორად იქცევა, როდესაც აღნიშნავს იმ შემთხვევას, რომელსაც მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა ეწეოდა ჩვენში ჩერნიშევსკის იდეების გასაერთელებლად გასული საუკუნის არა მარტო 60—70-იან, არამედ 80—90-იან წლებშიც. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, წიგნში იხილვ ყოფილიყო აღნიშნული, რომ სამოციანე წლების ევტერანები მე-20 საუკუნეშიცა ეწეოდნენ საქართველოში ჩერნიშევსკის ლიტერატურულ პრინციპების პროპაგანდას. ამის შვაგალითს გვაძლევს ისევე ნიკო ნიკოლაძე, რომელიც 1910 წელს გამოცემულ ზემოთ ჩვენ მიერ მოხსენებულ ბროშურაში, წერდა, რომ „ჩერნიშევსკის სახელგანთქმულ „ნარკვევებს გოგოლის პერიოდის რუსულ ლიტერატურიდან“ თავისი მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაუკარგავს“. აღსანიშნავია, აგრეთვე, ნიკოლაძის არქივში დატული

ერთი ბარათი, დათარიღებული 1915 წელს, რომელშიაც ლიტერატურაში მომწიფე-ავტორები ენიშნე მიზნადიყო სწერდა ნიკოლაძეს: „ჩვენი შეთანხმება შეუძლებელია, რადგან სხვადასხვა ლიტერატურული და საზოგადოებრივი მიმდინარეობის წარმომადგენლები ვართ. ჩვენ ვერ შევთანხმდებით ისეთი მწერლის შეფასებაში, როგორიც ჩერნიშევსკია... დობროლენკოვი და მისი მისწავლებელი ჩერნიშევსკი სდევნიდნენ წმინდა პოეზიას და იქვენი კი წმინდა პოეზიის ამ მოწინააღმდეგეა მომხრე ხართო“.

აქვე გავნდა შევნიშნათ იმ საკითხზედაც, რომელიც ნიკო ნიკოლაძის იდეურ ევოლუციას შეეხება. ანა ნიკოლაძე 130-ე გვერდზე ამბობს, რომ ნიკოლაძის „გადაბრა“ უტოპიური სოციალიზმიდან ლიბერალურ-ბერტყვაზიოელი თვალსაზრისისაკენ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდაო, ხოლო 274-ე გვერდზე შენიშნავს, რომ ეს „გადაბრა“ 80-იან წლების ამბავიაო.

შართლაც-და, რომელი პერიოდი უნდა იქნეს მიღებული ნიკოლაძის ამ „გადაბრის“ დასაწყისად—გასული საუკუნის 90-იანი, თუ 80-იანი წლები? ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, თუ „გადაბრის“ დასაწყისად ჩავთვლიდით 90-იან წლებს და არა 80-იანს, და აი რატომ.

როგორც ცნობილია, ნიკო ნიკოლაძემ სწორედ გასული საუკუნის 80-იან წლებში გააჩადა „ტიფლისკი ეესტრისკისა“ და, განსაკუთრებით, „ობზორის“ ფურცლებზე გაავრცელებული ბრძოლა ცარცინისა და მისი მამებელი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რისთვისაც შედის მთავრობამ „ობზორი“ დატყრა და მისი რედაქტორი ნ. ნიკოლაძე გადაასახლა. ვადასახლებს შემდეგ პეტერბურგს იძულებით გადასული ნიკო ნიკოლაძე (მას 5 წელი აუკრძალეს საქართველოში ცხოვრება), სალტუკოვ-შნედრინის მიწვევით, სწორედ 80-იან წლებში იქცეებს თანამშრომლობას „ოტჩენსტვენი ზაისკის“ რედაქციაში და ამ კურნალის 1883 წლის იანვრის ნომერში აქვეყნებს თავის ცნობილ წერილს „ღუი ბლანი და გამბეტა“. რომელშიაც მეცნიერული დეტერმინიზმის პრინციპების სწორად მომარჯვების საფრთველზე ასახულებს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ყოვლისშემძლეობას და ავითარებს რადიკალურ სოციალისტურ შეხედულებებს, რისთვისაც, თვით ნიკოლაძის გადმოცემით, მთავრობამ ეს კურნალი დატყრა.

განსაკუთრებული ინტერესით და ერთგვარი მელუვარებითაც ეკითხება ანა ნიკოლაძის წიგნის ის თავი, რომელშიაც მოიხრობილია მოწინავე რუს აღმომავლებთან ერთად ქართველ მოღვაწეთა მომწიფეობაზე ჩერნიშევსკის განთავისუფლების დღისა და ძწელ საქმეში.

აქ მკითხველა პირველად ეცნობა ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებასთან დაკავშირებული იმ ბარათებს შინაარსს, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის მიითითებო შეუდგენია დიდი რუსი რვეოლუციონერის მახლობელ ადამიანს, ცნობილ



ისტორიკოსი ა. ნ. პიპინს. აქვეა მოთხრობილი თვით ნიკო ნიკოლაძის დიდ დამახტრებამზე ჩერნიშევსკის განათვისუფლების საქმეში და იმ მოწინააღმდეგეობაზე, რომელსაც მასში ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე თარხნიშვილი იღებდა.

წიგნის ეს თავი, ჯერ კიდევ ადრე ცალკე წერილის სახით შემოკლებულად დაიბეჭდა გავლენა „ზარია ვოსტაკაში“ და ამით, არაქართველ მკითხველსაც მიეცა საშუალება, რომ იგი უფრო ახლო და სწორად გაესცნობოდა ამ მეტად საინტერესო ეპიზოდს ჩერნიშევსკის ცხოვრებაში.

გახუთ „ზარია ვოსტაკაში“ თავის დროზე ანა ნიკოლაძის ამ წერილის გამოკვეყნება საგულისხმო მოელონად უნდა ჩათვალოს, უმარტველეს ეპიკოსს, იმის გამო, რომ ჩერნიშევსკის შესახებ რუსულ ენაზე უკანასკნელ წლებში გამოცემულ სხვადასხვა შრომაში, საშუალოდ, დიდი რუსი რევოლუციონერის, გადასახლებიდან გამოხსნის საქმეში ქართველ მოღვაწეთა მონაწილეობაზე ხშირად არაფერი არ არის ნათქვამი. ამ მხრივ გამაინჯალის შეადგენს დიდი რუსი რევოლუციონერის შვილიშვილის — ნ. მ. ჩერნიშევსკაიას მიერ 1956 წ. გამოცემული „ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მტკიცე“, რომელიც თავისი სპეციალური ხასიათის გამო მკითხველთა ფართო მასისათვის მაინც უცნობი რჩება.

წიგნის მეხუთე თავში ავტორი მოკლედ განიხილავს ნ. ა. დობროლუბოვის სოციალ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს და ვაგლენას, რომელსაც დობროლუბოვი აღწენდა XIX საუკუნის მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის განვითარებაზე.

ავტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ დობროლუბოვი, რომლის ნააზრევში სოციალურ-განმათავისუფლებელი იდეების გვერდით საპატრიო ადგილი უქირავს პროგრესულ შეხედულებებს დემოკრატიულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მოწინავე ქართველი მწერლების უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა.

ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილი ცხარედ დასტორიდა გენიალური რუსი კანდიდის უფროდ დაღუპვას, ხოლო ნიკო ნიკოლაძე ვასტულ საუკუნის 80-იან წლებში წერდა: „რუსეთის იმ შვილთა შორის, რომლებსაც ოდესმე ხელში კალამი სჭირიათ, ჩვენი უდიდესი სიმპათიით, პატივისცემითა და ნდობით ნ. ა. დობროლუბოვი სარგებლობს“.

ავტორი დამაჯერებლად არკვევს დობროლუბოვის იდეების ვაგლენას ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ შემოქმედებაზე, აგრეთვე ილია ქავჭავაძის შეხედულებათა დამძიმებას დიდი რუსი კრიტიკოსის შეხედულებებთან. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდი გამოხმობრება გამოიწვია ვასტულ საუკუნეში დობროლუბოვის პოეტურმა სიტყვამ ქართულ პუბლიკში, ანა ნიკოლაძეს მოხუცს აკაკისა და, განსაკუთრებით, კირილე ლოტოქიანის მიერ შესრულებული თარგმანე-

ბი დობროლუბოვის ლექსებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ და ეურნალ „კრებულში“, მას შემდეგ მოხდა, როდესაც აქვს, აგრეთვე სხვა ლექსების გამოკვეყნებელი თარგმანები.

ამასთან ერთად, ავტორი აშუქებს იმ ვაგლენას, რომელსაც დობროლუბოვის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები აღწენდა ვასტული საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართული კრიტიკული აზრის განვითარებაზე. მაგარი, ამ საკითხის ვაშუქებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი საგულისხმო ფაქტი მას მაინც აღუნიშნული დარჩენია ასე მაგალითოდ, მსგავსად იმისა, როგორც დობროლუბოვი მოითხოვდა რუსეთისათვის ინსაროვეების საქობოვებს, ნიკო ნიკოლაძეც თავის ნაწარმოებში — „მამულის სიყვარული და მსახურება“ (პირველად დაიბეჭდა 1874 წელს) აცხადებდა: საქართველის სპირიტუა თაგის ინსაროვია, მაგარი იქვე გულისტვილით შენიშნავდა, რომ „ამინარი კაცის ლანდსაც ვერ გეოვლობ ჩვენს ქვეყანაში“.

მეორე ფაქტი, რომელიც, ჩვენი აზრით უნდა აღუნიშნა ავტორს, შეეხება დობროლუბოვსა და აკაკის აზრთა დამთხვევას პოეზიისა და პოეტის დანიშნულების ვაგვებაში. პირველი წერდა: „მისგან (ე. ი. ლიტერატურისაგან. ე. ზ.) მოითხოვენ, რომ ის იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის არა მარტო ენა, არამედ თვალისა და ყურის“ და „ცხოვრების საკითხებზე უპასუხებულ იმის საშუალებით, რისაც თვით ცხოვრებაში პოულობს“ (ტ. IV, გვ. 171, ტ. I, გვ. 208).

აკაკი თითქმის რვეოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის ამ მოთხოვნის შესაბამისად ამბობდა თავის „პოეტში“, ხალხი საუკუნის 80-იან წლებში:

ენაც მას ამბობს, რაც სმენს
სხვისაგან ვუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
ვაუბოშ-აუწონია.

წიგნის 163-ე გვერდზე ავტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ დობროლუბოვის ლექსიდან „Еще работы в жизни много“ ამოღებული სიტყვები „Живое дело вместо слов“ სასოზრამო იყო „საზოგადოების იმ მოწინავე აღმანიშნებისათვის, რომლებიც შრომასა და სიმწარეს არ უშინდებოდნენ და დაუცხარმელი ენთუზიაზმით ემსახურებოდნენ ხალხის განათვისუფლების ცოცხალ საქმეს“.

ჩვენი აზრით, საკითხის სიცხადისათვის ამას უნდა დამატებოდა, რომ „ცოცხალი საქმის“ მკადაგებელი ქართული საზოგადოების ეს მოწინავე ნაწილი „ახალ ახალგაზრდობას“ უწოდებდა თავის თავს და, როგორც მისი ერთ-ერთი მეთაური, ნიკო ნიკოლაძე წერდა: ეს ახალგაზრდობა ცდილობდა, „პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზითიანი სიტყვების გამოთქმაში არა, საქმით გამოხატულიყო, ის საქმეს ეძებდა და აგებებდა“.

კლდე ერთი საკითხის გამო, რომელიც შეეხებოდა აკაკის ლექსს, — „საბარალო ველი“.

როგორც ვიცით, ოფიციალურად ეს ლექსი მიმღწილია კირილე ლორთქიფანიძისადმი, თუმცა ეს უყანასენელი ამბობდა, რომ „იგი... სრულიად ზემს თავზე ვერ მივიღო“. ჩვენს ზელთ არსებულ ერთი ცნობის თანახმად, კ. ლორთქიფანიძის ეს აზრი სიმაბრალეს უნდა შეიცავდეს. პოდრუსელად ნიკოლაძის ვაღმოცემით, „ნიკო ნიკოლადე 1924-1927 წ.წ. იკონებდა, რომ ეს ლექსი („საბარალო ველი“), დათარიღებული 1861 წლის 18 ნოემბრით, არც იმ დღესაა დაწერილი და არც კირილე ლორთქიფანიძისადმი მიმღწილი, როგორც ეს 1862 წლის „ციცკარში“ (№ 4) იყო აღნიშნული ცენზურისათვის თვალების ასახვევად. სინამდვილეში აკაკიმ ეს ლექსი მიუძღვნა დობროლუბოვს, მისი უფროოდ დაღუპვის გამო (1861 წლის 17 ნოემბერს)“.

ეს ცნობა შეტად საყურადღებოა და იმ მიმართულებით ვაშლილმა კვლევამ შესაძლებელია საინტერესო დასკვნებამდე მიგვიყვანოს.

სწორი მეცნიერული თვალსაზრისით განიხილავს ავტორი პისარევის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. იგი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საკითხში „პისარევი ეძინებოდა უყან ღვაძლად ნაბიჯს ჩერსაშევესკოს პოზიციებიდან“, მაგრამ რევოლუციონერ-დემოკრატის დებულება „ესთეტიკის მსხვერვისა“, ანა ნიკოლაძის სწორი შენიშვნით, გულისხმობს არა საერთოდ ზელოვნების, არამედ იდეალისტური წმინდა ხელოვნების უარყოფას.

ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართული მწერლები — ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლადე, ანტონ

ფურცელაძე, კრიტიკოსი ხომელი (რ. ფანცხველი) და სხვ. „თავიანთ დამოუკიდებელ მზრის გამო თქვამდნენ პისარევის შემოქმედებაზე და ეჭვით წილად სწორ და ღრმა შეფასებას ამლეუდნენ მას“ არა მარტო ვასელი საუცუნის 60-70-იან, არამედ 90-იან წლებშიც.

ცნობილია ის დღეა გამოხმაურება, რომელიც ქართულ მოწინავე მწერლობაში უოველთვის ჰქონდა ნეკრასოვის „მრისხანე მუხის“ პოეზიას. ავტორი სწორად მიუთითებს იმ საერთო საზოგადოებრივ-ისტორიულ საფუძველზე, რომელიც აკაკიშობებს ნეკრასოვის პოეზიას ილიასა და აკაკის პოეზიასთან.

ნეკრასოვის პოეზიით ადრევე იყო დაინტერესებული ქართული მწერლობა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ნეკრასოვის ლექსის პირველი თარგმანი (ა. ფურცელაძისა) დაიბეჭდა „ციცკარში“ 1861 წელს. აქედან იწყება ნეკრასოვის პოეტური ქმნილებათა ქართულ ენაზე თარგმნის ტრადიცია, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს დროში დამკვიდრდა.

ავტორი ნათლად ასახელებს, თუ როგორი გამოხმაურება ჰყოფა ნეკრასოვის პოეზიამ არა მარტო ქართულ პოეტურ შემოქმედებაში, არამედ ქართულ პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში.

ანა ნიკოლაძის წიგნი სერიოზული მეცნიერული ნაშრომია, რომელშიც ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გაშუქებულია რუსეთისა და საქართველოს მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ურთიერთობათა დიადი ტრადიციები.

ვლადიმერ ჯანაშიძე

სიკვდილიშისჯილთა შერილეპი



ლექსმა მიბრძანა თავისუფლად იცხოვრე მუდამ! ლექსი მიბრძანებს თუ მოკვდიო, მუბრძოლად მოკვდი! ზემი ცხოვრება ზომ საბრძოლო იყო სიღურა, ზემი სიკვდილიც ბრძოლის პანგად დაიგუფუნებს.

საბუთო პოეტი — კომუნისტის მუსა ჯალილის ეს სიტყვები, დაწერილი სიკვდილის წინ მოაბიჯის ციხეში, შეიძლებაოდა გამომდგარიყო

Lettere di condannati a morte della Resistenza Europea Einaudi Turin 1954.
ზიზლიოგრაფია სტეციალურად დაწერილია ჩენი ეურნალიზაციის.

ეპიგრაფად იტალიაში გამოსული წიგნი-კრებულისა, რომელიც შეიცავს ბარათებს და რომლის ავტორებია ფაშისმის საწინააღმდეგო ევროპული მოძრაობის მონაწილენი. ისინი სიკვდილისჯილთა იყვნენ. წიგნი შეადგინეს პიერო პალეკომ და ჯოვანი პირელიმ სხვადასხვა ქვეყნის ანტი-ფაშისტური ორგანიზაციების, დაღუბულ პატრიოტთა მემორებისა და ნათესავების დახმარებით. წიგნში წარმოდგენილია ევროპის 16 ქვეყანა. წიგნში შეტანილი ზოგიერთი მასალა წერილი კი არ არის, არამედ წიგნების არსებზე წაწერილია, კედლებზე ქმნილთავით ამოყვანილი სიტყვებია, შემოხვევით გადარჩენილი ფარტინა ქილდების ნაღუჯებია.

წერილების ავტორები არიან მუშები და გლეხები, ინტელიგენციის, სამღვდელთა წარმომადგენლების, ჯარისკაცები, ქალები და მამაკაცები, კომუნისტები, სოციალისტები და უპარტიოები, მორწმუნენი და ათეისტები.

ბელგელა სტუდენტი ერთ წერილში თავის თავს და მგავარებს ქრისტიან მოწამეებს აღარებს.

ახალგაზრდა ფრანგი-ათეისტი თავის წერილს ამ სიტყვებით ამთავრებს: „მე ვგავარ ფოთოლს, რომელიც მოსწყდა ხეს და განანაყოფიერებულ სასუქად გადაიტყვევა. სასუქის ხარისხი ფოთლების ხარისხზეა დასაკიდებელი. მე მხედველობაში მყავს ფრანგი ახალგაზრდობა. მთელი წემი იმედები მას ემყარება...“

წერილებს წერენ სიკვდილმისჯილი, მაგრამ მათი კითხვის დროს უნებლიეთ თქვენს თვალწინ გაივლებს გაზაფხულის ცხოველი სიმწვანე, გაივლებს სიცოცხლე, რომელიც სიკვდილსა სძლედა. მგზნებარედ გაისმის ახალგაზრდა ჩემი მუთავალის მოწოდება: „გიყვარეთ სიცოცხლე, დიაცობა და განამტკიცეთ იგი“.

ამ წერილების ავტორები უბრალო, რიგითი აღმზიანებიან მათი ვაჟკაცობა — ეს ხალხის ვაჟკაცობაა, ხალხისა, რომელიც იბრძვის სამართლიანი საქმისათვის, თავისი სამშობლოსათვის, თავისი ბავშვების ბედნიერებისათვის. ბევრ მათგანს სიკვდილის წინ საქანში აწყვედდნენ განმარტობით, მაგრამ ისინი არ გრძობადნენ თავს განმარტობულად. თავისი ჭმირობით ისინი არ უბრძობდნენ თავს, არ არიან ხალხისაგან მოწყვეტილი. ეს აღამიანები ხალხის ნაწილია. ისინი სიკვდილის წინ ამბამავებს ესტაფეტს უგზავნიან წერილებს ხალხით. როცა ისინი ლაპარაკობენ წარსულზე, რომელსაც შორდებიან, მომავალს ხედავენ.

სავა მატებინი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბრძოლას გერმანულ ოკუპანტთა წინააღმდეგ თავის მშობლიურ სოფელში ბედობიანობაში, სიკვდილის წინ კოლს სყერდა: „მე ვამთავ უთხოვა ვეღას... მე მოვკვდები, მაგრამ თქვენ იცოცხლებთ“.

ველა წერილის ავტორს ახასიათებს უდრეკისაძვე და საყუთარი ღირებების შეგროვობა, რწმენა თავისი საქმის სიმართლისა: „სამქვე, რომელსაც მე ვიცავ, სამართლიანი და წმინდაა... მთხედვად იმისა, რომ უწყალოდ მეცემნებ, მე არ ვაყვარ არავინ. მე სავაოდ ძლიერა ვარ იმისათვის, რომ მოვკვდე“.

42 წლის იტალიელმა პარტიზანმა, სპეცილოზით ინიერბა, წიგნის უღაზე ქინხისათვათ ეს სიტყვები ამოიკვანა: „ნუ დაიბრუნებ, აუ მიწოდებთ საყოფას. მე ვკვები, როვორც იდგის მსახური“. წერილების ავტორები მამართავენ კოლებს, შვილებს, დედებს, აღამიანებს: „იუკით ჩვენი ღირსნი“.

წიგნის წინასიტყვაობაში გამოჩენილი გერმანელი მწერალი ტომას მანი აღნიშნავს, რომ ბევრა წერილი საოცრად წააგვს. ჩემს წინასიტყვაობაში აღნიშნული ოდნეული სტუდენტ-რევოლუციონერის წერილს, რომლის შესახებაც წერდა ლევ ტოლსტოი. ტომას მანს სანიმუშოდ მოჰყავს ავსტრიელი კომუნისტის მიტენიორდერის ბარათი, დაწერილი 1942 წლის ნოემბერში, რომელიც საათით აღრე, ვიდრე მას ჩამოაღწროდნენ: „მეპატე, ჭვირფასო დედა, მამაკე, რომ ასეთი ტანუვა მოგაყენს. მე სწორად მიიქირა, იყო თუ არა იუცილებელი, რომ ასე მოვქცეულეყავ, მაგრამ მე ერთადერთ დასვენებდის მივდივარ: მე არ შემეძლო სხვანაირად მოქცეულეყავ... ეს არ არის მონანიება. ჩემი ცხოვრება იყო მართალი და პატრიოტი. მე ასევე მოვკვდები“. აღარებს რა ამ ორ წერილს ერთმანეთთან, ტომას მანი ლაპარაკობს ლევ ტოლსტოის გენიალურ შორსმჭერბელობაზე. მაგრამ სარეცენობა წიგნის მკითხველს ტომას მანის წინასიტყვაობას სხვა ფიქრსაც აღუძრავს. ეს არის გზა, რომელიც გაიარა თვითონ ტომას მანმა, — მოყოლებული იმ ნაწარმოებიდან („სიკვდილი ვენეციაში“), სადაც სიკვდილი გამოიღა გამოცვებულა, — დამთავრებული წიგნის წინასიტყვაობაში მოცემული სიტყვებით, წიგნისა, რომელსაც იგი უწოდებს „ივღს“. ავის მიუღვა აზრად თავში, რომ ესანეთით ამაოდ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, ამაოდ იბრძოდნენ ევროპის უველა ქვეანაში, საიდანაც მოვიდა ეს წერილები? მომავალი შეიწოვს მსხვერპლად შეწარულ ამ მრავალთა ცხოვრებას და გააგრძელებს მას, — მომავალში ის გაიზრდება და გაიფორმეწეება.

ამ წერილებიდან, რომლებიც აღსავსაა დამტბრებული სიყვარულით და მხადყუფნით — თავა დასდონ სამართლიანი საქმისათვის, ცალკე ვაუთვად უნდა გამოიფოს საბჭოთა მოქალაქეების წერილები, დაწებული ღუბა შეეცოვას სიკვდილისწინა წერილით — მშვიდობით, ღვდა, შენი ქალიშვილი ღუბა ჩადოს ნესტიანი მიწაში“ და დამთავრებული ბარათით, რომელშიც მამა ეთხოვება თავის ვოყვას და ოცნებობს იმაზე, რომ ის მეცნიერი გამოვა.

ეს წერილები გამსველულია საოცარი მიზანსწრაფვით, ჩვენს წინაშე ღვანან ღილა ზეობრივი სისპეტკის და სულიერად მომზობლავი აღმნიანები, რომლებსაც კომუნისტებია ისინი თუ უპარტიოები, ზურგს უმაგრებს დიდი პარტია საბჭოთა მოქალაქეთათვის მომავალა, რომლისთვისაც იბრძოდნენ და დაიღუბნენ წერილების ავტორები, უკვე აწყვოდ იქცა, საბჭოთა მოქალაქეები ნამდვილი აღამიანური სიხარულისათვის იბრძოდნენ, სიხარულისათვის, რომელიც მათ განიცადეს საბჭოთა პირობებში, — ისინი შეუპოვრად და თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა სიმდვილისათვის.

წიგნში მოთავსებული წერილები ბავშვებისა, რომლებიც სასიკვდილოდ იყვნენ გაწირულნი. ესაა საშინელი საბრალდებლო დოკუმენტები ფაშისტების წინააღმდეგ და მკაცრი ვაჭრობილება მომავლისათვის. კითხვობა ამ დოკუმენტებს და

იმეორებ იულიუს ფუნკის სიტყვებს: „აღმწიგნობა, იყავით ფხიზლად!“

საქონის
ბიბლიოთეკა

ელენე ფარაზიანი
(მოსკოვი)

ახსტრიული პოეტის ლექსები საქართველოზე.



ამ ცოტა ხნის წინათ დემოკრატიული გერმანიის რესპუბლიკაში გამოქვეყნდა ავსტრიელი პროგრესული პოეტის ჰუგო ჰუპერტის ლექსების ციკლი — „მოგზაურის ქართული კვერთხი“; რომელიც თითქმის მთლიანად საქართველოსადმი მიძღვნილია.

ზრავალ დიდ ევროპელ მწერალს მოუხსენებია თავის ნაწარმოებში საქართველო და ქართველები (მოემს „ქერცოვი ერნსტი“, ვინკელმანი, ლესინგი, გოეთე, მონტესკიე, შატობრიანი, ბალზატი და სხვა). მაგრამ ისინი უმოთავსესად გადმოცემებდა და შეიგნობრულ წყაროებს ეყრდნობოდნენ. მეგალითად, ანდრეას გრიფიუსის ნაწარმოები „ეკატერინე ქართველი“ მთლიანად წერტილობით წყაროს ეფუძნება და მასში ოდნავადაც არაა დაკვირვებული ქართული ნაციონალური კოლორითა.

გერმანულ მწერალთა შორის უშუალოდ შეისწავლა საქართველო არტურ ლისტმა. მან დრუზდენში გამოცხა წიგნი, მიძღვნილი საქართველისადმი („ქართველი ხალხი“), რომელშიც დახასიათებულია საქართველოს ბუნება, ქართველთა ზეგ-ჩვეულებანი და იდამწესება; გაკვირვებით მიმოხილულია ზვენი ხალხის ისტორია, ლიტერატურა, ხერათომომდგრება, მუსიკა და ფოლკლორი.

ლისტმა დრუზდენშივე გერმანულად გამოაქვეყნა ქართველ პოეტთა ლექსების კრებული — „ქართველი პოეტები“ და შოთას „ვეფხისტყაოსანის“ პროზული თარგმანი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვენელი პროფესორის, აწ განსვენებული რომბრტ ბლახშტაინერის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. მამ შეისწავლა ქართული ენა და თარგმნა ქართველი პოეტების ნაწარმოებანი. 1946 წ. ვენაში დაბეჭდა მისი თარგმანების კრებული. ამ წიგნში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი მე-20 საუკუნის ქართული პოეზია (ც. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ვ. ვაფორინდაშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვა). წიგნის ბოლოს მოცემულია პოეტების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, აგრეთვე მათი შე-

მოქმედების დახასიათება. 1949 წელს მანვე თარგმნა დ. კონჭაძის „სურამის ციხე“.

ჰუგო ჰუპერტი პროგრესული მწერალია. მას კარგად იცნობენ გერმანიასა და ავსტრიაში. იგი რევოლუციის დიდი პოეტის — ელადიმერ შაიკოვსკის ბრწყინვალე მთარგმნელია. შრავალი ორიგინალური წიგნის, ლექსთა კრებულების, პუბლიცისტური წერილებისა და კინო-რეცენზიების ავტორმა ჰუპერტმა მცირე შრომა როდი გასწია იმისათვის, რომ ევროპელი მკითხველი გაცნობოდა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. მან სხვადასხვა დროს თარგმნა, მიაკოვსკის თხზულებების გარდა, გორკის, ტიხონოვის, პავლენკოს, მოლუევის, სერკოვის, სიმონოვის და სხვა საბჭოთა მწერლების ნაწარმოებანი.

„მოგზაურის ქართულ კვერთხს“ წამძღვარებული აქვს დემოკრატიული გერმანიის ცნობილი პოეტის კუბას წინასიტყვაობა.

საქართველო ზრავალ გერმანულ პოეტს იტაცებდა, მაგრამ კუბას აზრით, მხოლოდ ჰუგო ჰუპერტმა შეძლო გერმანულ ენაზე პოეტურად აეცუტრებინა ეს ქვეყანა.

ჰუგო ჰუპერტმა, ჰემმარიტმა პოეტმა, ამბობს კუბა, წარმატებით განაგრძობ არტურ ლისტის მიერ წამოწყებული საქმე.

ჰუპერტმა აღმოავიგინა ზვენი, გერმანულეს, მშვენიერი საქართველო, ზედმოწვევით გაგაცანოს ის და შეგვეყვარა.

კუბა მოუწოდებს გერმანულ მკითხველებს, ხელში აიღონ „მოგზაურის ქართული კვერთხი“ და იმოგზაურონ არა ფანტასტიკურ, ეგზოტიკურ მხარეში, არამედ რეალურ, ნამდვილ საბჭოთა საქართველოში, სტალინის სამშობლოში.

„მოგზაურის ქართული კვერთხი“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის სათაური „კიდით კიდემდე“, მეორე ნაწილს ჰქვია „სახლურებს იქეთ“. წიგნის პირველი ნაწილი, რომელიც მოცულობით საგრძნობლად აღემატება მეორეს, უმოთავსესად საქართველოს ეხება, მეორე ნაწილი კი კრიტიკულ-სატრულად ისახავს ზურჯუაზიული დასავლეთის ცხოვრებას.

საქართველო ამ წიგნში დანახულია არა ტურისტთა ავტობუსის ფანჯრიდან, არამედ ხან-



გრძლივი ცხოვრებისა და ქართულ ყოფასთან შესისხლბორცების საფუძველზე, პეტო პუპერტი-მა „კილით კიდეშდე“ შემოიპირა ჩვენი ქვეყანა, შეისწავლა ქართული ლიტერატურა, მუსიკა, ზე-რათომოდერნობა, ეთნოგრაფია. ავსტრიული პოეტი თვეების განმავლობაში მუშაობდა ქართულ მე-ზეუმებსა და არქივებში, წიგნისადაყვებსა და ბაბლიოთეკებში; პუპერტი შედიოდა აგრეთვე ქარბზებსა და ფაბრიკებში, საწარმოებსა და სა-ხელაწივებში, სწავლობდა ქართველი მუშების ყოფა-ცხოვრებას, შთ სულისკეთებასა და მის-წრათებებს; ეცნობოდა საბჭოთა საქართველოს მიღწევებსა და წარმატებებს როგორც მეტრნეო-ბის, ისე კულტურის დარკში. ასეთი მოსაზრდე-ბელი მუშაობის შემდეგ შეუდგა პოეტი საქარ-თველოს შესახებ პოეტური ნაწარმოებების წერას.

ლექსების კრებულის თემატიკა ფართოა: მასში ასახულია თანამედროვე სოციალისტური საქარ-თველი მთელი თავისი მრავალმხრობითა და მრავალფეროვნებით.

ლექსში „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა“ პუპერტი დიდი ექსპრესიით გვიჩვენებს საქარ-თველოში სოციალიზმის გამარჯვების სურ-ათებს. პოეტი მიესალმება ჭიათურის მადარობებს, რუსთავის ფოლადს და, რაც მთავარია, ახალ ქართველ ხალხს, სოციალისტურ სას.

„ალზნის ველზე“ ქართული საკალმებრნეო ცხოვრების თემაზეა დაწერილი. პოეტი სთველ-შიც გრძნობს და ამჩნევს ახალი ეპოქის, სოცია-ლისტურის ხანის არსებით ნიშნებს. შრომა აქაც დიდებინა და გამორბის საქმედ იქცა, იგი აღა-მიანის ორგანული მოთხოვნილება გამხლარა. სო-ფელშიც შრომის ნაყოფიერება საარაკოდ ვაზრ-დილა, კაცი და გუთანი სხეულისხეა მანქანამ შე-ცვალა. — შესაბამისად ვაზრდილა სთფლის ბარ-კა და დიღლათი. პოეტი საკალმებრნეო სუფ-რანზე სეამს ბარკაინი და კერძოებულ ქვეყნის სადღევრქელის: „სუფრის ქალარა თამადა სიტყ-ვის მაძლევს; მეც ვადღევრქელეს მშვენიერ კა-ხეთს და იმ ქვეყანას, რომელიც დაფითა და ნა-ღარით შემოგვევება“. — ამბობს პოეტი.

პუპერტის ლექსებში გამოიხატულია დრმა და გულწრფელი სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი. პოეტი გატაცებით უმღერის ჩვენს ქვეყანაში გეგანტურ მშენებლობას, ახალგაზრდობის მი-სწრათებებს — მონაწილეობა მიიღოს ყამირი მი-წების ათვისებაში, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში და საერთაშორისო სოლიდრობას.

საქართველოსა და თბილისის რევოლუციური წარსული ასახულია ლექსებში: „სერგეი კიროვი“, „მიხეილ კალინინი“, „ღამე ბათუმში“ და სხვ. ახალგაზრდა სტალინის რევოლუციურ მოღვა-წეობას ეხება ლექსი „თბილისის რკინიგზის სა-ხელისწივები“.

ლექსი „ღამე ბათუმში“ მხატვრულ სახებში გადმოგვეყვოს სიღობისტრა“ ლმიჯარბას ბინაზე რევოლუციონერობა არაღვეადურ კრებას, რო-

მელსაც ახალგაზრდა სტალინი მცემს... ლობდა.

„და თუნდებოდა... კობა წამოღდა, გაალო კარი, სუთოა პერი შემოიპირა... ის იღვა ააღბულ აღმოსავლეთით განათებულ... მან თასი აიღო, აღმოსავლეთისაკენ გაიწვირა ხელი... ყველანი იქითკენ იქარებოდნენ აღელვებულნი და გაო-ცებულნი... შვე ამოდიოდა...“

ისტორიული საქართველო უცუფერლოა ლექ-სებში „ქედუხრული ხალხი“, „ნარიყალას ციხე“, „დავითის შთა“, „ქართულ მუხუდში“, „ეარბია“, „ყინწვისის ანგელოზი“ და სხვა...

პუპერტს ადამტოვანებს ქართველი ხალხის დიდი ერთგული ენერგია. მიუხედავად განუ-წყვეტელი სისხლისმღვრელი და გამამანაგებელი ომებისა, ქართველმა ხალხმა შექმნა დიდი მა-ტერიალური და სულიერი კულტურა, უაღრესად თავისთავადი ლიტერატურა, მუსიკა და ზეოთ-მიძღვრება. მრავალგზის განადგურების პირას მისული ქართველი ხალხი ლეგენდარული ფე-ნიქსივით აღდგებოდა ზოლმე და იწყებდა სისხლ-სავსე ცხოვრებას. „ყოველთვის კრანტული მიე-ლის ტანში, ცრემლიც შეკევა, რაცა საქართვე-ლოს ისტორიას ვადავიკითხავ — ამბობს პოე-ტი, — შეაბამს ქართველი კაცი ხარებს გუთანში და მყის თავს ესხმის სისხლისმღვრელი ყანა-ლი... ხან სპარსი ანანაგებს, ხან თურქი უტევს, ზოგჯერ კი ლეკი ესხმის მობედიან... სისხლის ღვარი მოედინებოდა მოსას და ბარში, სისხლა ერთეოდა მდინარეებს... და მაინც ამ ხალხმა შე-ქმნა მუსიკა“ („ქედუხრული ხალხი“).

პეტო პუპერტის პოეზია ორიგინალური შე-მოქმედებითი ინდივიდუალობით ხასიათდება. მის ლექსებში, ერთი მხრივ, კლასიკური და თანამედ-როვე გერმანული ლიტერატურის, და, მეორე მხრივ, რუსული კლასიკური, აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის ტრადიციების თავისებური სინ-თეზა მოცემულია. პეტო პუპერტი პირენს, პერეუ-ვის, ფრადლგარბის და ვეერტის რეოლუციუ-რი პოეზიის მემკვიდრეა, იგი აგრძელებს გერმან-ული ლიტერატურის პეშანისტურ-დემოკრა-ტიულ ხაზს, ამავე დროს, მის შემოქმედებაში იგრძნობა პუშკინის, ლერმონტოვისა და, რაც მთავარია, მაიაკოვსკის კეთილისმყოფელი გავ-ლენა.

პუპერტის ლექსები გამსჭვალულია მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური და პარტიული სუ-ლით. მის ყველაზე ლირიკულ ლექსებშიც კი პოლიტიკური სიმპატივები წინა პლანზე წამოწეუ-ლი. პუბლიცისტური ელემენტი თან ახლავს მის ყოველ ლირიკულ ლექსს.

კრებულში ვერ ვიპოვით ლირიკულ ლექსს „სუფთა“, „შეირველი“ სახით, — ეპიკური ელე-მენტი აუცილებელია და ორგანული ნაწილია პუპერტის ლექსებისა. პუპერტის ლექსებისათვის დამახასიათებელია სურათოვნება, საცნობრობა, აგრეთვე სთვეებტრობა. მის ყოველ ლექსში ქარ-

ზობს თბრობათი ეღუმენტი პოეტი ყოველთვის რალე ამბავს ჰყვება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ლექსები: „შესვლა თბილისში“, „რუსთაველის პრისპექტზე“, „სახვედი მანქანა“, „რიცხს ტბაზე“, „ყინულის ანგელოზი“, „განახლებული ამიერკავკასიაში“, „წვიმა“, და სხვა. პოეტი პირდაპირ არასოდეს არ ღაბრაჯობს თავისი განწყობილების შესახებ, ის რაიმე ამბავს მოვითხრობს ანდა რაიმე სურათს აღწერს და ამ თბრობისა და აღწერის ხასიათით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ტონუსით“, ჩვენ ვგრძნობთ ავტორის განცდას.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, პუბერტის ლექსები თავისუფალია პლაკატურობისა და მშრალი რიტორიკისაგან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლექსების ამ კრებულში პეტო პუბერტმა ზოგიერთი ნეო-

ლოგიზმი შემოიღო, რაც მხედველობის უარგამორჩა დემოკრატიული გერმანიის პრესის (სხვათა, მაგალითად, „hegsam“).

პოეტი იშვიათად მიმართავს შაბლონურ, ვაკუეტოლ რითმებს; მის ლექსებში ვხვდებით არაერთსა და ორ ახალ, ორიგინალურ, მოულოდნელ რითმას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი რითმები როგორცაა Schwarzen Meeres — Seeverkehres; Utah — Valuta; Basis — Esterhazy's; Reinhardt — Steinhart და სხვა.

პეტო პუბერტის ლექსების კრებული ხალხთა შორის მცხოვრობის, მოელ მსოფლიოში მშვიდობის დაწყების დიადი იღუების მაღალმატერული გამოსახულებაა.

ნოდარ ქაპაბაძე

ინგლისური ბალადები ქართულად



ქართულ თარგმნით ლიტერატურას შეემატა ვიტი განჩილასის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ხალხური ბალადების კრებული. ამ ბალადების უმეტესი ნაწილი ცნობილ ინგლისელ სახალხო ვიბის რომინ პუდს შეეხება. გარდა ამისა, წიგნში შეტანილია ხალხური ბალადები სხვა თემებზე.

წინასიტყვაობაში გ. განჩილაც მართებულად წერს: „ხალხური შემოქმედების მიერ დიადი იყვნენ დავალებული არა მარტო შესაუქუნეთ ცნობილი პოეტები, როგორც იყვნენ აღზენდნი და ჩოსერი (მე-14 საუკ.), არამედ ალორძინების ხანის ისეთი ტიტანიც, როგორცაა შექსპირი. ხალხური შემოქმედების ტრადიცია სთავაზობდა მათ თემებსა და სიუჟეტებს, მბატრულ სახეებსა და ცხოველყოფელ პოეტურ მერველებას“.

ინგლისურ ხალხურ ბალადებს გარკვეული ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, მათ დიად როლი ითამაშეს ინგლისური დრამისა და ლექსის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ როცა ქართულმა ლექსმა თავისი განვითარების მწვერვალს მიღწია (მე-12 საუკუნე), ინგლისურ პოეზიაში, ისევე როგორც საერთოდ ძველ ტეტრონურ ლექსში, არ იყო საცხებით ჩამოყალიბებული ლექსის უმარტივესი ზომებიც კი (მათ შორის იამბი).

გარითმული ინგლისური ლექსის პირველი ნიმუშები ვხვდებით ფრანგული ენიდან შესრულებულ თარგმანებში. გართმული ლექსი არ

მოიბოვება ინგლისურ ლიტერატურაში ნორმანების შემოსვლამდე (მე-11 ს.). მისი აღმოცენება მიეკუთვნება მე-13 საუკუნეს. მხოლოდ ცნობილია მწერალმა ჯეოფრი ზოსერმა (მე-14 საუკუნე) მიღწია ბგერითი თავისუფლებას პუბების ვარაიციებისა, ქარვისა და იამბის ცვალებადი მოძრაობით. მე-15 — 16 საუკუნეებში განვითარდა ხალხური ბალადები, რომლებმაც დიდი ცვლილებები შეიტანეს ინგლისურ ლექსში. ამ დროიდან მოკიდებული დღემდე ინგლისური ლექსთწყობა იამბური რიტმით ხასიათდება.

ბალადა თავისი ბუნებით განსხვავდება ჩვეულებრივი ლექსისაგან. უპირველეს ყოვლისა, ბალადა არის ხალხური შემოქმედების ნაყოფი და ამიტომაც მას ახასიათებს პირდაპირობა, სიუხვიველ და მიზნობეღი უბრალოება. უღრმესი გრანობა გამოთქმულია უბრალოდ, ყოველივე ხელოვნურობის გარეშე. მთარგმნელის ამოცანაა, ტექსტის და ლექსის ფორმის ზუსტი გადატანის გარდა, მაქსიმალურად გააღვივოს ბალადის სტილისტური თავისებურებანიც (მედარებანი, განმეორებანი, ალტერაცია და სხვა), რაც ბალადის ანიჭებს შესიკალობას ცალკეული ტაქების შინაარსის შესაბამისად.

გ. განჩილასის თარგმანი კარგად გადმოსცემს ინგლისური ბალადების შემოაღნიშნულ თავისებურებებს.

ცნობილია, რომ, რაც უფრო ძველია ინგლისური ბალადა, იმდენად უფრო მეტად ახასიათებს მას ალტერაცია. ალტერაცია ერთ-ერთი ზერხია ლექსის მელოდიურობის გადმოსაცემად. არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელიც ალტერაციის გადატანა. მაგრამ ეს მეტად ძნელი და მშრად თითქმის მიუღწეველი ამოცა-

რობინ პუდი. ინგლისური ხალხური ბალადები, საბლიტგამი. 1954.

ნა. უნდა აღინიშნოს, რომ გ. ვაჩეჩილაძემ შეძლო ამ რთული ამოცანის შესრულება. მავალითად, ავიღათ ბალადა „რობინ ჰელი და ყასანი“. აქ ვკითხულობთ:

ველარ კი ვითელი ხაქონელს,
ორას ხელსა თუ ხამასს.

შემდეგ: შერველის ტყეში შევიდნენ,
შეკრთა, შერიფი, ერთობ,
შტოებს ლაწანი იტყუდათ
და შარიშური ფურცლებს.

ბალადა თავდება ასე:

შემდეგ გზისაკენ გაძღდა,
მისცა მისივე ცხენი.

ანდა ავიღით ბალადა — „როგორ გადაარჩინა
რობინ ჰელმა ვილ სტატლი“:

მოუახლოვდა მოხუც მწიარს
და თან შიპართა ასე.

„ვეკოვდინება, მოხუცო,
მითხარ, მოისხი მადლი“

ანდა: — ვიციან, — შერიფმა შესძახა, —
სწორედ ხაქიმო ხაქმე!

ბალადაში „სომღერა რობინ ჰელზე“ ვკითხუ-
ლობთ:

ერთველ მზღებლად და მცველად,
არ მიგვატყუებს შოგზატურს.

გულადს, გემსახურება, ვიდრე ვალს
გაეისტურებდეს სრულად,

და სხვა.

უმეტეს შემთხვევაში მთარგმნელის ლექსი
უბრალოა, ყოველ ძალდატანებასა და ხელო-
წერობის მოყვებული. მავალითად, კარგია შემ-
დეგი სტრიქონები:

შტოებს ლაწანი იტყუდათ
და შარიშური ფურცლებს
და ისიოდე ირემმა
წინ ჩაუქროლათ უცებ.

— როცა ტყეს ნაში აბრწყინებს
და ფოთლებია გრძელი,
იქ ხეტიალი კარგია,
სიამოვნების მგვარელი.
შაშვიც კი ისე უახზაჰებს,
მოგარლი ზაფხულის ეშხით,
რომ რობინ ჰელი იღვიძებს
დილის ნამიან ტყეში.

მღელვარე ზღვაში მოხვედრილი ხომალდის
ასეთი პლასტიკური სურათია დახატული:

ძლივს გაიარეს ერთი და ორი,
ძლივს გაიარეს სამიოდ ლიგი —
ავარდა ქარი, ზღვა დაღვა ყალზეზე,
დაბნულდა არე ხომალდის ირგვლივ.

გულში ჩამწედილი უბრალოებით არის გამოთ-
ქმული რობინ ჰელის უკანასკნელი სიტყვები:

თავითაც მწვანე დამირგვთ,
მწვანე დამირგვთ ფერხითი
და მომღერალი ეს ჩემი ზიგლიოზრაფია
მშვილდი დამიღვთ გვარდით,
ხრემით და მიწით დამიფარეთ,
არაფერი მსურს მეტი.

რაც შეეხება დედნის ლექსიკური მასალის
გადმოცემას, უნდა ითქვას, რომ მთარგმნელს
აქა-იქ გაამარჯვია შეცდომები.

ბალადაში „რობინ ჰელი და გაი გისბორნი“
ნათქვამია, რომ რობინის ორი რაზმეული მოკლე
შერიფმა, ხოლო მესამეს შემოგერტვა შეიღი-
ოყველი კაცო. თარგმანში სულ გამოტოვებუ-
ლია ორი რაზმელის მოკლეა, ხოლო შერიფის
შვიდი ოყველი კაცის ნაცვლად მხოლოდ შვიდი
კაცია დასახელებული.

ბალადაში „ორი ყორანი“ ნათქვამია, რომ
მოკლე რაინდი „არვის გულს აწეება დარდად,
მწერის, ქორისა და ცოლის გა რ დ ა“. დედ-
ნის მიხედვით კი, რაინდის მცველობის ამბავი
არავინ იცის — მწევრის, ქორისა და ცოლის
გარდა.

თარგმანში ნაცლებად გვხვდება ინგლისური
ხალხური ბალადებისათვის დამახასიათებელი
განმეორებანი სიტყვებისა და წინადადებებისა,
განმეორებანი, რომლებიც ხაზს უსვამენ რომე-
ლიმე ცალკეულ მოვლენას ან თვისებას.

როგორც თვით მთარგმნელი ამბობს, ბალადე-
ბის თხრობის, „განსაკუთრებული დრამატიზმი
მკითხველს და მსმენელს დანაზიხის გაშლის
საშუალებას აძლევს“. განსაკუთრებით ეს ითქ-
მის ისეთ ბალადაზე, როგორცაა „მწვრსტყელი“.
მისი სიმღერე და მომზიბეღელობა ხალხური
ბუნებრივი გამოთქმების გამოყენებაშია.

ამ ბალადის თარგმანი კი საგრძნობლად მო-
ცალეებულა ორიგინალს. მავალითად, ბალადაში
ვკითხულობთ:

Shame fa your cuckold face
Ill mat ye see.

ქართულად ეს ნიშნავს:
შვიტრცხებს ეს შენი უნამუსო სახე,
ცუდად ხედავ...
გ. ვაჩეჩილაძემ ამ სტრიქონს თავისებურად
განმარტავს:

მეშლილხარ, ლითო, ღვინითა,
მამელი ხარ მეტის მეტისა.
ბეერი შეგისვამს, რქიანო,
ღვინო, დამსმელი რეტისა!

ღვთის შიში გქონდეს, ცოდვილო,
რისხვა არ გეცეს ბედისა.
ბეერი შეგისვამს, რევეწო,
ღვინო მომგვრელი ბენდისა.

ბალადაში კი არ არის ნათქვამი, რომ ქმარი
ლოთია ანდა ცოდვილი, პირიქით, ცოლი ცდი-
ლობს მოატყუოს ქმარი.

თარგმანში უბეადაა ვადმოცემული პროვერბიალური (ანდაზური) თქმუები. ეს განსაკუთრებით ეხება ბალადებს — „რობინ ჰუდი და ვი ვის-ბორნი“ და „სერ პატრიკ სპენსი“.

სარეცენზიო წიგნი ჭარველ მკითხველს იცნობს ძველი ინგლისური ბალადური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს. ჩვენს წინამდებარე ინგლისელი ხალხის საყვარელი გმირი, ჩაგრულთა მეგობარი

რობინ ჰუდი, რომელიც ასახიერებს ინგლისელი ხალხის ისტორიულ ბრძოლას უსამართლო ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ჩვენ ვიცნობით შორეული ისტორიული ეპოქის სახალხო გმირს, რომელიც მოგვაგონებს ასეთივე ორმაგი ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ არსენას.

ვენიკა ურუხაძე

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა

პოლიტიკური ლიტერატურა

- ნ. ს. ხრუშჩოვი — მეცხოველეობის პროლეტების წარმოების გადიდების შესახებ. ფასი 1 მან.
ვ. შ. მოლოტოვი — საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ფასი 55 კაპ.

მხატვრული ლიტერატურა

- ა. პუშკინი — კაპიტანის ქალიშვილი. თარგმანი შ. დადიანისა. ფასი 1 მან. 50 კაპ.
ა. ახაშვილი — ერთოთხედული. ფასი 8 მან. 30 კაპ.
ბ. ჩხეიძე — მოთხრობები. ფასი 4 მან. 40 კაპ.
ვ. ვახტანგიაძე — ერთოთხედული. ფასი 6 მან. 50 კაპ.
ლ. კალანდიაძე — წერილები ლიტერატურაზე. ფასი 6 მან. 50 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა

- ს. ერქომაიშვილი — სილოსი და საცვების დასილოსება. ფასი 6 მან. 15 კაპ.
მ. ციციშვილი — სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები. ფასი 4 მან. 20 კაპ.
მ. დავითაშვილი — ძვირფასი მცენარე. ფასი 40 კაპ.

საბავშვო

- გ. ქუჩიშვილი — გაზაფხულის ყუაყულები. ფასი 7 მან.
მ. გაბაშვილი — მადანას ლურჯი. ფასი 2 მან. 60 კაპ.
გ. აბაშიძე — საბავშვო პოემები. ფასი 3 მან. 64 კაპ.
ლევ კასილი, მაქს პოლიანოვსკი — უმცროსი გავის ქუჩა, თარგმანი მ. ტყემალაძისა. ფასი 12 მან.
გ. ნემსაძე — ჭა-ფეიქარი. ფასი 1 მან. 70 კაპ.
ს. მთვარაძე — ფენური ცხოველი. ფასი 8 მან. 60 კაპ.

ბავშვთა და ზრუნა

- ვ. ს. პოპოვი — ელექტროტექნიკა. ფასი 8 მან. 90 კაპ.
ვ. იმედაძე — დიდი რუსი მეცნიერი ვ. ვ. დოკუჩაევი და მისი მოწაფეები საქართველოში. ფასი
ა. ივლიცი, ბ. სომორვი — როგორ ბავშვებს წიგნებს. ფასი 1 მან. 13 კაპ.

მედიკამენტოლოგია

- ა. ვართაპეტოვი — სტაფილოდერმის ღრმა ფორმების მკურნალობა პენიცილინით. ფასი 1 მან.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ